საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

XIII

ქუთაისი 1955



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

XIII

Y846

სსრკ მეცნიერებათა აკადემია
Библиотека-Музей имени Акад. И. Грешковой
Академия наук

ქუთაისი 1955

ეროვნული სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა გუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
Кутаисский Государственный Педагогический Институт
им. А. Цулукидзе

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

XIII

КУТАИСИ 1955

Печатается по постановлению Ученого совета
Кутаисского Педагогического Института

სარჩევი

გვერდი

1. გ. როგავა. ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის . . . . . 1—8

2. ქ. ძოწენიძე. ქართლურ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში . . . . . 9—27

3. მ. ალავიძე. მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის . . . . . 29—77

4. პ. ჯაჯანიძე. ხოლმეობითის გადმონაშთებისათვის გურულში . . . . . 79—94

5. დ. მაჭავარიანი. კნინ- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის . . . . . 95—101

6. დ. გეწაძე. კავშირებითი მეორის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში . . . . . 103—110

7. ე. აბაშიძე. დასკვნის ფსიქოლოგიისათვის . . . 111—157

8. შ. ჩხარტიშვილი. საგნის ილუზიის ბუნებისათვის . . . . . 159—195

9. მ. ზარქუა. ზოგიერთი ზოგადფსიქოლოგიური საკითხი ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში . . . . . 197—212

10. ა. ბ. — განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები . . . . . 213—223

გვერდი

11. ი. ჯღარკავა. დ. ი. პისარევის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი . . . . . 225—250

12. კ. მეძველია. პეტერბურგის უნივერსიტეტი 60-იან წლებში და ქართველი სტუდენტები . 251—335

13. დ. ბრეგაძე. სილოვან ხუნდაძის წერილები იაკობ გოგებაშვილისადმი . . . . . 337—358

ОГЛАВЛЕНИЕ

	стр.
1. Г. В. Рогава. К суффиксации некоторых грузинских фамилий	1—8
2. К. С. Дзоценидзе. Картлино-кахетинские фонетико-грамматические особенности в языке И. Чавчавадзе	9—27
3. М. Н. Алавидзе. Материалы для лечхумского словаря	29—77
4. П. П Джаджанидзе. О пережитках пермансива в гурийском диалекте	79—94
5. Д. П. Мачавариани. К этимологии грузинского прилагательного ბ ო ბ ო kbini „малый“.	95—101
6. Д. О. Гецадзе. Об однойфункции сослагательного II в древнегрузинском языке	103—110
7. Э. К. Абашидзе. Относительно психологии умозаключения	111—157
8. Ш. Н. Чхартишвили. К природе предметной иллюзии	159—195
9. М. Б. Заркуа. Некоторые общепсихологические вопросы в литературном наследии В. Г. Белинского	197—212
10 А Б. — Основные положения психологии установки	213—223

стр.

11. И. А. Джгаркава. Общественно-политические и философские взгляды Д. И. Писарева . . 225—250

12. К. Н. Медзвелия. Петербургский Университет в 60-ых годах и студенты-грузины . . . 251—335

13. Д. Д. Брегадзе. Письма Силована Хундадзе Якову Гогебашвили . . . . . 337—358

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

გ. რ ო გ ა ვ ა

ზოგი ძართული გვარის სუფიქსაციისათვის

ქართული გვარების დიდი ნაწილი ორგვარი აგებულებისა ჩანს: ერთი მხრით, გავრცელებულია კომპოზიტური წარმოების გვარები **-შვილ, -ძე** კომპონენტების დართვით და, მეორე მხრით, სიტყვა-წარმოებითი სუფიქსებით ნაწარმოები გვარები — მაჩაბ-ელ-ი, წერეთ-ელ-ი, გიგა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი, გიორგობ-იან-ი, ავალ-იან-ი და სხვა.

-შვილ კომპონენტიანი გვარები (ჯავახი-შვილ-ი, მესხი-შვილ-ი, იმედა-შვილ-ი და სხვა), როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული, ხოლო **-ძე** კომპონენტიანი გვარები (აბაში-ძე, მიქელა-ძე, ნემსა-ძე და სხვა)—უფრო დასავლეთ საქართველოში (ნ. ბერძენიშვილი). ასეთი გვარები უფრო გვიანდელ წარმონაქმად არის მიჩნეული.

მეგრული **-სქუა** („შვილი") კომპონენტიანი გვარები (გოგოლა-სქუა, კინწურა-სქუა, ნადარე-სქუა და სხვა) ქართული **-შვილ** კომპონენტიანი გვარების თარგმანს წარმოადგენს და სულ ახალი წარმოებისა ჩანს. ქართული **-შვილ** კომპონენტიანი გვარების უფრო ძველი მეგრული შესატყვისია **-სქირ** კომპონენტიანი გვარები: პაპა-სქირ-ი, წულე-სქირ-ი, კვეკე-სქირ-ი, გაბე-სქირ-ია. **-სქირ** სუფიქსიანი გვარები ქართული გამოთქმით **-სკირ** (ქართულისათვის ბუნებრივია **სკ** კომპლექსი) გვხვდება XVII საუკუნის დოკუმენტებში — სთეფანე-სკირ-ი, ქვანე-სკირ-ია[1].

ფეოდალური წყობილების დალი აზის მეგრულ გვარებს, რომელთაც დაერთვის **ჰკორ** კომპონენტი: გეგე-ჰკორ-ი — სიტყვა-სიტყვით „გეგეს-ყმა", ვადა-ჰკორ-(ია) — სიტყვასიტყვით

[1] აფხაზეთის საკათალიკოზო გკეზების დიდი დავთარი, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ 1914 წ., გვ. 34.

„ვადას-ყმა", პა-ჭკორ-(ია) (← *პაპაშ-ჭკორ-ი) — სიტყვასიტყვით „მღვდლის-ყმა", პა-ჭკირ-ია (← პა-ჭკორ-ია).

მეგრული ჭკორ „ყმა" ფუძის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ვაჟი, ყმაწვილი. ეს ფუძე უნდა უკავშირდებოდეს გურიაში გავრცელებულ ვაჟის საკუთარ სახელს ჭოლა (აქედან გვარი — ჭოლა-ძე). ჭკორ ფუძის ძირია ჭკ (← ჭ), კანონზომიერი შესატყვისი ქართული ჭ ძირისა ჭოლა ფუძეში, **-ორ** და **-ოლ** — სუფიქს-დეტერმინანტებია.

უძველესი წარმოშობისა ჩანს აგრეთვე -ბერ სუფიქსიანი გვარები — კახა-ბერ-ი, სულა-ბერი-ძე, გოგი-ბერი-ძე და სხვა. კახა-ბერ-ი სიტყვასიტყვით იქნება „კახას-ვაჟი", „კახას-შვილი", შდრ. ჰანური ბერე „ვაჟი", „შვილი"[1].

ამგვარად, ქართულ გვარებში პატრონიმისტიკული ფუძე-სუფიქსი შვილის მნიშვნელობით გვხვდება შემდეგი: -შვილ, -ძე, -სჭირ, -სქუა, -ბერ...

ამავე ტიპის სუფიქსი ახლავს, როგორც ცნობილია, ქალის გვარებს სამეგრელოში, გურიასა და ქვემო იმერეთში — **-ხე** || **-ფხე**. კაჭარა-ხე, მაქაცარი-ხე და სხვა...

უცხოური, კერძოდ ჩერქეზული (ადიღური), წარმოშობის პატრონიმისტიკული სუფიქს-ფუძე **-ყვა** ახლავს, როგორც ეს გარკვეული აქვს აკად. ს. ჯანაშიას, გურულ გვარებს — ინგოროყვა, რო-ყვა, ღელე-ყვა, ათლა-ყვა[2]... პ. ინგოროყვას ცნობით, ჩერქეზების რამდენიმე ოჯახი, თურქეთში მიმავალი, დასახლებულა გურიაში და გაქართველებულა. ამის შედეგად დარჩენილა ინგოროყვა გვარი გურიაში. ეს ფაქტი, მისი აზრით, უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის დამდეგს[3]. შესაძლებელია, მართლაც, ინგოროყვა, როყვა და სხვა გვარების მატარებელი პირები ჩერქეზეთიდან იყვნენ ჩამოსახლებული გურიაში ამ რამდენიმე საუკუნის წინ, მაგრამ არაა შეუძლებელი, რომ ეგეთი გვარები იყოს შემონახული ქართველ და ჩერქეზ ტომთა უფრო ძველი შეხვედრის დროიდან საერთოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის საფუძველს იძლევა **-ყვა** სუფიქსიანი ზოგი გვარი, რომელსაც პირველ კომპონენტად (ფუძედ) მოუდის ქართული წარმოშობის

[1] Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка. 1910. (ლექსიკონი).

[2] ს. ჯანაშია. ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის. ლიტერატურული მემკვიდრეობა. I, 1935. გვ. 68.

[3] პ. ინგოროყვა. ვადმოკემა „ინგოროყო"-ს გვარეულობის ჩერქეზულ შთამომავლობის შესახებ, ე. ნინოშვილი, I, გვ. 421.

სახელი — მაგალითად, ჰანუ-ყვა-(ძე) — იგივე ჰან-ი-შვილი (ს. ჯანაშია), გელე-ყვა — იგივე გელე(ი)-შვილ-ი...

ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს სიტყვაწარმოებითი სუფიქსებით ნაწარმოები გვარები.

ამ რიგის გვარებიდან ს. ჯანაშიას გარკვეული აქვს **-იან**-ის წყების სუფიქსებიანი გვარები — იოსელ-იან-ი, გიორგობ-იან-ი, ბაგრატ-იონ-ი და სხვა.

-იან სუფიქსიანი გვარები გავრცელებულია განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში: ასათ-იან-ი, გიორგობ-იან-ი, გოლეთ-იან-ი, ახვლედ-იან-ი და სხვა. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, ასეთი გვარები საქართველოში ძველად უფრო უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მან დაადგინა, რომ მეგრული **-ია** სუფიქსიანი გვარები — ჯიქ-ია, ჩხეტ-ია, ფიფ-ია და სხვა წარმოადგენს იმავე -იან სუფიქსიანი გვარების **-ნ** შეკვეცილ სახეობას. ასე რომ, გვარები ჯიქ-ია ←* ჯიქ-იან-ი. ჩხეტ-ია ←* ჩხეტ-იან-ი, ქირ-ია ←* ქირ-იან-ი და სხვა[1].

ზოგი ამ **-ია** სუფიქსიანი გვარის — ჩხეტია, წულუკია, რატია და სხვათა პირვანდელი, -იან სუფიქსიანი, სახე შემონახული აღმოჩნდა სვანეთსა და ლეჩხუმში — ჩხეტ-იან-ი, წულუკ-იან-ი, რატ-იან-ი და სხვა[2]...

ნ ფუძის ბოლო ბგერის მასობრივი დაკარგვის შემთხვევები საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა ქართველური ენებისათვის[3].

როგორც ეს ცნობილია, -იან სუფიქსიანი გვარები აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული[4].

-იან სუფიქსიანი გვარების ქართველ ტომებში ძველიდანვე დიდად გავრცელების მაუწყებელია ისიც, რომ, როგორც ეს აღნიშნული აქვს ს. ჯანაშიას, ეს სუფიქსი ქართველი ტომებიდან შეუთვისებიათ სომხებს — გრიგორ-იან, თუმან-იან, მამიკონ-იან, აჭარ-იან და სხვა[5].

-იან სიტყვაწარმოებითი სუფიქსი მიჩნეულია **-ეან** სუფიქსისა-

---

[1] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „ენიმკი"-ს მოამბე, I, 1937, გვ. 215.

[2] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 215.

[3] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 8.

[4] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 212. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 124.

[5] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 220

გან მიღებულად: იან ← ეან[1]. -ეან მიჩნეულია -ევან-ისაგან მიღებულად ვ თანხმოვნის დაკარგვის საფუძველზე. -ეან სუფიქსიანი სახელები შემონახულია ძველს ქართულ ძეგლებში, მაგ., სიხარულ-ეან-ი[2]. ეან-ისაგან იან-ის მიღება, სრულებით ბუნებრივი ჩანს, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურაში. მაგრამ უფრო ბუნებრივი იქნება -იან სუფიქსი მეტ შემთხვევაში ჩაეთვალოთ ივ-ან-ისაგან მიღებულად: ივ-ან → ი-ან*. ე. ი. -იან სუფიქსიანი გვარების ამოსავალი სახე უნდა ყოფილიყო -ივ-ან სუფიქსიანი: ჩხეტ-ია ← ჩხეტ-იან- ← ჩხეტ-ივ-ან.

შესაძლებელია -ივ-ან სუფიქსის ვ შემონახული სახე გვქონდეს გვარებში — ჩოჩ-ი-ვ-ა-ძე[3], შდ. ჩოჩუა, მელ-ივ-ა (← მელ-ივ-ან), შდრ. მელ-უა, მელა-ძე... მელ-ია ← მელ-ივ-ა ← მელ-ივ-ან. -ივ-ან სუფიქსიან სახელებს შეიძლება მოეცა ი-ონ ვა-ს ო-ში გადასვლის გზით. მაგალითად, ხევსურული მაყრ-ი-ონ-ი ← ← მაყრ-ივ-ან. მაგრამ ანგარიშგასაწევია შესაძლებლობა ხევსურულ მაყრ-ი-ონ-ის ი-ონ სუფიქსში ი და დამოუკიდებელი სუფიქსის ონ-ის გაბოყოფა[4].

-იან, -ოვან, როგორც ვიცით, რთული სუფიქსებია. ამ რიგის სუფიქსების პირველი ელემენტი წარმოდგენილია შემდეგი სუფიქსის ვარიანტებით — -ივ, ევ, ავ, ოვ, რომელთაც დართული აქვს ან სუფიქსი: ივ-ან, ევ-ან, ავ-ან, ოვ-ან.

დასახელებულ ნაშრომში ს. ჯანაშია ეხება -ვა სუფიქსიან მეგრულ გვარებს — სულავა, ხორავა და სხვ... იგი სამართლიანად აკრიტიკებს ამ საკითხის შესახებ ნ. მარის შეხედულებას, რომლის თანახმად, -ვა სუფიქსი წარმოადგენს აფხაზურიდან შეთვისებულ -ბა გვარსახელის სუფიქსის სახეცვლილებას. ს. ჯანაშიას აზრით, -ვა სუფიქსი მეგრულ გვარებში მიღებულია -ვან სუფიქსისაგან ნ თანხმოვნის მოკვეცის საფუძველზე: სულავა ← სულა-ვან. უფრო ზუსტი იქნებოდა, ჩვენი აზრით, ვა სუფიქსი ჩაგვეთვალა -ა-ან ამოსაყალი ვარიანტისაგან მიღებულად: სულავა ← ← სულ-ა-ვ-ან.

[1] ა. შანიძე. ქართული გრამატიკა, მორფოლოგია, 1939, გვ. 57. მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 124.

[2] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 216

[3] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის ძველესი აგებულება კავკასიურ ენებში, გვ. 118

[4] აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ 9.

[5] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი. გვ. 216.

აწინდელ მეგრულ გამოთქმაში ავ-ან სუფიქსიან გვარებში ვ ხმოვნებს შორის დაკარგულა (შდრ. ი ე - ა ნ → ი-ან): *სულ-ავ-ან → → სულ-ავ-ა → სულ-ა-ა → სულ-ა, *ჭით-ავ-ან → ჭით-ავ-ა→ ჭით-ა-ა → ჭით-ა... ქართულ გამოთქმაში სულ-ავ-ა, ჭით-ავ-ა ვ სამწერლობო ენამ შემოინახა. ეს ვ ჯერ კიდევ XVI—XVII საუკუნეებშიც დაკარგული ჩანს. „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ მოხსენებული -ავა სუფიქსიანი მეგრული გვარების დიდი ნაწილი წარმოდგენილია ვ- თანხმოვნის გარეშე -აა || ა: კუკ-აა (გვ. 37), გოგილ-აა (გვ. 26), მჭითანაა (გვ. 25), ფატა (გვ. 34); აქვე გვხვდება, ცხადია, უფრო არქაული სახეობა ამ სუფიქსისა — მჭით-ავა (გვ. 44), ქუცურ-ავა (გვ. 44), ცისკარ-ავა (გვ. 35) და სხვა.

ამგვარად, დასავლეთ საქართველოში -ივ-ან სუფიქსიანი გვარების პარალელურად გავრცელებული ყოფილა -ავ-ან სუფიქსიანი გვარებიც. ერთი და იგივე „ფუძე“ გვარისა ზოგჯერ წარმოდგენილია -იან←ივ-ან სუფიქსიანის პარალელურად -ავ-ან სუფიქსიანითაც; მაგალითები: ქობალ-ია←*ქობალ-ივ-ან || ქობალ-ავ-ა←*ქობალ-ავ-ან; ხუბულ-ია[1]←*ხუბულ-ივ-ან || ხუბულ-ავა←*ხუბულ-ავ-ან; ქარცხ-ია[2]←*ქვარცხ-ივ-ან || ქვარცხ-ავ-ა←*ქვარცხ-ავ-ან; კანკ-ია←*კანკ-იან || კანკ-ავ-ა←*კანკ-ავ-ან (შდრ. კაკაბა-ძე←კაკა-ბა-ძე აფხაზური სუფიქსაციით ბა).

-ოუ-ან სუფიქსიანი გვარების მაგალითად ს. ჯანაშიას დასახელებული აქვს — გელ-ოვ-ან-ი, ჩიქ-ოვ-ან-ი... საზოგადო სახელებში ეს სუფიქსი (იმავე -იან სუფიქსის მნიშვნელობით) განსაზღვრულ შემთხვევაში იხმარება — ყვავილ-ოვან-ი, მხცოვან-ი და სხვა[3]. ო(ვ)ან სუფიქსის მეგრულ შესატყვისად მიიჩნევს ს. ჯანაშია უ-ან — სუფიქსს სიტყვაში — გემ-უ-ან-ი — „გემრიელი“. -ოვ-ან (თუ უვ-ან) სუფიქსი მეგრულ გვარებში მეტად აქტიური სუფიქსი უნდა ყოფილიყო ერთ დროს. -ოვ-ან || უვ-ან სუფიქსის -ნ მოკვეცილი სახეობა უნდა იყოს -უა სუფიქსიანი გვარები დასავლეთ საქართველოში. დონდ-უა←*დონდ-უვ-ან, შდრ.

[1] აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, გვ. 43.
[2] იქვე, გვ. 19.
[3] ს. ჯანაშია. დასახელებული ნაშრომი, გვ. 217.

სვან. დონდვან[1], გოშ-უა ← *გოშ-უვ-ან, შდრ. სვან. გოშ-ვან[2], გულ-უა ← *გულ-უვ-ან და სხვა... რიგი გვარებისა წარმოდგენილია -**უა** სუფიქსის პარალელურად -**ია** სუფიქსით: გულ-უა ‖ გულ-ია, მელ-უა ‖ მელია, ესებ-უა ‖ ესებ-ია და სხვა... -უა უძველესი სუფიქსი ჩანს. იგი დიდი ხანია გაქვავებულა გვარსახელებში, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ -უა სუფიქსი არა აქვს დართული ასურულ-ბერძნული თუ არაბულ-სპარსულ-თურქული ენებიდან შეთვისებულ არც ერთ სახელს, მაშინ როდესაც ასეთ სახელებს დაერთვის როგორც -**იან**, ისე -**ა-ვა** სუფიქსები: ნიკოლავა, კოსტ-ა-ვა, ელია-ვა; გიორგობ-ი-ან-ი, გრიგოლ-ია, მალაზონ-ია, პერტაია და სხვა... გამონაკლისს წარმოადგენს ვვარი ესებ-უა, მიღებული (ესებ) იოსებ-ისაგან (თუ -**უა** აქ **ია**-საგან არა მიღებული **ბ**-ს მეზობლობაში, თუმცა მოსალოდნელია, პირიქით, **უ**-საგან **ი**-ს მიღება: ქართული ფიც-ი ← ფუც-ი...).

ზოგი მეგრული გვარი -**ღუა** დაბოლოებით — ტაბაღუა, ბაძაღუა და სხვა შეიძლება -უა სუფიქსს არ გამოყოფდეს, რამდენადაც არაა გამორიცხული ამ გვარების უცხოურობა.

ძველი წარმოშობისა ჩანს აგრეთვე გურია-აჭარასა და ჰანეთში გავრცელებული გვარები: ჯაში, ტუღუში, ხალვაში, ციტაში და სხვა. ამ გვარებს, როგორც ამას ს. ჯანაშია ვარაუდობდა, მოუდის ზანურის ნათესაობითი ბრუნვის -**(ი)შ** სუფიქსი. ტუღუ-შ-ი „ტუღუ-(ი)-ს-ი“...

შ სუფიქსიანი გვარები შეიძლება გვქონდეს სხვაგანაც: კვატა-შ-ი-ძე (შდრ. კვანტალიანი), გეგე-შ-ი-ძე (შდრ. გეგელია, გეგელაშვილი...), ბელე-შ-ა-ძე (?), ნაკა-შ-ი-ძე (?), გოთო-შ-ია (← *გოთო-შ-იან), შდრ. გოთუა და სხვა...

სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღებას იქცევს ზოგი ქართველი ტოჩის სახელწოდებათა შედგენილობა, როგორიცაა კოლხი. ტაოხი, მესხი, ჯავახი. ამ ფუძეებში -**ხ**- ელემენტს გამოყოფენ მრავლობითის საწარმოებელ აფიქსად (ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, ს. ჯანაშია). ს. ჯანაშია ამ -**ს** სრულიად სამართლიანად უკავშირებს სვანური ზმნის მესამე პირის მრავლობითის -**ხ** ნიშანს (ამარე-**ხ** „ამზადებენ“)[3].

---

[1] ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, 211.

[2] იქვე.

[3] ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები „ენიმკი“-ს მოამბე, XII, გვ. 265.

ზოგი ამ ტიპის სახელი ამჟამად გვარის სახელადაც იხმარება: მესხი, მესხ-ია, მესხ-ი-შვილი,... ჯავახ-ი-შვილი, ჯავახ-ი-ძე, ჯავახ-ია...

ჩვენი დაკვირვებით, ასეთი **ხ** სუფიქსი უნდა გამოიყოფოდეს სხვა გვარებში:

1. კობახიძე (← კობა-**ხ**-ის-ძე) ორმაგი—სუფიქსაციით **ხ** და **ძე**. ეგეთე გვარსახელის ფუძეს ახლავს **ია** (← იან) სუფიქსი: მეგრ. კობახ-ია (*← კობა-**ხ**-იან). **ხ** სუფიქსის გარეშე ეგეთე ფუძე შემონახული აქვს გვარებს — კობ-იძე, კობ-ია-შვილი. კობაიძე შეიძლება მომდინარეობდეს კობახიძე-საგან.

აჭარაში შემონახულ გვარსაც — კომახიძე (← კომა-**ხ**-ის-ძე) ახლავს ეგეთე **ხ**. კომახიძე. შესაძლებელია, კობახიძის ფონეტიკური ვარიანტი იყოს.

2. კორძახია (*← კორძა-**ხ**-იან). აქაც ორმაგი სუფიქსია ნახმარი. **ხ** სუფიქსის დართვის გარეშე ეგეთე გვარი იხმარება — კორძა-ია (*← კორძა-იან) კორძა-ძე.

3. მეგრული გვარი სულუხია (‖ → სხულუხია) უნდა იყოს ორმაგ სუფიქსიანი გვარი — სულუ-**ხ**-იან. ამ გვარის ფუძე-სახელი გვხვდება დასავლეთ საქართველოში სხვა სუფიქსაციითაც: სულავა ← *სულავან, სულ-ა-ძე, სულაბერიძე ← სულა-ბერ-ი-ძე.

სულუხია-ს სულავა-სთან დაკავშირება გვაფიქრებინებს, ხომ არა გვაქვს აქ სამმაგი სუფიქსაცია სულ-უ-**ხ**-ია. სადაც **უ** იგივე **უა** სუფიქსის მიკვეცილი სახეობა შეიძლება იყოს: სულ-უ-ხ-ია ← *სულ-უა-ხ-იან.

4. პერტახია მიღებულია *პერტა-**ხ**-იან. ამ გვარის ფუძე-სახელი ბერძნულიდან შეთვისებული საკუთარი სახელია პეტრე → პერტე. **ხ** სუფიქსის გარეშე ეგეთე გვარსახელი გვხვდება — პერტაია, პერტენავა...

5. გოგოხია მიღებულია *გოგო-**ხ**-იან-ისაგან, შდრ. გოგუა (*← გოგ-ოვ-ან), აქედანაა გოგუაძე (← გოგ-უა-ს-ძე), გოგოძე (← გოგ-უა-ძე) და სხვა...

შესაძლებელია გოგ-ო-ხ-ია-ს **ო** ელემენტი მიღებული იყოს -**უა** სუფიქსისაგან, ე. ი. გოგოხია-ში გვქონდეს სამმაგი სუფიქსაცია — გოგ-უა-ხ-იან, შდრ. გოგავა ← *გოგ-**ავ**-ან.

6. კუპუხიძე გვარშიც ეგეთი ხ სუფიქსი უნდა გვქონდეს კუპუ-ხ-ი-ძე. კუპ-ავ-ა (← *კუპ-ავ-ან) გვართან შედარების საფუძველზე. კუპ-უ-ხ-ი-ძე-ში უ ნასუფიქსარი ელემენტი ჩანს, იგივე -უა სუფიქსი. ასე რომ, ამ გვარშიც სამმაგი სუფიქსაცია შეიძლება ივარაუდებოდეს: *კუპ-უა-ხ-ის-ძე.

7. ჯიჯიხია ← *ჯიჯი-ხ-იან, შდრ. ჯიჯ-ია, ჯიჯ-ეი-შვილი...

ასეთივე ხ სუფიქსი შეიძლება იყოს შემონახული სხვა გვარებში: ბობოხიძე (← ბობო-ხ-ი-ძე), კვინიხიძე (← კვინი-ხ-ი-ძე), კაჭახიძე (← კაჭა-ხ-ი-ძე), ჩომახია (← *ჩომა-ხ-იან). ქვაჩახია (← *ქვაჩა-ხ-იან).

ამგვარად, როგორც ჩანს, ქართველი ტომების გვარსახელთა შედგენილობაში ერთ დროს ხ სუფიქსიც ყოფილა გავრცელებული. ეს სუფიქსი ძველისძველი ჩანს. ეგეთი ხ სუფიქსიანი ეთნიკური ტერმინები მოხსენებულია უძველეს ბერძნულ წყაროებში. უფრო ადრე **ტაოხი** (დიაუხი) ურარტულ ძეგლებშიც გვხვდება (გ. მელიქიშვილი). ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ხ სუფიქსი დართული აქვს ბერძნულიდან შეთვისებულ ადამიანის სახელსაც — პერტახია, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს სუფიქსი მოქმედი ყოფილა მაშინაც, როცა დაიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა.

(შემოვიდა რედაქციაში 25.IX.1954 წ.)

Г. В. РОГАВА

К СУФФИКСАЦИИ НЕКОТОРЫХ ГРУЗИНСКИХ ФАМИЛИЙ

Резюме

В работе дается анализ некоторых грузинских фамилий, с одной стороны, сложных, вторым компонентом которых являются слова в значении „сын", а с другой стороны, производных словообразовательными суффиксами. Выясняется, что в Западной Грузии имеется ряд фамилий с древнейшим суффиксом -ხ х — კობა-ხ-ია Коба-х-иа, გოგო-ხ-ია Гого-х-иа и др. Этот же суффикс в специальной литературе выделен в грузинских этнических терминах — მეს-ხ-ი мес-х-и, კოლ-ხ-ი кол-х-и и др.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

ძ. ძოწენიძე

ქართულ-კახური ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი ილია ჭავჭავაძის ენაში *

მარქსისტული კონცეფცია აღიარებს ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის, აზრთა გაცვლისა და ურთიერთგაგებინების საშუალების, განსაკუთრებულ მნიშვნელობას საზოგადოებისათვის. „თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და მისი ყველა წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“ [1].

ენის მნიშვნელობის ასეთი გაგებით აიხსნება ის სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულება, რომელიც ახასიათებს ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას სოციალისტურ ერთა სალიტერატურო ენების განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

და დღეს ვისთვის არ არის ცხადი, რომ სოციალისტური წყობილების პირობებში და სოციალისტური წყობილების მეოხებით მრავალეროვან საბჭოთა კავშირში წარმოდგენილი სალიტერატურო ენები უჩვეულოდ მდიდრდება და მტკიცდება.

ამ სალიტერატურო ენათა გეგმაზომიერი შესწავლა როგორც სტატიკური ანალიზის შედეგად, ისევე ისტორიულ ასპექტში, მათი წარმოქმნის გარკვევა და განვითარების სწორად წარმართვა, დიალექტთა და სალიტერატურო ენათა ურთიერთობის მოგვარება ამჟამად ენათმეცნიერების ძირითად ამოცანათა რიცხვშია დაყენებული. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ახალი ქართული სალიტე-

* წაკითხულია მოხსენებად ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოქვეყნების ორი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1952 წ. 27 ივნისს ა.ლ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტში. იბეჭდება მცირეოდენი ცვლილებით.

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. 1950. გვ. 20.

რატურო ენის დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლასაც, თუნდაც მხოლოდ ამ ენაში წარმოდგენილი ქართლურ-კახურ გრამატიკულ თავისებურებათა თვალსაზრისით, გარკვეული ინტერესი ახლავს.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართული ენის განვითარებაში იმის გამო, რომ არსებითი სხვაობა დასტურდება გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური მარაგის მხრივ, გამოიყოფა ორი საფეხური: ძველი და ახალი სალიტერატურო ქართული ენა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩასახვის პროცესი იწყება მეთორმეტე საუკუნიდან და მეთვრამეტე საუკუნისათვის დამთავრებულია[1]. დ. გურამიშვილის პოეზიისათვის სწორედ ახალი ქართული ენის მოვლენებია ნიშანდობლივი, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართულის მოქმედი ენობრივი ნორმები მათ გვერდით ჯერ კიდევ ძალაშია.

სამშობლოდან გადახვეწილობასთან ერთად დ. გურამიშვილის გავლენა ახალი ქართული ლიტერატურული ენის განვითარებაზე შეაფერხა ანტონ პირველის სქოლასტიკურმა სკოლამ[2], რომელიც თავისი სამი სტილის თეორიით მთელი საუკუნის მანძილზე აბრკოლებდა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებას.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის დიდმა მოღვაწემ ილია ჭავჭავაძემ თავისი ძალ-ღონე სწორედ, ანტონ პირველის სკოლის წინააღმდეგ, ერთიანი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრების ეროვნული მნიშვნელობის საქმეს შეალია. მას ცოტა ბრძოლა როდი დასჭირდა, რომ გაეწმინდა ქართული ენა ანტონის სკოლის მიერ დამძიმებული არქაული სიტყვებისა და გამოთქმებისაგან, ხელოვნური კონსტრუქციებისა და საძნელო ორთოგრაფიისაგან და ახალი ქართული სალიტერატურო ენა ბუნებრივ ხალხურ მეტყველებაზე დაეფუძნებინა[3].

ილიასთვის ცხადია, რომ ენის განვითარების ბუნებრივი კანონ-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 019.

[2] ი. გიგინეიშვილი, ახალი სალიტერატურო ქართული ენა და ვაჟა-ფშაველა, სახალხო განათლება, 1951, № 14.

[3] ამ ბრძოლის შესახებ იხ.: ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, ილიას კრებული, 1939; არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენიმკის მოამბე, 1937, II,; მისივე: ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის.

ზომიერება ცოცხალ მეტყველებაში, ხალხის ენაშია მოცემული, რომ წიგნის ენას ის ასაზრდოებს, რის გამოც ხალხურობა სალიტერატურო ენის არსებობისა და განვითარების ფუძემდებელი პრინციპია, ამიტომ მოითხოვს იგი, რომ ყველა საგანზე ერთნაირად სადა, ხალხური ენით იწერებოდეს. ეს მოთხოვნა სალიტერატურო ენად ერთიანი საერთო-სახალხო ენის ქცევას ვარაუდობდა[1].

ამ ახალი, ნამდვილად სახალხო სალიტერატურო ენითაა შექმნილი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებნი: „მგზავრის წერილები", „გლახის ნაამბობი", „ქაცია-ადამიანი?!", „ოთარაანთ ქვრივი", სადაც ანტონ პირველის გასაგებად ძნელ, სასაუბრო ენასთან დაშორებულ ენას ილიამ დაუპირისპირა სადა და ძარღვიანი, მდიდარი და დახვეწილი ხალხური ქართული ენა და ამ ენით დიდმა მხატვარმა შექმნა მარად უკვდავი სახეები.

ილიამ იცის, რომ „სიტყვა თესლია, ხოლო ხალხი — ნიადაგი, რომ თამამად და პატიოსნად ხალხში გატყორცნილი მართალი სიტყვა უნაყოფოდ არ რჩება", რომ რაც უფრო სადაა სიტყვა, მით უფრო მეტი აქტივობისა და შეგონების ძალა აქვს მას, ამიტომ მის ნაწერებში სიტყვები ისე მოხდენილად და შერჩევითაა მოწოდებული, ისე სიზუსტით და ფაქიზად გადმოგვცემს სათქმელის ყოველ ნიუანსსაც კი, იმდენი აზრი ახლავს, რომ მკითხველი ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად უდიდეს ინტელექტუალურ სიამოვნებასაც განიცდის და ეს განცდა მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტჯერ ვკითხულობთ მის შედევრებს.

სამწუხაროდ, ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს განვიხილოთ ილიას ენა ყოველმხრივ, შევეცდებით ამ ენის ანალიზი მხოლოდ დიალექტიზმების თვალსაზრისით მოვახდინოთ.

ცნობილია, რომ ილიას ენაში როგორც სახელთა ბრუნებისას, ისევე ზმნის უღვლილებისას და სიტყვათა წყობისას თანამედროვე სალიტერატურო ენის მოქმედი ნორმებია დაცული. მაგრამ ამ ნორმებიდან გადახვევები მკრთალად თუ მაინც იგრძნობა და ან ძველი ქართულის კუთვნილებაა ან აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტური სინამდვილიდანაა შემოჭრილი, ეს არც უნდა გვეუცხოოს.

---

[1] ი. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952, გვ. 506.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომლის ფუძემდებლად ილია ჭავჭავაძე ითვლება აკაკი წერეთელთან ერთად, ქართლ-კახეთის ცოცხალი მეტყველების საფუძველზე გადამუშავებული ძველი ქართულის პროდუქტია. ბუნებრივია, თუ სალიტერატურო მეტყველების ტრადიციებზე აღზრდილსა და იმ კუთხეთა შვილს, რომელთა ტერიტორიული დიალექტები საფუძვლად დაედება ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, ამ ენის უფლების აღდგენის პროცესში, ერთიან სალიტერატურო ნორმათა არარსებობის პირობებში, თავის ქმნილებათა ენაში აღმოჩენოდა როგორც ძველი ქართულის, ისე ქართლურ-კახური წარმოშობის მონაცემები. ამათგან ზოგიერთნი ბოლომდე დიალექტიზმებად დარჩნენ.

ეს ნარკვევი სწორედ ილიას ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ ინვენტარში წარმოჩენილ ქართლურ-კახური წარმოშობის დიალექტიზმებს შეეხება.

ფონეტიკა

ქართლურ-კახურის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენები მწერლის თხრობაშიც და პერსონაჟთა მეტყველებაშიც მხოლოდ აქა-იქ გამოჟონილა.

1. ასიმილაციის რამდენიმე მაგალითის დასახელება შეიძლება [1]:

ღ → ხ: მიახწევთ იქამდინ, სადამდინაც მიახწევენ ხოლმე სხვანი (ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი, 433).

ა → ე: კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწვეოდა, ასე რომ არავის გამეცლევინა (ოთ. ქვრ., 311).

პერსონაჟთა მეტყველებაში:

ეგ რები ჩაგიდენია?... (გლ. ნაამბ., 96).

რისთვის მეეთრიე აქ?... (უღელტეხილი, 445).

2. მეტათეზისისა და ასიმილაციის შეერთებული მოქმედების შედეგადაა მიღებული „ბღარტი", „ბღერტა" [2], რომელთაც ჩვეულებრივ. ავტორის მეტყველებაშიაც ვხვდებით:

თავისი უხვი კალთა დაუბლერტია (დაუბერტყია — დაუბყერტია — დაუბლერტია). გლ. ნაამბ., 33.

---

[1] ვსარგებლობთ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულით, ტ. II. 1950.

[2] არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 71.

ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებლერტა (კაც.-ადამიანი?!, 220).

ერთი-ორი ღონივრად შეჰბლერტა (ნიკ. გოსტაშაბიშვილი, 247).

დიალოგში: ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის (ოთ. ქერ., 585).

მეტათეზისი და ასიმილაციაა ამ მაგალითშიც:

დიალოგში: მამის მგზავს კაცს გავცემ (დიამბეგობა, 419).

ჟ-სა და ნ-ს მეტათეზისის გზით მიღებულია: „დაგვინიჟია“ [1], „დაუნიჟნია“, ოღონდ ამ უკანასკნელ მაგალითში ნ-ც განვითარებულია. ორივეჯერვე ეს სიტყვა დიალოგშია ნახმარი:

იმას კი დაუნიჟნია, ცოლი რად უნდაო (მაჭანკალი, 367).

დაგვინიჟნია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამებრძოლი არა ჰყავსო (მარგალიტები ლექში, 455).

ვ. ბრძ კომპლექსში რ უპირატესად დაკარგულია [2]:

მართალი ბძანდები (გლ. ნაამბ., 36),... მე მომიბრუნდა და მიბძანა (იქვე, 41),... თითონაც გამობძანდა (იქვე, 48),... დედოფალი შებძანებულა (კაცია-ადამიანი?!, 140).

რ დაკარგულია ამ მაგალითშიც:

ამათში არც ბინა აყო აოსად, არც საზდო (მარგალიტი ლექში, 429).

დაკარგულია ნ-ც პერსონაჟთა მეტყველებისას [3]:

საყდარში მიმაყვაინოს ამდენი ხალხი (მაჭანკ., 397),... ოჯახში არ შეგატაინებთ (იქვე, 399),... ქალი საყდარში მივაყვაინეთ (იქვე, 400).

იშვიათად, მ-ც დაკარგულია:

დიალოგ.: ეს რო მკოდნოდა..., გულში ნაღველას ჩავიწურავდი (გლ. ნაამბ., 40).

დიალოგ.: ღვდელმა მოგნათლა (მარგალიტი ლექში, 429).

სიტყვა „ტრედი“ ხშირად გვხვდება მ-ს გარეშე:

---

[1] ელ. აფციაური, კახური დიალექტიზმები ილია ჭავჭავაძის ენაში. თეზისები, საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეცნიერული კონფერენცია, 1954, თელავი, გვ. 28.

[2] იხ. არნ. ჩიქობავა. გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. ალილი, გვ. 63; ვ. თოფურია, ქართული, ალილი, გვ. 133; ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV—XVIII ს.ს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, გვ. 251; გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართული, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, გვ. 321.

[3] იხ. ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართული, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, გვ. 279.

ტრედის-ფრად რომ ინათებდა (გლ. ნაამბ., 33),... მესმის ტრედივით უგუნური ტიტინი (ნიკ. გოსტ., 243).

ძველ სალიტერატურო ქართულში ამ სიტყვას **მ** არ ჰქონია. ძველი ქართულის ვითარება შემორჩა კახურსა და ქართლურს[1]. ილიასთანაც კილოური წარმოშობისა უნდა იყოს ამ სიტყვის **მ**-ს გარეშე ხმარება.

იკარგვის **შ**-ც პერსონაჟთა მეტყველებაში:

— **მა** რა ვქნა? — შემომბღავლა საცოდავად (გლ. ნაამბ., 93).

— **მა** რა არის, როცა უდრო-უდროა (ოთ. ქვრ., 277).

— **მა** რა არის შვილო, — უპასუხა გულშეხუთულმა ღედამ, — ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჰიდილია (იქვე).

რგ დაკარგულია, ჩვეულებრივ, სიტყვაში „კარგი“:

კაი სანადირო ადგილები იყო (გლ. ნაამბ., 33),... ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი (იქვე, 54)...

დიალოგის დროს იშვიათი არ არის სიტყვაში მთელი მარცვლის დაკარგვაც[2]:

აქ მო, შვილო, გეყოფა ხუმრობა (გლ. ნაამბ. 98),... აი, აქ მო, ჩემთან ახლო (ოთ. ქვრ., 297)...

მე პასუხი არ მივე (გლ. ნაამბ. 36),... ხმა გამე, ხმა (იქვე, 84)... ქა! აღარ ათავებს, თუ ღმერთი უწყრება (მაჭანკალი, 365)...

ამ შემთხვევებში ილია გმირთა მეტყველებას დიალექტურ ელფერს უნარჩუნებს, ადგილობრივ კოლორიტს იცავს.

4. გვხვდება **ბგერათა ჩართვაც**:

ქალი ხომ უფრო საბოლოვო არ არის დედ-მამისათვის (ოთ. ქვრ. 287).

ავტ.: უნდოდა მიწა ჰანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო (იქვე, 289).

5. **ბგერათა სუბსტიტუციას** ადგილი აქვს როგორც დიალოგში, ისე ავტორის თხრობაში:

დიალ.: **ვ-ბ**: ბზითები აქვსო (მაჭანკალი, 387).

ვ-მ: **მ**ითომ რატომა (გლ. ნაამბ., 58),... **მ**ითამ მოგახსენებენ (კაცია-ადამიანი?! 159)...

ვ-ნ: ორი თვე არ იქნება ჯერ კიდენ[3] (გლ. ნაამბ., 44).

---

[1] არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70; ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 133.

[2] ო. კახაძე. ატენისა და წდესის ხეობის ქართლური, გვ. 279.

[3] იხ. გ. იმნაიშვილი. არაგვის ხეობის ქართლური, გვ. 315.

ავტორთან: თუ ყოფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდინ ვინ მიაღწევინებდა (კაცია-ადამიანი, 143).

დიალ.: **ე-ო**: მაგდონს არას ვინაღვლი (გლ. ნაამბ., 98).

მოხშირებულად გვხვდება როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში **ვა → ო**:

გადმოეშო ბუჩქნარზედ (გლ. ნაამბ., 32),... არ მინდოდა, ჩემი ამბავი ვისთვისმე მეთქო (იქვე, 38),... ის კი სჯობს, რომ არც მწვადი დასწო და არც შამფური (იქვე, 56),... ვერა ვბედავდი, ცუდად არ ჩამომართოს-მეთქი (იქვე, 93),... გლეხკაცი ფეხზედ დაისო (კაცია-ადამიანი?!, 139),... კნეინამ გამოართო (იქვე, 144),... ბრძნად ხომ არ დავსომ (იქვე, 174),... მოსემ ცხენზედ შესო და გამოისტუმრა დავითი (იქვე, 217),.. დარეჯანმა ჩამოართო ჭიქა (იქვე)...

სცოხნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა (სარჩობელაზედ, 224),... ცოდოს ხსენებაზედ დედას ელდა ეცა (ოთ. ქვრ., 277),... ცოდო ვარ, შვილო, ცოდო (იქვე, 326)...

უკაცრაოდ, არ ვიცოდი (მაჭანკალი, 371).

მეტწილად იხმარება „უკაცრავოდ“ და დიალოგებში გვხვდება მხოლოდ.

ეა → ია: გმირთა მეტყველებაშიც და ავტორის თხრობაშიც: ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე (კაცია-ადამიანი?!, 133),... კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა (ოთ. ქვრ., 256).... იახლა ამგვარს უხამს ბატონსა (ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრ., გვ.)[1].

მორფოლოგია

ხახელი. ქართლურ-კახურის თავისებურებათა თვალსაზრისით აღსანიშნავია:

1. მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში ემფატიკური ხმოვნის ხმარება:[2]

დედაკაცი იყო და დედაბოძად კი შეექმნა ჩვენს ქვეყანასა (გლ. ნაამბ. 62).

საქმის დანახვა სჯობს ცრემლებით თვალების აბმასა (იქვე, 66).

შერცხვა ცოტა ლუარსაბსა (კაცია-ადამიანი?!, 164).

---

[1] იხ. ილიას კრებული, 1937.

[2] იხ. ალ. ღლონტი. ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, 1948, გვ. XIV.

ეხლა დაუდგა თვალი დავითსა (იქვე, 201).

ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრეველად (მგზ. წერ., 20).

მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა (იქვე, 12).

მიპასუხა იმან სნეულის ხმითა (გლ. ნაამბ., 35).

იმას კი არა შეედრება რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ქალამნადა (იქვე, 75).

ჩანს, ილიასთან ემფატიკური ხმოვნის ხმარების მხრივ ძველი ქართულისაგან განსხვავებული ვითარება გვაქვს. აქ ისევე, როგორც ქართლურ-კახურში, ჩვეულებრივ, ემფატიკური ხმოვანი წინადადების ბოლოს მოქცეულ სახელთან იხმარება, რითაც იგი წინადადების რკალის ერთგვარ შემკვრელად გვევლინება[1].

ამგვარადვეა ნახმარი ბოლოხმოვნიან სახელთა მოთხრობითში, როცა იგი წინადადების ბოლოშია, -მა და არა მ:

გულში გაიღვიძა კიდევ ძველებურმა საქმემა (გლ. ნაამბ., 39), ჩემსავით ობოლი იმედი წამართო ქამთა ვითარებამა (იქვე),... გავიგე შენი ჭირიმე, — უპასუხა დათომა (კაცია-ადამიანი?!, 158),... უთხრა დავითს მოსემა (იქვე, 183).

წინადადების შემკვრელად გვევლინება ემფატიკური ა ასეთ შემთხვევებშიც:

მე გამაოცა ამანა (გლ. ნაამბ., 35).

ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები აზისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა (იქვე, 37).

ხალხი — დიდი თუ პატარა, — ერთი დაქანებული საურმე იყო მტკვრისკენა, იქით მირბოდა (იქვე, 69).

2. გაკომპოზიტებულ სახელთა პირველი კომპონენტი, თუ ნათესაობითში დაყენებული ხმოვანფუძიანი სახელია, წარმოდგენილია თანხმოვანი ელემენტის გარეშე[2]:

მამი-ჩემისაც ეხათრებოდა (გლ. ნაამბ., 41),... დედი-შენის სურვილიც არის (კაცია-ადამიანი?!, 171).

ასეთივე ვითარება გვაქვს სხვა შემთხვევაშიც:

ჩემი თავი ერთ დროს წმინდი-გიორგის ჯვრად იყო დაფასებული (გლ. ნაამბ., 39)...

---

[1] იხ. ი. გიგინეიშვილი, ახალი სალიტერატურო ქართული ენა და ვაჟა-ფშაველა, სახალხო განათლება, 1951, § 14.

[2] იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 134, გვ. 94.

3. ა) წოდებითში ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელებს აქვთ ვ[1] პერსონალთა მეტყველებაში.

ზაქარიავ, არა გრცხვენიან, კაცო (გლ. ნაამბ., 53),... პეპიავ, კაცო, შენა ხარ (იქვე, 106).... თათიავ, ჭა, რა გატირებს (უღელტეხილი, 411),... ჩემო თევდორევ, ეზო ლამაზად დააგვევინე (იქვე)...

ბ) ნათესაობის აღმნიშვნელი სახელები მიმართვისას ქართლურ-კახურისებურადაა ნახმარი:

მამი. ღვთის გულისათვის დამეხსენ (გლ. ნაამბ., 97)... ეჰ, დედი. ზოგჯერ ძილიც არ არის (ოთ. ქვრ., 271)...

4. ჩვენებითი ნაცვალსახელები მეორე მრავლობითის ფორმითაცაა ნახმარი:

დიალოგ.: ეგეები იმანაც იცოდა (ოთ. ქვრ. 270).
ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს (იქვე, 316).
ამაებსაც ცოდნა უნდა (იქვე, 291).

ავტორთან: ამაების არა იცოდა-რა (კაცია-ადამიანი?!, 199).

-ებ-სუფიქსიანი გვხვდება „რა“ ნაცვალსახელიც:

დიალოგ.: ეგ რეები ჩაგიდენია (გლ. ნაამბ., 96).

ავტორთან: დახეთ, რაები სცოდნია (კაცია-ადამიანი?!, 147).

იშვიათად დიალოგში მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი მხოლოდ ხმოვნური ელემენტით არის წარმოდგენილი:

აუშვი ე კაბეჩები, ცოდონი არიან (ოთ. ქვრ., 266).

5. თანდებულთა ნაწილი ქართლურ-კახურისებურადაა ნახმარი.

ა) თანამედროვე სალიტერატურო ქართულის -ზე თანდებული ან ზედა-ს სახით გვხვდება ან ა-ს მოკვეცით[2]. -ზედა-თანდებულიანი სახელი უპირატესად წინადადების ბოლოში გვხვდება:

მე ალუბური ამივარდა სახეზედა (გლ. ნაამბ. 41).

მარტოდ-მარტო დავრჩი ამ ტიალ ქვეყანაზედა (იქვე, 42).

დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა (ოთ. ქვრ., 26.).

გიორგი გვერდზედ დაეწვინათ (იქვე, 305).

---

[1] იხ. ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 139; გ. იმნაიშვილი, არაგვის ზეობის ქართლური, გვ. 139.

[2] იხ. გ. კარტოზია, კახური კილოს თავისებურებანი, თუსისები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია, თელავი, 1954, გვ. 27; ო. კაბაძე, ატენისა და წდესის ზეობის ქართლური, 223.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბ) „შემდეგ“ ზმნიზედის ნიშვნელობითაა ნახმარი ციცებითთან „უკან“ ზმნიზედა. გვხვდება უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში.

სადილად შინ მოვიდოდა, სადილს-უკან წავიდოდა (გლ. ნაამბ., 42),... რა ილაპარაკეს მას-უკან. არ ვიცი (იქვე, 89),... მასუკან თუნდ ექვსი წელიწადი იცოცხლა (კაცია-ადამიანი?!, გვ. 168).

გ) როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში ჩვეულებრივია **-დამ** თანდებულის ხმარება:

უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა (მგზ. წერ., გვ. 30),... დავითი ცხენიდამ ჩამოხტა (კაცია-ადამიანი?!, გვ. 188),... ეს ბაღის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდამ გადმოეღო (ოთ. ქვრ., 296),... სახლიდამ ეკლესიამდე და ეკლესიიდამ სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს (იქვე. 311)...

დ) **-მდის** თანდებულის მაგივრად, არც თუ იშვიათად, გამოყენებულია მისი პარალელური ვარიანტი **-მდინ** — როგორც დიალოგში. ისე ავტორის თხრობაში:

დამივდო ავადმყოფობამ და ამ დღემდინ მომიყვანა (გლ. ნაამბ., გვ. 37).

ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარებამდინ მივიტან (იქვე).

ავტ.: დილიდამ შუაღამემდინ ფეხზე იდგა (კაცია-ადამიანი?!, 132).

გვხვდება **-მდის-ინ** თანდებულიც:

შესყიდულმა ტყვიამ აქამდისინ ვერ მიპოვა (გლ. ნაამბ., გვ. 39).

6. **-ება** სუფიქსის ნაცვლად **-ობა** სუფიქსს ილია თვითონაც იყენებს და გმირთა მეტყველებაშიც ხმარობს[1]:

ჩემის ერთგულობის გამო ბევრს შეეძულდი (გლ. ნაამბ., 80).

წუთისოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითა სცოდნია უბედურობის მეტი (იქვე. 85).

იმისი მადლიანი თქმულობა მაგონდებოდა (იქვე, 113).

დავრჩით ამ ქვეყნიერობაზედ მარტო ორნი და-ძმანი (სარჩ., 243).

ავტორთან: მხიარულობის ნიშნად დააკრაჭუნა კბილები (კაცია-ადამიანი?!, 137).

[1] იხ. გ. თოფურია, ქართლური, 136; პ. ხუბუტია, მიელინება. თელავის რაიონი, ენიკის მოამბე, II, 1939, გვ. 253.

ამაყი შეხედულობა მიიღო (იქვე, 163).

შენიშვნა. 1. მეორე პირის სუბიექტისა და მესამე პირის ობიექტის ნიშნად წინაენისმიერ თანხმოვნებთან **ს**-ს პარალელურად **ჰ**-ც იხმარება:

ძმები ხართ და ჰჩხუბობთ კი (გლ. ნაამბ., 53),... ნუ ჰცრუობ (იქვე, 57),... დათიკო ისე შეჰჩვევია შენს შვილს, რომ მოშორება ეძნელება (იქვე, 42),... შეჰჭყივლა დარეჯანმა (კაც.-ადამიანი?!, 205)...

ჰ- **ს**-ს გვერდით წინაენისმიერ თანხმოვნებთან ისეთ შემთხვევებშიც გვხვდება, სადაც, საერთოდ, პრეფიქსი საჭირო არ არის: **ჰ**ტიროდა (ოთ. ქვრ., 265), **ჰ**ტრიალებს (იქვე, 270), **ჰ**დიდდება (იქვე, 276), **ჰ**თრთოდა (იქვე, 306), შე**ჰ**დგა (იქვე), გა**ჰ**თავდა (იქვე) და სხვ.

ცნობილია, რომ მეცხრე საუკუნიდან სალიტერატურო ქართულ ენაში წინაენისმიერ თანხმოვნებთან პრეფიქსად **ჰ**აეს ბგერინაცვალი **ხ**ანი იხმარება.

კითხვა ისმის, რით უნდა აიხსნას ილიასთან ამ თანხმოვნებთანაც **ჰ**აეს ხმარება? იგი, ალბათ, ქართლურიდან შემონატანად და მაშასადამე, დიალექტიზმად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ძველი ქართულის თვალსაზრისით საყურადღებო არქაიზმია და აღმოსაველური ბარის კილოების, კერძოდ ქართლურის, ჰაემეტ კილოსთან გენეტური ნათესაობის დასადასტურებლად შეიძლება გამოდგეს [1].

საგულისხმოა, რომ ილიას ხელნაწერებში [2] თითქმის ყველგან, ნაბეჭდი ტექსტის **ს**-ს ადგილას, ნახმარია **ჰს** კომპლექსი. ნახმარია იქაც კი, სადაც პრეფიქსი მოსალოდნელი არ არის:

ნაბეჭდში	ხელნაწერში:
ჩა**ს**წყვეტია (მგზ. წერ., 9)	ჩა**ჰს**წყვეტია (მგზ. წერ. ფ. 1)
ჩა**ს**წყდომია (იქვე, 11)	ჩა**ჰს**წყდომია (იქვე, 2)
შე**ხ**წყვიტა (იქვე, 12)	შე**ჰს**წყვიტა (იქვე, 2)
შე**ხ**ცვალა (იქვე, 13)	შე**ჰს**ცვალა (იქვე, 3)
სჯობიან (იქვე, 15)	**ჰს**ჯობიან (იქვე, 4)
წარმოს**თ**ქვა (იქვე, 17)	წარმოჰს**თ**ქვა (6)

[1] იხ. ვ. თოფურია, ქართული, გვ. 148.

[2] ჭუთაისის ისტორიის მუზეუმში ინახება „მგზავრის წერილებისა" და „გლახის ნაამბობის" ნაკლული ხელნაწერები და ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა შეგვედარებინა იგი ნაბეჭდი ტექსტისათვის.

ხჭირდა (გლ. ნაამბ., 81)	**ჰს**ჭირდა (გლ. ნაამბ., ფ. 1)
ხთხოვა (იქვე, 82)	**ჰს**თხოვა (იქვე, 2)
მი**ხ**ცემოდა (იქვე)	მი**ჰს**ცემოდა (იქვე)
ხცოდნია (იქვე, 85, 95)	**ჰს**ცოდნია (იქვე, 3)
გა**ხ**ცემ (იქვე, 88)	გა**ჰს**ცემ (იქვე)
ჩა**ხ**ძვრებოდეს (იქვე, 90)	ჩა**ჰს**ძვრებოდეს (იქვე, 4)
მი**ხ**ცემია (იქვე, 95)	მი**ჰს**ცემია (იქვე, 6)
მი**ხ**ჯდომოდა იქვე, 97)	მი**ჰს**ჯდომოდა (იქვე)
მი**ხ**წვდა (გლ. ნაამბ., 98)	მი**ჰს**წვდა (გლ. ნაამბ., 7)
შემა**ხ**წრებს (იქვე)	შემა**ჰს**წრებს (იქვე)
ხტირი (იქვე, 106)	**ჰს**ტარი (იქვე, 10)
და**ხ**ცალებია (იქვე, 107)	და**ჰს**ცალებია (იქვე)
და**ხ**ჯუელეს (იქვე)	და**ჰს**ჯუელეს (იქვე)
ხჩანს (იქვე, 117)	**ჰს**ჩანს (იქვე, 14)
მო**ხ**წყდება (იქვე, 119)	მო**ჰს**წყდება (იქვე, 15)
ხწვეია (იქვე, 120)	**ჰს**წვეია (იქვე)
და**ა**ტუქსა (იქვე)	და**ჰს**ტუქსა (იქვე)
გა**ხ**ცა (იქვე, 222)	გა**ჰს**ცა (იქვე)

როგორც ცნობილია, **ჰს** პრეფიქსს ეხვდებით IX—XI ს.ს. ძეგლებში წინაენისმიერი თანხმოვნების წინ. ეს იყო მაედან ხანზე გარდამავალი საფეხური. „როდესაც — ა. შანიძის თქმით, — ჰაეს მთლად არ უნდა ჰქონოდა დაკარგული თავისი ბგერითი სახე. მაგრამ იმდენად უნდა ყოფილიყო გამოთქმის მხრივ დახლოებული სანთან, რომ ახალი ბგერის გამოსახატავად ეთი საგანგებო ნიშნის მაგივრად ორი უხმარიათ“ [1].

ჰ-ს პარალელურად **ჰს** კომპლექსი წინაენისმიერ თანხმოვნებთან ქართულ კილოთაგან დადასტურებულია ქართლურში [2] და მთიულურში [3]. იგი გვხვდება XV—XVIII ს.ს. ქახურ ისტორიულ საბუთებშიც [4]. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ილიას ენაშიც **ჰს** პრეფიქსი ქართლურის კუთვნილებაა.

---

[1] ა. შანიძე, ჰაუნეტობა ადიშის საბარჯაში, ტფ. უნივერს. მოამბე, ტ. II, გვ. 420.

[2] ვ. თოფურია, ქართლური, 149.

[3] არნ. ჩიქობავა, მთიულეთის თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, II, გვ. 44.

[4] ა. მარტიროსოვი, დიალექტისმები XV—XVIII ს.ს. ქახურ ისტორიულ საბუთებში, 263.

2. ილიას ნაწერებში თემის ნიშნების ხმარებისას აღმოსავლური ბარის კილოების დამახასიათებელია შემდეგი მოვლენები:

ა) -ავ სუფიქსის ნაცვლად აქა-იქ იხმარება -ამ სუფიქსი:

ავტ.: გული დააჯერა, რომ ლუარსაბისათვის ეშმაკს ძილში თავში ჩაუკრამს (კაცია-ადამიანი?!. 205).

დიალ.: არც კი სოლომონ ბრძენი ბძანდები, თუ მკითხამ (მაჩანკალი, 378).

ერთბაშად დაჰკრამენ კვერსა (დიამბეგობა, 411).

იმაში ნიშნამენ (ცხოვრ. გამონ. და გამონაფიქრი. 432).

ხელნაწერთა ჩვენება მოწმობს, რომ ილიას უფრო ხშირად გაეპარებოდა -ავ სუფიქსის ნაცვლად -ამ სუფიქსი. მაგალითად:

ნაბეჭდშია: მინახავდა (გლ. ნაამბ., 61). დამღუპავ (იქვე, 84), დამჭროლავდა იქვე, 104).

ხელნაწერშია: მინახამდა (გლ. ნაამბ. ფ. 1). დამღუპამ (იქვე. 2), დამჭროლამდა (იქვე. 9).

ხელნაწერში -ამ სხვა შემთხვევაშიც შეგვხვდა: არ წარღვნამ (გლ. ნაამბ.. 9). ნაბეჭდში შესატყვის ადგილას იკითხება: არ წარღვნი (გლ. ნაამბ.. 103).

ბ) -ავ სუფიქსი გვხვდება იშვიათად ხმოვანმონაცვლე ზმნებთანაც:

გასისხლიანებულ ხმალსა წმენდავდა (ნიკ. გოსტაშ., 246).

მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ (ოთ. ქვრ., 314).

გ) -ავ-სუფიქსიანი ზმნები აწმყოს წყებაში უთემისნიშნოდაც იხმარება:

ავტ.: გული მიტოკს (მგზ. წერ., 22).

გული თოფის წამალსავით მიფეთქდა (გლ. ნაამბ., 58).

ავტ.: თავის ხელით ჰბარავს, სთოხნის, მარგლის, სთესს[1] და ჰკრეფს ხოლმე (ოთ. ქვრ., 256).

დ) -ებ სუფიქსის ადგილას ხშირად ნახმარია -ობ სუფიქსი:

ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამდვილ გაზაფხულამდე (გლ. ნაამბ.. 40).

მაშინაც მოესწრობით მაგის გადაკითხვასა (იქვე. 63).

თავის დღეში მუცელსაც არ გაუძღობს (იქვე. 77).

ავვულობას ნუ მწამობ (იქვე. 90).

---

[1] ე. აფციაური, კახური დიალექტიზმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თეხისები, ჩვ. 28.

ავტორთან: ჯერ აპირობდა ქალაქიდამ დაძვრას (სარჩ., 229).
იმ საღამოს გასვლას აპირობდნენ (იქვე, 230).
გული ფეხს უსწრობდა (იქვე, 237).

-ობ სუფიქსი გამოყენებულია სხვა შემთხვევაშიაც:

ავტორთან: ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო (მგზავრ. წერ. 22).

3. აწმყოს **-ევ** სუფიქსის მონაცვლე **-ივ** წყვეტილში გაუმარტივებელია:

წამოიწივა პატივსაცემლად (გლ. ნაამბ., 35).
დათიკოსთან სიკვდილი მერჩივნა (იქვე, 41).
წაერთმივა საწყლისათვის (იქვე, 42).
დედაკაცს ტირილი მოერივა (იქვე, 65).
ავტ.: შვილმა გაიქნივ-გამოიქნივა თავი (სარჩ., 238).
მიიქნივა იმისკენ თავისი ლამაზი თავი (მარგალიტი ლეჩში, 455).

4. **ი** და **ე** თავსართით ნაწარმოებ ვნებითებს წყვეტილის წყებაში, მრავლობით რიცხვში, ზოგჯერ შენახული აქვთ **-ენ** სუფიქსი:

დავკოცნეთ ერთმანეთი და გაგიყარენით (გლ. ნაამბ., 73).
ცოტა წამოვიზარდენით (სარჩ., 238).
ბღარტებსავით გარს ვეხვიენით (ნიკ. გოსტაშ., 242).
ვიცით და შენ მოგერიდენით (ოთ. ქვრ., 284).
ავტორთან: თუ თქვენ დაიბადენით მინდორში (ცხოვრ. გამონ. და გამონ., 435).
ფრთხილად უნდა ვიყვნეთ (კაცია-ადამიანი?!, 126).
ასე მგონია, სათათრეთში იყვნეთ (სარჩ., 224).

ინ-ენიანი ვნებითის ასეთი წარმოება ძველ ქართულში გვქონდა. დღეს იგი აღმოსავლურ კილოებსლა შემორჩა და მათი თავისებურებაა. ილიას ენასაც ამგვარი ფორმები ალბათ აღმოსავლურმა ბარის კილოებმა შესძინა[1].

5. თურმეობით პირველში **-ია** ტიპის გვერდით **ნ**-ია წარმოებაც გამოიყენება:

დიალ.: საწყალ გოგოს თავის თითებით მოგროვილის ფულით ერთი ჩითმერდინი უყიდნია (კაცია-ადამიანი?!, 145).

დიალ.: შენ როგორღაც გულში ჯერ არ გადაგიწყვეტნია (იქვე, 175).

[1] უყურადღებოდ ეტოვებთ ენიან ვნებითებში კაუზატივობის გამოხატვას, რაც, მართალია, აღმოსავლური ბარის კილოებიდან არის შემოტანილი ილიას ენაში, მაგრამ დიალექტიზმად არ ჩაითვლება.

-ია დაბოლოება გვხვდება -ავ-სუფიქსიან თურმეობით პირველშიაც:

დიალ.: პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია (გლ. ნაამბ., 50).

დიალ.: ქვეყანაც დამილოცნია (იქვე, 112).

ნ. ა) -ნ სუფიქსი გვხვდება თურმეობით მეორეშიაც:

მინდოდა მეკითხნა, ბაგრამ ვერ გავბედე (გლ. ნაამბ. 37).

ყველას ხატსავით უნდა ელოცნა (კაცია-ადამიანი?!, 170).

ავტორთან: უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა (იქვე, 203).

ავტორთან: წისქვილის ქვები უნდა ეყიდნა (სარჩ., 229).

ავტორთან: სახლში რომ შესულიყავით და... კედლისათვის შეგეხედნათ, ჰნახაედით ბუდით ჩამოკიდებულს კარგად მოზრდილ თოფს (ოთ. ქვრ., 259).

ბ) -ოდ-სუფიქსიან ზმნებთან თითო-ოროლა შემთხვევაში მეშველი ზმნა „იყო" გვხვდება:

ავტ.: დაატანდა ლუარსაბი და ამოიოხრებდა, მერე ისე, რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა (კაცია-ადამიანი?!, 141).

დიალ.: ვაიმე მამა მე მომკვდომიყო როზგ-ქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად (ეპ. ყაჩ. ცხოვრ., 161).

გ) -ოდ-სუფიქსიანი თურმეობითი მეორის ნაცვლად ნახმარია ასეთი წარმოებაც:

ავტ.: დიდი საქმე იყო. პატრონამდინ ისე მიგეღწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის სურნელება თან არ აგეყოლიათ (კაცია-ადამიანი?!, 126).

დ) თურმეობით მეორეში ზოგჯერ მოსალოდნელი -ებ სუფიქსი არ გვხვდება[1]:

ავტორთან: ჯგუფად მომიგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერ პატარძალსავით მორთულ ქვეყანაში (მგზ. წერ., 11).

ავტ.: უნდა წამოვმდგარიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა (გლ. ნაამბ., 36).

ავტ.: შეხედავდა თამარს, რომელსაც დაეკვირვა თვალი ხატებისათვისა (ულელტეხილი, 440).

---

[1] ასეთი ვითარება დამახასიათებელია მოხეურისათვის, იხ. ივ. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXVს. 1949. გვ. 95.

თურმეობით მეორეში არ არის წარმოდგენილი -ობ სუფიქსიც:

ავტ.: მარტო სახე თითქოს უფრო ჩამოსჭკნოდა (ოთ. ქვრ., 306).

7. თურმეობითი მეორის ნაცვლად კავშირებითი მესამეა ნახმარი:

ავტ.: ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს (მგზ. წერ., 23).

ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოებულიყოს (გლ. ნაამბ., 39).

ღმერთო, მომაგონე, სად უნდა მენახოს (სარჩ., 231).

ამგვარი ვითარება დასტურდება რაჭულსა და ზემოიმერულში. სწორედ ზემოიმერულიდანაა შემოტანილი თურმეობითი მეორის ადგილას კავშირებითი მესამის ხმარება აკაკი წერეთლის ენაში[1].

8. აწმყოში ინვერსიულ ზმნებთან, როცა გრამატიკული სუბიექტი მხოლობითი რიცხვის მესამე პირშია, გვხვდება ნ-არიანი ფორმები[2]:

განა რომ მრცხვენიან (გლ. ნაამბ., 53).

მე სიარული აღარ შემიძლიან (იქვე, 108).

მიხარიან, თქვენმა მზემ, რომ ქალი მოგეწონათ (კაცია-ადამიანი?!, 189).

წოლა შეგიძლიანთ (ცხოვრ. გამონ. და გამონ., 434).

9. ქართლურ-კახურის თავისებურება მჟღავნდება მო- და შე-ზმნისწინთა ხმარებისას:

ა) მო- ზმნისწინი ზოგჯერ ავტორის თხრობაშიც კი მა-ს სახეს იღებს:

რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის ტკივილი (მგზ. წერ., 12).

თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა (კაცია-ადამიანი?!, 133).

კმაყოფილება კაცის მამაკვდინებელი სენია (იქვე, 192).

მამიგონე ჰორი (იქვე, 205).

ბ) -შე- ზმნისწინი შა-ს სახითაც შეგვხვდა პერსონაჟთა მეტყველებაში:

ღმერთმა ნუ შამამსწროს მაგ დღეს (გლ. ნაამბ., 72).

სიტყვა შაეკრა და ენა დაება (იქვე, 92).

---

[1] იხ. გ. თოფურია, აკაკი და ქართული სალიტერატურო ენა, ლიტერატურული ძიებანი, II, 1945, გვ. 147.

[2] იხ. ე. აფციაური, კახური დიალექტიზმები ილია ჭავჭავაძის ენაში, თეზისები, გვ. 28.

კაცი თურმე კამეჩს მასჯაბდა (მაჯანკ., 309).

ზმნიზედა. 1. თავისებურადაა ნახმარი ზმნიზედა **ძლივს**:

დღე-დღეური ძლივა[1] სცხოვრობს (გლ. ნაამბ., 47).

2. **ასე** ზმნიზედა ნახმარია **ესე**-ს სახით:

ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა (კაცია-ადამიანი?!, 132).

მოსვმა და კნეინამ ესე დააწყეს საქმე (იქვე, 181).

ლუარსაბმა ესე დაიწერა ჯვარი (იქვე, 192).

სინტაქსი

1. ზოგ შემთხვევაში წსაზღვრელი მრავლობით რიცხვში დგას, თუ ის განსაზღვრულია ისეთი სახელით, რომელიც ლექსიკურად ერთზე მეტს აღნიშნავს:

ავტ.: არის მრავალი ქვეყნები (მგზ. წერ., 12).

რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს (იქვე, 17).

ზედ ისხდნენ შვიდიოდე პატარა ბიჭები (გლ. ნაამბ., 60).

ავტ.: ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენიათ გიორგიზედ (ოთ. ქერ., 262).

2. იშვიათად ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმებას ახორბრივი ხასიათი აქვს:

ავტ.: ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები" ეცვათ (სარჩ., 225).

ავტ.: ორი მებატონე სკამებზე სხედან (გლეხთა განთავ. პირველ-დროების სცენები. 329).

3. გარდაუვალ ზმნასთან, ავტორის მეტყველებაში, წყვეტილში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშიც შეგვხვდა[2]:

— მოლოზნობა ხომ არ გინდა, დედოვ — გაეხუმრა კიდევ პეპიამ (გლ. ნაამბ., 97).

4. თუ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მრავლობით რიცხვშია, სახელადი ნაწილიც, ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმითაა მოცემული:

---

[1] იხ. ალ. ღლონტი, ხალხური ზღაპრები და ლეგენდები, გვ. XI.

[2] იხ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 74; ვ. თოფურია, ქართული, გვ. 146; ალ. ღლონტი, ქართული ზღაპრები და ლეგენდები. XV.

ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ (გლ. ნაამბ., 32).

ის დღეები ჩემთვის ულრუბლონი იყვნენ (იქვე, 63).

ისინი ბედნიერნი იყვნენ (იქვე, 99).

ჩვენ სამნი უილაჯონი ვართ (გლ. ნაამბ., 106).

ბე და პეპია ვიყავით მარტო უბედურნი (იქვე, 111).

პირუტყვები სულ იმისგან არიან ბედნიერნი (კაცია-ადამიანი?!, 130).

5. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების დასაკავშირებლად მთავართან **მინამ** კორელატივიც იხმარება **სანამ** კავშირის ნაცვლად:[1]

მინამ საქმე ომამდინ მიდგებოდა, მე მინდოდა დათიკოსთან მომელაპარაკნა (გლ. ნაამბ., 90).

მინამ სხვა იარაღს მაიხმარებდა, შიგ მარცხენა ძუძუში დამბაჩა დავეცი (იქვე, 117).

რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თითონ საქმეს არ შეჰლევსო (ოთ. ქვრ., 263).

6. უარყოფის გაძლიერების მიზნით გამოყენებულია ორმაგი უარყოფა:

მე არაფერი აღარ მესმოდა (გლ. ნაამბ., 54).

ვერსად ვერ ჩავიგდე ისეთი ჟამი (იქვე, 116).

ავტ.: ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა (საარჩ., 225).

არავინ არ ვამოვესაჩხლა (იქვე, 239).

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ის განსხვავებანი, რომლებიც ილია ჭავჭავაძის ენის გრამატიკულ წყობაში შეინიშნება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით და კილოური წარმოშობისაა.

ილია წერს ნამდვილად ახალი ქართული ლიტერატურული ენით, მაგრამ სახელისა და ზმნის ამა თუ იმ ფორმათა ხმარებისას თუ თავისუფალი ვერ არის ქართლურ-კახური მეტყველების გავლენისაგან, თუ აღმოსავლური წარმოშობის დიალექტიზმები აქა-იქ მაინც გვხვდება მის ენაში, ეს არც არის გასაკვირი.

ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, რომლის დამკვიდრებისა და სიწმინდის დაცვისათვის დიდ მწერალს ძალ-ღონე არ დაუზოგავს, ძირითადად ქართლურ-კახური მეტყველება ასაზრდოებდა

[1] იხ. ს ტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, გვ. 113.

და, რა თქმა უნდა, სალიტერატურო ენის უზუსის განუხრელი დაცვა ამ მეტყველების წიაღში აღზრდილი მწერლისათვის, ერთიანი სალიტერატურო ნორმების არარსებობის პირობებში, ადვილი არ იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ ილიას ნაწერების მკითხველი ვერ ამჩნევს დიალექტიზმებს მის ენაში. ეს გასაგებიცაა: ღრმა აზრი, დიდი გრძნობა, ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, „თავისი ხალხისა და სამშობლოს განუზომელი სიყვარული, უკეთესი მერმისის გულწრფელი რწმენა სიტყვის დიდი ოსტატის მიერ ისეთ უკვდავ სახეებშია მოცემული, რომ მკითხველი სიტყვის ექსპრესიულ მაქსიმუმს იღებს და დიალექტიზმებიც შეუმჩნეველი რჩება.

(შემოვიდა რედაქციაში 27. IX 1954)

ა.ლ. ცულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

გ. ალავიძე

მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის

ლეჩხუმური ლექსიკის ნაწილი ჩვენ გამოქვეყნებული გვაქვს შრომებში „ლეჩხუმური ლექსიკონი“ (1938), „ლეჩხუმურის თავისებურებანი“ (1941) და „ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა“ (1951). აქ მოვათავსეთ უკანასკნელ ხანებში ჩაწერილი უცნობი მასალა.

ლექსიკონში თითოეული სიტყვა მოცემულია იმ ფორმით, რაც მას ხალხურ მეტყველებაში აქვს. ლექსიკურ ერთეულად მიჩნეულია სახელი ან სახელზმნა. სახელი მხოლოობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში დგას. გამონაკლისს შეადგენს რამდენიმე მაგალითი, რომლებიც საყურადღებოა მრავლობითი რიცხვის წარმოებით (ნ. აკიდონი, კბილანები, ტოლანები...).

საწყისი და მიმღეობა ერთ ბუდეში მოვათავსეთ. თითოეული მათგანი ცალკე ერფეულად იშვიათად გვხვდება.

ზმნის პირიანი ფორმა (მესამე პირი აწმყოს მწკრივისა) აღებულია იმ შემთხვევაში, როცა საწყისი ცოცხალ საუბარში არ ჩანს (ნ. აყვე, ილირწება, ფიოროობს, ჰიჭირაქობს...).

ლექსიკონში შედის ზმნისწინიანი ფორმები. ზმნა ყველა პრევერბს ვერ იგუებს. ხშირად სხვადასხვა პრევერბიანი ზმნა მნიშვნელობით დაშორებულია ერთმანეთისაგან (შდრ. გაფოთნა და მოფოთნა; გაწყება და მოწყება; დაჩენჩვა და მოჩენჩვა; მიტავება და შეტავება...).

ძირეულ სიტყვასთან ნაჩვენებია მისგან ნაწარმოები სიტყვა და, პირიქით, ნაწარმოებ სიტყვასთან — ძირეული (ნ. მაყურჭი, ჩამაყურჭება; მექვი, დამექვა; ფირფიცი, მოფირფიცება; ჩიმჩა, დაჩიმჩვა; წინწრაქა, გაწინწრაქება...).

ზოგჯერ არ არის შემოტანილი ძირეული სიტყვა, რადგან იგი სალაპარაკო ენაში არ იხმარება (ნ. აბობალასინება, დაყანტება, მიყინჭილება...).

სახელთან ხშირად განმარტებულია ნასახელარი ზმნა (ნ. დავინი, დავინობს; ფოხიალი, ფოხიალობს; ღარღაცი, ღარღაცობს...).

ცალკე გამოთქმები (დათვის ბუჰუნჭველა, ნაძვის ბალახი, შემხობილი თეძო...) პირველი სიტყვების მიხედვითაა ანბანზე გაწყობილი.

ერთი ბუდის სინონიმთა განმარტება მოიპოვება იმ სიტყვასთან, რომელიც საყოველთაოდ უფრო გავრცელებულია.

რთულმნიშვნელოვან სიტყვასთან გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელობა. თუ მათ შორის განსხვავება თვალსაჩინოა, თითოეულ მნიშვნელობას ცალკე ნომერი უზის, თავისი ილუსტრაცია (დოკუმენტაცია) და წყაროები ეწერება.

როცა ორი მნიშვნელობა ახლოსაა ერთმანეთთან, ორივე ერთად იწერება და წერტილ-მძიმით იყოფა. წყაროები ორივეს საერთო აქვს.

ნაჩვენებია ლექსიკური სხვადასხვაობა, რაც ლეჩხუმური კილოს ფარგლებში არსებობს: განმარტების წინ აღნიშნულია ადგილი (რომელიმე ხეობა, ზემო ან ქვემო ლეჩხუმი), სადაც მხოლოდ ესა თუ ის სიტყვა იხმარება.

მცენარეთა უმეტესი ნაწილი თანამედროვე ბოტანიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილი ტერმინებით განიმარტა.

ლექსიკონში თავმოყრილია 560 სიტყვა. ამ მასალის დიდი ნაწილი ქართველურ ენათა ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში არ გვხვდება. ნაწილი კი ცნობილია ლექსიკონებიდან, მაგრამ აქ განსხვავებული, დამატებით პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობებით არის წარმოდგენილი. თუ განმარტება ემთხვევა რომელიმე ლექსიკონში მოცემულს, მაშინ მას ნ. (ნახე) უწერია, თუ დაშორებულია — შდრ. (შეადარე). თუ სიტყვები შინაარსით სრულიად დაშორებული არიან ერთმანეთისაგან, მაშინ სხვა ლექსიკონზე აღარ ვუთითებთ.

ლექსიკონები დასახელებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ხშირად რამდენიმე ავტორს ეკუთვნის ერთი მაგალითი — საერთო სიტყვა. შესადარებლად მივმართავთ როგორც ლეჩხუმურ, ისე ლიტერატურულ სიტყვასაც (შდრ. შანკვი და წამოშანკვა; მოგოიშნება და დაგერშვა...).

შრომაში აგრეთვე შეტანილია ახალი, ჩვენ მიერ ჩაწერილი სვანურ-ზანური მასალა. სვანურის ან ზანურის ნიმუში ფრჩხილებში, ლექსიკოგრაფიული წყაროების წინ, არის მოთავსებული. თუ მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, განმარტებაც აქვეა მოცემული.

ლეჩხუმური დიალექტური და ეთნოგრაფიული მასალა საჭირო და აუცილებელია ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისათვის. ქართული ტერმინოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონებისათვის. პევრი ლეჩხუმური სიტყვა მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

შემოკლებათა განმარტება

ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ 1912.

ბესიკი — ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. თბ. 1932. დართული აქვს ვ. თოფურიას მიერ შედგენილი ლექსიკონი.

განმარტებითი ლექსიკონი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბ. — ტ. I (ა—ბ), რედაქტორი პროფ. არნ. ჩიქობავა, 1950; ტ. II (გ), რედაქტორი პროფ. გ. წერეთელი, 1951: ტ. III (დ—ე), რედაქტორი პროფ. ვ. თოფურია, 1953.

გურამ. — დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ. 1931. დართული აქვს ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

დათ. — ჭ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ. — I, 1943, 1953; II, 1948.

ერიხთ. — რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, თბ. 1884.

ვაჟა — ვაჟა-ფშაველა, ლექსები, თბ. — I, 1946; II, 1950; პოემები, III, 1930; IV, 1932; რჩეული, 1953. ხუთივე ტომს დართული აქვს ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

იმნ. — ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ლექსიკონი, თბ. 1953.

იმნ. ოთხთ. — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ. 1948—1949.

იმნ. ქართლ. — გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბ. 1953.

კაკაბ. — ს. კაკაბაძე, საცაგერლოს გამოსაელის დავთარი, თბ. 1914.

კახ. — ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართული: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, თბ. 1953.

კირ. — კირიონი, საღეკსიკონო მასალა: ძველი საქართველო, ტ. II, თბ. 1913.

კლდ. — დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, I, II, თბ. 1952. ორივე ტომს დართული აქვს შ. ალავიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

მაკალ. — ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ. 1941.

მარი სვან. — Н. Марр, извлечение из свапско-русского словаря, Птрг. 1922.

მარი ჭან. — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб. 1910.

მაყ. — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ. 1949.

მენთ. — სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ე. თოფურიას რედაქციით, თბ. 1943.

მენთ. აკ. — სტ. მენთეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები: ენიმკის მოამბე, II, თბ. 1937.

ნეიმ. — ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ. 1951.

ნიკ. — П. Никарадзе, Русско-сванский словарь, Тифлис 1910.

ჟღ. — ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ. 1936.

ჟღ. ზან. — ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ. 1953.

ჟღ. სვან. — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ. 1949.

ჟღ. ჭან. — ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, თბ. 1938.

რუსთაველი — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1951, პოემას დართული აქვს იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ. 1928.

სახ. — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ. - ტ. I (ა—ლ), 1950; ტ. II (მ—ფ), 1954.

ღლ. გურ. — ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, I, ლექსიკონი, თბ. 1937.

ღლ. ქართლ. — ალ. ღლონტი, ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, ლექსიკონი, თბ. 1948.

ყაზბ. — ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, თბ. — I. II, 1948; III, 1949; IV, 1950. ოთხივე ტომს დართული აქვს შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ყიფ. — П. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб. 1914.

ყუბ. — ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ.—I, 1946. დართული აქვს მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი; II, 1949. დართული აქვს ივ. ქავთარაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

შან. — ა. შანიძე, გოდერძი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბ. 1946.

შან. ჭვეს. — ბ. გაბუური, ჭვესურული მასალები. ამ მასალათა ლექსიკონი შედგენილია ა. შანიძის მიერ: წელიწდეული, I—II, თბ. 1923—1924.

შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბ. 1938.

ჩიტ. ლეჩხ. ექსპ. — გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში: საქ. მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ. 1944.

ჩიტ. რაჭ. სახვ. — გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი: ენიმკის მოამბე, I, თბ. 1937.

ჩიქ. — მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი: პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, I, 1941.

ჩიქ. ტოპ. — მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, IX, 1939.

ჩიქ. სახ. ფეძ. — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის ძველებური აგებულება ქართველურ ენებში, თბ. 1942.

ჩიქ. შედ. ლექს. — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938.

ჩუბ. — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ 1857.

წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ. 1938.

ჯო. — ილ. ჯორბენაძე, სიტყვის კონა, სპბ 1910.

ჯავახ. — ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ. — I, 1930; II, 1934.

ჯანაშვ. — მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, ლექსიკონი: ძველი საქართველო, ტ. II, თბ. 1913.

ჯაჯ. — პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, IX, 1949; X, 1950—1951.

ბალსხ. — ბალსხმოური.
ბალსკვ. — ბალსკვემოური.
ბოტ. — ბოტანიკური.
გადატ. — გადატანითი მნიშვნელობით.
გურ. — გურული.
ხან. — ხანური ენა.
ზ. ლეჩხ. — ზემო ლეჩხუმი.
ზოოლ. — ზოოლოგიური.
იმერ. — იმერული.
ლაშხ. — ლაშხური.
ლენტ. — ლენტეხური.
ლ. ხ. — ლაჯანურის ხეობა.
ძეგრ. — მეგრული.
ნ. — ნახე.
რაჭ. — რაჭული.
რ. ხ. — რიონის ხეობა.
სვან. — სვანური ენა.
ქვ. ლეჩხ. — ქვემო ლეჩხუმი.
შდრ. — შეადარე.
ცხ. ხ. — ცხენისწყლის ხეობა.
ჭან. — ჭანური.

აგვიშტო შავი მატლია, გრძელი (8—10 სმ.), ქალის თმასავით წვრილი და იხვევა. მრავლდება აგვისტოში. ჰაობში მოიპოვება. უჩნდება თუთისა და მაყვლის ნაყოფსაც (ნ. მ ა რ ი სვან. აგუსტ).

ადგილის მოწამება ადგილის გახსენება, მოგონება. „ბოშობისას ერთხელ ვიყავი იქ და ვიცი. სანე სახლობენ, ი ა დ გ ი ლ ი ს მ ო წ ა მ ე ბ ა არ გამიჭირდება". „ღამე იყო და ა დ გ ი ლ ი ვერარ მ ე ვ ი წ ა მ ე ი შუკებში — გზა დამებნა".

აკიდონი აკიდო, ჯაგანი. ა კ ი დ ვ ნ ე ბ ი აკიდოები, ჯაგნები.

აკოლიკება აკოკოლაებება, ახუხულაებება. „სკამები ა ა კ ო ლ ი კ ა კუთხეში". „ჯირკები ა ა კ ო ლ ი კ ა და ხორა მალე დეიმგრა". აქედან: ა კ ო ლ ი კ ე ბ უ ლ ი აკოკოლაებებული, ახუხულაებებული (შდრ. კლდ. I, აპოლიკება, ბერ. ა-პოლიკება, წერ. შეპოლიკება, ჯაჯ. I, შეკოლიკება).

ამობალასინება ამოწყვეტა, მოსპობა. „არ გეიხარა, ა მ ო ბ ა ლ ა ს ი ნ დ ა!" (წყევლაა). აქედან: ა მ ო ბ ა ლ ა ს ი ნ ე ბ უ ლ ი ამოწყვეტილი, მოსპობილი.

ამოგლიგნა ამოგანგვლა — ფქვილში, მტვერში, ნაცარში გახვევა, ამოსერა ან ტალახში ამოთხუპნა. აქედან: ა მ ო გ ლ ი გ ნ ი ლ ი ამოგანგლული. „მეწისქვილე ხრილში თ ა გ ვ ი ე ი თ ა მ ო გ ლ ი გ ნ ი ლ ი ყო" (ლაშხ., ლენტ. ლილიგნავი).

ამოხისხინება სწრაფად ამოსვლა ბალაბისა ან ნათესისა. „წუმამ მიწა კარგა დაალბო და სიმინდი ამოხისხინდა". აქედან: ამოხისხინებული სწრაფად ამოსული (შდრ. ჩუბ. სიხხი).

ამოხურტნა ამოღრუტნა — ღრუს გაკეთება, ამოხვრეტა. „ღორმა მიწა დიწვია ამოხურტნა", „წიფელა გულამდი ამოუხურტნია კოდალას". აქედან: ამოხურტნული ამოღრუტნული.

აპუწურება შეშის დასაწვავად მუქით ნოტანილ გამხმარ ფოთლებზე, თივის, სიმინდის, ზანდურის ან ღობის ჩალაზე ცეცხლის მოკიდება და ბალე ჩაქრობა. „კოროლზე ცეცხლი აპუწურდება და ვერ დაამთებ, თუ ხმელი შეშა არ ეგქნა".

აფუველება ფუვილის (ნ. ფუვის) პროცესი. ახრჩოლება.

აყვე (←აყვე←აქვსყე) აქვთ. -ყე ნაწილაკიანი ინვერსიული ზმნა. -ყე ამ სიტყვაში მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვს აღნიშნავს. ზმნა ამგვარად იღლება: გვაქვს. გაყვე. აყვე და იგუებს ყველა პრეევერბს: ააყვე, მიაყვე. შოაყვე, გააყვე. დააყვე, ჩააყვე. შეაყვე, გადააყვე (შდრ. იმერ. აქვენ: ნ. ბესიკი აქვსყე).

აჭყურტნა ყურძნის დაჭყლეტა: ჭყინტი ლობიოს (მოხარშული პარკების) გაჭყლეტა. გასრესა გობზე თითებით. „ლობიო აეჭყურტნე და შეეკმაზე". აქედან: აჭყურტნული გაჭყლეტილი, გასრესილი.

ახობა აჭკეპა. ზმნა დაირთავს ყველა პრეევერბს: მიხობა. მოხობა, გახობა. დახობა. წახობა, ჩახობა. შეხობა, გადახობა.

ბალყუმი ბიწა. რომელსაც ცრტა ქვა ერევია — რბილნარი (შდრ. ჭყ., მენთ.).

ბამბამაყვალა ეკალბარდი, რომელიც ბაყვლის მსგავს ნაყოფს ისხამს, ბაყვლის რიგად ეკეთვნის.

ბაწარი გადატ. კაკლის ხის ყვავილი.

ბელლითვალი ბეღლის ერთ-ერთი განყოფილება. ბეღელი დატიხრულია თვლებად (ოთხ-ექვს თვლად). სადაც მარცვლეულს ცალ-ცალკე ათავსებენ. ანდაზაა: „ეირს რომ საპანი მეეხატრება, ბელლითვალს ნიადგებაო" (სვან. ბელლითვალ).

ბეწულა/ე ბუში, თობლი.

ბზლილი სხმილი — კვეცხი ბზეთაზე: „ბუზულებს ხორცზე ბზლილები მიეყრიაყე" (ბალსხ., ლაშხ. ფსხილ, ლენტ. სხილ; ნ. საბა. ჩუბ. შსხვილი, მენთ. მსხნილი; შდრ. ბერ.).

ბლიკინი ენაბლეს ლაპარაკი. ბლიკინია ენაბლეს (სვან. ლიბკერე; ნ. ჭყ., ჩიქ. ბლიყინი, წყრ. ბლუწუნი, ბერ., შარაშ., განმარტებითი ლექსიკონი ბლუკუნი).

ბონგვერა უდარდელი. „ბონგვერა აფერს ჯაერობს“ (სვან. ბონდვერ).

ბოყალო დიდი და სქელი პარკი აბრეშუმისა. შიგ ორი ჰიაა. ყაჭად ხარშავენ.

ბოყვიჩა, ბოყუჩა შაჩეის ტყავისაგან დამზადებული ჩანთა, რომელშიც კაქიან თოფს ათავსებდნენ. იგი ჩახმახსა და ლულას დასველებისაგან იცავდა; ნემსის. ძაფის, სათითისა და მისთანა წვრილმან ნივთთა შესანახავი პორტმანე, მატერიის ნაჭრებისაგან შეკერილი, კონვერტის ფორმისებური. კედელზე ჰკიდებენ (შდრ. ბოხჩა).

ბჟოფსხალი გომბრო (ნ. ჩიქ.) — საზაფხულო მსხლის ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა და მოგრძო, მეტად შაქრიანი.

ბროგვა ბორგვა, შფოთვა. „ვერ ისვენებს, ბროგავს“ (სვან. ლიბროგავი; ნ. ვაჟა რჩ. ბორგოვება, განმარტებითი ლექსიკონი აბორგვნდება, ბორგვნა).

ბროკე ლენჩი, შტერი.

ბუდუნი დუდღუნი, ცხვირში ლაპარაკი. ბუდუნობს დუდღუნებს. ბუდუნია/ე დუდღუნა (სვან. ბუდუნ: შდრ. ქღ. ბურდღული, განმარტებითი ლექსიკონი ბუდღუნი).

ბუკაულა/ე ბირკა (ბოტ.: ნ. ბერ. ბირკალუე).

ბულქვი ბოლქვი. „სოლო ხახეს პატარა ბულქვი აქვს“. ბულქვა-ბულქვა ბოლქვა-ბოლქვა. „ბულქვა-ბულქვა ამოდის კვამლი ბუხრიდან“ (შდრ. საბა, ჩუბ.).

ბურძღალი ბღლაძუნი — უშნო, უმსგავსო ჰიდება-თამაში (შდრ. ღლ. გურ. ბუნძღალი. მგრთ. ბღანძალი, განმარტებითი ლექსიკონი ბღანძალი, ებღანძალაება).

ბურხალი თამაშობა (ხტომა-სირბილი. გუნდაობა. კოტრიალი) მშრალ თოვლზე (შდრ. ჭყ., განმარტებითი ლექსიკონი).

ბუსილა იგივეა, რაც გაბუსული (ნ.).

ბულუნა, ბუხუნა ნ. გაბუღუნებული (სვან. ბუდუნაჲ).

ბუწაულა/ე ყანის ბირკა (ბოტ.; სვან. ბოწოწუაჲ; ნ. მაყ. პურის ბუწალია, განმარტებითი ლექსიკონი ბუწალია).

ბლინკი, ბლინტი მოუელელი, დამშეული, სუსტი გოჭი (შდრ. ბერ., ქღ., განმარტებითი ლექსიკონი).

ბჭყიალა (← ბრჭყიალა) პატარა ლამპარი. დასვენების შემდეგ აანთებდნენ. კვამლი არ ჰქონდა, ცოტა ნავთსა და ფითილს წვავდა და მთელი ღამე ბჟუტავდა.

გაბამბალებული (ნაწარმოებია სიტყვისაგან ბამბა) მსუქანი, ხორცშესხმული სანდომიანი ქალი. „მშვენიერი, გაბამბალებული ცოლი ხავს“.

გაბეთქვა მაგრად ცემა. „ქურდი დეირჩინა (ნ.) და გაბეთქა". აქედან: გაბეთქილი მაგრად ნაცემი (შეგრ. ვობეთქე; ნ. ქღ. მობეთქვა).

გაბელთვა გაწუწვა. „წუმამ გამბელთა".

გაბერკნა გატკეპნა მიწისა ან თოვლისა. აქედან: გაბერკნილი გატკეპნილი. „არ მოუყივნავს, გაბერკნილი გზა იყო და სიარული არ გამჭირებია" (ბალსზ. ლგსკოიპე. ლაშხ. ლგსკიბნავე; შდრ. ქღ. გურ. 71. განმარტებითი ლექსიკონი დაბეკნა).

გაბესკვა კარგად გაძღომა. „ძროხა ნათიბარში ბალახობდა და მალე გეიბესკა": „ბოშმა კარქა ვამა — გეიბესკა". აქედან: გაბესკილი კარგად გამაძღარი (შდრ. სვან. ლუბურსკვრნე: მსუქანი, საკვე: შდრ. ჩიქ. გასესკვა, მენთ. გაბუსკვნა. განმარტებითი ლექსიკონი გაბუსკნული).

გაბუსული, ბუსალა თმაგაწეწილი. წვერ-ულვაშგაუპარსავი ადამიანი. „საწყალი დაგლახაკდა: დოუბანელი და გაბუსული დადიოდა" (შდრ. აბუზული; შდრ. განმარტებითი ლექსიკონი დაბუწვა).

გაბულუნებული, გაბუხუნებული ბუხუნა (ნ.). მსუქანლოყებიანი ადამიანი (სვან. ლუბურღვრნე).

გაბუჯრა გაყინვა თოვლისა. „ყინვამ გაბუჯრა თოვლი და სახურავში წყალი აღარ ჩამოდის".

გაბღიზიანება გალიზიანება. „ბოშმა ძალი გააბღიზიანა". აქედან: გაბღიზიანებული გალიზიანებული.

გაგალვა დალბობა — სიმწიფის დაწყება. აქედან: გაგალული დალბობილი. „ფსხალი ჯერ არ იქმება. გაგალულიც არ არი" (შდრ. საბა გლა, დაგლა. ჩუბ. გაგლა. გლა, დაგლა. მოგლა, ჭყ. დაგლილი, შარაშ. გაგალება, გალა. განმარტებითი ლექსიკონი გაგალება, დაგლა. დაგლილი, ჩიქ.).

გაგნვება გაოგნება. „დაჭრილი დათვი რო ღეინახა, შიშმა გააგნვა". აქედან: გაგნავებული გაოგნებული.

გადაკინცხილი გადატ. მოდებული ავადმყოფობაა. სნეულს სიცხე აქვს, თავისა და შუხლების ტკივილი აწუხებს. ავადმყოფს შეულოცავდნენ.

გადაკინცხილება იგივეა, რაც გადაცხინკილება (ნ.).

გადაპანწალებული (საჭიროშეიძია სიტყვისაგან წანწალი) წანწალით დაქანცული. „ძაღს შამოუელია თელი სოფელი. ეელარინძრევა და აგერ წიეს გადაპანწალებული".

გადასიატება რაიმე ნაგებობის მორთვა, მოკაზმვა. აქედან: გადასიატებული მორთულ-მოკაზმული. „სახ-კარი გადასიატებული აქვს“ (შდრ. სვან. ლუსიატინე: გასუფთავებული, მოკრიალებული).

გადასისინება (ნაწარმოებია სიტყვისაგან სისინი) მეტისმეტი შეწუხება ლაპარაკით. „დითხანს მიყოპოდა თავისი გაჟივრების ამბავს და გადამასისინა“. აქედან: გადასისინებული ლაპარაკით შეწუხებული.

გადაღიჯნა თმის უსწორმასწოროდ გადაპარსვა მაკრატლით. „უწინ მაშინა არ იყო, თმას ცხვარივით გადამღიჯნიდა დედაჩემი, მარგატლის ნაკვალები ზოლებათ მეშჩნეოდა“. აქედან: გადაღიჯნილი ცუდად გადაპარსული (სვან. ღიღიჯნავი; ნ. ჯაჯ. I, დაჯიღვნა).

გადაყურწნა გადაყლურწვა — გადაყლაპვა ლუკმისა (სასმელის დალევაზე არ იტყვიან). „ერთი კობზი ფელანდუში გადავყურწნე და ყელი ჩამიკოკრიბინა“. „ბეოლა ტკპილად გადაყურწნე“. აქედან: გადაყურწნული გადაყლურწული (შდრ. ბერ. ყლანწვა, ღლ. გურ. ყლუნწვა).

გადაცხინკილება, გადაკინცხილება საჭმლის ნამცეცის გადაცდენა სასულეში. „ჰამასა და ლაპაოაკში ბადის ფინჩხა გადამეცხინკილა და კილამ დეეიხჩვი“ (შდრ. დამცხიკება; სვან. ლიცხტე).

გადია ვაშლი საზამთრო ვაშლის ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, ნახევრად წითელი და ნახევრად თეთრი ფერი აქვს.

გადიდგინებული მკვრივი, ხორცსავსე (ქალზე იტყვიან). „გადიდგინებული და სანდომიანი ქალიშვილი არი“ (სვან. გაბიდგინებულ, მეგრ. დგიდგალი).

გაზიზნა გაბინძურება. აქედან: გაზიზნილი გაბინძურებული. „ყასაბს ხელები ღორის ქონით ხონდა გაზიზნილი“ (შდრ. ჩიქ. გაზიგნილი, განმარტებითი ლექსიკონი გაზუზენილი, გაზუზნული).

გათუშვა დათრობა. აქედან: გათუშული დამთვრალი.

გაკვეტება რამეში გაჩხირვა, გარჭობა, გაჭედვა. „გოში ღობეში გეეკვეტა და აქყვირდა“. „ფშტეირში (ნ. ალავ. ლეჩხ. ზეპ. 103) ნაფოტი გეეკვეტა და წისქვილი გააჩერა“. აქედან: გაკვეტებული გაჩხირული. გარჭობილი (შდრ. გეარი ჩაკვეტაძე; ნ. განმარტებითი ლექსიკონი ეკვეტება. ეკვეხება).

გაკლიპვა ტყაეის ან ქსოვილის გაჭიმვა რაიმე საგანზე. „ხაროის ტყავი ჯოხებზე გაკლიპა გასახმობათ“. „ზომაში აკლებდა — ხამს

არშინზე გაკლიპავდა". აქედან: გაკლიპული გაჭიმული (შდრ. ბერ. გა-სხლიპვა, ჩიქ. სხლიპვა).

გამარმალება გავარვარება. „ცეცხლმა გაამარმალა თონე"; კარგად გალესვა, გაჩარხვა რკინეულისა. „დანა გავამარმალე". აქედან: გამარმალებული გავარვარებული; გაჩარხული (სვან. ლგმგრმალე; შდრ. ჟღ. გამარმალებული, განმარტებითი ლექსიკონი გავარვალებული).

გამობნეხილი გამხდარი, სუსტი. „საწყალი ავანტყოფობს, გამობნესილათ არი".

გამოკლიპვა გამოწკიპვა, გაშოპრანჭვა. „ახალი ტანისამოსი ჩეიცვა, გამეიკლიპა". აქედან: გამოკლიპული გამოწკიპული.

გამოკუბზული გამოწეული, გამოშვერილი. „წუნიაა, ყოველთვინ ტუჩები აქვს გარეთ გამოკუბზული".

გამოტყუება იგივეა, რაც გამოლორება (ნ.). „ყურაგდება (ნ.) ჭელარ მივაქციე და ერთი გოჭი გამომიტყუვდა: თურე სხვები ართმევენ, არ ანებებენ საჭმელს"; „დაძალე და ყოველთვინ დროზე აჭამე საჭმელი, ბოში არ გამოტყუვდეს!".

გამოლორება, გამოტყუება გახდომა, დამჭლეება. ფიზიკურად დასუსტება. ამბობენ ჭამაში დაჩაგრულ ცხოველზე ან ფრინველზე, აგრეთვე ადამიანზეც. „ბოში ნათესავს მივაბარე გასაზდელათ, მარა გამოულორებია: სტუმრე ნოყიერი საჭმლით არ კვებავდა". აქედან: გამოლორებული გამხდარი, დამჭლეებული.

გამოჩალვა ზედმეტი სიმინდის ან ღომის გამორჩევა — ძირებიანად ამოთხრა მოროდზე. „ყანა სკლათ გოუშვია, ცოტა სიმინდი გამოუჩალავს". გამოჩალულ სიმინდს ან ღომს პირუტყვს აჭმევენ, არ ახმობენ და ზამთრისათვის არ ინახავენ (შდრ. მარი ჭან. ჩალ: ონჩალუ, ჟღ. 27: მეგრ. ოჩალარ. გურ. მოჩალვა, ჯაჯ. I).

გამოჩერება ჯავრისაგან აზრის დაკარგვა დროებით. „რაცხა მკითხა, მარა ვერ გამევერკვიე, ხმა არ ამომიღია — დარდმა გამომაჩერა". აქედან: გამოჩერებული გონწასული (შდრ. გაჩერება).

გამოცინდლული (ნაწარმოებია სიტყვისაგან ცინდალი) სუსტი, გამხდარი (ბავშვი).

გარწყალება გაწყალება. „გული გამირწყალა". აქედან: გარწყალებული გაწყალებული (შდრ. რწყულება).

გატიტნილი იგივეა, რაც გაშიშნილი (ნ.).

გატნევა გატანება. „წერილს ვინმეს გავატნევ". „მზითვი გავატნიეთ". აქედან: **გატნეული** გატანებული.

გაფირთხილება გამთბარ წყალში გათქვეფა ფქვილისა პირუტყვისათვის. აქედან: **გაფირთხილებული წყალი** გათქვეფილი ფქვილი (პირუტყვის საჭმელი).

გაფოთნა ვაძარცვა. „ქურდმა გამიცარიელეს სახლი, სულ გამფოთნეს" (შდრ. მოფოთნა).

გაფშკვერა უშნოდ გაშვერა. აქედან: **გაფშკვერილი** უშნოდ გაშვერილი.

გაჭათქათებული ქათქათა (ნ.), გამჭვირვალე. „სტუმარს თეთრი, გაჭათქათებული ყორძენი მივართვი" (სვან. მგჭათქათ: შდრ. განმარტებითი ლექსიკონი).

გაქცეული ამაღლობა ამაღლების შემდეგი ორწაბათი — ამაღლება; რომელსაც სოფ. ნამახვანის (ქუთაისის რაიონი) მცხოვრებნი იხდიდნენ.

გაშიშხილი, გატიტნილი გაშიშველებული. შიშველ-ტიტველი. „ლარტაკი იყო, ცოლ-შვილი გატყაულ-გაშიშხილი ხავდა" (ლაშხ. ლგშგშნილე).

გაწეწებული ცოცხალ-მკვდარი. მეტისმეტად გამხდარი ადამიანი. „საწყალი სულს ძლივა ღაფავს, მარტვე ძვალი და კანი აქვს. გაწეწებული არი" (შდრ. გაწეწილი).

გაწინწრაქება წინწრაქის (ნ.). მოუთმენლობის შეჩვევა. „ბოში გაიწინწრაქა — ჩამდაუწუმ აჭმევდა ძუძუს". აქედან: **გაწინწრაქებული** მოუთმენლობას მიჩვეული.

გაწრეტილი, გაწრიპული სუსტი. ძლიერ გამხდარი ახალგაზრდა (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი დაწრეტილი).

გაწრიპული იგივეა, რაც გაწრეტილი (ნ.: შდრ. ქლდ. I, ჰუწრიპა).

გაწყება რაიმე სეზონური მუშაობის დაწყება — თესვის გაწყება, მარგვლის გაწყება, მკის გაწყება, რთველის გაწყება. აქედან: **გაწყებული** დაწყებული (შდრ. მოწყება).

გაჯეჯგვა გაესება, გატენა. „ძარს ტაროებით გაჯეჯგავს", „გუდა დაქუსლით გაჯეჯგა". აქედან: **გაჯეჯგილი** გაესებული, გატენილი (შდრ. ჯიჯგვი).

გენიაქმობა (← გენიის ქამობა) ჯოჯოხეთური ყოფა — მეტისმეტი ტანჯვა-წვალების ხანა. გაჭირვებით ცხოვრება. „გენიაქმობაში ჩავარდნილი ხალხი დეიხსნა. გადაარჩინა" (სვან. გენიაქმობ).

გერსლი გესლი.

გვიგვინი გუგუნი, გიზგიზი. გვიგვინობს გუგუნებს. „თონეში ცეცხლი გვიგვინობს“ (სვან. ლიგვიგვინი).

გვირილა თეთრი ქლიავის ჯიშია. მსხვილ და გემრიელ ნაყოფს ისხამს, არ იხლიჩება (კურკა არ შორდება), მომშავო ფოთოლი აქვს და ყველა ქლიავზე ადრე (ივნისში) შემოდის.

გულის მოყაჰვა უსიამოვნო გრძნობა, მსუყე საჭმლისაგან გულზე მოწოლილი — გულის ასარევი. „ღორის ქონმა „გული მოჰმიყაჰა“: ვადატ. მოშორნე ადამიანის გულის შეწუხება, შეღონება. „რიგზე დააყენა თავისი საქმე და მტერს გული მოუყაჰა“ (შდრ. მოყირჰება: სვან. გუე ლჳყწჳე).

გძელბარა/ე იგივეა. რაც ზერბალი (ნ.).

გძელყორე ეზოს ან ვენახის გალავანი, ძელითა და ქვით მოვლებული: უკიროდ და უალიზოდ აგებულ ქვის კედელს დააშენებენ მესრის ან წნელის ღობეს (ნ. საბა, ჩუბ., ნეიმ. ძელყორე).

დაახალება (ნაწარმოებია სიტყვისაგან ახალი) პირველად შეჰმა გაზაფხულზე ახლადშემოსული ხილის, ბოსტნეულის ან მხლისა. „კინტრი დეეიახალე“, „ბალი წიფეა და დეეიახალოთ!“ (შდრ. ჩიქ. ხალება).

დავობვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან გობი) გამრუდება ფიცრისა. „ფიცარი ნედლი იყო და გახმა, მარა დეიგობა“. აქედან: დაგობილი გამრუდებული.

დავინი მომარაგება, გადაჰარბებით დაგროვება ფულისა ან მოსავლისა. დავინობს იმარაგებს, გადაჰარბებით აგროვებს (სვან. ლიდეჳნე; შდრ. ჯაჯ. I. მოდაეინება).

დაზაზვა (ცხ. ხ.) დახუნძვლა. უხვად მოსხმა ნაყოფისა. აქედან: დაზაზული დახუნძლული (ნ. ჭყ. დაბანძვა, ბერ. და-ძანძვა, ჯაჯ. II. განმარტებითი ლექსიკონი დაძანძული).

დათვის ბუჰუნქველა/ე (← დათვის ჰიანქველა) დიდი წითელი ან შავი ჩიანქველა. მიწაში ან ფოტორო ხეში ცხოვრობს და დათვი ჰამს (ლაშხ., ლეონტ. ლეშდეე ბუჰუნქველაჲ).

დათუხალა თაბელი (ბოტ.). ურმის ღერძად საუკეთესო მასალაა: მაგარი და ქონის ან საპნის წასმას იშვიათად საჭიროებს (ნ. ერისთ., ჩუბ. დათვის მსხალი, ჩიქ. დათვიხალა, ბაყ. დათვიხალა. დათვისმსხალა, განმარტებითი ლექსიკონი დათვის მსხალი, დათვიხალა).

დაკუშნა იგივეა. რაც დაუშვნა (ნ.: შდრ. შიმოკუშნა).

დამექვა მექვების (ნ.) დადგმა მონათიბში. „თივას ჯერ დაე-მექვავთ და მერე დავზვინავთ“ (სვან. ლიმქვე).

დამჩხვლევა დამსხვრევა თიხის ან შუშის ჭურჭლისა. აქედან: დამჩხვლეული დამსხვრეული.

დამცხიკება, დაცხინკვება ცხვირის დაცემინება (შდრ. გადაცხანკალება; ნ. საბა, ჩუბ., განმარტებითი ლექსიკონი დაცხინკვება).

დამცხრიკული ტანმომცრო, ჩია, დაგვალული ადამიანი (ნ. ბერ. ფსხრიკი).

დამწე ადგილი დასამხარი ადგილი — საცხოვრებელი ადგილი, საიდანაც ახლოა და ადვილად მისადგომი ყანა, ვენახი, წყალი, ტყე...

დამხევა ცუდი ამბის (უმთავრესად ჭორის) დაყრა, გავრცელება. „გამლანძღეს, ხმები დამიმხიეს“, „ტყულს გამეიგონებს და დაამხევს“. აქედან: დამხეული გავრცელებული ამბავი, ჭორი (შდრ. სახ. დარხევა სოფლისა, განმარტებითი ლექსიკონი დარხეული ხმები).

დანჭირვა, დარჭინვა დაჭერა. „მელა ხაბანდში (ნ.) გავაბით, ცოცხლათ დევინჭირეთ“. აქედან: დანჭირული დაჭერილი.

დარირურუ მოლხენა დაირით. „ქეიფობდენ და დარირურუ ხონდაყე“.

დარ-წუმა წვიმანარევი მზიანი ამინდი.

დარჭინვა იგივეა, რაც დანჭირვა (ნ.).

დახარტყვლა (ნაწარმოებია სიტყვისაგან სარტყელი) კედლებზე სარტყლების დაშენება, ოთხი სარტყლის ერთმანეთზე გადანასკვა. „კედლები დავდგით, ხვალ ოღას დავსარტყლავთ“. აქედან: დასარტყლული სარტყლებდაშენებული

დატუკვა სიმინდის ან ლობიოს დაფშვნა ტუკით (ნ.); ჩასართავად მოხარშული ლობიოს დაჭყლეტა გობზე ტუკით; გადატ. ადამიანის ცემა-რტყმევა. „დიდი ჩხუბი ქნეს, დატუკეს ერთმანეთი“ (სვან. ლიტუკვავი; შდრ. შარაშ.).

დატყნევა დაჩეჩქვა, დაბეგვა (რკინეულზე იტყვიან). „სპილენძის ჭურჭლები დატყნიეს. დაამტერიეს“, „მანქანამ კბეს გაჰკრა გვერდი დაკრილო დეეტყნიჟა“. აქედან: დატყნეული დაჩეჩქვილი, დაბეგვილი (შდრ. ბერ. ტყლეფა).

დაურმვა ურმებად დადგმა. მონკილ პურს დაურმავენ — თხუთმეტ-თხუთმეტ კონას ცალ-ცალკე დადგამენ ყანაში. აქედან: დაურმული ურმებად დადგმული.

დაულლება უღლის დადგმა, უღელში შებმა. „ხარებს ჯერ დავსაბლავთ და მერე კი დავაუღლებთ". აქედან: დაუღლებული უღელდადგმული, უღლიანი (ნ. განმარტებითი ლექსიკონი დაულლული).

დაფშუტვა ნელ-ნელა დავსება ჩაქრობა ცეცხლისა. აქედან: დაფშუტული ჩამქრალი (ნ. ქღ. დაფშუკვა. შარაშ. ფშკვა).

დაქარვა ნედლი სვეტის ან ფიცრის ღახეთქა გამოშრობის შემდეგ. აქედან: დაქარული დახეთქილი.

დაქნა კვეთის გაქნა, გათქვეფა რძეში ყველის ამოსაყვანად. „რძე დავქენი". აქედან: დაქნილი გაქნილი, გათქვეფილი.

დალვირჭნა, დალურჭნა გაღვრეჭა, კარგად დაბანა (საპნითა და სახეხით). „ბოში დავბანე. ტანი კარქა დოულვირჭნე". აქედან: დალვირჭნილი, დალურჭნული გაღვრეჭილი (სვან. ლილურჭლავი; ნ. ბერ. ღვრიჭნა).

დალომება სიმწიფეში შესვლა ვაშლისა. აქედან: დალომებული სიმწიფეში შესული (შდრ. ღომავაშლი).

დაყანტება გალაყება. „კვერცხი დაყანტდება ყივნაში, სიცხეში". აქედან: დაყანტებული გალაყებული.

დაჩენჩვა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ჩენჩო) დაკროლვა — წენგოს, ჩენჩოს, ბუძგის მემოცლა კაკლისა, თხილისა. წაბლისა და მისთანათათვის. „ბოშემა მოკრეფილი თხილი დაჩენჩეს"; დაჩურჩვა — პარკოსანი მცენარის ნაყოფის დარჩევა. დამარცვლა. „დაბაზებული ლობიო დავჩენჩეთ". აქედან: დაჩენჩილი დაკროლილი; დაჩურჩული (შდრ. ბოჩენჩვა; ნ. ყიფ. ჩაჩუა).

დაჩიმჩვა დაჩრჩილვა — ჩიმჩასაგან (ნ.) დაღრღნა ბეწვეულ-შალეულისა ან მაშხისა. აქედან: დაჩიმჩული დაჩრჩილული (სვან. ლიჩიმჩაა, ხ. იმერ. დამჩიჩვა; შდრ. მენთ. აკ. 161. დაჩიჩვა, დათ. დაჩინჩვა).

დაციმცამება ციმცამის (ნ.) შესრულება. „უცებ გამეღვიძა, წამოვხტენი და დავციმცამდი. ქურდი გამექცა და დევედევენე" (შდრ. ღლ. გურ.. შარაშ. გაციმცამება).

დაცხინკვება იგივეა, რაც დამცხიკვება (ნ.).

დაჭვერალება სახნისის დაყენება წვერზე, რომ მიწა ღრმად მოხნას. „მაინც ადგილს ვაანოულებდი და სახნისი დავაწვერალე" (შდრ. ღულათ ხვნა).

დაწიგვრა გადაწიდვნა. „ვახი დავწიგრე": „კაკათხილა დავწიგრე" (ნ. ჩიქ. გადანაწიგრება, ნაწიგარი, განმარტებითი ლექსიკონი გადაწინდერა).

დაჭუჭკნა, დაკუწნა დაბმუქნა. „მარგალი დამეჭუჭკნა და გასაუთოებელი არი". „ქალალდი დაჭუჭკნა და ცალაგდო". აქედან: დაჭუჭკნილი დაბმუქნილი (ნ. ღლ. ქართლ. დაკუწვა, განმარტებითი ლექსიკონი დაკუწვა).

დახეჩვა დახლართვა თოკისა, ძაფისა, ღობისა ან ულელებისა. „სამსე გოდორს პირი ულელებით დოუხეჩვა". აქედან: დახეჩვილი დახლართული.

დახლეწვა დალეწვა. „ნიაღვარს ლობე გოდოლეწყია და სულ ერთიანათ დოუხლეწავს". აქედან: დახლეწილი დალეწილი.

დაჯგვნეტა დაჩხელეტა. „ნეფსმა ხარაზს თითები დოუჯგვნიტა". აქედან: დაჯგვნეტილი დაჩხელეტილი (შდრ. საბა, ჩუბ. ჯგვერება).

დებიერი მოსავლიანი. ბარაქიანი ვაკე ადგილი (შდრ. ჯაჯ. I, დებიერისი).

დეთი-დეთი, დეთინია მოთისდებულია — ძოხას მოუხმობენ (სვან.).

დინდგველა ფრთხალი. შეშაშია. „მაგ ოას დერცეს, დინდგველაა, ლამეში ვარეთ ვერ გეიხედავს" (შდრ. ლაშხ., ლენტ. დგგველა: ხარმაცი, მოუქნელი კაცი).

დულათ ხვნა დაწვერალების (ნ.) საპირისპირო ფორმებია — პირად (არაღრმად, ზერელედ) ხვნა (ნ. ჩოჩარე).

დღაბი, დღიბო (რ. ხ.) მეტსახელია ქალაშვილისა (შდრ. ჭყ., ყიფ., ქლ. ძღაბი).

დღავიხ ბღავის, ღრიალებს. დღავილი ბუღბული, ღრიალი.

ენას ძვალი არა აქვს ვადატ. ენისათვის ამბის თქმა არის რისამე თქმა. მას არაფერი დაბრკოლებს. ენა ადვილად იტყვის მართალსაც და ტყუილსაც.

ერთი ფითქა, ერთი ფიფქა ერთი ფიფქი (თეთრი). „კოდი გამოუცლია, ერთი ფითქა დაჭყეტილი აღარაა შიგ".

ეროყია/ე გაუმაძღარი ადამიანი (სვან. ეროყიაჲ; შდრ. სვან. ჲერყან: მგლის მადა. გაუმაძღრობა; შდრ. ჭყ. ირყანი, ნ ე ნ თ. ეარყანი, ბ ე რ., განმარტებითი ლექსიკონი ერეყანე).

ველობა იყო დღეობა, რომელსაც სოფ. ჟონეთის (ქუთაისის რაიონი) მცხოვრებნი იხდიდნენ 15 იელისს.

ზელუბანი ზედა უბანი სოფლისა. აქედან: ზელუბნელი ზედაუბნელი (შდრ. ქველუბანი).

ზერბალი (ქვ. ლეჩხ.) **გძელბარა/ე** (ზ. ლეჩხ.) ძელბარი — ბარის მსგავსი ნიჩაბი ქვევრის პირის მოსახდელად (ნ. ჭყ. ძერბალი).

ზიზინი შემზარავი მოთქმა-ტირილი ან უკმაყოფილო ხმა (გუგუნი) ხალხისა. ზიზინობს ხალხი შემზარავად მოთქვამს ან ყვირის (სვან. ლიზიზინი: შდრ. საბა; ყივ. ზარხინი).

ზმუული ზმუილი. „ხარის ზმუული ისმის" (ნ. ჩუბ. ზმუვილი).

ზურზუტი ყურყუტი, დიდხანს ცდა, ლოდინი (შდრ. ზუტვა).

ზუტვა უსაქმოდ მოსიარულე ადამიანის დიდხანს დაყუდება, გაჩერება ვინმესთან. „ხეტიალს და მეზობლებში ზუტვას თავი არ დაანება". ზუტილა ადამიანი, ვინც ზუტვას არის მიჩვეული (შდრ. ჩუბ. აზუტება).

ზუულა ბზუილი. „ბზიკი ფუღუროდან გამოძვრა და ზუულა დეიწყო". ზუულ-ზუულით ბზუილ-ბზუილით. ზუულა ბზუილა; გადატ. მკვეხარა. ტრაბახა ადამიანის მეტსახელია. აქედან: ზუულასანი (ნ. ჩუბ. ბზუვილი).

თავის დაცვა (ქვ. ლეჩხ.) პირუტყვის დამაკება. „უშობელმა თავი დეიცვა".

თავი ქუდში აქვს გადატ. თავი დაცული აქვს ვინმე უსიამოვნებისაგან ან ხიფათისაგან.

თათხუნი ქალის ან ბავშვის უფრთხილო სვლა ტალახიან გზაზე. თათხუნა ტალახში ამოთითხნილი მოწანწალე (შდრ. თლახუნი).

თაქი მეტსახელია კაცისა, ვინც ცემა-ტყეპა იცის. აქედან: თაქისანი (შდრ. ბერ.. დათ. თაქება, ნეიმ. ცემა: თაქება).

თევშიმდგური თევში ჩამდგარი ორსული. ფეხმძიმე ქალი.

თვისანი (ცხ. ხ.) წაშხდარი, გაფუშებული. ცუდი (ადამიანი). თვისნები ცუდნი.

თლახუნი ტყაპატყუპით, ფეხაურჩელად სიარული ტალახში (სვან. ლითლახუნე; ნ. შარაშ.. ღლ. ქართლ. ჩლახუნი).

თურაშოლლის ბურში ეშლის ჯიშია. ნაყოფი თურაშაულისას ჰგავს, მაგრამ მასზე ნაკლები სიმსხო აქვს და წომჟავოა.

თულმეიწა თუ ღმერთი გწყამს. „გულახდილათ მითხარი, თულმეიწა, არაფელი დამიმალო!"

თუში მარდი, სწრაფი ადამიანი. „ეერ დეეწიეთ, მოკურცხლა თუშივით" (შდრ. ბერ. ფუშვა).

თხვლეპა თქვლეფა. ჩქარა ამოსელეპა. ამოხერეპა წენისა ან რაიმე დასაღეჭისა. „ძაღლი სასვარს თხვლეპავს". „ე პოში რძეს კატასავით თხვლეპავს" (სვან. ლითხლეშვე; შდრ. საბა, ჩუბ. ხერეტა, ღლ. ბან. ოხლიპუ).

თხიპა/ე ქათმის წიწილის ყელის სენია. წიწილი ავდარში, გაზაფხულზე, ცივდება და ხრინწიანი ხმით გამოსცემს „თხიპ-თხიპ". წვრილი ჭიები ყელში ეჩრებიან და აღრჩობენ. ნივრიანი წყლით მკურნალობენ (შდრ. ბ ე ო.; ნ. ქ ღ. ხიაპა/ე).

თხირამული თხილამური (შდრ. მ ა რ ი ჰან., ყ ი ფ. თხირი; ნ. ქ ღ. სვან. 166, ქ ღ. ზან. 132, თხიამული).

თხიროლი თეთრითა და შავით, თეთრითა და ყავისფრით ან თეთრითა და ნაცრისფრით ჭრელი (გოჭი). გოჭს შავი, ყავისფერი ან ნაცრისფერი ხოლები სიგრძეზე აჩნია (შდრ. ჩ ი ქ.).

თჩლაბარწა/ე დიდხნის ნახმაო. გაცრეცილი ქსოვილი – ტანსაცმელი (შდრ. ქ ღ. თხლარწია/ე).

იარმული ალმური. „თონეში ი ა რ მ უ ლ ი დვას" (ლაშხ., ლენტ. იარმულ).

იბაღვავს იგლეჯს (ბალანს). იბდღვნის (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., მ ე ნ თ. განმარტებითი ლექსიკონი ბაღვა).

იგარჯილა (ნაწარმოებია სიტყვისაგან გ ა რ ჯ ი ლ ი) გაისარჯა, მუყაითად იშრომა.

იღირწება (იხ. ხ.) ცა იღრუბლება, საავდროდ ემზადება.

იპუპუ სიმღერა იყო. სამი-ოთხი ბავშვი ყველიერის ორმაღათს შეიკრიბებოდა. ხელმძღვანელი შეჭურვილი იყო ხის თოფ-ლეკურით. დანარჩენებს ხელში კალათები ეჭირათ. გლეხებს ჩამოევლიდნენ და უმღეროდნენ. მასპინძელი მათ დაასაჩუქრებდა ყველით ან კვერცხით.

იხანი სანი (ნ.). ადამიანის ჩამომავლობისა და კუთვნილების აღმნიშვნელი აფიქსია. დაერთვის ოჯახის უფროსის (უმეტესად წინაპრის) გვარს ან საკუთარ სახელს, მეტსახელს ან პროფესიის სახელს. სიტყვა ებ-იან მრავლობით რიცხვშიც იხმარება: ა) აუაძისანი, თეაოაძისანი, ჩიქვანისანი. გელვანისანი. ხეცურიანისანი. ჩოროლი|ანი|სანი, ყურაშვილისანი, მამარდაშვილისანი... „გოქაძისანი აბიმო ხარატია", „ი ს ი ა ნ ი ს ა ნ ი არეენ დარჩენილა შინ. ყველა სამკელათ წასულა"; ბ) სარიდანისანი. ვარადებულისანი, ცრაჯისანი... „დ უ ლ უ ნ გ ი ს ა ნ ე ბ ი ვამბრავლდენ"; გ) თაქისანი, ყოყოლისანი, ქერქისანი, ჯიუტისანი, ჯორისანი... „ი ბიჭი ხ რ უ კ ი ს ა ნ ე ბ ი ს სიძეა": დ) ღვდლისანი, ხუცისანი, დალაქისანი... „გზაში შ ე დ ღ ი ს ა ნ ი ქალები შემხვდენ" (შდრ. იან: წინამძღვრიანთ. ციციანთ, ოთარაანთ. ხარატაანთ...).

იწევს წამოიწევს. „ღელის ნაპირიდან იწია და გადახტა" (სვან. ენგრწან: ლიგრწე: წამოწევა: შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ყ უ ბ. I. ი ქ ნ. წევა).

კამპვა ულაპვა. იტყვიან ძაღლსა და ღორზე. ზოგჯერ ადამიანზეც. „დამშეული ტახი საშმელს კამპაკს". „ბოში ფსხალს კამპაკს" (შდრ. საბა, ჩუ. კამპი).

კაციდკაცი ზოგიერთი. „ბრეელს უცირდა. მარა კაციდკაცი კარჭა ცხოერობდა" (შდრ. საბა. ჩუბ., ყუშ. I, იმნ., ნეიმ. კაცად-კაცადი).

კაწარი ცეცხლისაგან დაშავებული ან შეწითლებული ადგილი კანზე. კაწრები ნამცხვარს შავად აჩნდება, ცეცხლთან ხშირად მჯდომი გოგონას ჭეიპს კი — წითლად.

კბილანები, ტოლანები კბილანი — ერთსა და იმავე წელს დაბადებულნი, მოსაკენი.

კეისრობა იყო დღეობა, რომელსაც სოფ. კუხის (ხონის რაიონი) მცხოვრებნი იხდიდნენ ოქტომბერში.

კვატატელა/ე ვასაკი (ზოოლ.) — ხის ბაყაყი, მყვარი.

კვატუში (ქვ. ლეჩხ.) მარხილის ნაწილი, რომელზეც ტვირთი ეწყობა. მარხილს ორი კვატუში აქვს; ბორთუში (ნ.), მუხის ან წაბლის ძელი (მისი სიგრძე 25 სანტიმეტრამდე აღწევს), ფართო და გულგამოშვილი. კვატუშებს თავზე ჩამოაცმევენ ორ-ორ სარს, რითაც ხის ნაპობების ღობე ურყეად დგას (შდრ. სვან. კვატუშ: დიდა კოვზი სისა; შდრ. მგრ.).

კვინტრიში კუნტრუში, ხტომა-ხტომაში პირუტყვისა. კვინტრიშობს კუნტრუშობს (სვან. ლიკვინტრიში; შდრ. კლდ. I, შეიკვინტრიშოს).

კვინძი კუნძი. „ეზოში ნუხის კვინძები დაეწყვეთ" (სვან. კვინძ).

კვირკვილი წყეული სახოვლოლ. „ბოშება ბებერი ქალი გაამწყავრეს და კვირკვილი დააწყებიეს".

კვირკვიტა/ე პატარა გორგალი ძაფისა (ნ. ბერ. კვიტიტა/ე, ყიფ. კვირკვი).

კვირკვიშალა/ე საფანელის გუნდა, ნამცხვარში გაყოლილი; ღომის, ფაფის ან ფელამუშის გუნდა (სვან. კვირკვიშ: შდრ. ჩიქ. კურკუშალე).

კვიროპს უკვირს.

კვიტიტი მუხლის კვირისტავი (შდრ. შუ.).

კვნეტილი გაწყვეტილი კანი სახსრისა თითის სადრეკში. ფეხშიშველ მოსიარულეს უჩნდება (შდრ. გაკვნეტილი, დაკვნეტილი).

კმატუნი კნატუნი, კნაწუნი — კვნეტით ჭამა რისამე. „მეენატრა კრახუნას კმატუნი" (სვან. ლიკმატუნე).

კმია-კმია ცოტ-ცოტა. „ვალს კმია-კმია მიხთიდა და უბარიაქოთ შამომეხარჯა ფული".

კოკინია/ე ხბო მოუერებით. „კ ო კ ი ნ ი ა ძუძუს სწოვს ძროხას". კოკი-კოკი! შორისდებულია — ხბოს მოუხმობენ (სვან. კოკინრლ).

კოკორი ჩოჩორა, მუტრუკი (ნ. ყიფ.: ნ ე ი მ. კოკი): გადატ. ბრიყვი ახალგაზრდა. უჭკუო. „კ ო კ ო რ მ ა რა იცის, არაფელი უნახავს და გამოუცოთია".

კოპე, კოპი ამობურცული ადგილი უღლისა. სადაც წემბეშო (ნ. ა ლ ა ვ. ლეჩხ. ლექს. 1938) არის ჩაბზეული. კოპე თაედაღმართში ამუხრუჭებს ჩოჩიალა ურემს: ფრჩხილები წემბეშოთურთ კოპეს ებჯინება და ხარებს ფეხებზე არ აწუხებს.

კორბილი ღორის დაძველებული შაშხის ქონი (სვან. პოხილ; შდრ. საბა, ჩუბ., ყუბ. I. ი მ ნ., ჯ ა ვ ა ხ. I. 383, პოხილი. ვაჟა IV. შ ა ნ. კევს. პოხ).

კორჯღლი კორძი. „კ ვ ი ნ ცხას კ ო რ ჯ ღ ლ ე ბ ი აქვს".

კოცბა/ე (ლ. ბ.) წითლითა და შავით ჭრელი ფერი ღორისა.

კოხიაბანო საოჯახო სამკურნალო საბანაო იყო. სხვადასხვა ბალახის ძირებსა და ფოთლებს გამოხარშავდნენ. რევმატიზმით ავადმყოფი ხუთ-ექვს აბაზანას მიიღებდა.

კოხინარობა კოხინჯრობის მეორე დღე (8 მაისი) იყო.

კუკნა მადიანად ჭამა ნამცხვრისა ბავშვის მიერ. „ბ ო შ ი პურს კ უ კ ნ ი ს" (შდრ. კ ი რ. ცუცქნა-კუკნა. მ ე ნ თ.).

კუპტიანი პური სვანური ხინკალი — პურის ნამცხვარი. რომელშიც საკმაზით შეზავებული დაკეპილი მოხარშული ხორცი არის ჩართული (ნ. ნ ი ე. 309, კუბდარ).

კურწვა მძიმე ტვირთის ზიდვა. „დიდი გუდით საქფავს კ უ რ წ ვ ე დ ა" (შდრ. ჩუბ. კურწი).

ლაგლაგი ლაქლაქი. ყბედობა. ლ ა გ ლ ა გ ობს ლაქლაქობს, ლაყბობს. ლ ა გ ლ ა გ ა ლაქლაქა. მოლაყბე (შდრ. ბ ე რ. ლიგლიგი, ლიკლიკი. კ ლ დ. I. ლიგლიკი. ჯ ა ნ ა შვ. ლაგლაგ).

ლავანდი (← ნავარდი) სეირნობა. ლ ა ვ ა ნ დ ო ბ ს სეირნობს.

ლაშუნი (ლ. ხ.) ლაყბობა. ყბედობა (შდრ. ლაში).

ლაჩიწი ერთმანეთში არეული სხვადასხვა პირტტყეის ჯოგი (სვან. ლიხილწე; შდრ. ჭყ.).

ლაჯღლაჯა (ლ. ხ.) ბზის ჩასაყარი დიდი ძარი. აღგილ-ადგილ მოწნული.

ლეკურთხი წვივზე პაიჭის ან ჩულქის დასამაგრებელი ზონარი (შალისა ან აბრეშუმისა). წვივსაკრავი (ლაშხ., ლენტ. ნეკვთხ. მეგრ. ლეკვერთხი: ნ. საბა ლეკუწრთხი, ჩუბ., ნ ე ი მ. ლეკვერთხი, ნ ი ე. 314, ლეკნთხ. ქ ლ. სვან. 183, ნეკვთხწრ, ლეკურთხწრ).

ლენჭყი ჭაობიანი ადგილი. ენენჭყო. (მეგრ.: ნ. ბერ. ლენჭყო., წერ. ლეჭენჭყო; შდრ. ჩიქ. ტოპ.).

ლენჯიკა ჩიტის დასაჭერი მახეა. მოღუნულ ჯოხში გაყრილია მარყუჟად გასკვნილი თოკი. ჯოხს ნახვრეტთან აქვს სასხლეტი რიკი, სადაც ჩიტი დაჯდება და ფეხებით გაებმება. ბავშვი ლენჯიკას უფრო ხშირად სასიმინდეში აგებს (სვან. ჯერენჯიკაა; შდრ. საბა ილინჯა, ირეჟი. ჩუბ. ილინჯა, ირეჯა. ყუბ. I. ირეჯი, მარი ჭან. ირეკი. ბერ. ერენჯიკა/ე. ირენჭკა. სახ. ილინჭის მოგება, ნეიმ. ილინჯა; ნ. ჟღ. ირენჭკა/ე. წერ. ირანჭკა, ჩიქ. ერენჯიკა/ე. ჯაჯ. I. ერენჭიკა. ელენჭიკა).

ლერტყი ლორწო (ნ. ბერ. ლირტყვი; შდრ. ჩიქ.).

ლოფორჩანი ჯვარგისი მსხვილი ძაფი აბრეშუმისა. პარკიდან პირველად მას ამოიღებენ.

მაკვრიელი (ქვ. ლეჩხ.) მეკვლე — ახალი წლის მეფეხე (ნ. ბერ. კვლ: მაკელიერი).

მამხახლიში მამასახლისი.

მანა იგივეა, რაც სარმანა (ნ.; შდრ. რუსთაველი, საბა, ჩუბ., იმნ., ჯანაშვ., შან. კეს., ჯავახ. II. 320—322, მენთ., ნეიმ.).

მანანა შავი ლაქები, რომლებიც ჩნდება ხაფხულში თხილის, ცაცხვის, წაბლის ან ვაზის ფოთლებზე. ჰიანჭეელა ჰამს (შდრ. საბა. ჩუბ., გურამ., ვაჟა I, მენთ., მაყ.).

მანჩვი მაჩვი. სამანჩვია ყანის სახელწოდებაა სოფ. სურმუშში (ლაშხ., ლენტ. მანჩე; ნ. მარი ჭან. მუნჭყი. ყიფ. მენჩქვი. ჩიქ. შედ. ლექს. 90, ჭან. მუნჩქი, მუნჩხი, მუნჭყი, ძეგრ. მუნჩქვი. ქღ. სვან. 187, მინჩქუ; შდრ. ჩიქ. ტოპ. სამანჩვიე).

მარგატელა ბეღელა ცრუ თუთის ხე. ნაყოფს არ ისხამს და დაჩრილი ფოთოლი აქვს.

მარგული ვაზის ჯიშია. ისხამს შავ ყურძენს, რომელსაც სხვა ყურძნის ღვინის შესაფერადებლად იყენებენ. სოფ. ნაბოსლევში (ტყიბულის რაიონი) აქა-იქ მოიპოვება.

მალვრიალა ბოროტი ადამიანი, ვინც თვალებს ნიადაგ აბდღვრიალებს (აბრიალებს). „ჯორისანი ტარიელა, ეშმაკი და მალვრიელა" (შაირიდან).

მაყურია/ე ყავისფერი მშერია, მოგრძო და წელწვრილი. სწრაფად მოძრაობს. მძინარეს შეიძლება ჩაუძვრეს ყურში. სიმინდის ხვავსა და ატმის კურკაში მოიპოვება. ხვავი ნეხურდება, თუ რამდენიმე დღე გაურჩეველად დატოვეს. ზოგიერთი ტაროს ნედლი

მარცვალი ლპობას დაიწყებს და მაყურია გაუჩნდება. „ტაროს ვარჩევდი და ფუჩეჩიდან დიდი მაყურია გამოძვრა“ (სვან. მეყურიაჲ, ზ. იმერ. ყრუალა, რაჭ. მაყვრიალა; ნ. საბა, ერისთ., ჩუბ., ნეიმ. ყურბელა, ჭყ. ყურმელა, ჯანაშვ. ყურბელაჲ, მენთ. ყრუბელა).

მაყურჭი მარყუჟი (ნ. ჩამაყურჭება; ლენტ. მარყუჯ; ნ. ჟღ. სვან. 179, მარყვიჯ, ღლ. გურ.).

მაჩვიერი შეგირდი — ადამიანი, ვინც რაიმე პროფესიას ეჩვევა, ეუფლება.

მეკენჩხალი დაბლარის ვაზის ჯიშია. შავ ყურძენს ისხამდა. წვრილი მარცვალი და საშუალო ზომის ღია მტევანი ჰქონდა. მხოლოდ მის მაჭარს იყენებდნენ. სოფ. საირმეში იყო გავრცელებული (შდრ. ჯავახ. II, 517, მეკენჩხალა, მაკურენჩხი, მეკრენჩხი).

მელაკურკუტობია/ე ბავშვების თამაშობაა.

მეორშაფათე მთელი ერთი კვირის მეფეხე — ადამიანი, ვისაც ორშაბათ დილით ცრუმორწმუნე პირველად დაინახავდა ან შეხვდებოდა.

მეფეხური მეფეხე, მეკვლე.

მექვი ბულული — თივის პატარა გროვა, მონათიბში დროებით (დაზვინვამდე) დადგმული (ნ. დამექვა; სვან. მექვ; ნ. ბერ. ნექვი).

მექოხს ბაქიაობს, იკვეხის, ტრაბახობს (შდრ. ჩიქ. წამექება).

მელომურა/ე, მელომილა/ე ბალახია. ღომისა და სიმინდის ნათესში ხაროობს.

მეშამპი ვეშაპი.

მეწლეური მეწლე — მცენარე (ხილის ან ვაზის ჯიში), რომელმაც წლობა იცის, უხვ ნაყოფს წელიწადგამოშვებით ისხამს (ნ. საბა მეიმწლიე, ჯავახ. II, 442, მეწლეული, შარაშ. მეწლე; შდრ. მენთ. მეწლეურე ფური).

მეხეტარი მოხეტიალე, უსაქმოდ მოსიარულე ადამიანი (სვან. მეხეტან; შდრ. ბერ. მე-ხეტე).

მეხისგული, მეხისტყვია ყვითელი მრგვალი ქვა, თხილისოდენა, სალ ქვაში მოიპოვება. ბავშვები კენჭებად იყენებენ (შდრ. ჩუბ. მეხისქვა, შარაშ. მეხის ნატეხი).

მიტავება ყეფით დადევნება, გაკიდება ძაღლისა. „ძაღს ნუ ოუშობ, თვარა მიეტავება ვილაცას და დაკბენს“; დასადევნებლად გაშვება ძაღლისა, რამეზე მისევა ძაღლებისა. „ძაღლები ღორებს მუუტავეს. ძაღლებს ღორები ყანიდგან გადაადენიეს“ (შდრ. შეტავება; შდრ. საბა, ჩუბ., ყუბ. I, იმნ., ვაჟა III,

ტევება, განმარტებითი ლექსიკონი გამოუტევებს, დატევა, დატევება).

მიყინჭილება ყელზე მოჭერა საბელისა. „ხფო გლახათ დოუბამს, მიუყინჭილებია და დეიხჩობოდა, რო არ მიეშველებოდი". აქედან: მიყინჭილებული ყელზე საბელმოჭერილი.

მობანდღალებული, მობენდღილი (ლ. ხ.) მაკე (თევში ჩამდგარი) პირუტყვი. „ძროხა მობანდღალებული არი, ერთ კვირეში მეიტანს (ნ.) ხფოს" (შდრ. საბა, ჭღ., განმარტებითი ლექსიკონი ბანდღალი).

მოგდება მკედარი ან ცოცხალ-მკედარი პირუტყვის (ხბო, კვიცი, ბატკანი, თიკანი...) შობა დროზე ან ნაადრევად. „გალახულმა ძროხამ ხფო მოაგდო". აქედან: მოგდებული მკედრად ან ცოცხალ-მკედრად შობილი (შდრ. მოტანა; ნ. ჭღ.).

მოგოიშნება მოთვინიერება, მოშინაურება. „გამოცვლილა და ახლა წესიერათაა. არ მეგონა, თუ ვინმე შეძლებდა მაგის მოგოიშნებას". აქედან: მოგოიშნებული მოთვინიერებული (შდრ. დაგერშვა; სვან. ლიგოიშნე).

მოდუდღნა, მოტუტყნა მოთხუპნა, დასერა. „პოშს ჰამაში წვენით სულ მოუდუდღნია პირისახე". აქედან: მოდუდღნული მოთხუპნული (ნ. შარაშ. მოდღურული).

მოკვიტნილი პატარა. მოკლე. ცხვირსა და ნიკაპზე იტყვიან.

მოლეშკაშე იყო ლეშკაშის (ნასოფლარია) მცხოვრები, ლეშკაშელი. იგი ამჟამადაც ლეშკაშიდან სოფ. ლაჯანაში ჩასახლებულ გლეხს (აწინდელ ლაჯანელს) აღნიშნავს და ლეშკაშელი-საგან (გვარია) გასარჩევად იხმარება. მოლეშკაშე ლეშკაშელი ლეშკაშელი გვარის ადამიანი, ვისაც ლეშკაშში უცხოვრია. (სვან. მგლეშკაშ).

მომჰმელი პირუტყვი, რომელიც მადიანად ჰამს (შდრ. შარაშ. კაი მომჰმელი).

მოპოტნა ხელით მოგლეჯა ბალახისა; თითებით, ფრჩხილებით, ბრუყალებით მოთხრა მიწისა. „ერთი სალასტო (ნ. ჩიქ.) ბალახი ვენახში მოვპოტნე", „ცაცხვზე ხავსი მოპოტნა": „დათვმა თათებით მიწა მოპოტნა" (შდრ. პოტინი; შდრ. განმარტებითი ლექსიკონი დაპოტნილი, დაფხოტნის, ეფხოტება).

მორიალებული ეზოში, კალოზე ან იატაკზე უწესრიგოდ მიმოყრილი სხვადასხვა სამეურნეო იარაღი, ნივთები. მოსავალი, ნაგავი...

მოროკება სწრაფი სრიალი კევრისა კალოზე. „ხარებს სირბინი დააწყებია და კევრი მოროკდა". მოროკიალი ჩქარი ლეწვა (შდრ. როკება).

მორჭიანი ნაწილი (არაუმეტეს ერთი მეტრი სიგრძისა) ცოცხალ ხეზე გაშენებული ვაზის ტოტისა (მტევნებითურთ), რასაც ქარი აქეთ-იქით აქანავებს, არწევს (შდრ. რქიანი).

მოსანახებელი სახახავად საინტერესო, მომხიბვლელი. „ფერხული ყველას მეეწონა, მართლაც მოსანახებელი სურათი იყო“.

მოტანა ხბოს, კვიცის, ბატკნის, თიკნის ან გოჭის შობა, მოგება. „ძროხამ ხფო მეიტანა“, „ღორმა ათი გოჭი მეიტანა“ (შდრ. მოგდება, მოყრა; ნ. ჩიქ. იტანს).

მოტუტუნა იგივეა, რაც მოდუდუნა (ნ: შდრ. საბა, ჩუბ., გურამ. ტუტყი, ბერ. ტიტყნა, მენთ. ტუტყნა).

მოფირფვლა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ფერფლი) თხლად მოთოვა მიწაზე. „თოვლი მოფირფლა და მალე ეიღო“. აქედან: მოფირფლული თხლად მონათოვი.

მოფირფიცება ფირფიცის (ნ.) დაწყება, მოტიტიება. „რუვი ფორთლებს მეიფირფიცებს, არ ჩაძირავს“. აქედან: მოფირფიცებული მოტიტიებული (სვან. ლიფირფიცი).

მოფოთნა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ფოთოლი) ყანაში, მონათიბში ან კალოზე დარჩენილი ფოთლებისა და ღერების აკრეფა, შეგროვება. „ყანა სულ გაეჭმიდეთ – სიმიდის ფურცლები მოვფოთნეთ“, „კალოზე დაფანტული ფუჩეჩი მოფოთნა“; აკრეფა გასაძარცვავი საგნებისა. „ქურდებს ტანისამოსები და საგებ-სახურავი მოუფოთნიაყე და წოუღიაყე სახლიდან“; მოხვეტა რისამე. „გარსაგებზე ხრილი მოვფოთნე“. აქედან: მოფოთნილი აკრეფილი; მოხვეტილი (სვან. ლიფოთნაი; შდრ. გაფოთნა).

მოღრამული სატეხით ამოღრმავებული. „აფრას ორიე ნაპირი მოღრამული აქვს“.

მოღუსკვა (← მოღუნვა) ბეჭებში მოხრა. აქედან: მოღუსკული ბეჭებში მოხრილი (შდრ. შარაშ. მობღუნკული, ჩიქ. მობღუნკვა).

მოყრა მკვდარ ან ცოცხალ-მკვდარ გოჭთა. ლეკვთა ან კნუტთა დაყრა. „გალახულმა ღორმა გოჭები მოყარა“. აქედან: მოყრილი მკვდრად ან ცოცხალ-მკვდრად დაყრილი (შდრ. მოტანა).

მოჩენჩვა ჩენჩოს დაყრა, დაფანტვა. „ლობიო გოურჩევიაყე, მარა პარკები სოხანეზე მოუჩენჩავსყე“. აქედან: მოჩენჩილი ჩენჩოდაყრილი (შდრ. დაჩენჩვა).

მოჩირხალება სველი მიწის (ეზო, გზა, ყანა) ზედაპირის ატალახება, აჩიჩქნა პირუტყვთაგან. „ხარის ჯოგმა მოაჩირხალა

ეზო". აქედან: მოჩირხალებული ატალახებულ-აჩიჩქნილი (შდრ. ლაშხ. ჩირხა: მრგვალი ქვა, ხელით აღებული რისამე დასარტყამად; შდრ. ქღ. სვან. 77, ჩერხა).

მოცერცუა ტყის მხალეულია.

მოცლა ნაყოფის ჩამოლეწა მცენარეზე მოკრეფის ან ჩამოყრის შედეგად. „თურაშოულს ცოტა ება და მალე მოვცალეთ". აქედან: მოცლილი რაც მოცალეს, დააცარიელეს. ანდაზაა: „მოცლილ ხეს ვინ შეხედავსო" (შდრ. გაცლა, დაცლა; შდრ. ჩუბ. ჩამოცლა).

მოწყება დაწყება. „დედალმა კვერცხების დება მეიწყო", „სარები დავასვით და ღობეც მეევიწყეთ". აქედან: მოწყებული დაწყებული (შდრ. გაწყება).

მტყელი ბრტყელი. მტყლიურ სიბრტყეზე.

მუდამი დაუსვენებელი მუშა კაცი. მუდმობა გამუდმებული, განუწყვეტელი საქმიანობა (შდრ. ყუბ. I, მუდამად, შარაშ. მუდნება, ჯაჯ. I, მუდნიმ).

მურგვი მორგვი: 1. ჩოჩიალა ურმის თელის მორგვი; 2. თიხის მეჯურჭლის მბრუნავი ხელსაწყო — მრგვალი ფიცარი (ფირფიტა), რომელიც ხის კონუსისებურ ფეხზე დგას. მურგვზე გამოჰყავთ ქვევრის ძრო, ამთავრებენ და ასწორ-ალამაზებენ კოკას, ხალამსა და ქოთანს; 3. ყალიბი ნაბდის ქუდისა; 4. ძაფის მორგვი, გორგალი (ნ. ჭყ., ქღ.).

მძრავლი მძლავრი. „მძრავლი კაცი იყო" (ნ. ღლ. ქართლ. მძრაული, ქღ. გურ. 53, კახ. 277).

მჭიკა ჭინკა (ნ. საბა, ჩუბ. ჭიმკა, ქღ. სვან. 183, ჭიმკჳრ).

ნაბილარი, ნამბილარი დამუშავებული მიწა — ნასიმინდარი მიწა, რომელზეც პურეულს თესაენ. ნასიმინდარი მიწა ნარბილარია, რადგან იმარგლებოდა. ლეჩხუმში ყველგან მოჰყავთ სიმინდი, ლობიო და პურეული. სოფლის ფართობის ნახევარი სიმინდსა და ლობიოს უჭირავს, ნახევარი კი — პურეულს. ნარბილარზე პურეულს თესაენ, ჩხალოზე (ნ) კი — სიმინდსა და ლობიოს (სვან. ნაბილავ; შდრ. საბა, ჩუბ., ჯაგახ. I, 154, ნეიმ. ნარბილი, წერ. ნამბილარი, გ. შატბერაშვილი, ყამირი და ნარბილი: გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, № 11).

ნაბიჭვარი (ლ. ხ.) გადატ. ვაჩის საკვირტე მუხლში ამონაყარი ზედმეტი ყლორტი; სიმინდის, პამიდორის ან ღომის უვარგისი ღერო — დედა ღეროს ძირთან ამოსული. ნაბიჭვარს მოაშორებენ ვაზს გაფურჩქნის დროს, სიმინდს, პამიდორს ან ღომს კი —

მოროდზე (შდრ. ბერ., წერ., განმარტებითი ლექსიკონი ბიჭა-ბიჭა).

ნაგურალა/ე გვირილა (ბოტ.). აქვს თავისებური მყრალი სუნი, რასაც რწყილი გაურბის, არ ეკარება. მოჭრილი ნაგურალას კონას საწოლქვეშ მოათავსებდნენ. ნაგურალაში შაშხს ან ბეწვ-შალეულსაც გახვევდნენ. ხორცსა და ქსოვილს ჩიმჩა (ნ.) არ გაუჩნდებოდა (ლაშხ., ლენტ. ნაგურელაჲ; ნ. ერისთ. ანაგვირილა, ჩიქ. ნაგვარალა, მაყ. ანაგვირილა, სვან. და ლეჩხ. ნაგვირალა).

ნადიკვარი სახნავი ადგილი, სადაც დიკა ეთესა.

ნავი კევრის თავი — წინა ნაწილი, ზევით წამოწეული პირი (სვან. ნავ; შდრ. მენთ.).

ნათაგვარი გამონაყარი ტუჩებსა და ცხვირზე გაცივებისაგან, მალარიისაგან ან ნერვულობისაგან. თაგვის მიერ დასუნთქული საჭმელიც იწვევსო (შდრ. მენთ.).

ნამთეური ნაიალაღარი — საძოვრიდან ჩამოსული გასუქებული პირუტყვი. საგაზაფხულო თესვის დამთავრებისთანავე (მაისი) ზემო ლეჩხუმელებს ხარები მიჰყავთ ქვემო სვანეთის მთებში. ნახირი დაბრუნდება პურის მკის დროს (ივლისი). „ნამთეური ხარია, ეტყობა, კარქა დეისვენა და იბალახა“ (შდრ. ყაზბ. I, მენთ. ნამთევი).

ნამჩდალა (← ნაჩრდილარი) თამბაქოს ძირის ფოთოლი. მალე ყვითლდება და მდარე ხარისხისაა.

ნამცეცვი ნამცეცი.

ნაპწკიალი ნაპერწკალი (შდრ. პწკიალი).

ნატარვალი (ნაწარმოებია სიტყვისაგან ტარო) ფუჩეჩი სიმინდისა.

ნაფუჩნი (← ნაფურჩქნი) უკანასკნელად აღებული თამბაქო. თამბაქოს მხოლოდ ორჯერ დაკრეფენ. შემდეგ კი ძირზე მოჭრიან, შეკონავენ და გაახმობენ. პატარა და მდარე ხარისხის ფოთლები აქვს.

ნაფხუკი (ლ. ხ.) ღორის მსხვილი ნაწლავის გარეთა ქონი.

ნაღობირა დარღვეული ღობის შეშა (მეგრ. ნაღობერა).

ნაყვერბულა იყო ყვერბზე (ნ.) გამომცხვარი მჭადი ან ხმიადი (ლენტ., ბალსზ. ყურბეველ, ლაშხ. ყველბოურ; ნ. საბა ყურბეული, ჩუბ. ყვერბეული, ყურბეული, იმნ. ყუერბეული, ნეიმ. ყვერბეული, ჩიქ. ნაყორბალი).

ნაცარქხელი ღადარი (შდრ. ყიფ. ნა-ცხაცხელი).

ნაცხვენური, ნაცხუნური სიმინდი, რომელიც სხვენზე გაახმეს (სვან. ნაცხვენ).

ნაძვის ბალახი შვიტა (ბოტ.). სამკურნალო მცენარეა. გამხმარი ბალახის ნახარშ წვენს თირკმლების გასაწმენდად იყენებდნენ.

ნახდათ მონახადად. „ჟური ნახდათ აქვს" — ხშირად ხდის ქვევრს, რომელშიც სახარჯო ღვინო უსხია.

ნახმელარი გემო, რომელიც დაჰყვება დიდხანს მშრალად შენახულ თიხის, ხის ან ტყავის ჭურჭელში (ქვევრი, კოკა, საწნახელი, ბოჭკა, ტიკი...) ჩასხმულ სითხეს. ჭურჭელს წყლით გაჟღენთენ, კარგად გარეცხავენ და გემოს დაკარგავს (შდრ. შარაშ. ხმელარი).

ოლე (რ. ხ.) გრძელი ჩირგვი (შდრ. საბა, ჩუბ., ვაჟა II, ნეიმ.).

ოყინცია/ე იგივეა, რაც ციოყია/ე (ნ.).

ოშიორი ოხშივარი. „მოხარშულ ხორცს ოშიორი აზდიოდა".

ოჩხამური ვაზის ჯიშია. ისხამს სუფრის ყურძენს, რომელსაც თეთრი ფერი, მსხვილი მარცვალი და საშუალო ზომის შეკრული მტევანი აქვს. სოფ. დერჩში მოიპოვება.

ოჯინჯახი მარილ-პილპილითა და ძმრით შეზავებული დანაყული ნიგოზი. შეჭამანდი იყო (სვან. ოჯინჯახ; ნ. საბა, ჩუბ.).

პასკურია მარდი მოსიარულე ადამიანი პატარა ტანისა (შდრ. ჯანაშვ. პრაკუნი).

პაწკაპუწკით ფრთხილად, მჩატედ. „პაწკაპუწკით სიარული იცის".

პეტრებალობა პეტრეპავლობა (რელიგ.).

პორტყვა ბორდღვა, ფორთხვა — ოთხზე სიარული ბავშვისა (შდრ. ჩიქ. პორტყიალი).

პორჭყალი პწკალი (ბოტ.) — ულვაში, რითაც ხვიარა მცენარე (ვაზი, ლობიო, კიტრი, გოგრა, ეკალღიჭი, კატაბარდა...) სარს ან ხეს აჭყვება (ნ. წერ. ბრჭყალი, ჰჭყალი ვენახისა).

პრიხინი ტრაბახი, კვეხნა. პრიხინობს ტრაბახობს, იკვეხის.

პურწკნა პურეულის ღერ-ღერად მკა. „ჯერჯერობით ვპურწკნი პურს, მარა მალე ვისწავლი კარქა მკას"; პირუტყვისაგან ბალახის ნაწვერალების ცოტ-ცოტა ჭამა. „გვალემ დაწვა მიდერები, საქონელი იქა-აქა პურწკნის ბალახს"; კანის აცლა რამეზე (დანით, ფრჩხილით). „შემწვარ კარტოფილს პურწკნის", „ბუზუკს (ნ. ჩუბ., ჩიქ.) პურწკნის" (სვან. ლიპინწკლავალ).

პწკალი სახელურამდის გახლეჩილი სუფთა ჯოხი, რომელზეც აცმულია (ნახლეჩში ჩაწყობილია) შემწვარი თევზები, უფრო ხშირად კალმახები (სვან. პწკალ; შდრ. საბა, ჩუბ., განმარტებითი ლექსიკონი ბრწკალი, წერ., მენთ.).

პწკიალი ბრწყინვა. პ წ კ ი ა ლ ო ბ ს ბრწყინავს (შდრ. ნაპწკიალი; შდრ. შ ა რ ა შ. პრწკალი).

ჟიჟღნა იგივეა, რაც ჟღლემვა (ნ.). „კუტა, ნუ ჟ ი ჟ ღ ნ ი მა ბუზუკს, გამიზეზდება!" (შდრ. ბ ე რ. ჟუჟღნა).

ჟრიტინი მომაბეზრებელი, უთავბოლო, დაუსრულებელი ლაპარაკი (ნ. წ ე რ. ჩრიტინი).

ჟღლემვა, ჟიჟღნა უხეიროდ ზელა, სრესა სხეულის რომელიმე ადგილისა ან ჩვილი არსებისა. „გოუშვი მა ლეკვი, ნუ ჟ ღ ლ ე მ ა ვ!" (სვან. ლიჟღვრმინე; შდრ. ს ა ბ ა, ჩუბ. ჟღვლემა, ღლ. გურ., განმარტებითი ლექსიკონი ამოჟღლემა, შ ა რ ა შ.).

რიდამო მიდამო. რ ი დ ა მ ო-ნ ა ბ უ შ ვ რ ე ბ ი მიდამო-ნაფუზვრები. რ ი დ ა მ ო სოფ. სურმუშში ეზოსთან მდებარე ერთ-ერთ ყანას ეწოდება (შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

რიჟღინი ჟღარუნი. „ეჟვნების რ ი ჟ ღ ი ნ ი ისმის".

რკვნა კვერნა (ლენტ. კვენ; ნ. ყ ი ფ. კვინორი, ჟ ღ. სვან. 185, რკვენ).

როსული იგივეა, რაც წინკარი (ნ.).

რუკაპი როკაპი, „კუდიანი" (ნ. ს ა ბ ა).

რუძგაბი ველური. ტლანქი გარეგნობის მამაკაცი.

რუწკუმი კარსტული ძაბრი (ჭა). წკვარამი.

რუხვი რუხი. „მოკლა რ უ ხ ვ ი მგელი".

რუხუმბალი თეთრი ბლის ჯიშია. ნაყოფი მაისში შემწიფდის.

რჭიანი რწევა, ქანაობა. რ ჭ ი ა ნ ო ბ ს ირწევა. ქანაობს.

რცა ცა. „რ ც ა მ მეიწმიდა".

რწყუნლება პირუტყვისათვის წყლის დალევინება. „ საქონლის რ წ ყ უ ნ ლ ე ბ ა არ დაგამიწყდეს!" (შდრ. გარწყალება; შდრ. მორწყვა, მორწყული; ნ. ჩ ი ქ. ნარწყული).

სადივარი (ცხ. ხ.) სადინარი — საწნახლის ღარი, რომელზეც ტკბილი გადმოდის.

სადოლავი საკოდელი — დოლაბის მოსაკოდი ჩაქუჩი.

საირმული ადრეული ვაზის ჯიშია. თეთრ ყურძენს ისხამდა. მსხვილი მარცვალი, გრძელი და შეკრული მტევანი ჰქონდა. დაბლარ ვენახად აშენებდნენ. მაღალი ხარისხის ღვინოს იძლეოდა. სოფ. საირმეში იყო გავრცელებული (შდრ. ჯ ა ვ ა ხ. II, 446, 501, 520).

საიყელიო (ქვ. ლეჩხ.) ქვა, ჯირკი ან ფიცრის ნაჭერი, რასაც ბერკეტი ეყრდნობა.

სალაპოტი საბორგავი. „რამ ააწრიალა, რა ს ა ლ ა პ ო ტ ი ოუტყდა?!".

სამაკინო ზრდადასრულებული დეკეული. დასამაკებელი ასაკის (სამი-ოთხი წლის) უშობელი (ნ. შარაშ. სამაკინელი).

სამთხილო კბილი (←საფრთხილო კბილი) ღრძილის კბილსა და საკბეჭ კბილს შორის მდებარე კბილი.

სამჭლეო სათავი მწირი მიწისა, რომელსაც ვინმეს მიუზომავდნენ გაყოფის დროს.

სამხევი საჭმელი მადის აღმძვრელი, არამსუყე საჭმელი, როგორიცაა: მწვადი, შემწვარი წიწილი, ხაჭაპური, ჩამქაფებული ბოსტნეული...

სანეხველა (სანეხვე) შემოღობილი ადგილი, სადაც ნაკელს აგროვებენ.

სანი ისანი (ნ.), ადამიანის ჩამომავლობისა და კუთვნილების აღმნიშვნელი აფიქსია. დაერთვის უკვეცელ სახელს: ა) მანდარიასანი, ჭიღვარიასანი, ბერულავასანი, ჩაფრავასანი... „ჯაბურიასანები ზელუბანში (ნ.) სახლობენ“, „მგლემა გუგავასანი ხარი დაგლიჯეს“; ბ) ყარავანასანი, აღდგომელასანი, უფლისასანი, წყალობასანი, სერგისანი, დათისანი, სეფესანი, ძურაბესანი, ზაზუსანი, პაჭუსანი, გახოსანი, ხვთისოსანი, საჩინოსანი... „კატულასანი სემინარა ას-ას დორიან ჭურებს ამზადებდა“, „მალხაზასანი დუქანი და წისქვილი აჭარი ხიძე იყო“, „გოტალასანი ნაბუზვარი დიდი მოსავლიანი ადგილია“; გ) პიმპილასანი, ყურჭიტასანი, ტლიკავასანი, კოშიასანი, გაძვერიასანი, ღაფესანი, უხარჩავასანი, ზუულასანი, დაქფულასანი, ჩიბუხასანი... „ფოცასანი ბოში პურტყვებს მიდენიდა“.

რაჭულ გვარში დათუსანი სან სუფიქსი არის წარმოდგენილი.

სარაყუჯელა (რ. ხ.) უშნო მაღალი კაცი, აყლაყუდა.

სარმანა (ქვ. ლეჩხ.), **მანა** (ზ. ლეჩხ.) ჭალი, ურმის ზესადგარში ჩარჭობილი სარი (სიმაღლით ერთ მეტრამდე). თითოეულ ზესადგარზე ორი ან სამი (ურემზე ოთხი ან ექვსი) სარმანა დგას. სარმანები დაწყობილ საგნებს (შეშა, თივა, ჩალა...) გადავარდნისაგან იცავენ (შდრ. ბერ. სალმანა).

სასამთლე ბუხრის თარო, სადაც სანათურს დგამენ.

სატუჩური ტუჩისათვის დატოვებული ცარიელი ადგილი სავსე ჭიქაში.

საფეტვიე (ცხ. ხ.) თეთრი ქლიავის ჯიშია. ჭანჭურისებური ნაყოფს ისხამს.

საფიცხი ქვა ან ცელმოტეხილი დოქი, რომელზეც ცეცს ააყუდებენ და ცეცხლზე მიაყრიცხებენ.

საქვაბური საქვაბე, ქვაბის საკიდელი ჯაჭვი.

საყანვარი საყანე მიწა. „საყანვარები ჯერ ბარში დეიხვნება და მერე თაში“ (ნ. საბა, ჩუბ., ჯავახ. I, 138, ნეიმ. საყანური).

საყვერბია/ე ადგილი, სადაც ყვერბის (ნ.) ქვა მოიპოვება.

საშუში (ლ. ხ.) ქვევრის თავზე დასაყარი ფხვიერი მიწა, თირი. იგი სარქველზე დატკეპნილ აყალო მიწას იცავს: თიხა აღარ დასკდება გვალვაში.

საჩეკი ჯირკი ან დაბალი სამტოტა ძელი, რომელზეც სარს, ჰიგოს და მისთანებს დაჩე:ენ, წვერს წაუთლიან, წაუმახვავენ.

საციცქარი მცირე მშრალი საჭმელი თავის შესაქცევად. „ბოშს ხელში უჭირავს საციცქარი — ყველი და ჭადის ნატეხი“ (შდრ. ციცქნა).

საწენგულო წელისა და გულის ტვირთი, შრომაგასაწევი, საჯაფო. „დამხმარე არევინ ხავს, თელ ქონებას მარტვე ის უვლის და პატრონობს, ყველაფერი მისი საწენგულო არი“.

საწკვეტელა/ე, საწყვეტელა/ე ჭილი (ბოტ.). საწკვეტელა მაგარია, ძნელად წყდება, რის გამოც მას ბავშვები სათამაშოდ იყენებენ. ღეროებს ცალ-ცალკე ამოაძრობენ და მარცხენა ხელის შუანათითზე დაწნავენ გალიისებურად, რასაც „ხარს“ უწოდებენ. — ხარები დავაჭედოთო, — იტყვიან. თითო-თითო წნულს ორი ბავშვი ხელში დაიჭერს. თავებს ჯოხით გადააბამენ. თითოეული თავისაკენ გასწევს. ერთ-ერთი „ხარი“ გაწყდება. ბავშვები საწკვეტელას მათრახადაც წნავენ.

სახიმი სწორი ჯოხი, რითაც ძაღლი არის დაბმული. ძაღლი სახიმის ბოლოებზე მიბმულ თოკს ვერ მისწვდება, რომ დაღრღნას და გაწყვიტოს (სვან. საკიმ; შდრ. ჩუბ., ჰყ. სახიბი).

სახლისაშვილი გათხოვილი ქალის შვილიშვილი, სახლიშვილის (ნ.) შვილი ან მისი შემდეგი შთამომავალი.

სახლიშვილი თავისახლობა და მისი ნათესავები გათხოვილი ქალის შვილს სახლიშვილს უწოდებენ. „სახლიშვილი დედულს ეწვია“ (შდრ. სახლისაშვილი; შდრ. საბა სახლისწული, ჩუბ. სახლი: სახლის შვილი).

სახნაური სახნავი (ნ. იმნ. ქართლ. 332).

საჯარჯე შურო (ნ. ბერ., ჩიქ.) — ტყიან მაღალ მთაში ან მის ყამირ კალთაზე დაშვებული თხრილი, ნაღვარევი, სადაც ჯარჯები (ნ.) თრევით ჩამოაქვთ.

სირბინი სირბილი (შდრ. გარბენა).

სისხინი სიანჩხლე. სისხინობს ანჩხლობს (ნ. ჩუბ. სისხი: შდრ. ჩიქ.).

სიცინი სიცილი (შდრ. გაცინება).

სკვინტლი წვინტლი, სქელი ცინგლი.

სრიელი (ლ. ხ.), **სურიელი** (რ. ხ.. ცხ. ხ.) მუშაობის დროს ერთ ჯერზე (დასვენებიდან დასვენებამდე) გათოხნილი ან დაბარული ნაწილი მიწისა, მომკილი ნაწილი პურეულის ყანისა (სვან. ლუსვეი; შდრ. ჭყ. სროლი, ღლ. გურ. სრელი, მენთ. სვე, კლდ. I, ჯაჯ. I, ნეიმ. სვრელი, განმარტებითი ლექსიკონი გატანა: სვის გატანა).

სურიელი იგივეა, რაც სრიელი (ნ).

სხინჭილი გადაჭარბებული და სწრაფი ლაპარაკი ქალიშვილისა. სხინჭილობს თამამად და სწრაფად ლაპარაკობს. სხინჭილა გოგონა, ვინც სხინჭილს არის მიჩვეული.

სხიპინი სხაპასხუპით ლაპარაკი. სხიპინობს სხაპასხუპით ლაპარაკობს.

ტალი ლაქა. „სახეზე ტალები გასჩენია“.

ტარ-კვირისთავი დიდი თითისტარი, რომელზეც დართულ ძაფს დაძახავდნენ — მურგვის (ნ.) ორმაგ ან სამმაგ ძაფს ერთად შეაგრეხდნენ. შემდეგ დაძახული ძაფის მურგვს გააკეთებდნენ. თითისტარს თითქმის ნახევარი მეტრი სიგრძე ჰქონდა და თავდაღმა დააყენებდნენ. ძაფზე ჩაპოკიდებულ ტარს თეძოსთან მიიტანდნენ და გაშლილი ხელის გულით დააბრუნებდნენ (ხელს-მუხლის თავამდის ჩააყოლებდნენ და შემდეგ გაუშვებდნენ). ძაფს ნახევარ ტარზე დაახვევდნენ, გადაჩაკვა (ნ. ალავ. ლეჩხ. ზეპ. 120) არ წარმოებდა: ტარის ამოჭდობილ ბოლოზე (კვირისთავთან) ძაფს დროდადრო დაამაგრებდნენ და ნაძახი არ ირღვეოდა (შდრ. გურამ.).

ტიკავ-ტიკავი ცემა-ტყეპა. „შეიქნა ჩხუბი, ტიკავ-ტიკავი“ (შდრ. ბერ. ტიკვა).

ტილიფობა (რელიგ.) სულიწმიდის მოფენა — მეათე დღე ამაღლების შემდეგ. მიცვალებულის საფლავზე საკურთხთან ერთად ერთ მუჭ ტირიფის ტოტებსაც მიიტანდნენ.

ტინტველა (ლ. ხ.) მარდი ხელიკი (ზოოლ.; შდრ. ბერ. ტინტილ; ნ. ყიფ. ტინტილა, შარაშ. ტინტილაი).

ტირთვი ტვირთი. „ცხენს ძმიმე ტირთვი აჰკიდა“ (რაჭ., ზ. იმერ.; ბალსზ. ჰვირთ, ლაშხ., ლენტ. ტირთვ; ნ. ბერ. ჰვირთი, ჰურთი, ქღ. ჰვირთი, განმარტებითი ლექსიკონი დაჰვირთული).

ტოლანები ტოლნი (ნ. კბილანები; ნ. კახ. 282, 290, ტოლებნები, ტელევნები, ტოლებნი).

ტუკი სიმინდის, ლობიოს დასაფშვენი კეტი ან გრძელტარიანი ურო ხისა; ჩასართავად მოხარშული ლობიოს გობზე დასაჭყლეტი მოკლეტარიანი ურო ხისა (ნ. დატუკვა; სვან. ტუკვ; შდრ. საბა, ჩუბ., ბერ., ყიფ., ქღ., ღლ. გურ.).

უგაბი დაუმწიფებელი, მკვახე ხილი (შდრ. საბა უგბილი, ჩუბ. უგბილი, უგბოლველი, მარი ჭან. გუბ, ბერ. უ·გაბავი, სახ. უგბილება).

უგავნო უგვანო, უმგვანო, უმსგავსო.

უგლავი დიდი ტანის ავი მამაკაცი.

უზაური უზარმაზარი, დიდი, ვეებერთელა.

უკანასკნელი (← უკუანაჲსუკუანელი) უკანასკნელი (ნ. შან., იმნ. ოთხთ. უკუანაჲსკნელი, იმნ., ყუბ. I, უკუანაჲს, ჩუბ. უკუანი; დ. მაჭავარიანი: კელე სუჟიქსი ქართულში, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, X, 1951, გვ. 43–50).

უკვირმაკვირი ადამიანი, ვისაც სხვისი ნამოქმედარი არ მოსწონს, ნიადაგ აკვირვებს (შდრ. მენთ. მიკვირია).

1. **უსახელოული** სოფ. უსახელოს მცხოვრები, უსახელოელი.

2. **უსახელოული** უსახელაური (ვაზის ჯიში).

უწუმ უცებ. „უწუმ სტაცა ხელი" (შდრ. წამდაუწუმ).

უჭიატარი ხანგრძლივი გაჭიანურებული ავდარი, როცა მზე მიწას ველარ დაჰყურებს (სვან. უჭიატ; შდრ. ბერ., ქღ. ჭიატი).

ფატარი მეტეხი ხე. მაგარი მერქანი არა აქვს და ადვილად ტყდება, მაგ., თხმელა, ვერხვი, იფანი, ხემყრალი... (შდრ. საბა, ჩუბ., ყიფ.; ნ. მენთ.).

ფახაცი დაჟარული შიში. ფახაცის დროს ადამიანი დარწმუნებულია, რომ დანაშაულს გაუგებენ და დასჯიან. იგი შიშს ვერ ამჟღავნებს. „უჭირს, ფახაცი აქვს" (სვან. ფახაც).

ფერვანი (← ფეროვანი) ფერ-ხორცით საკვე, წითური. „ჯანსაღი და ფერვანი კაცია".

ფერციხი ცეკვა-თამაში საზოგადოდ. ფერციხობს ცეკვავს, თამაშობს.

ფიორობს ცოტ-ცოტა, შეუმჩნევლად თოვს (შდრ. ჰყ. ფიორი, ყიფ. ფიორ).

ფირფიცი ტივტივი (ნ. მოფირფიცება).

ფოცი სწრაფად მომუშავე (შდრ. ჩუბ. ფოთება, ფოთვა, მენთ. ფოთი).

ფოხიალი ავადმყოფი ან მოხუცი ადამიანის შეუძლო მუშაობა. ფოხიალობს მსუბუქ სამუშაოს ასრულებს. „დაბერდა და გარეთ ვეღარ გამოდის, შინ ფოხიალობს“ (სვან. ლიფოხიალვალ; შდრ. ბერ. ფოხი. ჟღ. ფოხვა, შარაშ. ნაფოხიერი).

ფრიაჭი მჩატე ნივთი, მაგ., ცარიელი ჩემოდანი.

ფსხლიკურწა კანის ავადმყოფობაა, „ბატონები“. ბაგშეს ტანზე შავად გამოყრის. ცხრა დღე გრძელდება.

ფუვის ხრჩოლავს — ცუდად იწვის და ბევრი კვამლი ასდის. „კვინძი ნედლია და არ იწვის, ფუვის“. აქედან: ფუვიღი ხრჩოლვა (ნ. აფუვლება; ნ. ბერ. ჩუილი; შდრ. ყიფ. ფუნ: ფუნს).

ფურჩხი ფიჩხი — მოჭრილი ხის განასხეპი წვრილი შტოები, ნაკაფის შეშა. ოფურჩხეთი სოფლის სახელწოდებაა ქუთაისის რაიონში (ნ. ჰუ. ფორჩხი, შარაშ. ფარჩხი, წერ.; შდრ. ჟღ., ღლ. გურ. ფორჩხი).

ფშაკე (ცხ. ხ.) შაბისებური (გემო). „გომბრო (ნ. ჩიქ.) ფსხალს დამწიფებამდი ფშაკე გემო აქვს“.

ფშვიტინი სტვენა. ფშვიტინობს სტვენს (ნ. ნიჟ. 407, ლიშვეპ, მარი ჰან. სტვინ, ყიფ. რშვინი, მიშვიტია, ჩიქ. შედ. ლექს. 314, ჰან. სტვ — || სთვ—, მეგრ. რშვ—, განმარტებითი ლექსიკონი დაშტვენა, ჟღ.).

ქათქათი გამჭვირვალობა. ქათქათა გაქათქათებული (ნ.), გამჭვირვალე. ქათქათობს გამჭვირვალეა. „წულუკიძის თეთრა ქარვასავით ქათქათობს“ (სვან.; შდრ. მენთ.).

ქანქალი ფამფალი, ფანფალი. ქანქალობს ფამფალებს. „კპილი მძვრება, ქანქალობს“.

ქარშოშინი (ცხ. ხ.) სიო, ნიავი. „სიცხე იდგა, მარა ნასამხრებს ამევიდა გამაცოცხლებელი ქარშოშინი“.

ქაცეცა კაკა, ჩიტიკაკა საუკეთესო კაკლის ხის ჯიშია. ისხამს საშუალო ზომის მარცვალს, რომელიც მჩატეა და თხელნაჭუჭიანი. ჩიტი ტეხს და ჭამს.

ქეშელი მოუკუპრავი ტიკი. მასში თაფლს ან მაჭარს მოათავსებენ სადმე წასაღებად (სვან. ქეშელაჲ; ნ. საბა; ჩუბ., ნეიმ. ქეშელა).

ქვაბირანა/ე ქვაბნარი.

ქველუბანი ქვედა უბანი სოფლისა. აქედან: ქველუბნელი ქვედაუბნელი (შდრ. ზელუბანი; შდრ. ყიფ. ქოლობანი).

ქვინთლი ღორის ხორცის ქონიანი სქელი მონათალი (სვან. ნაქინთალ).

ქვიქვინი ქვითინი. ქვიქვინობს ქვითინებს (ნ. ბერ. ქვირქვილი.

ქინციხი მაღალი გორა, კორტოხი.

ქირში წყალი ძლიერ ცივი და უხეში (მაგარი) წყაროს. გულზე ცუდად მოქმედებს, თავ-პირის დაბანის შემდეგ სახეზე ქერცლს აჩენს, თმას ჯაგარივით გახდის. სარეცხად არ ვარგა: საპონს დაჭრის — არ აქაფდება. ასეთია, მაგ., სოფ. საირმის წყარო „წუდილაში" (შდრ. ჯავახ. II, 66, ქირში, წერ. ქირში მიწა).

ქობუდანი ქვებუდანი, ქვეშქვეშა, გაიძვერა.

ქობუნი ქვაბული. „ხვამლში რამდენიმე ქობუნი მეიპოვება" (ნ. ჯაჯ. I, გამოქობილი).

ქონის ხავიწი ქონში მოზელილი პურის ცომი, რომელსაც ცხლად შემოადებენ მუწუკზე. ხავიწი ამოსწუწნის ჩირქს (შდრ. საბა, ჩუბ., ვაჟა რჩ., ნიჟ. 27ბ, კირ., შან. კევს., შარაშ., წერ., მენთ. ხავიწი).

ქორწვილი ქორწილი (ნ. ნიჟ. 405, ქორწილ, შან. კევს. კორწილი, ჭღ. სვან. 80, ქვერწილ).

ქოფე (ცხ. ხ.) ხვიმირა; ალატი (შდრ. ყიფ.).

ქრისინი უწესოდ და მეტისმეტად წმენდა, რეცხვა, ხეხვა: ჩოთჩის ქრისინი ტანსაცმელზე, საპნისა — სარეცხზე, სახეხისა — ჰურჰელზე...

ქრისტეს ნავალი ირმის ნახტომი (ასტრ.) — თეთრი ზოლი ვარსკვლავებიან ცაზე.

ქსუტუნი ფშუტუნი — ცხვირის ღრუს ავადმყოფობაა. ქსუტუნობს ფშუტუნებს. „სულთქმა უჭირს და ნიადაგ ქსუტუნობს". ქსუტუნია/ე ფშუტუნით სნეული ადამიანი (შდრ. კირ., ნეიმ. ქშუტუნი, ჩიქ. ქსენა, განმარტებითი ლექსიკონი დაიქშუტუნებს).

ქუჟუნი ხველება. ქუჟუნობს ახველებს (შდრ. ბერ. ფიჟუა/ე, ყიფ., ჩიქ., ნეიმ., ფიჟვი, შარაშ. ფიქვაი, ფირფიჟაი).

ქფილია/ე, ქფილუა/ე მჭადა (ბოტ.; ნ. საბა, ერისთ., ჩუბ. ფქვილა, ჩიქ. ფქვილუე).

ქშუული ქშინვა. „საბერველის ქშუული შორს ისმოდა". ქშუულა მეტსახელია კაცისა. აქედან: ქშუულასანი (შდრ. ჩუბ. ქშუვილი).

ღაბნის მოსვლა შეღონება, გულის შეწუხება. „ბოშს დედა შინარ ხავს, მიხედე, ღაბნი არ მოუვიდეს!"

ღარღაცი ავადმყოფობა, სუსტად ყოფნა. ღარღაცობს ავადმყოფობს, სუსტადაა.

ღვირძლი ღვიძლი. გულ-ღვირძლი გულ-ღვიძლი.

ღიატი სუსტად ბრუნვა გვიმიანი წისქვილის (ნ. ალავ. ლეჩხ. ზეპ. 102) ქვისა. ღიატობს ქვა სუსტად ბრუნავს ცოტა წყლის გამო (შდრ. ბერ. ღირტიმალი).

ღიზღიზა (ქვ. ლეჩხ.) გიზგიზა (ცეცხლი). ღიზღიზობს გიზგიზებს.

ღმუული ღმუილი. „მგელმა ღმუული დეიწყო".

ღომავაშლი საშემოდგომო ვაშლის ჯიშია. ნაყოფი წვრილია და ყვითელი ფერისა (მეგრ. ღუმუშ უშჭირი; შდრ. დაღომება).

ღონია ჰგონია. „მისი ნათქვამი ამას მართალი ღონია".

ღორტაპო უმაღლესი კიბო, რომელიც ცხოვრობს მტკნარ (უმარილო) წყალში (ნ. საბა, ერისთ. ღორტავა, ჩუბ. ღორტვა, წერ. ღორტაკი, ჩიქ. ღორთელა).

ღრიკვი ადგილი კვირისტავქვეშ, სადაც ფეხი იკეცება. მუხლის სადრეკი. „ძალმა ღრიკვში უკმინა" (შდრ. ნიჟ. 410, ნანრკვ, ბერ. ღვირკი).

ღრონიო გულჩათხრობილი. ღრონიო ადამიანი თავის გულისთქმას სხვას არ გაუზიარებს.

ღუნთულო ნელთბილი, საამო, მზით გამთბარი წყალი.

ღუნჩალა მოდუნებული. უხალისო, მაგრამ ცბიერი კაცი (შდრ. ქღ. სვან. 143, ლუღუნჩე).

ღურღუმალი ღრმა წყალი, მორევი (შდრ. ჩაყურყუმელავება; ნ. ჰყ. ღურღუმელი).

ღუტუნია/ე გოჭი მოფერებით. ღრუტუნი-საგან წარმოდგება (სვან. ღუტუნწლ; შდრ. ბერ. ღუტუ-ღუტუ!).

ღუული ბღუილი. ღუულ-ღუულით ბღუილ-ბღუილით. „მოზვერი ღუულ-ღუულით მიზდევდა ჯოგს" (ნ. საბა, ჩუბ. ბღუვილი).

ღჯილი დიდი საღეჭი კბილი, ღრძილის კბილი. ღრძილს ნუნა ეწოდება (შდრ. მარი ჭან. ჯირჯილი, ღინჯგილი. ყიფ. ჯირგილი, ჩიქ. შედ. ლექს. 55, ჯირჯილი, ჯირგილი, ღრძილი, კირ. ღჯოლი, წერ. ღრჯოლები).

ყაბა მსუბუქი ტვირთი (ბამბა, მატყლი, თამბაქო, თივა, სიმინდის ჩალა, ფუჩეჩი, ლობიოს ჩენჩი, ცარიელი ქვევრი, კოკა, ბოჭკა, ყუთი...), რომელიც ფართო ადგილს იჭერს. „ხარები არ დეიღლებიან, ურემზე ყაბა ტირთვი აწყვია" (შდრ. ბერ., ნეიმ.; კირ. ყაბათ, მენთ. ყაბად წასელა, შარაშ. ყაფა).

ყანცალა/ე ყანყალა, მოწანწალე აყლაყუდა (ნ. შარაშ. ყანყლაცი; შდრ. ჯაჯ. I, ყანცალი).

ყარანა ნაცრისფერი ჩიტია. ტყეში ცხოვრობს. ანწლსა და ყურძენს ჭამს (სვან. ყარანაჲ; შდრ. საბა, ერისთ., ჩუბ.).

ყელისჩხირა ბალახეულია. ყვითელია, ჯაგებში ხარობს და ძირი სტაფილოს მიუგავს. ყელისჩხირას ძირის ნახარშს ხველების წამლად იყენებდნენ.

ყერყუტა ყანყრატო, ხორხი.

ყვერბი ბრტყელი ქვა, რომელზეც შუაცეცხლს ანთებენ. ყვერბზე წინათ მჭადსა და ხმიადს აცხობდნენ (ნ. ნაყვერბულა, საყვერბია; ლაშხ., ლენტ. ყველფ; ნ. საბა, ჯავახ. II, 118, ყუერბი, ჩუბ., ჟღ.; ნიკ. 301, ყვერფ, ბერ. ყურები, ყიფ. ყებური, კებური, ღლ. გურ. ყვებური).

ყლაპუნა ზარმაცი და ჭამა-ყლაპვის მოყვარული ადამიანი (სვან. ყლაპიაჲ).

ყმედი ყბედი. ანდაზაა: „ყმედი მუნჯმა მოღალაო". ყმედობს ყბედობს.

ყმუული ყმუილი. „მგლის ყმუული ისმის" (ნ. ჩუბ. ყმუვილი)

ყურაგდება ყურის დაგდება, ყურადღება (ქვ. იმერ. ყურაღდება).

ყურმანდი (← ყურმარდი) ფხიზელი. მახვილი სმენის მქონე.

ყურუმელა/ე (ცხ. ხ.) შავი კუნელი (ბოტ.; ნ. ჩიქ. კურმელა).

ყურყუმელი ძლიერ ბნელი ღამე, წყვდიადი (შდრ. ბერ. კურკუმელა ღამე, ჟღ ყურყუმა, ჩიქ კურკუმელი).

შამოკუშნა ქვეშ ჰმუქნით შემოტენა ტანსაცმლის (ჩოხა-ახალუხის, კაბის...) ბოლოებისა ან საბნის პირისა. „საბანი შამეიკუშნა და ტკპილათ დეიძინა". აქედან: შამოკუშნული შემოჰმუქნილი (შდრ. დაკუშნა; სვან. ლიკუშნავი; შდრ. შარაშ. ჩაკუშვა).

შამოწკნატვა ახალი ქალამნის კოხტად, ლამაზად ჩაცმა. „წინდებზე ქალაბნები შამეიწკნატა". აქედან: შამოწკნატული კოხტად ჩაცმული (ქალამანი).

შამოჭენება (შემოჭენება) გადატ. აზრის, ხასიათის შეცვლა უეცრად. „ვარი თქვა წასვლაზე, მარა ცოტა ხნის მერე შამოუჭენა და გეემგზავრა", „ახლა წუნარათაა, მარა მალე შამოუჭენებს, გაჯავრდება".

შამშაფათი სამშაბათი.

შანკვი მახის ან ზანდურის მოსაკრეფი მაკრატლისებური ხელსაწყო. ნახევარი მეტრი სიგრძის მქონე ორ გათლილ ჯოხს (შინდისას ან თხილისას) ერთმანეთზე წვრილი თოკით გადააბამდნენ. შანკვი ორივე ხელში ეპირათ. გახსნიდნენ და რამდენიმე თავთავს შიგ მოაქცევდნენ, შემდეგ შეკრავდნენ — თავთავები მოსწყდებოდა ღეროებს (შდრ. წაბოშანკვა; ნ. ჯავახ. I, 345, II, 80, შნაკვი, ჩიტ. რაჭ. სახ. 275, ჩიტ. ლეჩხ. ექსპ. 264; შდრ. ქღ. შანკო, მაკალ. 185, შანკი).

შელოპვა სწრაფად ასვლა. „ი ბიჭი კატასავით შეილოპა ხეზე“ (შდრ. ბერ. ა-ლოპვა).

შემაშვნება შეშნოება, მოხდენა. შეიმაშვნა შეიშნო, მოიხდინა (შდრ. საბა მაშუნე, ყუბ. I, შემაშუს, იმნ. მოშუენ).

შემხობილი თეძო დიდი ულუფა — მთლიანად (შუაზე გაუჭრელად) შემწვარი ან მოხარშული თეძო ხბოსი ან ცხვრისა (შდრ. ჰყ. მომხობილი, წერ. შემხობილი კურტუმი, ჯაჯ. I, შემხული).

შეტავება შეყვირება, გაწყრომა, გაჯავრება. „ბოშმა, ალბათ, დააშავა რამე, თვარა ვინ შოუტავებდა?“, „ხარები მიზოზინობენ და შოუტავე!“ (შდრ. მიტაევება; შდრ. საბა შეეტევებინა, ჩუბ. შემოტევა, შეტევა, ყუბ. I, შეტევება, იმნ. შემოტევება, განმარტებითი ლექსიკონი გაუტევს, დატეყა).

შეჩეჩვა გაბრუება, გარეტიანება და დაჟეჟვა ტანში. „გაცივებული ვარ, გრიპმა შემჩეჩა“. აქედან: შეჩეჩილი გარეტიანებული და ტანში დაჟეჟილი (შდრ. აჩეჩა).

შვილთაშვილი ბადიშიშვილი — შვილიშვილის შვილი ან მისი შემდეგი შთამომავალი (правнук).

შილი მაზლის ცოლი. ორი დის ქმრები ქვისლები არიან და ორი ძმის ცოლები—შილები (რაჭ., ზ. იმერ.; ნ. საბა, ჩუბ.. ნეიმ.).

შინამდგური ადამიანი, ვინც შინ დატოვეს და სახლ-კარს იცავს.

შინშხლი გაზიანი წყლის შხეფი. „ბჟავე წყალმა ჭიქაში შინშხლები ამოყარა“ (შდრ. ჩინჩხალი; სვან. შინშხალ; შდრ. საბა, ჩუბ. წინწკლი, ჰყ. ჩინჩხალი).

შირიფი დაჭფული მსხვილი, უბეწვო ფქვილი. ახალმოკოდილმა ქვამ იცის. ცომს ცოტა წყალი ჰყოფნის, მოზელის დროს თავს ვერ იყრის, მალე ცხვება და უხეშია (შდრ. საბა, ბერ., ნეიმ. შილიფი).

შიშროული შიშმორეული, შეშინებული (შდრ. საბა, ჩუბ. მშიშრეული, შიშნეული, ღლ. გურ. შიშლოურთი, შარაშ. შიშლოურაი, ნეიმ. შიშნეული).

შკაფანი ქალის ხმამაღალი, ჩქარი და განუწყვეტელი მოურიდებელი ლაპარაკი (ქაქანი) ჩხუბის დროს. „თელ კუთხე-მეზობელს ესმის მისი შკაფანი“ (სვან. ლიშკგრმჳთიელ, მეგრ. ჩქაფალი).

შლილობს იშლის. „ჯიუტობს, თავისას არ შლილობს“.

შლუა შვრია (ბოტ.; ნ. მაყ. შვრივა).

შრამელი ყოველგვარი შენობა, სადაც სიმშრალეა — საცხოვრებელი სახლი, ბეღელი, მარანი, საღორე, საქათმე, საბძელი, სასიმინდე, ფარდული, ჰიშკარი... (ზ. იმერ. ნამშრალი; შდრ. სვან. შრამელ: გამომშრალებული მიწა, ძელი ან ბერწი პირუტყვი; შდრ. საბა, ჩუბ.).

შრანდელი შარშანდელი (ნ. საბა, ჩუბ.; ჯანაშვ. შარანდელ).

შხამაშხუმა აჩქარებითა და უსიამოვნოდ. „დრო არ ხონდა, რო დარჩენილიყო, სადილი შხამაშხუმა შეჭამა და წევიდა“.

შხივი კლდოვანი ადგილი, სადაც მდინარე შხუილით გადმოდის და აქაფებულია — водопад, ჩანჩქერი, წყალვარდნილი (შდრ. საბა, ჩუბ., ნეიმ. შხივილი, ჰუ., ჩიქ.).

ჩამაყურჭება მაყურჭის (ნ.) გასკვნა, ჩამარყუჟება. „ჩქარა ჩოუმაყურჭე ტაპიკს მა აპოური!“ აქედან: ჩამაყურჭებული ჩამარყუჟებული (სვან. ლიმარყუჯ; შდრ. წერ. ჩამაყურჭებული, განმარტებითი ლექსიკონი დამარყუშებული).

ჩამომრები (ნაწარმოებია ზმნისაგან ჩამორება) მსუბუქი და ხანმოკლე სახადი, გადამდები სენი (გრიპი, ხველება...). მძიმე ავადმყოფობას (პარტახტიანი ტიფი, ტუბერკულოზი, „ბატონები“...) არ გულისხმობს (შდრ. მეგრ. ჩამორები: ცხენის ავადმყოფობაა).

ჩამომქშევა მცენარის მთელი ნაყოფის ძალდატანებითა და ერთბაშად ძირს ჩამოყრა. „ქარმა ჩამოამქშია ვაშლი“. აქედან: ჩამომქშეული გაფუჭებული, ძალით ძირსჩამოყრილი (ნ. ჯაჯ. I, ჩამონქშევა).

ჩამოუბება (ნაწარმოებია სიტყვისაგან უბე) საფეიქრო დაზგის ცილინდრზე (ლილვზე) დახვევა შალის ნაქსოვისა. „ნაქსოვს ჩამეუბებდით დროგამოშობით, მერე ქსოვას გავაგრძელებდით“.

ჩარქვიანება გამობრა, ჩათვლა, გამოქვითვა. „მომეცი ახლა ცოტა ფული და მას ჩემს ვალში ჩაგირქვიანებ“. აქედან: ჩარქვიანებული ჩათვლილი, გამოქვითული (ნ. ბერ. ჩა-თქვანიება).

ჩაღურჯნული ძალზე ჩაწვერიანებული ადგილი. მაგ., ფსკერი ქვევრისა ან გიდლისა.

ჩაჩლუჩვა წინდის ან ჩულქის მოშვება, დანაოჭება, დაწევა ძირს. ჩულქი ჩაიჩლუჩება, როცა წვივსაკრავი საკმაოდ არ უჭერს. აქედან: ჩაჩლუჩული მოშვებული, დანაოჭებული (ნ. ჯაჯ. I, ჩაჩლურტვა).

ჩიმჩა ჩრჩილი. ბეწვეულ-შალეულსა და შაშხს უჩნდება. ჩიმჩა რომ არ გასჩენოდა, ქსოვილსა და ხორცს ნაგურალაში (ნ.) გახვევდნენ (ნ. დაჩიმჩვა; სვან. ჩიმჩაჲ, ზ. იმერ. მჩიჩი; ნ. მარი ჰან. ჩიჩი, ბერ. ჩინჩა/ე).

ჩინჩხალი ნაპერწკალი. „სილა მაგრათ მოხვდა, თვალებიდან ჩინჩხლები წამომაყროვია“ (შდრ. შინშხალი, ცენცხვლა; ნ. საბა, ჩუბ. წინწკალი, ჰყ. წინწკლი, მარი ჰან. ნო-ცინცხალე, ჩიქ. შედ. ლექს. 159, ნოცინცხალე, ცინცხალი, ჟღ. ნაცინცხალა/ე).

ჩიტიკაკა იგივეა, რაც ქაცეცა კაკა (ნ.).

ჩიქჩიქი გაურკვეველად ლაპარაკი. „ყური არევინ დოუგდო მის ჩიქჩიქს“. ჩიქჩიქობს უაზროდ ლაპარაკობს (შდრ. ჩიფჩიფი).

ჩიჩილაკი გადატ. გამსკდარი კანი ფრჩხილის ძირში. თითის შეშვავე ტკივილს იწვევს. მას ამოაცლიან — ნაფცქვენად იქცევა.

ჩიჩხვი მონათესავე. „ამოწყდა. მისი ჩიჩხვი არ დარჩენილა“.

ჩორგოლოური (ლ. ხ.) თავდაპირველად ჩორგოლიანის მიერ შემოტანილი ვაზის ჯიში. ყურძენი თეთრია, მრგვალი, დიდი და საკმაოდ მტევანა აქვს. საშუალო ხარისხის ღვინოს იძლევა.

ჩოჩარე სახენელის ქუსლი, რომელიც ჩოჩავს მიწაზე დულათ ხვნის (ნ.) დროს.

ჩუბერა, ჩვიბერა ლიპიანი ადამიანი.

ჩხალო დამუშავებული მიწა — ნაპურალი მიწა, რომელზეც სიმინდსა და ლობიოს თესავენ. ნაპურალი ბიწა არ არის ნაბილარი (ნ.), რადგან იგი არ იმარგლებოდა (შდრ. საბა კრცხალი, ჩუბ., მაყ. მეც. კრცხალი, ნაჩხატი, ჯავახ. I, 154, რცხალი, მენთ., დათ. ნაჩხატი).

ჩხართები შინ სახმარი ფეხსაცმელები, დახეული ქოშები (სვან. ჩანთხარ; შდრ. ჩუბ. ჩხლართვა, ნეიმ. ჩჩხლართავი. ჯაჯ. I, ჩართუნი).

ჩხოკიალი შეუძლო ადამიანის მიერ რკინის იარაღით (ცული, წალდი, ხერხი, სატეხი, ჩაქუჩი, დანა, გაზი...) რისამე საქმის კეთება, მსუბუქი სამუშაოს შესრულება. ჩხოკიალობს ჩხოკიალს აწარმოებს. „მოხუცდა, მარა მაინც არ ისვენებს, ყოველდღე ჩხოკიალობს: ხან ბოძს თლის, ხან სარცხს აკეთებს, ხან კალათს ბზნის“... (შდრ. ჩხაკუნი).

ჩხუნკი ღორის სენია. დაავადებული ღორი კიდურებს ველარ ამოძრავებს (შდრ. ხუკი).

ცაგერვანი ცაგერის მცხოვრები, ცაგერელი (ნ. კაკაბ. 18, ცაგეროვანი).

ციკურა წითლითა და თეთრი ფერით ჰრელი ხარის სახელია (სვან. ცხეკურაჲ).

ცენცა გადასავარდნი ნაპირი. „სანათლისი ცენცაზე დგას, გვერძე მისწიე, თვარა გადმოვარდება".

ცენცხვლა ღონივრად გარტყმა. გაწვნა (სილისა). „ძაან გამაჯავრა და ვსცენცხლე სახეში" (შდრ. ჩინჩხალი).

ციაფუათ ნაჩქარევად, ფაცაფუცით გაკეთება რისამე.

ციმცამი სწრაფად მიხედ-მოხედვა იქით-აქეთ, ახლომახლოს (ნ. დაციმცამება; სვან. ლიციცანჳლ; შდრ. ბერ. ჩიმჩამი, კირ. ციმციმათ, წერ. ციმციმ აღება, მენთ. ციმციმ, შარაშ.).

ციოყია/ე, ოყიენცია/ე სუსტი, გამხდარი ახალგაზრდა ადამიანი.

ციცანა/ე ღორის ავადმყოფობაა (შდრ. მენთ.).

ციცუნია/ე ბუმბული, რომელსაც ტირიფი ისხამს გაფოთლებამდის (სვან. ციცუჱლ; შდრ. ჭყ. ციცუნა, მაყ. ციცელა).

ცლილობს იცლის. „საქმე აწუხებს და მოსასვენებლათ ვერ ცლილობს".

ცოფცოფა/ე დურგლის ხელსაწყოა — ნაიმანდის გასაწმენდი (შდრ. ბერ. ცოფვა).

ცქაფი სწრაფი, მარდი, მკვირცხლი, „ცქაფი კაცია, მუშაობაში ვერავინ ჯობს" (ნ. საბა, ჩუბ., ნეიმ.; შდრ. რუსთაველი).

ცქუტური (← ცქვიტური) ცქვიტად ყოფნა. ცქუტურობს ცქვიტობს.

ცხვარი გადატ. ჰრელი მატლია. შავი და ყვითელი ზოლები აქვს. ბეწვოვანია, არ იკბინება. ნაწვიმარ მოლზე, იფნისა და ვაზის ფოთლებზე მოიპოვება.

ძანძალი ჩქარი და მძიმედ სიარული. „არ ეზარება აღმა-დაღმა ძანძალი". ძანძალობს მძიმედ დარბის. ძანძალა მძიმედ მორბენალი (შდრ. წანწალი; სვან. ლიძანძჱლი).

ძელენძო ძენძვის (ნ.) გროვა; გადატ. ცოცხალი ლეში, უძრაჲი, ზანტი არსება.

ძენძვი 1. ძირიანად ამოთხრილი პარკოვანი მცენარის (ლობიო, სოია, მუხუდო, ცერცვი) ჩენჩი; 2. გოგრის (ნ. მაყ. კვახი), ნესვის

ან კიტრის გული, რომელსაც ახვევია თესლი; 3. ჯაგის ეკალი (მოჭრილი გროვა), ღობეზე, ყორეზე გადავლებული (შდრ. ძეძვი).

ძიძგინი ძიგძიგი, ძაგძაგი, კანკალი. „ყივნამ ძიძგინი დამაწყებია". ძიძგინობს ძაგძაგებს (სვან. ლიძაგძაგი; შდრ. ჰყ. ძოძგინი, შარაშ.).

ძლაგუნი ჩქარა, მძიმედ, ფეხაურჩევლად და ხმაურით სიარული (შდრ. წერ. ბლაყუნი, ძლაყუნი, განმარტებითი ლექსიკონი ბლაყუნი).

ძორძლი მეტად მსუქანი და ღიპიანი ადამიანი.

ძოძგირი ბრგე, ახოვანი. „ლამაზი და ძოძგირი კაცი იყო".

ძღინკი კონკი, დაძვწლებული და დაფლეთილი ტანსაცმელი (ნ. ჟღ., ღლ. გურ.).

წალა ხე მაგარი, ძარღვებიანი, ძნელად დასამუშავებელი მასალა ხისა.

წამოგანძვა წამოწოლა ზარმაცისა. „მუშაობას შთილში წამოგანძვა ურჩენია". აქედან: წამოგანძული წამოწოლილი (შდრ. მეგრ. გეგაძუ: გდია).

წამომჭეხება გაწითლება ადამიანის სახისა. აქედან: წამომჭეხებული სახეგაწითლებული. „ბევრი ღვინო დეელია, სახე წამომჭეხებული ხონდა" (ნ. საბა, ჩუბ. მჭიხე, წამოჭეხება).

წამოყვინული შუბლი წინ წამოწეული, გადმოზნექილი შუბლი ადამიანისა (შდრ. ბერ. ყვინია).

წამოშანკვა წამოპლაკვა — უზრდელად წამოწოლა (პირაღმა და ფეხებაწევით). „უშნოთ წამეიშანკა სკამლოგინზე". აქედან: წამოშანკული წამოპლაკული (შდრ. შანკვი).

წეწენა ერთ-ერთი სახის სახვნელის ნაწილია: კავზე გადაბმული მოკლე კავი — სახნისის დასაყენებელი. უღელსა და ორ-სამ ჭდობილიან წეწენას ნახევარი მეტრი სიგრძის ღვლეჩი აერთებს. როდესაც ღვლეჩს წეწენას ზედა ჭდობილზე მიამაგრებენ, სახნისი ღრმად ხნავს (ნ. დაწვერალება), ხოლო, როდესაც ქვედა ჭდობილზე მიამაგრებენ, სახნისი პირად (დაბალზე, ზერელედ) ხნავს (ნ. დულათ ხვნა). სახვნელი სწორ ქუსლზე დგას, წეწენა მიწაზე არ ცოცავს, კავის თავი წეწენათურთ უღელს ეყრდნობა. მხვნელი ამგვარ სახვნელს მთის ქვიან და ოროჩოლრო ადგილებში თავისუფლად ამუშავებს (სვან. ძეწნაჲ; შდრ. ჩიტ. რაჭ. სახვ. 271—273, ჩიტ. ლეჩხ. ექსპ. 264).

წითელაური ვაზის ჯიშია. წითელ ყურძენს ისხამს. მრგვალი მარცვალი, მოგრძო და ღია მტევანი აქვს. საშუალო ხარისხის ღვინოს იძლევა. სოფ. ჩხუტელში მოიპოვება.

წინკარი (რ. ხ., ლ. ხ.), **როული** (ცხ. ხ.) სასტუმრო ან სასადილო ოთახი, რომელიც კათხა სახლის (ნ. ალავ. ლეჩხ. ზეპ. 92) ლირსებიან კედელზე იყო მიშენებული (შდრ. ჯაჯ. II).

წინწიფური მხოლოდ შედარების დროს იხმარება: „გარბის წინწიფურივით“ (შდრ. საბა, ჩუბ., შარაშ. წინწიბური).

წინწორა სუსტი, უძლური არსება.

წინწრაჭა სულწასული, მოუთმენელი (ნ. გაწინწრაქება; სვან. წინწრაქაჲ; შდრ. ჩიქ.).

წიპწიპა კანაფის ბოჭკოს ხვეული. ბოჭკოს ჯერ რამდენიმე წიპწიპად დაახვევდნენ, შემდეგ კი წიპწიპებს შერთავდნენ მკედის ძაფად, რითაც უმთავრესად ბადეს ქსოვდნენ (შდრ. საბა, ჩუბ.).

წირთხლი ალაყაფის კარის — ეზოს დიდი ჰიშკრის სვეტი (ურთხელი, მუხა, აკაცია, წაბლი). კარს ორი ან ოთხი წირთხლი აქვს. წირთხლები დგას ცალ-ცალკე თითო-თითოდ (როცა ორია) ან წყვილ-წყვილად (როცა ოთხია; შდრ. საბა, ჩუბ., ნეიმ., დათ.).

წიწილი გადატ. ნორჩი სანერგე მცენარე. „გუშინ კაი შავი ბლის წიწილი მევიტანე და დავრგევი“.

წუნაგი მსუნაგი, წუწკი.

წუპნე 1. წუმპე; 2. მეტსახელია კაცისა. აქედან: წუპნესანი.

წყურული წყურვილი. „მივიდა ბინულთან და წყურული მეიკლა“.

ჰანჭრიკი (რ. ხ.) ურმის ზესადგარში ჩაყრილი ჰინჭილაქი (შდრ. საბა, ჩუბ., დათ., ნეიმ. ჰანჭიკი).

ჰაჭუნი ეროს განუწყვეტელი ცემა გრდემლზე. „მჭედელი შოუდგა ჰაჭუნს“ (შდრ. ბერ. ჰახუნი).

ჰენებ-ყენება გაჰენება-შეყენება. „მაყრებს ცხენები ჰენებ-ყენებით მიხავდაყე“.

ჰინჭორი ხორთუმისებური ცხიმოვანი ჩამონაზარდი მამალი ინდაურის ნისკარტზე (სვან. ჰინჭორ; შდრ. ჩიქ.).

ჰიპი გადატ. ახალამოყვანილი ჰყინტი ყველის ნაწყვეტი ბალღის მისაგებებლად. „ბოშობისას ყველის ამოყვანას ვერ გამომაპარებდენ. მუუჟდებოდი გვერძე დედაჩემს და ვჰამდი ჰიპს“ (სვან. ჰიპ).

ჰილვი 1. ღორის უკანა ფეხის შუა ნაწილი. ღორის ფელიკს ან დაკლულ გოჭს ჰილვით ჩამოკიდებენ (შდრ. საბა, გუოამ., მენთ.; ყიფ. წირღვი); 2. ვაზის საკვირტე მუხლი (შდრ. ბერ., ჯავახ. II, 325, ჰილვა/ე, წერ. ჰირღვა, ჰილვა).

ჰიჰირაქობს (ცხ. ხ.) ბალღს ტკივილი აწუხებს, რის გამოც გა-ნუწყვეტლივ ტირის შემზარავად — „გჯება“ ტირილისაგან (ლაშხ. ჰინჭრაქე, ჰიქმატე; შდრ. ჯაჯ. I. გაჰიჰინება).

ჰკრიალი იგივეა, რაც ჯგრიალი (ნ.).

ჰოჰოლია ჭრელი (ქსოვილი). „შეგიკერავ ჰოჰოლია კაბასა“ (შელოცვიდან).

ჰროჰინი ჰოქმანი, ყოყმანი, მერყეობა. ჰროჰინობს ყოყმა-ნობს (ნ. ჯაჯ. II, ჰოჰინი).

ჰურჰუტანა/ე, ჰუჰუმალა/ე ჰუჭრუტანა (ნ. საბა ჯვრიტინა, ჩუბ. ჰიჰიტანა, ჰიჭრიტანა, ჯუჯრუტანა, ჯვრიტინა, კლდ. I, ჯუჯრუტანა, იმნ. ქართლ. 315, ჩუჩრუტანა).

ჰუჰუმალა/ე იგივეა, რაც ჰურჰუტანა/ე (ნ.). „ჩაკეტილი ჰიშ-კრის ჰუჰუმალადან შევიხედე ეზოში“ (შდრ. ბერ. ჰურტუ-მალი, ჩიქ. ჰუჰუმალი).

ჰყონი (ცხ. ხ.) მუხის მრგვალი ძელებისაგან დაგებული იატაკი სასიმინდისა (შდრ. მარი ჰან. ჰკონი, ყიფ., ჯავახ. II, 476, ჰყონი, ჩიქ. შედ. ლექს. 128, მაყ. ჰკონი, ჰყონი).

ჰყუული ჰაერში გასროლილი ისრის ან ჯოხის გამოცემული ხმა, ჰვილი. ჰყუულ-ჰყუულით ჰუილ-ჰუილით.

ხაბანდი ხაფანგი.

ხავს ჰყავს. „დედ-მამა ცოცხალი ხავს“.

ხავხავი ერთ ადგილზე ჯდომა და ტრიალი. კრუხმა იცის. ფე-ხებსა და ფრთებს მშრალ მიწაზე აფხაკუნებს, ნაჯდომ ადგილს აფხვიერებს, ამტვერებს. ხავხავობს ხავხავს აწარმოებს (შდრ. ბერ. ხვანხვალი, ჩიქ. ხვარხვალი).

ხალახუნჯული ჩხუბი მრავალთა შორის. „დიდი ხალახუნ-ცული იყო, კილამ დახოცეს ერთმანეთი“.

ხარსარახი (← ხარის იარაღი) სახვნელი (ქვ. იმერ.).

ხარცაბელი (← ხართსაბელი) რქებში მოსაბმელი მოკლე თოკი.

ხარხალი ხარხარი (სიცილი). ხარხალა წყაროს სახელწოდე-ბაა სოფ. ქვიშარში (ნ. მარი ჰან. ხარხალ, ქღ.).

ხაჩირი ვენახი ძველებური ვენახი. დაუმყნობელ ვაზს გადაწვე-ნით გაამრავლებდნენ. იგი მწკრივებად არ აყო გაშენებული.

ხაწამწვარი ჰყინტი ყველი, მოხარშული და ტაფაში შემწვარი (სვან. ხაწამწვარ).

ხელის ჭცევა ხელს უქცევს ოჯახიდან გაცემულ რისამე ნა-წილს მყიდველი (ან მსესხებელი) გამყიდველს (ან გამსესხებელს) გა-მოუბრუნებს. მაგ., ფქვილსა და მარცვლეულს ჰურჰელში ნახევარი

პეშვით ჩაუყრის, რაც, ვითომ, ოჯახს ბარაქას შეუნარჩუნებს (ნ. შ ა რ ა შ. ხელის გამობრუნება).

ხინდრიკი უადგილო და უშნო ხმამაღალი სიცილი. „სუფრაზე ყველა შიაწუხა მისმა ხ ი ნ დ რ ი კ მ ა“.

ხლახუნი ხახუნი.

ხონია ჰქონია. „კაი სახ-კარი ხ ო ნ ი ა“.

ხოპია/ო კრამიტი ძველებური კრამიტი, ღარისებური. ამჟამად ფართო და ბრტყელ კრამიტს ამზადებენ (შდრ. ბ ე რ. ხოპიო საინი, ყ ი ფ. ხოპი).

ხორელა ხოლერა (სვან. ხორიელაჲ; ნ. ი მ ნ. ქართლ. 313, 323, ხორველა, კ ა ხ. 278, ხოლერა).

ხორთუმი (ქვ. ლეჩხ.) გ ა დ ა ტ. იგივეა, რაც კვატუში (ნ.).

ხოჩხოჩი ჩემი, გულამოსკვნილი ტირილი რამდენიმე ადამიანისა (ლაშხ. ლიკვიჩკვიჩი; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ. ხუჩხუჩი).

ხრილი გ ა დ ა ტ. ახალი დანათოვი (შდრ. შ ა რ ა შ., წ ე რ.).

ხრუკი მეტსახელია კაცისა. დ ა ხ რ უ კ უ ლ ი-საგან წარმოდგება. აქედან: ხრუკისანი.

ხუკი საპყარი, დაერდომილი (შდრ. ჩხუნკი; სვან. ხუკე; ნ. ყ ი ფ. ხუნკი).

ხურხალა/ე საზამთრო მსხლის ჯიში. ნაყოფი მოგრძოა და საშუალო ზომისა. იგი ტოტს ბუჩქებად ასხია. თითოეული ბუჩქი ოთხი-ექვსი ცალისაგან შედგება (შდრ. წ ე რ. ხურხლად).

ხუული ხუილი. ხ უ უ ლ - ხ უ უ ლ ი თ ხუილ-ხუილით. „ნიაღვარს ღელეში ლოდები ხ უ უ ლ - ხ უ უ ლ ი თ მიხონდა“ (სვან.: ნ. ჩ უ ბ., ნ ე ი მ. ხუვილი).

ჯარჯი ხეების (შეშა, სარი, წნელი, ნაკაფი, ეკალი) კონა, რაც საჯარჯეზე (ნ.) თრევით ჩამოაქვთ (სვან. ჯარჯ; შდრ. ჰ ყ., მ ე ნ თ.).

ჯაქმაჯი დიდი შრომის ამტანი, გამძლე კაცი (ნ. ჰ ყ. მაჯაგანი კაცი, ბ ე რ. მაჯაგი).

ჯაყი ხანგრძლივი ღრუბლიანი ამინდი. ჯაყის დროს არც წვიმაა და არც მზიანი დარი (შდრ. კ ი რ. ძანჯაყი).

ჯგრიალი, ჰკრიალი ბავშვების ხმაური სირბილის დროს (სვან. ჯგგელ-ჯგგელ; შდრ. ჟ ღ. ჭან. ჯგჯალერი).

ჯენჯი დასველებული პურეული, რომელიც არ ილეწება (სვან. ჯ ე ნ ჯ; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბ ე რ., ნ ე ი მ.; მ ე ნ თ. აჭ. 165, აჯენკვა. განმარტებითი ლექსიკონი აჯენჯვა).

ჯიკვინი ხშირ-ხშირი ხელისკერა, მუჯლუგუნი (სვან. ლიჯჯგუნე, შდრ. ბ ე რ. ჯიკავი, ჩ ი ქ. ჯიკაობა).

ჯიჯგვი მაგარი, ურყევი ნაგებობა რკინეულისა, ძელისა ან ფიცრისა. ჯიჯგვი კედელი, კარი, მაგიდა... (შდრ. ბერ.: ჩიქ. სახ. ფუძ. 24, სვან. ჯიჯვ და გურ. ჯიჯგვი, შარაშ. ჯიჯგვება, ქღ. სვან. 130, ჯიჯვ).

ჯიჯიბახა სამფეხა დგამია. სამ პატარა ბოძს ღვლეჭით ჯვარედინად თავებს შეუკრავენ. იგი ერთ მეტრზე მაღალი არ არის. მას ლაჯანურის ხეობის მცხოვრებნი იყენებენ. ლაჯანურით ლეხერის მთიდან შეშა და საშენი მასალა ჩამოაქვთ. დაცურებული ხეები რომ შეაჩერონ, ფონში სამ-ოთხ ჯიჯიბახას ერთ ხაზზე ჩადგამენ და ქვებით დაამაგრებენ. ჯიჯიბახებს შორის ძელებს გადებენ. ხეები თანდათან მოგროვდება და ნაპირზე გაიტანენ; ჯიჯიბახებით მდინარის წისქვილს წყალს მოუმატებენ: ჯიჯიბახებს რუს სათავეში მწკრივად ჩადგამენ, გვერდით ხის ფოთლიან ტოტებსა და ქვებს შეუწყობენ; ჯიჯიბახაზე წვრილ შეშასაც ხერხავენ (სვან. ჯიჯიბაკ; შდრ. საბა ჯინჯიბახი, ჩუბ. ჯინჯიბალი, მენთ. ჯინჯიბაკი, ბერ. გა-ჯიჯიბახება).

ჯორაფხალი ჩვეულებრივი ჯიჯლაყა (ბოტ.).

ჯუნჯული გრძელი ბალანი ძაღლის ან მელას კუდზე.

ლეჩხუმის სოფლებისა და მცხოვრებთა გვარების სია

ალპანა გოლეთიანი, ერბჯლიძე, ფარცხალაძე, ფორჩხიძე, ფრუიძე, ჩაჩხიანი, ჩორგოლიანი, ხარაიშვილი, ხეცურიანი, ხკადავიანი, ჯანაძე (შდრ. ჩიქ. ტოპ.).

აღვი (ხედა, შუა, ქვედა) ასათიანი, ასლანიკაშვილი, აბჭელდიანი, ბენდელიანი, ბობოხიძე, გაგილაძე, გოლეთიანი, გორეხიანი, დავითულიანი, დაშნიანი, დეჭდარიანი, თაგვაძე, ირემაძე, კუხალაშვილი, მანდარია, მეშველიანი, მიქაძე, მუშკუდიანი, სვანიძე, სილაგაძე, ტვილდიანი, ღურჯუმალიძე, ყურაშვილი, შკუბულიანი, ჩარკვიანი, ჩიქოვანი, ჩხეიძე, ჩხეტიანი, ჭაბუკიანი, ხეცურიანი, ხვინგია, ხმელიძე, ჯიაძე (შდრ. ჩიქ. ტოპ).

აჭარა ალავიძე, ბურჯალიანი, სადილიანი, ფრუიძე. ქობულაძე, ხმელიძე. ხუციძე, ხვადაგიანი, ჯანაძე (შდრ. ჩიქ. ტოპ.).

ბარდნალა ასათიანი, აბჭელდიანი, ბენიძე, გელენიძე, თუთისანი, კოპალიანი, კუხალაშვილი, ლიპარტელიანი, ლორთქიფანიძე, ნემსწვერიძე, ქურასპედიანი, ჩაკვეტაძე, ჩარკვიანი, ჩიქოვანი, ცხვედიანი, ხაბულიანი, ხეცურიანი.

ბენთქოფულა გოგელიძე, კვატაშიძე, მანაგაძე, ნემსაძე.

გაგულეჩი ასათიანი, აბჭელდიანი, გიორგობიანი, გურული, დავითულიანი, კაბულაშვილი, მანაგაძე, მახაროპლაძე, მიქაძე, სილაგაძე, ურთმელიძე, ჩიქოვანი, ხეცურიანი, ხვადაგიანი, ჯანხოთელი.

გენდუში ბაკურაძე, გელოვანი, ვაწაძე, კობერიძე, სანთელაძე, ჭურციკიძე, ჭელიძე, ჭიღვარია, ჯინჭარაძე.

გვესო ახვლედიანი, ბერიძე, გურული, კახიძე, კოპალიანი, მდივანი, ქარსელაძე, ჩაკვეტაძე, ჩარკვიანი, ჩახელიანი, ჩიქოვანი, ჩხეტიანი, ცვარიანი, ხეცურიანი, ხვადაგიანი.

დერჩი (ზემო, ქვემო) ასათიანი, ახვლედიანი, ბანძელაძე, ბაქრაძე, გაბიძაშვილი, გელენიძე, გოლეთიანი, ესაიაშვილი, იაშვილი, კაკიტაძე, კვარტაშიძე, მანაგაძე, მინდაძე, მირიანაშვილი, მიქაუტაძე, მურუსიძე, ოყოეშიძე, სართანია, სულხანაძე, ქაიამაძე, ქვარიანი, ქურდიანი, ქურციკიძე, შანიძე, შელია, ჩიქოვანი, ჩხაბერიძე, წერეთელი, ჭაბუკიანი, ჭუმბაშვილი, ჯიღესაშვილი.

დესვირი (ყოფილი ჩვალბეჩი) ასამბიანი, ასათიანი, ახვლედიანი, ბენდელიანი, გასვიანი, გოქაძე, ვაჩაძე, ვაჭაძე, ლაჩყეპიანი, მეიფარიანი, მინდაძე, ფირცხალავა, ჩიქოვანი, ჭაბუკიანი, ხბელიძე.

დღნორისა ასათიანი, ახვლედიანი, კახიძე, კოკოლიაშვილი, ლომთაძე, მიქაუტაძე, ღუდაძე, ჩხაბერიძე, ცხაადე, ძნელაძე, ხეცურიანი.

ვანი ასათიანი, ბანძელაძე, ნემსაძე, ქობულაძე, ჩაკვეტაძე, ჩუბინიძე.

ზარაგული ბენდელიანი, ბენიძე, გოგიძე, კოჭალიანი, მეფველიანი, საღინაძე, ჩაკვეტაძე.

ზოგიში ალავიძე, არჩვაძე, ასათიანი, ახვლედიანი, ბანძელაძე, გოქაძე, დავითულიანი, ისიანი, კვაჭუია, კენჭაძე, ლომთაძე, მოწონელიძე, ნემსწვერიძე, სილაგაძე, ფრუიძე, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ჭაბუკიანი, ჭოხონელიძე, ხეცურიანი, ხვადაგიანი, ჯანაძე (შდრ. ჩიქ. ტოპ.).

ზუბა არჯევანიძე, ბენიძე, გაგილაძე, გვენცაძე, დავითულიანი, თუთისანი, კიკალიშვილი, კუხალაშვილი, ლეთოდიანი, ძამარდაშვილი, მანდარია, მინდაძე, მიქაძე, მუშკუდიანი, ნემსწვერიძე, ომონაძე, უგრეხელიძე, ფალავანდიშვილი, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩიქოვანი, ჩხეიძე, ხალიანი, ხმელიძე, ჯანელიძე.

თაბორი ბაკურაძე, გელოვანი, გოქაძე, ლეშკაშელი, მაბარობლიძე, სადილიანი, ფინთიხაშვილი, ქარსელაძე, ცხვედიანი, ხეცურიანი, ხუბუკელაშვილი, ხახნელიძე, ჯინჭარაძე.

თხიზურგა 1926 წლამდის ცხოვრობდნენ: ახვლედიანი, კობერიძე, მეიფარიანი, ჩიქოვანი, რომლებიც სოფ. დეხვირში ჩასახლდნენ.

ისუნდერი აკობიძე, ბანძელაძე, ლიპარტელიანი, მაჭარდაშვილი, მანდარია, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე.

კენაში ახვლედიანი, გაგილაძე, კენჭაძე, ონიანი, ფალავანდიშვილი, ჩაკვეტაძე.

ლაბეჭინა ასათიანი, მაბარობლიძე, ნემსწვერიძე, ჭიღვარია, ჯინჭარაძე.

ლაილაში (ზედა, ქვედა) ალავიძე, ასათიანი, ახვლედიანი, ბენდელიანი, გაჩეჩილაძე, გვიშიანი, გზობავა, გიორგობიანი, გოლოძე, გოქაძე, გუჯბანი, გურგუჩიანი, ელიანოვი, ერობელიძე, ერისთავი, ვაწაძე, თვარაძე, კენჭაძე, კოძოევი, ლაშხი, ლაჩყეპიანი, ლეშკაშელი, მესხაძე, მოწონელიძე, მუსერიძე, ნემსწვერიძე, ჟღამაძე, საგანელიძე, სანთელაძე, სვანიძე, ყუბუსიძე, ჩაჩხიანი, ჩხეტიანი, ცხვედიანი, ჭაბუკიანი, ხეცურიანი, ჯაბურია, ჯინჭარაძე. ლაილაშში აგრეთვე ცხოვრობენ ქართველი ებრაელები და სომხები (შდრ. ჩიქ. ტოპ.).

ლარჩვალი ბენიძე, დაგითულიანი, კოპალიანი, ლარცულიანი, სვანიძე, უჯულავა, ფუტკარაძე, ჩარკვიანი, ჩიკვაიძე, ხეცურიანი.

ლასტრიაში აფაქიძე, ახვლედიანი, ბაქრაძე, ბერაძე, ბრეგვაძე, გელოვანი, გიორგობიანი, გოლეთიანი, ელიავა, თაგვაძე, ირემაძე, კანაჩაძე, კაპანაძე, კობერიძე, კოპალიანი, მაღრიანი, მოცებაძე, მუშკუდიანი, პაჭკორია, სვანიძე, სილაგაძე, ტვილდიანი, ფანჯაკაძე, ქომეთიანი, ღურჭუმელიძე, ჩიქოვანი, ცხვედიანი, ჭაბუკიანი, ჭოხონელიძე, ხეცურიანი, ჯამბუსაძე (შდრ. ჩიქ. ტოპ.).

ლახხანა ახვლედიანი, ბერულავა, ბურჯალიანი, გასვიანი, კვირიკაშვილი, ლაჩქეპიანი, ლიპარტელიანი. მეშველიანი, სილაგაძე, ყვირილიანი, ჭაბუკიანი, ჭილეარია, ხმელიძე, ჯიაძე.

ლაშიჭალა აბაშიძე, ბურჯალიანი, გვაშიანი, სილაგაძე, უჩაძე.

ლაცორია აბაშიძე, აბროლიანი, ახვლედიანი, ბენდელიანი, ბურჯალიანი, გელოვანი, გვიშიანი, გუგავა, დევდარიანი, კიპაბიძე, ლარცულიანი, მაჭრიანი, მურცხვალაძე, ნემსაძე, ოქიანი, სილაგაძე, ურთმელაძე, ყურაშვილი, ხებუკელაშვილი (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

ლაჩეპიტა აოკუევანიძე, ომონაძე, უგრეხელიძე. ლაჩეპიტელები 1951 წელს დასახლდნენ მოქვსა (ოჩამჩირის რაიონი) და განთიადში (გაგრის რაიონი).

ლახეფა ალავიძე, ბანძელაძე, გოლეთიანი, ირემაძე, ლეთოდიანი, მიქაძე, სილაგაძე, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ციხილაძე, ხეცურიანი (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

ლაჯანა (ხედა, ქვედა) ასლანიკაშვილი, ახვლედიანი, გელოვანი, გვიშიანი, გზობავა, გიორგობიანი, გოგებაშვილი, გოდერიძე, გურასაშვილი, დავითულიანი, ლაკვებელიანი, ლეშკაშელი, ლიპარტელიანი, მახარობლიძე, მეგრელი, მჟავია, ონიანი, სვანიძე, სილაგაძე, ფრუიძე, ქლიბაძე, ღოღელიანი, ყვირილიანი, ჩაჩხიანი, ჩხეტიანი, ჭაბუკიანი, ჭელიძე, ჭოხონელიძე, ხეოგიანი.

ლესინდი აბაშიძე, გოლეთიანი, გორგასლიძე, ირემაძე, კვირიკაშვილი, ლარცულიანი, ლომთაძე, შუყბანიანი, სილაგაძე, ქარსელაძე, ჭაბუკიანი.

ლეშკაში 1930 წლამდის ცხოვრობდნენ: გოგებაშვილი, ლეშკაშელი, ონიანი, ყვირილიანი, ჭაბუკიანი, რომლებიც მეზობელ სოფ. ლაჯანაში ჩასახლდნენ.

ლეშკედა გვიშიანი, მახარობლიძე, ნემსწვერიძე, სილაგაძე, უჩაძე, ჭელიძე.

ლეხიდრისთავი დარ ხველიძე, მანაგაძე, მინდიაშვილი.

ლუხვანო (ხედა, ქვედა) ბაქრაძე, ბენდელიანი, ბენიძე, ბურჯანაძე, გვიშიანი, გოგელია, გოლეთიანი, დოლბაია, თუთისანი, კოპალიანი, ლახარიანი, ლეთოდიანი, ლომთაძე, ნემსწვერიძე, საღინაძე, სვანიძე, ტომეთიანი, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩხეიძე, ჩხეტიანი, ჭაბუკიანი, ჭილეარია, ხეცურიანი, ჯაფარიძე. ხედა ლუხვანოს მცხოვრებნი 1951 წელს დასახლდნენ კოლასურში (სოხუმის რაიონი), ტამიშსა და მოქვში (ოჩამჩირის რაიონი: შდრ. ჩიკ. ტოპ.).

მახაში არდანიანი, ასათიანი, ახვლედიანი, გასვიანი, გოლეთიანი, ვაშაძე, ირემაძე, თაგვაძე, კუნჭაძე, კოპალიანი, ბემველიანი, მუშკუდიანი, ნემსაძე, რევია, სვანიძე, სილაგაძე, ტვილდიანი, ფალავანდიშვილი, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩარკვიანი, ჩიქოვანი, ჩხეტიანი, ცხვედიანი, ხეცურიანი, ხვადაგიანი, ჯამბურიძე, ჯიაძე.

მახურა აკობიძე, აბროლიანი, ბენიძე, გოდერიძე, გოლეთიანი, კუხალაშვილი მამარდაშვილი, მუშკუდიანი, ჩაკვეტაძე.

მეკვენა ასათიანი, გოგელიძე, კვატაშიძე, კიბორძალიძე, მანაგაძე, მიშვიძე მუშკუდიანი, ნემსაძე, ჩხეტიანი, ხარაბაძე, ხმელიძე.

მცხეთა კოპალიანი, მინდაძე ფალავანდიშვილი, ფრუიძე.

ნაკურალეში ახვლედიანი, ბურჯალიანი, გოგიძე, გოლეთიანი, ყანტილაძე, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

ნახპერი არჩვაძე, ასათიანი, ახვლედიანი, ბობოხიძე, დავითულიანი. გასვიანი, გელოვანი, გიორგობიანი, ვაჩაძე, ირემაძე, კვირკველია, მიქაბერიძე, მიქაუტაძე, ფრუიძე, ფუტკარაძე, ღურჭუმალიძე, ყურაშვილი, ჩარკვიანი, ჩხეტიანი, ხეცურიანი, ხვადაგიანი.

ონჭეიში (ხედა, ქვედა) მანაგაძე, ქობულ ძე, ჩხაბერიძე, ჯანელიძე.

ორბელი ბაბსოლიანი, ბურჯალიანი, გელოვანი, გვიდიანი, გვიშიანი, გზობავა, გოგებაშვილი, გოლეთიანი, გორგასლიძე, გურგუჩიანი, ელიავა, კეკუტია, ქვენიტაძე, ლეშკაშელი, მეგრელი, მეშველიანი, მინდაძე, მიქაძე, მუყბანიანი, ნემსწვერიძე, ონიანი, სანიკიძე, სვანიძე, სილაგაძე, ფარჯიანი, ყვირილიანი, ჩენგიანი, ჩხეტიანი, ჭაბუკიანი, ხერგიანი, ხუბუკელაშვილი. ჯაბურია (შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

ორხვი ასათიანი, აბვლედიანი, ბანძელაძე, გაბიანი, გაბიძაშვილი, გოგელიძე, ირემაძე, კენჭაძე, მეტონიძე, მიქაუტაძე, ქვარიანი, ჩაკვეტაძე, ჩხეტიანი, წერეთელი (შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

ოფიტარა არჯევანიძე, ასლანიკაშვილი, ბენიძე, გიორპელიძე, გოდერიძე, მანაგაძე, მუშკუდიანი, ყურაშვილი, ჯიქია. ოფიტრელები 1951 წელს დასახლდნენ მოქვსა (ოჩამჩირის რაიონი) და განთიადში (გაგრის რაიონი; შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

ოყურგში აკობიძე, არჯევანიძე, ასლანიკაშვილი, აბვლედიანი, ბენიძე, გიორბელიძე, გიორხელიძე, გოლეთიანი, ეფაძე, თვარაძე, ლაკვეხელიანი, ლომთაძე, მამარდაშვილი, მანაგაძე, მანდარია, მასხარაშვილი, მინდაძე, მუშკუდიანი, ნემსწვერიძე, რატიანი, სილაგაძე, უგრეხელიძე, ქომეთიანი, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩარკვიანი, ჩიკვაიძე, ჩიქოვანი, ჩიხლაძე, ჩხეტიანი, ჯიქია (შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

ჟოშხა (გაღმა, გამოღმა) ბურჯალიანი, გაგოშიძე, გელოვანი, გვენცაძე, გოგოლაშვილი, გორდეზიანი, გოქაძე, გოჩოლიშვილი, თვარაძე, იაშვილი, კიბაბიძე, ლეკავა, მეტონიძე, მკერვალიშვილი, მუსერიძე, ომანიძე, საგანელიძე, სალუქვაძე, სამარგულიანი, სულთიძე, ფრუიძე, ქარსელაძე, ქურციკიძე, ყიფიანი, ჩარკვიანი, ჩიკვაიძე, წერეთელი, ჭიღვარია, ჯაფარიძე, ჯინჭარაძე.

ხაირმე (ხედა, ქვედა) ალავიძე, ბოჭორიშვილი, ბუაძე, გაბიანი, გოქაძე, დავითულიანი, ელიანოვი, თვარაძე, კაბოსნიძე, კაკიტაძე, კენჭაძე, სანთელაძე, სანიკიძე, სილაგაძე, ფრუიძე, ყანტილაძე, ცხვედიანი, ჭოხონელიძე, ხუბუკელაშვილი, ხუციძე. ჯილესაძვილი (შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

ხანორჩი არდანიანი, აბვლედიანი, ბანძელაძე, ირემაძე, კოპალიანი, სვანიძე, სილაგაძე, ფრუიძე, ფუტკარაძე, ქომეთიანი, ყურაშვილი, ციბარიძე, ჭელიძე, ხეცურიანი.

ხაჩხეური ბანძელაძე, გუგავა, მანაგაძე, სულაძე, ფხუიძე, ქობულაძე, ძნელაძე, ჭოხონელიძე, ხვადაგიანი.

ხპათაგორი აბვლედიანი, ბაკურაძე, გელოვანი, გიორგობიანი, გულბანი, გურული, ლაკვეხელიანი, ლეშკაშელი, მაღრიანი, მახარობლიძე, ონიანი, სილაგაძე, ჩხეტიანი, ხუციძე.

ხურმუში (ხედა, ქვედა) აბვლედიანი, ბაკურაძე, გამსახურდია, გელოვანი, გიორგობიანი, გოქაძე, თევდორაშვილი, თვარაძე, კობერიძე, ობოლაძე, სვანიძე, სილაგაძე, ფინთიხიშვილი, ფრუიძე, ქარსელაძე, ყურაშვილი, ჩარკვიანი, ჩაჩხიანი, ჩიკვაიძე, ჭარბაძე, ჭელიძე.

ტვიში ასათიანი, აბვლედიანი, ბანძელაძე, ბუაძე, გარდაფხაძე, გორეზიანი, ლაკვეხელიანი, ლაჰკეპიანი, ლიპარტელიანი, ლომთაძე, მანდარია, მიქაუტაძე, ნემსწვერიძე, სვანიძე, უგრეხელიძე, ქობულაძე, ჩაკვეტაძე, ჩიქოვანი, ჩიჩუა, ცხადაძე, ჯანაძე (შდრ. ჩ ი ქ. ტოპ.).

უსახელო (ხედა, ქვედა) ასათიანი, გოლეთიანი, გორგასლიძე, გუგავა, გურული, დავითულიანი, თვარაძე, თოთაძე, მუყბანიანი, მუშკუდიანი, სანთელაძე, სიმსივე, უჩაძე, ფაღავა, ფრუიძე, ყურაშვილი, შეკიშვილი, ხეცურიანი, ჯაფარიძე.

უცხერი აბვლედიანი, ბაკრაძე, გოლეთიანი, ირემაძე, ნემსწვერიძე, ტვილდიანი, ჭაძე, ყურაშვილი, ჩიქოვანი, ხმელიძე.

ქვიშარი ალავიძე, ასათიანი, ლეხუტაშვილი, სილაგაძე, სირაძე, სურგულაძე, ფარეიშვილი, ქურდიანი, ყიფიანი, ჩარკვიანი, ჩიკვაიძე, ცხვედიანი, ხუციძე, ჯაფარიძე, ჯინჭარაძე.

ქორენიში ასათიანი, აბჭელდიანი, ბანძელაძე, გარდაფხაძე, გოდოლაძე, გოლეთიანი, ნემსწვერიძე, სვანაძე, ფალავანდიშვილი, ფალავა, ქვარიანი, ქობულაძე, ჩარკვიანი, ხმელიძე (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

ქულბაქი ბენდელიანი, კოპალიანი, ლეთოდიანი. ქულბაქელები 1951 წელს დასახლდნენ კილასურში (სოხუმის რაიონი).

ღვარდია (ხედა, ქვედა) აფრასიძე, ახვლედიანი, ბერაძე, ბოპორიშვილი, გვენცაძე, ვაწაძე, მიქელაძე, მოწონელიძე, რატიანი, სვანიძე, უგრეხელიძე, ქვარიანი, შავლაძე, ხალიანი, ჯანაძე.

ღვირიში (ხედა, ქვედა) აბაშიძე, გიორგობიანი, გოლეთიანი, ირემაძე, მეშველიანი, სვანიძე, ქომეთიანი, ყურაშვილი, ჩარკვიანი, ჩაჩხიანი, ჩიქოვანი, ჩხეტიანი, ხეცურიანი (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

ღუ გოდერიძე, ლეშკაშელი, მიქაძე, ძლამაძე, ჩარკვიანი, ჩორგოლიანი.

ჩართისა ცხოვრობდნენ მანაგაძეები, რომლებიც 1951 წელს დასახლდნენ ოქტომბერში (გულრიფშის რაიონი).

ჩქუმი დავითულიანი, ლარცულიანი, მეშველიანი, სილაგაძე, ფუტკარაძე, ქომეთიანი, ჩარკვიანი.

ჩხუტელი ახვლედიანი, ბენდელიანი, ბურჯალიანი, გაბისონია, გვიშიანი, გუგავა, ეფაძე, ზურაბიანი, თვარაძე, კვირიკაშვილი, კოპალიანი, კორძაია, ლიპარტელიანი, მამარდაშვილი, მეშველიანი, მურცხვალაძე, როსიშვილი, საღინაძე, სვანიძე, სილაგაძე. ტვილდიანი, ტყაბლაძე, უგულავა, ფორჩხიძე, ფრუიძე, ქარსელაძე, ჩარკვიანი, ჩაფრავა, ჩხეიძე, ჩხეტიანი, წერეთელი, ჭიპინაძე, ხაბულიანი, ხურცილავა.

ცაგერა ახვლედიანი, ბანძელაძე, გარდაფხაძე, გოჭაძე, დავითულიანი, ხალკალიანი, ლომთაძე, ნემსაძე, ხეცურიანი, ხვადაგიანი (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

ცაგერი (ხედა, ქვედა) ასათიანი, ახვლედიანი, ბაკურაძე, ბაქრაძე, ბენდელიანი, ბენიძე, ბერიძე, ბობოხიძე, ბუაძე, გარდაფხაძე, გასვიანი, გიორბელიძე, გოგიძე, გოლეთიანი, გუგავა, დადემჭელიანი, დავითულიანი, დაშნიანი, დოლბაია, ზურაბიანი, თუთისანი, კაკრიაშვილი, კალანდაძე, კანაჩაძე, კვირიკაშვილი, კიზირია, კოპალიანი, კუხალაშვილი, ლაზარიანი, ლაკერბელიანი, ლეთოდიანი, ლიპარტელიანი, მამარდაშვილი, მანდარია, მდივანი, მელქაძე, მეშველიანი, მიქაძე, მჟავანაძე, მურცხვალაძე, მუშკუდიანი, ნემსაძე, ნემსწვეროძე, ონიანი, პიროველი, საღინაძე, სვანიძე, სილაგაძე, ტვილდიანი, ტყეშელაშვილი, ფალავანდიშვილი, ფანჯავიძე, ფრუიძე, ფუტკარაძე, ქარსელაძე, ქომეთიანი, ღურჭუმალიძე, ყვირილიანი, ყუბუსიძე, ყურაშვილი, შკუბულიანი, ჩაკვეტაძე, ჩარკვიანი, ჩაჩხიანი, ჩახულიანი, ჩიქოვანი, ჩორგოლიანი, ჩხეიძე, ჩხეტიანი, ცვარიანი, წივწივაძე, ჭაბუკიანი, ხაბულიანი, ხეცურიანი, ხვადაგიანი.

ცხუკუშერი გვიშიანი. ირემაძე, ლაჩყეპიანი, სვანიძე, ყურაშვილი, ჩიქოვანი, ხეცურიანი (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

წილამიერი აბაშიძე, დეედარიანი, ვაწაძე, ლარცულიანი, მინდაძე, სილაგაძე, ქლიბაძე, ყვირილიანი, ყიფიანი, პოპონელიძე (შდრ. ჩიკ. ტოპ.).

წიფერჩი ახვლედიანი, ბენდელიანი, გიორგობიანი, დავითულიანი, თუთისანი, კოპალიანი, ლიპარტელიანი, მეიფარიანი, მეშველიანი, ნემსწვეროძე, საღინაძე, სილაგაძე. ტვილდიანი. ფრუიძე, ფუტკარაძე, ქომეთიანი, ქურასპედიანი, ღოღელიანი, ჩაკვეტაძე, ჩარკვიანი, ხაბულიანი, ხეცურიანი, ჯიაძე, ჯიდოშვილი.

ჰალისთავი კოპალიანი, მუკვანი, ნემსწვერიძე, საღინაძე, ჩარკვიანი.

ჰაშლეთი კენჭაძე, კიბორძალიძე, კიკოლიაშვილი, ლოსაბერიძე, მანაგაძე, მიქაუტაძე, ქურციკიძე, ჩუბინიძე, ხვადაგიანი.

ჰრებალო ბოჭორიშვილი, გაგოშიძე, გოგოლაშვილი, გორდეზიანი, გურასაშვილი, დავითულიანი, დვალაძე, დოლიძე, თევდორაშვილი, თვარაძე, კიკვიძე, კობაბიძე, ლეკიშვილი, ლუხუტაშვილი, მასხარაშვილი, ოატიანი, სადილიანი, სალუქვაძე, სანთელაძე, სვანიძე, სოხაძე, სურგულაძე, ფრუიძე, ქემოკლიძე, ქურციკიძე, ღვდელაძე, ღოღელიანი, ჩაჩხუნაშვილი, ცხვედიანი, ცხვირავაშვილი, ჭელიძე, ჭილვარია, ჯინჭარაძე.

ჰყვიში (ზედა, ქვედა) ბოჭორიშვილი, გაბიცინაშვილი, გადაბაძე, გურასაშვილი, დავითულიანი, ევნაძე, თავიდაშვილი, თვარაძე, კეკუტია, კენჭაძე, ლეკიშვილი, ლეშკაშელი, ლომთაძე, მეტონიძე, მუსელიანი, ნემსწვერიძე, რეხვიაშვილი, ფონაძე, ფრუიძე, ფურცხვანიძე, ქურციკიძე, ღოღელიანი, ყიფიანი, ყურაშვილი, ჩაკვეტაძე, ჩაჩხიანი, ჩხეიძე, ცხვედიანი, წერეთელი, ჭეიშვილი, ჭილვარია, ხახნელიძე, ხვადაგიანი, ხმელიძე, ხუციძე, ჯინჭარაძე, ჯობაძე.

ხოჯი ახვლედიანი, გოჭეთიანი, მეშველიანი, სილაგაძე, ურთმელიძე, ფოჩიანი.

(შემოვიდა რედაქციაში 1. X. 1954)

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

პ. ჯაჯანიძე

ხოლმეობითის გადმოცემათისათვის გურულში*

ძველ სალიტერატურო ქართულში -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების I სერიის მწკრივებში უღლებისას სამი თავისებურება შეიმჩნევა: 1. აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის მრავლობითი რიცხვის III პირში დასახელებული თემის ნიშნები ხმოვან ელემენტს ჰკარგავენ; 2. უწყვეტლის I—II პირის მრავლობით-მხოლობით რიცხვში, I ბრძანებითის II პირის აგრეთვე მხოლობითსა და მრავლობითში და ამავე მწკრივის მხოლობითი რიცხვის III პირში -ავ და -ამ სუფიქსების ნაცვლად თავს იჩენს -ევ და -ემ; 3. უწყვეტლის III პირის მხოლობით-მრავლობითში, I ბრძანებითის მრავლობითი რიცხვის III პირში -ავ და -ამ სუფიქსების ადგილზე გვხვდება -ვი და -მი (ნ. უღლების პარადიგმა).

-ავ და -ამ სუფიქსების ეს ცვალებადობა ქართული ენის სპეციალისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ზოგი ამ ცვალებადობას ფონეტიკურ მოვლენად მიიჩნევს (ე. ი. -ავ სუფიქსის ფონეტიკური სახეცვლილებაა -ევ, -ვ[1] და -ამ-ისა — -ემ, -მი)[1]. ზოგიც -ავ, -ევ-სა და -ამ, -ემ-ს დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ელემენტებად თვლის. უკანასკნელისათვის -ავ, -ამ და -ევ, -ემ სხვადასხვა დიალექტური წრის წარმომავლობისაა და პირველი სერიის მწკრივებში შერწყმული სახითაა გამოყენებული[2].

---

* საკითხი განხილულია მახარაძის რაიონის მდ. ბჟუჟის ხეობის (სოფლების: შემოქმედის, გომის, ბუხეიჩ.ს კარის, გოგიეთის, კვირიკეთისა და წითელშოის) მცხოვრებთა მეტყველების მონაცემების მიხედვით.

[1] ლ. კიკნაძე, სამი მწკრივის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXb—XXXIb, გვ. 317 (არ ვასახელებთ სხვებს, რომლებიც სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეხებიან მოცემულ საკითხს).

[2] ა რ ნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, გვ. 100.

როგორც ცნობილია, დასახელებული სუფიქსების ცვალებადობის ფონეტიკური მიზეზით ახსნას რიგი ნაკლოვანება ახლავს[1], რის გამო საეჭვოა მისი საბუთიანობა. მეორე შეხედულებისათვის ჯერ კიდევ საკმაო მასალა არაა ნაპოვნი: არსებითად საკითხი გადაუწყვეტელი რჩება[2].

-ავ და -ამ სუფიქსების ხმარების მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა მდ. ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველება. საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ: 1. -ავ და -ამ თემის ნიშანთა მონაცვლეობა (უფრო სწორად — ვ-ს მ ბგერით შეცვლა), რომელსაც ადგილი აქვს ქართული ენის ბევრ კილოში[3], გურული კილოს დასახელებული კუთხის მეტყველებისათვის უცნობია. ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ვ—მ-ს მონაცვლეობა სხვა ვ-ს შემცველ ფუძიან ზმნებსა და სახელებში ფართოდაა გავრცელებული: მახსოვს — მახსონს, დამავიწყდა — დამამიწყუტა, ვარსკვლავი — მარკულამი, კიდევ — კიდემ, ნავთი — ნამთი და სხვა; 2. აწმყოსა და ყოფადის მრავლობითი რიცხვის III სუბ. ჯირში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებს თემის ნიშნის ხმოვანი ელემენტი ეკარგება. ამ მხრივ ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებამ უცვლელად შემოგვინახა ძველი სალიტერატურო ქართულის ნორმა (ახალი ქართულის მყოუადი ხომ აწმყო იყო ძვ. ქართულში):

ჩაის ბუჩქებს შუაჩე ბ ა რ ე ნ.

ახლა ისლით სამზარეულო სახს ხ უ რ ე ნ, სითფოს ინახავს უფროო.

ლიმონს და მანდალინს ბეურს რ გ ე ნ ჩვენში.

კაცს ენით ა ბ მ ე ნ და ხარს (რ)ქითო, არ გოუგონია იმას აგი?!

დატიე მაი, მერე მ ო გ ა კ ი თ ხ ე ნ.

მალ-მალ მოვლენ და დ ა მ ხ ე დ ე ნ ბიჭები მადლიანები.

---

[1] ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინ ტიტუტის შრომები, ტ. X, 1950—1951, გვ. 51.

[2] არ ვეხებით საკითხის ისტორიას.

[3] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, გვ. 65.

ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, არილი, გვ. 141.

ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ჯ ავახური მესხურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახელობის ა.ბილისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 25.

ჩ ვ ე ნ ი, ვახანურას ხეობის ცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 71.

რო დაარტყმენ თავში, მერე გამეიფხიზლებს.

(ასეევეა I თურმეობითშიც: დოუჭირევენ პაიწვანი ბოვშვები). შდრ. ძვ. ქართ.: გამოსტყუენვენ დედათა შეკრებულთა ცოდვათა, 2 ტიმ. 3, 6.

მოწაფენი შენნი ჰამენ და სუმენ, ლ. 5, 33.

ამგვარი ფორმების ხმარება დამახასიათებელია ქართული ენის ზოგი სხვა კილოსთვისაც (ხევსურული, ^1 ემოიმერული — ნაწილობრივ ქვემოკ, ფერეიდნული)[1]. ვერ დაეთანხმებით ქ. ძოწენიძეს, რომელიც გურულისთვისაც შეუკუმშავ ფორმებს მიიჩნევს ნიშანდობლივად[2]. მას საამისოდ ს. ჯენტის მიერ გამოცემული ტექსტები დაუმოწმებია, მაგრამ იქ გურიის ყველა კუთხიდან არაა მასალები შეტანილი, შეცდომის წყაროც აქედან მოდის: 3. ბეჟუის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებთან პირველი სერიის არც ერთ მწკრივში -ავ, -ამ თემის ნიშნები -ევ, -ემ-ით არ იცვლება, როგორც აბას ადგილი აქვს ფერეიდნულში, ხევსურულში, მთარაჭულსა და ზემოიმერულში[1] და ძველი ქართულის უწყვეტელსა (s_{1-2} მხ.-მრ.) და I ბრძანებითში (s_2 მხ.-მრ, s_3 მხ.). სამაგიეროდ გურულის ამ კუთხის მეტყველებაში უწყვეტელსა და I კავშირებითში -ავ, -ამ თემის ნიშანთა ადგილზე გვაქვს -ვი, -მი. ეს მოვლენა აბაევე მწკრივებში (პირთა გარჩევით უწყვეტელში) ძველი ქართულისთვისაც ცნობილია.

აქ წარმოდგენილი უღლების პარადიგმა გვიჩვენებს იმ განსხვავებასა და მსგავსებას, რომლებიც თავს იჩენს ბეჟუის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებასა და ძველს სალიტერატურო ქართულში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უღლებაში:

ძვ. ქართული		გურული (ბეჟუჟის ხეობის მცხ. მეტყვ.)	
აწმყო	1. ვჰხედავ	ვხედავ	მყოფადი შევხედავ
	2. ჰხედავ	ხედავ	შეხედავ
	3. ჰხედავს	ხედავს	შეხედავს

[1] არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, უნივერსიტეტის მოამბე, VII.

ბ. გაბეჩური, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, წელიწდეული, 1923—24.

შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, გვ. 80.

ქ. ძოწენიძე, დასახ. შრ., გვ. 53.

ჩ ე ნ ი, დასახ. შრ., გვ. 72.

[2] ქ. ძოწენიძე, დასახ. შრომა, გვ. 52.

1.	ვჰხედავთ	ვხედავთ	შევხედავთ
2.	ჰხედავთ	ხედავთ	შეხედავთ
3.	ჰხედვენ	ხედვენ	შეხედვენ

უწყვეტ.	1.	ვჰხედევდ(ი)[1]	ვხედვიდი	**ხოლმ.** შევხედვიდი
	2.	ჰხედევდ(ი)	ხედვიდი	შეხედვიდი
	3.	ჰხედვიდა	ხედვიდა	შეხედვიდა
	1.	ვჰხედევდით	ვხედვიდით	შევხედვიდით
	2.	ჰხედევდით	ხედვიდით	შეხედვიდით
	3.	ჰხედვიდეს	ხედვიდენ	შეხედვიდენ

უწყვეტ. ხოლმ. 1. ვჰხედვიდი[2]
2. ჰხედვიდი
3. ჰხედვიდის

გამოყენებულია უწყვეტლ-სა და ხოლმეობითის ფორმა

1. ვჰხედვიდით
2. ჰხედვიდით
3. ჰხედვიდიან

I კავშირებ.	1.	ვჰხედვიდე	ვხედვიდე	**მყოფ.** შევხედვიდე
	2.	ჰხედვიდე	ხედვიდე	**კავშ.** შეხედვიდე
	3.	ჰხედვიდეს	ხედვიდეს	შეხედვიდეს
	1.	ვჰხედვიდეთ	ვხედვიდეთ	შევხედვიდეთ
	2.	ჰხედვიდეთ	ხედვიდეთ	შეხედვიდეთ
	3.	ჰხედვიდენ	ხედვიდენ	შეხედვიდენ

მსგავსება: აწმყოს (და ახ. ქართ. მყოფადის) მწკრივის მრავლობითი რიცხვის III პირში იკარგება თემის ნიშნის ხმოვანი; უწყვეტლის III პირში (მხ.-მრ.) და ამ მწკრივისაგან ნაწარმოებ მწკრივთა ყველა პირის ფორმაში **-ავ, -ამ** სუფიქსების ადგილზე გვაქვს **-ვი, -მი**.

განსხვავება: დაკვირვების ჩვენს ობიექტში (და საერთოდ გურულში) არ ჩანს **-ევ, -ემ**; უწყვეტელში (I—II პ.) **-ევ, -ემ** ელემენტების ადგილზე თავს იჩენს **-ვი, -მი**; ნაცვლად ძველი ქართუ-

[1] რადგან ასეც იუღლება -ამ სუფიქსიანი ზმნაც, ამიტომ მისი პარადიგმა აქ არ მოგვაქვს.

[2] ზმნისწინიანი ფორმაც ასეევე იუღლება (იგივე იქნება, რაც ახალი ქართულის ხოლმეობითი).

ლის -ეს სუფიქსისა, მრავლობითი რიცხვის III სუბ. პირის ნიშნად იხმარება -ენ.

მეტად საყურადღებოა, რომ გურული კილოს გავრცელების სხვა რაიონებში (ჩოხატაური, ლანჩხუთი) -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უღლებაში ზემოთ აღნიშნული თავისებურებანი არ შეინიშნება: ძირითადად დაცულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმა, რამდენადაც ვიცით, ამ ნორმისაგან გადახვევა არც აქ არაა დადასტურებული. ქვემოიმერულიც ამ უკანასკნელს უჭერს მხარს.

ძნელია იმის ახსნა, თუ რამ გამოიწვია გურულის ცალკეული რაიონების მცხოვრებთა მეტყველებათა ამგვარი განსხვავება. გასარკვევია აგრეთვე ისიც, თუ რატომაა, რომ -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უღლების მხრივ მახარაძის რაიონის მეტყველება ასე განმარტოებით დგას. იგი დასახლების სხვა ჯგუფად გვეჩვენება. დასმულ საკითხებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გურულსა და მის მეზობელ დიალექტებზე ხანგრძლივი დაკვირვება და მათი საფუძვლიანი შესწავლა.

რა იწვევს ბეუტის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა ზემოთ დასახელებულ თავისებურებებს? აწმყოსა და მყოფადის (ძველი ქართულისათვის ორივე აწმყოა) მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში თემის ნიშნის ხმოვნის დაკარგვა უდავოდ ფონეტიკური მოვლენაა. რომელსაც პირის (იმავე დროს რიცხვისაც) ნიშნის ხმოვნით დაწყებული აუქსის დართვა იწვევს. როგორც ჩანს, კუმშვის ძველი ქართულის სახე დღემდე უცვლელად შემოინახა გურულ კილოში ამ კუთხის მეტყველებამ. ეს მოვლენა ქართული ენის ზოგ სხვა დიალექტსაც ახასიათებს. რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულმა არ იცის კუმშვის მსგავსი მაგალითი, ეს დებულების შეშმარიტებაში დაეჭვებას ვერ შექმნის. ქართული ენის ბევრი მაგალითით შეიძლება დადასტურდეს, რომ კუმშვის კანონის მოქმედება ენის განვითარების ყველა პერიოდში ერთნაირი არაა.

გურული კილოს ამ კუთხის მეტყველებისათვის მთავარ თავისებურებად ვთვლით -ვ-ი-დ, -მ-ი-დ წარმოებას. როგორც უკვე გავეცანით, უღლების პარადიგმაში ამგვარი ფორმები უწყვეტლის მწკრივშია შეტანილი, მაგრამ იგი მთლიანად არ ეგუება -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა ძველი ქართულის უღლების წესს: -ვ-ი-დ-, -მ-ი-დ- უწყვეტლის ბოლოდ მესამე პირს გამოაჩნდება. I—II პირში -ე-ვდ-, -ემ-დ- წარმოებაა. ჩვენი კვლევის ობიექტის I—II პირი ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითს ემთხვევა.

ძველ ქართულში პირველი სერიის მწკრივთა შორის ცნობილია მე-10 საუკუნეში გაფორმებული უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი. იგი პირნაკლ მწკრივადაა აღიარებული: მას უწყვეტლისაგან მარტო III პირის ფორმები აქვს გარჩეული, ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობისათვის. უწყვეტლის ხოლმეობითის I—II პ. ფორმები უწყვეტლისას ემთხვევა. გაორჩევისათვის მის შინაარსობლივ ანალიზს მივმართავთ.

ეს არ ითქმოდა -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა შესახებ. ამ რიგის ზმნებს უწყვეტელსა და უწყვეტლის ხოლმეობითში ყველა პირის ფორმა ჰქონდა განსხვავებული (ნ. უღლების პარადიგმა).

ძველი ქართულის -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უწყვეტელში გამოვლენილი თავისებური სუფიქსაციის შესახებ არნ. ჩიქობავას გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ უწყვეტლის I—II პირში გამოყენებულია ერთი დიალექტური წრის თემის ნიშანი -ეგ, ხოლო III პირი მეორე დიალექტური წრის თემის -ავ'ი' სუფიქსს მიმართავს. „-ე-ვ-ლ- წარმოებასაც, -ვ-ი-ლ- წარმოებასაც თავისი ყველა პირი მოეპოვებოდა“ [1]. მაშასადამე, ამ მოსაზრების მიხედვით ვხედვიდი, ხედვიდი, ხედვიდა... უწყვეტელი უნდა იყოს. მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ძველ ქართულს, რომლისთვისაც ამგვარი წარმოება უწყვეტელში უჩვეულოა. დიალექტური ფორმების ანალიზისათვის ძველი ქართული იძლევა დოკუმენტალურ მასალას. შედარებაც მასთანაა შესაძლებელი.

ზემოთ მოტანილი უღლების პარადიგმიდან ჩანს, რომ ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებს საერთო ფორმა აქვს ძველი ქართულის ამ ჯგუფის ზმნებთან უწყვეტლის III პირში, განსხვავებული — I—II პირში, ხოლო, თუ ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითს შევუდარებთ, საერთო აღმოჩნდება I—II პირი, განსხვავებული — III პირი. ძველი ქართულის -ვიდ, -მიდ წარმოებიანი I—II პირი ყოველთვის ხოლმეობითია. ამ წარმოებას თან დაჰყვება ხოლმეობითის -ი სუფიქსი. ეს -ი არ შეიძლება გავუტოლოთ ვხედევდი-ს ი-ს, რადგან ეს უკანასკნელი ხან არის და ხან არა (ვხედევდ მე ეშმაკსა, ლ. 10, 18).

უნდა დავასკვნათ, რომ ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში ვხედვიდი, ხედვიდი... და სხვა მსგავსი ფორმების სახით

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 100; ნ. კიკვიძე გვ. 99.

შემონახული გვაქვს ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები. როგორც ჩანს, უწყვეტლის საპირისპირო ფორმათა დაკარგვის შემდეგ იგი უწყვეტელმა გამოიყენა. შინაარსობლივად იგი შეიძლება უწყვეტელიც იყოს და ხოლმეობითიც იმის მიხედვით, თუ რა არის გადმოსაცემი.

III პირი მხოლობითიც და მრავლობითიც ძველი ქართულის უწყვეტელს ემთხვევა (მხედველობაში არ გვაქვს მრავლობით რიცხვში პირის ნიშანთა განსხვავება). უნდა ვივარაუდოთ, რომ უწყვეტლის I—II პირის უძველესი წარმოება დაეკარგა გურულს. იქნებ მასაც ძველი ქართულისებურად **-ევ**-იანი წარმოება ახასიათებდა. არ გვაქვს საფუძველი უარვყოთ ასეთი შესაძლებლობაც. ისიც დასაშვებია, რომ უწყვეტლის ყველა პირისათვის ვივარაუდოთ **-ვიდ, -მიდ**, უწყვეტლის ხოლმეობითისათვის — **-ვ-ი-დ-ი, -მი-დ-ი**, მაშინ **-ი** სუფიქსის ქონება-არქონებით დაუპირისპირდებოდნენ აღნიშნული მწკრივები ერთმანეთს. ფორმათა დამსგავსება მრავლობითი რიცხვის I—II პირიდან გავრცელდებოდა მხოლობითის I—II პირზე მის შემდეგ, როცა მრავლობითის I—II პირში თანხმოვანთა გასაყარი **ი** გაჩნდებოდა. ეს უკანასკნელი უფრო მართებულად მიგვაჩნია: **-ევ**-იანი წარმოების კვალი გურულში არ ჩანს.

ორი მწკრივის შერწყმის მაგალითს მარტო გურული არ წარმოადგენს. ფშაურსა და ხევსურულში მრავალგზისის ფორმებში ორი მწკრივის შენაერთია: I—II პირში უწყვეტლის ხოლმეობითია (არქაული ნამყო უსრული[1]). III პირში წყვეტილის ხოლმეობითი. რატომ იყო შესაძლებელი შერწყმა? იმიტომ, რომ ეს ორი მწკრივი ფუნქციით ერთმანეთთან ახლოს იდგა[2]. ეგეთი შეიძლება ითქვას გურულის მიმართაც. ამავე მიზეზით შესაძლებელი იყო გურულშიც უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივთა ფორმების შეხამება — მათი ერთი მწკრივის შიგნით მოქცევა.

ამგვარად, ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ მდ. ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში -ავ და -ამ სუფიქსიანმა ზმნებმა უწყვეტლის I—II პირში დღემდე შემოგვინახა უწყვეტლის ხოლმეობითის ძველი ქართულის ფორმები[3]. საყურადღებოა ისიც, რომ აქ მყოფადის ხოლმეობითის I—II

[1] ა რ ნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 86.

[2] იქვე, გვ. 87.

[3] რამდენადაც ვიცით, ამგვარი წარმოება უნდა გვქონდეს ლეჩხუმურშიც.

პირიც ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის გეზისა და ორიენტაციის მჭონე ფორმათა ნორმებს იმეორებს.

გურიის ამ კუთხის მეტყველება თანამედროვე სალიტერატურო ქართულისაგან სრულიადაც არაა მოწყვეტილი. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში გურიის ეს მხარე სოფლის მეურნეობის განვითარებითა და კულტურული აღმშენებლობით ყველაზე მოწინავე მხარეთაგანია. ამის გამო აქაური მცხოვრებლებისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფორმები უცხო არაა. ამით აიხსნება, რომ ზემოთ აღნიშნული უძველესი მწკრივის ფორმათა გვერდით -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების თანამედროვე ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებიც იხმარება. დაკვირვებით დადასტურდა, რომ ყოველდღიურ სიტყვა-ხმარებაში მეტწილად უძველეს ფორმებს მიმართავენ.

ა. შანიძემ საქართველოს ზოგ გეოგრაფიულ სახელში მრავლობითი რიცხვის ნიშნად გამოჰყო -ევ სუფიქსიც[1]. მან -ევ სუფიქსის გავრცელების არედ აღიარა ტერიტორია, რომელიც მდებარეობს არაგვიდან რიონის შუა წელამდე. მიუთითა იმაზეც, რომ -ევ სუფიქსიანი კილოს თავისებურებანი ნაშთის სახით შეიძლება შემონახული იყოს ქართლში, იმერეთსა და ოჯაში. „ევ კილოს, რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია“[1].

რომ -ევ სუფიქსის გავრცელების არე კარგადაა განსაზღვრული ა. შანიძის მიერ, ეს ენობრივი მასალებით ცხადჰყო აგრეთვე ქ. ძოწენიძემ. მან დაამტკიცა, რომ თანამედროვე ქართულის -ავ სუფიქსიან ზმნებში I სერიაში -ავ-ის ნაცვლად ზემოიმერულში გვაქვს -ევ. ზემოიმერულის საპირისპირო მოვლენა დადასტურდა მდ. ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში. აქაურმა მეტყველებამ მხოლოდ -ავ, -ამ სუფიქსები იცის. როგორც დავინახეთ, უძველესი მდგომარეობა დღესაც შემონახულია.

ამგვარად, არ. ჩიქობავას მოსაზრება, რომ -ავ და -ევ (აგრეთვე -ამ და -ემ) სხვადასხვა დიალექტური წრის სუფიქსებია და რომ ძველს სალიტერატურო ქართულში I სერიაში ადგილი

[1] ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, აკად. შომბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 766.

აქვს მათი შერწყმული სახით გამოყენებას, თითქოს საეჭვო აღარც კი უნდა იყოს[1]. **-ავ** სუფიქსიანი უნდა ყოფილიყო კილოები: აჭარული, გურული. ქვემოიმერული, ლეჩხუმური, კახური, ქართლური; **-ევ** სუფიქსიანი იქნებოდა — მთარაჭული, ზემოიმერული, ხევსურული, თუშური და ფერეიდნული.

ძველი ქართულის უძველესი ხელნაწერებით შეიძლება ისიც გაირკვეს, თუ როგორ მოხდა ძველს სალიტერატურო ქართულში პირველი სერიის მწკრივებში ამ ორი სუფიქსის გვერდიგვერდ გამოყენება.

დასკვნა: საცილობლად არ მიგვაჩნია, რომ გურული კილოს მდ. ბჟუჟის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში გადმონაშთის სახით დღემდე შემონახულია **-ვ** და **-ამ** სუფიქსიან ზმნათა უღლების ძველი ქართულის ნორმა: აწმყოს (და მყოფადის) მრავლობითი რიცხვის III პირში სუფიქსისეული **ა** იკარგვის; უწყვეტლის I—II პირში უცვლელადაა შემონახული უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები: მყოფადის ხოლმეობითის I—II პირიც ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის გეზისა და ორიენტაციის მქონე ფორმათა ნორმებს იმეორებს.

მეტყველების ნიმუშები (ცალკეული გამოთქმები)

ჭი ვსმიდი ვორბოთლიან ყანწს ქორწილში.
წერალს ვპარვიდი ბეჭედს და შტემბს.
სათვალები უჯრაში რომ მჭონდეს, კი ვნახვიდი.
ყოლიფერი სირცხვილიზა მინდოდა: მე არ ვიცმიდი და არ ვიხურვიდი.
ჩვენც ვრგვიდით ადესას. ახლა ძაან ცოტას რგვენ.
ნატანებიდან ვზიდვიდით იარაღს.
კოტრაბანდს არ უშობდით, ვცვიდით აქაურობას.

ხედვიდი სიღარიბეს, მარა რას იზმიდი?!
კაბას რო კერვიდი, ძაფი სა წეიღე?
ღვინოს ნუ ნახვიდი, კაი ღვინო დგებოდა ჩვენში.

[1] არნ. ჩიქობავას მოსახრებაში საცილობლად მიგვაჩნია ეჭკითხვიდი, ჰკითხვიდი... ფორმების უწყვეტელობა. ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, თუ რატომ არ შეიძლება ასეთი ფორმები იყოს უწყვეტელი და რატომ უნდა მივიჩნიოთ ისინი უწყვეტლის ხოლმეობითად.

ჩაის გეგმას კი ვასრულებთ, კი ნახვიდით გაზეთში.

დღეს ჩალას კონვიდით?

თქვენც ბეურს კვლიდით ძველათ ნადირს, აგი კარქა მახ-სომს.

გამცემებს რო იჭირვიდით, ამიტო უყვარდი ხალხს.

შემოქმედი კარქა ინახვიდა რევოლუციონებს.

იოსებ სკოლაში ფეხს რუ ჩადგმიდა, მოწაფეები სმენათ გადიქცეოდენ.

ძველი ხალხი ქე რგვიდა ჩხაერს, ახლა უფრო დაბლარს ეტანებიენ.

ჩხაერი კარგათ ისხმიდა.

კაი ბიჭი ის იყო გურიაში, ვინც კაპანიაში ჩხუბს იზმიდა; მორე დღეს იმას ესახელებოდა.

სიყვარული გულსა მწვიდა;

ვსთქვი, თუ რით მყოს კადნიერი...

ჩიტი ხედვიდა მელას და ტიროდა.

წუღას კერვიდა დათიკო გუგუნავა.

ვოქრო ბეური იყო შემოქმედის მონასტერში, ვორი კაცი ვერ ზიდვიდა.

ერთი მონასტრის ღდელი მონასტერშიც წირვიდა და შემოქმედის ეკლესიაშიც.

ბაღნები რეკვიდენ თხილს, მარა ბალახიანში რას ნახვიდა კაცი?!

წალმა-უკუღმა იცმიდენ ერთ კაბას.

გურული აზნოურები იჭირვიდენ ბაღნებს და ტყვეებათ მიხავდენ.

ტყიდან ხალხი შეშას ზიდვიდენ.

კედელზე მინდოდა გემეკრა ჭახალდი, მარა კრასკვიდენ და არ ის ვქენი.

სხვა რაიონებიდან მიდიოდენ მონასტერზე, წირვიდენ და ილოცვიდენ.

წყალიც ჯიხურებში ქონდენ, ინახვიდენ ჭურჭლებში.

კი რგვიდენ ცოლკოურს, მარა არ იხარებდა.

ნოემბერში კრეფდენ ადესას, გაამსებდენ ყველაყა ჭურებს, მერე მიდგებოდენ და სმიდენ და სმიდენ.

უწინ სახს ისლით ხურვიდენ.

მე მაინც მიჭირვიდენო — მითხრა.

ხან იოლათ მოვკლიდი კვერნას, ხან ბეურს ვეძებდი ხეზე და მერე საცხა დევინახვიდი და ვესროდი.

კაცს თუ გაძარცვიდი, რაი კაცი იქნებოდი ქვეყანაზე.

გავცეხვიდით ღომს და ჰვავს ძოვხარშვიდით და მივაყოლებდით ჩხაერს და ვსმიდით სანემდი გავბენცელდებოდით.

სოსო (სტალინი) პაწა ცუდ ბოროტობას რუმ დეინახვიდა, ვერ მეითფენდა.

თებში ყანას ან ქარი გალესვიდა ან ხეცი შეჰამდა.

სამჩხვეთ მაინც არ ვარგოდა. ქე მოკვლიდა ეს ზამთარი (ქათამზეა ლაპარაკი).

ბატონს უმისოთ რო ქალს ითხოვდი, დაგიჭირვიდა და აგაკონვიდა ხეზე.

ქალი კას კაბას ჩეიცმიდა, საცხა რო წევიდოდა მაშვინ.

ქალები შესტვიდენ ყაჯს და რაცხას მეიქსოვდენ.

თათრები ვერ გაბედვიდენ მონასტრის გაძარცვას.

ტერი თუ მევიდოდა, დაქოლვიდენ. ქვებს წინასწარ აგრუელდენ.

ხალხი სანთელს შეწირვიდენ, მერე ყიდენ მაი ბერები.

ახალი ქართულის ფორმები:

მხიარული დამჩა მაინც, რო შვილს იმფერ მოსაქმეს ხედავდა.

ვინც კი იმის დასაჭირავათ შევიდოდა, წამეიცუამდა ხარი (რ)ქაზე.

პატრონები ქე ნახავდენ ციცას.

ტელორს გვინიშნავდენ.

ძველათ სახში ვერ ვბედავდით ძინს.

თოფებს კაად გადააბურავდა თავზე ტუმარას.

აწმყოს შეკუმშული ფორმები:

ჩაის ბუჩქებს შუაზე ბარვენ.

ისლით სამზარეულო სახს ხურვენ.

ლიმონს და მანდალინს ბეურს რგვენ.

კაცს ენით აბმენ და ხარს (რ)ჭითო, არ გოუგონია იმას აგი?!

მყოფადი. დატიე მაი, მერე მოგაკითხვენ.
რო დაართყმენ თავში, მერე გამეიფხიზლებს.

I თურმ. დოუპირვენ პაიწვანი ბოვშები.

ჰირვეული ცოლი

(ზღაპარი)

იყო ერთი ყანის მუშა კაცი გოგიეჲ. იმისი სიგლახე და ავკაცობა არევის არ გუოგონია. ერთი უბრალო, მარა პატიოსან კაცს რუმ იტყვიენ. სტორეთ იმფერი იყო იი. ასე პირნათლად იქდა იგი მეზობლისას ერთ საღამოს და რაცხას ლაპარიკობდა. რაცხას კარა. — ქალებიო, — უმტკიცებდა გოგიე მეზობლებს, — ყველაყაჲ შაირიანები არიენო და კაცებმა უნდა ერიდონო.

ამ ლაპარიკში რუმ იყო, უცეფ გეიღო კარი და შიო ქე შევიდა იმისი ცოლი ელპიტიეჲ[1]. ელპიტამ ყური მოკრა ქმრის მუსაიფს და ძაან განჯვარდა. „რაი გიშაირე, ყაძახო, მე შენო?“ — უთხრა ელპიტამ.

გოგიეჲ შეშინდა. ცოლს მუუბრუნდა და უთხრა: შენზე არ მითქვამსო. შენისანა კას ქალზე ამისანა ამბავი არ ითქმებაო.

— კაი აბაო, მასე იყოსო. — თავის ქანდურით დიექადნა ელპიტიეჲ გოგიას და მაშვინათე გარეთ გამოტრუალდა.

გათენდა ცორშაფათი დღეჲ. აბა გოგიას ვინ მუასროფს ყანაში ჩასლას. ნუ გეშინია, კი აქ აი გადაბარბალებული საბარგელი სიმიდი. ჩასლისთანავე მუანთო ცეხლი, ერთი ჩიბუხი გამოწურა, დეიწერა პიჯვარი და ეტეკა ყანას. მუუსვა და მუუსვა მისებურა თოხი. მუუსვა, მარა, რაღაი ამფერ მოსობას! კაღამ გაჩიჩინდა კაცი. მარა, რაც მართალია, თქვენც ქე გაჩიჩინდებოით იმფერი სანახაობით: კაკალ ნაპირძე[2] უშველებელი ნედლი კობრი ამუაგორა გოგიამ. გაშეშდა კაცი. თვალებჩი[3] ხელი ამეისვა — ძილჩი არ ვიყოვო. მარა. რუმ გააჭყირა თვალები, კობრი ისევლე ქე ქონდა ხელჩი. დუუწყო სუნვა, აყრალებული ხუარაო. მერე ჩეიტანა წყალზე, გარეცხა. რაის სულიაო, სულ ახალ დაჭირულ კობს გავდა.

გოგიას ისთე უყვარდა ნედლი ჩასაცივებული კობრი, რუმ ნერწყვი მუუვდა პირჩი და აქეშელებული გეიქცა შინ.

— ელპიტო, თუ ქალის ნამუსი გაქ, აგერ, ყანაში კობრი დევიჭირე. შენებურათ ჩამისაცივე და სადილათ მომირბენიე

---

[1] ამ და მსგავს სიტყვებში ხოგჯერ ჲ ისმის, ხოგჯერაც — ი.

[2] თანდებული ზე თანხმოვანუფუძიან სახელებთან მეტ წილად ძე-დ აღიქმება.

[3] თანხმოვანუფუძიან სახელებთან ში თანდებული ჩი-თია შეცვლილი.

ყანაში. კიდო დააფიცა ყოლიფერი და სიხარულით გაბრუნდა გოგიეჲ.

გადიარა სადილობა და გოგიე ტყულთე იყურება ღლიავქვეშ. მიენგრა კისერი შინისკე ნაყურები. ვეღარც ისე ღონიერათ უსოფს თოხს. გამუუმგელდა შიმშილით მუცელი. აგერ ზამლობაც შეიქნა. მივიდა ჩასლაზე მზეჲ, მარა ელპიტა ჩანა და აღარც მისი საცივი. გეიდუა გოგიამ თოხი ფხარძე და ძაან განჯიარებული გუუყვა შინისკე. გუნებაში გადაწყვიტა; მიდღემჩი მისდა არ მიწყეინებია, მარა ახლა ერთი მაგრათ უნდა მივლანძღო ჩემი ელპიტიეჲო.

შინ რუმ მივიდა, ელპიტე სიცინით გამეეგება: მობძანდი, გიორგი ბატონოვო, მარა გოგიამ როღაის გუუცინა.

— როუყავი, ქალო, დღეს სადილი, შიმშილით რუმ მომკალი... ბიჭო, კობს თვეღარ დაასაცივებდი, რაცხა ქონდა გუნებაში, იი მეგეტანა.

— რეის კობრია, ყაძახო, — გეიკვირა ელპიტამ.

— რეის კობრია და მე რუმ ზევიძიე დიღას ყანაშა ნაპირძე, რუმ მოგიტანე და შეგეხეწე: თუ ქალის ნამუსი გაქ, აგი გამიკეთე და ერთი გემოიანი სადილი მაჭამე-თქვა. აგია შენი ნამუსი?!

— რაჲ ნამუსია, რაჲ კობრიაო. როვა, გადეირიე შენ დღეს, თუ რაჲ დეგემართა. ყანაში ვინ იჭირვიდა კობს?! დოუბრიალა ელპიტამ თვალები. დოუბრიალა იქიდამ გოგიამც, მარა ახლა იკეღლა ელპიტამ. იკეღლა და იკეღლა, მარა რაჲ იკეღლა! თლა მუუყარა ქვეყანას თავი. არაკაცმა არ იცოდა საქმე რაში იყო. ზოგი ელპიტას წიწავდა, ზოგი — გოგიას.

კიეილი რუმ მუათავა ელპიტამ, მოთქმა დეიწყო:

— არიქა, მეზობლებო, მიშველეთ რამე, გადამერია ყაძახი. მახჩოფს, გამაშორეთ! მერე წეიშინა ცხვიპირჩი ხელები და ისთეღლე დეიწყო.

— ასთე მიჩიეა — დღეს რუმ ყანაში ნედლი კობრი დევიპირე და მოგიტანევო, იგი რეიზა არ გამიკეთე და არ მომიტანე სადილათო. ამიზა მახჩობდა, თქვენ რუმ არ მობრძანებულიყაით.

ახლა ყველაყაი გოგიას მიცვინდენ.

— კაცო, გოგია, რა ღმერთი გაგიწყლა, რა ქაჯი დეგეცა, რა უქმური შეგხთა. — როჲს იყო ყანაში თებს იჭირვიდენო.

ფერგატეტკილი გოგიეჲ პიჯვრის წერით ფიცულობდა: ნამდვილათ კი ენახე ყანაში კობრიო. ელპიტეჲ ყველაყას ეხიწებოდა: — მიშველეთ, წეიყვანეთ თოხაძესან, თვარა დამახჩობს ნამდვილათო.

ყველაყაი შეწუხთა გოგიეჲს ასე უცფათ გადარევიზა. იმიზა კიდო უფრო წუხთენ, რუმ თოხაძემ გადარეულის მორჩენა ცემით იცოდა. აღარ მოკვლიდა, თვარა ბეურს აფერს დააკლებდა. ახლა საწყალ გოგიას უწევდა ცემა.

როგორც კი მიიყვანებდენ თოხაძესან გადარეულს, ხელათ ეცემოდა, უთათქუნებდა და უთათქუნებდა ცხვიპირჩი ჯოხს და, მანემდი არ მოცილდებოდა, სანემდი არ გადააკარებიებდა იმას, გადარეულმა რუმ იცის აჩემება.

საწყალი გოგიეჲ ყველას უფიცავდა — არ ვარ გადარეულიო, ნუ ჩამიყვანთ თყულათე, რა მჭირს თოხაძესან წასაყვანიო, მარა ვინ დუჯერა! უმფრო მოყვარე მეზობლებმა გადიჩემეს და გოგიე ძალითი მუუყვანეს აქიმს. გოგიამ ყოლიფერი კაკალ-კაკალა მუუყვა იმას. აქიმა გოგიეჲს თხოვა სულ არ გეიგონა. დუუძახა მოჯამაგირებს, ჩეითრიეს საწყალი გოგიე პადვალჩი და უბრაგუნეს და უბრაგუნეს ძურგზე. თანაც უძახოდენ — ახლაც თუ ხედავ კობსო.

თურმე წამუუღია წყეულ ელპიტას იი კობრი და ხანდახან მუუკიტინეფს პადვლის ჰიტინაში და იქიდან დაანახებს გოგიას. გოგიეჲც ამიტო ყვირის: — ე, ეგერაა ჩემი კობრის თავიო. აქიმი კი უმატებს და უმატებს ბრაგუნს.

ბოლოს საწყალმა გოგიამ გადაწყვიტა: თვარ გადავარე ჩემი ნათქვამი, თლა მომკვლენ ცემითო, დასურ გადამრევენო.

ელპიტამ რუმ დაანახა კიდო იი კობრის თავი, აღარ ვხედავ, აქიმო. აღარ ვხედავ, მოვრჩიო, დეიძახა გოგიამ. აქიმს გუუხარდა ნამეტარი, გოგიეჲ რუმ ასთე მალე მუარჩინა და უთხრა: — აწე ნუღარ გეშინია, ჩემო გოგია! დროზე რუმ არ მიეყვანეთ ჩემთან, თლა გადირეოდიო. გოგიამაც უთხრა: მართალი ხარ, აქიმო, კი გადვირეოდიო და წამევდა შინ. ძვილათაჲ მუათრია ფეხები, ისთე იყო დაბეთქვილი.

— თუ კაცი ვარ. ერ დღეს დავბადებულვარ, ერ დღეს მოვკტები. ახლა, შინ რუმ მივალ, მართლა უნდა დავახჩო ჩემი ელპიტიეჲ. სალა უნდა გამოვყო თავიო. — ჩიოდა გოგიეჲ გულჩი.

შინ რუმ მივიდა, ვაი შენ ტერს! თელათ შუღლაის ჰინკას დამგვანებოდა ელპიტაჲ. გოგიეჲ ერთი შეხედვით გასტეხა.

— შამოდი სახჩი, თვარა ვიკიელეფ წინანდელზე ვარესათო. — უთხრა ელპიტამ. გრგიამ შიათრია ძულითე ფეხები სახჩი და ჩამოჯდა ჯოკოზე.

მუუტანა ელპიტამ ძანიალი ჩასაციებული კობრი, შვენიერი დაპზადებული ღომი, ერთი ლაგინაჲ ღვინო და დუუდგა გოგიას წინ. გოგიეჲ გასკტა თლა გულზე. იმფერი კუჭი მუუდა, რუმ კაცი ატირდა.

— შე შეჩვენებულო ქალო, შენი კუჭით სისხლი კისერჩი მაქ მომდგარი და ახლა რაჲ მაჭუმს საჭმელს. ელპიტამ კივილი მეინდომა. დეიწყო გოგიამ ჭამა, მარა ისე დეიწყო თქვენმა ტერმა და ელპიტიმაც, რუვარც იმას ეჭმებოდა.

მუუჟდა აი ეშმაკის ფეხი დედაკაცი გოგიას გვერ(დ)ჩი და დუუწყო ღლაუცი და ფერება.

— ჩემო გოგია, გახსოფს, შენ რუმ მეზობელთან იძახთი, ქალები შაირიანები არიანო. აი, ამას ქვია ქალის შაირი. ჰკუით იყავი აწე, თვარა კიდო დავიმარხავ ი კობს სხოგან. ახლა გოგიამც გუუგო ყოლიფერი და ხმაი არ ამუუღია.

დ. სირაძე
სოფ. ბახვი.

(შემოვიდა რედაქციაში 24. IX. 1954).

П. П. ДЖАДЖАНИДЗЕ

О ПЕРЕЖИТКАХ ПЕРМАНСИВА В ГУРИЙСКОМ ДИАЛЕКТЕ

Резюме

Детальное изучение речи жителей ущелия реки Бжужи Махарадзевского района показывает, что в гурийском диалекте до настоящего времени сохранились некоторые нормы древнелитературного грузинского спряжения глаголов с суффиксами -ობ и -ამ: 1. Суффиксы -ობ и -ამ теряют гласный ო в III лице множ. числа настоящего вр. (в новогруз. и в будущем): ხედვენ xedven, ირტყმენ irtqmen; 2. В I—II лицах прошедш. несоверш. неизменно сохранились формы древнегруз. прош. несоверш. неоднократного ряда:

ვხედვიდი	vxedvidi	შევხედვიდი	sevxedvidi
ხედვიდი	xedvidi	შეხედვიდი	sexedvidi
ვხედვიდით	vxedvidit	შევხედვიდით	sevxedvidit
ხედვიდით	xedvidit	შეხედვიდით	sexedvidit

ვირტყმიდი	virtqmidi	შევირტყმიდი	sevirtqmidi
ირტყმიდი	irtqmidi	შეირტყმიდი	seirtqmidi
ვირტყმიდით	virtqmidit	შევირტყმიდით	sevirtqmidit
ირტყმიდით	irtqmidit	შეირტყმიდით	seirtqmidit

Насколько мы знаем, пережитки пермансива (прош. несоверш. неоднократный ряд) является характерным только для Гурийского диалекта из всех западных диалектов грузинского языка.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

დ. მაჭავარიანი

კნინ- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

1. სიტყვა **კნინი** ძველ ქართულშიც არქაული ჩანს.

ადიშის ოთხთავში მხოლოდ ორ ადგილას გვხვდება ზედსართავი სახელი **კნინაკი**:

„ხ' ეკრძალენით, ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერთსა **კნინაკთა** ამათგანსა". მ. 18, 10;

„ეგრე არა ნება არს მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, რაჲთამცა წარწყმიდა ერთი **კნინაკთა** ამათგანი". მ. 18, 14.

იქვე გვაქვს **კნინ-** სიტყვის ზმნიზედად გამოყენების ოთხიოდე შემთხვევა:

„და წარვიდა **კნინ** და დაეარდა ქუეყანასა და ილოცვიდა..." მარკ. 14, 35;

„**კნინ**, და არღარა მიხილოთ მე; და მერმე მცირედ-ღა და მიხილოთ მე..." ინ. 16, 16;

„...მცირედ, და არა მიხილოთ მე; **კნინ-ღა**, და მიხილოთ მე..." ინ. 16, 18;

„...**კნინ-ღა**, და არღა მიხილოთ მე; და მერმე: მცირედ-ღა და მიხილოთ მე?" ინ. 16, 19.

საგულისხმოა, რომ აქ **კნინ**-ს ყველგან ენაცვლება მცირედ-(-ღა).

საერთოდ-კი, ადიშის ოთხთავში **მცირე**'-ს (და მისგან წარმოებულთა) ხმარების ოცზე მეტი შემთხვევა გვაქვს.

ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში **კნინ**'-ის ხმარების არც ერთი შემთხვევა არაა დადასტურებული. ადიშის ოთხთავის **კნინაკი** და **კნინ**(ი) უკანასკნელში **მცირე**'-თი || **მცირედ**'-ით არის გადმოცემული.

აი სათანადო ადგილებიც:

„ესრჱთ არს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, რაჲთა არა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი" მ. 18, 4;

„და წარვიდა მცირედ და დავარდა ქუეყანასა და ილოცვიდა...“ მარკ. 14, 35;

„მცირედ-ღა. და არღარა მხედვიდეთ მე...“ მარკ. 16, 16;

„...და კუალად მცირედ-ღა, და მიხილოთ მე...“ მარკ 16, 17.

ასევე ძვ. ქართულის სხვა ძეგლებშიც კნინი'ს ხმარების თითო-ოროლა შემთხვევა-ღა გვხვდება. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ კნინ'ის ხმარების მხოლოდ ერთი მაგალითია დადასტურებული („და კნინითა მით საშუებლითა ფრიად იშუებდეს...“ [1]). მაშინ როდესაც ამავე ძეგლში მცირე'-ს (მცირედი, მცირედ-ის) ხმარების ორ ათეულზე მეტი შემთხვევა გვაქვს.

ძვ. ქართულში შედარებით უფრო ხშირია კნინ'-ის ზმნიზედად გამოყენების შემთხვევები.

ახ. ქართულში კნინი (ზედსართავი) არც კი იხმარება. გვხვდება მისგან ნაწარმოები ზმნა აკნინებს... (და უკანასკნელისაგან ნაწარმოები მასდარი, მიმღეობა) და მასაც სიძველის ელფერი სდევს.

გვაქვს ამ სიტყვისაგან ნაწარმოები სპეციალური (გრამატიკაში) ტერმინი „კნინობითი“.

კნინ- სიტყვა ხმარებიდან განდევნა მისმა სემანტიკურმა ცალმა მცირე'-მ.

2. სულხან-საბა ორბელიანს **კნინი** განმარტებული აქვს, როგორც 'მცირეთ-უმცირესი', მისგან ნაწარმოები ზმნები-კი: — გააკნინე — 'გააცოტავე', დააკნინე — 'დააცოტავე', დაიკნინის — 'დაიკნინა', 'დაიმცირა თავი'.

ხოლო უმცროსის შესახებ, — რომელიც საბას განმარტებით „ზოგადი სახელი არს ყოველთა უმცირესთა“, — მის ლექსიკონში ვკითხულობთ: „...ესე უმცროსი განიყოფებიან ექუსად: უმცროსად, ცოტად, პატარად, დარედ, მრწემად და კნინად... ხოლო კნინი ყოველთა მცირეთა უმცირესი არს...“ [2].

კნინ'-ის უფროობითი ხარისხის ფორმაა უკნინეს.

„...და ესე იყო ყრმა, ჰაბუკ ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინეს — აჩვიდმეტის წლის“ [3].

---

[1] გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. პავლე ინგოროყვას გამოცემა, თბილისი, 1949, გვ. 24, 13

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, გამომც. „ქართული წიგნი“, ტფილისი, 1928, გვ. 342.

[3] წამებაჲ ...მოწამისა... ჰაბოჲსი, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი პირველი, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, ტფილისი, 1935, გვ. 63.

3. მეგრულში კნინის შესატყვისი უნდა გვქონდეს კულე'ში, რომელიც გვხვდება მხოლოდ გამოთქმაში „ხე-კულე". ეს უკანასკნელი ნიშნავს: „ხელ-მოკლე", „მოკლე-ხელიანი". ამგვარად, კულე'-ს მნიშვნელობაა 'ნაკლოვანი', 'მცირე', 'მოკლე'.

ეგეთე სიტყვა ჰანურში წარმოდგენილია „მკულე"-ს სახით. მისი მნიშვნელობაა „მოკლე".

კითი მკულე ონ II 112_{27} თითი მოკლეა...

მკულე ნჯა II 76_{28} მოკლე ხე...[1]

უკნინჭს-ს შეესატყვისება მეგრ. უკულაში (= უმცროსი). უკანასკნელი მიღებულია, როგორც მისი ქართული შესატყვისი, უ- თავსართისა და -ა-ში ბოლოსართის საშუალებით.

უკულაში'ს დაწყებითი ფორმა ჩანს კულე[2].

შდრ.: გინძე — უ-გინძ-ა-ში, ჰიჰე — უ-ჰიჰ-ა-ში, ჰიფე — უ-ჰიფ--ა-ში...

ამგვარად გვაქვს:

ქართ.: **კნინი — უკნინჭს.**

მეგრ.: **კულე — უკულაში.**

მეგრულ შესატყვისებში იგივე ძირი გვაქვს, რაიც „კუალი" (ძვ. ქართ. კუალი, ახლა: კვალი) სახელში და „უ-კულ-ი" ზმნიზედაში (= შემდეგ).

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი. 1933, გვ. 229.

აქ არნ. ჩიქობავა წერს: „მკულე იგივე „მოკლე" უნდა იყოს ო-ს მეტათეზისით; მოკლე → მკოლე → მკულე (შდრ. ხლვა — ჰან. მ-ხოლა || ხ-ლა). ეს მოკლ-ე კი ქართულში კლ-ებ-ა-ს უნდა უკავშირდებოდეს: და-ა-კელ-: ძირია -კელ-...

მეჯოულში „მოკლე"-ს მნიშვნელობით კუტა იხმარება, მაგრამ გამოთქმაში ხე-კულე — „ხელმოკრილი" (სიტყვა-სიტყვით: „ხელ-მოკლე", „მოკლე-ხელიანი") შენახულია ჰანურისებური კულე. ეს მოწმობს, რომ კუტა-ს წინ უსწრებდა მეგრულში კულ-ე და მხოლოდ შემდეგ გამოდევნა კუტა-მ ეს კულე" (გვ. 229—230).

[2] ი. ყიფშიძის აზრით, უფროობითი ხარისხის ფორმა იწარმოება ზმნიზედისაგანაც და ამის მაგალითია: ტკული — უ-კულ-ა-ში. ის წერს:

„Сравнительная степень в значении прилагательного образуется не только от прилагательных, но и от наречий, напр., უ-კულ-ა-ში младший, последний, от უ-კული после..." (იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург. 1914, გვ. 033).

როგორც ჩანს, ეს ასე არ უნდა იყოს. ქართველურ ენებში ზმნიზედათაგან უფროობითი ხარისხის ფორმა არ უნდა იწარმოებოდეს.

ქართულ-მეგრულ „კუალ“ და მეგრ. „უ-კულ“ ფუძეებს უკავშირებენ უ-კუან- ფუძეს (ნ. მარი, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა)[1].

თუ ეს ასეა, არის საფუძველი **კნინ**-ის უ-კუან-თან დაკავშირებისათვის.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მეგრ. კონი || კინი(→კინიხ), რომელიც როგორც სემანტიკურად, ისე ძირეული მასალითაც თითქმის იდენტურია ქართ. უ-კუან-ის. მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1) 'უკან' (назад), 2) 'ისევ' (снова, опять), 3) 'შემდეგ' (после, затем) (შდრ. უკული 'შემდეგ')[2]. ამათგან ძირითადია 'უკან'.

კონი იშვიათად გვხვდება. იგი უფრო ძველი უნდა იყოს. მისგან ჩანს მიღებული კინი: კონი→კუნი→კინი (→კნი). უკანასკნელი პრეევრბიცაა: კნინჯინ '(უკან) მოიხედა', ქეკნოსქნლადე **კნოხ** остался, — лась, оказывается, **позади**[3].

შდრ. „ვეფხის-ტყაოსნის“:

თვალთა ხელი **უკუ**-იცლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა (93).

ხალხური ლექსის:

უკუ-ვიხედე. მომდევდა პატრონი, ვზირის შვილია[4].

ამგვარად, მეგრულში შემონახულია უ-დაურთველი სახე **უკუან** სიტყვისა.

კნინ- მიღებული ჩანს უ-კუან-ისაგან -ინ სუფიქსის დართვით.

უ-კუან'-ში **უ**- მაწარმოებელია (იხ. დასაბეჭდებულ ავტორებთან). მაშასადამე, უნდა გვქონოდა -კუან- (შდრ.: ძვ. ქართ. **კუ-არ-თ-** (მეგრ. კურთა, მეგრ. **კვ-არ-ტ-ი** „წიხლი“. იმავე კუ-ან- || კუ-ალ ფუძის -არ- სუფიქსიანი ვარიანტი[5]).

---

[1] Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград. 1925. § 157, გვ. 111—113.

ა. შანიძე. მარის ნაშრომი ბრუნვის სიტყვასთან ქართველურ ენებში, ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, 1936, გვ. 340. იქვეა გადმოცემული პროფ. ს. ჯანაშიას მოსაზრება.

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, § 101, გვ. 22—24.

[2] И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург. 1914, გვ. 0116. Сл., გვ. 258.

[3] იქვე, § 120, გვ. 0121. ბრ., გვ. 64. 14.

[4] უკუ-ხე ეს და მისავეი მაგალითები დ ბოწებული აქვს ა. შანიძეს. (იხ. ქართული გრამ. საფუძვლები. I, მორფოლოგია. 1953, გვ. 252). აქ მოგვყავს მის მიხედვით.

[5] არნ. ჩიქობავა, დასაბეჭდებ. შრ., გვ. 24.

-ინ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნადაა მიჩნეული.

ზედსართავის მისაღებად ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება ჩვეულებრივია [1].

ამგვარად: **კნ-ინ** ← **კუან-ინ** (შდრ. **კნ-ელ** ← (უ-)**კუან-ელ** [2]).

4. თუ, ერთის მხრივ, ზანური **კულ-ე** || **მ-კულ-ე** ქართ. **მოკლე**'-ს უდრის და უკანასკნელი **კლ-ებ-ა**-ს უკავშირდება (შდრ. მეგრ. ო-რ-კ-ე, ნა-რ-კ-ულ-ი, ქართ. ნა-კლ-ულ-ევ-ან-ი) და იმავე **კულ-ე** || **მ-კულ-ე**-'ში იგივე ძირი გვაქვს, რაც ქართ. **კუალ-** || **კუან**'-ში; ხოლო, მეორე მხრივ, **კუალ-** || **კუან-** ფუძეს დაუკავშირდებოდა **კნ-ინ**, მაშინ, ცხადია, უკანასკნელის პირვანდელი მნიშვნელობაც იქნებოდა: „ისეთი (კონკრეტული) რამ, რასაც აკლია, მოკლეა, მცირეა“ (resp. „უკან არის ადგილის მიხედვით, სივრცეში“). ასეთი გაგებით ადამიანის მიმართ ამ სიტყვის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ „ჰასაკი-სიმაღლის“ მიხედვით, ვთქვათ, ისე, როგორც მისი სინონიმი „მცირე“-ს მიმართ დასტურდება ამ წინადადებაში: „...და უნდა ხილვაჲ იესუსი, ვითარ ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე“ ლუკა, 19, 3 C. აქ „ჰასაკი“ ნიშნავს „სიმაღლეს“ (рост).

შდრ. რუსულში:

„Искал видеть Иисуса, кто он, но не мог за народом, потомучто мал был ростом“.

შემდეგ საფეხურზე იგი (კნინი) ისეთ რამესაც აღნიშნავს, რასაც „აკლია დროში, მცირეა ხნოვანებით“. იხ. ზემომოყვანილი მაგალითი აბოს წამებიდან. ასეთ შემთხვევაში ადამიანის მიმართ ნახმარი იგი გულისხმობს მის „ჰასაკ-ხნოვანებას“, ისე როგორც კნინის ბადალი მცირეც: „...ხოლო ყრმაჲ იგი მცირე იყო ჟამითა...“ (გრ. ხანძთ. ცხ. გვ. 50, პაველ ინგოროყვას გამოცემით).

ხოლო უკანასკნელ, „**კნინის**“ მნიშვნელობა ზოგადია. „**კნინი**“ ყოველთა მცირეთა უმცირესი არს“. იგი უმცროსის ერთ-ერთი სახეა. უმცროსი კი „ითქმის ყოველთა სულიერთა და უსულოთა გუამოვნებასა ზედა“ (საბა).

---

[1] ვ. თოფურია, ნ და ხ ფუნებისათვის ქართველურ ენებში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, გვ. 191.

[2] საინტერესოა კნ-ელ ← უ-კუან-ელ-ისათვის შევადაროთ და-კნ-ინ-ებ-ა — და-კნ-ელ-ებ-ა. უკანასკნელი გვხვდება ვაჟასთან: „აი დაკნელება და დანელება შენის ხმისა!“ (ტ. V, გვ. 417, 4).

5. **კნინი** უკვე ძველ ქართულშივე გაზმნიზედებულიცაა (კნინ, კნინ-ღა). ხოლო შემდეგ ის ნაწილაკადაა ქცეული.

„...წარმომართეს, ვითარცა ვეფხთა ფრთოსანთა, და მოუსწრნეს კნინღა დაჭირებისაგან უკურიდებულთა“ (ისტ. და აზმ.)[1];

„...ივანე ამირ-სპასალარმან და სხუათა დიდებულთა კნინღა და შეპყრობისა სახედ წარმოიყვანეს...“ (იქვე)[2].

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს მისგან მიღებული ნაწილაკი კინაღამ (შდრ. იმერ. კიღამ).

Д. П. МАЧАВАРИАНИ

К ЭТИМОЛОГИИ ГРУЗИНСКОГО ПРИЛАГАТЕЛЬНОГО კნინი KNINI „МАЛЫЙ“

Р е з ю м е

1. Имя прилагательное კნინი knini еще в древнегрузинском языке является архаичным. Оно очень редко употребляется в древних памятниках грузинского языка. Сравнительно чаще употребляется оно в качестве наречия.

В современном грузинском языке კნინი knini (имя прилагательное) вовсе не употребляется. Встречается образованный от него глагол აკნინებს aknines „умáлит“. Из последнего образуются отглагольное имя существительное (масдар) и отглагольное имя прилагательное (причастия), и те носят оттенок древности.

Имеется производный от основы этого слова специальный (в грамматике) термин კნინობითი knino biti „уменьшительный“.

Слово კნინი knini вытеснил из употребления его семантический равный მცირე mcire.

2. Лексикограф Сулхан-Саба Орбелиани слово კნინი knini толкует как „наименьший“. Оно, по его словам, является одним из подвидом „младшего“.

Формой сравнительной степени имени прилагательного კნინი knini является უკნინეს uknines.

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 107.

[2] იქვე, გვ. 68.

3. კნინი knini автором статьи увязывается с занским კულე ‖ მკულე kule ‖ mkule „короткий“ и в результате сопоставления груз. კნინი — უკნინეს knini — uknines с занским კულე — უკულაში kule — ukulasi приходит к выводу, что კნინ ← კუან-ინ knin ← kuanin, где -ინ -in является словообразующим элементом (исторически флексией родительного падежа).

4. Таким образом, კნინი knini первоначально обозначает: малый, короткий, вообще: „что-либо такое (конкретное), которому недостает в пространстве, находится позади, ниже, подальше чего-либо“. Например, применительно к человеку, как и его синоним მცირე mcire, обозначает рост: ჰასაკით მცირეა hasakit mcirea „мал ростом“...

В последующей ступени развития значения этого слова оно обозначает и нечто такое, которому недостает во времени, например, მცირეა ჟამითა mcirea zamita „мал возрастом“...

И наконец კნინი knini является „наименьшим из всех меньшинств“. Оно один из видов младшего.

5. knini еще в древнегрузинском языке применяется в качестве наречия. А в современном языке имеем образованную от него частицу კინაღამ kinaγam „чуть“ (ср. имер. კიღამ kiγam).

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

დ. გეწაძე

ქავშირებითი მეოხრის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში*

ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში **მიზნის გარემოებითსა და დამატებითს დამოკიდებულ წინადადებებში,** როცა მთავარი წინადადების ზმნა წარმოდგენილია **წარსული დროის** რომელიმე ფორმით, **ქავშირებითი კილოს** გადმოსაცემად, როგორც წესი, **თურმეობითი** II იხმარება.

ა) მთავარ წინადადებაში **უწყვეტელია,** დამოკიდებულში — **თურმეობითი** II:

...მოსამსახურეებს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ-რა... ა. წ. გვ. 399.

...მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე... ე.-ფ. გვ. 362.

...ყველანი ჩქარობდნენ, რომ პურის ჭამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვნენ... ა. ყ. გვ. 315.

...ყანაში რჩებოდნენ, რომ ღამითაც ემუშავნათ რამდენსამე საათს... ე. ნ. გვ. 220.

...რას არ იგონებდა, რომ გაეცინებინა და ამასობაში თავის სიტყვაზე დაეყოლებინა... დ. კ. გვ. 83.

...არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჟღავნებინა დედისათვის... ი. ჭ. 562.

...აზრად არავის მოსდიოდა, რომ ერთხელვე გაემაგრებინათ სუფრის ფეხები ან ბიჭები სადილობამდე კარებზე დაეყენებინათ... ა. წ. გვ. 345.

...ვფიქრობდი იმაზე, ხვალ როგორ გამეტარებინა დროება... ე.-ფ. გვ. 390.

---

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესიაზე 1954 წლის 24 მარტს. იბეჭდება შემოკლებით.

ბ) მთავარ წინადადებაში **წყვეტილია**, დამოკიდებულში — **თურმეობითი** II:

...ორი-სამი კაცი კიდევ სხვა გაჰგზავნა სხვადასხვა სოფლებში, რომ შინაური ჯარა ექომებიც მოეწვიათ... ი. ჭ. გვ. 561.

...პირობა შეეკარით, რომ მოგვეკლა. ა. წ. გვ. 413.

...წინ გადაუდგა ფრთხილად, რომ არ შეეშინებინა... ი. გ. გვ. 59.

...ვუფეთქე წამალი, რომ ნადირი არ მიჰკარებოდა... ვ.-ფ., 387.

...ამ სიტყვებით ის გაჰქანდა თავქვე, რომ თავის ამხანაგებთან ერთად თავი დაედო და გამოესყიდა წუთით თავის დავიწყება... ა. ყ. 371.

...მოახლეს უბრძანეს, მეორე ოთახიდამ ყური ეგდო ოთარაანთ ქვრივისათვის... ი. ჭ. 566.

...მოვინდომე, რომ მიიპაროდი და ქუდი დამეხურა ზედ... ა. წ. გვ. 398.

...ვსთხოვე, რომ თავისი მონადირეობის ამბები ეამბნა ჩემთვის... ვ.-ფ. 387.

დღემდე გამოქვეყნებული დიალექტოლოგიური მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ქართული ენის კილოებშიც, ფერეიდნულისა და რაჭულის გამოკლებით (იხ. ქვემოთ), ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ახალ სალიტერატურო ქართულში.

ა) მთავარ წინადადებაში **უწყვეტელია**, დამოკიდებულში — **თურმეობითი** II:

...მე არც ჩაქუჩი მქონდა, არც რამე, რომ მამეტეხა კლდე და მარილი წამომეღო... ქართლ. 235.

...ის ეშმა ძალიან ეცდებოდ, რომ ...ქარქაშჩიგით ფირჩხილებ ამაეღ და გაქცეულიყვ... ხევსურ. 157.

...სუ უსაქმოთ დაეხეტებოდა, რო ეჩვენებია ხალხითვინა, მეცნიერი ვაროო... ვახან. გვ. 78.

...რალა მექნა, აღარ ვიცოდი... გურ. გვ. 9ჩ.

...უნდოდა, რუმე იმ სოფლის ხალხი გაცლილიყო, წასულიყო საქმეზე და სოფელი ცარიელი დარჩენილიყო... აჭარ. 32.

...იმას სურდა, გურგენის ცოლის ქმარი გამხთარიყო.., ლეჩხუმ. გვ. 240.

...მინამმა არ იცოდა, რაჲ ეთქო, რაჲ ერჩივა. ინგილ. 207.

ბ) მთავარ წინადადებაში **წყვეტილია**, დამოკიდებულში — **თურმეობითი** II:

...წავიდნენ მდევთან საომრათ, რო თავიანთი დაი წამეყვანათ... ქართლ. გვ. 64.

...შემდექ მეფეს დაუდო ვადა მეორე დღემდინ, რო გასაღები ეპოვა... ვახან. 78.

...გასცა ბძანება, რომ იმ გუბერნიაში ყველიზე გვეშინჯენ ფეხები... გურ. გვ. 103.

...ამიზა გადაწყვიტა დედინაცვალმა, ეთერი ძაროში დიემწყვდია და არ გამეჩინა... იქვე.

ახალ სალიტერატურო ქართულში **ძლიერ იშვიათად** ვპოულობთ იმის მაგალითებს, რომ ანალოგიურ პირობებში, ნაცვლად თურმეობითი II-ისა, კავშირებითი II იყოს ნახმარი:

...თივას აზიდვინებდა და შინ ეზოში, გომურის შორიახლო, ბოძებზე შემდგარს მაღალ სათივეზე ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუჭოს... ი. ჭ. გვ. 558.

...ამ საქმის გამო ხალხი კანცელარიასთან შეიკრიბა და მოახდინეს რჩევა, თუ როგორ მიაგნონ ქურდს... ე. ნ. 211.

ძველ ქართულში კი, ახალი ქართულისაგან მკვეთრი განსხვავებით, **კავშირებითი II-ის გამოყენება მიზნის გარემოებითსა და დამატებითს დამოკიდებულ წინადადებებში**, როცა მთავარი წინადადებების ზმნა **ნამყო დროის** რომელიმე ფორმას წარმოადგენს, **ჩვეულებრივი მოვლენაა.**

ა) მთავარ წინადადებაში **უწყვეტელია**, დამოკიდებულში — **კავშირებითი** II:

...დამუსრა პოკრი იგი და მიჰსცემდა მოწაფეთა თჳსთა, რა დაოჴგონ მათ... ჰაემეტი ტექსტ. გვ. 377.

...მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ... ოთხთ. მ. 26, 16.

...ჰლოცვიდეს, რაჲთა მტკიცედ ეგნენ სარწმუნოებასა... საქმე მოციქ. 5, 15.

...მოწლედ მოიკითხვიდა წმიდასა მას და აწუევდა, რათა მცირედ განისუენოს შრომისა მისგან... სერაპ. გვ. 160, 1.

...აღსწერდა სიტყუაჲსა მას მთავრისასა წ[თათჳს განჩინებულსა, რა აღწერით უქცეველ იყოს განჩინებაჲ იგი... კიმ. I, გვ. 56, 16.

...ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რაჲთა ჭამოს პური მის თანა... ოთხთ. ლ. 7, 36.

...ევედრებოდეს მას, რა მოვიდეს მათა... კიმ. I, გვ. 2, 21.

...უნდა პავლეს ეფესოჲსა თანა-წარსლვაჲ, რაჲთა არა დაყოვნოს მრავალჟამ ასიას შინა... საქმე მოციქ. 20, 16 გ.

ბ) მთავარში წყვეტილია, დამოკიდებულში — კავშირებითი II:

...ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ ხიყვნეს, რაჲთა ვერ იცნან იგი... ხანმ. ლექც. გვ. 060.

...ზრახვა-ყვეს, რაჲთა იესუ ზაკუვით შეიპყრან... ოთხთ. მ. 26, 4

...ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლანჲ იგი... შუშან., IX, 30.

...ხოლო ყოველნი იგი შეუვრდეს წმიდასა მას, რათა მიუტეოს ცოდვაჲ იგი... სერაპ., გვ. 170,36,

...მაშინ განაძჳნეს მკეცნი, რა მყის განბძარონ იგი... კიმ. I, გვ. 9. 15.

...მისცა თჳსთა კამლთა საბელი, რაჲთა სარტყლად შეირტყას... ხანძთ. ნზ. 4 ზემ.

...ყოველთა დაამტკიცეს, რათა მუნ იწყონ შენებად ეკლესიაჲ... სერაპ. გვ. 166, 18.

...უბრძანა მსაჯულმან, რაჲთა დააცადონ გუემაჲ მისი და შებორკილონ იგი და შეაყენონ საპყრობილესა... კიმ. II, გვ. 11, 11.

...ხოლო ჩუენ გუენება, რათა გარეშეწერით შემოვჳლოთ სიმგრგულე მათ ადგილთაჲ... სერაპ. გვ. 159, 16.

როგორც სათანადო მაგალითების განხილვა გვიჩვენებს, იმ ფუნქციით, რომელიც კავშირებითი მეორისათვის იყო დამახასიათებელი ძველ ქართულში, ახალ ქართულში თურმეობითი II ალიჰურვა. მაგრამ ეს არ მომხდარა ერთბაშად: თვით ძველ ქართულში გვხვდება რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო პირობებში, კავშირებითი II-ის ნაცვლად, გამოყენებულია -მცა ნაწილაკდართული თურმეობითი II:

...მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ ევედრებოდა მას, რაჲთამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ... შუშან. VI, 26.

...ხოლო ჩუენ შორის არა რაჲ პატიოსანთაგანი იპოვა, რაჲთამცა სულიერი ესე კარავი შეემკო... ათონ. 351, 4 ქვ.

მეორე მხრივ, მართალია, დროთა განმავლობაში თურმეობითი II-ის გამოყენება კავშირებითი II-ის ნაცვლად უფრო და უფრო

ფართო ხასიათს ღებულობს და ახალ ქართულში გაბატონებულ გრამატიკულ ნორმად იქცევა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ კავშირებითი II ახალ სალიტერატურო ქართულში იშვიათად მაინც იხმარება თავისი ძველი ფუნქციით (იხ. გვ. 105). კიდევ მეტი: ქართული ენის ერთ-ერთ კილოში, ფერეიდნულში, კავშირებითი II თითქმის მთლიანად ინარჩუნებს თავის წინანდელ ფუნქციას: ისევე. როგორც ძველ ქართულში, **მიზნის გარემოებითსა** და **დამატებითს დამოკიდებულ წინადადებებში,** როცა მთავარი წინადადების ზმნა **წარსული დროის** რომელიმე ფორმას წარმოადგენს, **კავშირებითი კილოს** გადმოსაცემად **ფერეიდნულშიც კავშირებითი II იხმარება** [1].

ა) მთავარ წინადადებაში **უწყვეტელი**, დამოკიდებულში—**კავშირებითი II**:

...მე მინდოდა (,) გავლანძღოყე... ფერეიდნ. გვ. 223.

...გუნდოდა, რო ორნი დავბრუნდეთ სახსათი, ორნი მოიდეთ ისფაანს... იქვე, 232.

...პაჲტა, ერთ რაქთენი ფეშანგი მიგქონდა, რო მალე მივასწრათ შუღლს... იქვე.

...უნდოდაყე, რო ქობები გადმაიღონ... იქვე, 243.

ბ) მთავარში **წყვეტილია**, დამოკიდებულში—**კავშირებითი II**:

...ჰოქუმათმა მოგთხოვა მეთოფეები, რომ წავიდენ... ფერეიდნ. გვ. 226.

...ოუჩიქარაეეთ წასლას, რო მალე მეევსწრათ...

იქვე, 232.

...შინ ვიყავ, რო წამალი დავლივო... იქვე, 242.

ის, რაც ითქვა კავშირებითი II-ის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში, წარმოადგენს ილუსტრაციას ი. ბ. სტალინის დებულებისას იმის შ ესახებ, რომ ენის გრამატიკული წყობა „...იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს“ [2]. მეორე მხრივ, ადასტურებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მო-

[1] ქართული ენის კილოთაგან მეტად თავისებურია რაჭულის ჩვენება. როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, იქ, სადაც ძველ ქართულში კავშირებითი II იხმარება, ხოლო ახალში — თურმეობითი II, რაჭულში კავშირებითი მესამეა გამოყენებული. ასე, რომ რაჭული არც ახალ ქართულს უჭერს მხარს და არც ძველს (იხ. შ. ძიძიგური, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში... ენიმკი-ს მოამბე, V—VI, 1940, გვ 103—108).

[2] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 23.

საზრებას, რომ დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმების, და მათ შორის თურმეობითი II-ის, წარმოქმნა მეორეული მოვლენაა:[1] თურმეობითი II, როგორც შედარებით **გვიან წარმოქმნილი** ნაკვთი, დროთა განმავლობაში იძენს იმ ფუნქციას, რომელსაც ძველ ქართულში, გარკვეულ შემთხვევებში, კავშირებითი II ასრულებდა.

(შემოვიდა რედაქციაში 25. IX. 1954)

Д. О. ГЕЦАДЗЕ

ОБ ОДНОЙ ФУНКЦИИ СОСЛАГАТЕЛЬНОГО II В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В новогрузинском литературном языке в придаточных предложениях цели и в дополнительных придаточных предложениях, когда в главном предложении имеется глагол прошедшего времени, употребляется прошедшее результативное II (თურმეობითი მეორე):

...მოსამსახურეებს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ-რა... ა. წ. 399.

...არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჯღავნებინა დედისათვის... ი. ჭ. 562.

В результате изучения соответствующих памятников устанавливается, что в древнегрузинском языке в техже условиях применяется сослагательное II:

...მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ ...ოთხთ. მ. 26, 16.

...ყოველთა დაამტკიცეს, რათა მუნ იწყონ შენებად ეკლესიაჲ... სერაპ. 166, 18.

Таким образом, в древнегрузинском языке сослагательное II вместе с другими функциями, указанными в специальной литературе, иногда выполняет и функцию прошедшего результативного II.

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I, თბილისი, 1948, გვ. 5.

შემოკლებათა განმარტება

ათონ.: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, საეკლ. მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901 წ.

ა. ყ: ალექსანდრე ყაზბეგი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1946.

ა. წ.: აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ფედერაცია, თბილისი, 1940.

აჭარ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათ., 1936.

გურ: სეოგი ქლენტი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფილისი, 1936.

დ. კ: დავით კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1947.

ე. ნ.: ეგნატე ნინოშვილი, მოთხრობები, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1947.

ვახან.: პ. ჯაჯანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, ქუთაისი, 1948.

ვ.—ფ.: ვაჟა-ფშაველა, რჩეული ნაწერები, გეროწტი ქიკოძის რედაქციით, ტექსტი დადგენილია ალ. აბაშელის მიერ, ტფილისი, 1936.

ი. გ.: იაკობ გოგებაშვილი, მოთხრობები, საბლიტგამი, თბილისი, 1950.

ინგ.: მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II. ტფილისი, 1913.

ი. ჭ. ილია ჭავჭავაძე. ლექსები, პოემები, მოთხრობები, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.

კიმ. I: ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. I, გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918.

კიმ. II: ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი, ტ. II, გამოსცა კორნ. კეკელიძემ, თბილისი, 1945.

ლეჩხუმ.: მ. ალავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, ქუთაისი, 1941.

ოთხთ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.). გამოსკა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.

საკმე მოციქ. საკმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1950.

სერაპ.: ბასილ ზარზმელი, ცხორებაჲ და ძოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, ტფილისი, 1935.

ფერეიდნ.: არნ. ჩიქობავა, ფერეიდნული მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფილისი, 1927.

ქართლ.: ალ. ღლონტი, ქართული ხალპრები და ლეგენდები, საბჭოთა წიწერალი, თბილისი, 1948.

შუშან.: იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, ილია აბულაძის გამოცემა (გამოკვლევით, ვარიანტებითა და ლექსიკონით), ტფილისი, 1938.

ხანმ. ლექც.: ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1944.

ხანძთ: გიორგი მერჩული, შრომაჲ და მოღუაწებაჲ... გრიგოლისი ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებელისაჲ, ნ. მარის გამოცემა, **Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии**, кн. VII, СПБ, 1911.

ხევსურ.: ბესარიონ გაბაშვილი, ხევსურული მასალები, პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ტფილისი, 1923—1924.

ჰაემეტი ტექსტ.: პროფ. ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერს. მოამბე, III, ტფილისი, 1923.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

ე. ა ბ ა შ ი ძ ე

დასკვნის ფსიქოლოგიისათვის

საკითხის დასმა

დასკვნა არის შემეცნების პროცესი, რომლის სპეციფიკას წარმოადგენს სინამდვილის შესახებ ცოდნის მიღება არა უშუალო განჭვრეტით, არამედ ამ სინამდვილის შესახებ ადრე მოპოვებული ცოდნის საშუალებით. ამდენად იგი გულისხმობს უშუალოდ მოცემული სინამდვილისგან განდგომას, განყენებას. ამის წყალობით დასკვნა იძლევა განზოგადებული შემეცნების შესაძლებლობას: ყოველგვარი განზოგადებული ცოდნა, საბოლოო ანგარიშში, დასკვნით არის გაპირობებული. ხოლო ვინაიდან ყოველი ცოდნა უსათუოდ შეიცავს ზოგადობის მომენტს, ამიტომ დასკვნას ემყარება ყოველი ცოდნა. დასკვნა შესაძლებლობას იძლევა სინამდვილის შესახებ ისეთი ცოდნის მოპოვებისას, რომელიც პრინციპულად მიუწვდომელია უშუალო განჭვრეტისათვის. ეს არის ცოდნა სინამდვილის არსის, სინამდვილის კანონების შესახებ.

ცოდნა მხოლოდ მსჯელობის სახით არსებობს[1]. ამიტომ დასკვნაც მსჯელობებით ხორციელდება. იგი მდგომარეობს მოცემული ერთი ან მეტი მსჯელობიდან ახალი მსჯელობის გამომდინარეობაში. მოცემული ცოდნიდან ახალი ცოდნის გამომდინარება ინდივიდის ნებასურვილზე არ არის დამოკიდებული: დასკვნის კანონზომიერება ობიექტური კანონზომიერებაა. დასკვნას გამოიყენებს ყოველი მეცნიერება,. მაგრამ მის კანონებს სწავლობს მხოლოდ ერთი მეცნიერება — ლოგიკა. ამასთანავე, ლოგიკის მთავარ ამოცანას სწორედ დასკვნის კანონების კვლევა შეადგენს.

[1] „მსჯელობა არის აზრი, რომელიც ასახავს საგნებისა და მოვლენების კავშირებსა და მიმართებებს" (К. Бакрадзе, Логика, 1951, გვ. 166).

ფსიქოლოგიას არ ეკითხება დასკვნის კანონების კვლევა ისევე, როგორც არ ეკითხება, მაგალითად, ფიზიკური სინამდვილის კანონების აღმოჩენა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიის დამოკიდებულება ლოგიკურ სინამდვილესთან საერთოდ და კერძოდ დასკვნასთან ისეთივე არაა, როგორიც მისი დამოკიდებულება ფიზიკურ სინამდვილესთან. საქმე ისაა, რომ ფიზიკური სინამდვილის არსებობისათვის სრულიად არაა საჭირო ინდივიდის ფსიქიკის არსებობა, ხოლო ლოგიკური სინამდვილის არსებობისთვის ინდივიდის ფსიქიკის არსებობა აუცილებელია. ამ მხრივ ლოგიკური სინამდვილე ჰგავს ყოველ საზოგადოებრივ სინამდვილეს: ემპირიულად იგი მხოლოდ ინდივიდის ფსიქიკის საშუალებით ხორციელდება, თუმცა ინდივიდის ფსიქიკის კანონზომიერებას არ ექვემდებარება.

ასეთია, მაგალითად, ენა: მას აქვს საკუთარი, ინდივიდის ფსიქიკის კანონებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური კანონები, თუმცა ემპირიულად იგი მხოლოდ ინდივიდის მეტყველების სახით არსებობს.

დასკვნასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიას იმისი გარკვევა აინტერესებს, თუ როგორ ხორციელდება დასკვნის ასახვა ინდივიდის მიერ. აქვე უნდა ითქვას, რომ „ასახვა" ფსიქოლოგიაში უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე შემეცნების თეორიაში: უკანასკნელს მხოლოდ შემეცნება აინტერესებს და „ასახვა" მისთვის ნიშნავს შემეცნებითს ასახვას. ფსიქოლოგიისთვის კი ასახვა ნიშნავს ინდივიდის არა მარტო შემეცნებითს, არამედ საერთოდ ყოველგვარ რეაქციას ობიექტურ საქმის ვითარებაზე: ფსიქოლოგიისთვის ასახვაა აღქმაც და აზროვნებაც, ასევე — გრძნობაც, გადაწყვეტილებაც, გარეგან მოძრაობებში გამოვლენილი ქცევაც... ფსიქიკა, საერთოდ, სხვა არაფერია, თუ არ ობიექტური სინამდვილის სუბიექტური ასახვა.

დასკვნის ფსიქიკური ასახვა ოროგვარი შეიძლება იყოს: ჯერ ერთი, ინდივიდმა შემეცნებითად შეიძლება ასახოს დასკვნა ისევე, როგორც შეიძლება ასახოს საერთოდ ყოველგვარი სინამდვილე. ამგვარი ასახვის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს დასკვნის ლოგიკური კანონების მეცნიერული შემეცნება.

დასკვნის მეორეგვარი ასახვა იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდი გამოიყენებს დასკვნას შემეცნების იარაღად, საშუალებად, მიუხედავად იმისა, შემეცნებული აქვს მას თვით დასკვნის კანონზომიერება თუ არა. ასე ვთქვათ, იგი პრაქტიკულად გამოიყენებს დასკვნის ობიექტურ კანონზომიერებას. სწორედ ასეთ შემთხვევაში

ჩნდება დასკვნა, როგორც ემპირიული სინამდვილე, რომლისგანაც აწარმოებს ლოგიკა დასკვნის კანონების აბსტრაქციას. პრაქტიკული ასახვა ყოველთვის წინ უსწრებს თეორიულ ასახვას: იმისათვის, რომ შეიმეცნო ლოგიკის კანონი, უნდა შეგეძლოს ლოგიკურად აზროვნება. ამის ანალოგი არის, მაგალითად, მეტყველების ფაქტი, რომლისგანაც აწარმოებს ენათმეცნიერება გრამატიკული კანონების აბსტრაქციას.

ადამიანი, ისტორიულადაც და ონტოგენეზურადაც, უფრო ადრე ახერხებს გრამატიკული კანონების გამოყენებას აზრის გაზიარების მიზნით, ვიდრე მათს შემეცნებას. უფრო შორეულ ანალოგებს თუ მივმართავთ, ვნახავთ, რომ ფიზიკურ სინამდვილესაც ასევე ორგვარად ასახავს ადამიანი და ყოველთვის პრაქტიკულად უფრო ადრე, ვიდრე თეორიულად, შემეცნებითად: ანთებს ცეცხლს, ჭამს ხაჭმელს, აკეთებს იარაღს... თუმცა არც ცეცხლის თეორია იცის, არც კვების ჰიგიენა, არც მასალათა გამძლეობის თეორია.

ჩვენ აქ დასკვნის სწორედ ეს მეორეგვარი ასახვა გვაინტერესებს: რა ფსიქიკური მექანიზმებით ხორციელდება შემეცნების იარაღად დასკვნის ობიექტური კანონზომიერების გამოყენება ინდივიდის მიერ? ეს საკითხი, რამდენადაც ვიცით, არავის უკვლევია.

ეს, ერთი შეხედვით, უცნაური „გულმავიწყობა" გაპირობებულია იმ მეთოდური მოსაზრებებით, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე აზროვნების ფსიქოლოგიას. ერთი მხრივ, აღიარებული იყო, რომ კვლევა მარტივით უნდა იწყებოდეს და თანდათან უფრო და უფრო რთულზე გადადიოდეს. მეორე მხრივ, — რომ აზროვნების უმარტივესი ელემენტი, აზროვნების „საშენი მასალა" არის ცნება, რომლისგანაც აიგება მსჯელობა; ხოლო მსჯელობებისაგან აიგება დასკვნა. ამიტომ მკვლევარების ინტერესის საგნად ცნება იქცა და იგულისხმებოდა, რომ ცნების ფსიქოლოგიის შესწავლით მსჯელობისა და დასკვნის ფსიქოლოგიაც შესწავლილი იქნებოდა.

არც ერთი ამ მეთოდურ პოსტულატთაგანი არ არის უეშმარიტი. თანამედროვე საბჭოთა ლოგიკა უარყოფს ასეთ ერთმხრივსა და მარტივ მიმართებას ცნებასა, მსჯელობასა და დასკვნას შორის. კერძოდ, მსჯელობა შეიძლება განხორციელდეს ისეთ პირობებშიც, როდესაც მისი „შემადგენელი ელემენტები", სიტყვები, არ აღნიშნავს ცნებებს, ამ სიტყვის ლოგიკური მნიშვნელობით. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან თვით ცნება — აზრი საგნის არსე-

ბ. კუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1955.

ბითს ნიშნებზე — მხოლოდ მსჯელობების საშუალებით შეიძლება იქნეს მოპოვებული.

რაც შეეხება კვლევის უმარტივესით დაწყებას, მარქსისტული მეთოდოლოგიის თანახმად, არც ის არის უპირობოდ მართებული, თუ ე. წ. რთული ე. წ. მარტივისგან არა მარტო რაოდენობრივად განსხვავდება, არამედ რომელობითადაც, მაშინ ცხადია, რომ, რაც უნდა აბომშურავად იქნას შესწავლილი „წმინდა სახით" (pér se) მარტივი მოვლენა, მისი ამ სახით მოცემული კანონზომიერების ცოდნა არ იქნება საკმარისი იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ამ კანონზომიერებამ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შემადგენელ მოწენტად შედის რთულის კანონზომიერებაში, და მით უფრო ნაკლებ იქნება საკმარისი თვით იმ რთულის კანონზომიერების შესამეცნებლად.

ასე, მაგალითად, ქიმიის ამომწურავი ცოდნაც არ არის საკმარისი, ვთქვათ, ტვინის ქერქის დროებითი კავშირების მექანიზმის გასაგებად, თუმცა ფიზიოლ~გიური პროცესები ქიმიური რეაქციების სახით ხორციელდება. ან კიდევ საბჭოთა ფსიქოლოგიაში უდავო აღიარებულია ადამიანის ფსიქიკის საზოგადოებრივი ბუნება[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოველური ფსიქიკისგან წარმომდგარი ადამიანის ფსიქიკა თვისობრივად განსხვავდება ცხოველური ფსიქიკისგან, რადგან იგი არსებობს მხოლოდ უფრო მაღალი კატეგორიის სინამდვილის — საზოგადოებრივი სინამდვილის — შემადგენელი მომენტის სახით და ამ უკანასკნელის კანონზომიერების გავლენით სახეს იცვლის. და, ბოლოს, კიდევ ერთი მაგალითი: ცნობილია, რომ ნებელობა აზროვნებაზე აიგება, აზროვნება — აღქმაზე, აღქმა — შეგრძნებაზე. მაგრამ ყოველთვის არ ვუშვებთ სათანადო ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ამ ფუნქციებს შორის საწინააღმდეგო მიმართებაც არსებობს. შეგრძნება, თუ ის ბუნებრივ პირობებში — აღქმის პროცესში — ხორციელდება, სხვაგვარად მიმდინარეობს, სხვა — აღქმის — კანონზომიერებით არის გაპირობებული, ვიდრე იზოლირებული რეცეპტორის ექსპერიმენტულ პირობებში გაღიზიანებისას; ასევე, აღქმის რეალური კონკრეტული ფაქტი აზროვნებით არის გაპირობებული, რაც აღქმის ხატის ზოგადობაში ანუ კატეგორიულობაში იჩენს თავს... ამ ხასიათისაა, ზოგადად და საყოველთაოდ, მარტივისა და რთულის

[1] ამ სწორ დებულებაზე აიგო ე. წ. „ორი ფაქტორის" — ბიოლოგიურისა და საზოგადოებრივის — მცდარი თეორია.

ურთიერთობა: რთული არსებობს მარტივის საფუძველზე, ხოლო მარტივი, თუ იგი შემადგენელ მომენტად არის შესული რთულში, განიცდის რთულის გავლენას და მის შესაბამისად ცვლის თავის ბუნებას.

გამონაკლისს არც აზროვნების ფორმები — ცნება, მსჯელობა და დასკვნა — შეადგენს. ამ სამთაგან ცნება უმარტივესია, მსჯელობა ცნებებისგან შედგება, დასკვნა — მსჯელობებისაგან. მაგრამ დასკვნაში მსჯელობაცა და ცნებაც ისეთ თვისებებს ამჟღავნებს, რომლებიც დასკვნის გარეშე მათ არა აქვთ.

ამიტომ დასკვნის ფსიქოლოგიური საკითხების გასარკვევად თვით დასკვნის ფსიქოლოგიური შესწავლაა საჭირო. ასეთი კვლევა შუქს მოჰფენს, აგრეთვე, მსჯელობისა და ცნების ფსიქოლოგიურ რაობას, რამდენადაც დასკვნაში ისინი ისეთ თვისებებს გამოავლენენ, რომლებიც მათი იზოლირებულად, დასკვნის გარეშე განხილვისას გამოუვლინებელი და შეუმჩნეველი რჩება. არაა საკმარისი იმის აღიარება, რომ საჭიროა დასკვნის კვლევა: ზუსტად უნდა განისაზღვროს საკვლევი პრობლემა და ზუსტად უნდა მოიხაზოს საკვლევი სფერო.

დასკვნის ფსიქოლოგიური კვლევა პრობლემების მთელ რიგს მოიცავს. ზევით ვთქვით, რომ დასკვნის ფსიქიკური ასახვა ორგვარია: შემეცნებითი და გამოყენებითი (პრაქტიკული) რომ ჩვენი კვლევის საგანი არის დასკვნის პრაქტიკული ასახვა, მაგრამ საჭიროა პრობლემის კიდევ უფრო დაზუსტება, რადგან დასკვნის პრაქტიკული ასახვის საკითხიც პრობლემების მთელ რიგს მოიცავს. მაგალითისათვის მოვიტან რამდენიმე პრობლემას: რა შემთხვევაში მიმართავს ინდივიდი დასკვნას? რა დამოკიდებულებაშია დასკვნისა და დასაბუთების გამოყენება ინდივიდის მიერ? როგორ ხდება ჯეროვანი წანამძღვრების შერჩევა? თითოეული მათგანი უდავოდ ღირსია კვლევისა. მაგრამ სანამ ამ საკითხების კვლევას შეუდგებოდეთ, ჯერ ის უნდა გვქონდეს გარკვეული, თუ რას წარმოადგენს დასკვნის ფსიქიკური ასახვა.

დასკვნის, როგორც შემეცნებითი პროცესის, სპეციფიკას ქმნის მოცემული აზრებიდან ახალი აზრის გამომდინარეობა. ეს არის დასკვნის ძირითადი პრობლემა როგორც ლოგიკის, ისე ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც. ამიტომ ამ შემთხვევაში დასკვნის ფსიქოლოგიური საკითხებიდან საკვლევად ავიღეთ საკითხი: როგორ ხორციელდება ინდივიდის მიერ მოცემული აზრებიდან ახალი აზრის გამოტანა?

ლოგიკაში დასკვნის მრავალი სახეა ცნობილი. განსხვავდება ეს სახეები ერთმანეთისაგან იმით, თუ რამდენი მსჯელობიდან გამოიტანება დანასკვი: ერთიდან, ორიდან თუ მეტიდან; თუ რა სახის მსჯელობებს წარმოადგენს წინამძღვრები: კატეგორიულს, გაყოფითს თუ პირობითს; კერძოობითს თუ გამომყოფელს; დადებითს თუ უარყოფითს... სავარაუდოა, რომ ისინი ფსიქოლოგის თვალსაზრისითაც უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

მრავალი მოსაზრების საფუძველზე, ლოგიკის მიერ დასკვნის ძირითად სახედ კატეგორიული სილოგიზმი არის აღიარებული[1]. მისი არსებობის კანონიერებაში არავის შეუტანია ეჭვი არისტოტელედან დღემდე. სხვა სახეების არსებობის კანონიერება კი საყოველთაოდ არ ყოფილა აღიარებული. ამიტომ პირველ რიგში კატეგორიული სილოგიზმის აღება საკვლევ სფეროდ ლოგიკის თვალსაზრისით გამართლებულია.

წინასწარმა მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც გამართლებულია დასკვნის კვლევის დაწყება კატეგორიული სილოგიზმით: მასში მაქსიმალურად აშკარად არის გამომჟღავნებული აზროვნების დისკურსიული ბუნება და, თანაც, მაქსიმალური ეკონომიით არის გამოყენებული სააზროვნო ოპერაციები, რის გამოც საკვლევი მასალა ფრიად ხელსაბებად ეძლევა მკვლევარს. სხვა სახის დასკვნების კვლევისას საჭირო ხდება დასკვნის ისეთი ბზარების გათვალისწინება, რომლებიც კატეგორიულ სილოგიზმში უფრო ადვილი საშუალოა. ამიტომ ჯობს ამ სახით დავიწყოთ დასკვნის კვლევა. ვიდრე მივმართოთ მას, როგორც დაწხმარე მასალას სხვა სახის დასკვნების კვლევის პროცესში.

ლოგიკაში კატეგორიული სილოგიზმის ოთხი სახე, ანუ როგორც უწოდებენ, ოთხი ფიგურაა ცნობილი. ფიგურები ერთმანეთისგან განსხვავდება გამოყენებული ცნებების ადგილმდებარეობით წანამძღვარში. ლოგიკოსები სხვა ფიგურების წინაშე პირველ ფიგურას ანიჭებენ (განსაკუთრებით — ძველად ანიჭებდნენ) უპირატესობას: ჯერ ერთი, მხოლოდ ეს ფიგურა იძლევა ყველა სახის დასკვნას: ზოგად-დადებითსაც, ზოგად-უარყოფითსაც, კერძოობით-დადებითსაც და კერძოობით-უარყოფითსაც; მხოლოდ ის იძლევა ზოგადი დანასკვების მიღების შესაძლებლობას. მეორეც ის, რომ

[1] კატეგორიული სილოგიზმი არის დასკვნის ის სახე, რომელშიც ორი მოცემული კატეგორიული მსჯელობიდან გამომდინარეობს ახალი კატეგორიული მსჯელობა. მოცემულ მსჯელობებს წანამძღვარები ეწოდება, მიღებულ მსჯელობას — დანასკვი.

მხოლოდ ამ ფიგურაზე დაიყვანება ყველა სხვა ფიგურა. მესამე ის, რომ ამ ფიგურას მეტი დამარწმუნებლობა აქვს, ვიდრე სხვას. ასე ფიქრობდა ძველი ლოგიკა. მართალია, დღეს ეჭვია შეტანილი მის „მეორე უპირატესობის“ ღირებულებასა და „მესამე უპირატესობის“ ფაქტიურად არსებობაში, მაგრამ სხვა ფიგურებზე ნაკლებ ღირებულად იგი არავის მიაჩნია. ჩვენც პირველი ფიგურა ავირჩიეთ საკვლევ საგნად. პირველ ფიგურას აქვს ოთხი სახესხვაობა, ე. წ. მოდუსი, რომლებიც ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ როგორ მსჯელობებს წარმოადგენს მათი წანამძღვრები. პირველი მოდუსის (ე. წ. Barbara) ორივე წანამძღვარი ზოგად-დადებითი მსჯელობაა და დანასკვიც ზოგად-დადებითი მიიღება. ფსიქოლოგიურად სწორედ ეს მოდუსი აღმოჩნდა ყველაზე მარტივი და დახვეწილი და, ამდენად, ყველაზე ხელსაყრელი ობიექტი კვლევისა[1].

ამრიგად, დასკვნის ფსიქოლოგიური კვლევის სფერო ამ შემთხვევაში ჩვენ შემოვფარგლეთ კატეგორიული სილოგიზმის 1 ფგუირის 1 მოდუსით (Barbara).

კვლევის მეთოდი

კვლევის მიზანია დასკვნის პროცესის გათვალისწინება სილოგისტური დასკვნის განხორციელებისას ბუნებრივ პირობებში, ე. ი. როდესაც ცდის პირს ეძლევა თანმიმდევრობით ორივე წანამძღვარი და იგი დანასკვით გვიპასუხებს, თვით პროცესი შეუმჩნეველი რჩება. მაშასადამე, საჭიროა მოინახოს დასკვნაში მყარი პუნქტები, რომლებშიც შესაძლებელი იქნება პროცესის შეჩერება მისი დაკვირვების მიზნით. ასეთი პუნქტების მივნება არაა ძნელი საქმე: სილოგიზმი ორი წანამძღვრისაგან შედგება, თითოეული წანამძღვარი — ორი ტერმინისაგან. ტერმინზე უფრო მცირე ერთეული სილოგიზმში არ არსებობს. მაშასადამე, საჭიროა პროცესის შეჩერება თანმიმდევრობით თითოეულ ტერმინზე და ამ მომენტში დასკვნის პროცესის მდგომარეობის შესწავლა.

ამ ამოცანის შესატყვისად, ჩატარებული ცდების გეგმა შემდეგია:

1. ცპ-ს (ცდის პირს) ევალება სიტყვის მნიშვნელობის გაგებისთანავე დაასახელოს მისი პირველივე ნიშანი, რომელიც გაახსენდება.

---

[1] საგულისხმოა, რომ სწორედ ამ მოდუსს აქვს უდიდესი შემეცნებითი ღირებულება ყველა სხვა მოდუსთან შედარებით.

მაგალითად, ცხ (ცდის ხელმძღვანელი): „ძაღლი..?“ ცპ: „ყეფს“.

2. ცხ ახდენს მიცემული სიტყვის პრედიკაციას და ავალებს ცპ-ს დანასკვის (ენთიმემურად) გამოტანას. პრედიკაცია ხდება არა იმ ნიშნით, რომელიც წინა პლანზე ცპ-მა გამოიყენა.

მაგალითად, ცხ: „(ძაღლი)... ცხოველია, მაშასადამე...?“ ცპ: „...დარბის“.

3. ცხ ეუბნება ცპ-ს მცირე წანამძღვრის ქვემდებარეს და ისევე, როგორც ცდის პირველ ეტაპზე, ცპ ახდენს მის პრედიკაციას.

მაგალითად, ცხ: „ბროლია...?“ ცპ.: „...თეთრია“.

4. ცხ ახდენს ქვემდებარის პრედიკაციას შესატყვისი ნიშნით — ცდის პირველ ეტაპზე ქვემდებარედ მიცემული სიტყვით (სილოგიზმის M) და ავალებს ცპ-ს დანასკვის გამოტანას.

მაგ., ცხ: „(ბროლია) ძაღლია. მაშასადამე...?“ ცპ: „...ცხოველია“.

ცდა, ამოცანის შესატყვისად, საკვლევად აღებული მოდუსის (Barbara) სქემით ტარდება. სილოგიზმის შინაარსს ვცვლიდით ხოლმე ცპ-ის შესაფერისად.

ამოცანის გაგება და დავალების შესრულება ცპ-ებისთვის სულ ადვილი იყო.

ზოგიერთ ცპ-ს ყველა ან ზოგიერთ ეტაპზე ვთხოვდით რეტროსპექტულ ჩვენებებს, ცდა იმდენად მარტივია, რომ არაა საჭირო მისი უფრო დაწვრილებით აღწერა. ცდების ვარიაციები და დამატებითი ცდები ქვეგით არის მოტანილი საკითხის განხილვისას.

ცპ-ები გვყავდა ყველა ასაკისა, 5 წლიდან 80 წლამდე; განათლების მიხედვით, უწიგნურებიდან დაწყებული სამეცნიერო ხარისხების მქონეებამდე; ლოგიკის ცოდნის ყველა საფეხურზე მდგომნი, დაწყებული ლოგიკის სრულიად არ მცოდნეებით და გათავებული პროფესიული ლოგიკოსებით. ზოგიერთი ცდა ჩავატარეთ 2—3 ცპ-ზე, ზოგიერთი — 15—20-ზე. ყველა ცპ-ის პასუხები არსებითად ერთნაირია განურჩევლად მათი ასაკისა, განათლებისა და მათ მიერ ლოგიკის ცოდნისა.

აუცილებელი ცნობები ლოგიკიდან

დასკვნის ფსიქოლოგიური ანალიზის უწინარეს აუცილებელია ნათლად გვქონდეს გათვალისწინებული მისი ლოგიკური ბუნება. დასკვნა ობიექტური სინამდვილეა, რომელსაც ინდივიდი თავისი შემეცნების იარაღად გამოიყენებს და ამიტომ, სანამ იმის კვლევას დავიწყებდეთ, თუ როგორ გ ა მ ო ი ყ ე ნ ე ბ ს ინდივიდი ამ იარაღს,

უნდა გავითვალისწინოთ, რ ო გ ო რ ი ა ეს იარაღი თავისთავად, ინდივიდის გარეშე.

თანამედროვე საბჭოთა ლოგიკას ლოგიკური მიაჩნია არა დამოუკიდებელ სინამდვილედ, არამედ შემეცნების ფორმალურ მხარედ. ლოგიკური კანონი მისთვის არის აზროვნების, როგორც შემეცნებითი პროცესის კანონი, რომელიც სინამდვილის შემეცნებისას მოქმედებს. ლოგიკური ფორმით განხორციელებულ აზრს ყოველთვის აქვს შემეცნების საგანი[1]. აზროვნების პროცესში ეს საგანი ცნების სახით არის წარმოდგენილი. ცნება არის აზრი საგნის არსებითი ნიშნების ერთობლიობის შესახებ და ემპირიულად სიტყვის სახით არსებობს (სიტყვას, რომელიც ცნებას აღნიშნავს, ტერმინი ეწოდება). დასკვნის ლოგიკურად აუცილებელი პირობაა ის, რომ აზროვნების პროცესის მანძილზე ტერმინის მნიშვნელობა (ცნება) უცვლელი, იგივეობრივი რჩებოდეს.

სილოგიზმი სამი მსჯელობისაგან შედგება: დიდი წანამძღვრის, მცირე წანამძღვრისა და დასკვნისაგან. წანამძღვარ მსჯელობებში მოცემულია აზრები, რომლებიც დასკვნის პროცესის განხორციელების უშინარეს არის ცნობილი. დასკვნა ამ მსჯელობებიდან გამომდინარეობს და ახალ, აქამდე უცნობ აზრს შეიცავს. დასკვნაა მოცემული დასკვნის მთელი შემეცნებითი ღირებულება[2].

ჩვენს შემთხვევაში წანამძღვრებიც და დასკვნაც წარმოადგენენ კატეგორიულ ატრიბუტულ დადებითს ზოგად[3] მსჯელობებს.

კატეგორიული მსჯელობა ყოველთვის სამი წევრისგან შედგება: ქვემდებარისაგან, პრედიკატისა და კოპულისაგან. ქვემდებარე არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ცნებას იმ საგნისას, რომელიც წარმოადგენს ამჟამად შემეცნების ობიექტს. პრედიკატი არის ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნიშანს, რომელიც მიეწერება ქვემდებარეში ნაგულისხმევ საგანს (NB). კოპულა არის სიტყვა, რომელიც აღნიშნავს პრედიკატში ნაგულისხმევი ნიშნის მიმართებას ქვემდებარეში ნაგულისხმევი საგნისადმი (ეს მიმართება მხოლოდ ორგვარი შეიძლება იყოს — ან დადებითი ან უარყოფითი: S საგანს შეიძლება ან ჰქონდეს P თვისება ან არ ჰქონდეს იგი).

---

[1] თვითონ აზრიც შეიძლება იყოს შემეცნების საგანი.

[2] რა თქმა უნდა, არავინ იფიქრებს, რომ დასკვნაში არ შეიძლება მოცემული იყოს ინდივიდისთვის უკვე ცნობილი ახრი, მაგრამ ამას არა აქვს კავშირი დასკვნის ლოგიკურ ბუნებასთან.

[3] მცირე წანამძღვარი და დასკვნა შეიძლება მხოლოობითი მსჯელობებიც იყოს ლოგიკის თვალსაზრისით, ეს არ ქმნის არსებითს განსხვავებას.

დიდი წანამძღვრის ქვემდებარე (M) უსათუოდ უფრო ზოგადია, ვიდრე მცირე წანამძღვრისა (S). მცირე წანამძღვრის პრედიკატად უსათუოდ აღებულია დიდი წანამძღვრის ქვემდებარე (M). დანასკვის ქვემდებარედ (S) ვღებულობთ მცირე წანამძღვრის ქვემდებარეს, პრედიკატად — დიდი წანამძღვრის პრედიკატს, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს ყოველ შესაძლო (ლოგიკურად შესაძლო) ნიშანს. პირობითი ნიშნებით ლოგიკაში დასკვნას (Barbara მოდუსით) შემდეგნაირად გამოხატავენ.

M+P (M-ს აქვს ნიშანი P) . . . . დიდი წანამძღვარი
S+M (S-ს აქვს ნიშანი M) . . . . მცირე წანამძღვარი

S+P (S-ს აქვს ნიშანი P) . . . . დანასკვი

რაც ნიშნავს: რადგან M არის (აქვს ნიშანი) P, ხოლო S (აქვს ნიშანი) არის M, მაშასადამე, S არის (აქვს ნიშანი) P.

როგორც ვხედავთ, წანამძღვრებს საზიარო აქვთ მხოლოდ ტერმინი M. მისი საშუალებით ხდება დანასკვის ქვემდებარის (S) დაკავშირება მის პრედიკატთან (P).

ლოგიკას დასკვნის[1] პროცესი შემდეგნაირად ესმის: დიდი წანამძღვარი „M არის P" წარმოადგენს მსჯელობას, რომელშიც M ქვემდებარეს მიეწერება ნიშანი P. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ P ნიშანი მიეწერება იმ საგანს, რომელიც ნაგულისხმევია M-ში და არა M ცნებას: თუ M ცნებას წარმოვიდგენთ აზრად, a, b, c არსებითი ნიშნების ერთობლიობის შესახებ, იგი ასეთად დარჩება „M არის P" მსჯელობის განხორციელების შემდეგაც[2].

ამის ანალოგიურად, მცირე წანამძღვარში „S არის M" S-ში ნაგულისხმევ საგანს მიეწერება M ნიშანი. M-ში ნაგულისხმევია მისი არსებითი ნიშნები: a, b, c, მაგრამ არაა ნაგულისხმევი ნიშანი P. ამიტომ S-ის პრედიკაცია M-ით თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ S-ს მიეწერება P ნიშანი. იმისათვის, რომ S-ს მიეწეროს P ნიშანი, აუცილებელია ორივე (დიდი და მცირე) წანამძღვრის დაკავშირება. დასკვნის ერთიან პროცესში მოქცევა. დასკვნას ქმნის ორი წანამძღვრის დაკავშირება, რაც უზრუნველყოფს დანასკვის გამომდინარებას. დასკვნა ხორციელდება იმის წყალობით, რომ, როდესაც მცირე წანამძღვარში ვახდენთ S-ის პრედიკაციას M-ით,

[1] დასკვნაზე როცა ვილაპარაკებთ, ყოველთვის ვიგულისხმებთ დასკვნას კატეგორიული სილოგიზმის 1 ფიგურა 1 მოდუსით (Barbara).

[2] აქ უგულებელვყოფთ იმ შემთხვევას, როდესაც M-ს მიეწერება არსებითი ნიშანი და ამით შეიცვლება M ცნება.

M-ს თავის მხრივ მივაწერთ P ნიშანს: „რადგან M არის P, ხოლო S არის M, ამიტომ S არის P". ერთი წუთითაც თუ უგულებელვყოფთ მცირე წანამძღვრის განხორციელებისას დიდ წანამძღვარს, დანასკვს „S არის P" ვეღარ მივიღებთ, რადგან, როგორც ზევით ვთქვით, S-ის პრედიკაცია M-ით არ ნიშნავს S-ისთვის P ნიშნის მიწერას, რამდენადაც P ნიშანი არაა შესული M-ის შინაარსში. მაშასადამე, იმისთვის, რომ S-ს მიეწეროს M-ის საშუალებით P ნიშანი, მცირე წანამძღვრის „S არის M" განხორციელებისას უნდა იგულისხმებოდეს დიდი წანამძღვარიც „M არის P". თუ ვუღალატებთ ლოგიკაში განმტკიცებულ ტრადიციას და შევცვლით წანამძღვრების თანმიმდევრობას, ე. ი. მცირე წანამძღვარს წინ მოვათავსებთ[1], მაშინ უფრო აშკარად გამოჩნდება დასკვნის ის თვისება, რომელიც ამჟამად გვაინტერესებს, სახელდობრ ის, რომ დასკვნის შემადგენელ უმარტივეს ერთეულებს წარმოადგენს მსჯელობები და არა ცნებები. ასეთ წყობაში დასკვნა შემდეგ სახეს მიიღებს: S — M, M — P; S — P, რაც ნიშნავს: S-ს აქვს ნიშანი M, ხოლო M-ს აქვს ნიშანი P. ამიტომ S-ს აქვს ნიშანი P, თანახმად იმ აქსიომისა, რომ ნიშნის ნიშანი არის თვით საგნის ნიშანი[2].

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა ვაღიაროთ, რომ დასკვნა, როგორც ლოგიკური პროცესი, ერთიანი პროცესია, რომელშიც წანამძღვრები განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული; ამ მთლიანი პროცესის უმარტივეს „ავტონომიურ" მომენტებს წარმოადგენს მსჯელობები და არა ცნებები; დასკვნის პროცესი მსჯელობებს შორის მიმდინარეობს. „რადგან M არის P, ხოლო S არის M, მაშასადამე S არის P", ან, წანამძღვრების შებრუნებული რიგით: „S არის M, ხოლო M არის P; მაშასადამე, S არის P".

დასკვნის ეს სქემა ნათლად გვიჩვენებს, რომ დასკვნის პროცესი ორი ეტაპისგან შედგება: პირველია გადასვლა ერთი წანამძღვრიდან მეორეზე[3], მეორეა გადასვლა მეორე წანამძღვრიდან დანასკვზე. მსჯელობები დასკვნის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენს და დასკვნის პროცესი არც ერთი მსჯელობის „შიგნით" არაერთარ ცვლილებას არ იწვევს.

[1] ლოგიკის თვალსაზრისით, წანამძღვრების რიგს ხარ აქვს არსებითი მნიშვნელობა, იგი სავსებით პირობითია

[2] К. Бакрадзе. Логика, 1951, გვ. 352.

[3] როგორც წანამძღვრები იქნება, პირველი და ორელი — მეორე: დიდი თუ მცირე, როგორც ვნახეთ, სულ ეთია.

დასკვნის ლოგიკური პროცესის შესაჯერებლად შესატყვის ფსიქიკურ პროცესთან მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებასაც, რომ დასკვნის ლოგიკური პროცესი არაა დროში გაშლილი პროცესი: დროითი განზომილება, დროის მომენტი ლოგიკურისთვის სრულიად უცხოა.

აზროვნების ფსიქოლოგიის ტერმინოლოგიის შესახებ

აზროვნების ფსიქოლოგიას არა აქვს საკუთარი ტერმინები ძირითადი ცნებებისათვის. ეს გარემოება სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის კვლევას. ტერმინები: „ცნება", „მსჯელობა", „დასკვნა"... ლოგიკისგან არის ნასესხები. როდესაც ფსიქოლოგია მათ წესახებ ლაპარაკობს, გულისხმობს, რომ ისინი ფსიქოლოგიურ ცნებებს აღნიშნავენ. ფსიქოლოგიის კურსებში, სახელმძღვანელოებში ამ ცნებების ზუსტად ისეთივე განსაზღვრებას იძლევიან, როგორსაც ლოგიკის სახელმძღვანელოებში.

ეს. ვფიქრობთ, არსებით ზიანს აყენებს აზროვნების ფსიქოლოგიურ კვლევას. მაგალითად, ძალიან დიდი და ნაყოფიერი შრომა არის ჩატარებული, ვთქვათ, ე. წ. „ცნების ფსიქოლოგიის" სფეროში: იკვლევენ ცნების შემუშავებასა თუ დაუფლებას ინდივიდის მიერ, მაგრამ მუშაობა, თითქოს, შუა გზაზე ჩერდება: გამოიკვლევენ, თუ როგორ ახერხებს ინდივიდი საგნის არსებითი ნიშნების ერთობლიობის გააზრებას და, რადგან, ლოგიკის თანახმად, აზრი საგნის არსებითი ნიშნების ერთობლიობის შესახებ სწორედ ცნება არის, ამიტომ ამ „აზრს" მიაწერენ იმ ფუნქციებს, რომელიც ლოგიკურ ცნებას აქვს. თითქოს ივიწყებენო, რომ ინდივიდუმის აზრი საგნის არსებითი ნიშნების ერთობლიობის შესახებ თავისი არსებობის ფორმით რომელობითად განსხვავდება ცნებისგან: პირველი ფსიქიკური სინამდვილეა, მეორე — ლოგიკური.

ამგვარ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ტერმინებს: „ცნება", „მსჯელობა", „დასკვნა"... ჩვენ ეხმაროთ მათი ლოგიკური მნიშვნელობით, ხოლო მათ ფსიქოლოგიურ შესატყვისობებს ვუწოდებთ „ცნების", „მსჯელობის", დასკვნის"... „ინდივიდურ ასახვას" ან „ფსიქიკურ ასახვას" ან, უბრალოდ, „ასახვას".

ასეთივე მდგომარეობაა „სიტყვა" ტერმინის შემთხვევაში. იგი, ენათმეცნიერული ტერმინია ისევე, როგორც ტერმინი „ენა". მაგრამ თუ ფსიქოლოგიას მოეპოვება „ენა" ტერმინის კორელაციური ტერმინი „მეტყველება", „სიტყვა" ტერმინის კორელაციური

ტერმინი არა აქვს. ამ შემთხვევაშიც ჩვენ „სიტყვის ინდივიდურ ასახვას“ ვხმარობთ. ასეთი ტერმინები ამძიმებს თხრობის სტილს, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა.

სიტყვის ფსიქიკური ასახვის შესახებ

მოსაზრებები დასკვნის ფსიქიკურ პროცესებზე, რაც წინამდებარე შრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, ემყარება გარკვეულ შეხედულებებს სიტყვისა და მსჯელობის ფსიქიკურ ასახვაზე. ეს შეხედულებები დასკვნის ფსიქიკური ასახვის კვლევისას შემუშავდა. მაგრამ თხრობის სისტემატურობისთვის აუცილებელია წინასწარ გავაცნოთ ისინი მკითხველს, სანამ თვით დასკვნის შესახებ თხრობას შევუდგებოდეთ.

გაუგებრობა შეიძლება წარმოშვას შემდეგმა გარემოებამ: სიტყვა — „სიტყვა“ არაა ლოგიკური ტერმინი. მის ნაცვლად, ლოგიკა ხმარობს სიტყვას — „ტერმინი“ და გულისხმობს, რომ „ტერმინი“ არის ბგერათაკომპლექსი (ან გრაფიკული კომპლექსი), რომელიც აღნიშნავს ცნებას.

ფიზიკურად იმავე ბგერათა (resp. გრაფიკულ) კომპლექსს ენათმეცნიერება „სიტყვას“ უწოდებს და გულისხმობს, რომ „სიტყვა“ არის ბგერათა (resp. გრაფიკული) კომპლექსი, რომელიც აღნიშნავს საგანს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით[1].

ცნება და სიტყვის მნიშვნელობა ინდივიდს ერთი და იმავე კონკრეტული ფიზიკური ფაქტის სახით ეძლევა — სიტყვის, როგორც ბგერათა კომპლექსის სახით.

რას ასახავს ინდივიდი „ფიზიკურ სიტყვაში“, მნიშვნელობას თუ ცნებას? — მნიშვნელობას ასახავს ყოველთვის. თუ არ ასახა მნიშვნელობა. ეს ნიშნავს, რომ „ვერ გაიგო“ (მხოლოდ მოისმინა) სიტყვა. ცნებას ასახავს მხოლოდ ზოგჯერ, საგანგებო ვითარებაში, მეცნიერული შემეცნების პროცესში.

ცნება ლოგიკური სინამდვილის ფაქტია, სიტყვის მნიშვნელობა — ენობრივისა. როგორც ერთის, ისე მეორის ასახვა ინდივიდის მიერ ფსიქიკური ფაქტია. ამიტომ, როდესაც ლაპარაკი იქნება იმის შესახებ, რასაც ინდივიდი ასახავს „ფიზიკურ სიტყვაში“, ვიხმართ

[1] რა არის სიტყვით აღნიშნული საგანი, ანუ რა არის სიტყვის მნიშვნელობა? ეს საკითხი ენის ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. მისი გადაწყვეტა ფსიქოლოგიას არ შეუძლია, არც ევალება და, ჩვენი საკითხის კვლევისას, არც სჭირდება.

ტერმინს: „სიტყვას (ფსიქიკური) ასახვა“, ხოლო თუ რის ასახვად შეიძლება ვაღიაროთ იგი — სიტყვის მნიშვნელობისა, თუ ცნებისა — თხრობის შინაარსი გვიჩვენებს.

სიტყვის ფსიქიკური ასახვა განსხვავდება ცნებისგან არსებობის კატეგორიითაც, შინაარსითაც და არსებობის ფორმითაც.

1. ცნება ლოგიკური კატეგორიის ფაქტია, სიტყვის მნიშვნელობის ინდივიდური ასახვა კი — ფსიქიკურისა.

2. ცნების შინაარსს შეადგენს საგნის არსებითი ნიშნები: ყველა არსებითი ნიშანი და არც ერთი არაარსებითი. სიტყვის ფსიქიკური ასახვის შინაარსს შეადგენს საგნის ყველა ნიშანი, რომლებიც ცნობილია ინდივიდისთვის, განურჩევლად იმისა, არსებითია ეს ნიშანი თუ არაარსებითი.

შესაძლებელია, ინდივიდმა „იცოდეს“ სიტყვა ისე, რომ მასში საგნის არც ერთ არსებითს ნიშანს არ გულისხმობდეს, თუ არა აქვს მიღებული სპეციალური ცოდნა. ასე ესმის ინდივიდს, მაგალითად, სიტყვები: „მთვარე“ (= მანათობელი ბადრო), „ახალი წელი“ (=1 იანვარი), „ბარომეტრი“ (=ამინდის გამოსაცნობი ხელსაწყო)... უფრო ხშირად ინდივიდი გულისხმობს სიტყვაში საგნის ზოგიერთ არსებითს ნიშანს და, მათ გარდა, ზოგიერთს არაარსებითსაც.

ამიტომ სიტყვის ფსიქიკური ასახვის შინაარსი (სიტყვის მნიშვნელობის ფსიქიკურად ასახული შინაარსი) არ თანხვდება ცნების შინაარს; იგი, ჩვეულებრივ, უფრო მეტი ნიშნის შემცველია, ვიდრე ცნება.

3. სიტყვის ფსიქიკური ასახვა ცნებისგან არსებობის ფორმითაც განსხვავდება: ცნება მუდამ მთელი თავისი შინაარსით არსებობს, მუდამ ყველა არსებითი ნიშნის ერთობლიობას წარმოადგენს. ცხადია, აქ მხედველობაში გვაქვს კულტურულ-ისტორიული განვითარების გარკვეული ერთი საფეხური, თორემ ისტორიულად ცნების შინაარსი, რასაკვირველია, მდიდრდება და იცვლება. ასე, მაგალითად, საუკუნეების მანძილზე ცნება „ფსიქიკა“ ნიშნავდა მატერიალური სუბსტანციისგან დამოუკიდებელ სულიერ სუბსტანციას, დღეს კი ნიშნავს ობიექტური სინამდვილის ასახვას ინდივიდური სუბიექტის მიერ. ოდესღაც ცნება „ადამიანი“ ნიშნავდა უბუმბულო ორფეხა ცოცხალ არსებას, დღეს იგი ნიშნავს იარაღის კეთების უნარით აღჭურვილ ცხოველს... საკაცობრიო შემეცნების განვითარება ცნებების განვითარებაში აირეკლება (ენგელსი), მაგრამ საზოგადოებრივი შემეცნების განვითარების თითოეულ საფეხურზე

და აზროვნების ყოველი კონკრეტული პროცესის მანძილზე იგი მთელი თავისი შინაარსით არის მოცემული.

სიტყვის ფსიქიკური ასახვის შინაარსიც მდიდრდება და იცვლება ინდივიდის შემეცნების განვითარებისდა კვალად; მასაც აქვს უცვლელი მყარი პერიოდები, რომლებიც შეიძლება წლობით გაგრძელდეს. ამ მხრივ იგი ცნებას ჰგავს. განსხვავებას ის ქმნის, რომ სიტყვის ასახვას ორგვარი არსებობა აქვს, თუ მას ინდივიდის ცნობიერების თვალსაზრისით განვიხილავთ: სიტყვის ასახვა შეიძლება იყოს ან აქტუალური ან პოტენციური.

მაგალითად, ამ ფურცლების მკითხველის ცნობიერებაში, სანამ იგი არ წაიკითხავს სიტყვას: „წრეხაზი", ამ სიტყვის მნიშვნელობა აქტუალურად არ იყო მოცემული. მაგრამ წაკითხვისას მან გაიგო ეს სიტყვა. ეს იმის წყალობით მოხდა, რომ მას პოტენციურად, ცოდნის სახით, ასახული ჰქონდა „წრეხაზი" — სიტყვის მნიშვნელობა. მაშასადამე, როგორც ცნება ან არსებობს ან არ არსებობს, ისე სიტყვის ასახვაც შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს. მაგრამ თუ არსებობს, არსებობს ან აქტუალურად ან პოტენციურად.

ცნებისაგან სიტყვის განსხვავება ამითაც არ ამოიწურება: ცნება ყოველთვის მთელი თავისი შინაარსით, მისი ყველა ნიშნით არის მოცემული. სიტყვის მნიშვნელობის ასახვა აქტუალურად, ერთ მომენტში, არასოდეს არაა ყველა ნიშნით მოცემული ცნობიერებაში. ცნობიერებაში მისი მხოლოდ ზოგიერთი ნიშანია ხოლმე მოცემული და ისიც ისე, რომ „წინა პლანზე" ერთი ნიშანია წამოწეული.

ანალოგიური საქმის ვითარება კარგად არის ცნობილი შემეცნების უფრო დაბალ საფეხურზე, უფრო დაბალ ფორმაში, აღქმაში, აპერცეფციის სახელით აღქმის აპერცეფციული ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ საგანი ერთი რომელიმე ნიშნის „თვალსაზრისით", დომინანტობით განიცდება, სხვა ნიშნები კი მეტად თუ ნაკლებად მიჩქმალულია და, შესაძლოა, სრულიადაც უგულებელყოფილი.

ერთი მაგალითი გეომეტრიული ფიგურების კლასიფიკაციის ცდებიდან[1]: ცპ-ს ეძლევა მუყაოს 8 ფიგურა: დიდი (5 სმ დიამეტრიანი) მწვანე და წითელი წრე, დიდი (5 სმ სიმაღლე) მწვანე

[1] მეთოდი დ. უზნაძეს ეკუთვნის.

და წითელი ტოლგვერდა სამკუთხედი და ოთხი ისეთივე ფიგურა, ოღონდ პატარა (2 სმ) ზომისა.

ცპ-ს ევალება ორ ჯგუფად გაანაწილოს ფიგურები ისე, რომ „ერთნაირები" ერთ ჯგუფში მოხვდეს. ცპ ანაწილებს ფიგურებს ფორმის მიხედვით (წრეები — სამკუთხედები). ცხ-ის მოთხოვნით,— სხვა ნიშნის მიხედვით გაანაწილოს მასალა, — ცპ დაუბრკოლებლად გადააჯგუფებს ფიგურებს ფერის მიხედვით (წითელი — მწვანე). მაგრამ, როდესაც ცხ განმეორებით მოსთხოვს მასალის გადაჯგუფებას ახალი ნიშნის მიხედვით, ცპ ვეღარ ასრულებს დავალებას და სახტად რჩება, როდესაც ცხ თვითონ გაანაწილებს ფიგურებს სიდიდის მიხედვით, ფერისა და ფორმის განურჩეველად (დიდი — პატარა). „სიდიდეზე სულ არ მიფიქრია, სულ არ მიმიქცევია ყურადღებაო" — ამბობს ცპ.

საგნის ცალმხრივად აღქმის შესანიშნავ მაგალითს იძლევა ლენინი:

„ჰიქა. ეჭვს გარეშეა, შუშის ცილინდრიც არის და სასმისი ჭურჭელიც, მაგრამ ჰიქას აქვს არა მარტო ეს ორი თვისება, ანუ ნიშანი, ანუ მხარე, არამედ აქვს უამრავი სხვა თვისება, ნიშანი, მხარე, ურთიერთდამოკიდებულება და «გამეშვეება» მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან. ჰიქა არის მძიმე საგანი, რომელიც შეიძლება სატყორცნ იარაღადაც გამოდგეს. ჰიქა შეიძლება იხმაროთ, როგორც პრესპაპიე. როგორც დაჭერილი პეპელას დასამწყვდევი, ჰიქას შეიძლება ღირებულება ჰქონდეს, როგორც მხატვრულ საგანს, ჩუქურთმით არ ნახატით შემკულს, სრულიად დამოუკიდებლად იმისა, ვარგა თუ არა იგი სასმისად. შუშისაგანაა გაკეთებული თუ არა, ცილინდრული ფორმა აქვს თუ არა საესებით ცილინდრული და ასე შემდეგ და მისთანანი.

„შემდეგ. თუ მე ჰიქა მჭირდება ამჟამად, როგორც სასმისი ჭურჭელი, ჩემთვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა იმის ცოდნას, საესებით ცილინდრულია მისი ფორმა, ნამდვილად შუშისაგან არის იგი გაკეთებული თუ არა, სამაგიეროდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ძირი გაბზარული არა ჰქონდეს, რომ ამ ჰიქის ხმარების დროს არ შეიძლებოდეს ტუჩების გაკაწვრა და სხვ... ხოლო თუ ჰიქა მჭირდება აია სასმისად, არამედ ისეთ სახმარებელ საგნად, რისთვისაც გამოსადეგია შუშის ყოველი ცილინდრი, მაშინ გამომადგება ძირგაბზარული ან სრულიად უძირო ჰიქაც და სხვ.".

ასევე ცალმხრივია სიტყვის მნიშვნელობის განცდა. ყოველდღიური ცხოვრებიდან ცნობილ მაგალითებს არ მოვიტან. მოვიტან

ექსპერიმენტულ ფაქტს. ცპ-ს ეუბნებიან სიტყვას: „სამკუთხედი" და ავალებენ შეურჩიოს მას შესაფერისი წყვილის ცალი ორი მომდევნო სიტყვიდან: „ოთხკუთხედი" (ან, ზოგჯერ: „წრე") და „პირამიდა". ცპ-ბი ხშირად უკანასკნელს შეარჩევენ ხოლმე, თუმცა დასაბუთებას საწინააღმდეგოსას („ოთხკუთხედი") უკეთ ახერხებენ: „სამკუთხედიც და ოთხკუთხედიც სიბრტყის ფიგურაა, პირამიდა კი — სივრცითია". ამ ცდის ღირებულებაში შეიძლება ეჭვი შეგვეტანინოს იმ გარემოებამ, რომ გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა მეტისმეტად „თვალსაჩინოა". ამიტომ ჯობს. ანალოგიური ცდა ე. წ. განყენებული სიტყვებით ჩავატაროთ. მაგალითად, „ბოროტება — სიკეთე. მკვლელობა". ხშირად ცპ-ები „ბოროტების" წყვილის ცალად „მკვლელობას" არჩევენ, თუმცა, მათივე თქმით, „მკვლელობა საქციელია, ხოლო ბოროტებაც და სიკეთეც — ადამიანის თვისება". რა თქმა უნდა, პირველი არჩევანის გამართლებაც შეიძლება: მკვლელობას ბოროტი ადამიანი ჩაიდენსო. საგულისხმო ჩვენთვის აქ ისაა, რომ „ბოროტება" — სიტყვის შესაფერისი სიტყვა ცპ-ისათვის ხან „მკვლელობაა" და ხან „სიკეთე". იმის მიხედვით, თუ რა ნიშნით განიცდის იგი სიტყვის მნიშვნელობას. ყოველივე ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, თითქოს, ადამიანს არ შეეძლოს სიტყვის ასახვა საყოველთაოდ სავალდებულო მნიშვნელობით, ცნების მნიშვნელობით.

ქვეით, როდესაც საქმე მიდგება დასკვნის ფსიქიკური მექანიზმის დადგენაზე, კვლავ დავუბრუნდებით სიტყვის ასახვის ცვალებადობის საკითხს. ჯერჯერობით კი, მსჯელობისა და დასკვნის ასახვის ფსიქიკური პროცესის ასაწერად საკმარისია რაც ითქვა სიტყვის ასახვის შესახებ: სიტყვის მნიშვნელობა ინდივიდის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი რომელიმე ნიშნით განიცდება და ეს ნიშანი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა შეიძლება იყოს.

მსჯელობის ფსიქიკური ახახვის შესახებ

მსჯელობის ფსიქოლოგიის სპეციფიკად ხშირად აღიარებულია ხოლმე დარწმუნებულობა გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში. ასეთი გაგების ერთი ნაკლი ისაა, რომ იგი ითვალისწინებს მსჯელობის მხოლოდ და მხოლოდ გნოსეოლოგიურ მხარეს და გვერდს უვლის ამის წმინდა ლოგიკურ, ფორმალურ მხარეს. მეორე მისი ნაკლი ისაა, რომ ფაქტიურად მსჯელობა შეიძლება განიცდებოდეს როგორც მტკნარი სიცრუე. მაგალითად: „ყორანი თეთრია", „დე-

დამიწა ბრტყელია"... ამ მოსაზრების გამო, როგორც ჩანს, მსჯელობის ფსიქოლოგიური დახასიათებიდან უნდა გამოირიცხოს ჭეშმარიტობის მომენტი[1]. ამიტომ, თითქოს, უფრო სწორი უნდა იყოს ის გაგება, რომლის თანახმად მსჯელობის ფსიქოლოგიურ არსს წარმოადგენს მსჯელობის ქვემდებარესა და პრედიკატს შორის დადგენილი მიმართების დადასტურება. ამ შეხედულების თანახმად, მსჯელობა „S არის P" ფსიქოლოგიურად მოცემულია, განიცდება როგორც „S არის P — არის". გამოდის, თითქოს მსჯელობა მუდამ „ორსართულიანია", მუდამ წარმოადგენს მსჯელობის შესახებ ეგზისტენციალურ მსჯელობას. მაგრამ ასეთი გაგება ვერაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორია თვით მსჯელობის („S არის P") და არა მის შესახებ ეგზისტენციალური მსჯელობის ფსიქოლოგიური ბუნება. იგი შესაძლებლობას არ იძლევა დავსვათ საკითხი მსჯელობის, როგორც შემეცნებითი პროცესის, ფსიქიკური მექანიზმის შესახებ. ამ დროს ლაპარაკია, საუკეთესო შემთხვევაში, იმაზე, თუ რა ხდება მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს („S ა რ ი ს P") შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ა ს, და არა იმაზე, თუ როგორ ხდება ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს შ ე მ ე ც ნ ე ბ ა მ ს ჯ ე ლ ო ბ ი ს („S ა რ ი ს P") ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ზემოგანხილულ შეხედულებებში არის ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი: დარწმუნებულობა, მტკიცება, დადასტურება, აღიარება თუ სხვა ამდაგვარი რაღაც, რაც მსჯელობის ფსიქოლოგიურ სპეციფიკად არის ხოლმე აღიარებული, ნამდვილად არის მსჯელობის ასახვაში. განვიხილოთ, რას წარმოადგენს მსჯელობის ფსიქიკური ასახვა.

მსჯელობა ფსიქოლოგიურად მსჯელობაა არა იმიტომ, რომ ინდივიდი აღიარებს გამოთქმული აზრის ჭეშმარიტობას, არც იმიტომ, რომ ინდივიდი განიცდის მსჯელობის ქვემდებარესა და პრედიკატს შორის დადგენილი მიმართების მართებულობას თუ მცდარობას, არამედ იმიტომ, რომ ინდივიდი განიცდის ამ აზრს, როგორც აზრს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი სინამდვილის შესახებ, როგორც ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი საქმის ვითარების ასახვას. ამასთანავე, ცხადია, სრულიად არ არის აუცილებელი, რომ ეს საქმის ვითარება ემპირიულად არსებობდეს. „სამკუთხედს ოთხი კუთხე აქვს" ისევეა მსჯელობა (ცხადია, არა ჭეშმარიტობის, არამედ ფორმის მხრივ!), როგორც მსჯელობაა „სამკუთხედს არა აქვს ოთხი კუთხე". ასე

[1] როგორც გამოირიცხულია იგი მისი ლოგიკური დახასიათებიდან.

რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არ შეგვეძლებოდა გველაპარაკა მცდარსა და ჭეშმარიტ მსჯელობაზე[1] და, მაშასადამე, არც მცდარსა და ჭეშმარიტ შემეცნებაზე. მსჯელობა იმიტომ და იმდენად არის შემეცნებითი მოვლენა, რადგან და რამდენადაც ინდივიდი მსჯელობის ქვემდებარესაც, პრედიკატსაც და მათს კავშირსაც განიცდის, როგორც მისგან დამოუკიდებელი სინამდვილის საგნებს, მოვლენებსა და მიმართებებს. ე. წ. ეგზისტენციალური მსჯელობაც ფსიქოლოგიურად იმიტომ არის შემეცნებითი მოელენა, რომ მასში ინდივიდი „ადასტურებს", განიცდის საგნის ობიექტურად, მისგან დამოუკიდებლად არსებობას, და არა იმიტომ, რომ, თითქოს, ქვემდებარეს არსებობის ნიშანს მიაწერდეს.

„აღიარება", „დადასტურება" და სხვ. აღნიშნავს იმას, რომ ინდივიდს სინამდვილისადმი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი დამოკიდებულება აქვს და არა პრაქტიკული. როდესაც ამბობენ, რომ მსჯელობისას ინდივიდი ადასტურებს, აღიარებს მსჯელობაში გამოთქმულ მიმართებას, ნამდვილად ეს დადასტურება ეხება არა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ს, არა კ ო პ უ ლ ას, არა პ რ ე დ ი კ ა ტ ს, არამედ ქვემდებარეში ნაგულისხმევ ს ა გ ა ნ ს, პრედიკატში ნაგულისხმევ თ ვ ი ს ე ბ ა ს და კოპულაში ნაგულისხმევ მ ი მ ა რ თ ე ბ ა ს: ინდივიდი განიცდის, რომ მისგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ს ა გ ა ნ ს ობიექტურად აქვს ობიექტური ნ ი შ ა ნ ი[2].

ეს გარემოება მსჯელობისათვის ა რ ს ე ბ ი თ ი ა, მაგრამ არ არის მისთვის ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი: საგანთან თეორიული (და არა პრაქტიკული) დამოკიდებულება დამახასიათებელია შემეცნებისთვის საერთოდ. ამ დამოკიდებულების საფუძველს წარმოადგენს ობიექტივაცია: ფსიქიკური აქტი ობიექტის არსებობის განცდის აღმოცენებისა. ეს განცდა შეიძლება აღვწეროთ, როგორც „არის" განცდა. ობიექტივაცია საგნისადმი პრაქტიკული მიმართების თეორიული მიმართებით შეცვლაა. ობიექტივაციის აქტს ფსიქოლოგიური აუცილებლობით მოსდევს აზროვნება, — ინდივიდის აქტივობა, — მიმართული აღიარებული ობიექტის შემეცნებისკენ. ამრი-

[1] არტიომოვი წერს: „...Я не могу высказать суждение «собака мычит» (Очерк психологии, 1954, გვ. 83) ეს დებულება მოგვაგონებს თავისი აბსურდულობით ნომინალიზმის ცნობილ დებულებას: ზოგადი მსჯელობა არ შეიძლება ჭეშმარიტი იყოსო.

[2] უდავოდ, თვით მსჯელობაც ისევე, როგორც მსჯელობის ქვემდებარეც, პრედიკატიც, კოპულაც შეიძლება იყოს შემეცნების საგანი და, მაშ, მსჯელობის ქვემდებარე. მაგალითად, „მსჯელობა «S არის P» დადებითი მსჯელობაა".

გად, „პეშმარიტების მარცვალი“ შეხედულებებისა, რომლების თანახმად მსჯელობის ფსიქოლოგიურ სპეციფიკას შეადგენს დარწმუნებულობა, დადასტურება, მტკიცება, აღიარება და სხვ., იმაში მდგომარეობს, რომ ყოველგვარი აზროვნების წინაპირობას წარმოადგენს ობიექტივაცია — სუბიექტის მიერ ობიექტის, როგორც ობიექტის არსებობის განცდა, აღიარება. ნაკლულოვანია ზემოხსენებული თეორიები იმიტომ, რომ ეს აღიარება მსჯელობის საკუთარ, სპეციფიკურ თვისებად მიაჩნიათ. ობიექტივაციის ფაქტი, როგორც ცნობილია, დ. უზნაძემ აღმოაჩინა, მანვე დაამუშავა ობიექტივაციის თეორია. აზროვნებისა და, კერძოდ, მსჯელობის ფსიქოლოგიის საკითხების კვლევა ობიექტივაციის თვალსაზრისით უსათუოდ შუქს მოჰფენს მრავალ გაურკვეველ საკითხს, როგორიცაა, მაგალითად, ეგზისტენციალური მსჯელობის ფსიქოლოგიური სპეციფიკა. მაგრამ აქ ჩვენს ამოცანას მსჯელობის ამ თვალსაზრისით განხილვა არ შეადგენს. აქ ყურადღება უნდა მიექცეს მსჯელობის მეორე მხარეს — პრედიკაციის პროცესის ფსიქოლოგიურ ბუნებას. მსჯელობის ეს მხარე გახდა საბაბი მსჯელობის გამო აღმოცენებული დავისა: ერთნი ამტკიცებენ, რომ მსჯელობა ანალიზური ბუნებისაა, რომ იგი წარმოადგენს მთლიანი წარმოდგენის (იდეის) დაშლას შემადგენელ ნაწილებად (მაგალითად „წითელი ვარდი — ვარდი არის წითელი“); მეორენი, — რომ იგი სინთეზური ბუნებისაა, რომ მასში ხდება ცალკეული წარმოდგენების (იდეების) შეერთება (მაგ., „ვარდი, წითელი — წითელი ვარდი“). ჩვენს შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მზამზარეულად მოცემული მსჯელობის ასახვას მსმენელის მიერ, უდავოდ მეორე აზრია მართებული. დასკვნის ფსიქიკური ასახვის შესასწავლად სწორედ იმ მექანიზმის გაოვალისწინებაა საჭირო, რომლითაც ხორციელდება მსჯელობაში სინთეზირება.

მსჯელობის მოსმენა დროში გაშლილი პროცესია. ინდივიდი მოისმენს ჯერ ქვემდებარეს და მერე პრედიკატს. ქვემდებარის მოსმენისას ინდივიდი ერთი რომელიმე ნიშნით განიკდის სიტყვის მნიშვნელობას, თუმცა პოტენციურად მისი მრავალი ნიშნის ცოდნა აქვს (იხ. გვ. 125). თუ რომელი ნიშნით იქნება სიტყვა (ქვემდებარე) განცდილი, ეს, ცხადია, მომდევნო მსჯელობის გარემდებარე მიზეზებზეა დამოკიდებული.

ამ წუთში, როდესაც კალმით ვწერ, რომ მითხრან სიტყვა „კალამი“, მე მას საწერი იარაღის მნიშვნელობით განვიცდი და, თუ მოახდენენ მის პრედიკაციას ამავე ნიშნით („კალამი საწერი ია-

რაღია“) ჩემს ცნობიერებაში შინაარსობლივად ახალი არაფერი წარმოიშვება. მოხდება ის, რაც ტრადიციული თვალსაზრისით მსჯელობის არსს შეადგენს — აღიარება, რომ კალამი საწერი იარაღია. შეიცვლება კალმისადმი ჩემი მიმართების პლანი და, თუ აქამდე კალამს საწერ იარაღად გამოვიყენებდი, ახლა ვაღიარებ მას საწერ იარაღად. მაგრამ თუ მეტყვიან: „კალამი ფოლადისაა“, მაშინ ჩემს ცნობიერებაში შინაარსობლივი ცვლილება მოხდება: მე კალამს უკვე სხვა, „ახალი“ ნიშნით განვიცდი. ეს ნიშანი ჩემთვის არ არის ნამდვილად ახალი, მე იგი ვიცოდი, მაგრამ ამჟამად აქტუალურად არ მქონდა მისი განცდა. მსჯელობამ „კალამი — ფოლადისაა“ სხვა მხარით, სხვა წახნაგით მოაბრუნა „კალმის“ მნიშვნელობა ჩემი ცნობიერებისკენ, განმაცდევინა იგი ისეთი ნიშნით, რომელიც ამ მომენტში არ მქონდა განცდილი, ნიშნით, რომელიც ახალია ჩემს ცნობიერებაში აქტუალურად პოცემული შინაარსის თვალსაზრისით. მაგრამ მოსმენილმა მსჯელობამ შეიძლება ჩემთვის სრულიად უცნობი, ჩემთვის ნამდვილად ახალი ნიშნით მოაბრუნოს სიტყვის მნიშვნელობა ჩემი ცნობიერებისაკენ, ნიშნით, რომლის ცოდნა პოტენციალურადაც არ მქონდა. ასეთი მსჯელობა იქნება, მაგალითად, „კალამი იწონის 0.3 გრამს“. ასეთი მსჯელობა გაამდიდრებს სიტყვის მნიშვნელობის ასახვის პოტენციურ შინაარსსაც, გაამდიდრებს ინდივიდის ცოდნას. პირიქით, მსჯელობა, რომლითაც ქვემდებარეს მიეწერება პოტენციურად ცნობილი ნიშანი, არ ამდიდრებს ინდივიდის ცოდნას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარ მსჯელობას არა აქვს ღირებულება.

იმისათვის, რომ წერა დაიწყო, მე არ მჭირდება წინასწარ ვაწარმოო მსჯელობა: „კალამი საწერი იარაღია“. კალმის ეს ნიშანი ჩემთვის იმდენად კარგად არის ცნობილი, იმდენად ჩვეულია, რომ ყოველგვარი მსჯელობის გარეშე, ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე პრაქტიკულად გამოვიყენებ კალამს საწერ იარაღად. ამგვარ მსჯელობას, თუ იზოლირებულად ავიღებთ მას, არავითარი ღირებულება არა აქვს — არც პრაქტიკული და არც შემეცნებითი. შემეცნებითი ღირებულება არა აქვს იმიტომ, რომ არავითარ ახალ ცოდნას არ მაძლევს, პრაქტიკული იმიტომ, რომ პრაქტიკულ ამოცანას მის გარეშეც დაუბრკოლებლად ვწყვეტ. რა სარგებლობას მოუტანდა ადამიანს ყველაფრის გაცნობიერება. რასთანაც მას საქმე აქვს თავისი ცხოვრების მანძილზე ყოველწუთიერ ქცევაში: „კალამი საწერი იარაღია“, „დღეს კარგი ამინდია“, „შაქარი ტკბილია“...!

მსჯელობის გამეორება ჩემ ცოდნას არასოდეს არ გაამდიდრებს, მაგრამ ზოგჯერ მსჯელობის გამეორებას შეიძლება ჰქონდეს ღირებულება, კერძოდ, პრაქტიკული ღირებულება. მაგალითად, თუ დამჭირდა წამლის ფხვნილის გამოწონა, კალამს ასაწონ საშუალებად ვერ გამოვიყენებ, სანამ არ განვახორციელებ მსჯელობას: „კალამი იწონის 0,3 გრამს“, რადგან კალმის ეს ნიშანი არაა ჩემთვის იმდენად ჩვეული, რომ გაცნობიერების გარეშე მოვახერხო მისი გამოყენება პრაქტიკულ ქცევაში.

ზემონათქვამის მიხედვით გამოდის, რომ მსჯელობას შემეცნებითი ღირებულება ინდივიდისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს, როდესაც ქვემდებარის პრედიკაცია ინდივიდისთვის უცნობი ნიშნით ხდება, სხვა შემთხვევაში კი მისი შემეცნებითი ღირებულება ნოლს უნდა უდრიდეს. ეს მართლაც ასეა, როდესაც საქმე გვაქვს იზოლირებულად აღებულ მსჯელობასთან. მაგრამ ყოველგვარი მსჯელობა, განურჩეველად იმისა, სრულიად უცნობი ნიშნით ხდება ქვემდებარის პრედიკაცია, ნაცნობით თუ ჩვეულით, შეიძლება ღირებული გახდეს შემეცნების თვალსაზრისით. ეს ხდება მაშინ, როდესაც იგი წანამძღვრის სახით ჩაერთვის დასკვნაში.

დასკვნის ფსიქიკური ახახვის შესახებ

დასკვნის ფსიქიკური პროცესი იმ პირობებში, როდესაც წანამძღვრები მზამზარეულად ეძლევა ინდივიდს, შემდეგნაირად მიმდინარეობს.

დიდი წანამძღვრის („M არის P“) ქვემდებარის მოსმენისთანავე (resp. წაკითხვისთანავე) ინდივიდი გაიგებს მას; M განცდილი იქნება რომელიმე ერთი ნიშნით, განცდილი იქნება როგორც Mx. M-ის სხვა ნიშნები ან ერთგვარი ფონის სახით არის მოცემული ცნობიერებაში (მსგავსად იმისა, როგორც აღქმის შემთხვევაში ხდება ხოლმე) ან სულაც არაა მოცემული.

მაგალითად, „ადამიანი...“ მოსმენისთანავე განიცდება, ვთქვათ, „გონიერობის“ ნიშნით, განიცდება როგორც „ადამიანი — გონიერი“.

პრედიკაცია სხვა წახნაგით, სხვა მხარით მოაბრუნებს ქვემდებარეს ინდივიდის ცნობიერებისკენ, სხვა ნიშნით განაცდევინებს მას. ამიტომ „M არის P“ მსჯელობის დასრულების შემდეგ ინდივიდის ცნობიერების საგანი იქნება M, „დანახული“ P ნიშნის მხრიდან, P ნიშნით განცდილი. ინდივიდის ცნობიერებაში იქნება „MP“.

ვთქვათ, მსჯელობა დასრულდა პრედიკატით: „მოკვდავია“. ამ მომენტში ინდივიდის ცნობიერებაში გონიერობის ნიშანს შეცვლის მოკვდავობის ნიშანი და „ადამიანი“ განცდილი იქნება როგორც „ადამიანი — მოკვდავი“. ამ გზითა და ამ სახით განხორციელდება მსჯელობის: „ადამიანი მოკვდავია“ — სინთეზური ბუნება.

ასე მიმდინარეობს დიდი წანამძღვრის ასახვის პროცესი. ასევე მიმდინარეობს მსჯელობის ფსიქიკური პროცესი მცირე წანამძღვრის მოსმენისას: ჯერ ქვემდებარე (S) განცდილი იქნება რომელიმე y ნიშნით [1], ხოლო პრედიკაციის მომენტში იგი მეორე მხარით „მობრუნდება“ ცნობიერებისკენ და განცდილი იქნება პრედიცირებული M ნიშნით. გვექნება განცდა „Sm“.

მაგალითად, „სოკრატი...“ განიცდება როგორც „სოკრატი — ფილოსოფოსი“. პრედიკაცია: „...ადამიანია“ მოაბრუნებს „სოკრატს“ ადამიანობის მხრით, ადამიანობის ნიშნით და მსჯელობის დასრულებისას გვექნება განცდა „სოკრატი — ადამიანი“.

დიდი წანამძღვრის ქვემდებარე (M) თითქოს იგივეა, რაც მცირე წანამძღვრის პრედიკატი (M) მათი იგივეობა, მართლაც, დასკვნის ლოგიკურად აუცილებელი პირობაა. მაგრამ ფსიქიკური ასახვის თვალსაზრისით სულ ასე არაა. როგორც ვნახეთ, მსჯელობის (დიდი წანამძღვრის) პროცესის დასაწყისში M განიცდება როგორ M_x. მსჯელობის დასრულებისას — როგორც M_p („ადამიანი — გონიერი“ — „ადამიანი — მოკვდავი“). აქ ორი გარემოებაა საყურადღებო: ერთი ის, რომ სიტყვის მნიშვნელობა ხან ერთი ნიშნით აისახება ცნობიერებაში, ხან მეორით; და მეორე ის, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობა ერთი (და არა ყველა) ნიშნით განიცდება. თუ ერთი ნიშნით განცდა სიტყვის მნიშვნელობის განცდის ზოგადი კანონია, მაშინ ხომ პრედიკატული სიტყვაც ერთი ნიშნით უნდა განიცდებოდეს? ეს მართლაც ასეა. ცპ-ებს რომ მოვთხოვოთ, დაასრულონ წინადადება: „ადამიანი, მოკვდავია, მაშასადამე...?“, ისინი გვიპასუხებენ: „...ცოცხალია“, ან „...უბედურია“, ან „სიცოცხლის მოტრფიალეა“, ან „...წარმავალია“... ეს იმას ნიშნავს, რომ „მოკვდავი“ — სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ნიშნით, მაგრამ ყოველ ცალკე შემთხვევაში ერთი ნიშნით იყო განცდილი. მაშ, რომ დავაზუსტოთ საქმის ვითარების აღწერა: დიდ წანამძღვარში ხდება პრედიკაცია

[1] ქვეყით ვნახავთ, რომ ეს ნიშანი არაა შემთხვევითი, არამედ დიდი წინამძღვრით არის გაპირობებული.

არა M-ისა P-თი, არამედ Mx-ისა Pz-ით; არა, მაგალითად, „ადამიანისა" — „მოკვდავით", არამედ „ადამიანი — გონიერისა" — „მოკვდავი — სიცოცხლის მოტრფიალით". პრედიკატი მოხსნის, გააუჩინარებს „გონიერობა" — ნიშანს, მაგრამ თვით პრედიკატის ნიშანს — „სიცოცხლის მოტრფიალეს" — ხომ არაფერი მოხსნის! და მსჯელობის დასრულებისას გვექნება არა Mp არამედ Mpz; არა „ადამიანი — მოკვდავი", არამედ „ადამიანი — მოკვდავი — სიცოცხლის მოტრფიალე".

აქ თავისთავად ისმის საკითხი: თუ ასეა, „სიცოცხლის მოტრფიალე" ნიშანიც ერთი ნიშნით უნდა განიცდებოდეს, ეს ნიშანიც — ერთი ნიშნით, და ასე რომელი „სართულის" ნიშნამდე მივალთ, ან ექნება კი დასასრული ამ „სართულებს"? მართალია, ყოველი ნიშანი ერთი ნიშნით განიცდება, ეს ერთი ნიშანი — ერთი ნიშნით და, თეორიულად, ასე დაუსრულებლობამდე, მაგრამ ნიშნების ნიშნები, ასე ვთქვათ, პერსპექტიულად არის განლაგებული ცნობიერებაში, თანდათან ნაკლები სიმკვეთრით განიცდება და ბოლოს სრულიად დიფუზური ხდება.

მაგალითად, ინდივიდი განიცდის „ადამიანი" — სიტყვის მნიშვნელობას „მოკვდავი" — ნიშნით, ამ ნიშანს — „სიცოცხლის მოტრფიალე" — ნიშნით, ამას — „აქტიური" — ნიშნით, „აქტიურს" — „მოძრავი" — ნიშნით, „მოძრავს" — ? დავუშვათ, რომ ცნობიერების თვალი ამაზე შორს არ წვდება; მოძრავი განიცდება, ვთქვათ, მოძრავი ადამიანის ხატის სახით. ეს ხატიც, მით უმეტეს, ერთი ნიშნით, ერთი მხრიდან განიცდება, მაგრამ ეს უკვე ხატის მხარეა, ხატის ნიშანია და არა სიტყვის მნიშვნელობისა. აუცილებლად ხატი უნდა იყოს სიტყვის მნიშვნელობის განცდის უკანასკნელი „სართული"? ამ საკითხის გარჩევა ცალკე ამოცანაა და, რადგან დასკვნის საკითხთან იგი უშუალოდ არ არის დაკავშირებული, ამიტომ აქ მას ღიად ვტოვებთ. ჩვენი საკითხისთვის საკმარისია ნიშნების ორი „სართულის" გათვალისწინება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ დიდი წანამძღვარი მსჯელობის დასრულებისას მისი ამსახველი განცდა არის M, განცდილი p ნიშნით, რომელიც, თავის მხრივ, განცდილია z ნიშნით (Mpz: „ადამიანი — მოკვდავი — სიცოცხლის მოტრფიალე").

მცირე წანამძღვრის ქვემდებარეს (S-ს) მიეწერება ნიშანი (M), რომელიც დიდ წანამძღვარში თვითონ იყო ქვემდებარე. მცირე წანამძღვარში მსჯელობის დასრულების შემდეგ ინდივიდს აქვს

განცდა S-ისა M-ის ნიშნით, რომელიც, თავის მხრივ, P ნიშნით იქნა განცდილი დიდ წანაძღვარში და ახლაც ამავე ნიშნით განიცდება[1].

როგორც ზევით იყო თქმული, დასკვნის ლოგიკური პროცესი ოპერტაპიანია და მიმდინარებს მსჯელობებს შორის: M არის P, ხოლო S არის M; მაშასადამე, S არის P[2]. შესატყვისი ფსიქიკური პროცესისათვის მის დასაპირისპირებლად უმჯობესია წანამძღვრების რიგი შევცვალოთ. ლოგიკის თვალსაზრისით ამგვარი რამ სავსებით მისაღებია. ჩვენთვის კი ამ შეცვლას ის უპირატესობა აქვს, რომ უფრო თვალსაჩინო გახდება მსჯელობიდან მსჯელობამდე გადასვლის პროცესი. ასეთი ოპერაციის შემდეგ მივიღებთ: S არის M, ხოლო M არის P; მაშასადამე, S არის P.

დასკვნის პროცესის ფსიქიკური ასახვა შემდეგნაირად უნდა იქნას აღწერილი: M-ი P-არის (და არა სხვა რამ)[3]. S-ი M-არის ანუ P-ა — „ადამიანი" არის (ნიშნავს, უდრის, იგივეა რაც) მოკვდავი. სოკრატი ადამიანია, ანუ მოკვდავია (ნიშნავს, უდრის, იგივეა რაც მოკვდავი)".

დასკვნის ლოგიკურისა და ფსიქიკური პროცესების სქემების დაპირისპირება შემდეგს სურათს მოგვცემს:

ლოგიკური პროცესი	ფსიქიკური პროცესი
1) M არის P	1. M იგივეა, რაც P
2) ხოლო S არის M	1ა. S იგივეა, რაც M ანუ P
3) მაშასადამე, S არის P	. . . . .

აზრი, რომელიც დასკვნის ლოგიკურ პროცესში დანასკვის სახით გამოტანილია წანამძღვრებიდან, „გამოტანილია" ამ სიტყვის როგორც „გამომდინარების", ისე „გამოკალკევების" მნიშვნელობით, დასკვნის ფსიქიკურ პროცესში უკვე მცირე წანამძღვარში მიიღწევა. დანასკვი, ფსიქოლოგიურად, ახალს აღარაფერს იძლევა,

[1] რატომ მცირე წანამძღვარშიც იმავე ნიშნით განიცდება M, რომლითაც დიდ წანამძღვარში იქნა განცდილი, და არა სხვა რომელიმე ნებისმიერი ნიშნით, ამის შესახებ ქვეით იქნება თქმული.

[2] სახგასმულია პროცესის მიმდინარება, ერთი მყარი პუნქტიდან (მსჯელობიდან) მეორეზე გადასვლა.

[3] ნუ აურევთ ფორმულაში: „M-P — არის": აქ მახვილი „არის"-ზეა, ჩვენთან კი — P-ზე!

შემეცნების თვალსაზრისით, მცირე წანამძღვართან შედარებით, არ ცვლის სილოგიზმის ქვემდებარის (S) განცდის შინაარსს. დანასკვში ხდება მხოლოდ და მხოლოდ ადექვატური ფორმულირება მცირე წანამძღვრით ბიღწეული აზრისა. ასეთი ფორმულირება აუცილებელია დასკვნის გზით მოპოვებული ცოდნის შესანახად, დასაცავად და შემდეგში აღსადგენად; ამ ფორმულირების გარეშე არ გვექნებოდა გარანტია, რომ სხვა დროსაც და სხვა პირობებშიც მსჯელობა „S არის M“ ასახული, განცდილი, გაცნობიერებული იქნებოდა როგორც: „S არის M = P“; მაგ., რომ მსჯელობა: „სოკრატი ადამიანია“ განცდილი იქნებოდა, როგორც: „სოკრატი ადამიანია, ანუ მოკვდავია“. ამგვარი ფიქსაციის ღირებულება გაპირობებულია იმით, რომ „ადამიანები იშვიათად აზროვნებენ ცალკეული დასკვნებით... ერთი დასკვნის დანასკვი მსჯელობა მეორე დასკვნის წანამძღვრად იქცევა ხოლმე“ [1]. ფსიქოლოგიურად რომ დანასკვი მსჯელობა მართლა აზრის ფიქსაციას ემსახურება, ამას მოწმობს ყოველდღიურ ურთიერთობაში მისი ხშირი გამოტოვება, მაგალითად, „საბჭოთა მოქალაქეები იცავენ მშვიდობის საქმეს, ხოლო შენ საბჭოთა მოქალაქე ხარ“ [2]. „პიონერი ბეჯითი უნდა იყოს, შენ კი პიონერი ხარ“... როდესაც დასკვნა უშუალოდ პრაქტიკას უნდა მოემსახუროს, მაშინ დანასკვის ფორმულირება აღარაა საჭირო.

დასკვნის ლოგიკურ პროცესსა და მის ფსიქიკურ ასახვას შორის შემდეგი ძირითადი განსხვავება აღმოჩნდა:

1. დასკვნის ლოგიკური პროცესი მსჯელობასა და მსჯელობას შორის არის გაშლილი.

დასკვნის ფსიქიკური პროცესი მსჯელობებს შიგნით წარმოებს; იგი მდგომარეობს ქვემდებარეთა მნიშვნელობების ასახვის შეცვლაში, ცნობიერებისკენ მათი მნიშვნელობების გარკვეული მხარით მობრუნებაში. ფსიქოლოგიურად მსჯელობასა და მსჯელობას შორის არავითარი გ ა რ დ ა ს ვ ლ ა არ არის. ამიტომ მცირე წანამძღვრის მოსმენისას დიდი წანამძღვარი აქტუალურად არც არის მოცემული ცნობიერებაში, არ განიცდება, შესაძლებელია, დავიწყებულიც იყოს. ამ მხრივ, სილოგიზმის მოსმენა პრინციპულად განსხვავდება წინადადების მოსმენისგან: წინადადების გაგების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ იგი „ერთ იჯრად“,

[1] К. Бакрадзе. Логика, გვ. 305.

[2] იქვე, გვ. 304.

როგორც ერთი მთლიანობა, იქნას მოსმენილი. განცდილი. სილოგიზმის „გასაგებად", ე. ი. დანასკვის გამოსატანად, ეს სრულიად არ არის საჭირო. ამას მოწმობს ენთიმემური დასკვნის ფაქტი. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ენთიმემის შემთხვევაში მოცემული მსჯელობა მცირე წანამძღვრად განიცდება, თუ ამას საგანგებოდ არ უშლის რაიმე ხელს.

მაგ., მსჯელობიდან „ჟურნალი წიგნია" ცპ-ს გამოაქვს დანასკვი „ჟურნალი განათლების წყაროა", „ჟურნალი საკითხავადაა", „ჟურნალი საინტერესოა" და სხვ. ყველა ამ შემთხვევაში დიდი წანამძღვარია „ნაგულისხმევი": „წიგნი — განათლების წყაროა, (შესატყვისად — „საკითხავადაა", „საინტერესოა"...). მაგრამ, თუ მაგიდაზე, რომელსაც უზის ცპ, დევს, ვთქვათ, ჟურნალი „მნათობი", მაშინ იგი „ხელის შემშლელ" ფაქტორად გვეელინება და ცპ-ს იმავე წანამძღვრიდან გამოაქვს დანასკვი: „«მნათობი» განათლების წყაროა", რაც ნიშნავს: მიცემული წანამძღვარი დიდ წანამძღვრად იქნა მიღებული ცპ-ის მიერ, ხოლო „ნაგულისხმევი" იქნა მცირე წანამძღვარი „«მნათობი» წიგნია". დასკვნის ფსიქიკური პროცესის სქემაში (იხ. გვ. 135) მცირე წანამძღვარი დიდისაგან ხაზით არის გამოყოფილი სწორედ იმის აღსანიშნავად, რომ მათ შორის არავითარი გადასვლის პროცესი არ არსებობს[1].

2. დასკვნის ლოგიკური პროცესი ორი მონაკვეთისგან, ორი ეტაპისაგან შედგება: 1. გადასვლა დიდი წანამძღვრიდან მცირეზე და 2. დანასკვის გამოტანა წანამძღვრების კავშირიდან, ერთიანობიდან, რომელიც საშუალო ტერმინით (M) ხორციელდება.

დასკვნის ფსიქიკური ასახვა ოთხი მომენტისაგან აიგება: I. ა) დიდი წანამძღვრის ქვემდებარის (M) განცდა ნებისმიერი ნიშნით (Mx); ბ) ამ სიტყვის მნიშვნელობის მობრუნება ცნობიერებისკენ პრედიცირებული P ნიშნით (Mp). II ა) მცირე წანამძღვრის ქვემდებარის (S) განცდა ნებისმიერი ნიშნით (Sy); ბ) მისი მნიშვნელობის მობრუნება დიდი წანამძღვრის ქვემდებარის (M) ნიშნით, რომელიც დიდ წანამძღვარში პრედიცირებული ნიშნით არის განცდილი (Smp). ამით დასკვნის ფსიქიური პროცესი დასრულდება. დანასკვის ფორმულირება, როგორც ვთქვით, დასკვნის პროცესის გარემდებარეა. დასკვნის პროცესის სქემაში (იხ. გვ. 135) საქმის

[1] აქვეან გ მიმდინარეობს, რომ დასკვნის პროცესის კანონზომიერების დადგენა, ე. წ. ლოგიკური შეცდომა, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია. დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

ასეთი ვითარების გამოხატვა ნაცადია იმით, რომ ჯერ ერთი, დიდი წანამძღვარიც და მცირეც ერთი და იმავე ნომრით არის აღნიშნული, და მეორეც, ლოგიკური დანასკვის შესატყვისი ადგილი ცარიელად არის დატოვებული.

3. დასკვნის ლოგიკურ პროცესში წანამძღვრები ერთიანობად უნდა იქნას დაკავშირებული. ამის აუცილებელი პირობაა, რომ მათ ჰქონდეთ საზიარო ცნება, ე. წ. საშუალო ტერმინი (M), რომლის მნიშვნელობა იგივეობრივი რჩება დასკვნის მთელი პროცესის მანძილზე. დასკვნის ურყევი ლოგიკური კანონია: M = M — მცირე წანამძღვრის პრედიკატი იგივეა, რაც დიდი წანამძღვრის ქვემდებარე.

იმისთვის, რომ მოცემული წანამძღვრებიდან ინდივიდმა ახალი (თუნდაც არა აბსოლუტურად, არამედ მხოლოდ ცნობიერების ამჟამად მოცემული შინაარსის თვალსაზრისით ახალი) ცოდნა მიიღოს, ისეთი შინაარსის ცოდნა, რომელიც არც ერთ წანამძღვარში არაა მოცემული, აუცილებელია, რომ საშუალო ტერმინის ნებისმიერი განცდა, რაც დიდი წანამძღვარი მსჯელობის დასაწყისშია მოცემული, პრედიკაციის შედეგად შეიცვალოს უსათუოდ მის P ნიშნით განცდად. მართალია, შესაძლებელია, დიდი წანამძღვრის ქვემდებარე მოსმენისთანავე იმ ნიშნით იქნას განცდილი, როშელსაც მსჯელობის დასრულებისას მიაწერს მას პრედიკატი, მაგრამ ეს შეშთხვევითი იქნება. და თუ ამ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ დასკვნის განხორციელების უცილობელი ფსიქოლოგიური კანონია: M ≠ M — მცირე წანამძღვრის, პრედიკატის განცდილი მნიშვნელობა არ უდრის დიდი წანამძღვრის ქვემდებარის პირველი მოსმენისას განცდილ მნიშვნელობას: პირველი შეცვლილია დიდ წანამძღვარში მისი პრედიკაციის წყალობით.

ა ხ ს ნ ი ს ც დ ა

დასკვნის ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემას ქმნის საშუალო ტერმინის მნიშვნელობის ცვალებადობა, რასაც დასკვნის განხორციელების აუცილებელ პირობად ვაღიარებთ. ეს ცვალებადობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სიტყვის მნიშვნელობა ყოველ კერძო შემთხვევაში ერთი რომელიმე ნიშნით აისახება ფსიქიკაში, ცნობიერებაში. ეს ცალმხრივობა, თითქოს, უნდა ზღუდავდეს შემეცნების შესაძლებლობას. შემეცნების იდეალი, თითქოს, უნდა იყოს სიტყვის მნიშვნელობის ყოველმხრივი, ყველა ნიშნით (არსებითი

ნიშნებით მაინც) განცდა ყოველ მოცემულ მომენტში. მაგრამ ასეთი რამ როგორ განხორციელებულიყო, დასკვნა შეუძლებელი იქნებოდა.

ვთქვათ, S განიცდება ყველა მისი ნიშნებით: a, b, c. ასევე M — ყველა მისი ნიშნით: d, e, f. ასევე P — ნიშნებით: k, l, m. მაშინ სილოგიზმი შემდეგ სახეს მიიღებდა:

M (= d, e, f) + P (= k, l, m) = d, e, f, k, l, m
S (= a, b, c) + M = a, b, c, d, e, f, k, l, m

. . . . . .

ასეთი წანამძღვრებიდან თანაბარი უფლებით შეიძლებოდა გამოგვეტანა ცხრა დასკვნა: „S არის a" ან „S არის b" და ა. შ. უკანასკნელ დანასკვს „S არის P(= k, l, m)" არავითარი უპირატესობა არ ექნებოდა სხვა დანასკვების წინაშე. კიდევ მეტი, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა რაიმე დანასკვის მიღება. სიტყვის მნიშვნელობის განცდილ, გაცნობიერებულ შინაარსს მიემატებოდა ახალი ნიშნები, იგი გამდიდრდებოდა, გაფართოვდებოდა. ყველა ცნობილი ნიშნით ერთდროულად რომ განიცდებოდეს სიტყვის მნიშვნელობა, სიტყვის მნიშვნელობის განცდა ისეთივე აგებულების იქნებოდა, როგორისაც არის სიტყვის პოტენციური ცოდნა.

დასკვნის განსახორციელებლად არ კმარა, რომ ტერმინი ერთი ნიშნით განიცდებოდეს. კერძოდ ეს ეხება საშუალო ტერმინს (M). თუ იგი მცირე წანამძღვრის პრედიკატის „როლში" თუნდაც ერთით, მაგრამ იმავე ნიშნით იქნა განცდილი, როლითაც განცდილ იქნა დიდი წანამძღვრის ქვემდებარის ადგილზე პრედიკაციის განხორციელებამდე (Mx), მაშინ S ვერ დაუკავშირდება P-ს. მივიღებთ ორ მსჯელობას:

Mx არის P
S არის Mx

რომლებიდანაც დანასკვი „S არის P" ვერ გამოიტანება და S დარჩება Mx-ის ნიშნით განცდილად (Smx).

მაშასადამე, საჭიროა, რომ M-ის თავდაპირველი განცდილი მნიშვნელობა შეიცვალოს პრედიკაციის შესატყვისად. მაგრამ, თუ შეიცვალა M-ის მნიშვნელობა, S ვერც მაშინ დაუკავშირდება P-ს. სილოგიზმიდან: M (= a) არის P
S არის M (= b)

არავითარი დანასკვის გამოტანა არ შეიძლება არც ლოგიკურად და არც ფსიქოლოგიურად.

იმისთვის, რომ დასკვნა განხორციელდეს, აუცილებელია ტერმინების მნიშვნელობის განცდა (განცდილი მნიშვნელობა) იცვლებოდეს და, ამავე დროს, რჩებოდეს რაღაც მყარი ბირთვი, კონსტანტა, რომელიც უზრუნველყოფს იმის განცდას, რომ ცვალებადობა ერთის მ ე ო რ ი თ შეცვლა კი არ არის, არამედ ა მ ე რ თ ი ს „სახელცვლა". ინდივიდს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მცირე წანამძღვრის პრედიკატი M, განცდილი P ნიშნით, ის M არის, რომელიც დიდ წანამძღვარში თავდაპირველად x ნიშნით იყო განცდილი და რომ P ნიშნით განცდილი M-ით პრედიცირებული S (= Smp) ის S არის, რომელიც თავდაპირველად y ნიშნით იყო განცდილი (= Sy).

რა შეიძლება იყოს ეს კონსტანტა? უწინარეს ყოვლისა ჩნდება აზრი, რომ ეს უნდა იყოს სიტყვა — ბგერათა კომპლექსი, რადგან სიტყვა, მართლაც, უცვლელი რჩება დასკვნის პროცესში. მაგრამ, თურმე, სიტყვას არ შეუძლია შეასრულოს ასეთი კონსტანტის როლი. ეს რომ შესაძლებელი იყოს, ყველაზე მეტად ომონიმებში გამოჩნდებოდა. მაგრამ, თურმე, ინდივიდი ომონიმის ბგერათა კომპლექსს იგივეობრივად არ განიცდის სხვადასხვა მნიშვნელობით მისი გაგებისას.

ცპ-ს სთხოვ რუსულად თარგმნოს სიტყვა „ბეჭედი", ცპ თარგმნის: „кольцо". ცხ: „თუ: печать?" ცპ: „არა, ის სულ სხვა ბეჭედია". ან ცხ: „ჭართულად თარგმნეთ რუსულიდან სიტყვა листок!" ცპ: „ფურცელი", ცხ.: „თუ ფოთოლი?" ცპ: „ჰო! ფოთოლიცაა, მაგრამ ის სხვა листок-ია. თითქოს სხვანაირადაც ისმის".

ანალოგიური მოვლენა ასოების განცდაშიც არის დადასტურებული. ზედიზედ ბევრი ხელნაწერი გერმანული სიტყვის წაკითხვის შემდეგ ცპ კითხულობს სიტყვას „дом" და ზოგჯერ ამბობს: სიტყვა რუსულია, მაგრამ ასო „о" გერმანულია (ზ. ხოჯავას ცდებიდან).

ამრიგად, ბგერათა კომპლექსის ობიექტური იგივეობა არამცთუ ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელობის იგივეობრივად განცდას, არამედ თვით ბგერათა კომპლექსის, როგორც ასეთის, განცდა იცვლება მისი მნიშვნელობის განცდის შეცვლის გამო.

ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ ომონიმის გარკვეული მნიშვნელობით გაგება კონტექსტით არის გაპირობებული. ეს თითქოს მართლაც ასეა. ამიტომ შეიძლება ითქვას, მაგ.. „ადამიანს ორი თვალი აქვს, ხოლო ციკლოპს — ერთი", მაგრამ არ შეიძლება ითქვას:

„ადამიანს ორი თვალი აქვს, ხოლო ავტომობილს — ოთხი". ამიტომ არის, რომ მსჯელობათა შეერთებიდან:

თვალი მხედველობის ორგანოა

ურემს აქვს თვალი[1]

არავინ გამოიტანს დანასკვს, რომ ურემს აქვს მხედველობის ორგანო.

მაგრამ, როგორც ცნობილია (იხ., აგრეთვე, ზემოთ მოტანილი ექსპერიმენტული მაგალითები), კონტექსტის გარეშეც, იზოლირებული ომონიმური სიტყვაც ერთი რომელიმე ცნიშვნელობით განიცდება. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, კონტექსტი არაფერ შუაშია, იგი, უბრალოდ, არც არის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ თვით ბგერათა კომპლექსი ვერ განაპირობებს მისი ასეთი თუ ისეთი მნიშვნელობით განცდას. ვერც იმას ვიტყვით, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისი ამა თუ იმ მნიშვნელობით განცდა „შემთხვევითია" და არაჟრით არ არის გაპირობებული: მას აქვს მიზეზი, რომელიც, ჯერჯერობით მხოლოდ ამის თქმა შეგვიძლია, არც ბგერათა კომპლექსია და არც კონტექსტი.

ბგერათა კომპლექსს, როგორც ასეთს, თუ არ შეუძლია მნიშვნელობის იგივეობის განცდა უზრუნველყოს, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, უგულებელვყოთ საერთოდ სიტყვის როლი ამ საქმეში.

არსებობს სიტყვები, რომელთა მნიშვნელობების განცდა ცვალებადობს, მაგრამ არა იმდენად, რომ ისინი სრულიად დისპარატულები იყვნენ, როგორც ომონიმების შემთხვევაში არიან. ასეთი სიტყვები ორი ენის შეჯერებისას იჩენს თავს: ყოველ ენაში არის სიტყვები, რომლებსაც მეორე ენაში ერთმნიშვნელოვნად შესატყვისი სიტყვა არ მოეძებნება[2].

ზემოთ მოტანილი ექსპერიმენტის მსგავსად, ცპ-ს სთხოვ, თარგმნოს ქართულად „сухой". ცპ: „მშრალი", ცხ: „თუ: ხმელი?". ცპ: „მშრალიც, ხმელიც". ან ცხ: „простой?", ცპ: „უბრალო". ცხ: „უბრალო, თუ მარტივი?", ცპ: „უბრალო, ჰო, უბრალოც, მარტივიც"... ომონიმების თარგმნისგან განსხვავებით, ცპ არავითარ შეუსატყვისობას, წინააღმდეგობას, შეუთანხმებლობას არ განიცდის, არასო-

[1] მაგალითი აღებულია კ. ბაჭრაძე, ლოგიკა, 1951, გვ. 89.

[2] მაგალითად, ქართული სიტყვა „დიდი" რუსულად ითარგმნება ან **большой**, ან **великий**: „ვიცი" — **умею, знаю**; „მესმის" **понимаю, слышу**; „ძველი" — **старый, древний** .. რუსული სიტყვა **старый** ქართულად ითარგმნება ან „ძველი" ან „ბებერი"; **простой** — „უბრალო", „მარტივი"; **сухой** — „მშრალი", „ხმელი"...

დეს არ იტყვის: „არა! ის სხვა простой-ა!“, როგორც ომონიმის თარგმნისას ამბობდა ხოლმე. პირიქით, მიუხედავად მნიშვნელობის შეცვლისა, ინდივიდი განიცდის, რომ ეს რაღაცნაირად „იგივე“ სიტყვაა. ხსენებული სიტყვების ობიექტური მნიშვნელობების „სფეროები“ ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. მაგალითად, „ძველი“= древний, старый, მაგრამ старый = ძველი, ბებერი. განსხვავებას რომ აღიარებს ცპ ორ თარგმანს შორის, იმითაა გამართლებული, რომ ქართულ-რუსული შესატყვისები მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ერთიმეორის სფეროს; ხოლო იგივეობას რომ აღიარებს — იმით, რომ, თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ფარავს ერთიმეორის სფეროს. ამ სიტყვების მნიშვნელობის ცვალებადობის განცდა ახლო დგას დასკვნის შემთხვევაში ტერმინების მნიშვნელობათა ცვალებადობის განცდასთან. მაგრამ ეს გარემოება თავისთავად ვერ შველის იმის გაგებას, თუ რა წარმოადგენს „მყარ ბირთვს“, კონსტანტას ან ამ სიტყვებში, ან დასკვნის ტერმინებში.

ამ კონსტანტის მისაგნებად მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, რომ ადამიანს შეუძლია განიცადოს მნიშვნელობა, რომლის აღსანიშნავად ენას სათანადო სიტყვა არ მოეპოვება. მაგ., რუსულ ენაში არ არსებობს ქართული სიტყვის „ქალი“ შესატყვისი, რომელიც აღნიშნავდეს დედრობითი სქესის ადამიანს ასაკის გაუთვალისწინებლად. თანაბარღირებული სიტყვა მამრობითი სქესის ადამიანის აღსანიშნავად არც ქართულს მოეპოვება. მაგრამ რუსები სავსებით ადექვატურად განიცდიან დემოგრაფიული ტერმინების: „мужчина“ და „женщина“ მნიშვნელობას ისევე, როგორც ქართველებს გვესმის ადექვატურად ტერმინი „მამაკაცი“, როგორც „ქალი“ — ტერმინის საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელია ან კიდევ, ქართულად არა გვაქვს რუსული тётя-ს შესატყვისი, მაგრამ გვაქვს ანალოგიური სიტყვა „ბიძა“ და სიტყვა „დეიდა“-ს საჭიროებისას, тётя-ს მნიშვნელობით განვიცდით. ამგვარი მაგალითი სხვაც ბევრი შეიძლება მოვიტანოთ[1].

სიტყვის მნიშვნელობების ამგვარად განცდა ფაქტია, მაგრამ იგი არ ნიშნავს, რომ მნიშვნელობის განცდა ანუ აზრი სიტყვისაგან დამოუკიდებლად არსებობს. არა! სიტყვა პოტენციურად მრავალნიშვნელოვანია, აქტუალურად კი ერთი ნიშნით განიცდება. ასე, მაგალითად, სიტყვა „დეიდა“ შეიძლება განცდილ იქნას тётя — სიტყვის მნიშვნელობით — როგორც გარკვეულ ნათესაობრივ მი-

[1] არ არსებობს რუსულად: „ჯუდი“, „წინდა“, „შვილი“...

მართებაში მყოფი ქალი ისე, რომ უგულებელ იქნას მიმართების გამაშუალებელი პირის (დედა) ნიშანი („დეიდა" რომ „დედის და"-ს უდრის, ეს ხომ ეტიმოლოგიური ფაქტია და არა ფსიქოლოგიური). კიდევ მეტი: შეიძლება ნათესაობის ნიშანიც უგულებელ იქნას და სიტყვა მხოლოდ სოციალური ნიშნით იქნას განცდილი[1].

აშკარაა, რომ სიტყვის მნიშვნელობის განცდის ცვალებადობა დასკვნის პროცესის სპეციფიკა არ ყოფილა, არამედ იგი საერთოდ ყოფილა დამახასიათებელი სიტყვისთვის. ამის გამო, სიტყვა — ბგერათა კომპლექსი — ვერ შეასრულებს დასკვნაში მნიშვნელობის კონსტანტის როლს. სიტყვის მნიშვნელობის განცდა ცვალებადობს მნიშვნელობის გაფართოებით დაწყებული, როგორც მაგალითად, „დეიდას" მნიშვნელობიდან ‘ჲჱჯ-ს მნიშვნელობამდე, და გათავებული სიტყვის მნიშვნელობის სრული შეცვლით, როგორც ომონიმების განცდისას ხდება.

აქედან გამომდინარეობს, რომ სიტყვის მნიშვნელობის განცდის კონსტანტა ბგერათა კომპლექსს გარეშე უნდა ვეძიოთ.

კონსტანტის როლს ვერც სხვა რაიმე გრძნობადი ხატი შეასრულებს. რთული საკითხია, თუ, საერთოდ, რის შემძლეა ხატი. ამ საკითხს ცალკე უნდა კვლევა. აქ საკმარისია იმის მითითება, რომ დასკვნის ოპერაცია ისეთი ცნებებით შეიძლება წარმოებდეს, რომლებიც ხატის სახით ვერ იქნება წარმოდგენილი ცნობიერებაში (მაგალითად: ანალიზი აზროვნების ოპერაციაა; საგნის დაშლა მის შემადგენელ ნიშნებად ანალიზია; მაშასადამე საგნის დაშლა მის შემადგენელ ნიშნებად აზროვნების ოპერაციაა).

დასკვნასთან დაკავშირებით რომ ვიხმეს დაესვას სიტყვის მნიშვნელობის მყარი ბირთვის საკითხი, ჩვენ არ გესმენია. მაგრამ იგი უკავშირდება მნიშვნელობის განცდის ზოგად საკითხს, რომელიც ხშირად ყოფილა მსჯელობის საგანი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ინტერესის საგანს შეადგენდა ხოლმე ერთისა და იმავე ობიექტური ფაქტის სხვადასხვაგვარად განცდა. ასოციაციონისტური ფსიქოლოგია აპერცეფციული მასით და კონსტელაციით ცდილობდა ამის ახსნას. თანამედროვე ბურტუაზიულმა ფსიქოლოგიამ უარყო ასოციაციონიზმი და კონსტელაციის როლი, ამ შემთხვევაში, დააკისრა „სფეროს", „ატმოსფეროს", „შემოგარეს" (Hof), რაც, თავისთა-

[1] საბავშვო ბაღის ბავშვები, ხშირად, მათთან ცდების ჩასატარებლად ან აღმზრდელობითს საქმიანობაში დასახმარებლად მისულ კაცებსაც „დეიდას" ეძახიან.

ვად, არც ცნობიერია, არც განცდილი და... საერთოდ ვერაა პოზიტიურად დახასიათებული.

საბჭოთა ფსიქოლოგიამ ასოციაციონიზმიც უარყო, თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის იდეალისტური თეორიებიც, მაგრამ არ უარუყვია ფაქტი, რომ სიტყვის მნიშვნელობის განცდის შესაძლო ნაირსახეობათაგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთერთი ხორციელდება და რომ „არჩევანი" ცნობიერების აქტუალურ შინაარსზე არ არის დამოკიდებული. სიტყვის მნიშვნელობის განცდის საფუძველი საბჭოთა ფსიქოლოგიასაც საძიებელი დარჩა. პირველად პოზიტიურად დახასიათებულ ასეთ საფუძველს დ. უზნაძემ მიუთითა, როდესაც აღნიშნა, რომ სიტყვის მნიშვნელობის განცდა დამოკიდებულია განწყობაზე[1]. შემდეგ დ. რამიშვილმა გამოავლინა, რომ ე. წ. ყოველდღიური ცნებების შინაარსს განწყობა განსაზღვრავს[2]. ამ ავტორებს არ დასჭირვებიათ იმ საკითხის დასმა, თუ როგორ უზრუნველყოფს განწყობა, ერთი მხრივ, სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობას, მეორე მხრივ, ცვალებადობასთან ერთად მის კონსტანტურობას, მყარობას; დასკვნის კვლევისას კი სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდა ძირითადი.

სიტყვის მნიშვნელობის განცდის ცვალებადობაზე ზევით ვილაპარაკეთ. დადგენილია, რომ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის ერთი გარკვეული მნიშვნელობით განცდას კონტექსტი განაპირობებს („ადამიანს აქვს თვალი", „ურემს აქვს თვალი", „ბეჭედს აქვს თვალი", „ორი თვალი სახლი", „ქვეყნის თვალი"). სწორად რომ ვთქვათ, კონტექსტში მოცემული სიტყვის მნიშვნელობის განცდა, მართლაც, კონტექსტის შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი ა; მაგრამ კონტექსტი არ შეიძლება იყოს ამ განცდის უშუალო მიზეზი. ყოველგვარი კონტექსტის გარეშეც ამგვარი სიტყვა რომელიმე ერთი მნიშვნელობით განიცდება. მაშასადამე, კონტექსტის გარეშეც რაღაც ანიჭებს მას აი ამ გარკვეულ მნიშვნელობას. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, ახლო იყო ჰეშმარიტებასთან ბოლოდროინდელი ასოციაციონიზმი, როდესაც მნიშვნელობის მიმნიჭებლად აპერცეფციულ მასას თუ კონსტელაციას აღიარებდა, ახლო იმდენად, რამდენადაც სიტყვის განცდის „ფონს" სუბიექტში ხედავდა და არა ობიექტში, წარმოდგენათა კონსტელაციაში და არა ობიექტურად არსებულ კონტექსტში.

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ენის შინა ფორმა, იხ. „ფსიქოლოგია", ტ. IV.

[2] დ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ყოველდღიურ ცნებათა ფსიქოლოგია, „ფსიქოლოგია", ტ. IX. 1954.

როგორ იქმნება და როგორ გამოვლინდება ეს სუბიექტურ-ფსიქიკური ფონი?

ჩავატაროთ ასეთი ცდა. მაგიდაზე დავდოთ რამდენიმე საგანი: სათვალე, ხის კალმისტარი, კალამი, რვეული... ცპ-ს ვთხოვოთ, ჩვენი მითითებისთანავე რაც შეიძლება სწრაფად დაასახელოს ის, რასაც მივუთითებთ. ცპ, ცხადია, დაუბრკოლებლივ დაასახელებს საგნებს, მაგრამ ამის შემდეგ, რომ ავიღოთ, ვთქვათ, ჯიბის კალმისტარი, ვუჩვენოთ ცპ-ს და ვუთხრათ: „ეს პლასტმასაა", და მაშინვე გავიმეოროთ პირველი ცდა, ცპ ასეთე დაუბრკოლებლად გვიპასუხებს სათვალის მითითებაზე „შუშა", ხის კალმისტარზე — „ხე", კალმისაზე — „ფოლადი"... დაასახელებს მასალას, რომლისგანაც არის ნივთი გაკეთებული. ეს ფრიად მარტივი ცდა გვიჩვენებს, რომ ინდივიდი ერთხელ თუ დადგა, ასე ვთქვათ, საგნის პოზიციაზე, საგნობის ნიშნით აღიქვამს ნივთს, ხოლო თუ მასალის თვალსაზრისით შეეხედვინებთ ერთ საგანს („...ეს პლასტმასაა"), სხვა საგნებსაც მასალის ნიშნით განიცდის. ამგვარი ტიპის ცდა ლიტერატურაში ბევრია ცნობილი. ისინი, მართალია, სხვა მიზნით იყვნენ ხოლმე ჩატარებული, მაგრამ გვიჩვენებენ, რომ საგანი შეიძლება განცდილ იქნას ცპ-ის მიერ მასში წინასწარი განზრახვით, ექსპერიმენტულად შემოშავებული თვალსაზრისით (მხედველობაში მაქვს, მაგალითად, კარმიკელის ცდები გარკვეული სიტყვით დასახელებული ფიგურების შეხსიერებით აღდგენისა)[1].

ამავე პრინციპით შეიძლება მოეწყოს მარტივი ცდა, რომელიც უფრო ახლო იქნება დასკვნის პროცესის ხასიათთან. ცპ-ს სთხოვ მოახდინოს სიტყვის „ივანე" პრედიკაცია ნებისმიერი ნიშნით. ცპ: „ივანე ქართველია". ამის შემდეგ ეუბნები: „ადამიანი გონიერია". ცოტა ხნის შემდეგ რომ გაუმეორო თხოვნა, მოახდინოს „ივანეს"-ს პრედიკაცია ნებისმიერი ნიშნით, ცპ-ს დაუყოვნებლივ გამოაქვს „დანასკვი" (აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ასეთ მსჯელობას?): „ივანე გონიერია". ეს იმით აიხსნება, რომ მსჯელობამ: „ადამიანი გონიერია" შექმნა პიროვნული მდგომარეობა, რომელმაც განაპირობა მომდევნო სიტყვის („ივანე") განცდა შესატყვისი ნიშნით, „ადამიანის" ნიშნით. შექმნილი პიროვნული მდგომარეობა, ასე ვთქვათ, მოირგებს, შეიგუებს მომდევნო შთაბეჭდილებებს, მოახდენს მათს ასიმილაციას.

---

[1] იხ. ვუდვორთის „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის" რუსული თარგმანი, გვ. 447.

ზევით ვწერდი, რომ მცირე წანამძღვრის ქვემდებარე (S) მოსმენისთანავე, ჯერ კიდევ მისი პრედიკაციის უწინარეს, განცდილი იქნება ერთი ნიშნით, რომელსაც დიდი წანამძღვარი განაპირობებს. ამ გარემოებას ემყარება ენთიმემები, რომლებშიც მხოლოდ დიდი წანამძღვარია მოცემული. ისინი ძალიან ხშირად გამოიყენება იქ, სადაც მცირე წანამძღვრის ქვემდებარეს (S-ს) სიტუაცია განსაზღვრავს. მაგალითად, დედა ეალერსება შვილს: „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო"(=დიდი წანამძღვარი. S-ს სიტუაცია განსაზღვრავს — შვილი, რომელსაც ეფერებიან. იგუ-ლისხმება მცირე წანამძღვარი „შენ კარგი შვილი ხარ" და დანასკვი „შენ დედის გულის ვარდი ხარ"), ან დარიგებას აძლევს ურჩშვილს: „შვილი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს დედას".

მოტანილი ექსპერიმენტული მასალა და მითითებული გამოკვლევები, ვფიქრობ, საკმარისია იმის დასადგენად, რომ მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის ერთი გარკვეული მნიშვნელობით განცდაში ძირითად როლს პიროვნული ფაქტორი თამაშობს. დასკვნის შემთხვევაში იგი იქმნება დიდი წანამძღვრის განხორციელებისას და ახდენს მცირე წანამძღვრის ქვემდებარის (S ის) მნიშვნელობის ასიმილაციას, შესაძლოა, ჯერ კიდევ ამ უკანასკნელის პრედიკაციამდე და, ყოველ შემთხვევაში, პრედიკაციის შემდეგ.

ცპ-ს ვაძლევთ დიდ წანამძღვარს, შემდეგ — მცირე წანამძღვრის ქვემდებარეს და ვთხოვთ მოახდინოს მისი პრედიკაცია. მაგალითად, „ქართველები თეთრკანიანები არიან. ივანე? ცპ: „თეთრკანიანია". ცხ: „ადამიანი მოკვდავია. ივანე?" ცპ: „მოკვდავია". დასკვნის ფსიქოლოგიური მექანიზმი აქ სავსებით აშკარაა: დიდ წანამძღვარში პრედიცირებული ქვემდებარე (M) ახდენს მომდევნო სიტყვის ასიმილაციას და დიდი წანამძღვრის პრედიკატის (P) ნიშნით განაცდევინებს მას ინდივიდს. ცპ-ები ასეც ასაბუთებენ თავიანთ პასუხს, ვთქვათ, „ივანე თეთრკანიანია". ცპ: „ქართველები თეთრკანიანები არიან. ივანეც თეთრკანიანი იქნება, თუ ქართველია"[1]. ამ სუბიექტური მდგომარეობის ასიმილაციური ძალა საკმაოდ შორსმწვდომია. ცხ-ის შეკითხვას: „ჰიმალაის მწვერვალები თოვლიანია. ტახია-ტაში?" ცპ-ებმა უპასუხეს: „თოვლიანია", თუმცა არ იციან, რა არის ტახია-ტაში. რომ სცოდნოდათ, არც იტყოდნენ, თოვლიანიაო. არ იციან, რა არის, მაგრამ ფიქრობენ, რომ შეიძლება ჰიმალაის მწვერვალი იყოს. ერთ-ერთი ცპ ასეც ასაბუთებს

[1] ქართველია ივანე თუ არა, ამაზე არაფერი ყოფილა თქმული.

თავის პასუხს: „რა ვიცი, ალბათ ჰიმალაის მწვერვალია, «ბაშ» თათრულად მგონი მთას ჰქვია... კავკასიონის ბევრი მწვერვალის სახელი «ბაშ»-ით თავდება".

„ალბათ", „მგონი" და „ბაშ" ფსიქოლოგიურად საკმარისი საბუთი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტახია-ტაშ (და არა „ბაშ"!) ჰიმალაის მწვერვალად ყოფილიყო აღიარებული. მაგრამ ეს ასიმილაციური ძალა ზღვარდებულია. იმაეგვარ შეკითხვას: „ჰიმალაის მწვერვალებს თოვლიანია. გვადალკვივირი?" ცპ-ები უპასუხებენ: „არაფერი არ გამოდის გვადალკვივირი... არ ვიცი, რა არის, მაგრამ სხვა რაღაცაა, ჰიმალაიში არ უნდა იყოს. რაღაც ესპანურია თუ იტალიური... არ ვიცი, არა!"

ეს ზღვარდებულობა კიდევ უფრო ნათლად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც სავსებით მართებულ სილოგიზმშიც ძნელდება დანასკვის გამოტანა იმიტომ, რომ დიდი წანამძღვრით შექმნილი პიროვნული მდგომარეობა ვერ ახერხებს სილოგიზმის ქვემდებარის (S) ასიმილაციას.

სავსებით ჭეშმარიტი წანამძღვრებიდან:

ადამიანი გონიერია
იდიოტი ადამიანია

ცპ-ებს უჭირთ დანასკვის გამოტანა და ზოგჯერ სულაც ვერ ახერხებენ ამას, რადგან „ადამიანი — გონიერი" ისეთი ნიშნით არის ასახული, რომ სათანადო პიროვნული მდგომარეობა ვერ იგუებს „იდიოტის" მნიშვნელობას. ამავე მიზეზით არის, რომ ცპ ვერა და ვერ განიცდის იას ბალახად, მიუხედავად უნაკლო დასაბუთებისა, რომ ია ბალახია. მართალია, ბალახი ეწოდება ყოველ ღეროგაუხევებელ მცენარეს, ხოლო ია ღეროგაუხევებელი მცენარეა, მაგრამ ია მაინც არ არის ბალახი. ცოდოა ბალახადო, — ამბობს ფრიად განსწავლული ცპ[1]. ფორმალურ-ლოგიკურად ჭეშოთ მოტანილი სილოგიზმის აბსოლუტურად იგივეობრივი, ხოლო შინაარსობლივად მასთან ძალიან ახლო მდგომი სილოგიზმებიდან ცპ-ებს დაუბრკოლებლად გამოაქვთ მართებული დანასკვი. ასეთი სილოგიზმები იქნება, მაგალითად:

ადამიანი გონიერია
მოსწავლე ადამიანია
ან: ადამიანი მოკვდავია
იდიოტი ადამიანია

[1] მაგალითი აღებულია დ. რაძიწვილისგან. იხ. დასახ. ნაშრ.

ასიმილაციის ამგვარ მოქმედებას გამოავლენს ფიქსირებული განწყობა (ამ ცნების დ. უზნაძისეული გაგებით). იგი შესაძლებელყოფს „განსხვავებულთა იგივეობრიობის" ასახვას. მხედველობაში მაქვს შემდეგი საქმის ვითარება: ფიქსირებული განწყობის ტრადიციულ ექსპერიმენტში ცპ არატოლი წრეების აღქმის შემდეგ ტოლ წრეებსაც არატოლად აღიქვამს. ილუზია მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ ე. წ. კრიტიკული წრეების სიდიდეთა ურთიერთმიმართება (=ტოლობა) განსხვავდება ე. წ. განმაწყობელი წრეების სიდიდეთა ურთიერთმიმართებისაგან (=არატოლობისგან). მაგრამ მხოლოდ განსხვავება არაა საკმარისი ილუზიის აღმოსაცენებლად. ამისთვის აუცილებელია, რომ განსხვავებულობასთან ერთად განმაწყობელისა და კრიტიკული მასალის იგივეობაც აისახებოდეს. ამას მოწმობს ის ექსპერიმენტები, რომლებშიც კრიტიკულ ცდების დროს ცპ-ს ეძლევა განმაწყობელი ფიგურებისგან იმდენად განსხვავებული ფიგურები, რომ მათი „იგივეობრიობის" მომენტი ცპ-სთვის სუბიექტურად ნოლზე დაიყვანება (მაგ., განმაწყობელი არატოლი წრეების შემდეგ,— ვერტიკალური ხაზების ტოლი მონაკვეთები): ასეთ შემთხვევაში ილუზია აღარ აღმოცენდება ხოლმე[1]. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ განწყობის ილუზია ხან ასიმილაციურია და ხან კონტრასტული. ესეც იმას მოწმობს, რომ ილუზიის ხასიათს ორი ფაქტორის თანამოქმედება განსაზღვრავს: განმაწყობელისა და კრიტიკული მასალის იგივეობა და სხვაობა. როდესაც იგივეობის ნიშანია წამოწეული წინა პლანზე, მაშინ ილუზია ასიმილაციურია, ხოლო როდესაც წინა პლანზე სხვაობის ნიშანია წამოწეული, მაშინ ილუზია კონტრასტულია. პირველ შემთხვევაში პიროვნული მიმართება ცდის მასალისადმი ასე შეიძლება ავწეროთ: „განსხვავებული, მაგრამ იგივე მასალა", მეორე შემთხვევაში — „იგივე მასალა, მაგრამ განსხვავებული" (ხაზგასმულია ფსიქოლოგიური მახვილი). კრიტიკული წრეების იგივეობის ნიშნით ასახვას ხელს უწყობს განმაწყობელისა და კრიტიკული მასალის ობიექტური მსგავსება: ცნობილია, რომ ასიმილაციური ილუზიები უფრო ხშირი მაშინ არის, როდესაც მცირეა განსხვავება, ერთი მხრივ, კრიტიკული ობიექტების მიმართებასა და განმაწყობელი ობიექტების მიმართებას შორის, (ე. ი. მცირეა განსხვავება დიდსა და მცირე განმაწყობელ ობიექტს შორისაც და, მეორე მხრივ,

[1] იხ. ზ. ხოჯავა, ფიგურის როლი განწყობის მოქმედებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოამბე", ტ. XIX, 1939.

კრიტიკულისა და განმაწყობელი ობიექტების აბსოლუტურ სიდიდეთა შორის, პირიქით, როდესაც ეს განსხვავებები დიდია, მაშინ კონტრასტული ილუზიები ჭარბობს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საგულისხმოა ის, რომ ფიქსირებულ განწყობას ძალა შესწევს ასახოს განსხვავებულობა, როგორც იგივეს სხვა-ობა და არა როგორც მხოლოდ განსხვავებული, აბსოლუტურად ჰეტეროგენული. ეს არის სწორედ ის, რაც აუცილებელია დასკვნის ფსიქიკური პროცესის განსახორციელებლად, კერძოდ კი— საშუალო ტერმინის (M) ცვალებადი მნიშვნელობის ასასახავად.

ფიქსირებული განწყობის მეორე, ჩვენთვის საყურადღებო, თვისება არის მისი სტაბილურობა. იმავე ტრადიციული ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ერთხელ გაფიქსირებული განწყობა აღორძინების უნარს ინარჩუნებს თვეების განმავლობაში[1]. ეს თვისება დაკავშირებულია დასკვნის ფსიქიკური პროცესის იმ თავისებურებასთან, რომ დიდი წანამძღვრიდან მცირეზე „გადასელა“ არ არსებობს: დიდი წანამძღვრით შექმნილი განწყობა ხელახლად ამოქმედდება მცირე წანამძღვრის მოსმენისას. ხარვეზი დიდსა და მცირე წანამძღვარს შორის შეიძლება იმდენად ხანგრძლივი იყოს, რამდენადაც ხანგრძლივია დიდი წანამძღვრის შესატყვისი ფიქსირებული განწყობის სტაბილურობა. ამ დებულების სასარგებლოდ ზევით მოტანილ საბუთებს აქ დაეუმატებ ცდის ერთ შემთხვევას: ცპ-ს, სპეციალობით ლოგიკოსს, დოცენტს, ვთხოვე, მსჯელობიდან „პეტრე ადამიანია“ გამოეტანა ენთიმემური დანასკვი. ცპ: „პეტრე მოკვდავია“. ცხ: „რატომ «მოკვდავია?»“ ცპ: „აბა, სხვა რა გამოვა!“. ცხ: „ვთქვათ, «გონიერია» ან «ორფეხია» ან «იარაღისმკეთებელი ცხოველია»!“. ცპ-მა შეცბუნებული ღიმილით მიპასუხა: „ჰმ! სულ არ მომსვლია აზრად... ისე ვარ შეჩვეული ლექციების კითხვისას, რომ ადამიანი მოკვდავია, რომ ახლაც სხვა არაფერი გამახსენდა“. ამაზე უკეთესი მაგალითი დიდი წანამძღვრით გაფიქსირებული განწყობის სტაბილურობისა რა იქნება?!

როგორც ცნობილია, განწყობისა და, კერძოდ, ფიქსირებული განწყობის თვისებები (აღქმის სახელდობრ, ილუზიებისა აპერცეფციების) ექსპერიმენტული კვლევით არის დადგენილი. სიტყვის მნიშვნელობა განსხვავდება თვალსაჩინო საგნისაგან და პირველის

[1] ექსპერიმენტულად დადგენილია 3 თვის ხარვეზი განწყობის ფიქსაციასა და მის გამოვლინებას შორის, მაგრამ არაექსპერიმენტულ პირობებში უფლება გვაქვს ვიგულისხმოთ, რომ სტაბილურობა ათეული წლები ძლებს (მხედველობაში მაქვს, მაგ., ჩვეულებები...).

სუბიექტური ასახვაც, ცხადია, განსხვავებული იქნება აღქმისაგან. სიტყვის მნიშვნელობის შესატყვისი განწყობის კვლევა ჯერ მხოლოდ დაწყებულია და არსებითად მომავლის ამოცანად რჩება. მაგრამ განწყობის შესახებ დღემდე მოპოვებული ცოდნა, ვფიქრობ, სრულ უფლებას გვაძლევს სიტყვის მნიშვნელობის სუბიექტური, ფსიქიკური ასახვის საფუძვლად განწყობა ვაღიაროთ. ამის უფლებას გვაძლევს შემდეგი მოსაზრებები:

1. სიტყვის ასახვის კონსტანტა უნდა ვეძიოთ არა ობიექტში, არამედ სუბიექტში. ამიტომ კონსტანტად არ გამოდგება სიტყვა — ბგერათა კომპლექსი, როგორც ობიექტური ფიზიკური ფაქტი.

2. კონსტანტის ფუნქციას ვერ შეასრულებს ვერც ბგერათა კომპლექსის განცდა და ვერც სხვა რამ განცდა, ფსიქიკის რაიმე თვალსაჩინო შინაარსი.

3. სიტყვის მნიშვნელობის განცდის საფუძველს წარმოადგენს ცნობიერების უწინარესი ფსიქიკური სინამდვილე, რომელიც ჩამოყალიბდება დიდი წანამძღვრის ასახვისას და ახდენს მცირე წანამძღვრის და, კერძოდ, მისი ქვემდებარის (S) მნიშვნელობის ასიმილაციას ისე, რომ თვითონ არაა განცდის სახით მოცემული.

4. სიტყვის მნიშვნელობის ასახვა უნდა იცავდეს ამ მნიშვნელობის იგივეობას მის ცვალებადობაში: გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ო ბ ი ს განცდის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს („იგივეა, მაგრამ სხვაა", ან „სხვაა, მაგრამ იგივეა").

განწყობა სუბიექტური სინამდვილეა, პიროვნების მდგომარეობაა; იგი არაა განცდა, ფსიქიკის თვალსაჩინო შინაარსი; მას ახასიათებს მომდევნო შთაბეჭდილებების ასიმილაციის უნარი; მას ძალა შესწევს იგივეობაში სხვაობის (=სხვაობაში — იგივეობის) ასახვისა. ამდენად გახწყობას შეუძლია იკისროს სიტყვის მნიშვნელობის ასახვის მატარებლის როლი.

დასკვნის პროცესში ფიქსირებული განწყობის ერთმა ისეთმა თავისებურებამ იჩინა თავი, რომელიც საგანგებო კვლევის საგნად ჯერ კიდევ არ გამხდარა: რეგრესიულმა ასიმილაციამ. იგი იმაში ვლინდება, რომ პრედიკატი უკუმოქმედებს ქვემდებარეზე და post factum ცვლის მისი მნიშვნელობის განცდას. ამ თვისებასთან უნდა გვქონდეს საქმე ფსიქიკური შინაარსების არაზუსტი რეპროდუქციისასაც მეხსიერების შემთხვევაში. საჭიროა მისი საგანგებო კვლევა.

დასკვნის ფსიქიკური პროცესის კვლევამ გამოარკვია ზოგიერთი ზოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომელსაც არ გვინდა აქ გვერდი ავუაროთ.

გამოირკვა, რომ დასკვნის ფსიქიკური პროცესი არ იმეორებს დასკვნის ლოგიკურ პროცესს, რომ პირველის სტრუქტურა განსხვავდება მეორის სტრუქტურისგან. ამან არ უნდა შექმნას ყალბი წარმოდგენა, თითქოს ფსიქიკას არ შეეძლოს დასკვნის, როგორც ლოგიკური სინამდვილის, ასახვა. პირიქით, ასახვის განსხვავება ასახულისაგან აუცილებელი პირობაა ასახვის სწორედ როგორც ასახვის არსებობისა. ასე, მაგალითად, არც კუნთური ძალისხმევა და არც ცოდნა მსოფლიო მიზიდულობის კანონისა არაა მსოფლიო მიზიდულობა. პირველი ამ კანონის „პრაქტიკული ასახვაა" ინდივიდის მიერ, მეორე — მისი შემეცნებითი ასახვა. ან სკამი რომ იგივე იყოს, რაც სკამის აღქმის ხატი, მაშინ ან ხატიც (ფსიქიკური) — ფიზიკური სინამდვილე იქნებოდა, ან სკამიც (ფიზიკური) — ფსიქიკური სინამდვილე. ასევე, განსხვავება დასკვნის ლოგიკურსა და ფსიქიკურ პროცესებს შორის მოწმობს იმას, რომ ლოგიკური სხვაა, ობიექტურია, ხოლო ფსიქიკური სხვაა, სუბიექტურია (ამ სიტყვის „ინდივიდურის" მნიშვნელობით).

განსხვავება დასკვნის ლოგიკურსა და ფსიქიკურ პროცესებს შორის, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკური პროცესი მოცემულია როგორც გადასვლა, გზა ერთი მსჯელობიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე. ლოგიკა დასკვნის სწორედ ამ მხარეს სწავლობს. დასკვნის ფსიქიკურ პროცესში, როგორც ვნახეთ, არავითარი გადასვლა, გზა მსჯელობებს შორის არ არსებობს.

ეს გარემოება შუქს ჰფენს ლოგიკური შეცდომების პრობლემას. პრობლემას ქმნის ფაქტები, როდესაც დასკვნის ემპირიული განხორციელებისას ინდივიდის ფსიქიკაში წანამძღვრებიდან ან გამოიტანება არა ის დანასკვი, რომელიც მათგან ლოგიკური კანონის თანახმად უნდა გამომდინარებდეს, ან სულ ვერ გამოიტანება დანასკვი [1].

[1] ამ შეცდომებთან ავაკშირებენ ხოლმე იმ შეცდომებსაც, როდესაც ორი მსჯელობიდან დანასკვი გამოიტანება, თუმცა იგი ლოგიკურად არ გამომდინარეობს. ლოგიკის თვალსაზრისით, ამ ორი ტიპის შეცდომათა შორის დიდი განსხვავებაა. მეორე შემთხვევაში ორი მსჯელობა არაა ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული, წარმოადგენს არა წანამძღვრებს, არამედ იზოლირებულ მსჯელობებს და, მაშ, დასკვნის (სილოგიზმის) ლოგიკური ფაქტი არაა მოცემული. თუ სულ ცხადია, დასკვნის შეცდომებზეც არ შეიძლება ლაპარაკი. მაგალითად: ალოგიკურად სილოგიზმს არ ქმნის ორი მსჯელობის გვირგვინად მოთავსება „A არის B, ხოლო (?) C არის D". და დასკვნის შეცდომა არ იქნება მათ გვირგვინად მესამე მსჯელობის მოთავსება: „ვინაიდან E არის F" ან, თუნდაც: „მაშასადამე, A არის C".

ამ ფაქტებთან დაკავშირებით ისმის საკითხი ლოგიკური კანონების რაგვარობის შესახებ. ცნობილია ორგვარი კანონი: ბუნების კანონი და ნორმატიული კანონი. პირველის შესრულება აუცილებელია, დარღვევა შეუძლებელია; მეორის შესრულება სავალდებულოა, დარღვევა შესაძლებელია. თუ დასკვნის ლოგიკური კანონის — მოცემული მსჯელობიდან ახალი მსჯელობის გამომდინარეობის — დარღვევა ემპირიულად შესაძლებელია, მაშ ეს კანონი აუცილებელი არ ყოფილა, არამედ შეიძლება, მაქსიმუმ, სავალდებულო იყოს. მაგრამ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის, რომ სრულიად შეუძლებელია მივაგნოთ იმას, რაც მას სავალდებულოდ ხდის. ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ლოგიკოსებმა ნახეს ამ მძიმე მდგომარეობიდან, იყო იმის აღიარება, რომ ლოგიკური კანონების დარღვევა ფსიქოლოგიურად არის გაპირობებული. ფორმალური ლოგიკის ვიწრო „უწყებრივი" თვალსაზრისით ეს, მართლაც, გამოსავალია: ლოგიკა სამართლიანად იშორებს თავიდან ამ პრობლემას და ფსიქოლოგიას აკისრებს მის გადაწყვეტას. მაგრამ შემეცნების საერთო საქმეს ეს ვერ შველის. ლოგიკური კანონის დარღვევა, თუ კი იგი ფაქტია, თავისი არსებობით უქმნის საფრთხეს მთელ მეცნიერებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქნება იგი ახსნილი. იმ მსოფლმხედველობისათვის, რომლისთვისაც „ლოგოსი" თვითმყოფი სინამდვილეა, რომელსაც არა აქვს კავშირი ინდივიდის მიერ სინამდვილის შემეცნებასთან, ეს „უბედური შემთხვევები" კიდევ რაღაცნაირად ასატანია. მარქსიზმისთვის კი, რომლისთვისაც ლოგიკური კანონი წარმოადგენს შემეცნების პროცესის ფორმალურ მხარეს, პროცესისა, რომელიც ემპირიულად მხოლოდ ინდივიდის ფსიქიკაში ხორციელდება, სრულიად გაუგებარია და მიუღებელი ამ კანონის დარღვევის შესაძლებლობა.

და აი, დასკვნის ფსიქიკური პროცესის კვლევამ გამოავლინა, რომ ლოგიკური კანონი ინდივიდის ფსიქიკაში განხორციელების დროს არც ირღვევა ხოლმე და არც შეიძლება დაირღვეს, რადგან დასკვნის ლოგიკური პროცესის „პარალელური" ფსიქიკური პროცესი, დასკვნის ლოგიკური პროცესის ფსიქიკური ასახვა[1] ფსიქიკური პროცესის სახით საერთოდ არ არსებობს. ის შეცდომები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ლოგიკური კანონის დარღვევის შედეგად ითვლება, ნამდვილად არსებობს. მაგალითად სილოგიზმიდან: „თვა-

[1] ასახვის გამოყენებითი მნიშვნელობით.

ლი მხედველობის ორგანოა, ურემს აქვს თვალი" ვინმემ რომ გამოიტანოს დანასკვი (დაუჯერებელი კია, ასეთი რამ მოხდეს!): „ურემს აქვს მხედველობის ორგანო" რა თქმა უნდა შემეცნებითი შეცდომა იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად ლოგიკური კანონის დარღვევით უნდა იყოს გაპირობებული. დასკვნის ლოგიკურად უსწორო წარმართვას, საბოლოო ანგარიშით, საკმაო საფუძვლიანობის კრიტერიუმით ვაწარმოებთ[1]. საკმაო საფუძვლიანობის კანონი დანასკვს ეხება და არა თვით დასკვნის პროცესს: იგი გვეუბნება, რომ მიღებული დანასკვი უსწოროა, რამდენადაც ეწინააღმდეგება ლოგიკურად აუცილებელ დანასკვს, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ რა მიზეზით ეწინააღმდეგება მას. ამ შრომაში ჩვენ ვნახეთ, რომ ეს დარღვევა არასოდეს არ შეიძლება იყოს დანასკვის პროცესის ლოგიკური კანონზომიერების დარღვევა. სხვაგან ჩვენ ვცადეთ პოზიტიურად დაგვეხასიათებინა ეს მიზეზი: იგი ტერმინების მნიშვნელობის უმართებულოდ გაგება აღმოჩნდა[2]. მაგრამ აქ საყურადღებოა არა ეს, არამედ ის, რომ დასკვნის ლოგიკური კანონზომიერება შეუძლებელია დაირღვეს და, მაშ, იგი ისეთივე აუცილებელია, როგორც ბუნების კანონზომიერება. ლოგიკური შეცდომების პრობლემა უკანონო პრობლემაა, ლოგიკური კანონიც სრულუფლებიანი კანონია და არა „სავალდებულო დადგენილება".

(შემოვიდა რედაქციაში 21. IX. 1954).

Э. К. АБАШИДЗЕ

ОТНОСИТЕЛЬНО ПСИХОЛОГИИ УМОЗАКЛЮЧЕНИЯ

Резюме

Проблема. Умозаключение есть процесс познания действительности, опосредствованный имеющимися об этой действительности знаниями. Оно подчиняется объективным логическим законам, изучение которых не входит в компетенцию психологии.

[1] იგივეობის კანონის „დარღვევა", როგორც ვნახეთ, გარკვეული მნიშვნელობით, ს ე შ ე ბ ი თ კანონზომიერია და თავისთავად არ იწვევს მცდარ დანასკვს. წინააღმდეგობის შეუძლებლობა და გამორიცხული მესამის კანონი საერთოდ არ ეხება დასკვნას.

[2] იხ. ჩვენი — ზოგიერთი ლოგიკური შეცდომის ფსიქოლოგიური ანალიზი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1953 (ხელნაწერი).

Последняя должна изучать психическое индивидуальное отражение умозаключения, как и любой другой объективной действительности. Отражение индивидом умозаключения может быть двояким: познавательным и практическим. Высшей ступенью познавательного отражения является познание логических законов умозаключения. Практическое отражение состоит в использовании этих законов с целью получения нового знания, не взирая на то, познаны сами эти законы индивидом или нет; и исторически и онтогенитически практическое отражение предваряет теоретическое: чтоб познать законы логики, надо у м е т ь логически мыслить.

Резюмируемое исследование ставит себе целью вскрыть психический механизм осуществления индивидом умозаключения. Из целого ряда психологических проблем, связанных с практическим отражением умозаключения, специфичной и центральной является проблема механизма получения вывода из данных посылок.

Эта проблема исследована нами на материале I модуса I фигуры категорического силлогизма (т. н. модус Barbara: M + P, S + M; S + P), как наиболее совершенной и типичной формы умозаключения.

М е т о д. Принцип основного эксперимента — „расчленение" процесса умозаключения: испытуемому последовательно даются (устно) четыре этапа процесса умозаключения:

1. Подлежащее большей посылки; исп. должен назвать его один какой-нибудь признак. Напр., экспериментатор говорит: „человек..?", исп. отвечает: „...двуногий".

2. Предикат большей посылки (P); исп. должен дать энтимематический вывод. Напр., эксп.: „Человек смертен, следовательно..?" исп.: „...жизнерадостен (несчастен и т. п.)".

3. Подлежащее меньшей посылки (S); исп. должен предицировать его каким-нибудь признаком. Напр., эксп.: „Сократ...?", исп.: „...философ".

4. Предикат меньшей посылки; исп. должен дать вывод. Напр., эксп.: „Сократ человек, следовательно...?" исп.: „...смертен".

Опыты проводились над испытуемыми в возрасте от 5 до 80 лет с разным образовательным цензом: от неграмотных до до-

центов логики. Существенной разницы между данными разных испытуемых нет.

Описание процесса умозаключения. Логический процесс протекает между посылками и состоит из двух отрезков: 1. перехода от большей посылки к меньшей и 2. перехода к выводу; он не вызывает каких-бы то ни было изменений ни в самих посылках, ни в терминах (признак приписывается предмету действительности, а не понятию: смертен человек, а не понятие „человек"!).

Психический процесс умозаключения состоит из четырех этапов: 1. Первичное познавательное отражение подлежащего большей посылки. Оно осуществляется как переживание значения данного слова одним каким-нибудь признаком, под углом зрения одного признака (пример см. в описании метода). 2. Предикация подлежащего меньшей посылки. Она обусловливает „поворот" значения слова к сознанию новым — предицированным — признаком (см. пример). 3. Первичное переживание подлежащего меньшей посылки. Весьма знаменательно, что очень часто это бывает переживание значения S признаком P предикатом большей посылки. Напр., эксп.: „Сократ...?" исп.: „...смертен". 4. Предикация подлежащего меньшей посылки (=подлеж. силлогизма S). Она „поворачивает" значение S признаком M, однако самому признаку M ранее был приписан признак P; поэтому S переживается признаком M, переживаемым „под углом зрения" признака P; в сознании находится содержание SM, причем M=P. Напр.: „Сократ — человек — смертен". Этим завершается психический процесс умозаключения. Вывод силлогизма психологически не дает никакого нового знания; в нем лишь адекватно формулируется достигнутое содержание сознания, что имеет значение для его использования в будущем (напр. в полисилогизме): в случае непосредственного отношения умозаключения к действию, к практике, вывод может и не быть формулирован; напр.: „Ученик должен быть прилежным, а ты ученик"; опущен вывод: „следовательно, ты должен быть прилежным".

Отсюда вытекает: 1. Психический процесс умозаключения не совпадает с его логическим процессом, что подтверждает различие между логическим (объективным в смысле независимого от индивида) и психическим (индивидуальным отражением объек-

тивного): логический процесс умозаключения познавательно отражается не в психическом процессе умозаключения, а в содержаниях сознания, получаемых посредством этого процесса. 2. Поскольку не существует психического процесса перехода от суждения к суждению, что является сущностью логического процесса умозаключения, постольку неправомерна ссылка на нарушение этого процесса для объяснения т. н. логических ошибок. Как выяснилось, они обусловлены неадекватным (не под углом зрения должного признака) отражением значений терминов. Этим самым снижается, как неправомерный, исконный вопрос о природе логических законов — необходимы они или лишь обязательны? — поскольку отвергается возможность самого существования факта, дающего основание усомниться в их неприложности.

Объяснение. Основным условием осуществления психического процесса умозаключения является переживание изменяющихся (до и после предикации) значений слов не как гетерогенных значений, а как видоизменений тожественного. Должна существовать некая „константа значения", к которой относятся эти видоизменения. Индивид должен переживать разно пережитые значения как изменения тожественного (как тожество разных). Ни слово, как физический факт, ни какое-либо наглядное содержание сознания не может выполнить функции такой константы. Из всего арсенала понятий современной психологии на это способна лишь установка[1], — динамическое состояние индивида, которое само не будучи содержанием сознания, определяет его, которое ассимилирует новые впечатления, определяет „угол зрения" индивида на объективную действительность (в данном случае, на слово). Роль установки в переживании слова принципиально установлена автором этого понятия. Последующие исследования показали ее основополагающую роль в т. н. повседневных понятиях (Д. Н. Рамишвили). Ассимилирующая сила фиксированной установки досконально изучена и „измерена" на материале зрительного восприятия фигур и букв (З. И. Ходжава). Анализ иллюзий установки говорит о способности фиксированной установки, обусловить переживание „тожества разных"; ее свой-

[1] В понимании Д. Н. Узнадзе.

ство фиксации, возбудимости обеспечивает связывание посылок. Все это говорит в пользу того, что функцию „константы значения слова“ в процессе умозаключения выполняет фиксированная установка. Своеобразия проявлений установки в умозаключении (напр., „регрессивная ассимиляция“ — влияние предиката на подлежащее) требуют дальнейшего специального изучения.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе. XIII, 1955.

შ. ჩხარტიშვილი

საგნის ილუზიის გუნებისათვის *

საკითხის დაყენება. გარესინამდვილის აღქმა ზოგჯერ ილუზიურ ხასიათს იღებს, რაც მეტად ან ნაკლებად აბრკოლებს ობიექტური სინამდვილის რომელიმე მონაკვეთის ადექვატურ შემეცნებას. ასეთ დაბრკოლებას არც ისე იშვიათად ვხვდებით ადამიანის პრაქტიკული ცხოვრების მიმდინარეობაში: ვის არ ჰქონია ერთი საგნის მეორე საგნად ილუზიური აღქმის შემთხვევა?

დღესაც ნახავთ მოხუცს, რომელიც სრული პატიოსნებით ამტკიცებს, რომ მას ტყეში თუ სხვა რომელიმე ყრუ ადგილას ღამით მოგზაურობის დროს შეხვედრია კეთილი ან ბოროტი სული — ანგელოზი, ფერია, ნიმფა, ჰინკა, ქაჯი თუ ტყისკაცი. რელიგიურად განწყობილ პირს, განსაზღვრულ ობიექტურ პირობებში, ადვილად უჩნდება ასეთი ილუზია, რამაც ისტორიულად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცრუმორწმუნეობის განმტკიცებისა და რელიგიური წარმოდგენების დამკვიდრების საქმეში.

არანორმალური, სულით დაავადებული ადამიანის მთელი ცხოვრება ხომ უმეტეს შემთხვევაში ილუზიებში მიმდინარეობს.

ილუზიების საფუძველში მდებარე ფსიქოლოგიური კანონზომიერების გამოკვლევას განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს. ასეთი გამოკვლევა დააკმაყოფილებს განსაზღვრულ თეორიულ ინტერესს, ხელს შეუწყობს ნორმალური სულიერი ცხოვრების მიმართულებით წარმოებულ ფსიქიკურ კვლევა-ძიებას და, სხვა რომ არ ვთქვათ, ერთგვარ პრაქტიკულ მომსახურებას გაუწევს შემეცნების თეორიასა და ფსიქიატრიულ პრაქტიკას.

დ. უზნაძისა და მისი სკოლის წარმომადგენლების აზრით, როგორც ადექვატურ, ისე ილუზიური აღქმის საფუძველში მდებარე

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1949 წ. 20 აპრილს.

ფსიქიკური კანონზომიერება განწყობაა. წინამდებარე გამოკვლევაც ამ კანონზომიერების ბუნებას ეხება და მისი ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებას ისახავს მიზნად.

დ. უზნაძე 1938 წელს წერდა: „განწყობისათვის გამღიზიანებელზე ასიმილაციური ზემოქმედებაა დამახასიათებელი. ჩვენს ცდებში ასეთ ასიმილაციურ ზეგავლენას შედარებით სუსტი განწყობის შემთხვევაში აქვს ადგილი, მაგრამ როდესაც განწყობა ძლიერია, მაშინ მისი ზემოქმედება კონტრასტული ხასიათისაა. ...სუსტისა და ძლიერი განწყობის მოქმედების განსხვავებულ თავისებურებათა შესახებ ლაპარაკი ეხლოლდ რაოდენობრივი განწყობის შემთხვევაში შეიძლება. ხოლო იქ, სადაც საქმე რომელობითი მიმართულების განწყობასთან გვაქვს, იქ ამ უკანასკნელის მოქმედების კანონები შეიძლება სხვანაირი აღმოჩნდეს“ [1].

წინამდებარე შრომაში ჩვენ მიზნად დავისახეთ საგნის ილუზიის მასალაზე გამოგვეკვლია რომელობითი მიმართულების განწყობის მოქმედების ზოგიერთი თავისებურება [2]. საკითხის გადასაჭრელად კვლევა-ძიება საგნობრივი სინამდვილის აღქმის განწყობაზე ვაწარმოეთ.

რაოდენობითი მიმართულების განწყობათა ცვლა, ჩვეულებრივ, კონტრასტულ განწყობათა მონაცვლეობის გზით მიმდინარეობს. კონტრასტი მოეპოვება საგნის რომელიმე ცალკე მხარეს და არა თვითონ საგანს. ბურთი შეიძლება დიდი იყოს ან პატარა, მაგრამ იგი იქნება დიდი თუ პატარა, სულ ერთია, მაინც ბურთად რჩება. ბურთის სიდიდის ილუზიური აღქმის მხოლოდ ორი ერთი მეორისაგან კონტრასტულად განსხვავებული შესაძლებლობა არსებობს: იგი ან უფრო დიდად აღიქმება ან კიდევ უფრო პატარად, სხვა მოსალოდნელობა გამორიცხულია. მაგრამ რად შეიძლება აღვიქვათ თვითონ ბურთი მაშინ, როცა მას არაადეკვატურად, ილუზიურად ვხვდებით? ამ კითხვაზე წინასწარი პასუხი არ მოიპოვება, რადგან ბურთის, ისე როგორც ყოველი სხვა საგნის, ილუზიურად აღქმის დაუსრულებელი შესაძლებლობა არსებობს და სათანადო წინაპირობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ითქვას, მოცემულ შემთხვევაში რომელი მათგანი იჩენს თავს.

---

[1] დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიისათვის, მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, 1938 წ., გვ. 26.

[2] რომელობითი მიმართულებით მოქმედი განწყობის კანონზომიერებათა შესწავლას ილუზიის მასალაზე აწარმოებს თბილისის ფსიქოლოგიური ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი ნ. ელიავა.

საგანს არ გააჩნია კონტრასტი. ამიტომ, ცხადია, საგნობრივი აღქმის განწყობა კონტრასტულად ვერ იმოქმედებს. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი[1], რომელიც რაოდენობრივი განწყობის თავისებურებას გვითვალისწინებს, არ შეიძლება გავრცელდეს საგნობრივი აღქმის განწყობაზე. ზემოთქმულიდან ისიც გამომდინარეობს, რომ განწყობის აღკვეთის ცნობილ ფაზურ პროცესს, რომელიც ძირითადში კონტრასტულ განწყობათა მონაცვლეობის გზით მიმდინარეობს, არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საგნობრივი აღქმის განწყობაში.

მაგრამ კონტრასტებს რომ არა აქვს ადგილი, ამის გამო არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასიმილატური მიმართულებით მოქმედი, მოცემული საგნობრივი სინამდვილის ილუზიურად აღქმის განწყობა ყოველგვარი ფაზის გარეშე, ერთბაშად და უმტკივნეულოდ უთმობდეს ადგილს ადექვატური აღქმის განწყობას.

ამიტომ ბუნებრივად დგება საკითხი: რა კანონზომიერებას შეიცავს საგნობრივი სინამდვილის აღქმის განწყობა? რაში გამოიხატება მისი მოქმედების თავისებურება?

მეთოდი. საგნობრივი აღქმის განწყობის მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლა საგნობრივი ილუზიის მასალაზე უნდა ყოფილიყო შესაძლებელი. ამიტომ ჩვენც, უპირველეს ყოვლისა, ამ გზას მივმართეთ. მეთოდის შემუშავებაში დახმარება გაგვიწია ერთმა შემთხვევამ, რომელიც აქვე შეიძლება აღვნიშნოთ: მიმდინარე წლის ზაფხულზე სოფლად, ეზოში, სახლიდან მსხლის ხესთან მიმავალ ბილიკზე, რომელზედაც დღეში რამდენჯერმე გვიხდებოდა გავლა, მოკლეს გველი. ამ შემთხვევას ორი ქალაქელი სტუმარიც დაესწრო. რამდენიმე საათის შემდეგ ეს ამბავი თითქოს დავიწყებული იყო. ერთი სტუმართაგანი მსხლისთვის წავიდა. როგორც შემდეგ თვითონ განაცხადა, გზაზე ისეთ რამეზე ფიქრობდა, რასაც არც გველთან ჰქონდა რამე საერთო და არც მსხალთან. მიაღწია თუ არა დაახლოებით იმ ადგილს, სადაც გველი მოკლეს, შეჰკივლა და სირბილით წამოვიდა უკან. შეშინებული ამტკიცებდა, რომ იქ კიდევ იყო გველი. მივედით. პირველად ერთი წამით მეც შევკრთი, მაგრამ მაშინვე გაირკვა, რომ გზის პირას ბალახებში ეგდო ერთი მეტრის სიგრძის ორ-სამ ადგილას მიმოხვეული ვაზის ჯოხი. იგი იქ იდვა მთელი გასული კვირის განმავლობაში, მაგრამ დღემდე არც ერთ ჩვენთაგანს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება.

[1] დ. უზნაძე, მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, 1938 წ. გვ. 50.

ჯოხი ადგილზე დარჩა. იგი მეორე დღეს გადააგდო იმავე პირმა, ვინც პირველად აღმოაჩინა, რადგან ამჟამადაც გველად მოეჩვენა და შეეშინდა. „სანამ მივხვდებოდი, რომ ჯოხი იყო, მე ჩემი დამემართა. გუშინდელი შემთხვევა გვიან გამახსენდა“, — განაცხადა მან.

ამ დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ გარკვეული რომელობის შინაარსის ილუზიის მიღება ადვილი იქნებოდა, თუ ცდის ობიექტად გველს ავიღებდით. გველი, იმის გამო, რომ ემოციურ ეფექტს იწვევს, ერთი მხრივ, ადვილად მოახერხებდა ჩვენში აღქმის განწყობის ფიქსაცია მოეხდინა, ხოლო, მეორე მხრივ, კრიტიკული ცდების სათანადო პირობებში, ისევე ადვილად შეძლებდა იგი ამ განწყობის ხელახალი აქტივაცია გამოეწვია.

საგანწყობო ცდებისათვის შევარჩიეთ გველის სურათები ამოღებული ბრემის (Брем) წიგნიდან („Жизнь животных“). ორ სურათზე გველი ძალზე მკვეთრად იყო გამოხატული; მას იმდენი სინათლე და სიცხოველე ჰქონდა, რომ ცნობიერებას ერთგვარ ინტენციას აძლევდა, ცოცხალ გველად ყოფილიყო განცდილი.

საგანწყობო ცდებში ცდის პირს ვაჟალებდით, რომ მის წინ მაგიდაზე პირქვე დადებული სურათისათვის განსაზღვრულ ადგილას ჩაეჭიდა ხელი, სწრაფად გადმოებრუნებინა და ასე დაეჭირა ხელში. ამ შემთხვევაში მას სურათი ნორმალურ მდგომარეობაში შერჩებოდა.

ცდის პირთა ერთ ნაწილს სურათზე შეხედვის პირველი წამი აკრთობდა, ხოლო შემდეგ მათ სახეზე, ისე როგორც ყველა სხვა დანარჩენისაც, სურათისადმი ერთგვარი ზიზღი და ამავე დროს ცნობისმოყვარეობაც იხატებოდა. ამის შემდეგ ცდის პირს დანარჩენი სურათებიც ეძლეოდა.

ათვალიერებდა რა ცდის პირი სურათებს (რომლებიც შემდეგ წინ, ვერტიკალურ მდგომარეობაში იდებოდა ისე, რომ ცდის პირის მხედველობა ძალაუნებურად ხვდებოდა მათ), გზადაგზა პასუხს იძლეოდა ჩვენს კითხვებზე, რომელნიც დაახლოებით შემდეგი ხასიათის იყვნენ: უნახავს თუ არა გველი? შეუძლია თუ არა მოკლას იგი, რომ სათანადო პირობებში შეხვდეს? მოუკლავს თუ არა დღემდე ოდესმე? ჰქონია თუ არა გველთან შეხვედრის საშიში შემთხვევები? და ა. შ. კითხვა-პასუხს ჩვეულებრივ საუბრის სახე ჰქონდა. ცდის პირები განსაკუთრებული აღგზნებით მოგვითხრობდნენ გველთან შეხვედრის საშიში შემთხვევების შესახებ (ვისაც ასეთი შემთხვევა ჰქონდა). ასეთი საუბრის შემდეგ ცდის პირს

საქმიანი ტონით ვეკითხებოდით: ხომ არ შეეშინდება მას, რომ ახლა აქ, არა სახიფათო მდგომარეობაში, ვანახვო ნამდვილი გველი? ცდის პირთა ერთი ნაწილი ამ კითხვაზე ეჭვნეულად ამბობდა: აქ რა უნდა ნამდვილ გველსო. ეჭვის შესამსუბუქებლად ჩვენ მათ ვეუბნებოდით: არა, ისე, უბრალოდ გითხარით! — ამით ვცდილობდით წინასწარი შიში აღგვეკვეთა. იყვნენ ისეთი ცდის პირები, რომელნიც დაბეჯითებით გვთხოვდნენ, არ გვენახვებინა ცოცხალი გველი, თუ კი ასეთი ნამდვილად გვყავდა. ზოგი მათგანი კიდევ (ვაჟებიდან) სიცილით ამბობდა: „გველი ხელით დამიჭერია, რამდენი მინახავს და მომიკლავს და ახლა რა შემაშინებს, როცა წინასწარ ვიცი, რომ საშიში არაფერი არის?".

ბოლოს ცდის პირს ვავალებდით: საწერი მაგიდის ყუთში, რომელიც მის პირდაპირ იყო, დაახლოებით ნახევარი მეტრის დაცილებით, წარმოედგინა ცოცხალი გველი, ისეთი, რომელიც მის წინ იყო სურათზე. ამ წარმოდგენის მიმდინარეობისას ცდის პირს სწრაფად უნდა გამოეღო უჯრა და ასევე სწრაფად დაეხურა იგი. ზოგი ცდის პირი (უმეტესად ქალებიდან) რწმუნდებოდა, რომ ყუთში მართლა იყო გველი და ამიტომ ვერ ბედავდა მის გამოღებას: წაიღებდა ხელს ყუთის სახელურისაკენ და სწრაფად მოაბრუნებდა უკან. რაც დავავალეთ, იმის წარმოდგენაზე იგი, რა თქმა უნდა, აღარ ფიქრობდა. ასეთ შემთხვევაში ცდის პირს ვეუბნებოდით, რომ ყუთში გველი არ არის, რომ იქ საშიში საერთოდ არაფერია. ცდის პირთა უმრავლესობა ყუთის გამოღების მომენტში არ ცდილობდა გველის წარმოდგენას, მათ არც უნდა ჰქონოდათ ის წარმოდგენები, რომელთა გამოწვევასაც ჩვენ ვეხოვდით, მაგრამ ისე ყველაფრიდან ჩანდა, რომ მათი პიროვნება როგორღაც მთლიანად „გველით" იყო დაკავებული, რომ ისინი შინაგანად გველისკენ იყვნენ მიმართულნი.

კრიტიკული ცდებისთვის ავიღეთ შავი მავთული, ელექტრო-გაყვანილობისათვის რომ იხმარება. მისთვის გველის შესაფერი სიმსხვილე რომ მიგვეცა, შევგრიხეთ ოთხად და დაახლოებით გველის მსგავსად დახვეული მივამაგრეთ მაგიდის ყუთის ძირზე. გველს არც ისე ძალიან ჰგავდა: ადვილად ხვდებოდა კაცს თვალში, რომ დაწნული იყო.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იქნებოდა აღქმული საგანწყობო ცდების გარეშე კრიტიკული ცდების ობიექტები, ჩვენ ცდები შემდეგში ასე შევცვალეთ: მაგიდის მარჯვენა მხარეზე ზედა ყუთში ზემოთ აღწერილი მავთულის ხვეული მოვათავსეთ, ხოლო მარ-

ცხნივ ზედა ყუთში — ჰრელი შარფი (შავ-თეთრი ხაზებით). შარფი საკმაოდ დიდი იყო (120 სმ × 20 სმ). ამიტომ იგი განზე სამად მოვკეცეთ და მიხვეულ-მოხვეულად მოვათავსეთ მთელ სიგრძეზე. მოყვანილობის მიხედვით გველს იშვიათად თუ ვინმეს გაახსენებდა, მაგრამ ფერით, სათანადო პირობებში, ადვილად შეიძლებოდა მიემსგავსებინა იგი კაცს ჰრელი გველისათვის.

ცდის პირი ჯდებოდა მავთულიან ყუთთან მოხერხებულად. ცდის დასაწყისში ჩვენ მას ისეთ შთაბეჭდილებას ვუქმნიდით, რომ თითქოს ფანქარი გვჭირდებოდა. ვინაიდან იგი უფრო მოხერხებულად იჯდა მაგიდასთან, ვთხოვდით გამოეღო ყუთი და ამოეღო იქედან ფანქარი. ამის შემდეგ ვიწყებდით საგანწყობო ცდებს, ხოლო ცდების ბოლოს ვეკითხებოდით: ფანქარს გარდა კიდევ რა ნახა პირველ ყუთში? ერთ ცდის პირს არც კი შეუმჩნევია მავთული: „ფანქრის მეტი შიგ არაფერი იყო“, — განაცხადა მან (კრიტიკულ ცდებში ეს ცდის პირი არ განირჩეოდა სხვებისაგან). მხოლოდ ორ ცდის პირში მავთულის დანახვას გამოუწვევია გველის წარმოდგენა. დანარჩენ შვიდს, როგორც შემდეგ მათ განაცხადეს, ფანქარი ისე ამოეღოთ, რომ გველი სრულებით არ გახსენებიათ. კრიტიკული ცდები ტარდებოდა ისე, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი, ოღონდ ახლა შარფზე. ცდის პირთა მეორე ჯგუფს, რომელიც ათი კაცისაგან შედგებოდა, კრიტიკული ობიექტი მავთულით შევუნაცვლეთ. მათ ცდების დაწყებამდე შარფიანი ყუთიდან ამოჰქონდათ ფანქარი, ხოლო კრიტიკულ ცდებს მავთულიანი ყუთიდან იღებდნენ. როგორც გამოირკვა, ფანქრის ამოღების დროს შარფის დანახვას არც ერთ ცდის პირში არ გამოუწვევია გველის წარმოდგენა.

საგანწყობო ცდების მნიშვნელობა. რაოდენობა შეუმჩნევლად და განუწყვეტლივ ცვალებადობს. მცირედან შეუმჩნეველ ცვლილებათა გზით უზარმაზარი შეიძლება მივიღოთ. უშუალო განცდაში არ არსებობს ერთი მეორისგან მკვეთრად გამიჯნული წმინდა ოდენობათა მყარი ერთეულები. ამიტომ საეჭვოა, რომ ჩვენ ყველა იმ რაოდენობათა მტკიცე ფიქსირებული განწყობა გვქონდეს, რომლებთანაც საერთოდ ცხოვრებაში გვჭონია საქმე. ყოველ შემთხვევაში, ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ცდის პირს განწყობის კლასიკურ ცდებში გამოყენებულ ობიექტთა სიდიდეების მიმართ იმთავითვე, ცხოვრების გამოცდილების გზით ფიქსირებული განწყობა ჰქონდეს. ამიტომ იქ საგანწყობო ცდის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მან ცდებში მიწოდე-

ბული რაოდენობანი ოდენობათა განუწყვეტელი რიგიდან გამოყოს, შედარებით მყარ ერთეულებად აქციოს და სწორედ მათი აღქმის განწყობის ფიქსაცია მოახდინოს.

სულ სხვაა საგნის აღქმათა სფერო. აღქმა კატეგორიალურია და ყოველთვის საგნობრივ ხასიათს ატარებს. საგანი უშუალო აღქმაში განუყოფელი აზრის ფორმაშია ასახული; იგი მკვეთრად არის გამიჯნული სხვა საგნებისაგან. მაგალ., აღქმაში მავთულიდან გველზე, ან პირიქით, გველიდან მავთულზე თანდათანობითი (უნახტომოდ) გადასვლა შეუძლებელია სწორედ ისე, როგორც მავთულის ცნების ცვლილებათა გზით შეუძლებელია გველის ცნება მივიღოთ. ობიექტური სინამდვილიდან მიღებულ შთაბეჭდილებაში მავთულს ვწვდებით, გველს აღვიქვამთ თუ სხვა რამეს, სულ ერთია, ყოველთვის ერთ გარკვეულ, სხვა საგნებიდან კატეგორიულად განსხვავებულ საგანთან გვექნება საქმე.

ჩვენს ცდებში საგანწყობო და კრიტიკული ცდების საგნები არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან: გველი ერთი კატეგორიის მოვლენაა, ხოლო მავთული და შარფი საგანთა სულ სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნებიან. ამიტომ იქ ილუზიურ აღქმას სულ სხვა რიგის მოვლენათა სფეროში გადაჰყავს კაცი. ასე არ არის რაოდენობითი განწყობის ცდებში: იქ საგანწყობო და კრიტიკული ცდის ობიექტები ერთისა დი იმავე კატეგორიის (სიდიდის) მოვლენებს წარმოადგენენ.

ადამიანს ყოველდღიურ მოქმედებაში კატეგორიულად განსხვავებულ საგნებთან აქვს საქმე. იგი თითოეულ მათგანთან თავისებურ დამოკიდებულებაში იმყოფება: მავთულს ერთნაირად ექცევა, შარფს — მეორენაირად, გველთან კიდევ სულ სხვა ურთიერთობას ამყარებს. ცხოვრების პრაქტიკული საჭიროება ითხოვს, ზუსტად იქნას ობიექტური სინამდვილის ერთი საგანი განსხვავებული მეორისაგან: „მცირე“ შეცდომას, მაგალ., გველის ჯოხად მიჩნევას, შეიძლება კატასტროფული შედეგი მოჰყვეს. საგანი მისთვის დამახასიათებელი შედარებითი სიმყარითა და გამოცალკევებულობით ასეთი შეცდომიდან თავის დაღწევისა და ადექვატური წვდომის ობიექტურ შესაძლებლობას ქმნის. ამიტომ საგნის აღქმის განწყობის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა თავისებურების გამო ცხოვრების პრაქტიკულ მიმდინარეობაში ადვილად ხერხდება ამ განწყობის ფიქსაცია. ჩვენ ყველა ჩვენთვის ცნობილ

და ჩვეულ საგანთა ადექვატური აღქმის ფიქსირებული განწყობა გვაქვს.

გველის აღქმის განწყობა, სწორედ ისე, როგორც ყველა სხვა ცნობილი საგნის აღქმის განწყობა, ცდის პირებს იმთავითვე ჰქონდათ ფიქსირებული. საგანწყობო ცდების დანიშნულება აქ იმაში მდგომარეობს, რომ გველის აღქმის ფიქსირებული განწყობა, რომელიც ამჟამად აქტუალურად მოქმედი პიროვნებიდან შორსაა, ამ პიროვნებასთან ახლოს მოიყვანოს, ამ პიროვნების ახლანდელ მდგომარეობაში სააქტივოდ განამზადოს. ერთი სიტყვით, მან გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის სუბიექტური ფაქტორი უნდა მოიყვანოს აქტიურ მდგომარეობაში. ეს უკანასკნელი კი ამ განწყობას მოქმედებისათვის მზაობას, ძალასა და ენერგიას მისცემს.

კრიტიკული ცდების თავისებურება. რაოდენობას მხოლოდ ერთი მხარე, მხოლოდ ერთი განზომილება აქვს და ამიტომ იგი აღქმის პირველსავე აქტში გვეძლევა მთლიანად. განმეორებული აღქმა ამ მხრივ ახალს არაფერს გვაძლევს. რადგან მას სხვა მხარე არა აქვს, რაოდენობა კრიტიკულ ცდებშიაც იმ მხრიდან მოქმედებს სუბიექტზე, რა მხრიდანაც იგი მას განწყობას უქმნიდა.

სხვანაირადაა საქმე საგნის აღქმათა სფეროში. საგანი გეშტალტია, რომელსაც მრავალი განსხვავებული მხარე, მრავალი განსხვავებული მომენტი გააჩნია. შეუძლებელია იყოს ისეთი წუთი, როცა იგი ყველა თავისი მომენტით მოქმედებდეს ჩვენზე. ხშირად განმეორებულ აღქმისას საგნის სრულიად ახალი და აქამდე შეუმჩნეველი მხარე ხდება მისაწვდომი.

ახალი და უცხო საგანი ერთი გარკვეული მხრიდან მოქმედებს სუბიექტზე. ამ უკანასკნელს მისი აღქმის განწყობა ექმნება. ამ განწყობაში საგნის მხოლოდ ის მხარეა მოხაზული, რომლის ნიადაგზედაც თვითონ აღმოცენდა. საგნის ხელახალი აღქმა, ჩვეულებრივად, იმ ფიქსირებულ განწყობის ნიადაგზე ხდება, რომელმაც მისი პირველი აღქმა მოგვცა. მაგრამ განმეორებული აღქმისას ზოგჯერ საგანი სრულიად განსხვავებული მხრით მოქმედებს ჩვენზე და ამიტომ მისი პირველი აღქმის ნიადაგზე ფიქსირებულ განწყობაში ახლა საგნის ეს მხარეც ისახება, რის გამოც ამ საგნის აღქმის განწყობა შინაარსეულად უფრო მდიდარი და დიფერენცირებული ხდება. ამნაირად, საგნის კიდევ ახალი ზემოქმედება ახალ

მომენტებს მოხაზავს მისი აღქმის განწყობაში და ამ უკანასკნელს უფრო სრულყოფილს გახდის.

როგორც ცნობილია, აღქმაში ორ მხარეს არჩევენ: საგანსა და შინაარსს. პიროვნება საგანზეა მიმართული და ამიტომ მის განწყობაში, ჩვეულებრივად, საგანი დომინანტობს: საგნისადმი არის იგი განწყობილი. ამიტომ კრიტიკულ ვითარებაში საგანს არა მხოლოდ იმ გრძნობად შინაარსში შეიძლება მივწვდეთ, რომელშიც პირველად მისი აღქმის განწყობის ფიქსაცია მოხდა, არამედ სხვა ისეთ გრძნობად მონაცემშიც, რომელშიც საერთოდ ამ საგნის გულისხმობა არის შესაძლებელი.

ჩვენი საგანწყობო ცდები, საერთოდ, გველის აღქმის განწყობის აქტივობისათვის ამზადებდა ნიადაგს, მაგრამ კერძოდ რა კონკრეტულ გრძნობად ფორმაში, რა მდგომარეობაში აღიქმებოდა იგი კრიტიკულ ცდებში ცდის პირის მიერ, ეს საგანწყობო ცდებით წინასწარ არ იყო განსაზღვრული. კრიტიკული ცდის ობიექტი (მავთული, შარფი) მხოლოდ რამდენიმე გრძნობად ნიშანს იძლეოდა ისეთს, რომელიც გველის აღქმის შინაარსშიც გვხვდება. სამაგიეროდ ისეთი გრძნობადი შთაბეჭდილებანი, რომელთა გველის აღქმის შინაარსში გაერთიანება შეუძლებელია, უფრო ჭარბად იყო წარმოდგენილი.

საგნობრივი სინამდვილის აღქმის ფიქსირებულ განწყობაში გარკვეული საგანი იგულისხმება. ამიტომ მისმა ხელახალმა აქტივაციამ ამ საგნის განცდა უნდა მოგვცეს. მაგრამ საგნის აღქმის ფიქსირებული განწყობის შინაარსი გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე საგნის ის მხარე, რომელიც ახლა ამ განწყობის აქტივაციას ახდენს. განწყობაში საგანი წარმოდგენილია საერთოდ ჩვენ მიერ ოდესმე ნაწვდომ ყველა განზომილებით, ხოლო ამ განწყობის აქტივაციას საგნის რომელიმე ერთი მხარე, მისი რომელიმე ერთი მომენტი იწვევს. ამიტომ აღქმაში საგანს გაცილებით უფრო ფართოდ განვიცდით, ვინემ იგი რეალურად მოქმედებს ჩვენზე: შეიძლება ცალკე სუნში, ცალკე ფერში ან კიდევ რომელიმე მის ცალკე ნაწილში აღვიქვათ მთელი საგანი (ადექვატურად ან ილუზიურად). ამ გარემოებას ემყარება ჩვენი კრიტიკული ცდები: შარფს ისეთი ფერი აქვს, როგორიც გველსაც შეიძლება ჰქონდეს, ხოლო მავთულის ხვეული, გარდა ფერისა, სივრცითი მდებარეობით და ფორმითაც გველს მიაგავს. ილუზი-

ური აღქმის შემთხვევაში ცდის პირმა ამ ფერში ან კიდევ ამ ფორმაში გველი უნდა დაინახოს, ხოლო ადექვატური აღქმისას — შარფი ან კიდევ მავთულის ხვეული. როგორც ვხედავთ, აქ ილუზიურად აღიქმება საგანი და არა ის გრძნობადი მასალა, რომელშიც ეს საგანი განიცდება: ჯერელი ფერი ან კიდევ ხვეულის ფორმა არსებითად ერთი და იგივე რჩება როგორც ილუზიურ, ისე ადექვატურ აღქმაში.

ჩვენს ცდებში განწყობა საგნის (გველის) მიმართ არის ფიქსირებული ისე, რომ მასში ერთმნიშვნელოვნად არაა განსაზღვრული ის გრძნობადი შინაარსი, რომელშიც შემდეგ ამ განწყობით საგნის (გველის) აღქმა უნდა მოხდეს. ამიტომ კრიტიკული ცდების სიტუაცია აქ უფრო მეტად არის დაშორებული საგანწყობო ცდების სიტუაციისაგან, ვინემ ამას რაოდენობრივი მიმართულებით მოქმედი განწყობის ცდებში ჰქონდა ადგილი.

ცდების შედეგები. ოცდაათი ცდის პირიდან არ ყოფილა არც ერთი ისეთი, რომელსაც მიწოდებული ობიექტი მშვიდ მდგომარეობაში, მკვეთრად გამოხატულ შიშის გარეშე აღექვას. ცდის პირთა უმნიშვნელო ნაწილმა მოახერხა კრიტიკული ობიექტის ადექვატური აღქმა და ისიც საკმაო შიშისა და შეფერხების შემდეგ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ილუზიური აღქმისას ცდის პირი ხშირად გველის აღქმის შინაარსში აერთიანებს არა მხოლოდ იმ გრძნობად მასალას, რომელსაც მავთულის ხვეულიდან ღებულობს, არამედ ყველაფერს, რასაც იგი აღქმის აქტში გრძნობადად წვდება და რაც საერთოდ მის მიერ შეიძლება განცდილ იქნეს გველის აღქმის შინაარსად.

ამ მოვლენის შენიშვნის შემდეგ აღწერილ ცდებში ჩვენ ასეთი კორექტივი შევიტანეთ: მავთულიან ყუთში მავთულის ხვეულსა და ყუთის წინა ნაწილს შორის დარჩენილ ფართობზე სიგრძეზე გაკეცილი შარფი ჩავაფინეთ, ისე რომ ყუთის ეს წინა ნაწილი მთლიანად შარფით იყო დაფარული.

ამ ცდებში მონაწილე შვიდი ცდის პირიდან ოთხმა მავთულის ხვეულისა და შარფის ის ნიშნები, რომელთაც გველის გამოსახვა შეეძლოთ, ერთ გეშტალტში გააერთიანა და მათგან გველის აღქმა მოგვცა (იხ. ოქმი № 29).

როგორც № 29 ოქმიდან ჩანს, ფიქსირებული განწყობა, სადაც მას ამის შესაძლებლობა ეძლევა, სიტუაციაში მოცემულ გრძნობად მასალას იმგვარად აჯგუფებს, რომ მისგან საკუთარ თავთან ადექვატური საგნის აღქმას გვაძლევს.

ცდის პირები მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. მიწოდებულ ობიექტზე პირველი თვალის მოვლებისთანავე ჩნდება აშკარად გამოხატული შიშის განცდა გველისადმი შესატყვისი თავდაცვითი მოძრაობით. ამ მომენტში ცდის პირს რაიმე გარკვეული საგნის ცნობიერება არა აქვს, მაგრამ მალე აღწევს მიწოდებული საგნის ადექვატურ აღქმას, რომელსაც თან მოსდევს ვველის წარმოდგენა, გველთან მსგავსების ცნობიერებით. ილუზიურ აღქმას ადგილი არ აქვს. ზოგჯერ შიშს რაიმე გარკვეული საგნის ცნობიერება არ მოსდევს. ცდის პირი აღიქვამს საგნობრივ ხასიათს მოკლებულ გრძნობად შთაბეჭდილებას: „რაღაც შავი იყო, სახელდობრ, რა ვერ გეტყვით“, ამბობს იგი.

2. მიწოდებულ ობიექტზე პირველი თვალის მოვლების მომენტშივე ჩნდება მკვეთრად გამოხატული შიშის განცდა, რომელსაც თან მოსდევს გველის აღქმის დაუმთავრებელი ილუზია. ცდის პირი ხელის კვრით ყუთს სწრაფად აბრუნებს უკან და, ისე რომ ხშირად არც კი ცდილობს საგანს მეორედ მოავლოს .თვალი, თავდაცვითი ხასიათის მოძრაობას მიმართავს; ზოგჯერ არაჩვეულებრივი სისწრაფით მოწყდება ადგილიდან და გარბის თავდავიწყებით, ეჯახება სკამს, მაგიდას, მაგრამ გზაზე ერთბაშად ჩერდება და ამბობს: „არა, გველი არ არის, სხვაა რაღაც“. ხანდახან ასახელებს კიდეც: „კაშნე უნდა იყოს“, „მავთული თუ არის“.

3. შიშს თან მოსდევს აშკარად გამოხატული ილუზია, გველისგან თავდაცვითი მოძრაობებით. ილუზია ზოგჯერ კრიტიკული ობიექტის მესამე, მეოთხე ჩვენებისასაც დასტურდება. ცდის პირი ნამდვილად აღიქვამს გველს. მას თუ რაიმეში ეჭვი ეპარება, ეს მხოლოდ ის არის, რომ ვერ გაურკვევია, ცოცხალია იგი თუ მკვდარი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შიში და სათანადო თავდაცვითი მოძრაობანი, ჩვეულებრივ, წინ უსწრებენ მიწოდებული ობიექტის გარკვეულ საგნად აღქმას: ცდის პირს გველის ეშინია, გველისაგან თავს იცავს და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მის ცნობიერებაში გველი არ არის წარმოდგენილი, როცა მან ყუთში გველის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იცის.

ცდის შედეგების უკეთ გათვალისწინებისათვის საჭირო იქნება გავეცნოთ ზოგიერთ ოქმს.

ო ქ მ ი № 29

2. XII. 1947 ჯ. ს. (ვაჟი, I კ. სტუდენტი).

(ყუთში მავთულის ხვეულის წინ შარფია დაფენილი).

ცდის პირი სურათს ზიზღით ათვალიერებს. ამბობს:

— ისე მეშინია გველის, რომ, მგონია, მგლის არ მეშინია ისე.

— ახლო შეგხვედრია?

— შემხვედრია და მომიკლავს ბევრი, მაგრამ რომ დავინახავ, სულ ერთიანად მივლის ტანში. ცოცხალი არ გამიშვია, სადაც კი შემხვედრია.

— აქ ცოცხალი გველი რომ განახვო ახლა?

— უცებ შემეშინდება.

— წარმოიდგინე, რომ აი ამ ყუთში ცოცხალი გველია, შენ ყუთი გამოაღე და იგი გადმოხტა შენკენ. როცა ამას წარმოიდგენ, ყუთი სწრაფად გამოაღე და სწრაფადვე დახურე.

ეტყობა იგი გველის წარმოდგენას არ ცდილობს, მაშინვე ჰკიდებს ფრთხილად ყუთის სახელურს ხელს, მაგრამ ისევ უშვებს. თავისთვის ამბობს:

— მართლა ცოცხალი გველი არ იყოს შიგ?

კიდევ მოჰკიდებს ხელს და ისევ გაუშვებს. ეუბნები:

— გამოაღეთ, საშიში არ არის!

ხელს ჰკიდებს ყუთის სახელურს და სწრაფად გამოაღებს. შეკრთება და სხეულს გადაიქნევს, ხოლო ყუთს სწრაფად აბრუნებს უკან. ამბობს:

— მართლა უნდა იყოს!.. ცოცხალია თუ მკვდარი? მკვდარი იქნება! — დასძენს და ფრთხილად ჰკიდებს სახელურს ხელს. უნდა გამოაღოს, არ ვანებებ. ვეკითხები:

— თუ დაინახე, რა ფერის იყო?

— როგორ არ დავინახე! ჭრელია შავით და თეთრით.

— რა მდგომარეობაში იყო?

— ასე კარგად ვერ შევხედე, დახვეული უნდა იყოს ისე, როგორც იცის.

— ცოცხალია თუ მკვდარი?

— მკვდარი უნდა იყოს.

ნებას ვაძლევ ყუთი ისევ გამოაღოს წინანდელი წესის დაცვით. ამჟამად ოდნავ შეკრთება. ამბობს:

— ან მკვდარი გველია ანდა მოდელია მისი. ცოცხალი არ არის!

— რა ფერის არის?

— შეჰრელებულია რაღაც.
— რამხელა ზრის?
— საკმაოდ გრძელი უნდა იყოს.
— რა მდგომარეობაშია?
— ასეა მიხვეულ-მოხვეული (ხელით უჩვენებს).
— სხვა არაჯერი არ დაგინახავს ყუთში?
— სხვა არაფერი არ დამინახავს.
— კიდევ გამოაღე აბა!

ფრთხილად აღებს. შიში მაინც ემჩნევა. იცინის.

ამბობს: კაშნე და მავთული ყოფილა; მე ორივე ერთი მეგონა.

ასეთი ფერის (შარფზე ამბობს) და ასე დახვეული (მავთულზე მიუთითებს) რამდენი მინახავს! გველზე რომ ველაპარაკობდით, იმიტომ მომეჩვენა, არა?!

ო ქ მ ი № 3

24. XI. 1947 წ. კ. ვ. (ვაჟი, თანამშრომელი)

სურათებს ყურადღებით ათვალიერებს და თან ამბობს:

— მამაჩემი ხელით იჭერდა გველს. მეც დამიჭერია წყალში თევზაობის დროს. არ მეშინია გველის. გველი თვითონ არის მხდალი; ფეხი თუ არ დააბიჯე ან ისე არ შეეხე, არ გიკბენს. შემდეგ აღწერს შემთხვევას, როგორ დაიჭირა ერთხელ გველი, როგორ ამოაძრო მას ენა.

ვეკითხები:

— ცოცხალი გველი რომ განახვო ახლა აქ, აი ამ ყუთში, შეგეშინდება?

— თუ წინასწარ არ მეცოდინება, ალბად შემეშინდება.

— წარმოიდგინე რომ ამ ყუთში ცოცხალი გველია, აი ასეთი (სურათზე ვუჩვენებ).

— აქ რა გააჩერებს ცოცხალ გველს?!

— არა ცოცხალი გველი არ გაჩერდება, მაგრამ შენ წარმოიდგინე ასე! ყუთი გამოაღე ჩქარა და სწრაფადვე მიხურე!

ყუთის სახელურს ხელს ფრთხილად ჰკიდებს. მოძრაობაზე ემჩნევა ერთგვარი ეჭვიანობა. სწრაფად გამოაღებს ყუთს და ერთბაშად გაიქნევს უკანვე; წამოვარდება ფეხზე, მაგრამ მყისვე ჯდება.

დარცხვენილი ამბობს თავისთვის:

— რამ შემაშინა ასე?!. მავთულის ხვეულია, მგონი. გველის სურათს იმდენი ვუცქირე, გველზე იმდენი ვილაპარაკეთ და შემე-

შინდებოდა აბა რა? ისე ძალიან კი ჰგავს გველს. ყუთს ხელახლა აღებს და მავთულს ათვალიერებს.

— თუ დაინახე, რომ მავთული იყო, რატომ წამოხტი ფეხზე, რამ შეგაშინა?

— მანამ შემეშინდა, სანამ მივხვდებოდი, რომ მავთული იყო, თორემ აბა მავთული რა საშიშია?! ფეხზე რომ წამოვვარდი, მერე მივხვდი, რაც იყო, მავთული მერე დავინახე.

— ეს როგორ? ყუთი ხომ ფეხზე ადგომამდე დახურეთ?

— არ ვიცი, ასე კი იყო, ასე მართლა გველის არ შემშინებია. ახლაც მიკვირს, რამ შემაშინა ასე?!

ო ქ მ ი № 12

24. XI. 1947 წ. დ. ლ. (ქალი, თანამშრომელი)

მარცხენა ყუთიდან იღებს ფანქარს და მაძლევს. ყუთში შარფი იყო, რომლისთვისაც მას ყურადღება არც კი მიუქცევია. სურათის გადმობრუნებისას ოდნავ შეკრთა. ამბობს:

— რა საზიზღარია! — შემდეგ სხვა სურათებსაც ათვალიერებს. ვეკითხები, სოფელში თუ უცხოვრია.

— ზაფხულობით ყოველთვის ჩავდივარ სოფელში ბებიასთან.

— სოფელში გველი გინახავს?

— ხშირად შევხვედრივარ. არაფრის არ მეშინია გველივით.

— მოგიკლავს ოდესმე?

— არა, არ მომიკლავს. ვერ გავბედავ. ერთხელ ფეხი კინაღამ დავაბიჯე, ისე შემეშინდა, რომ კინაღამ ჰკუიდან შევიშალე.

— ახლა რომ აი აქ, ამ ყუთში, ცოცხალი გველი განახო, ძალიან შეგეშინდება?

— აქ რა უნდა ცოცხალ გველს, თორემ გავსულელდები ალბათ!

— დავუშვათ ისეა, რომ სრულებით საშიში არაა.

— მართლა არ იყოს!.. მართლა თუ არის, არ მაჩვენო!

— არა, ისე ვამბობ. თუ შეგიძლიათ, წარმოიდგინეთ, რომ ამ ყუთში მართლა ცოცხალი გველია!

— ვაი მე! — ამბობს თავისთვის და ხელს ფრთხილად ჰკიდებს ყუთის სახელურს, მაგრამ სწრაფად მოაქვს ხელი უკან და უარს აცხადებს:

— არა, არ მინდა, არ შემიძლია!

— აბა რისი გეშინიათ? საშიში რომ იყოს რამე, ხომ არ გეტყოდით, გააღეთ მეთქი?!

— ისევ მოკიდებს ხელს ყუთის სახელურს, მაგრამ ეჭვობს, გამოღებას ვერ ბედავს. მაშინ მასთან ერთად მეც ვკიდებ ხელს ყუთის სახელურს და ვეუბნები:

— ერთად გამოვაღოთ!

იგი თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს. ყუთს სწრაფად ვაღებთ და სწრაფადვე ვხურავთ. მას ყუთის დახურვისათვის არც კი დაუცდია, ვაი, დედაო, წამოიძახა და გაფითრებული, შეშინებული სახით ერთბაშად მოწყდა ადგილიდან და კარებისაკენ გაიქცა. გზაზე სკამს დაეჯახა და წააქცია. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ მობრუნდა, მაგიდასთან მოვიდა და ამბობს:

— რა სულელი ვარ, როგორ შემეშინდა, აბა აქ რა უნდა გველს?!

— თუ გველი არ იყო, რამ შეგაშინა?

— პირველად გველი მეგონა, ისე მომეჩვენა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ სხვა რაღაც იყო. რომ მოვბრუნდი, დანამდვილებით ვიცოდი, რომ გველი არ იყო. გვიან მივხვდი. იქით რომ მივრბოდი, ასე მეგონა, მომდევდა კიდეც. სკამი რომ წაიქცა, ისიც გველი მეგონა: სკამის ხმაურიც სკამის ხმაურად არ განმიცდია: იგი რაღაც უცნაურად მეჩვენა.

— რა იყო, თუ იცით?

— დანამდვილებით ვერ გეტყვით. შეიძლება რეზინი იყოს დაგრეხილი ან კიდევ სხვა რამე ასეთი. გველი კი ნამდვილად არ არის. თუ შეიძლება, კიდევ ვნახავ!

— გამოაღეთ!

ყუთს ფრთხილად გამოაღებს. შეკრთება, თავს უკან გადაიქნევს და სწრაფად აბრუნებს ყუთს უკან, მაგრამ გზაზედვე შეაჩერებს, ნელა გამოაღებს და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს. ამბობს:

— აი, რა ყოფილა. ხომ ვთქვი, რომ გველი არ არის მეთქი!.. პირველად მაინც როგორ მეგონა?!

ვეკითხები:

— აი ამ ყუთში რა იყო, ფანქარი რომ ამოიღე პირველად?

— მგონი კაშნე იყო, დიახ, კაშნე იყო.

— მაშინ გველი არ გაგხსენებიათ?

არა მაშინ სრულებით არ გამხსენებია. პირველად სურათს რომ შევხედე, გველი მაშინ გამახსენდა.

ო ქ მ ი № 21

26. XI. 1947 წ. კ. მ. (ქალი, IV კ. სტუდენტი).

ფანქარს იღებს მავთულიანი ყუთიდან და მაწვდის.

— არ ჩანს, რომ მავთულისათვის რაიმე საგანგებო ყურადღება მიექციოს. სურათის უეცარი შეხედვა შეაკრთობს. ამბობს:

— ვაი, რა საშინელია! — ზიზღით ათვალიერებს.

ვეკითხები:

— საიდან ხართ?

— ამბროლაურის რაიონიდან.

— თქვენს სოფელში გველი ბევრი იცის?

— იცის, მაგრამ ცოცხალი ახლოს არ მინახავს. მკვდრისთვის ხშირად შემიხედავს. ასე არაფრის არ მეშინია.

— ცოცხალი რომ შეგხვდეს და ხელში ჯოხი გქონდეს, მოკლავთ?

— არ ვიცი, შეიძლება მოვკლა... არა, არა, ვერ მოვკლავ, შემეშინდება!

— ცოცხალი რომ განახო ახლა, შეგეშინდება?

— რა თქმა უნდა!

— ვთქვათ ამ ყუთშია ისე, რომ იქედან ამოსვლა არ შეუძლია.

— სულ ერთია, რომ დავინახავ, მაინც შემეშინდება.

ამ საუბრისას მე ხელი ყუთისაკენ მიმაქვს. ის თვალს გააყოლებს ჩემი ხელის მოძრაობას. ყუთს სწრაფად ვაღებ და სწრაფადვე ვხურავ. ის ერთბაშად შეჰკივლებს, წამოვარდება სკამიდან და თვალზე ხელმოფარებული კივილით გარბის. კარებთან ძლივს ვაჩერებ. მთელი სხეულით კანკალებს. ბოლოს ვახერხებ მის დამშვიდებას. სკამზე ჯდება, იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა. სახე ხელებით აქვს დაფარული. მეუბნება:

— არ ვიცოდი, თუ მართლა ცოცხალი გველი გყავდათ. ამას როგორ ვიფიქრებდი, რატომ შემაშინეთ ასე?! — ხმა უკანკალებს. ემჩნევა ჩემზე გაჯავრებულია. ამბობს:

— ნეტავი სულ არ შემოესულიყავი აქ!

ვეკითხები:

— რა ფერის იყო?

— ჭრელი იყო, პირველ სურათზე რომ ვნახე, სწორედ ისეთი.

— თქვენ ტყუილად შეგეშინდათ, აქ გველი არ არის; აბა მოდით, ნახეთ!

— არა, მანდ ვერ მოვალ!

— აბა მანდედან შეხედეთ! — ყუთს ვაღებ.

— არ შემიძლია, შეიძლება მკვდარი იყოს, მაგრამ მაინც შეშეშინდება!

შარფს ხელში ვიღებ და ვეუბნები:

— შარფმა ასე როგორ შეგაშინათ? აბა შემოხედეთ! — მხოლოდ ახლა გამოიხედავს, ადგება, შარფს გაკვირვებით უცქერის. ეჰვით ამბობს:

— ეს არ ყოფილა... ასეთი ფერის კი იყო! — შემდეგ ცარიელ ყუთს განცვიფრებული მიაჩერდება. მეკითხება:

— მართლა ეს იყო?!

— ფანქარი რომ ამოიღეთ, იმ ყუთში რა იყო, თუ გახსოვთ?

— ახლა არაფერი აღარ მახსოვს... მავთული იყო, მგონია.

— მაშინ გველი არ გაგხსენებია?

— მაგისთვის არ მიმიქცევია ყურადღება, ფანქარს ვეძებდი, — მერე შარფს მიაჩერდება და ამბობს:

— ეს თქვენი კაშნეა... აწი რამდენს დაგინახავთ კისერზე მოხვეულს, გველი გამახსენდება! — იცინის.

ო ქ მ ი № 28

29. 11. 1947 წ. უ. გ. (ვაჟი, II კ. სტუდენტი).

ფანქარს იღებს მავთულიანი ყუთიდან და მაწვდის. სურათს ზიზღით ათვალიერებს.

ვეკითხები:

— გველი გინახავს?

— ხშირად მინახავს მდინარეში ბანაობის დროს.

— მოგიკლავს ოდესმე?

— არ მომიკლავს... ისე არ შემხვედრია, რომ მომეკლა.

— რომ შეგხვდეს?

— მოვკლავ, აბა რას გავუშვებ!

— ცოცხალი რომ განახვო ახლა, შეგეშინდება?

— უცბად შემეშინდება.

— ვთქვათ, ამ ყუთში არის ახლა დაბმული.

— დაბმული რომ არის, თუ ვიცი, არ შემეშინდება.

— აბა წარმოიდგინე, რომ თითქოს შიგ ცოცხალი გველია; ყუთი სწრაფად გამოაღე და სწრაფადვე დახურე, რომ ამოხტომა ვერ მოასწროს!

ყუთს სწრაფად აღებს, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად გაიქნევს.

თვითონ მთელ ტანს უკან გადაიქნევს, რომ საშიშროებას თავი აარიდოს. მალე ისევ სწორდება. განცვიფრებული მეკითხება:

— მართლა ცოცხალია?

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ცოცხალი უნდა იყოს, თავი გაანძრია.

— რა ფერის არის?

— ჭრელია.

— რამხელა იქნება?

— სიდიდეს ვერ გეტყვით... პატარა არ უნდა იყოს!

— აბა კიდევ ნახეთ!

ყუთს ჰკიდებს ხელს და ფრთხილად გამოაღებს ნახევრად. შემდეგ ისეთი ძალით გაიქნევს უკან, რომ იგი ჩვეულებრივზე უფრო მეტად შეევარდება მაგიდის სიღრმეში. თვითონ ერთს შეკრთება, ოდნავ გადაიქნევს თავს უკან და ამბობს:

— შეიძლება, მკვდარი გველია, ან შეიძლება გველი სულ არ იყოს, გველის მოდელი იყოს... გველის მოდელი იქნება!

— ნახეთ აბა, კიდევ გამოაღეთ!

ისევ მოჰკიდა ხელი ყუთის სახელურს და გამოსწია, მაგრამ ამჟამად ყუთი აღარ გამოჰყვა, რადგან ჩვეულებრივზე ღრმად იყო შესული სიღრმეში. მაშინ მან მთელი ძალით დაჭაჩა სახელური, რის გამოც ყუთი ერთბაშად წამოვიდა დიდი სისწრაფით; იქიდან შარფის ბოლო ამოევარდა ზევით და ხელზე მოხვდა. მან ერთი რაღაც ყრუ ბგერებით დაიღმუვლა და ტანი ისე ძლიერ გადაიქნია უკან, რომ სკამი, რომელზედაც იჯდა, წაიქცა, თვითონაც წაბარბაცდა, მაგრამ სწრაფად დაუშვა ხელი იატაკზე და წაქცევას გადარჩა, ფეხზე დადგა... დარცხვენით შეხედა შარფს და თქვა:

— ხელზე რომ მომხვდა, კი დავინახე, კაშნე იყო, მაგრამ მაინც შემეშინდა... საზიზღარი ცხოველია... ასე არაფრის არ მეშინია!

ვეკითხები:

— მეორე ყუთში ფანჯარი რომ ამოიღეთ, რა ნახეთ?

— მგონი, მავთული იყო შავი, დაგრეხილი.

— რომ შეხედე, გველი არ გაგახსენდა?

— მაშინ არ გამხსენებია, მაგრამ ახლა რომ ვიგონებ, ისიც გველივით იყო დახვეული. შეიძლება ვნახო?

——

ცდის შედეგებს რომ ილუზიის წარმოშობისა და განვითარების თვალსაზრისით გადააელოს კაცმა თვალი, პირველ რიგში სამ განსხვავებულ საფეხურს შენიშნავს:

1. ილუზია არ ჩნდება, მაგრამ გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის მოქმედება აშკარად ჩანს; ეს უკანასკნელი გველთან დაკავშირებულ შიშსა და სათანადო თავდაცვით მოძრაობებში, ადექვატური აღქმის შეფერხებაში, მის შეგვიანებაში და გველისადმი მსგავსების (გველის წარმოდგენის) ცნობიერებაში იჩენს თავს. ზოგჯერ გველის აღქმის ფიქსირებული განწყობა გველის ილუზიას ვერ გვაძლევს, მაგრამ ადექვატური აღქმის განწყობის აღმოცენებას იმდენად აფერხებს, რომ მავთულის მავთულად აღქმას შეუძლებლად ხდის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცდის პირს ცნობიერებაში მოცემული აქვს საგნობრივ გარკვეულობას მოკლებული, ჯერ კიდევ რაიმე საგნად გაუფორმებელი გრძნობადი შთაბეჭდილება.

2. ილუზია ჩნდება, მაგრამ იგი კრიტიკული ობიექტის ხელახალი ზემოქმედების გარეშე (ობიექტის ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ) ქრება და მის ადგილს საგნის ადექვატური წარმოდგენა (დაგვიანებული აღქმა) იჭერს. ზოგ შემთხვევაში რჩება გაურკვეველი ობიექტის (საგნის) ცნობიერება.

3. ჩნდება საკმაოდ მტკიცე ილუზია, რომელიც მხოლოდ კრიტიკული ობიექტის განმეორებითი ზემოქმედების შემდეგ უთმობს ადგილს ადექვატურ აღქმას.

მაგრამ ყველგან, სადაც კრიტიკულ ცდებში ილუზია არ ჩნდება, გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის აქტივობა ერთნაირი სიძლიერით არ არის წარმოდგენილი: ფაქტიურად პირველი საფეხური რამდენიმე ცალკე საფეხურს შეიცავს. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკე და ვნახოთ, რით არის იგი წარმოდგენილი ცნობიერებაში, ცნობიერების რა მოვლენა ან რა მდგომარეობა შეესატყვისება მას.

1. ცნობა. აღქმის ყოველ აქტს საფუძვლად განწყობა უდევს. ერთისა და იმავე ობიექტის განმეორებითი აღქმა ამ აღქმის განწყობის განმეორებითი აღმოცენების ნიადაგზეა შესაძლებელი. განწყობის განმეორების შედეგად, როგორც ეს დიდი ხნიდან ცნობილია, ადვილდება ამ განწყობის ფიქსირების საქმე. ჩვენი ცდის ობიექტები (გველი, მავთულის ხვეული, შარფი) ცდის პირს თავისი ცხოვრების მანძილზე მრავალგზის აღუქვამს და ახლა იგი ცდებში მონაწილეობის დროს სწორედ აი იმ წინა აღქმებში ფიქსირებულ განწყობით მოდის მოქმედებაში. ამ განწყობის ნიადაგზეა, რომ ცდის პირი, როცა ყუთიდან ფანქარს იღებს, ყოველგვარი შეფერხებისა და დაბრკოლების გარეშე, მავთულს მავთულად აღიქვამს

და შარფს — შარფად; რომ მათ ჩვეულ საგნებად განიცდის. ასე ხდება საერთოდ: ფიქსირებული განწყობის შეუფერხებელი გაშლა ჩვეულის აღქმაში იჩენს თავს.

ფიქსირებული განწყობის აქტივობა სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვა გარემოებით იქნას შეფერხებული. შემფერხებელი ფაქტორის როლში ერთი ფიქსირებული განწყობის მიმართ ზოგჯერ მეორე ფიქსირებული განწყობა გამოდის. ასე ხდება მაშინ, როცა ობიექტური ვითარება ისეა მოცემული, რომ იგი ერთდროულად ორი სხვადასხვა საგნის აღქმის ფიქსირებულ განწყობათა აქტივაციას ახდენს. ჩვენს ცდებში განწყობათა ასეთი დაპირისპირება კარგადაა წარმოდგენილი: საგანწყობო ცდებით განმტკიცებულ გველის აღქმის ფიქსირებულ განწყობას კრიტიკული ცდების ობიექტით აღძრული მავთულის ხვეულის ან კიდევ ჰრელი შარფის აღქმის ფიქსირებული განწყობა უპირისპირდება.

ჩვეულებრივად, კრიტიკული ობიექტის აღქმა ან ერთი ან მეორე განწყობის ნიადაგზე ხდება, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რამდენად განიცადა მოპირდაპირე განწყობის აქტივობის გამო შეფერხება იმ განწყობამ, რომლის ნიადაგზეაც ცდის პირმა კრიტიკული ობიექტი აღიქვა, აღქმული საგანი (სულ ერთია, იქნება იგი ილუზიური თუ ადექვატური) თავისებურად განიცდება.

ჩვენს ცდებში მავთულის ხვეულის, შარფის თუ გველის აღქმას ხშირად თან ახლავს ნაცნობობის განცდა. ამ უკანასკნელის აღმოცენების პირობა შეიძლება ასეთი იყოს: კრიტიკული ობიექტის ზემოქმედებამ გველის აღქმის ფიქსირებული განწყობა გამოიწვიოს, მაგრამ ეს უკანასკნელი იმდენად სუსტი აღმოჩნდეს, რომ მან სრულიად ადვილად დაუთმოს ადგილი ადექვატური აღქმის განწყობას მაგრამ ადგილის ადვილად დათმობა არ ნიშნავს, რომ მავთულის აღქმის განწყობამ გველის აღქმის განწყობის შემაფერხებელი ზემოქმედება არ განიცადოს. ეს ზეგავლენა, უპირველეს ყოვლისა, ცნობის აქტში იჩენს თავს.

ახლა მავთულის ჩვეულად აღქმა შეუძლებელი ხდება. მის მიმართ ჩნდება კითხვა: „რა არის?" — ამ კითხვაზე პასუხი ცნობის აქტის განხორციელებას ითხოვს. მოცემულ შემთხვევაში ცნობის აქტი არ იქნებოდა საჭირო, რომ მავთულის ილუზიურად (გველად) აღქმის ფიქსირებული განწყობა უშეოქმედოდ დარჩენილიყო. ამგვარად, ფიქსირებული განწყობის შეუფერხებელი გაშლის ეფექტი ჩვეულის აღქმაში იჩენს თავს, ხოლო მისი ოდნავი შეფერხება ნაცნობის განცდას გვაძლევს.

თუ ფიქსირებული განწყობის აქტივობის პირველ საფეხურად მისი მოქმედების ყველაზე დიდ შესაძლებლობას ჩავთვლით, ხოლო უკანასკნელ საფეხურად მისი გამოვლენის ყველაზე სუსტ ფორმას, მაშინ განწყობის ასეთ უკუგანვითარების (აღკვეთის პროცესის) პირველ საფეხურს ჩვეულის აღქმა შეესატყვისება, ხოლო მეორე საფეხურს — ცნობა. იმ შემთხვევაში, როცა ცნობის აქტს საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი განწყობის აქტივობა ხდის საჭიროდ, მაშინ ცნობასთან ამ უკანასკნელი განწყობის გამოვლენის ყველაზე უსუსტესი ფორმაა დაკავშირებული. როგორც ვხედავთ, შესაძლებელია ცნობის აქტი ორი სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი განწყობის აქტივობის სხვადასხვა საფეხურს შეესატყვისებოდეს. ჩვენს ცდებში (მავთულის ცნობის შემთხვევაში) ეს აქტი შეესატყვისება მავთულის აღქმის განწყობის აქტივობის საკმაოდ მაღალ, ხოლო გველის აღქმის განწყობის მოქმედების ყველაზე დაბალ საფეხურს.

ცდების შედეგად მიღებული მასალის საფუძველზე ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ გველის აღქმის განწყობის აქტივობის გაძლიერებისა და მავთულის აღქმის განწყობის შესუსტების ყველა საფეხური. ასეთ დაპირისპირებაში გველის აღქმის განწყობის განვითარების ყოველი შემდგომი საფეხური მავთულის აღქმის განწყობის შესუსტებაზე მიუთითებს: ერთ-ერთი მათგანის აღკვეთის პროცესი მეორის გაძლიერებაზე ლაპარაკობს.

საკითხის გამარტივებისათვის უმჯობესია მივყვეთ კრიტიკულ ცდებში გველის აღქმის (ილუზიური აღქმის) ფიქსირებული განწყობის განვითარების საფეხურებს მანამ, სანამ ეს უკანასკნელი გველის ჩვეულ აღქმას არ მოგვცემს. ეს საფეხურები ამავე დროს მავთულის აღქმის (ადექვატური აღქმის) ფიქსირებული განწყობის აღკვეთის საფეხურებიც იქნება. თუ ამგვარად დადგენილ საფეხურებს შემდეგ ბოლოდან ამოვყვებით, შებრუნებულ ვითარებას მივიღებთ: ჩვენ წინ აღმოჩნდება ილუზიური აღქმის (გველის აღქმის) განწყობის აღკვეთისა და ადექვატური აღქმის (მავთულის აღქმის) განწყობის განვითარების საფეხურები.

როგორც აღნიშნული იყო, კრიტიკულ ცდებში საგანწყობო ცდის ობიექტის (გველის) აღქმის ფიქსირებული განწყობის ოდნავ შესამჩნევი აქტივობა კრიტიკული ცდის ობიექტის (მავთულის, შარფის) ნაცნობად აღქმის განცდაში ჩრენს თავს. რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა ცდებში ფიქსირებული განწყობის აქტივობა იმაზე უფრო მეტ დაბრკოლებას ქმნის ადექვატური

აღქმის განწყობის წინაშე, ვიდრე ეს კრიტიკული ობიექტის ნაცნობად (ჩვეულის მაგივრად) აღქმისათვის არის საჭირო?

2. მსგავსება. ჩვენი ცდის პირების ერთი ნაწილი ცდების დაწყებამდე მავთულს გველს ამსგავსებდა, ხოლო ცდების დასასრულში ყველა ცდის პირი ხაზგასმით ადასტურებდა მსგავსების ფაქტს. რატომ არის, რომ საგანწყობო ცდების დაწყებამდე ეს განცდა შედარებით იშვიათია, ხოლო ცდის დასრულების შემდეგ საყოველთაო მოვლენად იქცევა? სანამ ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, მანამ საჭიროა ასეთი საკითხი გავარკვიოთ: რა საფუძველზე აღმოცენდა ზოგიერთ ცდის პირში საგანწყობო ცდების დასაწყისამდე გველთან მსგავსების განცდა?

ცნობის აქტში დასტურდება აწმყოში მოცემულის იგივეობის ფაქტი წარსულში განცდილთან. ცნობასთან თავის შინაარსით ახლო დგას მსგავსება: იგივეობიდან ოდნავი გადახრა მსგავსების განცდას გვაძლევს. ცნობის დროს იგივეობას ვადასტურებთ, მსგავსებისას კი იგივეობასა და სხვაობას ერთ ფაქტში განვიცდით; ვიტყვით: „ეს ის არ არის, ამას წინათ რომ ვნახეთ, მაგრამ როგორ ჰგავს მას!". ზოგჯერ გვიძნელდება კიდეც სხვაობის პოვნა. ერთი სიტყვით, მსგავსების განცდაში ახალი და ძველი, აწმყო და წარსული ერთ ფაქტშია მოცემული.

გველის აღქმის განწყობა ცდის პირებს იმთავითვე, ჩვენს ცდებში მონაწილეობამდე, ჰქონდათ ფიქსირებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ცდის პირები, რომელნიც საგანწყობო ცდების დაწყებამდე ადასტურებდნენ მავთულის გველთან მსგავსებას, კრიტიკულ ცდებში საგანწყობო ცდების გარეშეც მოიცემდნენ ჩვენთვის საინტერესო ეფექტს, რადგან მოცემულ მომენტში გველის აღქმის ფიქსირებული განწყობა მათ რატომღაც სხვებთან შედარებით უფრო ახლო. სხვებზე უფრო მზა მდგომარეობაში ჰქონდათ. ამას ქვემოთ მოყვანილი შემთხვევაც ადასტურებს: ლაბორატორიაში შემოვიდა N (ფსიქოლოგი) და შემთხვევით დაჯდა მაგიდასთან იმ სკამზე, რომელიც ცდის პირისთვის იყო ნავარაუდევი. ელაპარაკობთ საკითხზე, რომელსაც არაფერი არ ჰქონდა საერთო მომავალ ცდებთან. N-მა ჩვენი ცდების შესახებ არაფერი იცოდა. მან სრულიად შემთხვევით გამოაღო მაგიდის უჯთი, ოდნავ შეკრთა და სწრაფად გასწია იგი უკან, მაგრამ ბოლომდე არ დაუხურავს, ისევ გამოაღო სრულად და განცვიფრებული სახით, არაჩვეულებრივი სისწრაფით წვდა მავთულის ხვეულს

და ცდილობდა მოეგლიჯა იქედან. მაგრამ ყუთი მისი სურვილის წინააღმდეგ დავხურე. მან განაცხადა: კინაღამ გველი მეგონა. არა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეგონა კიდეც, მაგრამ გველის სახემ ოდნავ გაიელვა და გაქრა. უცებ ჩავთვალე მაეთულად. მგონი, არ შემშინებია, რადგან გველის არც ისე მეშინია, ხშირად დამიჭერია იგი ხელით. ამას შეიძლება კიდევ იმან შეუწყო ხელი, რომ სწრაფად გაჩნდა, რაღაც დიფუზური განცდა, რომელიც, ახლა ვფიქრობ, იმაზე მიუთითებდა, რომ აქ გველი არ შეიძლება იყოსო.

N-ში ფიქსირებული გველის აღქმის განწყობა რომ ამ წუთში მისგან უფრო შორს ყოფილიყო, რომ იგი ოდნავ უფრო სუსტი აღმოჩენილიყო, ადექვატური აღქმის განწყობა მას იმთავითვე დასძლევდა, რის შედეგადაც, გველის ილუზიური განცდის ნაცვლად, გველის მსგავსი მაეთულის აღქმას ექნებოდა ადგილი. ამ უკანასკნელ ფაქტს ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაშიც, რომ N-ს მაეთულის აღქმის ფიქსირებული განწყობა ამ მომენტისათვის უკეთეს მზაობაში ჰქონოდა, ან კიდევ მას მაეთულის ხვეული აღქმისათვის თავიდანვე უკეთეს პირობებში მისცემოდა.

ჩვენს ცდებში მაეთულის ხვეული ცდის პირში უპირველესად ახდენს გველის აღქმის განწყობის აქტივაციას, რადგან ეს უკანასკნელი ახლა უფრო ახლოა პიროვნების აწმყო მდგომარეობასთან. მაგრამ, სანამ მაეთულის ზემოქმედებით აქტივირებული გველის აღქმის განწყობა გაშლას მოასწრებდეს, მაეთულის ხვეულს თავისი გააქვს და ადექვატური აღქმის განწყობას ქმნის; ახლა გველის აღქმის ფიქსირებული განწყობა მაეთულის აღქმის განწყობის მომენტად იქცევა, რის გამოც მაეთულის აღქმაში როგორღაც გველის სახეცაისწარმოდგენილი; მაეთული ახლა როგორღაც გველზედაც მიუთითებს და მსგავსებაც სწორედ ამაშია. შემდეგ, როცა ცდის პირისათვის კითხვა: „რა არის?“ გაირკვევა, გველის განცდა საერთოდ გადის ცნობიერებიდან და ცდის პირი მხოლოდ მაეთულის აღქმით (მაეთულის აღქმის განწყობით) რჩება განსაზღვრული.

ჩვენი ცდების დასასრულს ცდის პირები ჩვეულებრივად ადასტურებენ მაეთულის გველთან მსგავსებას, რადგან, ერთი მხრივ, გველის ფიქსირებული განწყობა ცდების ყველა მომენტთან შედარებით ახლა არის მზად აქტიურ მდგომარეობაში გადასასვლელად. ხოლო, მეორე მხრივ, ახლა მაეთულის ხვეულსაც მეტი საგანწყობო

ძალა გააჩნია, რადგან იგი უკვე შეცნობილი მავთულის ხვეულია. მისი ილუზიური აღქმა უკვე შეუძლებელია.

ამგვარად, ცნობაში მოცემული ადეკვატური აღქმის განწყობიდან ილუზიური აღქმის განწყობისკენ მიმავალ გზაზე მსგავსების აღქმის განწყობა პირველ უახლოეს საფეხურს წარმოადგენს.

3. უსაგნო ემოცია, ანუ საგნის გრძნობა. რა ხასიათის განცდას ვღებულობთ მაშინ, როცა კრიტიკულ ცდებში გველის აღქმის განწყობის აქტივობა უფრო ენერგიულია, ვინემ ამას გველის მსგავსი მავთულის აღქმისას ჰქონდა ადგილი?

საგანწყობო ცდებში ცდის პირები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, აქ რა უნდა გველსო. იმის ცნობიერება, რომ ცდის პირი ისეთ სიტუაციაში იმყოფება, სადაც გველი არ არის მოსალოდნელი, როგორც ჩანს, კრიტიკულ ცდებში სწრაფად იჩენს თავს. ამას, სხვა ცდის პირებს გარდა, N-ის ჩვენებაც ადასტურებს: „სწრაფად გაჩნდა რაღაც დიფუზური განცდა, რომელიც, როგორც ახლა ვფიქრობ, იმაზე მიუთითებდა, რომ აქ გველი არ შეიძლება იყოს".

როგორც ჩანს, გარემო, რომელშიც ცდები მიმდინარეობდა, ისეთი იყო, რომ იგი ხელს უშლიდა გველის ილუზიურ აღქმას. რომ ცდები ისეთ პირობებში ყოფილიყო ჩატარებული, სადაც გველი მართლა იყო მოსალოდნელი, ილუზიები გაცილებით უფრო ნათლად გამოხატულ სახეს მიიღებდა. ამასთან ერთად გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა შიშის განცდაც.

№ 3 ოქვს რომ თვალი გადაავლოს კაცმა, მაშინვე ერთი გარემოება მიიქცევს მის ყურადღებას. ცდის პირი შიშის აშკარად გამოხატულ ემოციას იძლევა და გველისგან თავდაცვისათვის საჭირო მოძრაობებს მიმართავს, თუმცა მის ცნობიერებაში საშიში საგანი (გველი) არ არის წარმოდგენილი. ჩვენს ცდებში ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათი აღმოჩნდა, მოსალოდნელია იმაზე მეტიც, ვინემ ჩვენ შევძელით დაგვედასტურებინა.

როცა ცდის პირი მავთულს გველად აღიქვამს და ეშინია, ეს გასაგებია: გველი დაინახა და შეეშინდა. ეს უკანასკნელი მოვლენა კარგად ეგუება ემოციის დღემდე ცნობილ ყველა იმ თეორიას, რომელთა მიხედვით ემოციას წინ უსწრებს შეცნების პროცესი: გველი უნდა აღიქვა, გველი გველად უნდა დაინახო, რომ შიშის განცდა წარმოიშვასო, იტყოდა ტრადიციული ფსიქოლოგია.

ჩვენს ცდებში შიში და სათანადო თავდაცვითი მოძრაობანი

წინ უსწრებენ საშიში საგნის აღქმას: საშიში საგანი ცნობიერების ჰორიზონტზე ჯერ კიდევ არ ჩანს. მაგრამ საკმაოდ გამოხატულ შიშთან და სპეციფიკურ თავდაცვით მოძრაობებთან გვაქვს საქმე. როგორ უნდა იქნას გაგებული ეს ფაქტი განწყობის თეორიის საფუძველზე?

ცდის პირის ჩვენებიდან. ჩანს, რომ მას მავთულის გველად აღქმის ილუზია არ ჰქონია; მაგრამ მან თვით მავთულიც დაგვიანებით აღიქვა, რომ ისიც არ დაუნახავს შიშზე ადრე: მავთული რომ მავთულად შეიცნო, შიშიც გაქრა. ერთი სიტყვით, ცდის პირზე მავთულის ზემოქმედების პირველი ეფექტი შიში იყო; მავთულის ცნობიერება შემდეგ, დაგვიანებით გაჩნდა, რის შედეგადაც შიში აღიკვეთა.

აღნიშნულ შემთხვევას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი ფაქტი, რომელმაც ჩვენს ცდებში აქა-იქ საკმაოდ სინათლით იჩინა თავი. ცდის დასაწყისში, როცა ჯერ კიდევ სიტყვა არ იყო თქმული გველის შესახებ, ზოგი ცდის პირი შეხედავდა თუ არა გველის სურათს, რომელიც მან სწრაფად გადმოაბრუნა, შეკრთებოდა, რაც იმას ადასტურებდა, რომ მასში შიშის მსუბუქი განცდა ჩნდებოდა.

აქაც ზემოთ აღწერილ მოვლენის ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. რატომ უნდა გამოეწვია შიში გველის სურათის აღქმას? თუ საერთოდ გველის სურათს ცდის პირში შიში შეუძლია წარმოშვას, რატომ არ ეშინია ცდის პირს მაშინ, როცა ამ სურათს იგი შემდეგ უფრო ნათლად და გამოკვეთილად აღიქვამს?

აღნიშნული ფაქტი უფრო ნათლად წარმოგვიდგებოდა, რომ ცდის პირები საქმის ვითარების ადეკვატურ გაშოთქმას ახერხებდნენ.

ერთმა ცდის პირმა, რომელსაც ჩვენი ექსპერიმენტები წინა დღით ჰქონდა გაელილი, გვითხრა: „დღეს ასეთი უცნაური შემთხვევა მქონდა: ამხანაგთან ბანქოს ვთამაშობდი. ოთახში ცოლი შემოვიდა და მაგიდასთან გაჩერდა. მისთვის არ შემიხედავს, მაგრამ ვგრძნობდი ის იყო. უეცრივ საშინელმა შიშმა შემიპყრო, უჩვეულოდ შევყვირე და ფეხზე წამოვეარდი... იმავე წუთში ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა, მაგრამ გვიან იყო, რადგან მე ჩემი უკვე გადამწყდა. ცოლს ჩემდა შეუმჩნევლად მაგიდაზე დაედვა მომართული თეთმავალი „ნიანგი". იგი ჩემკენ მსუბუქი ხმაურით სწრაფად მოდიოდა და დროგამოშვებით პირს აღებდა. როცა მივხვდი, საქმე რაში იყო, სათამაშოს ხელი მოვკიდე და ძირს და-

ვანარცხე, ხოლო ცოლს სიბრაზის გამო ისეთი სიტყვებით მივმართე, რომ ახლა მე თვითონ მრცხვენია... ეს შემთხვევა თქვენს ცდებს ჰგავს. ამიხსენი, რამ შემაშინა ასე?“

დაცინვაზე, ბავშვის სათამაშომ ასე როგორ შეგაშინა მეთქი, მიპასუხა:

— სანამ მივხვდებოდი, რომ სათამაშო იყო, მე ჩემი გადამბდა. მანამდე, არ მგონია, რომ ნიანგად მომჩვენებოდეს!.. როგორ უნდა მომჩვენებოდა, როცა იგი ასე პატარაა და მერე ისიც ჩემს ოთახში, მაგიდაზე?!

აღნიშნულ ცდის პირს ჩვენს ცდებში განსაკუთრებული სიძლიერის შიშის ემოცია არ მოუცია. იგი ამ მხრივ არ გამოირჩეოდა სხვებისაგან.

რამდენიმე ხნის წინად ჩვენ თვითონ გვქონდა შემთხვევა ზემოთ აღწერილი მოვლენების ანალოგიურ ფაქტზე გვეწარმოებინა დაკვირვება: გაზაფხულზე ტყის გზით სოფელში მივდიოდი. გზა, რომელიც მე უნდა გამევლო, საკმაოდ გრძელი იყო. მის დასაწყის ნაწილს ალაგ-ალაგ მაღალი ბალახი ან კიდევ ბუჩქნარი ფარავდა. ვინაიდან ბუჩქნარსა და ბალახებს შორის გველის არსებობა იყო მოსალოდნელი, ამ ადგილებში მე ერთგვარ სიფრთხილეს ვიჩენდი ისე, რომ დაწყებულ ფიქრს არც კი ვწყვეტდი. გზის უფრო დიდი ნაწილი სუფთა იყო. მივდიოდი ჩვეულებრივი ნაბიჯით, ზოგჯერ ფიქრებში მთლიანად ჩაძირული... უცებ ერთ მთელი ძალით გადავხტი, შემდეგ ერთი ნაბიჯი კიდევ გადავდგი სწრაფად, ისე, როგორც ეს გაქცევისათვის არის საჭირო, და შევჩერდი. გული ისე ძლიერ მიცემდა, რომ მთელს ჩემს არსებაში შიშის ზარი ისმოდა. ახლა უკვე ვგრძნობდი, რომ საშიში არაფერი იყო. მაგრამ ეს „ახლა“ და „წინათ“ დროის რაღაც სრულიად უმნიშვნელო ნაწილით იყო ერთიმეორისგან დაშორებული. სახელდობრ, რა იყო, რომ შემაშინა, ამას ცნობიერება არც ახლა მჭონდა. სწრაფად მივბრუნდი უკან, სადაც უჩვეულოდ გრძელი, შავი ლოკოკინა იყო განრთხმული. რომ დავინახე, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მისკენ მიბრუნების მომენტშიაც ვიცოდი, რომ იქ ლოკოკინა იყო. ოღონდ აქამდე მისი ნათელი ხატი არ მქონია. ლოკოკინა რომ ლოკოკინად დავინახე, მხოლოდ მაშინ შევიცან მისი გველისადმი მსგავსება (რომელიც არც ისე დიდი იყო), მხოლოდ შემდეგ გამახსენდა საერთოდ გველის შესახებ. ვიფიქრე: ალბათ გველი შეგონა და ამიტომ შემეშინდა. მაგრამ მაშინვე ეშვი გამიჩნდა: როგორ შეგონა გველი, როცა ჩემს ცნობიერებაში გველის წარმოდგენის არაფერი

იყო მეთქი?! და მართლაც, ჩემ მიერ გავლილი ორი ჯკანასკნელი კილომეტრი სუფთა საურმე გზა იყო. მე ამ მანძილზე ისე ვყოფილვარ ფიქრებს მიცემული, რომ ახლა არც კი მახსოვდა, ეს გზა როგორ გამოვიარე. ასე რომ ლოკოკინას ლოკოკინად დანახვის მომენტამდე გველის წარმოდგენას ან კიდევ სხვა ისეთ რამეს, რასაც ასეთ საგანზე შეეძლო მითითება, ჩემს ცნობიერებაში ადგილი არ ჰქონია. მე დავინტერესდი ამ ფაქტით, რის გამოც მას თვალყურს ვადევნებდი შემდეგაც. შემდეგმა დაკვირვებებმა მიჩვენა, რომ შიშის განცდის პირველი მომენტი ჩვეულებრივ უსაგნოა, რომ საშიში ვითარების გაცნობიერებას შიში უსწრებს წინ.

როგორ უნდა იქნას გაგებული აღნიშნული მოვლენები? რის საფუძველზე უნდა აღმოცენდეს შიშის განცდა და საშიში ვითარების შესატყვისი თავდაცვითი მოძრაობანი მანამ, სანამ საშიში საგნის ცნობიერება გაჩნდებოდეს?

განწყობის ფსიქოლოგია საგნობრივი სინამდვილის ასახვის ორ სფეროს განასხვავებს: 1) განწყობისეული ასახვა, როცა ობიექტურად არსებული საგნობრივი სინამდვილე მოცემულია სუბიექტში ამ სინამდვილის ზემოქმედების ნიადაგზე აღმოცენებული განწყობის სახით, მაგრამ, როცა იგი (ობიექტური სინამდვილე) ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სუბიექტის ცნობიერების შინაარს, ჯერ კიდევ არ არის მოცემული სუბიექტის ცნობიერებისათვის; 2) ცნობიერი ასახვა, რომელიც თავის მხრივ განსხვავებული საფეხურებისაგან შედგება. პირველ საფეხურს წარმოადგენს უშუალო გრძნობადი ასახვა, როცა ობიექტური სინამდვილე ცნობიერებაში უბრალო გრძნობადი მასალის, უსაგნო ხატის სახით არის წარმოდგენილი. მეორე საფეხურს შეადგენს საგნობრივი სინამდვილის ობიექტივაციისეული ასახვა. ასახვის ამ საფეხურზე ცნობიერებაში მოცემული გრძნობადი შინაარსები გარკვეულ თვისებათა მატარებელ საგნობრივ სინამდვილედ განიცდება. ახლა ცნობიერებაში უბრალო გრძნობადი ხატის ნაცვლად განსაზღვრული საგანი, განსაზღვრული ობიექტური ვითარება არის წარმოდგენილი.

ობიექტური სინამდვილის ასახვის ეს ორი, — განწყობისეული და ობიექტივაციისეული, — საფეხური გასაგებად ხდის ჩვენთვის საინტერესო ფაქტს. კრიტიკული ობიექტის ზემოქმედება ცდის პირზე, უპირველეს ყოვლისა, გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის აქტივაციას ახდენს, ოადგან გველი ახლა უფრო ახლოა ცდის პირის შინაგან მდგომარეობასთან, ვინემ მავთული ან შარფი.

გველის აღქმის განწყობა ვითარდება, მაგრამ იგი კრიტიკული ობიექტის ზეგავლენით მანამ ირღვევა, სანამ ცნობიერების ძიმართულებით გაშლას მოახერხებდეს, სანამ ცნობიერებაში სათანადო გრძნობადი შინაარსის სახით წარმოდგებოდეს; ცდის პირში ფიქსირებული განწყობა გაიშალა, მაგრამ იგი მანამ აღიკვეთა, სანამ გველის ხატი ამოვიდოდა ცნობიერებაში, სანამ გველი გაფორმდებოდა ცნობიერების შინაარსად. ერთი სიტყვით, გველის სახე შემოვიდა პიროვნების განწყობაში, მაგრამ მისი ცნობიერების მოვლენად გადაქცევა არ მოესწრო, ისე აღიკვეთა ეს უკანასკნელი. გველის სახიფათო სიტუაციის შემოსვლა პიროვნებაში, მისი გადაქცევა პიროვნების განწყობის შინაარსად საკმარისი იყო იმისთვის, რომ შიშის განცდა და მასთან დაკავშირებული თავდაცვითი მოძრაობანი მიგვეღო. აქ კარგად ჩანს, რომ განწყობის აღმოცენებისა და განვითარების პროცესი ამავე დროს სუბიექტის აქტივობის აღმოცენებისა და განვითარების პროცესიც არის. ეს მოსაზრება უფრო სარწმუნო იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ჟარემოებას, რომ ემოცია ასახვის პირველ სფეროს ეკუთვნის, რომ იგი განწყობის შინაგანი ბუნებაა, განწყობის ფსიქიკური ქვალიტეტია, განწყობის შინამიმდინარეობის უშუალო ასახვაა და ამიტომ მის განუყრელ მხარეს წარმოადგენს. განწყობის წარმოშობა და მიმდინარეობა ემოციის წარმოშობა და მიმდინარეობაც არის და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ, მანამ, სანამ გველის „შემცველი" განწყობა განვითარების იმ საკენხურს მიაღწევდეს, სადაც გველის ცნობიერების შინაარსად გაფორმება უნდა მოხდეს, პიროვნება ამ განწყობისათვის დამახასიათებელ ემოციას — შიშს — განიცდის. რომ მას მანამ ეშინია, სანამ გველის ხატი განწყობიდან ცნობიერებაში შემოვიდოდეს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ემოცია და, მაშასადამე, შიშიც უშუალოდ განწყობის სფეროს ეკუთვნის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ შიში აქ განუსაზღვრელი და ინდიფერენტული არ არის; მასში რაღაცნაირად იმ საგნის გრძნობაც არის მოცემული, რომელთანაც აღნიშნული შიში არის დაკავშირებული.

უდავოა, რომ განწყობის აღმოცენებისა და მიმდინარეობის ფიზიოლოგიურ მექანიზმს დიდი რუსი მეცნიერის ივანე პავლოვის მიერ აღმოჩენილი ანალიზისა და სინთეზის, აღგზნებისა და შეკავების ნერვული პროცესები წარმოადგენენ. შეუძლებელია განწყო-

ბას რეფლექსის ფიზიოლოგიური მექანიზმისგან განსხვავებული მექანიზმი გააჩნდეს. ამიტომ ჩვენ მიერ ზემოთ განვითარებული საკითხისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ივ. პავლოვის შემდეგ მოსაზრებას: „ვინ გააცალკევებდა უპირობო, ურთულეს რეფლექსებში (ინსტინქტებში) ფიზიოლოგიურ სომატურს ფსიქიკურისაგან, ე. ი. შიმშილის ძლიერი ემოციის, სქესობრივი ლტოლვის, მრისხანებისა და სხვ. განცდებიდან. ჩვენი შეგრძნებები: სიამოვნების, უსიამოვნების, სიადვილის, სიძნელის, სიხარულის, ტანჯვის, ზეიმის, თავგანწირულობისა და სხვ. დაკავშირებულია ხან უძლიერესი ინსტინქტების და მათი გამღიზიანებლების შესაბამის ეფექტორულ აქტებში გადასვლასთან, ხან მათ შეკავებასთან, ყოველგვარი ვარიაციებით ნერვული პროცესების ადვილ ან ძნელ მიმდინარეობასთან დიდ ჰემისფეროში, როგორც ეს ჩანს ძაღლებზე, რომელნიც წყვეტენ ან ვერ წყვეტენ სხვადასხვა სიძნელის ნერვულ ამოცანებს“ [1].

რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე განწყობის განვითარების უსაგნო ეძოციის საფეხურზე იმ შემთხვევაში, როცა ისეთი ფიქსირებული განწყობის აქტივაცია ხდება, რომელიც ემოციას, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არ გულისხმობს?

ემოციურად აბსოლუტურად ნეიტრალური აღქმა შეუძლებელი უნდა იყოს. ეს აზრი სარწმუნო გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველი აღქმის განწყობა გარკვეული მოთხოვნილების ნიადაგზე იქმნება, რომ სუბიექტი აღქმის საგანთან განსაზღვრული მოთხოვნილებით არის დაკავშირებული.

აქ ხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ ერთი გარემოება: განწყობა სიტუაციის შესატყვისი პიროვნული ცვლილებაა, თვით ეს ცვლილება, ყოველგვარი საფეხურის გარეშე, ცნობიერების ემოციურ მდგომარეობაში აისახება, როგორც მოცემული განწყობის უსიქიკური ქვალიტეტი. ყოველი საგნის აღქმას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური პიროვნული ცვლილება, სპეციფიკური განწყობა ედება საფუძვლად. ამიტომ ყოველი საგნის აღქმის განწყობა სპეციფიკური, ამ საგნის აღქმის განწყობის შესატყვისი ემოციისებური ქვალიტეტით ხასიათდება. განწყობა ცნობიერებას უშუალოდ მხოლოდ ამ უკანასკნელით ეხება. როცა, მაგალ., ჩვენ რაიმეზე ვლაპარაკობთ და ერთბაშად, ერთი წუთით, ყურადღების სხვა რამეზე გადატანის გამო საუბრის თემა და პირზე სათქმელად

[1] ივ. პავლოვი, პირობითი რეფლექსი, 1951 წ., გვ. 18.

მომდგარი სიტყვა გვავიწყდება, ცნობიერებაში გვრჩება შეწყვეტილი საუბრის საფუძველში მდებარე განწყობის დამახასიათებელი სწორედ ისეთი ემოციონალური ქვალიტეტი, რომელიც მხოლოდ დავიწყებული შინაარსისათვის არის დამახასიათებელი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვგრძნობთ, რომ დავიწყებული შინაარსი ენაზე გვადგება, თითქოს იგი ცნობიერების „კარზეა“ მომდგარი, მაგრამ ჯერჯერობით შიგ ვერ შემოდის. ეს იმას ნიშნავს, რომ მიტოვებული საუბრის განწყობა არ დარღვეულა, მაგრამ ჯერჯერობით არ მოხერხდა მისი ხელახლა გადასვლა იმ საფეხურზე, სადაც იგი მასში მოცემული შინაარსის ცნობიერებაში გაშლას მოგვცემდა.

ასეთსავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ წინ რაღაც საკითხს ან პრობლემას აყენებენ და ჩვენგან დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვენ. ასეთ შემთხვევაში ხშირად კითხვის დასმისთანავე ვგრძნობთ, რომ შეგვიძლია მასზე დადებითი პასუხი გავცეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ცნობიერებაში ისეთი არაფერია, რომელიც პასუხისათვის გამოგვადგეს. იმგვარი განცდა გვაქვს, რომ, თითქოს, უშუალოდ ვიცით კიდეც, რა უნდა ვუპასუხოთ. ცნობიერების ამ მდგომარეობას რომ დაუკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ აქაც ცნობიერებაში იმ განწყობის ემოციური ქვალიტეტია წარმოდგენილი, რომელმაც ჩვენ წინ დასმულ კითხვაზე თუ პრობლემაზე პასუხი უნდა გასცეს. ეს ემოციური თუ გრძნობისებური ქვალიტეტი პრობლემის ამოხსნის განწყობის ქვალიტეტია და ამიტომ იგი ამ უკანასკნელთან ერთად ჩნდება და ვითარდება. სანამ მოცემული განწყობა განვითარების იმ საფეხურს მიაღწევდეს, სადაც იგი ამოხსნილ პრობლემას, დასმული კითხვის პასუხს წარმოგვიდგენს, მანამ ცნობიერად ამ განწყობის ემოციური ქვალიტეტია მოცემული.

როგორც ვხედავთ, აქაც უსაგნო ემოციისებური განცდა უსწრებს წინ ცნობიერებაში საგნობრივი სინამდვილის გამოსახვას; მაგრამ როგორც კი გამოისახება უკანასკნელი, იგი ამ ემოციონალური განცდის სამოსში წარმოგვიდგება.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ანალოგიურ მდგომარეობათა ურიცხვ შემთხვევას იძლევა. ის, რასაც ჩვენ საგნობრივი სინამდვილის განცდას ვუწოდებთ, ამ საგნობრივ სინამდვილესთან ურთიერთობაში აღმოცენებული განწყობის ასეთ ემოციურ ქვალიტეტს უნდა წარ-

მოადგენდეს. იქ, სადაც განწყობა განვითარების მაღალ საფეხურზე გადადის და საგნობრივი სინამდვილის ცნობიერებას გვაძლევს, გაცნობიერებული საგანი განიცდება ქვემდებარე განწყობისათვის დამახასიათებელ გრძნობისებურ ქვალიტეტში, ხოლო იქ, სადაც განწყობის განვითარება მხოლოდ ამ საფეხურზე ჩერდება და იგი საგნობრივ ცნობიერებას ვერ გვაძლევს, ფსიქიკური სამყარო არსებითად განწყობის ამგვარი ემოციური ქვალიტეტით უნდა განისაზღვრებოდეს.

გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის მოქმედება, რომელიც თავის თავში შიშსაც შეიცავს, აბრკოლებს კრიტიკული ობიექტის ადექვატური აღქმის საქმეს, რის გამოც ცდის პირი ამ უკანასკნელს დაგვიანებით აღწევს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების ზემოაღწერილ შემთხვევებში გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე კრიტიკული ობიექტის ილუზიური აღქმა არ მოხერხდა, მაგრამ ამ განწყობამ საკმაო სიმძაფრით გამოხატული შიში და გველისაგან თავდაცვის მოძრაობების აქტები მოგვცა, ხოლო კრიტიკული ობიექტის ადექვატური აღქმისას გველთან მსგავსების დადასტურებაში იჩინა თავი.

რატომ კრთება ცდის პირი გველის სურათის აღქმისას? რა აშინებს მას? ეს კითხვა ახალ პრობლემას არ შეიცავს. სიტუაციის ზემოქმედება სუბიექტში ამ სიტუაციის შესატყვისი განწყობის აღმოცენებას იწვევს. მაგრამ სიტუაციის ყველა მომენტი ერთბაშად კი არ ისახება განწყობაში, არამედ იგი დროში გაშლილი პროცესია. სიტუაციის მოქმედების კვალობაზე წარმოებს განწყობის სათანადო დიფერენციაცია.

სურათზე წინა რიგში გველი იყო წამოწეული და ამიტომ განწყობის პირველი ხაზებით გველი გამოისახა, გაჩნდა გველის პირველი კონტურები, გველის განუსაზღვრელი დიფუზური განწყობა, რომელშიც სურათის პლანი და, მაშასადამე, სიტუაციის არასახიფათო ნიშნები ჯერ არ ჩანს. ეს მომენტი შეკრთომით აღინიშნება; მაგრამ მას უდიდესი სისწრაფით მოჰყვა სიტუაციის სხვა არასახიფათო მომენტების (ქაღალდი, სურათი და ა. შ.) შემოხაზვაც, რის გამოც შიში ჩანასახშივე გაქრა და ჯერ გველის სურათის განწყობისეული, ხოლო შემდეგ მისი ობიექტივირებული სახე მიეღეთ. შიში აქაც უსწრებდა წინ სურათის ცნობიერებას.

იქ, სადაც განწყობა დაუბრკოლებლად ვითარდება, შიშს ისე სწრაფად მოსდევს მისი გამომწვევი საგნის ცნობიერება, ისე სწრა-

ფად ხდება გადასვლა განწყობისეული ასახვის სფეროდან ობიექტივაციაქმნილ ასახვის სფეროში, რომ აქ ორი მომენტის დაჭერა დაკვირვებას შეუჩვეველი პირისათვის ძნელი ხდება.

ანალოგიურ შემთხვევებში ჩვეულებრივ ჰგონიათ, რომ შიში ყოველთვის გარკვეული საგნის ცნობიერების ნიადაგზე აღმოცენდება, რომ პირველი წინ უსწრებს მეორეს. ნამდვილად პირიქითაა: შიში უსწრებს წინ სათანადო საგნობრივი სინამდვილის ცნობიერებას, მაგრამ ეს „წინ" უაღრესად მოკლეა, რის გამოც შეიძლება შიში და საგნის ხატი ერთად განიცდებოდეს.

შიშის ეს პირველი მომენტი უსაგნოა იმ აზრით, რომ ამ დროისათვის ჩვენი ცნობიერების ველზე საშიში საგანი არ ჩანს: გვეშინია, მაგრამ არ ვიცით რისი. განწყობის განვითარება რომ ამ საფეხურზე გაჩერდეს, რომ იგი წინ არ წავიდეს (როგორც ამას პათოლოგიურ შემთხვევებში უნდა ჰქონდეს ზოგჯერ ადგილი), შიში გახანგრძლივდება, მაგრამ მისი გამომწვევი საგანი ცნობიერებისათვის მიუწვდომელი დარჩება.

ჩვენს ცდებში, როგორც აღნიშნული იყო, ხშირად მავთულის ადექვატურ აღქმას წინ უსწრებს გველის შესატყვისი შიში და თაედაცვითი მოძრაობანი, რომლებიც ცდის პირში მავთულის ხვეულის ზემოქმედების პირველ მომენტში იჩენს თავს. ასეთ შემთხვევებში საგანი ადექვატურად არის აღქმული, მაგრამ საგნის ადექვატურ აღქმამდე ჩნდება ისეთი გრძნობა (თუ ემოცია), რომელიც მოცემულ ობიექტურ ვითარებას არ შეესატყვისება. ასეთ შემთხვევებში უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ საგნის გრძნობის ილუზიის შესახებ: მავთული ცდის პირში სწორედ იმ გრძნობას იწვევს, რომელიც ჯეელისათვის არის ადექვატური, რომლის გამოწვევაც პირველად მხოლოდ გველს შეუძლია.

საგანწყობო ცდებით ფიქსირებული განწყობის აქტივობის მესამე საფეხური, რომელიც ჩვენს ცდებში კრიტიკული ობიექტის ილუზიური აღქმისაკენ მიმავალ გზაზე დადასტურდა, უსაგნო ემოციის ანუ საგნის გრძნობის ილუზიის სახელწოდებით აღვნიშნეთ. საგნის გრძნობის ილუზია უფრო ახლო დგას კრიტიკული საგნის ილუზიურ აღქმასთან, ვინემ მსგავსება. ამ უკანასკნელს იგი ხშირად თავის თავში შეიცავს.

განწყობის განვითარების აღნიშნული საფეხური ჩვენ მიერ ჩატარებულ სხვა ცდებშიაც დადასტურდა. ცდის პირს პერიფერიული მხედველობის უშორეს არეში ვაჩვენებდით სურათს გამოსაცნობად.

სურათი თანდათანობით უახლოვდებოდა მხედველობის ცენტრს მანამ, სანამ ცდის პირი არ გამოიცნობდა, რა იყო სურათზე დახატული. მას ევალებოდა, სურათი გამოეცნო მხედველობის ცენტრიდან, რაც შეიძლება, უფრო დაშორებულ არეში. სურათი მოძრაობდა მხედველობის ცენტრისკენ ქაღალდზე გაველებულ სწორ ხაზზე, რომელზედაც მეტრული დანაყოფები იყო მოცემული. ოქმში აღინიშნებოდა, მხედველობის ცენტრიდან რამდენი სანტიმეტრით დაშორებულ არეში იქნა გამოცნობილი სურათი.

ცდებისათვის აღებული იყო სამაგვარი ლოტოდან სხვადასხვა ცხოველისა და საგნის სულ ოცი სურათი. საგანწყობო ცდებში ცდის პირს, აღნიშნული წესის მიხედვით, გამოსაცნობად ეძლეოდა რიგრიგობით თითოეული სურათი მხოლოდ ერთხელ. კრიტიკული ცდები ტარდებოდა მეორე დღეს. ახლაც ცდის პირს იგივე სურათები ეძლეოდა შემთხვევითი რიგით იმავე პირობებში, იმავე ინსტრუქციით.

კრიტიკულ ცდებში, როგორც წესი, ცდის პირი სურათის გამოცნობას ახერხებს მხედველობის ცენტრიდან გაცილებით უფრო დაცილებულ არეში, ვინემ ამას საგანწყობო ცდებში ჰქონდა ადგილი. ცდის შედეგებიდან ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი: კრიტიკული ცდების მიმდინარეობის დროს ცდის პირი ხშირად მოითხოვდა სურათის მოძრაობის შეჩერებას მხედველობის ცენტრისკენ. ეს, მისი მხრივ, იმის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ სურათი უკვე გამოიცნო. სურათს ვაჩერებდი, მაგრამ, რადგან იგი არ ასახელებდა გამოცნობილ საგანს, რაც მას ინსტრუქციით ევალებოდა, ვთხოვდი დაესახელებინა, რა იყო სურათზე გამოხატული. ასეთ შემთხვევაში ცდის პირთა ტიპიური პასუხები ასეთი იყო: „ის არის ე... ჰმ... მოიცათ, მოიცათ, არ წამოიღოთ სურათი, ამ წუთში გეტყვით!.. ვიცი, რა არის“... „ახლავე, ახლავე, ვგრძნობ, რაც არის... ცოტა მადროვეთ!“... „ის არის ე... ჰმ... მაშინ რომ იყო“... „მოიცათ, ვგრძნობ, ვიცი, რაც არის... თითქოს დაკარგულდა ცნობიერება, არ მოდის, მაგრამ ცოტა მადროვეთ და უეჭველად გეტყვით!“... ცოტა ხნის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, ცდის პირები მართლა ასახელებენ საგანს.

ცდის პირებთან საუბრის გზით ირკვეოდა, რომ მათ საგნის სახელი კი არ ავიწყდებოდათ, არამედ საგანი არ შემოდიოდა ცნობიერებაში. საგნის ხატი არ ჩნდებოდა, თვითონ საგნის ცნობიერება არ იყო. მაგრამ მაშინ რას ემყარებოდა ცდის პირის ეგოდენ ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ მას უეჭველად შეუძლია თქვას, რა

საგანთან აქვს საქმე? განწყობასო, იტყვიან განწყობის ფსიქოლოგიის წარმომადგენლები, მაგრამ თვითონ ეს განწყობა ხომ უნდა ყოფილიყო რაღაცნაირად განცდილი, რომ ეს განცდა ცდის პირთა ასეთი ცნობიერი ქცევის მოტივად გადაქცეულიყო?

ზოგი ცდის პირი პირდაპირ ამბობდა: საგანს ვგრძნობ, საგნის გრძნობა მაქვს და, ცოტას კიდევ თუ მადროვებთ, ცნობიერებაში თვითონ საგანიც გაჩნდებაო. ცნობიერების ეს მდგომარეობა კარგად შეესატყვისება განწყობის განვითარების იმ საფეხურს, რომელიც ზემოთ უსაგნო ემოციის, ანუ საგნის გრძნობის საფეხურის სახელწოდებით აღვნიშნეთ.

იმის გამო, რომ ზემოაღწერილ ცდებში განწყობა არ არის მტკიცედ ფიქსირებული და ამავე დროს კრიტიკული ცდები მისი ხელახალი აქტივაციისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის (პერიფერიული ხედვა), ფიქსირებული განწყობის გაშლის პროცესი ვერ მიმდინარეობს ჩვეულებრივი სისწრაფით, ამიტომ ახლა განწყობა ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივად რჩება თავისი განვითარების უსაგნო ემოციის საფეხურზე. როგორც საერთო დაკვირვებიდან ჩანს, განწყობის განვითარების სხვა საფეხურები უფრო ახლო დგანან ერთმანეთთან, ვიდრე განწყობის განვითარების უსაგნო ემოციის, ანუ საგნის გრძნობის საფეხური განწყობის განვითარების შემდგომ საფეხურთან.

ჩვენი აზრით, განწყობის განვითარების ამ საფეხურის საფუძვლიან შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების საქმისათვის.

4. ეპვნული ილუზია. ფიქსირებული განწყობის აქტივობა რომ ოდნავ გასცილდეს იმ საზღვრებს, რომლებშიაც იგი უსაგნო ემოციას გვაძლევს, კრიტიკული ობიექტის ილუზიურ აღქმას მივიღებთ: ცდის პირი მავთულს გველად აღიქვამს. გველის ილუზიურ აღქმას წარუძღვება წინა საფეხურისათვის დამახასიათებელი შიში და სათანადო თავდაცვითი მოძრაობები. ფიქსირებული განწყობის აქტივობის ამ საფეხურისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ იგი სრულყოფილ ილუზიას ვერ გვაძლევს. თვით ილუზიური აღქმის შინაარსში, იმ გრძნობადი მასალის გარდა, რომელიც ილუზიის საგანს გამოსახავს, მართალია, ჯერ უკანა რიგში, მაგრამ მაინც კრიტიკული ობიექტის ისეთი ნიშანიც არის მოცემული, რომელიც გველის გამოსახვაში ადგილს ვერ ნახულობს და სხვა საგანზე მიუთითებს. ამიტომ ეს ნიშანი ჩქარა წინა რიგში გადმოდის, კრიტიკული ობიექტის ხელახალი ზემოქმედების გა-

რეშე გველის აღქმის განწყობას არღვევს და ცდის პირს ილუზიიდან ათავისუფლებს. აქ დაახლოებით ისე ხდება, როგორც იმ შემთხვევაში, როცა რაღაც სიტყვას მოჰკრავ ყურს ან კიდევ სწრაფად მოავლებ თვალს რაიმეს და მხოლოდ შემდეგ, გვიან გაიგებ, რა იყო თქმული ან დანახული.

№ 12 ოქმში კარგად არის წარმოდგენილი ეს მომენტი. ცდის პირი მავთულს გველად აღიქვამს და შეშინებული გარბის, ჭრონია, გველიც თან მისდევს. მაგრამ გზაზე გველის ილუზია ქრება და ცდის პირი უკან დამშვიდებული ბრუნდება იმ რწმენით, რომ გველი კი არა სხვა რაიმე იყო. სახელდობრ, რა იყო, დაახლოებით ამასაც ასახელებს: „შეიძლება რეზინი იყო დახვეული ან კიდევ სხვა რამე ასეთი", — ამბობს იგი. კრიტიკული ცდის მომენტში ცდის პირი, საგანწყობო ცდების ზემოქმედების შემდეგ, შინაგანად გველისაკენ იყო მიმართული, გველისკენ იყო მიბრუნებული და ამიტომ გასაგებია, რომ კრიტიკულმა ობიექტმა მასზე პირველ რიგში გველის ნიშნით (დაკლაკნილობა, ფერი და ა. შ.) მოახდინა ზეგავლენა, რასაც შედეგად გველის აღქმის ფიქსირებული განწყობის აქტივაცია მოჰყვა. ეს უკანასკნელი იმდენად ინტენსიური აღმოჩნდა, რომ მან გველის აღქმის ილუზია მოგვცა. მაგრამ ამავე განწყობაშივე, გველის ნიშნებთან ერთად, ჯერჯერობით აფექტით დაჩრდილული, მავთულის ისეთი ნიშნებიც აისახა, რომლებიც მას გველისაგან არსებითად განასხვავებენ. ეს ნიშანი განწყობის აფექტური მომენტის შესუსტებასთან ერთად წინა რიგში გადმოიწია, გველის აღქმის განწყობასთან წინააღმდეგობაში მოვიდა და იგი დაარღვია. რის შედეგადაც ილუზია გაქრა.

ფიქსირებული განწყობის აქტივობის ეს საფეხური ეჭვნეული ილუზიის სახელწოდებით აღვნიშნეთ: ფიქსირებული განწყობა გაშლისა და განვითარების ამ საფეხურზე თავის თავში ატარებს ილუზიურად ასახული საგნისაკენ მიმართულ ეჭვს კრიტიკული ობიექტის იმ ნიშნის სახით, რომელიც მალე ამ ობიექტის ილუზიურად აღქმის შესაძლებლობას სპობს.

5. სრულყოფილი ილუზია. №№ 21, 28 და 29 ოქმებში წარმოდგენილი ცდის პირები იმდენად სრულყოფილ ილუზიას იძლევიან, რომ ზოგჯერ (ოქმი № 21) იმისთვის, რომ ცდის პირში ილუზიური აღქმით გახანგრძლივებული შიშის განცდა მოგვეპო, საგანგებო ზომების მიღება დაგვჭირდა.

დანარჩენ ცდის პირებსაც ისეთი ძლიერი ილუზია გაუჩნდათ, რომ მესამე ჩვენების შემდეგაც ვერ მოახერხეს მისგან თავის და-

ღწევა. მათი ეჭვი მხოლოდ იმას ეხებოდა, რომ ვერ გაერკვიათ: ცოცხალი გველი იყო თუ მკვდარი. ბუნებრივ გველთან ჰქონდათ საქმე თუ მის მოდელთან.

ამ საფეხურზე ფიქსირებული განწყობა იმდენად აქტიური, იმდენად ენერგიულია, რომ იგი უეჭვო და სრულყოფილ ილუზიას გვაძლევს: გველი აღიქმება, როგორც ჩვეული. მისი შეცვალობა იქამდე მიდის, რომ კრიტიკული ობიექტის ის გრძნობადი ნიშნები, რომელნიც გველის გამოსახვას ეწინააღმდეგებიან, მოცემულ პირობებში ვერ ახერხებენ ფიქსირებული განწყობის საზღვრებში შეჭრას. ფიქსირებული განწყობის აქტივობის ამ საფეხურს იმის გამო, რომ იგი სრულყოფილ ილუზიას გვაძლევს, ჩვენ სრულყოფილი ილუზიის საფეხური ვუწოდეთ.

ამგვარად, ამ ცდების მონაცემების მიხედვით, რომელთა ანგარიშიც აქ იყო წარმოდგენილი, ფიქსირებული განწყობის აქტივობის ხუთი განსხვავებული საფეხური გამოვყავით (მხედველობაში არაა მიღებული ჩვეულის ადექვატური აღქმა, როცა საკვლევი ფიქსირებული განწყობის აქტივობა ნულს უდრის). ამ საფეხურების დადგენის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა მასალის თავისებურებამ. ცდებისათვის რომ პირველად ემოციურად ნეიტრალური ობიექტი ყოფილიყო აღებული, აღნიშნულ გარემოებათა შემჩნევა შედარებით ძნელი საქმე იქნებოდა.

აღნიშნული საფეხურების დადგენის დროს ჩვენ ხელმძღვანელობდით იმ შედეგებით, რომლებსაც ფიქსირებული განწყობის აქტივობა იძლეოდა. ეს მონაცემები ძირითადად ცნობიერების მოვლენათა სახით იყო წარმოდგენილი და ამიტომ განწყობის აქტიკობის საფეხურებს მათ ნიადაგზე აღმოცენებული ცნობიერების შინაარსის მქონე სახელწოდებანი მივეცით.

(შემოვიდა რედაქციაში 15. IX. 1954).

Ш. Н. ЧХАРТИШВИЛИ

К ПРИРОДЕ ПРЕДМЕТНОЙ ИЛЛЮЗИИ

Резюме

1. Проблема. Смена установки, действующей по направлению количества, происходит по контрасту. В контрасте может находиться отдельная сторона предмета, а не сам предмет, ибо контрастом являются два, количественно крайне различные, выражения какого-либо отдельного свойства предмета. Поэтому понятно, что установка предметного восприятия не может действовать контрастно; она не подчиняется „основному закону" смены установки, закону, который выясняет нам лишь свойства установки, направленной на количество. Спрашивается: какие закономерности содержит в себе установка восприятия предметной действительности?

2. Метод. В установочном опыте испытуемому предлагались для осмотрения рисунки змеи из книги Брема „Жизнь животных", и попутно ему задавались вопросы: видел ли он змею? Убил ли он когда нибудь ее? Имел ли он когда-нибудь опасные случаи со змеей?

Для критического опыта на дне правого, верхнего ящика письменного стола была прикреплена чёрная извилистая проволока, а в левом ящике было постлано кашне, напоминающее по цвету пёструю змею. В конце установочного опыта мы серьёзным тоном спрашивали испытуемого: не будет ли ему страшно, если сейчас в ящике стола, без всякой опасности для него, покажу ему настоящую змею? После этого я говорил, что в ящике ничего опасного нет, и просил возможно быстрее выдвинуть ящик, перед которым он сидит, и так же быстрее закрыть его. Критический опыт происходил с одним ящиком. Для предварительной проверки того, как воспринимал испытуемый критический объект вне установочного опыта, был применен второй ящик.

3. Результаты опыта: 1) Из тридцати испытуемых ни один не воспринимал предлагаемый объект в спокойном состоянии, без резко выраженного страха. Адекватное восприятие критического объекта с самого начала удалось лишь незначительной части испытуемых, и то после значительного страха и препятствий. 2) Испытуемые, окинув взглядом критический объект, не-

реживали резко выраженный страх, сопутствовавший специфическими движениями (выкрики, защитительные движения руками, вскакивание со стула, бегство и т. д.) Особое внимание заслуживает то, что в этот момент у испытуемого еще нет сознания какого-нибудь определенного предмета. За страхом и защитительными движениями моментально следует восприятие проволоки (кашне) похожей на змею, или же иллюзия настоящей змеи. Некоторые испытуемые не могут освободиться от иллюзии даже после четвертой экспозиции критического объекта. 3) При иллюзии испытуемые к чувственным материалам, полученных от критического объекта (проволока, кашне), часто присоединяют содержания тех впечатлений, которые они получают от других предметов, существующих в поле зрения. Извилистая проволока и пёстрое кашне, действующие на них мгновенно, в один момент, воспринимаются, как извилистая, пёстрая змея.

4. Заключения. 1) Процесс возникновения установки протекает под знаком какого-то чувствоподобного, эмоционального переживания той ситуации, на почве которой создается установка. Интеллектуальное, предметное сознание ситуации проявляется в последствии. Первое отделяется от второго незначительным, часто трудно заметным промежутком времени. 2) Слабейшая активность установки, фиксированной в установочном опыте, проявляется в восприятии критического объекта, как знакомого, а самое интенсивное действие ее выражается в иллюзии — в восприятии проволоки (кашне) как змеи. Между ними находится несколько переходящих ступеней, из которых более важным можно считать ступени сходства и беспредметной эмоции.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

მ. ზ ა რ ძ უ ა

ზოგიერთი ზოგადფსიქოლოგიური საკითხი ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსულმა პროგრესულმა აზროვნებამ მოგვცა მრავალი ისეთი ზოგადფსიქოლოგიური დებულება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერული ფსიქოლოგიის თეორიული საფუძველდებისათვის. ამ მოაზროვნეთა შორის ბ. გ. ბელინსკი ერთი პირველთაგანი იყო ეპოქალურადაც და თეორიული აზრის სიძლიერითაც.

ამ სტატიის მიზანია იმის ჩვენება, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მოსაზრებანი მოიპოვება ბელინსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

საკითხის ასე დაყენებისას წინასწარ უნდა გაირკვეს ერთი რამ: როგორც ცნობილია, ბელინსკი იყო ლიტერატურის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი და არა ფსიქოლოგი-მკვლევარი; როგორ მოხდა, რომ მან ამ თავის ესთეტიკურ ნაწარმოებებში ორიგინალური ფსიქოლოგიური მოსაზრებები გამოთქვა?

საქმე იმაშია, რომ თვითონ ბელინსკის ესთეტიკა იყო ისეთი, რომელიც პრინციპულად მოითხოვდა ფსიქოლოგიური ცნებების გამოყენებას. ბელინსკის აზრით, სრულიად გაუმართლებელია ცალკე ისტორიულ-ემპირიულისა და ცალკე კიდევ ფილოსოფიური კრიტიკის არსებობა. უნდა არსებობდეს ერთადერთი ესთეტიკა, რომლის განკარგულებაში უნდა გადავიდეს მთელი ხელოვნებითი სინამდვილე, ე. ი. ამ ერთმა ესთეტიკამ უნდა განიხილოს ხელოვნების ობიექტური ფაქტიც (მხატვრული ნაწარმოები) და შემოქმედების შინაგანი მექანიზმიც (შემოქმედების პროცესი).

აქედან ცხადია, რომ ბელინსკის თავის ესთეტიკურ კვლევაძიებაში სჭირდებოდა ფსიქოლოგიური ცნებების გამოყენება. მაგრამ მას ხომ შეეძლო გამოეყენებინა იმ დროს არსებული მონაპო-

ვარი ფსიქოლოგიური აზროვნებისა, სადაც ამას საკითხის განხილვა მოითხოვდა. დიახ, მაგრამ ამას ერთი გარემოება უშლიდა ხელს: მაშინ არსებული არც მეტაფიზიკურისა და არც ემპირიული ფსიქოლოგიის თეორიული მონაპოვარი არ გამოდგებოდა ბელინსკის ესთეტიკაში გამოსაყენებლად, რადგანაც ეს უკანასკნელი მატერიალისტური ესთეტიკა იყო და, მაშასადამე, მატერიალისტური ფსიქოლოგიის მიერ მოპოვებულ დებულებებს მოითხოვდა სათანადო საკითხების განხილვისას. ასეთი ფსიქოლოგია კი გასული საუკუნის 30-იან—40-იან წლებში არ არსებობდა. ამიტომ ბელინსკის ესთეტიკურმა სისტემამ ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვა, რომ მის ავტორს ამ სისტემის შესაბამისი მატერიალისტურ-ფსიქოლოგიური დებულებებიც წამოეყენებინა.

* * *

მეცნიერული ფსიქოლოგიის პირველსათავიდან დაწყებული, ვიდრე დღევანდლამდე, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ორგვარი განმარტება და მათ შორის მეტად თუ ნაკლებად პრინციპული ბრძოლაა ცნობილი: პრინციპულ დებულებას — ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულის შესახებ — დაუპირისპირდა და პრინციპულიე დებულება — ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულიერი მოვლენების შესახებ, ის არ შეიძლება იყოს მეცნიერება სულის შესახებ. ინგლისური ემპირიზმი, რომელმაც პირველად წამოაყენა ეს დებულება, თანმიმდევარი ვერ აღმოჩნდა და მისთვის დამახასიათებელი აზროვნების სიმხდალის გამო სულიერ მოვლენათა პირველწყაროდ მაინც მეტაფიზიკური სული დატოვა, მაგრამ ფსიქოლოგიის საგნის ზემომოტანილმა ახლებურმა განსაზღვრებამ ამ მეცნიერების ემპირიული მიზნებისათვის მაინც მნიშვნელოვანი დადებითი როლი ითამაშა. საქმე ის იყო, რომ ფსიქოლოგიას გამოსაკვლევად ეძლეოდა გამოცდილებაში არსებული ისეთი ეჭვმიუტანელი საგანი, რომლის მეცნიერული კვლევა სავსებით შესაძლებელი იყო. ახლა საჭირო იყო მხოლოდ: მეცნიერულ აზროვნებას თავიდან მოეშორებინა სულიერ მოვლენათა სუბსტანციად მიჩნეული სული, დაეძლია ემპირიზმის მეთოდოლოგიური მანკი და ფსიქოლოგია ჭეშმა-

რიტად მეცნიერულ გზაზე დაეყენებინა. მაგრამ ეს არ იყო ადვილი საქმე, რამდენადაც მისი განხორციელება მოითხოვდა არა მარტო გაბედულ ემპირიულ-მეცნიერულ აზროვნებას, არამედ უმთავრესად იმ იდეოლოგიური ჯებირის გადალახვას, რომლის მეტაფიზიკური არსი უდიდეს დაბრკოლებას ქმნიდა. ასეთი იყო მდგომარეობა გასული საუკუნის 30-იან — 40-იან წლებში, ამიტომ ყოველი ახალი სიტყვა, უეშმარიტად მეცნიერული აზრის სასარგებლოდ თქმული, „აბსტრაქტული აზრის უნაყოფო უდაბნოდან თავის დაღწევას“ ნიშნავდა და ამდენადვე კულტურის ისტორიის წინაშე უდიდეს დამსახურებას წარმოადგენდა. ბელინსკიმ ამ მხრივ უდიდესი ამაგი დასდო ფსიქოლოგიურ მეცნიერებას. მის ლიტერატურულს შემოქმედებაში მრავალ ფსიქოლოგიურ საკითხს მოეფინა ნათელი; განიმარტა მრავალი ზოგადფსიქოლოგიური პრობლემა ნამდვილად მეცნიერული პოზიციებიდან. აი ზოგიერთი მათგანი:

1. ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება. მისი საგანი. ამ საგნის ბუნება.

ბ. გ. ბელინსკის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვინტესენციის, მისი არსის გათვალისწინება უფლებას გვაძლევს, ავტორის შეხედულება ამ საგანზე ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

ა. ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულიერი მოვლენების შესახებ. ის არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც კვლევის საკუთარი საგანი და საკუთარი მეთოდი გააჩნია.

ბ. ფსიქოლოგიის კვლევის საგანს შეადგენს ის სინამდვილე, რომელიც ორგანული მატერიის განვითარების უმაღლეს საფეხურზე მიიღება და ამის გამო თვითონაც წარმოადგენს უმაღლეს სინამდვილეს. ესენია: შემეცნებითი პროცესები. ემოციური განცდები და ნებელობის აქტები.

გ. ფსიქოლოგია სოციალურ-ისტორიული ხასიათის მეცნიერებაა, რადგანაც მისი საგანი ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების ისტორიულს პროცესშია ჩამოყალიბებული და ამდენადვე ისტორიულსავე კანონზომიერებას ექვემდებარება.

დ. ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგია არის დამოუკიდებელი მეცნიერება და რომ მას აქვს თავისი საგანი, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ფსიქიკური დამოუკიდებლად, თავისთავად არს ებობ-

დეს სადმე მატერიალური სამყაროსგან მოწყვეტილად. არა! იგი ფიზიკური სინამდვილისგან განსხვავებული სინამდვილეა და არა დამოუკიდებელი.

„ადამიანის სულიერი ბუნება კი არ უნდა გაითიშოს ფიზიკურისაგან, როგორც რაღაც განსაკუთრებული და მასზე დამოუკიდებელი, არამედ უნდა განსხვავებულ იქნას მისგან ისე, როგორც ანატომიის სფერო ფიზიოლოგიის სფეროსაგან. გონების კანონები უნდა მოიძებნოს გონებისავე მოქმედებაში. ესაა საქმე ლოგიკისა, იმ მეცნიერებისა, რომელიც უშუალოდ მოსდევს ფიზიოლოგიას ისე, როგორც ფიზიოლოგია მოსდევს ანატომიას. იგი უნდა წავიდეს თავისი გზით, მაგრამ ერთი წუთითაც კი არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი კვლევის საგანს წარმოადგენს ყვავილი, რომელსაც ფესვები მიწაში აქვს გადგმული; ე. ი. სულიერი, რომელიც სხვა არა არის რა თუ არ ფიზიკურის მოქმედება“ [1].

შეიძლება ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს იმან, რომ აქ ლაპარაკია ლოგიკის და არა ფსიქოლოგიის შესახებ. მაგრამ ძნელი არ არის იმის გამორკვევა, რომ ნამდვილად ფსიქოლოგია აქვს ავტორს მხედველობაში და არა ლოგიკა. ამის საბუთად გამოდგება ამონაწერის საერთო აზრი, სადაც გარკვეულადაა ნათქვამი: ის მეცნიერება, რომელზედაც აქ ლაპარაკია, „უშუალოდ მოსდევს ფიზიოლოგიასო“. ამის გარდა, ბელინსკის სხვა დროს აქვს გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ „ფსიქოლოგია, რომელიც არ ეყრდნობა ფიზიოლოგიას, ისევე უსუსურია, როგორც ფიზიოლოგია, რომელმაც ანატომიის არსებობის შესახებ არაფერი იცისო“ [2].

სხვათაშორის: პროფ. ბ. მ. ტეპლოვიც იმ აზრისაა, რომ აქ ლაპარაკია არა ლოგიკის, არამედ ფსიქოლოგიის შესახებო [3].

საგანგებო ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ბელინსკი ფსიქოლოგიის, როგორც სულიერი მოვლენების შემსწავლელი მეცნიერების, დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე ლაპარაკობს. გასული საუკუნის 30-იან—40-იან წლებში ასეთ პოზიციაზე დგომას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ დროს ფსიქოლოგიის დამოუკიდებლობის საპიროებაში ეჭვი იყო შეტანილი. სინამდვილის ის სფერო, რომელიც ფსიქოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს, ბუნებათმეცნიერებასა და ისტორიას შორის მდებარე

[1] В. Г. Белинский, Избр. соч. под ред. Головенченко, 1947 г., გვ. 655. შემდეგში ეს წყარო აღნიშნული იქნება ასე (Гол.)

[2] იქვე, გვ. 553.

[3] Советская педагогика, № 5, 1948 г., გვ. 39.

სინამდვილედ მიაჩნდათ და ამ ორ მეცნიერებას უნდა გაეწაწილებინა იგი უნაშთოდ.

ბელინსკი, ფსიქოლოგიის დაცვისას გამოდიოდა იმ სწორი მოსაზრებიდან, რომ ამ მეცნიერების საგანი წარმოადგენს სინამდვილის განსაკუთრებულ სფეროს, რომლის შესწავლა, ფსიქოლოგიის გარდა, არც ერთს სხვა მეცნიერებას არ შეუძლია. ეს ის სფეროა, „რომელიც შეადგენს ადამიანში უმაღლესსა და უკეთილშობილეს სინამდვილეს; ის, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სულიერ ცხოვრებას, ე. ი. გრძნობა, გონება და ნებელობა, რომლებშიაც მჟღავნდება ადამიანის მარადიული, გარდუვალი და აუცილებელი არსება" [1].

ფსიქოლოგიის საგანი სულიერი ცხოვრებაა და მისი შესწავლაც უნდა მოხდეს მისივე კანონზომიერებათა გათვალისწინებით. მაგრამ ეს დებულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მატერიალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისზე დგომას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დახასიათდება თვითონ სულიერი ცხოვრების ბუნება. ჩვენ ზევით დავინახეთ, თუ როგორ უყურებს ბელინსკი ფსიქიკური ცხოვრების ბუნებას, თუ რად მიაჩნია იგი მას. სულიერი მოვლენა სხვა არაფერია, თუ არ ფიზიკურის მოქმედება; იგი არის ყვავილი, რომელსაც ფესვები მიწაში აქვს გადგმული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ფსიქიკა მატერიის თვისებაა, მისი ფუნქციაა, მისი განვითარების შედეგია, ის „ყვავილია". მაგრამ როგორც ნიადაგმცოდნეობა ვერ იკისრებს ბოტანიკის მაგივრობას და ვერ შესძლებს ყვავილის კანონზომიერებათა შესწავლას, ისევე ბუნებისმეტყველება, კერძოდ ფიზიოლოგია, ვერ დაივალებს ფსიქიკის კანონზომიერებათა დადგენას, ხელს ვერ მიჰყოფს ფსიქიკურ მოვლენათა შესწავლას. ამიტომაა, რომ ბელინსკი ფსიქოლოგიას ადამიანის სულიერი ცხოვრების შემსწავლელ მეცნიერებად თვლის და სხვა მეცნიერების მიერ მისი შესწავლა შეუძლებლადაც მიაჩნია. ბელინსკის საერთო შეხედულებიდან ისიც გამოდის, რომ ფსიქოლოგია არ შეიძლება ბუნებისმეტყველური მეცნიერება იყოს, იგი ადამიანურის მეცნიერებაა და, მაშასადამე, სოციალურ მეცნიერებათა სისტემას უნდა განეკუთვნოს.

ემპირიზმის ძირითადი მანკი, — სულიერი მოვლენების სუბსტანციად მეტაფიზიკური სულის მიჩნევა, — ბელინსკის ფსიქოლოგიურს ნააზრევში მთლიანად დაძლეულია ჯანსაღი მატერიალისტური პო-

[1] Белинский (Гос.), გვ. 513.

ზიციებიდან. ამაშია ბელინსკის უდიდესი დამსახურებაც. გასული საუკუნის პირველ ნახევარში მის მიერ გამოთქმული აზრები — ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულიერი მოვლენების შესახებ, ფსიქიკური კი სხვა არაფერია, თუ არ ფიზიკურის პროდუქტი, ტვინის პროდუქტი; ფსიქიკური ცალკე, ორგანიზმისგან დამოუკიდებლად კი არა, არამედ მხოლოდ მასთან ერთად და მასთან მთლიანობაში არსებობს; ფსიქიკური ფიზიკურის პროდუქტია, მაგრამ მისგან განსხვავებული, ამიტომ მას თავისი კანონზომიერება აქვს და ეს კანონზომიერება ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოსო, — ისეთი დებულებებია, რომლებიც შეტანილია თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითად თეორიულ ფონდში.

2. ფსიქოლოგიის მეცნიერული მეთოდისათვის.

ფსიქოლოგიის მეცნიერული მეთოდის ძიების საქმე მეცნიერული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტალური საკითხი იყო ყოველთვის; მას არც ამჟამად დაუკარგავს თავისი აქტუალური ხასიათი. ცნობილია, რომ მეტაფიზიკურს ფსიქოლოგიას არც კი ჰქონდა სპეციალური ფსიქოლოგიური მეთოდი. ემპირიულმა ფსიქოლოგიამ, ჩვენი მეცნიერების საგნის განსაზღვრასთან ერთად, მეცნიერული მეთოდის შემუშავებაზეც იზრუნა და, მართლაც, მონახა იგი. ემპირიზმის მიერ ფსიქოლოგიის უნივერსალურ მეთოდად თვითდაკვირვება იქნა გამოცხადებული, მაგრამ აქაც არსებითი ხასიათის შეცდომა დაუშვეს: რამდენადაც სწორი იყო ფსიქოლოგიის მეცნიერულ მეთოდად თვითდაკვირვების გამოცხადება, იმდენადვე მცდარი იყო მისი აღიარება უნივერსალურ მეთოდად. ეს შეცდომაც ემპირიზმის საერთო შეხედულების მცდარობის შედეგი იყო: საქმე იმაშია, რომ სულიერისა და სხეულებრივის პრინციპულად ერთიმეორისგან გათიშვის გამო მან სხვისი სულიერი ცხოვრების წვდომა აბსოლუტურად შეუძლებლად მიიჩნია. ჩემი განცდა ჩემშია ჩაკეტილი და სხვისთვის იგი სრულიად მიუწვდომელიაო, ამბობდა ემპირიზმი. მაგრამ სხვისი განცდის შეცნობადობის ფაქტი რეალურად არსებობდა და მას ანგარიში უნდა გასწეოდა. ამიტომ იყო, რომ ფსიქოლოგიის შემდგომმა განვითარებამ სხვათა დაკვირვების მეთოდის შემოღება აუცილებელ საქმედ მიიჩნია და თავის პრაქტიკულს საქმიანობაში მისი გამოყენებაც სცადა. საბედნიეროთ ეს მეთოდი მტკიცედ დამკვიდრდა, მაგრამ მის დასაბუთებას მცდარი შეხედულება დაედო საფუძვლად.

საქმე ისაა, რომ ბურჟუაზიულმა ფსიქოლოგიამ სხვათა დაკვირვების მეთოდის დასაბუთება ანალოგიის თეორიით სცადა:

„ამ თეორიის მიხედვით, სხვის განცდას უშუალოდ კი არ ვწვდები, ამ განცდას უშუალოდ კი არ ვაკვირდები, არამედ ჯერ სხეულის ცვლილებათა ობიექტურ დაკვირვებას ვაწარმოებ და იმის მიხედვით, თუ რა განცდების გამოხატულებაც ვცნობ მათ — თანახმად ჩემი თვითდაკვირვებისა — დავასკვნი, რომ სუბიექტს ესა და ეს განცდა უნდა ჰქონდეს. ასეთია ე. წ. ანალოგიის თეორია, რომელიც, მაშასადამე, სხვისი სულიერი ცხოვრების გაგების შესაძლებლობას სავსებით თვითდაკვირვების მონაცემთა შინაარსზე ამყარებს“ [1].

ანალოგიის თეორიას ეწინააღმდეგება პრაქტიკა; იგი მცდარია თეორიულადაც. ჯერ ერთი, როდესაც დამკვირვებელი სუბიექტი ხედავს შეშინებული ადამიანის გაფითრებას, მის აბურძგნულ თმას და სხვა სიმპტომებს, ის ასე კი არ მსჯელობს: როდესაც მე თვითონ შეშინებული ვარ, მაშინ ვფითრდები, თმა ამებურძგნება და სხვა მისთანანი; ახლა ვხედავ ასეთი სხეულებრივი ნიშნების მქონე ადამიანს, მაშასადამე, ის შეშინებულიაო. არა! თვითონ განცდაში, დამკვირვებლის ცნობიერებაში, ასეთი რამ არასოდეს არაა მოცემული.

მეორეც, დაკვირვება აქ ფსიქიკას კი არ შეეხება, არამედ მხოლოდ სხეულს. შედეგები კი მხოლოდ დასკვნის სახით გვეძლევა, რაც ფსიქოლოგიური მეთოდისათვის არ შეიძლება დამახასიათებლად ჩაითვალოს.

დასასრულ, ცნობილია, რომ საკუთარი ფსიქიკის შეცნობა არ წარმოადგენს ისეთ მარტივ ოპერაციას, თითქოს იგი უწინარესი იყოს სხვისი სულიერი მოვლენების შეცნობასთან შედარებით.

თეორიულად ანალოგიის პრინციპის მცდარობა იმაშია, რომ იგი არა თუ ახალს ვერაფერს გვაძლევს თვითდაკვირვებასთან შედარებით, არამედ ვერც ამ უკანასკნელს შეედრება, რადგანაც მის დამახინჯებულ სახეს წარმოადგენს.

ამიტომაც უარყო თანამედროვე ფსიქოლოგიამ ანალოგიის თეორია და თვითონ უშუალობის თვალსაზრისზე დადგა. საქმე ისაა, რომ მოქმედება ადამიანის ფსიქოლოგიის გრძნობად მოცემულობას წარმოადგენს და, მაშასადამე, როდესაც მას ვაკვირდებით, სრული შესაძლებლობა გვეძლევა სწორედ ფსიქიკას დავაკვირდეთ. სულიერი ცხოვრება აქ უშუალოდ, ხელშესახებად, ობიექტურადაა

[1] დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940 წ., გვ. 19.

მოცემული. „სხვისი სულიერი ცხოვრების მასალის დაგროვება ობიექტური დაკვირვების საშუალებითაც შეიძლება“ [1].

როგორ ფიქრობს ბელინსკი ამ საკითხის შესახებ? შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ საკითხშიაც მას სწორი შეხედულება აქვს შემუშავებული. მისი აზრით, ქცევაში უშუალოდ გვეძლევა ფსიქიკა და არა შემოვლილი, ანალოგიის გზით: „ადამიანის შინაგანი, ჩვენგან დაფარული მოქმედება შედეგის სახით გამოვლინდება გარეთ ადამიანის სახესა, გამოხედვასა, ხმასა და მანერებში. კი მაგრამ, რას წარმოადგენენ სახე, თვალები, ხმა, მანერები? ყველაფერი ეს ხომ სხეულია, გარეგნულია და, მაშასადამე,— წარმავალი, შემთხვევითი, არარა, რადგან ყველაფერი ეს ხომ არც გრძნობაა, არც გონება, არც ნებისყოფა? — დიახ, მაგრამ ყველაფერ ამაში ჩვენ ვხედავთ და ვისმენთ გრძნობას, გონებას, ნებისყოფას“ [2].

მაშასადამე, სხვისი განცდების წვდომა შესაძლებელია პირდაპირ, უშუალოდ, რადგან ადამიანის ქცევაში ჩვენ ვხედავთ და ვისმენთ არა რაღაც გარეგნულსა და უცხოს სულისათვის, არამედ თვითონ სულიერ მოვლენებს. ამ შესაძლებლობას ფსიქოლოგია გამოიყენებს თავის საკვლევაძიებო მუშაობაში ობიექტური დაკვირვების მეთოდის სახით.

3. ფსიქო-ფიზიკური პრობლემა.

ბელინსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, განსაკუთრებით ორმოციანი წლების დასაწყისიდან, გამოთქმულია მრავალი ისეთი აზრი, რომელნიც ფსიქო-ფიზიკური პრობლემის არსებითად სწორ გადაჭრას წარმოადგენენ. მართალია, ამ სწორი თვალსაზრისის გამომუშავებას წინ უძღოდა-ზოგიერთი მერყეობა და მცდარი ნაბიჯი, მაგრამ მისი აზროვნების მთელი ევოლუციისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ ფსიქიკურისა და ფიზიკურის არსებითი კავშირი მასში ყოველთვის იყო აღიარებული. ჯერ კიდევ 1835 წელს, როდესაც ხელოვნების საგნისა და შემოქმედი სუბიექტის შეგნებული მე-ს ურთიერთმიმართებაზე ლაპარაკობდა, ბელინსკი წერდა: „დიახ, იგი (ე. ი. ხელოვნების საგანი. მ. ხ.) დამოკიდებულია მასზე (ე. ი. შეგნებულ მე-ზე. მ. ხ.) ისე, როგორც სული სხეულზე, როგორც ხასიათი ტემპერამენტზე“ [3].

[1] Белинский. (Год.) გვ. 25.

[2] Белинский, Собр. соч. изд. 1948 г., т. III, გვ. 660.

[3] Белинский (Год.), გვ. 69.

სული სხეულზეა დამოკიდებულიო. ამის თქმა მაშინ მეტად გაბედულ აზრს წარმოადგენდა. ასეთი შეხედულება ფსიქო-ფიზიკური პრობლემის ურთულეს საკითხზე შეპირობებული იყო იმით, რომ ბელინსკის აზროვნების მეთოდი თავიდანვე დიალექტიკური იყო, ოღონდ პირველ ხანებში მას აკლდა მთლიანი მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რაც თანდათან, განუხრელად მუშავდებოდა თეორიულ მომწიფებასთან ერთად. თავიდანვე მომარჯვებული დიალექტიკური მეთოდი დაეხმარა მას, საბოლოოდ მატერიალისტურ მონიზმამდე მისულიყო. ამის შესაბამისად ზუსტდებოდა, სწორდებოდა და იხვეწებოდა ბელინსკის თვალსაზრისი ფსიქოფიზიკური პრობლემების მიმართაც. 1841 წელს ის წერდა:

„ადამიანი შედგება სხეულისა და სულისაგან,... მაგრამ როგორც სული უსხეულოდ, ისევე სხეული უსულოდ განყენებული ცნებაა და არა ნამდვილი მოვლენა, არა ადამიანი“ [1].

აქ ლაპარაკია არა საერთოდ იდეალურსა და მატერიალურზე, არა საზოგადოდ სხეულებრივსა და ფსიქიკურზე, არამედ ადამიანის სულსა (ე. ი. ფსიქიკასა) და ორგანიზმზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იდეალისტურ თეზისთან გვექნებოდა საქმე, რადგან თანმიმდევარ მატერიალისტს არა აქვს უფლება თქვას, სადაც არსებობს მატერია, იქ ყველგან სულიც უნდა ვიგულისხმოთო. რამდენადაც სწორია დებულება: სულიერი მოვლენა გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც არის მატერია, იმდენადვე მცდარია მტკიცება: სადაც არის მატერია, ყველგან სულიც არისო.

იმ კონტექსტში, სადაც ბელინსკი აღნიშნულ აზრს გამოთქვამს, ლაპარაკია ადამიანზე, როგორც ბუნების განვითარების უმაღლეს საფეხურზე:

„ადამიანით მთავრდება ბუნების სამეფო და ადამიანითვე იწყება სამეფო სულისა“ [2].

ადამიანი არის ბუნების განვითარების უმაღლესი საფეხური; მისგან იწყება სულიერი ცხოვრების თავისებური სამეფო, მაგრამ ეს უკანასკნელი მატერიალური სამყაროს განვითარების შედეგადაა მიღებული. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ბელინსკი ლაპარაკობს არა საერთოდ კავშირზე სხეულსა და სულს შორის, არამედ სწორედ ორგანულ კავშირზე, არსებით კავშირზე, ე. ი. ისეთზე, რომლის გარეშეც არც ერთი მათგანი არ იაზრება:

[1] Белинский. (Гол.), 545.

[2] იქვე, 544.

„მხატვრულს ნაწარმოებში იდეა ფორმასთან ისე ორგანულად (ხაზგასმა ჩემია. მ. ზ.) უნდა იყოს შერწყმული, როგორც სული სხეულთან, ასე რომ ფორმის მოსპობა ნიშნავს იდეის მოსპობას და პირიქით“ [1].

ყოველი არსებული განვითარების ერთიან წრეშია ჩართული. განვითარება ხდება უდაბლესიდან უმაღლესის, მარტივიდან რთულის მიმართულებით. განვითარების კიბის უმაღლეს საფეხურზე დგომა იმავე დროს რაღაც თვისობრივად განსხვავებული ნიშან-თვისების თანაარსებობასაც ნიშნავს. განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომი ორგანიზმი თავის თავში შეიცავს უდაბლეს საფეხურზე მდგომის ბუნებას, მაგრამ ეს უკანასკნელი კი პირველის მიერ განვითარების პროცესში შეძენილს ნიშანთვისებებს, ან როგორც ბელინსკი იტყვის, მის სულს, არ შეიცავს. განვითარების პროცესი ხდება იმ, რომ წარმოებს ახალ ღირებულებათა შეძენა და ამის შესაბამისად ახალს თვისობრიობაში გადასვლა, მაგრამ წინა საჯეხურებზე შეძენილი ნიშნები ამით არ ისპობა; ისინი ინახებიან და შედიან იმ საერთო ფონდში, რომელიც განვითარებული ორგანიზმის სახითაა მოცემული:

„ბუნებაში არ არის ჩვენი სული, მაგრამ ჩვენში კი არის ბუნების სული, რადგან ყოფიერების კანონია ისეთი, რომ უმაღლესი აუცილებლად შეიცავს უდაბლესს. დიახ, ჩვენს სულს აქვს საერთო ბუნებასთან. ეს საერთო რამ არის სიცოცხლე და ამიტომაა, რომ იგი საუბრობს მასთან ასეთ გასაგებ, ნათესაურ ენაზე“ [2].

განვითარების პრინციპის აღიარება საერთოდ არ ნიშნავს მატერიალისტური მონიზმის თვალსაზრისზე დგომას. ამისათვის საჭიროა მატერიას თვლიდე პირველადად, ხოლო სულს, ცნობიერებას, აზროვნებას — მეორეულად.

როდესაც ბელინსკის ფსიქოლოგიურ ნააზრევს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ნათლად დავინახავთ მის წინსვლას მატერიალიზმისაკენ. აზროვნებითი ევოლუციის გარკვეულ საფეხურზე მან მთლიანად დასძლია იდეალისტური ფილოსოფიის საფუძვლები და ერთადერთის — მატერიალურის — სუბსტანციის არსებობა აღიარა. გადამწყვეტ საკითხში ამ თვალსაზრისზე დგომამ თავი იჩინა ბელინსკის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის, ფსიქოლოგიურ შეხედულებებშიაც.

---

[1] Белинский. (Год.), გვ. 546.

[2] იქვე. 129—130.

ზევით ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებასა და ბუნებას შორის საერთო რამ არსებობსო; ლაპარაკი იყო იმაზედაც, რომ მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს. ახლა ჩვენ დავინახავთ, რომ შემდგომში მოხდა ამ ძირითადად სწორი აზრის უფრო დაზუსტება და მისი უფრო ნათლად გამოთქმა:

„რომ გენიასა და ტალანტს იძლევა ბუნება, რომ ერთიცა და მეორეც, ასე ეთქვათ, წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმის თვისებას (ხაზგასმა ჩემია. ბ. ზ.), ისევე როგორც სინათლე და სითბო — ცეცხლის თვისებას. ამის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია“ [1].

ნათელია, რომ სულიერი მოვლენების გამოცხადება ორგანიზმის თვისებად არ შეეძლო არც პარალელიზმისა და არც კაუზალობის თეორიის წარმომადგენელს. ადამიანის ორგანიზმი უმაღლესად განვითარებული სხეულია მატერიალურ სამყაროში. ორგანიზმში კი ტვინია უმაღლესად ორგანიზებული მატერია, რომელმაც წარმოშვა ფსიქიკა. მაშასადამე, ტვინია ფსიქიკური ცხოვრების სუბსტანცია. ეს აზრი ამჟამად ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლება საბჭოთა ფსიქოლოგიაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საბჭოთა ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ საფუძველს მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი წარმოადგენს. მაგრამ საკითხის ასეთ გაგებამდე მისვლა მარქსამდელი მოაზროვნისათვის მეტად დიდს მონაპოვარს წარმოადგენდა.

ბელინსკი მიიდა საკითხის ასეთ გაგებამდე. მისი აზრით ფსიქიკური მოვლენები ტვინის მოქმედების პროდუქტს წარმოადგენს:

„თქვენ, რა თქმა უნდა, ძალიან აფასებთ ადამიანში გრძნობას?

— ძალიან კარგი! მაშ, დააფასეთ ხორცის ის ნაჭერიც, რომელიც ფართხალებს მის მკერდში, რომელსაც თქვენ გულს უწოდებთ და რომლის შენელებული თუ აჩქარებული ცემა პირდაპირ შეესაბამება თქვენი სულის ყოველს მოძრაობას. თქვენ, რასაკვირველია, ძალიან დიდ პატივსა სცემთ ადამიანში გონებას? — ძალიან კარგი! მაშ, მოწიწებით შეჩერდით ტვინის იმ მასის წინაშეც, სადაც მიმდინარეობს ყველა გონებრივი მოქმედება“ [2].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სრულიად არაორაზროვანი მატერიალისტური შეხედულების შემუშავება მეტაფიზიკასა და თეოლოგიასთან ბრძოლის ნიშნით მიდიოდა:

---

[1] Белинский (Гол.), 53.

[2] იქვე, 553.

„მეტაფიზიკა ეშმაკმა წაიღოს, — წერს იგი, — ეს სიტყვა ზებუნებრივს ნიშნავს და, მაშასადამე, სისულელეა“... და ცოტათი ქვევით განაგრძობს:

„მეცნიერების განთავისუფლება ტრანსცენდენტალიზმისა და თეოლოგიის აჩრდილთაგან, ჩვენება გონების იმ საზღვრებისა, რომლის ფარგლებშიაც მისი მოქმედება ნაყოფიერია, საბოლოოდ ჩამოშორება მეცნიერებისაგან ყოველგვარი ფანტასტიკურისა და მისტიკურისა, — აი, რას მოიმოქმედებს ახალი ფილოსოფიის ფუძემდებელი და აი, რას ვერ შესძლებს კონტი“ [1].

სრულიად ბუნებრივია, რომ ბელინსკი „ტრანსცენდენტალიზმსა“ და „თეოლოგიის აჩრდილს“ ერთ სიბრტყეზე განიხილავს. ჯანსაღი მეცნიერული აზრისათვის მათთან ბრძოლა ყოველთვის იყო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა. რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა აზროვნებამ არც ამ საკითხში უღალატა თავის თავს, იგი მეტაფიზიკასა და რელიგიასთან ბრძოლაშიც მარქსამდელი აზროვნების მწვერვალად და მომავალი მარქსისტული აზროვნების ბრწყინვალე წინამორბედად დარჩა.

ჩვენ ზევით ვამბობდით, რომ ბელინსკის, როგორც მატერიალისტური ესთეტიკის პირველი საფუძვლების ჩამყრელს, ვერ დააკმაყოფილებდა მაშინ არსებული თეორიული მონაპოვარი ფსიქოლოგიისა. მას, მართლაც, ვერ აკმაყოფილებდა მისი თანამედროვე ფილოსოფია, რომლის ძირითადად მცდარი საწყისები ფსიქოლოგიის ზოგადს საკითხებში იჩენდა თავს. ამიტომ იყო ეგზომ კატეგორიული და თან პროგრამული მისი მოთხოვნები მომავალი ფილოსოფიის წინაშე. გენიალურმა რუსმა კრიტიკოსმა სწორი და ნათელი გზები დაუსახა მას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიული აზროვნების დიდმა ძალამ, მართლაც, გაათავისუფლა მეცნიერება ტრანსცენდენტალიზმისა და თეოლოგიის ბნელი აჩრდილისაგან, უჩვენა გონების საზღვრები და შესაძლებლობანი, ჩამოაშორა მეცნიერებას ყოველგვარი ფანტასტიკური და მისტიკური ჩენჩო და გადაშალა მეცნიერებათა სამოქმედოდ თვალუწვდენელი ნაყოფიერი სფეროები.

საბჭოთა მეცნიერება მიდის ამ გზით. მას აქვს უდიდესი თეორიულ-მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც მას გზას უნათებს ყოველი ცალკეული მეცნიერული პრობლემის გადაჭრის დროს და აქვს, აგრეთვე, უდიდესი შესაძლებლობანი ახალ-ახალ პრობლემათა

[1] Белинский (Год.) 654—655.

დაყენებისა და გადაჭრისათვის. ყველაფერი ეს პირდაპირ ვრცელდება საბჭოთა ფსიქოლოგიაზედაც, რომელსაც შეუძლია ბელინსკი თავის სახელოვან წინაპართა შორის იგულოს.

* * *

რუსული მეცნიერული აზროვნების ისტორიამ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე დიდი პავლოვი მისცა კაცობრიობას. პავლოვური ფიზიოლოგია ბუნებისმეტყველური აზროვნების ნიმუში გახდა. თანამედროვე ფსიქოლოგიას მან უდიდესი სამსახური გაუწია ფსიქიკურ მოვლენათა ფიზიოლოგიური საფუძვლების ძიების საქმეში. პავლოვური ფიზიოლოგია საბჭოთა მოწინავე ფსიქოლოგიის მტკიცე ბუნებისმეტყველურ-მეცნიერულს საფუძველს წარმოადგენს. ამდენად სრულიად ცხადია, რომ ფსიქოლოგია, გარკვეული აზრით, ფიზიოლოგიას უნდა ეყრდნობოდეს, მისი მეცნიერული მონაპოვრებით განუწყვეტლივ უნდა სარგებლობდეს. თვითონ პავლოვი ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობას და, ამის შესაბამისად, ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ურთიერთობას ასე განსაზღვრავდა:

„Другое обстоятельство заключается в том, что нельзя сравнивать сложность явления, которое мы имеем, с теми, которые имеются в руках психологов. Ясно, что деятельность нервной системы человека чрезвычайно превосходит своей сложностью деятельность нервной системы собаки. Ввиду этих обстоятельств, психолог затрудняется сказать, чему наш анализ отвечает в экспериментальной психологии и вообще в психологическом исследовании. Я получил от психологов заявление, что, кажется, такого анализа у них еще нет, и я думаю, что, ввиду указанных затруднений, наш анализ еще долгое время пойдет особым путем от анализа психологов. Что касается до этого результата, то он для нас, физиологов, нисколько не огорчателен. Он нас ни в какое затруднительное положение не ставит, потому что мы — проще, чем психология, мы строим фундамент нервной деятельности, а они строят высшую надстройку, и так как простое, элементарное понятно без сложного, тогда как сложное без элементарного уяснить невозможно, то, следовательно, наше положение лучше, ибо наше исследование, наш успех нисколько не зависит от их исследований" [1].

[1] Двадцатилетний опыт, Медгиз, Москва, 1951, გვ. 66.

ი. პ. პავლოვის ამ სიტყვებიდან პირდაპირ გამოდის, რომ ფიზიოლოგია სწავლობს მარტივს, ელემენტარულს, მაგრამ ისეთს მოვლენას, რომელიც ფსიქიკური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ ფიზიოლოგია არის მეცნიერება ამ საფუძვლების შესახებ, ხოლო ფსიქოლოგია კი — უმაღლესი ზედნაშენის შესახებ. აქედან სრულიად ცხადია, რომ ზედნაშენის შემსწავლელმა მეცნიერებამ დასაყრდენი უნდა ეძიოს საფუძვლების შემსწავლელს მეცნიერებაში, როდესაც და რამდენადაც მოვლენათა საფუძველთან დაკავშირება გახდება საჭირო. ცხადია, ამ მხრივ ფსიქოლოგია ფიზიოლოგიას უნდა ეყრდნობოდეს.

დამახასიათებელია, რომ ზუსტად ამავე აზრს გამოთქვამდა ბელინსკი. ჩვენ ზევით გავეცანით მის აზრს, რომ ფსიქოლოგია, რომელიც არ ეყრდნობა ფიზიოლოგიას, ისევე უსუსურია, როგორც ფიზიოლოგია, რომელმაც ანატომიის არსებობის შესახებ არაფერი იცის. მეტად საყურადღებოა, რომ გასული საუკუნის 30-იან-40-იანი წლების რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნება თეორიულ-ფილოსოფიური გზით მივიდა იმ დასკვნებამდის, რომელნიც მეოცე საუკუნის ბუნებისმეტყველურმა ზუსტმა მეცნიერებამ ექსპერიმენტული ფაქტებით მთლიანად დაადასტურა.

თანამედროვე საბჭოთა ფსიქოლოგიას სამართლიანად უსაყვედურებენ იმას, რომ იგი ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე ვერც თეორიულსა და ვერც პრაქტიკულ-ექსპერიმენტულს ნაწილში. ის, მართლაც, ვერ დგას თანამედროვე მოთხოვნილების სიმაღლეზე. ისეთი დიდი მემკვიდრეობის არსებობის პირობებში, როგორიც ჩვენს საბჭოთა ფსიქოლოგიას მოეპოვება, არსებული ჩამორჩენა არასაპატიოა.

ბელინსკის მეცნიერულ მემკვიდრეობას ამ მხრივაც შეუძლია თვალსაჩინო დახმარება გაგვიწიოს. სახელდობრ: ფსიქოლოგიის საგნის, ამ საგნის ბუნების, მისი არსებობის აზრისა და ფორმის, ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთდამოკიდებულებისა და ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის საკითხში. თავისთავად იგულისხმება, რომ ბელინსკის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლას პირველხარისხოვანი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

(შემოვიდა რედაქციაში 15. X. 1954).

М. Б. ЗАРКУА

НЕКОТОРЫЕ ОБЩЕПСИХОЛОГИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ В ЛИТЕРАТУРНОМ НАСЛЕДИИ В. Г. БЕЛИНСКОГО

Резюме

1. В. Г. Белинский — один из замечательнейших представителей русской революционно-демократической прогрессивной научной мысли первой половины девятнадцатого столетия. Ему по праву принадлежит одно из первых мест среди теоретических строителей основ подлинно научной, материалистической психологии.

2. Основным, ведущим пафосом личности Белинского, как и основной формой его деятельности, было эстетическое искание, литературная критика. Поэтому вполне естественно, что его психологические взгляды высказаны в связи с основными эстетическими проблемами, первые вызваны необходимостью правильного разрешения вторых.

3. В тридцатых-сороковых годах прошлого века Белинский выступил против господствовавших в то время основных психологических положений, с одной стороны, метафизиков и, с другой стороны, эмпиристов, вскрывая глубокие корни ошибочности как первых, так и вторых.

4. По мнению В. Г. Белинского, предметом психологии должны являться психические процессы; им не может быть душа. Этим он опровергнул основные устои метафизической психологии.

5. Белинский учит, что душевная жизнь человека дается не только переживающему субъекту и, следовательно, можно ее изучать не только методом самонаблюдения, но она дается также постороннему человеку объективно в поведении, во внешности наблюдаемого субъекта и потому можно и нужно исследовать объективным методом. Чужая психика исследователю дается непосредственно. Этим он преодолел методологические ошибки эмпиризма.

6. Нет психики независимо от организма, от физиологических процессов последнего, так как душа не что иное, как деятельность физического, свойство материи. Следовательно, существует не обособленная идеальная субстанция — дух, проявлением кото-

рого якобы является психика, а единственное материальное начало, результатом сложнейшего развития которого она является. Этим он преодолел глубоко ошибочные идеологические основы эмпиризма.

7. Физическим субстратом душевной жизни является мозг. В нем происходят все психические процессы. Поэтому физическое и психическое не просто связаны друг с другом, они не просто существуют вместе, а связаны органически, составляют единое целое.

8. Поэтому психология, в своих научных изысканиях, должна опираться на физиологию точно также, как и физиология на анатомию. „Психология, не опирающаяся на физиологию, также несостоятельна, как и физиология ничего не знающая о существовании анатомии". По Белинскому предмет психологии — цветок, корни которого в земле.

9. Достойно особого внимания то обстоятельство, что по вопросу о взаимоотношениях между психологией и физиологией взгляды В. Г. Белинского и И. П. Павлова вполне совпадают друг с другом. Очень важно то, что в двадцатом веке великий русский физиолог естественно-научным путем вполне подтвердил те теоретико-философские положения, которые были выдвинуты в первой половине девятнадцатого века великим русским мыслителем революционно-демократического лагеря.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

ა. გ.

განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები

1. **განწყობის ფსიქოლოგია არის პიროვნების ფსიქოლოგია.** ეს დებულება ეწინააღმდეგება ტრადიციულ ფსიქოლოგიას, რომელიც იდეალისტურ თვალსაზრისზე იდგა. დებულება, რომელიც უპირისპირდება ამ საკითხში განწყობის ფსიქოლოგიას, ასეთია: ფსიქოლოგიის მუშაობის დასაწყისიცა და დასასრულიც ფსიქიკური მოვლენებია. ფსიქოლოგიას არ სჭირდება თავისი კვლევის საგანში შემოიტანოს სხვა რამ, ტრანსფსიქიკურის (ფიზიკურის, სოციალურის, პერსონალურის) აღმნიშვნელი ცნება. ეს აზრი ემყარება იმ წინასწარ მიღებულ დებულებას, რომ ფსიქიკური არის დამოუკიდებელი, თვითკმარი, თავისთავადი სინამდვილე, რომელიც საკმარის საფუძველს იძლევა დამოუკიდებელი მეცნიერების აგებისათვის.

2. ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც ფსიქოლოგიას პიროვნების შესწავლას აკისრებს. ამ მიმართულებას რამდენიმე განშტოება აქვს, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. შტერნის „პერსონალური ფსიქოლოგია“ და ე. წ. ბიჰევიორიზმი (რომელიც ქცევის შესწავლას იმიტომ თვლის ფსიქოლოგიურ მუშაობად, რომ ქცევა პიროვნების გამოვლინებად მიაჩნია, ხოლო პიროვნება — ფსიქოლოგიის საგნად). არაა სადავო, რომ ვ. შტერნის „პერსონალური ფსიქოლოგია“ ემყარება მისსავე „პერსონალისტიკას“, იდეალიზმის ახალ სახეობას. არც ის მოითხოვს დასაბუთებას, რომ ბიჰევიორიზმი მექანიცისტური და რეაქციული თეორიაა. მაშასადამე, პიროვნების აღება ფსიქოლოგიის კვლევის საგნად, მართალია, ნიშნავს იდეალიზმის ერთი სახეობისაგან განთავისუფლებას, მაგრამ არ ნიშნავს თავისთავად მატერიალიზმს. პერსონალისტური ფსიქოლოგია (ფართო მნიშვნელობით, პერსონის, პიროვნების ფსიქოლოგიის მნიშვნელობით) შეიძლება იყოს მატერიალისტურიცა და იდეალის-

ტურიც. მთავარი და გადამწყვეტია თვით პიროვნების ცნების გაგება. პიროვნების ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია შეიძლება მომდინარეობდეს მხოლოდ და მხოლოდ თვით პიროვნების გაგებიდან, იმ შინაარსიდან, რომელიც ამ ცნებაში იგულისხმება და სხვა.

3. **განწყობის ფსიქოლოგიისათვის პიროვნების ცნება ამოსავალიცაა და საბოლოო მიზანიც.** კითხვაზე — რა უნდა იკვლიოს ფსიქოლოგიამ? — პასუხი გაცემულია. ფსიქოლოგიამ უნდა იკვლიოს პიროვნება რა არის პიროვნება? — ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი (საბოლოო იმ აზრით, რა აზრითაც საბოლოო პასუხი საერთოდ არის შესაძლებელი მეცნიერებაში) უნდა მოგვცეს ემპირიულმა, ექსპერიმენტულმა კვლევა-ძიებამ. მაგრამ იმისათვის, რომ შეეუდგეთ ექსპერიმენტულ მუშაობას, პიროვნების მეცნიერულ, სისტემატურ კვლევას, საჭიროა წინასწარ გვქონდეს ერთგვარი შეხედულება, აზრი პიროვნების შესახებ. დე, იყოს ეს შეხედულება მხოლოდ ვარაუდი, ჰიპოთეზი (რომელიც შეიძლება დადასტურდეს, შესწორდეს და სხვა), მაგრამ ასეთი რამ მაინც აუცილებელია. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ პიროვნების შესახებ უკვე არის ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში გამოთქმული აზრი (ბიჰევიორიზმისათვის პიროვნება არის სასიცოცხლო მოძრაობათა სისტემის ცენტრი, პერსონალიზმისათვის — აბსოლუტური სუბსტანცია), რომლიდანაც გამოიყვნა უნდა ჩვენ დაწყებდეს წინ ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებას.

4. **განწყობის ფსიქოლოგია განწყობის ცნებაში ხედავს პიროვნების კონკრეტულ ილუსტრაციას, ხელშესახებად მოცემულ პიროვნებას.** ამიტომ იმის გასარკვევად, თუ რა წინასწარი აზრი ჰქონდა პროფ. დ. უზნაძეს პიროვნების შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ ის, რასაც ავტორი გულისხმობდა განწყობის ცნებაში. განწყობის (პიროვნების) ცნება, რომელსაც იმუშავებს პროფ. დ. უზნაძე, არსებითად ეწინააღმდეგება როგორც ბიჰევიორისტულს, ისე პერსონალისტურ გაგებას პიროვნებისას. განწყობის ცნება არ არის მოწოდებული უკუაგდოს ცნობიერება და მისი შესწავლა მეცნიერების პრობლემატიკას ჩამოაშოროს (ასე იქცევა ბიჰევიორიზმი, ამისათვის სჭირდება მას პიროვნების ცნება, ნაცვლად ფსიქიკურის, ცნობიერების ცნებისა), არამედ ცდილობს გაიგოს და მეცნიერულად შეისწავლოს იგი. განწყობის ცნება არ შეიცავს იმ აზრს, რომ ის (განწყობა, პიროვნება) იმთავითვეა მოცემული, როგორც მეტაფიზიკური სუბსტანცია, რომელსაც გენე-

ზისი, ისტორია არა აქვს (ასე აქვს წარმოდგენილი პიროვნება ვ. შტერნს). არამედ შექმნილია ყველასათვის ცნობილი და სრულიად უდავო ფაქტების (მოთხოვნილებისა და სიტუაციის) თავისებური სინთეზის გზით.

5. პიროვნების პრობლემა მარქსის წინაშე, როგორც ცნობილია, წამოიჭრა ცნობიერების სუბსტანციალობის იდეალისტური თეზისის უარყოფის პროცესში. მარქსმა უარყო ცნობიერების დამოუკიდებლობა. მისი საკუთარი, რეალობისგან დამოუკიდებელი ისტორია. ვითარდება და მოქმედებს არა ცნობიერება თავისთავად, თითქოს მას საკუთარი რეალური არსებობა ჰქონდეს, არამედ ადამიანი, რეალურ-ისტორიული კონკრეტული პიროვნება. პიროვნების ცნების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება აქ, მარქსის სისტემაში, არის ცნობიერების გაგება, მისი ახსნა. აქ უკვე მოცემულია ნიადაგი იმისათვის, რომ ფსიქოლოგიას დაეძლია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური იდეალიზმი და პიროვნების მარქსისტული გაგებისა და ამ ცნების კონკრეტული გამოყენების გზით შეექმნა ფსიქოლოგიის მეცნიერული სისტემა (მაგრამ, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგია მაშინ ამ გზით ვერ განვითარდა გასაგები მიზეზებისა გამო).

განწყობის ფსიქოლოგია შეგნებულად ემყარება და იყენებს მარქსის აღნიშნულ დებულებას პიროვნებისა და ცნობიერების ურთიერთობის შესახებ და ამ დებულების საფუძველზე განსაზღვრავს ფსიქოლოგიის ამოცანასაც და განწყობის (პიროვნების) ცნებასაც. პირველი და ფუძემდებელი დებულება განწყობის ფსიქოლოგიისა „შუალობის“ შესახებ მეტი არაფერია, გარდა მარქსის დებულების გამოყენებისა: რადგან ცნობიერება თავითონ კი არ არსებობს დამოუკიდებლად და თვითონ კი არ ვითარდება, არამედ არსებობს მხოლოდ პიროვნებაში და ვითარდება მხოლოდ პიროვნების წყალობით, ბურჟუაზიული თეორია „უშუალობისა“ უნდა უკუვაგდოთ. ეს ნიშნავს „შუალობის თეორიის“ მიღებას.

6. რადგანაც განწყობის ფსიქოლოგია ჩვენ დავახასიათეთ, როგორც პიროვნების ფსიქოლოგია, ხოლო განწყობა, როგორც პიროვნების კონკრეტული ილუსტრაცია. ცხადია, განწყობაზე მხოლოდ იქ უნდა ვილაპარაკოთ, სადაც პიროვნება გვეგულება. ეს აზრი, უკეთ, ეს ლოგიკური დასკვნა ყოველთვის არ იყო მხედველობაში მიღებული და უთუოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ განწყობის ცნებამ ფართო მნიშვნელობა მოიპოვა. თუ დავივიწყებთ იმას, რომ განწყობის კომპონენტებზე მსჯელობის

დროს ლაპარაკია პიროვნების „მოთხოვნილებაზე“ და პიროვნების „სიტუაციაზე“ და არა ყოველგვარ „მოთხოვნილებაზე“ და ყოველგვარ „სიტუაციაზე“, მაშინ, ცხადია, უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო ცხოველების, არამედ მცენარეების განწყობაზედაც, და, მაშასადამე, მათ პიროვნებაზედაც. ასე გაგებული „განწყობა“. რასაკვირველია, არ შეიძლება დაემთხვეს პიროვნების ფსიქოლოგიას, არ შეიძლება მოთავსდეს ამ ცნებაში. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, განწყობის ფსიქოლოგიას ჩამოშორდეს ყოველივე ის, რაც პიროვნების ცნებას შორდება და რაც ამ მიმართულებით არის გაკეთებული, მას თავისი ადგილი უნდა მიეუჩინოთ ფსიქოლოგიის გარეთ (ამაზე ქვემოთ). პიროვნების ფსიქოლოგიამ (განწყობის ფსიქოლოგიამ) „მოთხოვნილებაც“ ადამიანური მოთხოვნილების სახით უნდა გაიგოს და „სიტუაციაც“ – ადამიანისთვის სპეციფიკური სიტუაციის მნიშვნელობით.

პიროვნების ცნება არსებითად არის დაკავშირებული ცნობიერების ცნებასთან, როგორც ეს უკანასკნელი — საზოგადოების ცნებასთან. პიროვნების ცნება, როგორც დავინახეთ, ჩვენ მოგვცა ცნობიერების იდეალისტური თეორიის მარქსისტულმა კრიტიკამ. განწყობის ფსიქოლოგიას პიროვნებაზე (ცნობიერებისგან განსხვავებით) მსჯელობისა და მისი კვლევის საგნად გამოცხადების სხვა საფუძველი, სხვა საბუთი არაფერი აქვს, თუ არა მარქსის ზემოთ მოყვანილი დებულება. ეს კი ავალებს განწყობის ფსიქოლოგიას, მუდამ იხელმძღვანელოს ამ გარემოებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განწყობის ფსიქოლოგია, როგორც პიროვნების ფსიქოლოგია, შესაძლებელია მხოლოდ როგორც ადამიანის ფსიქოლოგია. პიროვნებაზე ლაპარაკი იქ, სადაც ცნობიერება გამორიცხულია. უსაფუძვლოა.

7. სავსებით კანონიერია, რასაკვირველია, ზოგადი მსჯელობა „მოთხოვნილებისა“ და „სიტუაციის“ (გარემოს) ურთიერთობის შესახებ. ცნობილია, რომ მოთხოვნილებაზე მხოლოდ ცოცხალ სინამდვილეში შეიძლება ლაპარაკი (ამას გახაზავს „ბიოსფერო“ — პროფ. დ. უზნაძის ტერმინი, — რომელსაც მხოლოდ ეს უბრალო მითითება ეკისრება), ხოლო „სიტუაციაში“ განსაზღვრულ პირობებში გარემოს ყოველგვარი მოვლენა და საგანი შეიძლება იგულისხმებოდეს. რამდენადაც აქ სინამდვილის ორი საკმაოდ განსხვავებული სფერო ხდება ერთმანეთის, — ბიოლოგიური, ცოცხალი (მოთხოვნილება) და არაცოცხალი (შესაძლებელი სიტუაცია), — სერიოზული და სპეციფიკური პრობლემა დგება. პრობლემა იმ

კანონზომიერებათა შესახებ, რომლებიც თავს იჩენს ორგანულისა და არაორგანულის ურთიერთშეხვედრის მომენტში. ის ფაქტები, რაც განწყობის ფსიქოლოგიამ აღმოაჩინა ამ უბანზე, და ის კანონზომიერებანი, რომელნიც მიგნებულია სინამდვილის ამ განზომილებაში, რასაკვირველია, წარმოადგენს თვალსაჩინო მეცნიერულ მონაპოვარს და მას მეცნიერება მოუვლის, მაგრამ ეს მეცნიერება არ იქნება პიროვნების ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგია. ისიც უდავოა, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების, ბურჟუაზიული ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის ცნებები არ არის გამოსადეგი ამ საქმისათვის. მაგრამ, რადგანაც არსებობს პავლოვური ფიზიოლოგია და მიჩურინული ბიოლოგია, ვფიქრობთ, რომ ფსიქოლოგიას სრული უფლება აქვს ამ საკითხების კვლევაზე ხელი აიღოს. ცხოველის (და მცენარის) მიზანშეწონილი ქცევა და ყოველივე მასთან დაკავშირებული ბიოლოგიის პრობლემაა და არა ფსიქოლოგიისა. ერთ-ერთი პირველი ცდა განწყობის (= ქვეფსიქიკურის) თეორიის გამოყენებისა ახსნის მიზნით შეეხებოდა ინსტინქტს, რომელიც არსებითი არ არის ადამიანისათვის, პიროვნებისათვის. მარქსი სწორეთ ინსტინქტის მაგალითზე გვაძლევს ადამიანისა და ცხოველის არსებითი განსხვავების ილუსტრაციას: პიროვნების ქცევას ცნობიერება უნათებს გზას. აქედან იწყება პიროვნების ფსიქოლოგია. ინსტინქტისა და მისი მსგავსი მოვლენების კვლევა ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიას უნდა მიენდოს.

8. რას ნიშნავს პიროვნების პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში? რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პიროვნების შესწავლას ყოველმხრივ. ემპირიულად მოცემული ადამიანი შეიცავს მრავალსახის კანონზომიერებას და ამიტომ მას, ადამიანს, სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს. განწყობის ფსიქოლოგიას ადამიანის აქტივობა, მისი ქცევა აინტერესებს, გულისხმობს რა იმას, რომ ადამიანის არსი მის აქტივობაში უნდა გამოვლინდეს. ამიტომ დგება საკითხი აქტივობის საფუძვლისა და აქტივობის რეალიზაციის კანონების შესახებ, ამ აქტივობის ფორმების შესახებ. განწყობის ფსიქოლოგია იმ ფაქტიდან ამოდის, რომ ადამიანის მიზანშეწონილი ქცევა არსებობს, ე. ი. არსებობს სწორი სოციალური მოქმედება და სწორი, ობიექტური შემეცნება. ეს იგულისხმება და საკითხი მხოლოდ იმას ეხება, თუ როგორ გახდა ეს ფაქტი შესაძლებელი, რა ფაქტორებმა გახადეს იგი შესაძლებელი.

ადამიანის აქტივობას, განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით, მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. სადაც არავითარი მოთხოვნი-

ლება არ არის, იქ არავითარი პირობა არ არის აქტივობისათვის. მაგრამ არც იქ გვაქვს აქტივობა, სადაც მხოლოდ მოთხოვნილებაა მოცემული, სადაც არ არსებობს მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება. არა მარტო რეალიზაცია აქტივობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა არ შეიძლება სათანადო ობიექტური პირობების გარეშე, არამედ თვით მოთხოვნილების აქტუალიზაციაც გულისხმობს მისი შესატყვისი პირობის მოცემულობას („სიტუაცია" სწორედ ასეთ ობიექტურ საქმის ვითარებას ეწოდება).

განწყობის ფსიქოლოგიას შეუძლია პიროვნების პრობლემას შუქი მოჰფინოს იმდენად, რამდენადაც პიროვნების ბუნება შეიძლება გამოვლინდეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის პროცესში. ცხადია, რომ პიროვნება და მისი ის პრობლემა, რომელიც განწყობას აინტერესებს, არ აოის გარესამყაროსგან გამოთიშული და თავისთავში ჩაკეტილი რამ. არა თუ ასეთად არ წარმოიდგინება პიროვნება, არამედ შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების ადგილი (მისი პრობლემის ადგილი) გადატანილია იმ მიმართებაში, რომელიც არსებობს ადამიანსა, როგორც ბიოლოგიურ არსებასა, და სოციალურ გარემოს შორის, ე. ი. განწყობის ფსიქოლოგიის საგანი არც ბიოლოგიური ადამიანია (ეს ანთროპოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის კვლევის საგანია) და არც ადამიანის მიერ შექმნილი კულტურა, ისტორია და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრება, არამედ შეხვედრის ის პუნქტები, სადაც ბიოლოგიური და სოციალური ერთიმეორეს ენასკვება.

9. აქვს თუ არა განწყობის ფსიქოლოგიას კვლევის საკუთარი საგანი?

როდესაც საკითხი ეხება იმას, თუ როგორ ხდება თავის გარემოს სიცოცხლე, ცოცხალი არსება, მხოლოდ როგორც ცოცხალი არსება (და არა როგორც ცნობიერების მატარებელი), განწყობის ფსიქოლოგიას საკუთარი კვლევის საგანი არა აქვს და ის, როგორც ვთქვით, სინამდვილის ამ სფეროდან უნდა გავიდეს და ადგილი დაუთმოს ბიოლოგიას (ფართო მნიშვნელობით), რომელსაც ევალება სიცოცხლის ფაქტთან დაკავშირებული პრობლემების მოგვა. მაგრამ, როცა საკითხი ეხება იმ არეს სინამდვილისას, სადაც ცნობიერების ფორმირება ხდება, სადაც ადამიანი ბიოლოგიურიდან სოციალურად იქცევა ან სადაც სოციალური კატეგორია ბიოლოგიურს სახეს უცვლის," ე. ი. სადაც ადამიანი ქმნის სოციალურს და სოციალური ადამიანში ამოკვეთს თავის გაგვლენას, ფსიქოლოგიაა მოწოდებული ამ პროცესების კანონები აღმოაჩინოს,

დაეუფლოს ამ კანონებს და მათ სასურველი მიმართულება მისცეს. ფსიქოლოგია არც ბიოლოგიაა და არც სოციოლოგია; მას ბიოლოგიური საფუძველიც ესაჭიროება და სოციალურიც, მაგრამ მისი საგანი არც ბიოლოგიური ფაქტია, წმინდა სახით აღებული, და არც სოციალური ფაქტი, აგრეთვე წმინდა სახით აღებული, არამედ, თუ გნებავთ, ერთიცა და მეორეც, ე. ი. ისეთი რამ, რაც შეიცავს ერთსაცა და მეორესაც, რაშიც ერთის მონაწილეობაც ჩანს და მეორისაც. ასეთი რამ ძნელი მოსაძებნი არ არის: ეს არის ადამიანი — ბუნების შვილი და საზოგადოების წევრი, ბუნების ძალა და სოციალური არსება.

ვის შეუძლია სინამდვილის ამ განზომილებაზე განაცხადოს პრეტენზია, თუ არა ფსიქოლოგიას? ბუნებისმეტყველება, რაც უნდა განვითარდეს იგი, ამ საქმეს ვერ გააკეთებს: სოციალური კატეგორიის მოქმედება ადამიანში ამას შეუძლებლად ხდის. ვერ გააკეთებს ამას ვერც სოციოლოგია, რადგან მას ადამიანში მისთვის უცხო ცნება — „ბუნების ძალა" (მარქსი) დახვდება (ჩვენ აქ ვერ შევეხებით საკითხს ბუნებისმეტყველების ცნებასა და სოციოლოგიის ცნებას შორის განსხვავებისას. ვგულისხმობთ დადგენილად, რომ ეს განსხვავება არსებობს).

შეიძლება, რასაკვირველია, ისეთი აზრიც გაჩნდეს, რომლის თანახმად, ადამიანში იგულისხმებოდეს არსებობა როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური კანონზომიერებისა, მაგრამ იმგვარად, რომ მათი არსებობა წარმოვიდგინოთ ერთად, როგორც პარალელიზმი, და განსხვავებულ კანონზომიერების არსებობაზე უარი ვთქვათ. ეს „შეხედულება" მრავალ სიძნელეს ხვდება და პიროვნების თავისებურების უარყოფასაც ნიშნავს. ცხადია, თუ პიროვნება არ არსებობს, არ იარსებებს არც მისი სპეციფიკა და, მაშასადამე, არც ის მეცნიერება, რომელიც მის შესწავლას ისახავს მიზნად. არ შეიძლება პიროვნების ქმნადობის პრობლემა დავიყვანოთ ორგვარი კანონზომიერების მეზობლობაზე, ბიოლოგიური და სოციალური კანონზომიერების პარალელიზმზე.

როგორც აღვნიშნეთ, განწყობის ფსიქოლოგია პიროვნების ფსიქოლოგიის შესწავლას მოთხოვნილებისა და სიტუაციის ცნებების ფარგლებში აწარმოებს. ამით იმის თქმა არავის უნდა, რომ პიროვნების ფსიქოლოგიური პრობლემატიკა ამოწურულია და სხვა თვალსაზრისი უადგილოა ან ზედმეტი. პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემების მეტ-ნაკლები სისრულით წამოყენება და დასაბუთება თავისთავად ფრიად აქტუალური და პასუხსაგები ამოცანაა,

რომელზედაც, სამწუხაროდ, განწყობის ფსიქოლოგიას არ უმუშავნია.

10. **ცნობიერების პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში.** პროფ. დ. უზნაძის მიერ ამ საკითხზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა აზრი იყო გამოთქმული. იგი უკანასკნელ დრომდე უარყოფდა ფსიქიკურის არაცნობიერად, ცნობიერების გარეშე, არსებობის ფაქტს და, მაშასადამე, ფსიქიკურისა და ცნობიერების მოცულობას ათანაბრებდა. ბოლო ხანებში განწყობის ფსიქოლოგიაში გაჩნდა არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება. მართალია, შინაარსი ამ ცნებისა სხვაა, ვიდრე შინაარსი რომელიმე დღემდე ცნობილი არაცნობიერი ფსიქიკურისა, მაგრამ არაცნობიერის ნიშანი აქაც ძალაშია. თავისთავად არაცნობიერი ფსიქიკურის მიღება-არმიღება პრინციპული ხასიათისაა და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრას ფსიქოლოგიის ბუნების გარკვევისათვის, მაგრამ ამჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა ეს თავისთავად, არამედ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ შეიქნა საჭირო განწყობის ფსიქოლოგიისათვის ეს ახალი ცნება და რამდენად არის მისი შემოტანა დასაბუთებული.

განწყობის ცნება თავიდანვე შემოტანილი იყო იმ მიზნით, რომ მას აეხსნა ფსიქიკური სინამდვილე. ის (განწყობა) საფუძვლად ედო ფსიქიკურს, მის „ქვემოთ" იყო მოთავსებული და ამიტომაც მან მიიღო სახელწოდება „ქვეფსიქიკური". ოდგანაც ფსიქიკურის ქვემოთ მდებარე სინამდვილე იგულისხმება, ნახმარი იყო ტერმინი „ბიოსფერო" იმის აღსანიშნავად, თუ სად უნდა დაძებნილიყო ის, რასაც შემდეგში განწყობა ეწოდა. ფსიქოლოგიის ამოცანა — ფსიქიკურის ახსნა — უნდა ეკისრა იმ სინამდვილეს, რომელიც ფსიქიკურის ქვევითაა და განვითარების ხაზზე მისი წინამორბედია. ასეთად ქვეფსიქიკური სინამდვილეა მიჩნეული და განწყობის ავტორიც მას აქ ეძებს. ღირსება საკითხის ასეთი დაყენებისა ის იყო, რომ ფსიქიკურის ასახსნელად ფსიქიკური სინამდვილის განშორება, ობიექტურ სინამდვილეში მისი საფუძვლის ძებნა იყო საჭიროდ მიჩნეული.

ამ აზრის შეცვლის საჭიროება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: განვითარების თვალსაზრისით, გაუგებარი ჩანდა არაფსიქიკურიდან ერთბაშად ცნობიერების წარმოშობა (ასეთს სიძნელეს საბჭოთა კავშირის სხვა ფსიქოლოგებიც ადასტურებენ და გამოსავალს ისინიც არაცნობიერი ფსიქიკურის ცნებაში ხედავენ. მე შეეცადე ამ სიძნელის გაკვრწყლებას შრომაში: „ფსიქოლოგიის პრინციპული

საკითხები ი. სტალინის შრომაში — „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“) და ამიტომ (უფრო სწორად, ამიტომაც) იქნა შემოტანილი არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება. შემდეგი ნაბიჯი ის იყო, რომ განწყობა ფსიქიკურ მოვლენად გამოცხადდა და მას ახსნის ძალა მიენიჭა. ამით, რასაკვირველია, ჩვენ დაგკარგეთ განწყობის ცნებაის ის უპირატესობა, რომელიც მის არაფსიქიკურობაში (ქვეფსიქიკურობაში), ობიექტურობაში მდგომარეობდა. ახლა არაცნობიერი ფსიქიკური დაედო საფუძვლად ცნობიერებას და იგი თითქოს ამ ოპერაციით გასაგები ხდება, მაგრამ ასახსნელი ხდება თვით არაცნობიერი ფსიქიკური (პრიმიტიული ფსიქიკური), რისთვისაც ან მთელი თეორიული მუშაობა თავიდან უნდა იქნეს დაწყებული, ან ფსიქიკურის ახსნა ფსიქიკურითვე უნდა შესაძლებლად მივიჩნიოთ და ამით იმ სუბიექტივიზმის რკალში მოვექცეთ, რომლიდანაც თავის დასაღწევად მარქსისტულად გაგებული პიროვნების ცნება მოვიშველიეთ: რაღა საჭიროა პიროვნება და საერთოდ რომელიმე ობიექტური საქმის ვითარება, თუ ფსიქიკური ფსიქიკურითვე შეიძლება აიხსნას?! ცხადია, ჩვენი აზრით, არაცნობიერის ცნების შემოტანა არ არის დასაბუთებული განწყობის ფსიქოლოგიის ნამდვილი საჭიროებით და შეუთავსებელია მის მიზანდასახულობასთან.

11. **განწყობის თეორია და პიროვნების თეორია.** განწყობის ფსიქოლოგია მიზნად ისახავს მოგვცეს პიროვნების თეორია. განწყობის ფსიქოლოგია იმ გზით მუშაობს, რა გზაც ლენინმა დაუსახა ფსიქოლოგიას თავის შრომაში „რანი არიან ხალხის „მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. პროფ. დ. უზნაძე მიზნად ისახავდა დაეგროვებინა ზუსტად შეთვწმებული, მკაცრი ექსპერიმენტული მეთოდებით დადასტურებული ფაქტობრივი მასალა პიროვნების ქცევის შესახებ. ის არაჩვეულებრივი სიფრთხილით ეკიდება განზოგადების საკითხს, თეორიული დასკვნების გაკეთებას. რა გინდ მდიდარიც უნდა ყოფილიყო ექსპერიენტულად მიღებული მასალა, მას მაინც ეცოტავებოდა იგი და არ აძლევდა თავის თავს ნებას პიროვნების ზოგადი, ასე თუ ისე დასრულებული თეორია მოეცა. ეს, რასაკვირველია, იმასაც ნიშნავს, რომ დასრულებული თეორია არ არის მოცემული არც განწყობის შესახებ. როგორც დავინახეთ, თვით ცნებაც განწყობისა საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ განწყობის ცნების გარშემო პროფ. დ. უზნაძის ახლო თანამშრომელთა შორისაც არ არის სრული თანხმობა,

იმას ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ განწყობის ცნება დაზუსტდეს და დასრულებული თეორიის სახით ჩამოყალიბდეს. პიროვნების პრობლემა ფსიქოლოგიის მუდმივი პრობლემაა. იგი საბოლოოდ და ამოწურავად არასოდეს გადაწყდება, როგორც არ გადაწყდება მთლიანად არც ერთი მეცნიერების ამოცანა და არ ამოიწურება არც ერთი მეცნიერების კვლევის საგანი. პროფ. დ. უზნაძეს არ დასცალდა იმის განზოგადება და თეორიულ სიმაღლემდე აეყვანა, რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა. უნდა იმედი გამოვთქვათ, რომ მისი მოწაფეები ამას შეძლებენ.

12. **კანონზომიერების შესახებ განწყობის თეორიაში.** ფაქტის აღმოჩენა კანონზომიერების ცოდნის საფუძველზე შეიძლება მოხდეს და თვით ახალი ფაქტი ახალ კანონზომიერებას გადაგვიშლის. კანონზომიერებანი, კანონები მეტ-ნაკლები ზოგადობით ხასიათდებიან. მეცნიერული თეორიის (ე. ი. სპეციალურ მეცნიერებაში ხმარებული თეორიის) მიღება კანონების განზოგადების გზით ხდება. ყოველი ახალი კანონზომიერება, თუ ის გვაძლევს საშუალებას განზოგადების გზაზე წინ წავიწიოთ, თეორიულ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოთ. ასე იქმნება მეცნიერების საკუთარი თეორია. ამიტომ დაპირისპირება კანონზომიერებისა და თეორიის (ვიმეორებ: მეცნიერების სპეციალური თეორიის) გაუგებრობაა. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კანონზომიერებისა (და თეორიის) მეტ-ნაკლებ ზოგადობაზე, მეტ-ნაკლებ სისრულეზე. ამ საკითხში აღნიშნული იყო, რომ განწყობის თეორია თავის დასაწყის სტადიაში იმყოფება და მისი შეფასებაც ამის მიხედვით უნდა მოხდეს. რასაკვირველია, ყოველი მეცნიერების წინაშე დადგება საკითხი მიღებული შედეგებისა და აღმოჩენილი კანონზომიერების ფილოსოფიურად გააზრების შესახებ, მაგრამ ეს იგივე არ არის, რაც მეცნიერების სპეციალური თეორია, როგორც ერთი და იგივე არ არის მეცნიერების მეთოდიკა და მეთოდოლოგია (ფილოსოფიური). მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალური მეცნიერების ფილოსოფიური გააზრება ამ სპეციალობის არმცოდნემ უნდა მოგვცეს, თუ გინდ ეს არმცოდნე ფილოსოფოსის სახელსაც ატარებდეს. ენგელსმა დაგმო ე. წ. Wissenschaftslehre (იხ. „ანტი-დიურინგი"), რომელიც კისრულობდა ყოველი მეცნიერებისათვის დარიგება და განკარგულებაც მიეცა. სპეციალური მეცნიერების ფილოსოფიური საკითხების გარკვევა ენგელსმა ისევ ამ მეცნიერებათ დააკისრა და მაგრად გაამათრახა ის ბუნებისმეტ-

ყველანი, რომელნიც გულგრილობას იჩენდნენ ფილოსოფიისადმი (იხ. „პუნების დიალექტიკა").

განწყობის თეორიაზე მსჯელობის დროსაც, მაშასადამე, უნდა გარკვევით ვიცოდეთ ის, თუ რაზეა საუბარი: განწყობის კანონების ზოგადობასა და მათს თეორიულ მნიშვნელობაზე თუ ამავე კანონზომიერებათა და მათ საფუძვლად მდებარე ფაქტების ფილოსოფიურ გააზრებაზე.

ჩვენი აზრით, თუ სპეციალურია, მეცნიერული თეორია განვითარების დასაწყის საფეხურზეა და ამიტომ მის საბოლოო შეფასებაზე ნაადრევია მსჯელობა, კიდევ უფრო ნაადრევია მისი ფილოსოფიური მნიშვნელობის გააზრება. და თუ მაინც ბევრია ნათქვამი პროფ. დ. უზნაძის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, ეს ემყარება არა თვით განწყობის ფსიქოლოგიას, არამედ პროფ. დ. უზნაძის ცალკეულ გამოთქმებს. განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფია ჯერ კიდევ არ არსებობს, ე. ი. არ არის ცნობილი ის ახალი ფილოსოფიური ცნება, რომელიც განწყობის ფსიქოლოგიის სპეციალური კვლევის ნიადაგზეა მიღებული და მარქსისტული ფილოსოფიის საგანძურში უნდა შევიდეს. რასაკვირველია, ფილოსოფიის ცნებათა შორის განწყობის ცნება თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს, როცა ის საბოლოოდ ჩამოყალიბდება და თეორიულ დასრულებას მიაღწევს. ამ მიმართულებით ბრძოლაა ამჟამად აქტუალური: განწყობის ფსიქოლოგია მოწოდებულია მოგვცეს ადამიანის პიროვნების ისეთი თეორია, რომელიც ჩვენი მეცნიერების თანამედროვე გაზრდილ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და მარქსისტულ ფილოსოფიაში საპატიო ადგილს დაიჭერს.

(შემოვიდა რედაქციაში 10. I. 1955).

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

И. А. ДЖГАРКАВА

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЕ И ФИЛОСОФСКИЕ ВЗГЛЯДЫ ДМИТРИЯ ИВАНОВИЧА ПИСАРЕВА

1. Общественно-политические взгляды.

Плеяду революционных демократов 60-ых годов XIX века в России украшает собой выдающийся философ-материалист, литературный критик, экономист, один из первых талантливых популяризаторов дарвиновского естествознания и создатель передового педагогического учения Дмитрий Иванович Писарев.

В политической оценке Д. И. Писарева среди исследователей как дореволюционной, так и послереволюционной эпохи не существует полного единства мнений. Это в то время, когда, по свидетельству Крупской, „Писарева Владимир Ильич в свое время много читал и любил“ [1].

„В шушенском альбоме Владимира Ильича среди карточек любимых им революционных деятелей и писателей была фотография и Писарева“ [2].

Очень ценила Писарева Н. К. Крупская.

„Меня пленила, — пишет Крупская, — резкая критика крепостного уклада Писаревым. Его революционная настроенность, богатство мысли. Все это было далеко от марксизма, мысли были парадоксальные, часто очень неправильные, но нельзя было читать его спокойно“ [3].

По свидетельству Глурджидзе, товарищ Сталин в молодости увлекался чтением Д. И. Писарева. „Иосиф, — пишет Глурджидзе, — увлекался чтением посторонних книг. Вокруг него собира-

[1] Н. К. Крупская, Воспоминания о Ленине, М., 1932 г., стр. 238.
[2] Н. К. Крупская, Стахановки требуют научно-популярной литературы, М., 1936 г., стр. 12.
[3] Н. К. Крупская, Современные цитаты, „Правда“, 1935 г., № 2.

лись товарищи. Чтобы лучше разбираться в интересовавших нас вопросах, мы читали „Историю культуры" Липперта, „Войну и мир" Толстого, а также Писарева, Достоевского, Шекспира и др." [1].

Большинство дореволюционных исследователей относилось к Писареву тенденциозно и враждебно. Напр., Страхов, Зорин, Соловьев считают Писарева нигилистом, проповедником антинародной морали и разрушителем эстетики. По мнению же И. Иванова, Писарев действует по личным психическим переживаниям, а А. Волынский объявляет его защитником плебейского вкуса.

У Скабичевского, Овсянико-Куликовского, Иванова-Разумника, Михайловского, Протопопова и других критиков-народников Писарев представлен полным внутренних противоречий, противопоставленным Добролюбову, проповедником антинародного, „узко-индивидуалистического, толстовского" морализаторства (Михайловский), иллюзатором, мнения которого „построены на песке" (Протопопов).

Н. В. Шельгунов первый, так или иначе, положительно оценил Писарева. Он считал недопустимым противопоставлять друг другу Добролюбова и Писарева. „Как Добролюбов есть, — пишет он, — продолжение Белинского, так Писарев есть продолжение и дополнение Добролюбова" [2].

Ранняя марксистская критика в лице В. Засулич попыталась защитить Писарева от некоторых фальсификаторов. В связи с этим великий Ленин в письме к матери от 6 апреля 1900 года спрашивал ее, прочитала ли его сестра, Мария Ильинична, журнал „Научное обозрение" № 3-4. „Превосходна там статья о Писареве" [3]. Автором статьи была В. Засулич. Следует отметить и письмо В. Воровского, датированное 190- годом.

Настоящее и основательное изучение Писарева началась в советское время. В этом отношении чрезвычайно значительны труды А. Л. Плоткина, Кружкова, академика Мещерякова, Кирпотина, Б. Б. Козьмина, Казановича и др.

---

[1] Глурджидзе, Памятные годы, „Рассказы старых рабочих Закавказья о Великом Сталине", 1933 г., стр. 10.

[2] „Литературное наследство", № 25, 26 1936 г., стр. 399.

[3] В. И. Ленин, письма к родным, 1931 г., стр. 241.

Академик Е. Ярославский назвал Писарева „просветителем и революционным демократом", что теперь разделяется всеми исследователями наследства писарева.

В И. Ленин, рассматривая революционно-освободительную борьбу в России как исторически закономерный процесс, писал, что до Октябрьской революции в России действовали три класса, три поколения:

„Сначала — дворяне и помещики, декабристы и Герцен... страшно далеки они от народа, но их дело не пропало.

Декабристы разбудили Герцена. Герцен развернул революционную агитацию. Ее подхватили, закалили революционеры-разночинцы, начиная с Чернышевского и кончая героями „Народной воли". Шире стал круг борьцов, ближе их связь с народом" [1]. „...Третий исторический период — движение самых масс во главе с пролетариатом, поднявшим народные массы на открытую революционную борьбу" [2].

Революционеры-демократы 60-ых годов были идейными продолжателями декабристов, Белинского, Герцена, борцами против социально-политического уклада царской России для установления нового порядка жизни.

Они создали новую эпоху в области философии и науки, так что их учение имеет не только русское, национальное значение, но является уникальным памятником мировой культуры.

Д. И. Писарев занимает чрезвычайно почетное место в плеяде революционных демократов. Он принадлежит к группе тех людей, которые, по характеристике Ленина, „жадно искали правильную революционную теорию, следя с удивительным усердием и тщательностью за всяким и каждым „последним словом" Европы и Америки в этой области" [3].

Писарев обладает всеми тремя признаками, характеризующими русских просветителей. Первый из этих признаков — непримиримая борьба в течение всей своей жизни против крепостного права и его остатков, второй — чрезвычайно высокая оценка образования и европеизации всей русской жизни и третий — за-

[1] Ленин, соч., т. XV, стр. 468.
[2] Ленин, соч., т. XV, стр. 464.
[3] Ленин, соч., т XXV, стр. 175.

щита интересов народных масс — в особенности „голодных и раздетых".

Поэтому дорог нам Писарев. После Чернышевского и Добролюбова Писарев является идейным руководителем и вдохновителем общественной революционной мысли в России. В 60-ых годах под влиянием текущей политической обстановки, и в особенности Чернышевского, политические убеждения Писарева претерпели довольно сложную эволюцию к прогрессивному подъему.

В начале своей деятельности (до 1861 г.) он касался таких социальных проблем, как вопросы гуманизма, семейного быта, эмансипации женщин, что было противопоставлено морали феодальных традиций.

Хотя, в отличие от Чернышевского, он еще не занят задачами социального преобразования, но, как это отмечает и Бельчиков, Писарев „...отрицая социализм и находя несбыточными, оскорбительными для личности человека утопии коммунизма (1861 г.), стоял на точке зрения неприкосновенности частной собственности"[1]. Несмотря на то, что Писарев критикует реакционеров-консерваторов и славянофилов, до 1861 г., а также в первой части „Схоластики XIX века", политически стоит на точке зрения умеренности, мечтает о моральном преобразовании общества и борьбу между двумя враждебными лагерями считает делом не общественного, а личного, частного значения.

С этого же года наступает конец его колебаниям, и он решительно переходит на платформу Чернышевского. Он выступает с ультиматумом: „Словом, вот ультиматум нашего лагеря: что можно разбить, то и не годится, что разлетится вдребезги, то хлам"[2].

Скоро Писарев начинает сочувствовать социалистам-утопистам, называя их учение ...„величественным построением человеческого ума, сбросившего всякие оковы и идущего вперед с неудержимой силой, с неотразимой последовательностью", но принимает от них только „отрицание существующих нелепостей и желание стать выше их"[3].

[1] И. Ф. Бельчиков, Д. И. Писарев, Избр. литературно-критические статьи, 1940 г., стр. 5-6.

[2] Д. И. Писарев, соч., т. I, изд. 1894 г., стр. 374.

[3] Д. И. Писарев, соч., т. I, изд. 1894 г., стр. 597.

Нарисованная утопистами картина социального строя пока еще кажется ему непривлекательной, так как он сомневается, не произойдет ли так, что при этом интересы личности будут принесены в жертву обществу. Писарева всегда интересует судьба „голодных и раздетых людей", но если до 1861 года он ограничивался теорией здорового эгоизма для личности, то теперь на первый план выдвигается вопрос борьбы за политические права и положение народной массы. Такая мысль высказана в „Меттернихе", в „Бедной русской мысли". Вследствие цензурных условий, Писарев часто рассматривает общественные вопросы обходным путем — социально-экономическим путем. Например, в „Плечах" (1862 г.) посредством описания жизни пчел и указания взаимоотношения людей, он делает вывод, что тот, кто работает, голоден, а кто не работает, тот сыт. „Рабочие „Пчелы" это пролетарии, — пишет Писарев, — задавленные существующим порядком вещей, закабаленные в безвыходное рабство, кружающиеся в колесе и потерявшие всякое сознание лучшего положения" [1].

Цензор оторвал от статьи конец, а доносчик Цитович писал: „Эти „Пчелы" гораздо ядовитее „Набата", „Общины", „Земли и воли", всяких прокламаций и „воззваний к молодому поколению". По мнению Писарева, строй, опирающийся на эксплуатацию, должен быть уничтожен, и построен новый, который „отнял бы у одного человека возможность эксплуатировать труд сотен других людей" [2]. А в 1860-1861 гг. Писарев частично приближается к той мысли, что лучшим средством оздоровления людей является революция.

„Если голодный народ, — пишет он, — дойдет до крайней степени страдания, он взбунтуется".

А в статье о Шедо-Ферроти (1862 г.) Писарев призывает народные массы к свержению царского режима революционным путем. Он пишет в прокламации: „Низвержение... и изменение политического и общественного строя составляют единственную цель и надежду всех честных граждан. Чтобы при теперешнем положении дел не желать революции, надо быть или совершенно

[1] Д. И. Писарев, избр. соч., т. I, изд. 1934 г., стр. 365.
[2] Д. И. Писарев, соч., т. II, изд. 1897 г., стр. 474.

ограниченным, или совершенно подкупленным в пользу царствующего зла... примирения нет. На стороне правительства стоят только негодяи, подкупленные теми деньгами, которые обманом и насилием выжимаются из бедного народа. На стороне народа стоит все, что молодо и свежо, все, что способно мыслить и действовать... и петербургская бюрократия должна погибнуть" [1].

Для Писарева вопросы революции и социализма органически связаны друг с другом.

Теперь уже для него установившийся путем революции социалистический строй решает „великий вопрос о голодных и раздетых людях". В „Очерках из истории труда" он критикует общественный строй, опирающийся на частную собственность и эксплуатацию труда, и т. н. буржуазные теории, которые народную нищету объясняют размножением людей и „ростом" числа нищих. Писарев также указывает, что настоящая причина бедности лежит в неправильной организации труда. Он видит, что на Западе капитализм опирается на индустриальное производство, а индустрия с своей стороны является прогрессивным явлением, и поэтому полагает, что так же, как и на Западе, в России развитие капитализма является обязательным и необходимым. Только это достаточно для выяснения того, что Писарев не был представителем народничества в России, как это полагали у нас некоторые исследователи.

Прав В. А. Гольцев, когда пишет: „Писарев демократ, но не народник" [2]: Писарев вместе с положительной стороной заметил и отрицательные стороны капитализма и предсказал его неминуемую гибель в пользу социализма.

„Средневековая демократия упала, — пишет Писарев, — феодализм упал, абсолютизм упал, упадет когда-нибудь и тиранническое господство капитала" [3].

Вследствие цензурных условий, Писарев заменяет понятие социализма понятием общечеловеческой солидарности и указывает, что эта последняя является потребностью каждого человека и, если до сих пор люди угнетают друг друга, при новом

[1] Д. И. Писарев, Дополнение к шестому тому, изд. 1907 г., стр. 150.
[2] В. А. Гольцев, Литературные очерки, Москва, 1895, стр. 62.
[3] Д. И. Писарев, избр. соч., т. I, 1934, стр. 479-480.

строе „отдельная личность... увеличивает сумму общечеловеческого благосостояния“ [1].

По изучению Писарева понимание революции и социализма идет постепенно прогрессивным подъемом, но это не так представляют себе Альфонс Тун, Иванов-разумник, советский исследователь Кирпотин и др., по мнению которых, как-будто до 1862 года мы имеем подъем в политических взглядах Писарева, а потом постепенное падение и, наконец, полное отрицание социализма и революции проповедью культурного капитализма. Известно, что в России с 1862 года политическая реакция все более усиливается. Внешне-революционная установка исчезает, но фактически внутри общества, с усилением социально-политической дифференциации, все более углубляется и усиливается. Писарев теперь не считает революцию делом ближайшего будущего и решение вопроса о „голодных и раздетых“ связывает с подготовкой вышедших из народных масс, вооруженных знанием естественных наук реалистов, которые потом популяризацией своих знаний дадут развитие народу посредством нужных и необходимых для техники и сельского хозяйства знаний, но Писарев скоро приходит к тому выводу, что революция является делом не далекого, а близкого будущего.

К 1865 году Писарев не шадит и „Современник“ из-за отхода его от старых революционных традиций. Т. В. Брюсова удостоверяет: „В середине 60-ых годов наиболее передовое место стремилось занять „Русское слово“, где писали Д. И. Писарев, Зайцев, Благосветлов; оно резко нападало на „Современник“ за его умеренность, обличая Салтыкова и Антоновича, как изменивших заветам Чернышевского и Добролюбова; полемика была очень резкой, даже грубой“ [2].

Происходившие на Западе политические события, рабочее движение, направленное против господства капитализма, Писарев считает неизбежным и для России и в этом же 1865 году в труде „Исторические идеи Огюста Конта“ он пишет: „Для решения задачи о голодных людях необходимо соблюдение двух условий. Во первых, задачу эту должны решить непременно те люди, ко-

[1] Д. И. Писарев, избр. соч., т. II, 1955 г. стр. 84

[2] Архив Брюсова, Москва. Датировано декабрь 1912 г.

торые в ее разумном решении находят свои личные выгоды, т. е. ее должны решать сами работники. Во вторых, решение задачи заключается не ввоздействии личных добродетелей, а в перестройке общественных учреждений“ [1].

В „мыслящем пролетариате“ (1865) теория здорового эгоизма понимается как самопожертвование за благо народа, также, по правильному замечанию министра внутренних дел, в нем „проводятся теории социализма и коммунизма“.

Любимый Писаревым литературный тип Базаров заменяется Рахметовым.

Революция и социализм близки, так как „где появляются Рахметовы, там они развивают вокруг себя светлые идеи и пробуждают живые надежды“.

В проповеди в пользу социализма и революции Писарев до конца принципиален. Он отошел в последние годы своей литературной деятельности от своего любимого друга и сотрудника, редактора „Русского слова“ Благосветлова и с 1868 года начинает работать в „Отечественных записках“ Некрасова только потому, что Благосветлов вследствие того, что разбогател, постепенно отошел от идеала социализма и революции. В „Борьбе за жизнь“ признается неизбежность революции, но только в том случае, если „две большие группы людей, две нации, или две сильные партии резко и решительно расходятся между собой в своих намерениях“ [2].

Но он выказывает непосредственность и в „Необыкновенных людях“, советует пытаться „предупредить это кровопролитие“, и приходит к тому заключению, что если революция неизбежна, то народные массы делают „умное и хорошее дело“.

Писарев критикует Гейне, по представлению которого при социализме уничтожатся искусство, поэзия, исчезнет вся красота жизни и останется только „румфордов суп полезности“, жизнь оденется в пепельно-серый костюм равенства и т. д. Социалисты, — говорит Писарев, — признают не пепельно-серый костюм равенства, а то, что „тысячи не должны ходить босиком и питаться отрубями для того, чтобы единицы смотрели на хо-

[1] Д. И. Писарев, т. V, изд. 1897 г., стр. 408-409.

[2] Д. И. Писарев, Избран. соч. в двух томах, т. II, изд. 1955 г., стр. 523.

рошие картины, слушали хорошую музыку и декламировали хорошие стихи"[1].

По Писареву, при социализме трудящийся народ будет пользоваться всей красотой и богатством жизни. И, наконец, в 1868 году в труде „Французское крестьянство в 1789 г." подчеркнута решающая роль народных масс в истории развития человечества.

Но для того, чтобы народ понял свою историческую миссию, нужно, чтобы к его стихийному протесту присоединилась политическая сознательность. Писарев проявляет большую дальновидность, когда пишет, что буржуазная революция против феодализма всегда завершается во вред народу.

„До поры до времени симпатии Жана Леру (буржуа, И. Д.) принадлежат народу, — пишет Писарев, — но будут они принадлежать только до тех пор, пока развитие народных прав будет в каком бы то ни было отношении усиливать или упрочивать благосостояние мастеров кузнечного цеха и деревенских трактирщиков"[2].

Как только интересы буржуа Леру будут удовлетворены, „в ту же минуту он отодвинет от себя блюдо с дальнейшими преобразованиями и скажет: я сыт, поручит, что народ тоже сыт и доволен, и сделается злейшим врагом всякого шума и всяких толков, способных нарушать процесс его здорового пищеварения"[3].

Не меньше, чем с реакционерами, Писарев ведет борьбу с либералами, потому, что „...несчастный или ограниченный союзник... в борьбе принципов — вреднее врага"[4].

Таким образом, Писарев до последней минуты жизни был революционером и демократом, ценившим роль народа в исторической борьбе. Он требовал доведения до конца дела, начатого революцией и в этих целях — развития самосознания в народе в соответствии с его интересами. Он был социалистом, до самой

---

[1] Д. И. Писарев, избр. соч., т. I, изд. 1934 г., стр. 294.

[2] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. II, изд. 1935, стр. 575.

[3] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. II, изд. 1935 г., стр. 576.

[4] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. II, изд. 1934 г., стр. 136.

своей смерти заинтересованным судьбой „голодных и раздетых людей" и вообще продолжателем и проводником идей Чернышевского. Он стоял головой выше социалистов-утопистов Западной Европы, так как он, в отличие от них не представлял себе осуществление социализма без революционного движения народов, хотя он на этом пути не был застрахован от утопизма, так как в одно время он думал осуществить социализм распространением естественно-научных знаний. Эта ошибка не должна удивлять нас, так как ему приходилось жить и действовать тогда, когда социализм из утопии формировался в науку.

2. Философские взгляды.

В вопросе понимания и объяснения мира Д. И. Писарев является материалистом. Его взгляды на революцию, социализм, эстетику, экономическую, педагогическую, природоведческую и другие науки обусловлены этой точки зрения, но, как товарищ Сталин пишет в своем раннем труде „Анархизм или социализм?", „...в науке есть разные виды материализма, что между ними имеются большие различия: есть, например, вульгарный материализм, отрицающий значение идеальной стороны и ее воздействие на материальную сторону, но есть и так называемый монистический материализм — материалистическая теория Маркса, — который научно рассматривает взаимоотношение идеальной и материальной сторон" [1]. Вульгарные материалисты стояли на очень ошибочной точке зрения, потому что „сознание является формой бытия, вовсе не означает, будто сознание по своей природе есть та же материя. Так думали только вульгарные материалисты (например, Бюхнер и Молешотт), теории которых в корне противоречат материализму Маркса и которых справедливо высмеивал Энгельс в своем „Людвиге Фейербахе" [2].

По указанию великого Ленина, „Назвать мысль материальной — значить сделать ошибочный шаг к смешению материализма с идеализмом" [3].

[1] И. В. Сталин, Анархизм или социализм?, т. I, изд. 1946 г., стр. 323–324.

[2] И. В. Сталин, Анархизм или социализм?, т. I, изд. 1946 г., стр. 317.

[3] В. И. Ленин, соч., т. III, стр. 199-200.

Большинством исследователей советского периода Писарев признан последователем школы немецкого вульгарного материализма и представителем этого направления в России. Так, например, советский исследователь И. И. Штерн пишет: „Ученик Фохта, Бюхнера, Молешотта Писарев как раз был представителем этого грубого, простого метафизического материализма“ [1]. Такого же взгляда Н. Д. Бельчиков, С. Бушуев, В. Жданов, А. Шишкин, В. К. Бобровникова и многие другие, если ничего не сказать о дореволюционных исследователях. А по мнению Кирпотина, первыми учителями Писарева были Фохт, Молешотт и Бюхнер. „Вообще в философских воззрениях... влияние Фохта, Молешотта и Бюхнера осталось решающим“ [2]. В полемике с Кирпотиным Плоткин отрицает этот взгляд Кирпотина и приходит к тому заключению, что мировоззрение Писарева сформировалось еще до знакомства с Фохтом, Молешоттом и Бюхнером, поэтому они не могли быть его первыми учителями, но все же он допускает, что „Известное влияние оказали на него (на Писарева, И. Д.) естественно-научные материалисты Фохт, Молешотт и Бюхнер“.

Писарев, в окружении господства достаточно сформировавшейся реакционно-церковной идеалистической философии, после ссылки Чернышевского и смерти Добролюбова защищал в России материалистическое мировоззрение. Он, как материалист, начал искать средство победы над идеализмом в достаточно сформировавшемся к этому времени естествознании. Раньше такая тенденция была дана в Герценом в „Письмах об изучении природы“, более допустимо, что Чернышевским, но до возможной крайности развил ее Писарев. Писарев в борьбе против идеализма часто пользовался вульгарным материализмом, но этого учения он не защищал и не развивал. Напротив, его точка зрения основательно отличалась от него. Например, если школа немецких вульгарных материалистов стояла на точке зрения т. н. агностицизма познания, Писарев, наоборот, указывал на бесконечную возможность познания сущности вещи, а немецкие вульгарные материалисты полностью

[1] Известия Узбекистанского филиала Академии наук СССР, 1940 г., № 11, стр. 10.

[2] Кирпотин, Радикальный разночинец Д. И. Писарев, 1934 г., стр. 78.

отрицали диалектику, как основной метод объяснения действительности. Писарев же признавал диалектику в том случае, если она поможет нам в материалистическом объяснении мира. Немецкая вульгарная материалистическая школа делала реакционные выводы для оправдания прусского буржуазно-монархического государства. Д. Писарев, напротив, посредством правильных выводов смело вступил в бой с династией Романовых и со всеми, выступавшими в роли защитников реакционного государства. Азбучной истиной является то, что новая философская мысль в процессе своего создания критически перерабатывает старое, как историческое наследство и на этой основе создает новое. Например, так поступили французские материалисты в отношении английского материализма XVII века. Так же поступил и Писарев в отношении вульгарного материализма. В сущности он был самостоятельным философом, как это признавали член кор. АН СССР Н. Л. Мещеряков, Плоткин и др., можно говорить о решительном влиянии на Писарева антропологического материализма Чернышевского. „Писарев испытал, — писал Мещеряков, — сильное влияние Чернышевского и испытывал его все время после умственного перелома, который произошел в нем в 1859—1860 г.г., но он был своеобразным учеником Чернышевского“,[1] и это своеобразие, по мнению Мещерякова, и его вульгарном материализме. Сам Писарев в „Реалистах“ смеется немецкими вульгарными материалистами за простоту, называя материализм Бюхнера „простым материализмом“[2].

„Простой материализм“ не удовлетворяет Писарева и постольку он не мог быть его слепым последователем и повторителем в России. Кто так рассуждает, тот опирается на высказанные Писаревым в пользу вульгарного материализма отдельные соображения, а не на систему его взглядов. По такому методу можно было бы и Чернышевского окрестить вульгарным материалистом. Писарев, придававший огромное значение развитию в „Прогрессе в мире животных и растений“ (1864), не мог стоять на почве вульгарных материалистов. Если в период быстрого

[1] Н. Л. Мещеряков. Эволюция мировоззрения Д. И. Писарева, Известия Академии наук СССР, 1941 г., № 1, стр. 11.

[2] Д. И. Писарев, соч., т. IV, изд. 3-е, стр. 40.

развития механики развивался механический материализм, в России и на Западе в 60-ых годах вместе с необыкновенным развитием естествознания развился антропологический материализм, к которому принадлежит и Писарев. В самом деле, в 60-ых г. г. XIX века русские достигают блестящих успехов в естествознании. В это время выходит в свет труд основоположника русской физиологии И. М. Сеченова „Рефлексы головного мозга" (1863), который был объявлен вне закона реакционерами из за страха перед материализмом. В это время работает Менделеев, труд которого „Основы химии" (1866—68), по характеристике Энгельса, произвел переворот в науке. В это время начинает свою деятельность выдающийся русский ботаник, продолжатель теории Дарвина, великий общественный деятель, К. М. Тимирязев (1828—1886 г. г.), в эту же эпоху работали Мечников, Бутлеров, Зинин, Столетов и др. За границей протекала деятельность Либиха, Дарвина, Клода, Гельмгольца и других.

В России к этому времени стали выходить журналы по естествознанию, основывается научное общество естественных наук, начались экспериментальные исследования, лабораторная работа, при университетах учреждаются кафедры естественных наук, издается популярная литература, в воскресной школе вводится обучение естествознанию, устраивается целый ряд съездов по вопросам естествознания и т. д. Поэтому писал Тимирязев: „Во всей истории естествознания не найдется других 10—15 лет, в пределах которых изучение природы сделало бы такие дружные, одновременные, колоссальные шаги"[1]. Поэтому ничего удивительного нет в том, что русская классическая материалистическая философская школа имела связь с естествознанием. Писарев, как прогрессивный мыслитель своей эпохи, видит, что Россия как экономически, так и технически отстает от остальных европейских стран, а для того, чтобы догнать их и следовать за исторической закономерностью, нужно внедрять как можно в большом объеме высокую технику и индустрию, а это имеет основу в естествознании и, как это было отмечено выше, к 1864 году Писарев полагает, что если естественные науки распространятся в обществе, то будет разрешен и вопрос социального равенства

[1] К. А. Тимирязев, соч., т. VIII, 1939 г., стр. 142.

и что они будут также средством искоренения идеализма и всяких предрассудков.

Для Писарева естествознание имело просветительное и освободительное значение. В России в 60-ых годов имел место не только политический, революционно-демократический подъем, но и подъем материалистического учения в борьбе против идеализма и поповщины, что с своей стороны не осталось не замеченным служителями церкви и реакции. Архиепископ Полоцкий и Витебский Василий в своей речи 17 апреля 1866 года говорил: „Не скрою от вас, благородные юноши, как пастырь церкви христовой и служитель слова, что по напущению божию настали тяжелые времена для церкви православной и у нас благодаря материалистическому духу журнальной мудрости",[1] ниже: „Во имя принципов материализма современной цивилизации православным сынам русской церкви отрекаться от ее авторитета и евангелия — это значит восставать против авторитета власти божественной"[2].

Официальная журнальная философия в лице Юркевича, „материю признает произведением духа". Аналогично писал Страхов: „Как творение бога мир существенно отличен от бога, но мир все-таки нельзя противопоставлять божественному существу, как будто он существовал вне бога, — мир существует не только через бога, но и в нем"[3].

Вопреки церковной реакционно-идеалистической школе для русской классической материалистической философии и, конечно, для Писарева была характерной традиционная беззаветная борьба против всякого рода отвлеченных метафизических идей. Для преодоления разрыва идеи и материи материалистическим монизмом Писарев, будучи еще юношей, материалистически разрешал в диссертационном труде вопрос о судьбе, а потом громил идеалистов, начиная с Платона и кончая Гегелем, Катковым, Юркевичем и др. „Умозрительная философия, — пишет он, — пустая трата умственных сил, бесцельная роскошь, которая всегда останется непонятной для толпы, нуждающейся в насущном

[1] Архивные материалы, папка К—Д 4457, Ленинградского отделения исторического архива.

[2] Там же.

[3] И. И. Страхов, Очерк истории философии, Харьков, 1893, стр. 166.

хлебе. Этого не понимали ни Гегель, ни Шеллинг, этого, конечно, не понял и Киреевский"[1].

Критикуя Платона, он указывал на то, что наш богатый и прекрасный мир кажется ему призраком и „галлюцинация Платона дошла до того, что он верил в действительное существование идей отдельно от явления"[2].

Гегель был великим мыслителем, но „В наше время Гегель, наверное, не был бы гегелянцем, потому что только узкие и вялые умы живут в области преданий тогда, когда можно выйти в область действительно живых идей и интересов"[3].

Идеализм господствует в обществе с полицейской силой также и потому, что и в школах философское образование молодежи осуществляется по этому принципу. „Излагая историю греческой философии, — пишет он, — принято как-то относиться покровительственно к элеатской школе, к Гераклиту и Демокриту, к Пифагору и Анаксагору, потом с негодованием упомянуть о софистах, потом умилиться над личностью и судьбой Сократа, поклониться в пояс Платону, его Демиургу и Идеям, назвать Аристотеля великим учеником его, часто несправедливым к великому учителю, потом разругать Эпикура, посмеяться над скептиками и выразить добродетельное сочувствие возвышенным добле стям стоиков"[4]. Так же, как это было характерно для русской классической философии, Писарев видит в идеализме начала застоя жизни и науки и полностью отрицает его и не признает за ним положительной роли в истории развития мышления. Ведя борьбу против церкви и „авторитета власти божественной", с увлечением славит выдающихся материалистов всех времен, начиная с древних (Эпикура и др.) и кончая новыми. Например, Бэкона он называет светочем человечества, началом новой философии — „великим поворотным пунктом в истории человеческой мысли"[5].

По мнению Писарева, французские материалисты разработали „с разных сторон самые важные и глубокие вопросы

[1] Д. И. Писарев, соч., т. II, изд. 1904 г., стр. 123
[2] Д. И. Писарев, соч., т. I, изд. 1894 г., стр. 264.
[3] Там же, стр. 382.
[4] Там же, стр. 257—258.
[5] Д. И. Писарев, соч., т. V, изд. 1894 г., стр. 577

мировоззрения, частной нравственности и общественной жизни“ [1].

Особенно высоко ценит Писарев Белинского, Герцена, Чернышевского, Добролюбова и др. Вопреки мнению реакционеров и славянофилов, видевших в русском человеке только фанатика религии, Писарев в 1861 г. отмечает: „Ни одна философия в мире не привьется русскому уму так прочно и так легко, как современный здоровый и свежий материализм“.

Для Писарева предметы и явления природы существуют независимо от нас, так что никакое потустороннее духовное начало не питает их. Материя вечна, в отношении познания — бесконечна, меняется только форма ее конкретного проявления. Так например, пишет он: „Ни одна частица материи не пропадает и не уничтожается, а только видоизменяется, так точно иногда частица какой бы то ни было силы не утрачивается, а только принимает иногда такую форму, которая скрывает ее от нашего наблюдения“ [2]. Материя первична, что с своей стороны обусловливает душевную жизнь.

Писарев одобряет древнего материалиста Эпикура за то, что „...он принимает вечность материи, потому что ничто в мире не уничтожается и не возникает из ничего“ [3]. Материя первична, а душевная жизнь — вторична.

Таким образом, Писарев признал мир материальным, но все-таки в объяснении действительности он не смог избежать некоторой метафизической ограниченности.

В отличие от вульгарных материалистов, по мнению Писарева, человек, познающий мир, является не пассивным продуктом среды, а ее преобразователем.

„Человек продукт среды и жизни, — пишет он, — но жизнь в то же время вкладывает в него активную силу, которая не может быть мертвым капиталом для существа деятельного“ [4].

Писарев процесс познания объясняет главным образом с точки зрения материалистического сенсуализма. Для него только то знание является достоверным, которое непосредственно связано

[1] Д. И. Писарев, соч., т. V, изд. 1894 г., стр. 478
[2] Д. И. Писарев, т. II, изд. 1911 г., стр. 357, 358, 55 ?.
[3] Д. И. Писарев, Избр. соч. в двух томах, т. II, изд. 1897, стр. 97.
[4] Д. И. Писарев, соч., т. IV, 1914, стр. 252.

с ощущением человека. „Свидетельству наших чувств, — пишет он, — вы невольно придаете гораздо больше значения, нежели соображениям вашего рассудка. Проведите это начало во все сферы мышления, начиная от низших до высших, и вы получите полнейший материализм“ [1].

Признание ощущения источником знания является правильным, но останавливаться здесь и отрицать силу логического мышления — неправильно. Но все-таки Писарев никогда не был голым эмпиристом, как это полагали Скабичевский и др. В познании Писарев уделял большое внимание делу обобщения закона теории. Так, напр., он пишет: „Человек наблюдает сначала однородные факты, подмечает в них однородные стороны, отыскивает их общую причину и составляет себе таким образом понятие о законе, в силу которого одно явление вызывает собой другое“ [2].

За теоретическое новаторство он называл Дарвина, Либиха, Чернышевского и др. титанами мышления; еще больше, через выяснение силы мечты Писарев останавливается на выяснении познавательной и творческой роли фантазии. Для Писарева познание является установлением взаимного соотношения между реальным знанием и фантазией. Насколько в сознании растет сумма реальных знаний, настолько усиливается и работа творческой фантазии, что в свою очередь увеличивает творческую способность. Научная и художественная, творческая и познавательная способности растут через установленние границы между реальностью и мечтой.

Великий Ленин в „философских тетрадях“ писал: „Нелепо отрицать фантазию и в самой строгой науке: см. Писарев о мечте полезной, как толчке в работе и о мечтательности пустой“ [3].

Действительно, Писарев различал мечту двух видов: одну, которая исходит из жизни и служит ей в работе творчества и познания посредством сильного толчка — хорошая мечта; и вторую — маниловскую, когда жизнь уступает мечте, или наоборот, по практическому указанию жизни мечта исчезает — вредная и плохая мечта.

[1] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. I, стр. 55.
[2] Д. И. Писарев, соч., т. V, изд. 1911 г., стр. 522.
[3] В. И. Ленин, Философские тетради, стр. 336.

В 1902 г. Ленин в труде „Что делать" критиковал всех тех, кто отрицал в рабочем движении роль мечты и приводил обширную цитату из статьи Писарева „Промахи незрелой мысли", где Писарев в одном месте писал: „Когда есть какое-нибудь соприкосновение между мечтой и жизнью, тогда все обстоит благополучно".

Ленин с своей стороны добавил к этому следующее: „Вот такого-то рода мечтаний, к несчастью, слишком мало в нашем движении" [1].

У человека есть полная возможность познания мира, достижения истины, сама же истина Писаревым определяется, как „снимок с природы, сама природа, разоблаченная, открывшая свои законы пытливому разуму человека" [2].

Мир, носителем каких бы он ни был неисчерпаемых качеств, в конце концов познаваем, границ познания его (мира) не существует. То, что мы знаем о мире, с течением времени изменяется, и поэтому отвлеченной, метафизической, вечной истины не существует. Индуктивный путь познания привел Писарева к некоторым ошибкам агностического характера. Так, например, он считал, что так как невозможно проверить ощущением законы, причины и др., разговор о них является диалектической, умозрительной хитростью.

По взгляду целого ряда советских исследователей, Писарев полностью отрицает диалектический метод познания. Деборин пишет, что „Писарев выбросил за борт не только идеализм Гегеля, но и его диалектику" [3].

Такого же мнения Штерн и др. Действительно, Писарев критикует не только идеалистическую систему Гегеля, но и диалектический метод, использованный в этой системе: в идеалистической системе Гегеля „...с какой стороны ни посмотришь на диалектику и отвлеченную философию, она всячески покажется бесполезной тратой сил и переливанием из пустого в порожнее" [4]. Но не было бы правильным полагать, что он не заметил положительных сторон диалектики. Вот что он пишет: „Мы с удо-

[1] В. И. Ленин, соч. т. V, изд 4, стр. 476

[2] Д. И. Писарев, избр. соч., т. I, изд. 1894 г., стр. 157.

[3] „Журнал Известия Академии наук, № 1, 1941 г., стр. 4.

[4] Д. И. Писарев, соч., т. I, изд. 1894 г., стр. 167.

вольствием готовы пользоваться философской диалектикой, как орудием борьбы, как средством разрушать предрассудки. Но когда такая диалектика уходит в область слов, когда она, теряя из виду действительность, забывая условия места и времени, — не приводит к обязательному жизненному результату, то заниматься ею скучно и бесполезно“ [1].

Несмотря на личное словесное заявление, в его учении везде чувствуется диалектика мышления. В „Прогрессе мира животных и растений“, называя Дарвина гениальным мыслителем, Писарев словесно отрицал скачкообразное развитие в природе. Все же он принимал основной принцип Дарвина о развитии. „Жизнь не что иное, — пишет он, — как движение, переход из формы в форму, постоянное, неугомонное превращение, разрушение и создание следующие друг за другом и вытекающие друг из друга“ [2]. Несмотря на словесное отрицание скачкообразного развития, он не примкнул и к односторонней теории эволюции. Скачкообразное развитие он нашел не только в природе, но, как сказано было выше, и в человеческом обществе. Следует отметить и то, что он не развивал диалектики до конца хотя бы в той мере, в какой это представлено в учении Герцена, Чернышевского и добролюбова. Писарев философию ставил на службу народным интересам, и постольку он становится для нас более прогрессивным и дорогим.

Подобно представителям русской классической философии Писарев — материалист снизу, в сфере понимания природы, но он идеалист сверху, в деле объяснения развития общества. Поскольку отстает его материализм от материализма Чернышевского и Добролюбова, постольку он занимает более идеалистическую позицию в деле объяснения развития общества. Для него „ум — все“. Причины развития смены общества он ищет в силе разума. „Общественная жизнь человечества в каждую эпоху находится в прямой зависимости от тех способов и приемов, посредством которых люди объясняют себе явления природы... Когда изменяется миросозерцание, тогда и в общественной жизни происходят соответственные перемены“ [3]. На примере француз-

[1] Д. И. Писарев, соч., т. II, изд. 1904 г., стр. 198.
[2] Д. И. Писарев, соч., т. II, изд. 1911 г., стр. 356.
[3] Д. И. Писарев, соч., т. V, изд. 1897 г., стр. 317.

ской революции Писарев указывает на то, что в обществе побеждает тот, в распоряжении кого находится больше силы и способности к умственному развитию, а это последнее определяет его собственное положение. В 1862 г. он пишет: „...Сознание видоизменяется само собой и зависит только от самого себя“ [1].

Для него иногда развитие природы, человека и общества подчиняются одним и тем же законам. Известно, что О. Конт, Спенсер и др. полностью отождествляли законы развития природы, человека и общества. Несмотря на допущенную ошибку, Писарев стоял головой выше их, так как, если они делали реакционные выводы о буржуазном обществе и государстве, Писарев, наоборот, показав потребление различного количества пищи высшим и низшим сословиями и различное влияние ее на организм, указывал на то, что общественный строй в царской России построен на неравенстве и требовал его изменения революционным путем. Но все же он развитие общества объяснил в 1863—1864 г.г. не общественной производственной практикой, а потребностями организма отдельных людей. Чтобы жить, организм должен питаться, а относительно этого дает знание естествознание, и поэтому дело в том, чтобы „...размножить мыслящих людей — вот альфа и омега всякого общественного развития. Стало быть, естествознание составляет в настоящее время самую животрепещущую потребность нашего общества“ [2].

Таким же образом, естествознание является лучшим средством победы над предрассудками.

Оставшись на идеалистических основах понимания общества, Писарев понял, что причина общественных изменений лежит в экономических и классовых условиях людей, но эта мысль у него не развита. Так, например, по его мнению, причину происхождения ложной морали в обществе следует искать „...в экономическом и социальном строе данного общества. Лечить это общество надо также не регламентацией половых отношений, а радикальными экономическими преобразованиями“ [3].

[1] Д. И. Писарев, Дополнительный выпуск, 1913, стр. 147—148.
[2] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. I, изд. 1934 г., стр. 527.
[3] Д. И. Писарев, соч., т. V, изд. 1911 г., стр. 394—395.

Аналогичная мысль высказана в „Пчелах". Таким же образом, Писарев причиной французской революции считает и классовые противоречия крестьян и помещиков. Он пишет: „Экономические интересы обоих классов (крестьян и помещиков. И. Дж.) населения были диаметрально противоположны между собой"[1].

В связи с классовым неравенством рассмотрено и происхождение государства. „Государства, — пишет он, — все без исключения порождены элементом присвоения"[2]. Из взгляда Писарева о государстве вытекает тот вывод, что оно до победы социализма является аппаратом классового угнетения меньшинством громадного большинства. Он дает целый ряд важных указаний на исторические закономерности развития общества, постепенное выступления народа объясняет его плохим социально-экономическим положением, главным образом, неправильной организацией труда, и поэтому считает нужным дать народу соответствующую его интересам знания, если мы желаем, чтобы поскорее произошла революция.

По мнению Писарева, историю создает народ, потому что „...настоящим фундаментом самых великолепных и замысловатых политических зданий всегда и везде является масса[3]. И те которые ее не ценят и думают вести ее в своих интересах, являются „мудрителями над жизнью". Таковы царь и его агентура, с которыми народная масса должна бороться соединенными силами и свергнуть их.

Писарев гениально определяет вопрос о взаимоотношении личности и народа и указывает, что личность ускоряет развитие общества в том случае, если она увидит и разрешит жизненные интересы народа, опираясь на народ: „Отдельная личность, — пишет он, — какими бы громадными силами она не была одарена, может сделать какое нибудь прочное дело только тогда, когда она действует заодно с великими общими причинами, т. е. с характером, образом мыслей и насущными потребностями данной нации"[4].

---

[1] Д. И. Писарев, соч., т. III, 1912, стр. 126—127.

[2] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. I, изд. 1934 г., стр. 457.

[3] Д. И. Писарев, Французские крестьяне 1789, „Отечественные записки".

[4] Д. И. Писарев, избр. соч., т. II, изд. 1935, стр. 525—526.

Заметим и то, что Писарев иногда переоценивал роль личности в истории, но это не было для него характерным и существенным. Писарев не был также предшественником народнической теории „героя и толпы" и „критически мыслящей личности" Лаврова. Он заметил в России 60-ых годов классовую группировку народной массы на угнетателей: помещики и фабриканты, купцы, ремесленники, художники и „сочинители стихов" и угнетенных: крестьянство, трудящиеся города, интеллигенция — мыслящий пролетариат, а в самом крестьянстве — „крестьян-собственников" и „крестьян-пролетариев", в понимании общества он многое определил в духе исторического материализма, но все же он больше, чем другие русские просветители, остался на точке зрения идеалистического понимания общества, и при этом, если в его взглядах где-нибудь чувствуются черты вульгарного материализма, так это больше всего заметно в понимании общества. Действительно Писарев был, подобно Герцену и Чернышевскому, великим демократом, самоотверженным борцом-патриотом за жизненные интересы русского народа и идейным руководителем и вдохновителем политической жизни второй половины 60-ых годов.

Эстетика Писарева.

С философским учением Д. И. Писарева в органической связи находятся его взгляды на эстетику. Эстетика была одним из очень значительных вопросов полемики в литературной жизни России в 60-ых годов. Русская идеалистическая школа „чистого искусства" в лице Каткова, Я. Полянского, Страхова, Ловгинова, Эдельсона, — последователей Шеллинга и Гегеля, признавая какую-то вечно существующую идею, стояла на точке зрения интуитивного постижения мира и с самозабвением защищала принцип абсолютной, вечной красоты и аполитичности искусства.

Политической целью этого направления было отвести народ с революционного пути, направить его внимание к сфере чистой абстракции. Чернышевский выступил против этой вредной теории, защищавшей феодально-буржуазный строй и объявил искусство служителем жизненных интересов народа; в первую оче-

редь он потребовал, чтобы оно способствовало поднятию политического самосознания народных масс. Интерес к искусству в 60-ых годах усилился также благодаря тому, что оно, в особенности литература, развивалось необычно быстрым темпом. Литература и это время была энциклопедией знаний, а также мерилом умственного развития. Русская классическая философия, начиная с Белинского, особенно подчеркивала большую познавательную ценность, наряду с наукой, произведений искусства. Белинский писал: „Философ говорит силлогизмами, поэт — образами и картинами, а говоря оба одно и то же... один доказывает, другой показывает, и оба утверждают, только один логическими доводами, другой — картинами. Но первого слушают и понимают немногие, другого — все“ [1].

Он же осудил культ „чистого искусства“, жизнь и природу поставил выше произведения искусства и объявил, это последнее — на службе народа. По замечанию Плоткина, „Действительность во всем своем многообразии, как объект искусства — это тезис Белинского послужил исходным пунктом и для Чернышевского“, [2] Чернышевский, а затем Писарев, основываясь на Белинском, смотрели на всякий труд, в том числе и на труд, в области искусства, с экономической и производственной точки звения — приносит ли он материальную пользу обществу. Хотя Писарев не соглашался с Добролюбовым в оценке некоторых литературных типов, но все же в основном стоял на позиции Чернышевского и Добролюбова. Вот что писал он: „Критика Добролюбова и теперешняя критика „Русского слова“ по своему основному принципу совершенно соответствуют стремлениям Белинского. Критика Белинского, критика Добролюбова и критика „Русского слова“ оказываются развитием одной и той же идеи...“ [3].

В начале своего творчества Писарев защищает „чистое искусство“, но все же от сторонников традиционной идеалистической эстетики отличается тем, что требует от эстетического воспитания выработать в человеке способность правильного понимания

[1] В. Г. Белинский, соч., т. IV, 1826, стр. 597
[2] А. П. Плоткин, Д. И. Писарев, изд. 1945, стр. 345.
[3] Д. И. Писарев, соч., т. V, 1911 г., стр. 65.

красоты и любовь к ней. Очень скоро он во II части „Схоластики XIX века" становится на позиции Чернышевского и пишет: „Уже в 1844 году была провозглашена в русской журналистике та великая идея, что искусство не должо быть целью самому себе и что жизнь выше искусства" [1].

Подобно Чернышевскому он энергично борется против „чистого искусства", осуждает чрезмерное увлечение вопросами литературы и искусства и ставит искусство на службу народу. Прав Бельчиков, когда о Писареве пишет: „Искусство должно служить массам, доставляя серьезное наслаждение и объединяя людей разных общественных слоев" [2].

Он своего любимого поэта Гейне обвиняет в том, что „Ведя войну за благо человечества и считая себя храбрым солдатом, Гейне хочет в то же время служить чистому искусству. Два совершенно враждебные взгляда на искусство — утилитарный и художественный — укладываются рядом" [3]. Увлеченный естествознанием, он в 1865 году требует „разрушения эстетики". По его мнению, предмет эстетики, как науки, красота всегда субъективна и поэтому невозможно выводить общие законы о ней и вследствие этого эстетика не является наукой. То, что есть теперь в эстетике и считается научным, имеет отношение к „чистому искусству" и поэтому она должна быть разрушена. Претензию на то, чтобы быть наукой, имеет только то, что считается с личными потребностями человека. Таково естествознание.

А искусство только в соединении с физиологией и гигиеной, с популяризацией накопленных в естествознании научных достижений оправдывает самого себя.

Для Писарева с 1862 года любимым литературным типом является Базаров, а с 1865 года Рахметов является его идеалом, потому что они при решении вопроса о „голодных и раздетых" руководились общечеловеческой идеей. Если в теории искусства Писарева с 1865 года полностью отрицается живопись, музыка и др., то к литературе, в особенности к поэзии, он всегда относился с большим уважением за участие в деле познания мира

[1] Д. И. Писарев, избр. соч., т. II, 1935 г., стр. 261.
[2] Известия Академии наук СССР, № 1, 1941, стр. 45.
[3] Д. И. Писарев, избр. соч. в двух томах, т. I, стр. 265.

и борьбы за изменение существующего общественного строя. „Литература должна отражать страдания и муки людей, характерные черты русских людей должна писать „кровью сердца и соком нервов“ [1]. Писатель-демократ является отобразителем страданий народа, без всякого объективизма и диллетантизма. „Вполне объективный рассказ, — пишет он, — показание свидетеля, записанное стенограммой; вполне объективная музыка — шарманка; добиться этой объективности — значит уничтожить в поэзии всякий патетический элемент и вместе с тем убить поэзию, убить искусство“ [2]. В художественном произведении Писарев выдвигает на первый план содержание и идею и высказывает некоторую недооценку в отношении формы произведения, эмоциональной стороны, в чем он находит некоторое основание в эстетическом учении Чернышевского. „Если я с идеей согласен, — писал Писарев, — если я ей сочувствую, а выведенные личности оказываются бледными и неестественными, то я скажу, что автор неопытный музыкант, что чувство в нем есть, а технического умения мало... Ничего, со временем будет прок, явится навык“ [3].

Не были правы Плеханов и некоторые другие в том, что как будто Писарев не обращал никакого внимания на художественную форму произведения. Напротив, Писарев давал мерило художественной формы произведения и, по правильному замечанию представителя „чистого искусства“ Я. Полянского, сам был большим мастером слова. „Когда он (Писарев — И. Д.) анализирует сцены или характеры на тех данных, — писал Полянский, — которые дает ему сам поэт или художник, часто становится мастером, он увлекает читателей, и лица, выведенные автором, становятся как бы еще яснее, еще понятнее: он хорошо освещает их с своей точки зрения“ [4]. Много прекрасных мыслей высказывает Писарев при показе живых, связанных между друг с другом образов в пользу последовательного, логического, содержательного повествования и борется против риторизма, опрощения художественного произведения. Когда говорят о Писареве, как

[1] Д. И. Писарев, соч., т. IV, 1914, стр. 97.
[2] Д. И. Писарев, соч. т. I, 1934, стр. 120
[3] Д. И. Писарев, Избр. соч. в двух томах, т. I, стр. 171.
[4] „Отечественные записки“, Апрель, 1867 г., стр. 734.

разрушителе эстетики, большею частью имеют в виду его отрицательное отношение к Пушкину. Писарев рано, в 1861 году писал: „Сочинения Пушкина, Лермонтова и Гоголя знают почти наизусть люди, одаренные эстетическим чувством и сколько-нибудь развитые в литературном отношении“ [1]. Позже в „Московских мыслителях“ он пишет: „Пушкин остался великим русским поэтом, несмотря на сильные крики булгаринской партии“ [2]. Писарев также очень ценил Тургенева, Грибоедова, Толстого и других русских писателей, из иностранных писателей — Гейне Беранже, Шиллера и др. В особенности ценил он роман Чернышевского „Что делать“. Также высокую оценку он дает писателю, когда пишет: „Каждый из нас охотно сознается, что ему никогда не удастся подметить в явлениях жизни столько новых и характерных сторон, сколько способен уловить и фиксировать на бумагу великий поэт, подобный Диккенсу, Теккерею, Бальзаку или нашему Тургеневу“ [3].

Отрицание же Пушкина потом было вызвано в целях разрушения того идеалистического мифа, по которому Пушкин был признан типичным и знаменосцем „чистого искусства“, но не смог защитить настоящего Пушкина от идеалистической фальсификации.

Как бы то не было, ту большую заслугу, которую имеет Писарев перед материалистической эстетикой и, в частности, перед русской литературной критикой не могут совершенно затенить отдельные ошибки, допущенные им по отношению к Пушкину и Щедрину. Благодаря литературно-критическим статьям Писарева, рос и политически развивался русский народ и в особенности молодежь, как это справедливо удостоверяет академик Е. Ярославский. Теория демократической эстетики Писарева, основанная на материалистической эстетике Белинского и Чернышевского, бесспорно имела революционное значение в истории развития русской критики, хотя он не смог до конца защитить материалистическую точку зрения в разрешении ряда вопросов эстетики.

(Статья поступила в редакцию 10. X. 1954 г.).

[1] Д. И. Писарев, Избр. соч., т. I, стр. 34.
[2] Там же, стр. 220.
[3] Д. И. Писарев, соч., т. VI, изд. 1897 г., стр. 221.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

ა. მ ე ძ ვ ე ლ ი ა

პეტერბურგის უნივერსიტეტი სამოციან წლებში და ქართველი სტუდენტები*

„ოთხი წელიწადი იყო. რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!.. ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან ვადებული“...

ილია

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები რუსეთის ისტორიაში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდია. ამ დროიდან თვალსაჩინო გახდა კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეული სოციალ-პოლიტიკური ტკივილები. ბატონყმობის სისტემა, ნატურალური მეურნეობითა და მონური შრომის პრინციპით, წინ ეღობებოდა საზოგადოების ნორმალურ განვითარებას. ამაღე დროს კიდევ უფრო გამწვავდა დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის. მებატონეთა თავგასულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ყმათა უსაზღვრო ექსპლოატაციამ ხელი შეუწყო გლეხთა მასობრივ აჯანყებებს. ამბოხებული გლეხები არბევდნენ მებაძულეთა კარმიდამოს, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებდნენ ანგარიშს უხეშ მოძალადეებს. იმდროინდელი რუსეთის მოწინავე ადამიანები გრძნობდნენ ძველი ცხოვრების საფუძვლების სისუსტეს, გრძნობდნენ საზოგადოებაში დიდი ცვლილებების აუცილებლობას. კიდევ მეტი, თვით ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეშიაც იგრძნობოდა მიწისძვრის წინასწარი ბიძგები.

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის ს.ხელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ღია სხდომაზე 1954 წლის 15 დეკემბერს.

საერთო პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, ყირიმის ომის კატასტროფულმა დასასრულმა. ამ ომმა ნათელყო ცარიზმის სისტემის სისუსტე და უვარგისობა. ომის შედეგებმა კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც გართულებული კლასობრივი ურთიერთობა.

ლენინის სიტყვებით: „ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა", რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო" [1].

ხოლო პარტიის ისტორიის მოკლე კურსში ვკითხულობთ: „მეფეს მთავრობა, ყირიმის კამპანიის დროს ომში დამარცხებით დასუსტებული და მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა „ბუნტებით" შეშინებული, იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა" [2].

მეფე ალექსანდრე მეორე ამ რთული პოლიტიკური სიტუაციიდან გამოსავალ გზას ეძებდა და ნახა კიდევაც. ეს იყო 1861 წლის რეფორმა. ამით იგი შეეცადა გლეხების მოტყუებას. რადგან რეფორმის შემდეგაც გლეხი ისევ ნაბატონარის ბრჭყალებში დარჩა.

„ყბადაღებული „განთავისუფლება" იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალადობას და პირდაპირ დაცინვას" [3].

რეფორმის მატყუარა ხასიათი გლეხობამ თავიდანვე გაიგო და მათი მოწინავე ნაწილი დროულად მოემზადა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. მებრძოლ გლეხობას სამოციან წლებში საკავეში ჩაუდგა რევოლუციონურად მოაზროვნე ინტელიგენციის მძლავრი რაზმი, რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი. ამ რაზმის აქტიური წევრები იყვნენ: დობროლიუბოვი, ნეკრასოვი, პისარევი, მიხაილოვი და სხვები.

ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები რევოლუციურ თესლს ავრცელებდნენ ხალხში. ისინი გლეხობას აშკარა ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. ჩერნიშევსკის რევოლუციური სტრიქონების ნაპერწკლები „Современник"-ის ფურცლების საშუალებით რუსეთის შორეულ გუბერნიებში ანათებდა. იგი საქვეყნოდ ამტკიცებდა რეფორმის სიყალბეს და საბრძოლველად რაზმავდა მასებს.

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 17, IV გამოცემა, გვ. 127.

[2] ს. კ. პ. (ბ) ისტორია, 1952 წლის გამოცემა, გვ. 5.

[3] ვ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 127.

ჩერნიშევსკი გერცენისადმი მიწერილ ბარათში „წერილი პროვინციიდან". აღნიშნავდა: „არა, ჩვენი მდგომარეობა საზარელია, აუტანელი და მხოლოდ ნაჯახს შეუძლია ჩვენი ხსნა. ეერაფერი, გარდა ნაჯახისა, ეერ გვიშველის, — სხვა ხსნა არ არის".

რევოლუციონური ინტელიგენციის მებრძოლი იდეები ხალხში ღრმად შეიჭრა. მშრომელი მასების დიდი ნაწილი ცარიზმის ტირანიისა და ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ დაირაზმა. 1861 წლის რეფორმის შემდეგაც გლეხთა ამბოხების ხმები სისტემატურად გაისმოდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში. მასების ამოძრავების საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩერნიშევსკისა და მისი მოწაფეების საბრძოლო ყიჟინამ.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდად აფასებდა ჩერნიშევსკისა და მისი თანამებრძოლების როლს. მისი აზრით, ჩერნიშევსკი იყო „...აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციონურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დამხობისათვის მასების ბრძოლის იდეას" [1].

ლენინი არა ერთხელ მიუთითებდა სამოციანი წლების რევოლუციონერ მოღვაწეთა დიდ დამსახურებაზე.

„61 წლის რევოლუციონერები... იყვნენ იმ ეპოქის უდიდესი მოღვაწენი და, რაც უფრო ვშორდებით ამ ეპოქას, მით უფრო ცხადი ხდება მათი სიდიადე" [2].

ვ. ი. ლენინის აზრით, სამოციანი წლების რაზნოჩინცურმა ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის საერთო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ისინი გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ჯაჭვის ძლიერ რგოლს წარმოადგენდნენ.

„გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, — წერს ლენინი, — რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2. რაზნოჩინცული, ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული. დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე. 3. პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე" [3].

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 17, გვ. 129—130

[2] იქვე, გვ. 134.

[3] ვ. ი. ლენინი, ტ. 20, გვ. 292.

ამრიგად, სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციონურმა ინტელიგენციამ დიდი როლი შეასრულა მასების ამოძრავების საქმეში, მტკიცე ნიადაგი მოამზადა შემდგომი რევოლუციური აღმავლობისათვის.

საერთო პოლიტიკური სიტუაცია პეტერბურგის უნივერსიტეტში.

რუსეთის რევოლუციური იდეოლოგია აქტიურ გამოძახილს პოულობდა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს შორის. ახალგაზრდობა მტკიცედ ირაზმებოდა ცარიზმის ტირანიისა და დრომოჭმული ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ. ამ მხრივ ყველაზე უფრო მოწინავენი იყვნენ პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტები.

პეტერბურგის ქუჩებში დანთებული რევოლუციური ცეცხლი პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებს შიგაც გიზგიზებდა. ჩერნიშევსკის მოძღვრება სტუდენტთა იდეურ საზრდოს წარმოადგენდა. ამ დროს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში თავმოყრილნი იყვნენ რუსეთის სხვადასხვა მხარეებისა და გუბერნიების მრავალ ეროვნებათა წარმომადგენელნი. მართალია, ეს ახალგაზრდები მაღალი არისტოკრატიული წრიდან და მსხვილი ჩინოვნიკების ოჯახებიდან იყვნენ გაძოსულნი, მაგრამ ჭეშმარიტების ნაპერწკალი მათ გულშიაც იკაფავდა გზას და ხალხის თავისუფლებისათვის აღძრულ ბრძოლაში აქტიურად ებმებოდნენ ისინიც[1].

სამოციანი წლები საქართველოს ისტორიაშიც წინსვლისა და იდეური აღმავლობის პერიოდია. განსაკუთრებით, ამ წლებიდან დაიძრა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებისაკენ ქართველი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. უმაღლეს განათლებას მოწყურებულნი მიემგზავრებოდნენ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ხარკოვის, ყაზანის, ოდესის, დერპტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, მაგრამ განსაკუთრებულ ლტოლვას მაინც პეტერბურგის უნიევრ-

[1] 1861 წელს, არასრული ცნობით, პეტერბურგის უნივერსიტეტში ირიცხებოდა 1648 სტუდენტი. მათი შემადგენლობა ასეთი იყო: სასულიერო წოდება 94, თავადებიდან და ჩინოვნიკებიდან 1280, საპატიო მოქალაქე 24, ვაჭართა წრიდან 83, მეშჩანები და სხვა თავისუფალი მდგომარეობის მოქალაქენი 123, სახელგარეთიდან 32, ჯარისკაცი 2 (კახაკი), გლეხური წარმოშობის 10, ყმა გლეხი არც ერთი (Государственный Исторический Архив Ленинградской Области, фонд № 14, дело № 582, связка № 456, опись № 1, год 1861, гз. 175).

სიტყტის მიმართ ამჟღავნებდნენ. მიუხედავად სიმორისა და მკაცრი კლიმატური პირობებისა, ყველაზე მეტი რაოდენობა ქართველი სტუდენტებისა პეტერბურგში იმყოფებოდა[1].

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ჯგუფს 1861 წლამდე ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ილიას საქართველოში გამომგზავრების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ნიკოლოზ ღოღობერიძე.

ქართველი სტუდენტები, რუს სტუდენტებთან ერთად, აღფრთოვანებულნი დაეწაფნენ მოწინავე რევოლუციურ იდეოლოგიას. ჩერნიშევსკის ნაწერები და ჟურნალი „Современник"-ი მათი აღტაცების საგანს წარმოადგენდა. „Современник"-ის ყოველი ახალი ნომრის გამოჩენა სტუდენტთა შორის ახალ აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევდა.

„რა დროს იყო მაშინ, როდ იცოდე, მკითხველო, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის (ლაპარაკია „Современник"-ზე) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სახარბიელთა და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მასზედ დავაში. ვინ დათვლის იმ ხანგრძლივი ბედნიერების აღტაცებას, ტკბილის

[1] აოსრული ცნობით, 1857—1861 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ: ანდრონიკაშვილი მიხეილ (იყო ილიას ჯგუფში, კ. მ.), აბდუშელიშვილი დავით, აფხაზი ალექსანდრე, ალხაზიშვილი პეტრე, ბაკრაძე დავით, ვარნაძე იოსებ, ღოღობერიძე სიმონ, ღოღობერიძე დავით, ღოღობერიძე ბესარიონ, ჯავახიშვილი გიორგი, ეჯიბია (Еджибов) გაბრიელ, ისარლიშვილი იაკობ, ისარლიშვილი ივანე, ყიფიანი დავით, ლორთქიფანიძე კირილე, მაღალაშვილი გრიგოლ, მაღალაშვილი ლუარსაბ, მაღალაშვილი ესტატე, მესხი ივანე, მესხიშვილი ნიკოლოზ, ნაკაშიძე პეტრე, ნიკოლაძე ნიკო, ნიკოლაძე დავით, ოქრომჭედლიშვილი ილია, სავანელი ვასილ, თუმანიშვილი ვასილ, თუმანიშვილი მიხეილ, წერეთელი აკაკი, წერეთელი გიორგი, წერეთელი იაგორ, ჭავჭავაძე ილია, ჩოლოყაშვილი აბელ (აქ ჩამოთვლილ ქართველ სტუდენტთა გვარები ჩემ მიერ ამოკრებილია პეტერბურგის უნივერსიტეტის 1857—1861 წლების სტუდენტთა საქმეებიდან). კირილე ლორთქიფანიძის ცნობით, პეტერბურგში კიდევ იყვნენ: ხამაშურიძე, ანდრონიკაშვილი, ნ. ანდრონიკაშვილი, ივ. ლილუა, პაპინაშვილი, კვარიანი, ფირცხალაური, თარხანოვი, ჟღენტი, წულუკიძე, გამრეკლიძე, ნაკაშიძე მ., მიქელაძე, აბაშიძე სამსონ, წერეთელი სამსონ, ნაკაშიძე გ., თულაშვილი. აქ დასახელებული ქართველები უნდა იყვნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის საშოკანი წლების შემდგომი პერიოდის სტუდენტები.

წვალებისა და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედილ კვალს“ [1].

ქართველი სტუდენტები დაკავშირებულნი იყვნენ მოწინავე რუს, უკრაინელ, პოლონელ და სხვა ეროვნებათა ახალგაზრდობასთან და საერთო ძალით იკვლევდნენ გზას რევოლუციონური აზროვნებისაკენ. მათ უფრო აინტერესებდათ ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვისა და სხვათა რევოლუციონური წიგნები, ვიდრე საუნივერსიტეტო პროგრამით გათვალისწინებული ვიწრო მეცნიერებანი.

„ვისაც მაშინ დიდი ნიჭი ჰქონდა, ვისაც მძლავრი ტვინი დაჰყოლოდა... იმას როდი აკმაყოფილებდა ადამისწლის პროფესორების დაძველებული და მამა-პაპური ლექციები, იმას... მოსვენებას არ აძლევდა ის კითხვები, რომელნიც ხშირიანი ახალგაზრდობის გონებაში ჯგუფ-ჯგუფად იბადებიან და პასუხს მოუსვენრად ეძებენ. ამისთანა ყმაწვილები თვითონ, თავიანთი შრომით და გაგებულობით შეუდგნენ გონების გამხსნელ სწავლას, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ პროფესორების ლექციებთან“ [2].

ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ ნ. ნიკოლაძე, ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის V კლასის მოსწავლე გაცნობილი იყო „სოვრემენიკის“ ნომრებს და წაკითხული ჰქონდა ჩერნიშევსკის ზოგიერთი სტატია. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში აღნიშნავს: „როდესაც მეხუთე კლასში გადამიყვანეს, მამაჩემმა საზაფხულოდ ფოთს წამიყვანა... ფოთმა შემძლევნა მალარია, რომელმაც წელზე მეტი ლოგინად ჩამაგდო. ჩემდა სანუგეშოდ მამა მაწვდიდა... წიგნებსა და ჟურნალებს... გიმნაზიის მოსწავლეთა ბიბლიოთეკიდან... მიგზავნიდნენ ჟურნალების „Русский Вестник“-ის და „Современник“-ის ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან უკანასკნელამდე... ასე მეგონა, რომ არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიაც ჩემთვის საიდუმლო არაფერი იყო“ [3].

ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს სამოციანი წლების ქართველი ახალგაზრდობის იდეური მისწრაფების შესახებ.

ბუნებრივია, რომ ნ. ნიკოლაძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, კიდევ უფრო ღრმად შეიჭრებოდა რევოლუციური მო-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, სხვათა შორის, კრებული, 1873 წ., № 3.

[2] ნ. ნიკოლაძე, კრებული, 1873 წ., № 1, გვ. 292—293.

[3] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1930 წლის გამოცემა, გვ. 89.

ძრაობის ბობოქარ ტალღებში. აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე პეტერბურგში მცხოვრები ნ. ნიკოლაძე პირველ წყაროებში ეცნობოდა „Современник"-ის მასალებს. ჯერ კიდევ ცენზურის ქვირუგიულ ოპერაციამდე კითხულობდა რედაქციაში შემოსულ წერილებს[1].

ასეთი ინტერესით დაუკავშირდა ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის მოწინავე იდეების მქონე ლიტერატურას. მათთვის საინტერესო იყო პეტერბურგის მღელვარე ქუჩები, რევოლუციონური იდეების შემცველი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, საჯარო ლექციები და დისპუტები, რადგან ყოველივე ეს მათ, ცხოვრების ფართო ასპარეზისაკენ, ჰეშმარიტების ნაპერწკლით განათებულ გზისაკენ მოუწოდებდა.

ამიტომაა, ასეთი გულთბილი და მგრძნობიარე სტრიქონებით რომ იგონებს პეტერბურგში გატარებულ მღელვარე დღეებს უკვე ღვაწლმოსილი ნიკო ნიკოლაძე

„წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველათ ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინს და გულს. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყველა იმ ალაგს, სადაც ჩვენ სიყმაწვილეში ზნეობის ფეხი აგვიდგამს, სადაც ჩვენ ბედნიერი ან უბედური ვყოფილვართ, სადაც ჩვენს გრძნობას მძლავრი მღელვარება გაუვლია, სადაც ჩვენ გვიშრომია და პირველჯერ გამარჯვების ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვევია და განსაცდელი გაგვიცდია. კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგაც მშვენიერი სურათებით და ფერით იხსენიებს იმას, თუნდ ცხრა მთას გადაღმა იყოს"[2].

---

[1] ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში გადმოგვცემს, რომ პატიმრობის დროს (იგულისხმება 1861 წელი კ. მ.) იგი დაახლოებია სამარინსა და როჟდესტვენსკის, რომლებსაც მისთვის გაუცვნია „Современник"-ის მთავარი კორექტორი სტოპაკევიჩი. „ის ცხოვრობდა სპასკის შესახვევში... სულ ახლოს ჩემთან. ყოველთვის იცოდა ყველა ახალ ახალი ამბები, ამასთან გულგახსნილი და საინტერესო ადამიანი იყო. უმთავრესი კი ის იყო, რომ მაძლევდა წასაკითხად „სოვრემენიკ"-ის წერილებს კორექტურაში მათი გამოსვლის რამდენიმე კვირის წინ. ჩაათან ეე საბოლოოდ ჩვენი მოწინავე მოძრაობის ინტერესებში. ჯერ მე მაინტერესებდა „სოვრემენიკ"-ის ხელნაწერების შედარება ცენზურაში გატარებულ ფურცლებთან, რომელიც ხშირად ბრუნდებოდა წითელი მელნით დაჩითული, ზოგჯერ ზოგიერთ ფურცლებს სრულებითაც აღარ აბრუნებდნენ" (იხ. ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 129).

[2] ს კ ა ნ დ ე ლ ი, სხვათა შორის, კრებული, № 4, გვ. 148—149.

ნ. ნიკოლაძისა და, საერთოდ, ქართველი სტუდენტების ეს მღელვარე დღეები დაედვა სათავედ ქართულ პროგრესულ აზროვნებას. სამოციანი წლების ამ მოწინავე ახალგაზრდობამ დაამკვიდრა ქართულ ნიადაგზე რუსული მოწინავე იდეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ახალგაზრდობა არ ამარტო წიგნებითა და გაზეთებით იცნობდა ჩერნიშევსკისა და „Современник"-ის თანამშრომლებს, არამედ უშუალო, პირადი მეგობრობაც ჰქონდათ მათთან დამყარებული.

ჩერნიშევსკის ოჯახი ქართველებისათვის, ისე როგორც სხვა ეროვნების ახალგაზრდობისათვის, რევოლუციური აზროვნების სკოლას წარმოადგენდა. აქ ხშირად იკრიბებოდნენ ისინი „Современник"-ის თანამშრომლებთან ერთად და მთელი საათობით მსჯელობდნენ საზოგადოების მტკივნეულ საკითხებზე.

ჩერნიშევსკის ოჯახთან დაახლოების შემთხვევას ასე გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე: ერთ დღეს მასთან მისულა ჩერნიშევსკის მეუღლე და სამასკარადოდ ქართული ჩოხა უთხოვნია. წასვლის დროს მას ნიკოლაძისათვის უთქვამს, მე ჩერნიშევსკის გაგაცნობთო. ამ უკანასკნელ სიტყვებს დიდად აუღელვებია ნ. ნიკოლაძე და მოუთმენლად დალოდებია ამ დიდ ადამიანთან შეხვედრის ბედნიერ წუთებს. „...როგორც იქნა, წუთებისა და საათების თვლით ველირსე შემდეგ საღამოს... სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის, ხოლო თვით ჩერნიშევსკი ოთახში არ იყო. — ოლღა სოგრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვაო. მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმრები... სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან, ახოვანი, ლამაზი ყმაწვილები, მშვენიერ ტანისამოსით მორთულნი, წვერით, რომელიც მაშინ მოდაში იყო და დაკარცხნილი თმით la garibaldi"[1].

ყურადღებას იქცევს ის მომენტი, რომ სტუმრების უმრავლესობას ქართველი სტუდენტები შეადგენდნენ. ცხადია, პეტერბურგში ადრე ჩასული ქართველი სტუდენტები უკვე დაახლოებულნი ყოფილან ჩერნიშევსკის ოჯახთან. სხვა დროსაც ხშირად იგონებს ნ. ნიკოლაძე ქართველი სტუდენტების ყოფნას ჩერნიშევსკის ოჯახში.

„ერთხელ, როცა ჩვენ ქართველ სტუდენტთა ჩვეულებრივ საზოგადოებაში გარს ვუსხედით ჩაის მაგიდას და ჩერნიშევსკი, თა-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 121.

ვისი ჩვეულების წინააღმდეგ, გამოვიდა სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად, მისმა ცოლმა ჩემზე ლაპარაკის დროს უთხრა, რომ მე ერთადერთი კავკასიელი ვარ, რომელიც მას არ ეარშიყება, და ამისათვის მას მე განსაკუთრებით უნდა ვუყვარდე...“ [1].

ასეთი შინაური დამოკიდებულება ქართველ სტუდენტებთან და ასეთი თავისუფალი ხუმრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართველი ახალგაზრდობის სიახლოვეს ჩერნიშევსკის ოჯახთან. განსაკუთრებით, ნიკო ნიკოლაძე ბოლომდე დარჩა ჩერნიშევსკის ოჯახის ერთგულ მეგობრად.

ჩერნიშევსკისთან უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ და პოლიტიკურ დარიგებებს ღებულობდნენ ქართველი სტუდენტები: ილია ჭავჭავაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე და სხვები.

ილია ჭავჭავაძის შესახებ კრიტიკოსი და მკვლევარი ხომლელი წერს: „რუსეთის საუკეთესო ჟურნალი „Современник“-ი და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია ჭავჭავაძე დაახლოებით იცნობდა. როგორც ეს ჩემთვის და ნ. ხიზანიშვილისათვის უთქვამს, იმას ქადაგებდა, ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო, ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე... ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ჭავჭავაძის ქადაგება იყო წარმტაცი და აკი ამ მოძრაობამ წარიტაცა რუსეთში მთელი ინტელიგენცია“ [2].

ხოლო ბესარიონ ღოღობერიძეს პოლიციამ ბრალად წაუყენა ჩერნიშევსკის ნაცნობობა. მესამე განყოფილების მიერ შედგენილ საეჭვო პირთა სიაში შეტანილია ბესარიონ ღოღობერიძე, რომელსაც მიწერილი აქვს: „...знаком с Чернышевским...“ [3].

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია, რომ სამოციანი წლების ქართველი ინტელიგენცია იზრდებოდა და იწრთობოდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების სახელოვან ტრადიციებზე.

„ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და „Современник“-ის მთელი ჯგუფი იყო ის წყარო, საიდანაც ჩვენი სამოციანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია იძენდა გონებრივ საზრდოს. ახალგაზრდა ქართველი სტუდენტობა გატაცებით დაეწაფა იმ დემოკრატიულ-ოპოზიციურ შეხედულებებს, რომელიც გამოსჭვიოდა რევოლუცი-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 123.
[2] ი. ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. LI.
[3] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 380.

ონურ-დემოკრატების მებრძოლ ორგანო ჟურნალ „Современник“-ის ფურცლებზე“ [1].

სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციურმა იდეოლოგიამ ღრმა ფესვები გაიდგა უნივერსიტეტის კედლებში. ჩერნიშევსკის მებრძოლი აზრები სტუდენტთა სათაყვანებელ საგანს წარმოადგენდა. იგი არა მარტო იდეური მოძღვარი იყო უნივერსიტეტის სტუდენტებისა, არამედ საჭირო შემთხვევაში მათი დამცველის როლშიაც გამოდიოდა.

„С.-Петербургския Ведомость“-ში დაიბეჭდა სტუდენტების საწინააღმდეგოდ ვინმე რეაქციონერის, თ. ევალდის, წერილი სათაურით: „Учиться или не учиться?“ („ვისწავლოთ თუ არ ვისწავლოთ?“) წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ სტუდენტებისათვის მთავარია სწავლა. ისინი მხოლოდ გამოცდებს უნდა აბარებდნენ და არ ერევოდნენ პოლიტიკურ საკითხებში. ევალდის ამ რეაქციონური შინაარსის მქონე სტატიას სტუდენტების მხრივ პასუხი გასცა ჩერნიშევსკიმ. წერილი დაიბეჭდა „Современник“-ის აპრილის ნომერში სახელწოდებით: „Научились ли?“ („ისწავლეს კი?“).

საპასუხო წერილში ჩერნიშევსკი დიდ საბრძოლო ამოცანას უსახავს ახალგაზრდობას. მისი აზრით, სტუდენტები თვით მთავრობამ აიძულა ბრძოლის გზას დადგომოდა. პოლიციის მიერ სტუდენტთა სათვისტომოების, დამხმარე სალაროების, ბიბლიოთეკების, საჭარო კრებებისა და სხვათა გაუქმებას ბუნებრივად სტუდენტთა წინააღმდეგობა უნდა მოჰყოლოდა და ბოლოს ჩერნიშევსკი დაასკვნის: სტუდენტებს დარჩენიათ მხოლოდ ერთი გზა, ეს არის ბრძოლის გზა.

ჩერნიშევსკის ასეთმა მწვავე გამოსვლამ სასტიკად აღაშფოთა მესამე განყოფილების მოხელეები. ამის გამო „Современник“-ი რვა თვის განმავლობაში დახურულ იქნა. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს:

„ვერ მოასწრო ამ მეხუთე წიგნმა გამოსვლა (იგულისხმება ჩერნიშევსკის სტატიის შემდეგ „Современник“-ის ერთი ახალი ნომრის გამოსვლა, რადგან დასახელებული სტატია დაიბეჭდა აპრილში, ე. ი. მეოთხე ნომერში. კ. მ.), რომ გამოცხადდა უმაღლესი განკარგულება ჟურნალ „Современникъ“-ის და „Русское Слово“-ს აკრძალვის შესახებ რვა თვის განმავლობაში“ [2].

---

[1] შ. რ ა დ ი ა ნ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, წიგნი პირველი, გვ. 297.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ტ. I, გვ. 134.

ნ. ნიკოლაძის ამ ცნობას ადასტურებს საცენზურო კომიტეტის საქმეებში შემონახული დოკუმენტები „Современник"-ის და „Русское слово"-ს დროებით დახურვის შესახებ[1].

ჯერ კიდევ 1859 წელს სტუდენტთა პოლიტიკური მღელვარება ისეთ გართულებულ ხასიათს ღებულობს, რომ მეფე ალექსანდრე მეორე იძულებული ხდება, პირადად მიიღოს მონაწილეობა სტუდენტთა უფლებების შესაკვეც ღონისძიებათა შედგენაში. იმპერატორის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებში აღნიშნულია:

„ამ უკანასკნელ დროს არის არა ერთი შემთხვევა უნივერსიტეტის სტუდენტთაგან კეთილშესიერების დარღვევისა და მათი შეტაკებისა პოლიციელებთან, დაუმორჩილებლობა თავიანთი უშუალო უფროსებისადმი და გამოთქმა მთავრობის საწინააღმდეგო მოსაზრებებისა. ყოველივე ამან მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება მეფე-იმპერატორისა...

საზოგადოებრივი აზრი ამ შემთხვევას მიაწერს სტუდენტთა განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლის მიხედვით ისინი არ არიან დამორჩილებულნი საერთო წესებს. კეთილმდგომარეობისა და იმისათვის, რომ აცილებულ იქნას ასეთი შემთხვევა, მითითებულ იქნას შემდეგ აუცილებლობაზე: რომ სტუდენტები ემორჩილებოდნენ პოლიციის წესებს, ისე როგორც სხვა მოქალაქენი და რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არ იქნას მიღებული მათზე შეღავათი, რასაც უშვებდნენ დღევანდელ დღემდე, აქცევდნენ რა ყურადღებას მათს მუნდირს... და იმისათვის, რომ მიღწეული იქნას სასურველი მიზანი, მე ვთვლი აუცილებლად...

ა) დაიხუროს ოთახი, რომელშიაც თამბაქოს წევენ სტუდენტები და გამყიდველისაგან ყიდულობენ საუზმეს... თამბაქოს მოსაწევი ოთახი სტუდენტებს აძლევს თავის შეყრის საშუალებას და ეძლევათ მეტი შემთხვევა სამტროდ დაახლოებისა...

ბ) აიკრძალოს უწყება (Извещения), რომელსაც აკეთებენ სტუდენტები განცხადების საშუალებით... ამ უწყების რიცხვში არის ისეთებიც, რომლის მიხედვით კეთდება სხვადასხვა მითითება. მა-

[1] „Особенная канцелярия Министра Народного Просвещения имеет честь препроводить у сего копию с предложения Г. Правляющего Министерством Народного Просвещения Г. Председателю С. Петербургского Цензурного Комитета от 15 текущего Іюня за № 1120, о временном прекращении издания журналов Современник и Русское слово" (Центральный государственный исторический архив Ленинграда, фонд № 773, год 1862, опись № 1).

გალითად, წარსულ შემოდგომას განცხადებაში იყო აღნიშნული, თუ სად შეიძლებოდა რუსი მწერლების სურათების ყიდვა, მათ შორის ისკანდერისაც...

1. გაუქმდეს სტუდენტთა ტანისამოსის ფორმა... იცვამს რა მუნდირს, ახალგაზრდა კაცი ეჩვევა ისეთ აზრს, რომ პოლიციას არა აქვს მასზე არავითარი უფლება... მუნდირი ამტკიცებს და აახლოებს სტუდენტებს ერთმანეთთან. ფორმაში მყოფი სტუდენტები თავიანთ თავს თვლიან დამოუკიდებელი მრავალწეროვანი ოჯახის წევრად" [1].

როგორც ამ დოკუმენტებიდან და, საერთოდ, სხვა საქმეებიდან ჩანს, მთავრობა და პირადად იმპერატორი მოითხოვდა სტუდენტების მიმართ მკაცრი ზომების გატარებას. მართლაც, 1860—1861 წლებიდან დაიწყო სასტიკი ლაშქრობა სტუდენტების წინააღმდეგ. უნივერსიტეტში გამოცხადდა ახალი, სამხედრო რეჟიმი. გაუქმებულ იქნა სტუდენტთა წრეები, დამხმარე სალაროები, სათვისტომოები, ტანისამოსის ფორმა, სასაუზმე და თამბაქოს მოსაწევი ოთახები. აგრეთვე გაუქმებულ იქნა სტუდენტთა პრივილეგიები, ხელისუფლების მოხელეების წინაშე და ისინი გაუთანასწორეს ჩვეულებრივ მოქალაქეებს.

აიკრძალა კრებები და სტუდენტთა თავის მოყრა რაიმე მსჯელობის მიზნით, წიგნების გამოცემა, კრებულებას შედგენა და სხვა. შემოღებულ იქნა ახალი სისტემის მატრიკული, რომელიც სასტიკად კვეცავდა სტუდენტთა უფლებებს. ახალი მატრიკულის მიხედვით, სტუდენტს ეკრძალებოდა რაიმე განსხვავებული ნიშნის ტარება, სტუდენტი ვალდებული იყო უსიტყვოდ დაშორჩილებოდა რექტორის მორიგეებს, რომლებიც ამავე დროს ჯაშუშის როლსაც ასრულებდნენ. უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სასამართლო, რომელსაც შეეძლო სტუდენტის უმკაცრესი დასჯა. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტში გამოცხადდა სამხედრო წესები, რომელთა საშუალებითაც ცდილობდნენ სტუდენტთა შორის „წესრიგის" დამყარებას. განსაკუთრებით ამ მიმართულებით დიდ როლს ასრულებდა ახალი სისტემის მატრიკული, რომელიც სინამდვილეში მესამე განყოფილების მოხელეთათვის უფრო საჭირო და სასარგებლო დოკუმენტს წარმოადგენდა, ვიდრე სტუდენტთა აკადემიური წარმატების აღრიცხვის საბუთს.

---

[1] П. Г. И. А. Л. фонд № 733, опись № 88, дело № 217, год 1859, зд. 3—7.

მოგვაქვს დამახასიათებელი ადგილები ნიკო ნიკოლაძის ახალი მატრიკულიდან:

„...წესები, რომელსაც უნდა დაემორჩილოს სტუდენტი უნივერსიტეტის კედლებში ყოფნის დროს... 2) აეკრძალოს კაკარდის ტარება და არ იქნას ნებადართული, როგორიც არ უნდა იყოს, განმასხვავებელი ხიშნის ტარება, ეროვნების იქნება იგი, საზოგადოების თუ ამხანაგობის... 8) თუ პროორექტორის მიერ დანიშნული მორიგე დაიჭერს სტუდენტს, ეს უკანასკნელი ვალდებულია დაემორჩილოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადაეცემა უნივერსიტეტის სასამართლოს .. 15) საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში სტუდენტი წარუდგენს სტუდენტთა საქმის მცდივანს დამოწმებულ ცნობას, რის საფუძველზე მდივანი გაუკეთებს აღნიშვნას როგორც მატრიკულში, ისე მის ასლში... 27) სტუდენტებს უნივერსიტეტის კედლებში ეკრძალებათ ყოველგვარი შეკრება (сходка). 28) სტუდენტებს ეკრძალებათ, უნივერსიტეტის კედლებზე გააკრან რაიმე განცხადება, როგორი შინაარსისაც არ უნდა იყოს. განცხადების გაკვრის უფლება აქვს, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ პრორექტორს, რომელიც გამოაკრავს განცხადებას საკუთარი ხელისმოწერით“ [1].

ასეთივე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ სტუდენტები საცხოვრებელ ბინებში. პეტერბურგის მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება, პოლიციის ორგანოების ნებართვის გარეშე თავის სახლში სტუდენტი მოეთავსებინა. არც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყო უფლებამოსილი, სტუდენტთა სიაში ჰყოლოდა ისეთი მოქალაქე, რომელსაც ყოველთვიურად საცხოვრებელი ადგილის მახედვით პოლიციის ხელმოწერილი დოკუმენტი არ ექნებოდა წარდგენილი სტუდენტთა საქმის სამდივნოში.

სანიმუშოდ მოგვაქვს სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძის სახელზე პეტერბურგის პოლიციის მიერ გაცემული, სპეციალური სტანდარტული ბლანკი, რომელზედაც აღნიშნულია ყოველთვიურად მესამე განყოფილების მოხელეთა ხელისმოწერა.

„წარმომდგენი ამისა კავკასიის კომიტეტის სტიპენდიატი სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძე შეტანილია პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის უწყებაში, რის გამო ეძლევა მას ეს მოწმობა პეტერბურგში თავისუფალი ცხოვრებისათვის 1862 წლის

[1] Г. Ц. А. Л. О. фонд № 14, опись № 5. Ед. хр. № 2107, год 1861, лл. 10—15.

იანვრამდე, რომელიც ყოველი თვის ბოლოს უნდა წარმოადგინოს სათანადოდ შემოწმებული.

ს. პეტერბურგი, 5 სექტემბერი, 1861 წელი.

ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ინსპექტორი, სტატსკი სოვეტნიკი და კავალერი (ხელმოწერილია).

ყოველთვიური ხელმოწერა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო.

შენიშვნა: საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევაში სტუდენტმა ეს მოწმობა უნდა წარუდგინოს ინსპექტორს. როდესაც სტუდენტი გადადის ახალ ბინაზე, სახლის პატრონს ეკრძალება მისი მიღება, თუ მოწმობაზე არ ექნება ყოველთვიური ხელისმოწერა ინსპექტორისა. სტუდენტი ლორთქიფანიძე, მცხოვრები ვიბორგის მხარეში, მესამე კვარტალი, ბერასიონის სახლი. ინსპექტორი (ხელმოწერილია)[1].

ასეთი მრისხანე წესები დამკვიდრდა უნივერსიტეტის კედლებში, ასეთი მკაცრი პირობები დამყარდა სტუდენტებისათვის. შავი ღრუბლები ჩამოწვა უნივერსიტეტის კოშკებზე, რაც ჰქონდა ქუხილის მოახლოების წინასწარი ნიშანი იყო.

სტუდენტთა მღელვარების დასაწყისი.

1861 წლის სექტემბრის დღეები მღელვარებით დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე იგრძნობოდა სულიერი და საერთო პოლიტიკური დაძაბულობა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პოლიციის დახმარებით, სტუდენტობას ახალი მატრიკულების მიღებას ავალებდა, რაც სტუდენტობის მხრივ ახალი პოლიტიკური რეჟიმისადმი დამორჩილებას ნიშნავდა. ამდენად, სტუდენტებში დაიწყო სჯა-ბაასი სადღეისო საკითხებზე. რამდენადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სიმკაცრესა და პოლიციურ მოქმედებას იჩენდა, იმდენად სტუდენტთა შორის საბრძოლო განწყობილებაც მატულობდა.

„იმ შეხვედრებზე ლექციებზე არა ნაკლებ გვაინტერესებდა სხვა საკითხებიც, — წერს ნ. ნიკოლაძე, — განზრახული ცვლილებანი უნივერსიტეტის რეჟიმში, საკითხი „მატრიკულების" შესახებ და სხვა ყველა ამის შესახებ ცხარე ლაპარაკი იყო აუდიტორიაში მეზობლად მაღლობ სტუდენტებს შორის. ამ საკითხში აზრთა სხვა-

[1] იხ. ქუთაისის მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივი. საქმე № 514 (76).

ობა არ იყო. ყველა ერთსულოვნად გამოთქვამდა თავის განკიცხვასა და პროტესტს მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ“ [1].

ლექციების დაწყებიდან არ გასულა დიდი დრო, რომ უნივერსიტეტის კედლებში შემოფრინდა გაზაფხულის მახარობელი პირველი მერცხალი, გამოჩნდა პირველი პროკლამაცია.

„ლექციები სექტემბრის მეორე კვირას დაიწყო, ათიოდე დღის შემდეგ ტანისამოსის დასაკიდში... გაჩნდა ჯერ რუსეთში არ გაგონილი რამ, დაბეჭდილი პროკლამაცია „К молодому поколению“. ეტყობოდა იგი საზღვარგარეთ იყო დამზადებული, ამას მოწმობდა ის თოვლივით თეთრი ქაღალდი, რომელზედაც პროკლამაცია იყო დაბეჭდილი და რომლის მსგავსიც იმ დროს რუსეთში არ მოიპოვებოდა; ამასვე მოწმობდა მისი შრიფტი, ბევრად უფრო კოხტა და ლამაზი, ვიდრე ის, რითაც მაშინდელი რუსული ჟურნალები იბეჭდებოდა. სათაურს ქვეშ პროკლამაციას ამშვენებდა წვრილი ასოებით დაბეჭდილი ეპიგრაფი, კ. ფ. რილეევის მთელი ნაწარმოები“ [2].

ჩვენ ხელთ გვქონდა ნ. ნიკოლაძის მიერ აქ დასახელებული პროკლამაცია. იგი, მართლაც, თეთრ ქაღალდზედაა ლამაზი ასოებით დაბეჭდილი და გამოირჩევა რუსეთის მაშინდელი ბეჭდური პროდუქციიდან, მაგრამ პროკლამაციაზე წარწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზღვარგარეთ კი არა, პეტერბურგში უნდა იყოს დაბეჭდილი, რადგან სათაურს ქვეშ ასეთი წარწერა აქვს „Печатано без цензуры, С. Петербург, в сентябре 1861 года“ [3]. სხვა მხრივ გაუგებარია, საზღვარგარეთ დაბეჭდილ პროკლამაციას რატომ უნდა ეწეროს პეტერბურგშია დაბეჭდილიო. პოლიციის თვალის ახვევის მიზნით შესაძლებელი იყო, პირიქით მომხდარიყო.

საერთოდ ეს პროკლამაცია უდიდესი მოვლენა იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. იგი, როგორც აღვნიშნეთ, პირველი მერცხალი იყო. მასში ლაპარაკია მანიფესტის მატყუარობაზე, ხელისუფლების დესპოტიზმზე, მემამულეთა თავგასულობაზე, ხალხის აუტანელ ცხოვრებაზე, სამეფო ტახტის გაუქმებისა და მეფის მემკვიდრეობითი სისტემის მოსპობაზე და მის ნაცვლად დემოკრატიული — არჩევითი ხელისუფლების შემოღების შესახებ. ცენზურის გაუქმებაზე, ადამიანთა თანასწორუფლებიანო-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 97.

[2] იქვე, გვ. 90.

[3] Ц. Г. И. А. Л. фонд № 52, дело № 6631, год 1861, гв. 207–8.

ბის დამყარებისა და მიწის სახალხო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.

მოგვაქვს ადგილები დასახელებული პროკლამაციიდან:

„როცა განთავისუფლებაზე მანიფესტი მზად იყო და დარჩა მხოლოდ მისი გამოცხადება, რუსეთის მთავრობას პირველ ყოვლისა შეეშინდა. ის შეაშინა თავისმა საკუთარმა საქმემ. ვაი თუ მთელი რუსეთი აღსდგეს, ვაი თუ ხალხი ზამთრის სასახლეზე იერიშით წავიდეს?..

და თუ მთავრობას ეშინია ხალხის, მაშასადამე, მას აქვს შეშინების მიზეზი. ზუსტად ეს იყო:

პირველი ის, რომ ხელმწიფემ ხალხი მოატყუა, არ გაუმართლა ხალხს მოლოდინი, მათ მისცა თავისუფლება არა ნამდვილი, არა ის რაზედაც ხალხი ოცნებობდა და როგორიც მათ სურდათ... ჩვენ გვინდა არა მეფე, არა იმპერატორი, არა შეთითხნილი ღმერთი, არა ყარყუმის მანტიაში გახვეული მემკვიდრეობითი უუნარობა, ჩვენ გვინდა მეთაურად მიწიერი, უბრალო მომაკვდავი ადამიანი, რომელსაც ესმის ცხოვრებისა და იმ ხალხის, რომელმაც ის აირჩია. ჩვენ გვინდა არა იმპერატორი, უსპენსკის სობოროს ზეთით შეთითხნილი, არამედ არჩეული მამასახლისი, რომელიც თავისი შრომისათვის მიიღებს გასამრჯელოს...

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენგან არჩეული ხელისუფლება იყოს გონიერი, ხელისუფლება, რომელიც გაიგებს ქვეყნის მოთხოვნილებას და იმოქმედებს ხალხის ინტერესებისათვის...

ჩვენ გვინდა სიტყვის თავისუფლება, ე. ი. ყოველგვარი ცენზურის მოსპობა...

ჩვენ გვინდა, რომ რუსეთის ყველა მოქალაქე სარგებლობდეს ერთნაირი უფლებით!..

ჩვენ გვინდა, რომ მიწა ეკუთვნოდეს არა პიროვნებას, არამედ ქვეყანას..." [1].

პროკლამაციის გამოჩენამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია სტუდენტებს შორის. იგი სწრაფად ჩამოგლიჯეს კედლიდან არა იმისათვის, რომ პოლიციის შიშით სადმე გადაემალათ, არამედ საქტო დარბაზში ათასეული სტუდენტისათვის ხმამაღლა წაეკითხათ.

„ერთმა სტუდენტთაგანმა... ნეკლიუდოვმა ჩამოიღო კედლიდან პროკლამაციის ფურცელი და გამოაცხადა, რომ სააქტო დარბაზში

[1] ც. ე. ი. ა. ა. ლ. ფონდ № 1405, წელ. 1861. ოპისь № 59. დელო № 6631, გვ. 207—208.

წაიკითხაეს მას ყველას გასაგონად. აუდიტორიებიდან გამოსული სტუდენტები გაჰყვნენ მას. ნეკლიუდოვი შედგა მაგიდაზე, რომელზედაც ოქროს ფოჩებიანი წითელი მაუდი იყო გადაფარებული და დიდის პათოსით წაიკითხა პროკლამაცია. გულისფანცქალით ვუსმენდით მის მაღალ ხმას, რომელიც თანდათან აღფრთოვანებაში გადადიოდა. პროკლამაცია თავიდან ბოლომდე ახალი გამოცხადება იყო ჩვენთვის.., ნეკლიუდოვის გარეგნობა, ზემოთმოყვანილი ლექსი და ძალაუნებური ცახცახი, გამოწვეული პროკლამაციის საჯარო კითხვით და ისიც საიმპერატორო პეტერბურგის უნივერსიტეტის ხალხით გაჭედილ სააქტო დარბაზში, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორც ცოცხალი სურათი“ [1].

პროკლამაციამ ყუმბარასავით დაიქუხა უნივერსიტეტის კედლებში. ისედაც აღელვებული სტუდენტობა ამან აშკარა საბრძოლო განწყობილებაზე დააყენა. ნეკლიუდოვის მჭუხარე სიტყვებს მოჰყვა ორატორების მღელვარე გამოსვლები. მაგალითად, უფროსი კურსის სტუდენტი უტინი ტრიბუნიდან გაიძახოდა: „კმარა, რაც ვეღლდეთ და ვითმინეთ, ჩვენი დუმილია სწორეთ იმის მიზეზი, რომ არამზადები და უეიცები ასე გათავხედდნენ“. სიტყვის დასასრულს მან მოითხოვა მეფის ტახტის დამსხვრევა, სიტყვის თავისუფლება, ხალხთა ერთუფლებიანობა და სხვა. უტინის სიტყვები ტაშის გრიალმა და ვაშას ძახილმა დაფარა, რაც მთელი დარბაზის თანაგრძნობას ნიშნავდა.

პროკლამაციამ დააჩქარა სტუდენტობის საბრძოლო მომზადება. აქედან დაიწყო ის დიდი პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციები და დაპატიმრებები. ამ დღიდან სტუდენტთა ბრძოლამ აშკარა ხასიათი მიიღო. სტუდენტები სისტემატურად იკრიბებოდნენ უნივერსიტეტის ეზოში, სააქტო დარბაზში, ქუჩებში და საჯაროდ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მთავრობის წინააღმდეგ. 23 სექტემბერს სააქტო დარბაზში კვლავ შედგა საერთო მიტინგი, სადაც სტუდენტებმა ერთხმად უარი განაცხადეს ახალი მატრიკულის მიღებაზე. ამის საპასუხოდ განათლების სამინისტრომ უნივერსიტეტში ლექციების კითხვა შესწყვიტა.

25 სექტემბერს უნივერსიტეტის კარები სტუდენტებს დახურული დახვდათ. უკმაყოფილო სტუდენტები ნევის პროსპექტით კოლოკოლის ქუჩისაკენ გაემგზავრნენ, სადაც პეტერბურგის ოლქის

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 98.

მზრუნველი ფილიფსონი ცხოვრობდა. სტუდენტები მოითხოვდნენ ახსნა-განმარტებას უნივერსიტეტის დახურვის გამო. სტუდენტთა დეპუტაცია იმ ღამესვე დააპატიმრეს. 27 სექტემბერს უნივერსიტეტის ახლო, სანაპირო ქუჩაზე სტუდენტთა დიდი კრება მოეწყო, ხოლო 28 სექტემბერს „Ведомости С.-П-бургской Городской Полиции, № 210, აცხადებდა პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერის ბრძანებას.

„ბრძანება ს. პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერისა. 27 სექტემბერი, 1861 წელი, № 205.

უმაღლესი მმართველობის განკარგულებით ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში, უწესრიგობის გამო, ლექციები შეწყვეტილია და უნივერსიტეტის კარები დაკეტილია განსაკუთრებულ განკარგულებამდე. ამის გამო სასტიკად აკრძალულია სტუდენტთა ყოველგვარი კრება. დამნაშავენი, რომელნიც დაარღვევენ ამ განკარგულებას, მიცემულნი იქნებიან კანონის მიხედვით მკაცრ პასუხისგებაში. ს. პეტერბურგის პოლიცია აცხადებს ამას ცნობად და შესასრულებლად.

ს. პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერი გენერალ ადიუტანტი პატკული“ [1].

პოლიციის განკარგულებანი სტუდენტთა მღელვარებას კიდევ უფრო აძლიერებდა. 2 ოქტომბერს უნივერსიტეტის ახლოს კვლავ გაიმართა სტუდენტთა სახელდაბელო კრება. ამ კრების მონაწილე 33 სტუდენტი იმ დღესვე დააპატიმრეს.

უნივერსიტეტის კარების დახურვა კიდევ უფრო აქეზებდა სტუდენტობას და მთავრობა იძულებული გახდა „დათმობაზე“ წასულიყო. 9 ოქტომბრის გაზეთმა „Ведомости С.-П-бургской городской полиции“, ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის მმართველობისაგან (начальство) ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ის სტუდენტები და თავისუფალი მსმენელები, რომელნიც შემოიტანენ განცხადებას უნივერსიტეტის კურსის გაგრძელების შესახებ, მათ საყურადღებოდ ცხადდება, რომ ლექციების კითხვა დაიწყება უნივერსიტეტში ოთხშაბათს, 11 ოქტომბერს ყველა კურსზე და ფაკულტეტზე. ლექციებზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც შემოსვლის დროს წარმოადგენენ მატრიკულს ან მოწმობას...“ [2].

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, опись № 56. Ед. хр. 6339, год 1861, 83. 104.

[2] იქვე, 83 109.

ეს განცხადება სტუდენტებს აიძულებდა ახალი მატრიკულის მიღებას, რადგან ამის გარეშე უნივერსიტეტის კარებში მათ არავინ გაუშვებდა. 12 ოქტომბერს უნივერსიტეტის კარებთან თავი მოიყარა დიდძალმა სტუდენტობამ. მოვიდნენ ისეთებიც, რომლებსაც მატრიკული არ ჰქონდათ მიღებული და არც აპირებდნენ მის მიღებას.

12 ოქტომბერს ობერპოლიცმეისტერის განკარგულებით უნივერსიტეტთან დაპატიმრებულ იქნა 280 სტუდენტი. აქედან 39 იმ დღესვე გაათავისუფლეს. ხოლო 241 კაცი ჯერ მოათავსეს პეტრე-პავლეს ციხეში, საიდანაც ისინი მალე კრონშტადტის სიმაგრეში გადაიყვანეს.

12 ოქტომბერს სტუდენტთა დაპატიმრების შესახებ ნ. ნიკოლაძე ასე გადმოგვცემს:

„ოქტომბრის 13-ს[1], როცა ჩვენ ჩვეულებისამებრ შევიკრიბენით უნივერსიტეტის მთავარ შესავალთან და ყრილობა არც კი დაგვეწყო, უეცრად გამოჩნდა ჯარი და სწრაფად და მოხერხებულად ალყა შემოგვარტყა. ჩყენ შეგვრეკეს უნივერსიტეტის ეზოში, რომელიც ამდენი ხანი დაკეტილი იყო ჩვენთვის“[2].

დაპატიმრებულებს გამოესარჩლნენ თავისუფლად დარჩენილი სტუდენტები. ისინი ცდილობდნენ ან გაეთავისუფლებინათ ამხანაგები ან მათი ბედი გაეზიარებინათ და მათ რიგებს შეერთებოდნენ.

ამის თაობაზედაც ნ. ნიკოლაძე ასე აღნიშნავს: „ამ დროს უეცრად იმ ჯარს, რომელიც გარს გვერტყა, თავს დაესხა სტუდენტების დიდი ბრბო, რომელსაც სურდა გაენაწილებია ჩვენი ხვედრი. ყველანი დაიბნენ. არა თუ ჯარისკაცები, მათი უფროსებიც... ეხლა კი იერიში გარედან მოქონდათ.... რათა თვითონ დატყვევებული ყოფილიყვნენ. ეს უძაგალითო შემთხვევა იყო. აქ ძალაუნებურად დაიბნეოდი. თავდამსხმელი სტუდენტობა სამასზე მეტი იყო. დაიწყო რაღაც ხელჩართული ბრძოლის მაგვარი. გვარდიელები ცდილობდნენ დაეშალათ სტუდენტებისათვის მათი რიგების გარღვევა...

---

[1] როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე 13 ოქტომბერს ასახელებს, ხოლო დოკუმენტებში ყველგან მოხსენებულია 12 ოქტომბერი. ცხადია, პოლიციის დოკუმენტი უფრო ზუსტი იქნება, ვიდრე ათეული წლის შემდეგ მეხსიერებით აღდგენილი თარიღი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძის ამ შეტად საინტერესო მოგონებაში დასახელებული ფაქტები, მცირე გამონაკლისებს გარდა, არსებითად ემთხვევა ოფიციალურ დოკუმენტებს.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 107.

და ჩვენს წრეში შემოჰკრა, თუმცა ამ დროს ბევრს მათგანს დაუმტვრიეს გვერდები და ერთს კი თავიც გაუხეთქეს. სტუდენტთა ბრბოს დანარჩენი ნაწილი გაჰფანტა ცხენოსან ჟანდარმთა ესკადრონის უეცარმა იერიშმა, რომელმაც შუაზე გააპო მათი რიგები. ყოველივე ეს რამდენიმე წუთის საქმე იყო: სტუდენტების ხელჩართული ბრძოლა წრეში შესასვლელად, ესკადრონის თავდასხმა, ასორმოცდაათი სტუდენტის შემოჰკრა ჩვენს წრეში და დანარჩენი... ამასთან არამცირედი რიცხვი სტუდენტებისა ცხენებით გათელილი ან კონდახით ნაცემნი ეყარნენ ქვაფენილზე“ [1].

ნ. ნიკოლაძის ცნობებს არსებითად ემთხვევა პოლიციის დოკუმენტებში მოთხრობილი ფაქტები. რომ დაპატიმრებულ სტუდენტებს „ურას“ ძახილით შეუერთდა სტუდენტთა ახალი ჯგუფი, რომ სტუდენტებმა დაუწყეს კეტებით ცემა ჟანდარმერიის ცხენებს თავში და პოლკის ნაწილებმა ცემით წაიყვანეს ისინი ციხეში.

დოკუმენტებში აგრეთვე ვკითხულობთ: „ამ არეულობის დროს კანდიდატმა ლებედევმა პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცს თავში დაკრა კეტი. ამ უკანასკნელმა, იცავდა რა თავს, ლებედევს თოფის კონდახით გაუხეთქა თავი, რის გამო ლებედევი გაგზავნილი იქნა სასწრაფო დახმარების მისაღებად“ [2].

პოლიციის დოკუმენტებში აგრეთვე ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის კარებიდან გამოყვანის დროს დაპატიმრებულებს შესძახოდნენ „Ура, браво, не выдавать“, ხოლო დაპატიმრებულნი ყვიროდნენ: „Народ! за нас! ура!..“, რომ ციხისკენ მიმავალი სტუდენტები კეტებით სცემდნენ პრეობრაჟენსკისა და ფინეთის პოლკის ჯარისკაცებს და თან ამაყად შესძახოდნენ: ჩვენ ვართ თავისუფლებისათვის მებრძოლები, ჩვენი სახელები გაბოლხადდება „კოლოკოლში“ და ცნობილი იქნება მთელს ევროპაში, მომავალი თაობა ჩვენს სახელოვან საქმეს დიდებით მოიხსენიებსო.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებამ საერთო ხასიათი მიიღო, მათ გზას გაჰყვნენ პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის მსმენელები და მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები.

მეამბოხე სტუდენტთა საქმის შემსწავლელმა კომისიამ გამოარკვია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს კავშირი

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 109.

[2] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, опись № 59, Ед. хр. 6644, год 1861, гв. 2.

ჰქონდათ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. მესამე განყოფილების კანცელარიაში აღმოჩენილ იქნა პეტერბურგელი სტუდენტის ლიმონოვის წერილი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებისადმი. წერილში ლაპარაკია პეტერბურგში მომხდარი სტუდენტთა არეულობის შესახებ და სხვა.

„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მესამე განყოფილების საკუთარი კანცელარიის მიერ ნაპოვნია მოსკოვის თეატრში პეტერბურგიდან ვიღაც ლიმონოვის გაგზავნილი წერილი, რომელშიაც გადმოცემულია მთავრობის წინააღმდეგ მუქარა, რასაც ადგილი ჰქონდა 25 სექტემბერს სტუდენტების არეულობის დროს. ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში მოტანილია ამ დღეს შეკრებაზე წარმოთქმული ერთი სტუდენტის სიტყვა და წინადადებას იძლევა, რათა ეს წერილი წაეკითხოს ყველა ამხანაგს და გავრცელდეს შიგ მოთავსებული ცნობა მოსკოვის სტუდენტთა შორის“ [1].

ამავე დოკუმენტის შემდეგ პარაგრაფში ლაპარაკია პეტერბურგის მედიკო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტის პეტრე სობოლევის შესახებ, რომელსაც დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტები.

„ს. პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერმა აღმოუჩინა დაპატიმრებულს ...აქაური მედიკო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტს პეტრე სობოლევს თავისი ხელით ნაწერი აღმაშფოთებელი შინაარსის ქაღალდები“ [2].

სობოლევის „აღმაშფოთებელი“ ქაღალდებიდან განსაკუთრებით საინტერესოა პროკლამაცია „Великоруссъ“. ეს პროკლამაცია, შედარებით პირველ პროკლამაციასთან, უფრო ლიბერალურია მთავრობის მიმართ. პროკლამაციის შემდგენელი მთავარ იმედს ამყარებს „განათლებულ კლასზე“, რომ ისინი დაეხმარებიან რეფორმით მოტყუებულ გლეხობას.

პროკლამაციაში აღნიშნულია: „საბატონო გლეხები უკმაყოფილონი არიან იმ ცვლილებათა გამო, რომლებსაც მთავრობა აწარმოებს განთავისუფლების სახელით. მათი უკმაყოფილება უკვე გამოიხატება მღელვარებით, რომელსაც თანაუგრძნობენ სახელმწიფო გლეხები და სხვა უბრალო ადამიანები... თუ განათლებული კლასები ჩათვლიან თავიანთ თავს უძლურად, არ გრძნობენ სიმტკიცეს, ალა-

[1] Ц. Г. и. А. Л. О. фонд № 1405, опись № 54, дело № 1658, год 1861, лл. 30.

[2] იქვე.

გმონ მთავრობა და უხელმძღვანელონ მათ, მაშინ პატრიოტები იძულებული იქნებიან მოუწოდონ ხალხს იმ საქმის აღსასრულებლად, რომელიც უარყო განათლებულმა კლასმა...“ [1].

ამ პროკლამაციის შესახებ ნ. ნიკოლაძე შენიშნავს: „და სწორედ ამავე დროს დაიწყო ახალი პროკლამაციების გამოსვლა, თუმცა უფრო პატარა ფორმატით, და უფრო თავდაჭერილი შინაარსით;— ეს უკვე, ეტყობოდა, შინაური წარმოებისა იყო, დაბეჭდილი საბაზრო გამოცემების რუხ ქაღალდზე, ცუდი შრიფტით. ეს იყო სამი ნომერი „Великорусс“-ის“ [2].

საინტერესოა, რომ ამ პროკლამაციის ავტორი გამოდგა თვით პეტრე სობოლევი. დაპატიმრებულთა საქმეში (№ 6631) ჩაკერებულია პროკლამაცია „Великорусс“, რომლის ბოლოზე, პოლიციის მითითებით, მიწერილია სობოლევის ხელით: „Действительно писано рукою моею ст. П. Соболев, 1861 г. 10 Октября“ [3].

მაშასადამე, სხვა საკითხებთან ერთად, ამ დოკუმენტიდან ისიც ნათელია, რომ პეტრე სობოლევი, მედიკო-ქირურგიულ აკადემიის სტუდენტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად იბრძოდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ლიმონოვი კავშირს ამყარებდა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ამის თაობაზე მიწერ-მოწერასაც აწარმოებდა მათთან. ყოველივე ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები არ იყვნენ მოწყვეტილნი სხვა უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობისაგან. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მებრძოლ სტუდენტებს მხარს უჭერდნენ მშრომელი მასები და რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენცია. ციხისკენ მიმავალ დაპატიმრებულ ახალგაზრდობას „ურას“ ძახილითა და თაიგულებით მიაცილებდა ხალხი. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება და აღტაცება, როცა ციხის კარებთან დაგვიხვდა ქალების გრძელი რიგი, ორივე მხრით გაბმული; მიუხედავად საშინელი დარისა, ისინი უღმერთოდ მორთულიყვნენ; და იიდრე ამ მომხიბლავ წრეს გაგვატარებდნენ, ჩვენსკენ მოდიოდა ყვავილების თოვლი... ან კი საიდან იშოვნეს იმ დროს იმდენი ყვავილები, საოცარია. ოვაცია პირდაპირ გულის ამაჩუყებელი გამო-

[1] П. Г. И. А. Л. Ф. фонд № 1405, опись № 54, дело № 6638, год 1861, гд. 205.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I. გვ. 120. ეს პროკლამაციაც ინახება ლენინგრადის ცენზრალურ არქივში.

[3] П. Г. И. А. Л. фонд № 1405, опись № 59. Ед. хр. 6644, год 1861, гд. 206.

ვიდა. რასაკვირველია, ამის შემდეგ წამების ჯვარი უფრო აღარ გვამძიმებდა, არამედ გვართობდა კიდეც“ [1].

როგორც პოლიციის დოკუმენტებიდან და ნ. ნიკოლაძის მოგონების სხვა ადგილებიდანაც ჩანს, სტუდენტებს თანაუგრძნობდნენ „ჩინ-ორდენებით“ დამშვენებული წარჩინებული პირები და რუსეთის საზოგადოების მოწინავე ადამიანები.

„მაყურებელთა ეს სხვადასხვა ჯგუფები, რომელნიც მოდიოდნენ იმ დღეს და შემდეგ დღეებშიაც, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი „მოძრაობით“ და ამით გამოეცხადებინათ ჩვენთვის თანაგრძნობა, მართალი გითხრათ, უცნაურ და საკვირველ მდგომარეობას წარმოადგენდა. ამას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა არა თუ მხოლოდ ისეთი ბავშვები, როგორიც ჩვენ ვიყავით, ბევრი ჩვენზე უფროსებიც, როცა ხედავდნენ ამოღენა წარჩინებულ პირებს, შემკულთ ჩინ-ორდენებით, რომელნიც ტაშს გვიკრავდნენ და ყვავილებს გვესროდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მთელი რუსული საზოგადოება ჩვენთან არის და რომ მთავრობის დღეები დათვლილია. არამც თუ მანდილოსნები, არამედ ხშირად ეს წარჩინებული პირებიც მოგვართმევდენ ხოლმე მშვენიერ თაიგულებს, რომლებისთვისაც, არც კი ვიცოდით, რა გვექნა. ჩვენში ცოტაღა დარჩა ისეთი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ მთელი რუსეთი ჩვენთან არის“ [2].

მეამბოხე სტუდენტებს მხარს უჭერდნენ რადიკალურად მოაზროვნე პროფესორებიც, ზოგი მათგანი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს სტუდენტთა მოძრაობას. ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს: „მალე უნივერსიტეტის წინ შეგროვდა სხვა ახალი ჯგუფებიც, შემდგარი მწერლებისა, პროფესორებისა... ჩვენ ახლებს, ძველი სტუდენტები შორიდან გვაჩვენებდნენ გამოჩენილ პირებს, — არტილერიის პროფესორებს პ. ლ. ლავროვს და ნ. ენგელგარდტს, სატყეო აკადემიის პროფესორს ნ. ვ. შეალგუნოვს, „Отечественные записки“-ის თანარედაქტორს ალბერტინს, გამომცემელს ნ. ლ. ტიბლანს და ბევრ სხვას, ყველას ვერ ვიგონებ. ჩვენ გავოცდით, როცა ყველა ეს პროფესორები სამხედრო ტანისამოსში და ჩინებში დავინახეთ“ [3].

ასეთი პროფესორები თაიანთი ლექციებით კიდევ უფრო ამხნევებდნენ მღელვარე სტუდენტობას, ამის გამო მთავრობა იძულე-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 112.
[2] იქვე, გვ. 105.
[3] იქვე

ბული გახდა მოეგონებინა ზოგიერთი პროფესორისათვის თავიანთი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. მთავრობის ოფიციალურ მიმართვაში ნათქვამია: „ბატონ პროფესორებს უნდა გამოეცხადოთ, რომ მთავრობა მოელის თითოეული მათგანისაგან თავისი საქმის კეთილსინდისიერ და ზუსტად შესრულებას და ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ისინი მოითხოვენ თავიანთი მხრივ მათზე დამოკიდებული ყოველი საშუალებებით აუხსნან სტუდენტებს მათი მოვალეობა“ [1].

მაგრამ პროფესორების საგრძნობმა ნაწილმა ვერ გაამართლა მთავრობის იმედები. ზოგი მათგანი არა თუ სტუდენტებს მოუწოდებდა „წესრიგისაკენ“, თვითონაც ხელს უწყობდა ბრძოლის გამწვავებას. მაგალითად, როდესაც მთავრობა იძულებული გახდა უნივერსიტეტი გაეხსნა და ლექციების კითხვა განეახლებინა, მაშინ რადიკალურად მოაზროვნე პროფესორები არ გამოცხადდნენ ლექციებზე.

ამ საქმეზე პეტერბურგის ოლქის მზრუნველი უნივერსიტეტის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს გაჯავრებული კილოთი სწერს:

„...ჩემამდე მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორი და მასწავლებელი არ გამოცხადდა ლექციების წასაკითხად 17—18 სექტემბერს, არ ინებებთ გამოარკვიოთ გამოუცხადებლობის მიზეზი?..“ [2].

ამას მოჰყვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წმენდა. ბევრი პროფესორი იძულებული გახადეს თავისი ხელით დაეწერა განცხადება უნივერსიტეტიდან განთავისუფლებ-ს შესახებ. ასეთი ბედი ეწია რუსეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, პეტერბურგის უნივერსიტეტის ორდინარ პროფესორს, კოსტომაროვს [3].

კოსტომაროვის ბედი ბევრმა პროფესორმა გაიზიარა. უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი პლეტნევი ასევე, თავისი განცხადების საფუძველზე, გაათავისუფლეს და მის მაგიერ დანიშნეს სრეზნევსკი. 1861 წლის სტუდენტთა საქმესთან დაკავშირებით უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს პროფესორები: სპასოვიჩი, კაველინი, უტინი, სტასულევიჩი, პიპინი და სხვები.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებას შედეგად მკაცრი ზომები გატარდა. უნივერსიტეტის ყველა ფაკულ-

[1] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 17, опись № 25, год 1861, лл. 1.
[2] იქვე, фонд № 14, дело № 640, опись № 2, лл 43.
[3] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 606, связка № 549, год 1852, лл. 30.

ტეტი დაიხურა, მაგრამ ზოგჯერ თვით მთავრობაც გაურკვეველი იყო, იმ ეტაპზე როგორი ღონისძიება სჯობდა. ვაი თუ სიმკაცრეს საქმე უფრო გაერთულებინა და სტუდენტებთან ერთად მათ ზურგს უკან მდგარი მასებიც ამოძრავებულიყვნენ.

ქართველი სტუდენტები.

სტუდენტთა საერთო მღელვარებას არც ქართველი სტუდენტები ჩამორჩებოდნენ. ქართველი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილმა პირველად აღმართა რევოლუციური ბრძოლის დროშა პეტერბურგის ქუჩებში. სტუდენტთა დემონსტრაციის მზადება ქართველი სტუდენტებისათვისაც იყო ცნობილი. ამ საქმეში უფრო აქტიურ მონაწილეობას უფროსი კურსის სტუდენტები ღებულობდნენ. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში პროკლამაციის საჯარო წაკითხვამ უფრო მჭიდროდ დააკავშირა სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები. რუსებს გარდა, ქართველები მეგობრულ კავშირს ამყარებდნენ პოლონელებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და ერთ ბედში მყოფ კავკასიელებთან.

სტუდენტთა დემონსტრაციაში ქარ ველების მონაწილეობის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს:

„მეორე დღეს კვირას, სექტემბრის 24-ს (იგულისხმება სააქტო დარბაზში პროკლამაციის წაკითხვის მეორე დღე. კ. მ.), ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში 7 მ. 25 კ. გვაპმევდა ნისიათ სადილს ქართველ სტუდენტებს... რომ სასადილოში შემოვიდნენ ორივე ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ნ. ბ. და ბ. ლ... ღოღობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე“ გამოდისო და ჩ ვ ე ნ ც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო... მოვისმინეთ ეს ცნობა და იმის მაგიერ, რომ პასუხი მიგვეცა, გაკვირვებით დავდუმდით. ბოლოს „პროტესტის“ წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა დ. ნ. ა ბ დ უ შ ე ლ მ ა. იგი კიბოსავით გაწითლებულიყო, ბორძიკობდა და ისე ლაპარაკობდა. მან სთქვა, ჩვენ იმისთვის ვართ აქ ჩამოსული, რომ უნდა ვისწავლოთ, და არა მთავრობას ვასწავლოთ. მთავრობა ჩვენ, რასაკვირველია, არ გაგვიგონებს და უკან სახლში გაგვაბრუნებსო, რაც ჩვენთვის გაცილებით უარესია, ვიდრე ციმბირში წასვლაო... ღოღობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს. ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და პირველად წააწყდნენ ახლა ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები

ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო. ამაზე კირილე ლორთქიფანიძემ შენიშნა. რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ, რუსეთში, პოლონეთში, მოლოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენციო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა. ჩვენში კი საქმე სხვანაირია, ჩვენ ქართველი სტუდენტების პირველი თაობა ვართ, ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებთ, შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონ... ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ღოღობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კლდეზედაც შეგვეხეთქა“ [1].

კირილე ლორთქიფანიძის ასეთი განცხადება არ არის გამოწვეული მშიშარობითა და გაუბედაობით. იგი სიფრთხილეს იჩენს იმისათვის, რომ პასუხისგებლობას გრძნობს თავისი ქვეყნის წინაშე. ამის შესახებ სამართლიანად შენიშნავს პროფ. მ. ზანდუკელი.

„ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი“ კიდევ იმითაც არის საგულისხმო და საყურადღებო ჩვენთვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა რუსეთში სწავლისათვის გასული და იქაურ საზოგადოებრივ მოძრაობაში ჩაბმული, მტკივნეულად გრძნობს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. გრძნობს, რომ ის „პირველი თაობაა სტუდენტობისა“, ე. ი. ახალი ფორმაციის ქართველი ინტელიგენციისა, ჰგრძნობს, რომ სამშობლოსათვის მათი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება და ამას თავიანთ თავის განდიდებისათვის, ან პირადი შიშით კი არ ამბობენ, არამედ სამშობლოსადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. ამაშია ჩვენი 60-იანი წლების ახალთაობის მისწრაფების ერთი უდიდესი განმასხვავებელი შტრიხი. ეს ეროვნული გრძნობაა, რომელიც ახასიათებს და ამოძრავებს ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურასაც ამ პერიოდში“ [2].

მართლაც, ბესარიონ ღოღობერიძის დიპლომატიურმა სიტყვამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. მეორე დღეს ქართველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა დემონსტრაციაში. ამის შემდეგ

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 100—101.

[2] პროფ. მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, მესამე გამოცემა, ტ. II, გვ. 182—183.

ქართველი სტუდენტები ყოველდღე იკრიბებოდნენ, სხვა სტუდენტებთან ერთად, უნივერსიტეტის ახლოს და მთავრობის საწინააღმდეგო კრებებში მონაწილეობდნენ. 24 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე ბევრჯერ სტუდენტები თავისუფლად დადიოდნენ პეტერბურგის ქუჩებში, რადგან იმპერატორი ალექსანდრე მეორე იმ დროს საქართველოში, ქუთაისში, იმყოფებოდა და მის დაუკითხავად მინისტრები გადამწყვეტ ზომებს ვერ ღებულობდნენ: საქმის გართულების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მათვე დაეკისრებოდათ, ხოლო 12 ოქტომბერს, პირადად იმპერატორის განკარგულებით, მეამბოხე სტუდენტები, მათ შორის თერთმეტი ქართველი, დაპატიმრებულ იქნენ.

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების დოკუმენტებში წარმოდგენილია დაპატიმრებულ სტუდენტთა სხვადასხვა სიები. განსაკუთრებით საინტერესოა 12 ოქტომბერს დაპატიმრებულთა სია, რადგან ამ დღეს სტუდენტების მასობრივი დაპატიმრება მოხდა, ხოლო, საერთოდ, 12 ოქტომბრამდე და მის შემდეგაც სისტემატურად აპატიმრებდნენ სტუდენტებს. სულ 1861 წელს, შემოდგომაზე, 500 კაცი იყო დაპატიმრებული, მათ შორის 11 ქართველი. რიგითი ნომრების მიხედვით საერთო სიაში შეტანილია ქართველი სტუდენტების გვარებიც.

„სია სტუდენტებისა და სხვა წოდების პირთა, რომლებიც დაპატიმრებულნი იქნენ 12 ოქტომბერს.

გვარი, სახელი, საცხოვრებელი ადგილი, ადგილი პარველდაწყებითი განათლებისა და ცნობა იმის შესახებ, თუ სად იმყოფებიან მშობლები ან ის პირნი, რომელთა კმაყოფაზედაც არიან:

33. სტუდენტი ვასილ სავანელი — ცხოვრობს ვასილევის კუნძულზე, სანაპიროსა და კადეტების ხაზს შორის, № 42. აღიზარდა თბილისის გიმნაზიაში, საცხოვრებელი ადგილია თბილისი...

65. აბელ ჩოლოყაშვილი — გოროხოვის ქუჩაზე, ბაუმგარტენოვის სახლი, აღიზარდა თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში. მშობლები ცხოვრობენ თბილისის გუბერნიის — თელავის მაზრის სოფელ ახმეტაში...

68. სტუდენტი დავით ღოღობერიძე — შუა მეშჩანკაზე, სახლი № 10, ბინა № 3. აღიზარდა ქუთაისის გიმნაზიაში, მშობლები არა ჰყავს. ძმა ცხოვრობს საგუბერნიო ქალაქში, ქუთაისში...

79. სტუდენტი დავით აბდუშელიშვილი — დიდ მეშჩანკაზე, სახლი № 37, აღიზარდა ქუთაისის გიმნაზიაში, მშობლები ცხოვრობენ ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის, სოფელ ბჟინევში.

80. პეტრე ალხაზიშვილი — დიდ კანიუშნიაზე № 25, ბინა № 10. აღიზარდა თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში. მშობლები ცხოვრობენ თბილისის გუბერნიაში, ქალაქ გორში...

88. სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძე — შუა მეშჩანკაზე, ზოხიმის სახლი, ბინა № 14. აღიზარდა ქუთაისის გიმნაზიაში. მშობლები ცხოვრობენ ქუთაისის გუბერნიის, იმავე მაზრის სოფელ საჩინოში.

89. სტუდენტი გიორგი ჯავახიშვილი — ვასილევის კუნძულის პირველ ხაზზე, კოლჩინის სახლი, აღიზარდა თბილისის გიმნაზიაში, მშობლები ცხოვრობენ თბილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ხოვლეში...

184. სტუდენტი გიორგი წერეთელი — დიდ მეშჩანკაზე, სახლი № 39, ბინა № 3, აღიზარდა ქუთაისის გიმნაზიაში, მშობლები ცხოვრობენ ქუთაისში.

185. იაკობ ისარლიშვილი — გოროხოვის ქუჩა, სახლი № 23, ბინა № 9. მშობლები ცხოვრობენ თბილისში, აღიზარდა თბილისის გიმნაზიაში...

235. ბესარიონ ღოღობერიძე — ახალი შესახვევი, გარის სახლი, ბინა № 10, აღიზარდა თბილისის გიმნაზიაში, მამა ცხოვრობს ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის, სოფელ ჯიხაიშში“ [1].

„ნიკო ნიკოლაძე — შუა მეშჩანკაზე, ზოხიმის სახლი, ბინა № 14. აღიზარდა ქუთაისის გიმნაზიაში, მშობლები ცხოვრობენ ქუთაისში“ [2].

დაპატიმრებული სტუდენტების არა სრული სია იმავე 1861 წელს საზღვარგარეთ გამოაქვეყნა გერცენის „Колокол“-მა (№ 114). გერცენმა სტუდენტთა მოძრაობის შესახებ, აგრეთვე, „Колокол“-ში დაბეჭდა საინტერესო სტატიები „Искандер“-ის ფსევდონიმით [3].

---

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, опись № 59, дело № 6530, год 1861, лл. 159.

[2] ნ. ნიკოლაძე დასაბრალებულია სხვა სიაში, სახელდობრ: „Список студ. и другого звания лиц, арестованных за безпорядки 12-го октября и от коих отобраны показания“ (ф. № 1405, оп. 59, Ед. хр. № 6645, год 1861, лл. 3).

[3] იხ. „Колокол“ № 110, лл. 917—918, 1861.

სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძე თავის მეტად საინტერესო მოგონებაში დაპატიმრებული ქართველებიდან მხოლოდ კ. ლორთქიფანიძესა და დ. აბდუშელიშვილს ასახელებს. ციხეში მყოფი ქართველი სტუდენტების შესახებ წერს: „ქართველები ცოტანი ვიყავით, ამიტომ ცალკე არ გამოვყოფილვართ, ჩვენ კ. ლორთქიფანიძესთან და აბდუშელთან ერთად მოვთავსდით ჯგუფში“ [1].

აღსანიშნავია ისიც, რომ ციხეში პატიმართა ერთი ჯგუფის სურათში წარმოდგენილია მხოლოდ 6 ქართველი (ი. ისარლიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ღოღობერიძე, გ. წერეთელი, დავით ღოღობერიძე და კირილე ლორთქიფანიძე) [2].

პროფ. ს. ხუნდაძე, კ. ლორთქიფანიძის კერძო წერილზე დაყრდნობით, ფიქრობდა, რომ 1861 წლის მღელვარების დროს დაპატიმრებული უნდა ყოფილიყო 13 ქართველი სტუდენტი [3]. ამაზე აზრს ეთანხმებოდა ამ სტრიქონების ავტორიც [4]. მაგრამ საკითხის დეტალური შესწავლა სხვაგვარ სურათს იძლევა. ჩვენ გავსინჯეთ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების ამდროინდელი ფონდები და საქმეები, აქტები, საბრალმდებლო დასკვნები, მაგრამ, ზემოთ დასახელებულ პირთა გარდა, დაპატიმრებულთა შორის სხვა ქართული გვარი არ შეგვხვედრია. ამის გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული თერთმეტი ქართველი სტუდენტის აქ წარმოდგენილი სია შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს.

ეს დოკუმენტი საინტერესოა იმითაც, რომ სახელობით სიას თან დართული აქვს დემოგრაფიული ცნობებიც.

ილია ჭავჭავაძე

ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე ჩაერიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე 1857 წლის 28 სექტემბერს. ამის შესახებ ილიას უნივერსიტეტის პირად საქმეში ვკითხულობთ:

---

[1] ნ. ნიკოლაძე. ტ. I, გვ. 109.

[2] სურათის დედანი ინახება კ. ლორთქიფანიძის არქივში.

[3] იხ. ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 394.

[4] „დემონსტრაციის დროს 500-მდე სტუდენტი დააპატიმრეს, მათ შორის 13-მდე ქართველი“. (კ. მეძველია, კირილე ლორთქიფანიძე, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 89).

„ს. პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოვალეობის აღმასრულებლის წინადადებით, № 3998, თავადი ილია ჭავჭავაძე ჩარიცხულია საკუთარ კმაყოფაზე მყოფ სტუდენტად კამერალურ განყოფილებაზე 1857 წლის 28 სექტემბრიდან“ [1].

ილია ოთხ წელს სწავლობდა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში. ამ ხნის განმავლობაში იგი ისმენდა ლექციებს მისთვის საინტერესო და ნაკლებ საინტერესო საგნებში. იურიდიული ფაკულტეტი წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი დისციპლინებით. გეგმაში შედიოდა, სპეციალურ საგნებს გარდა, არაძირითადი, დამხმარე საგნები. მაგალითად: სტატისტიკა, ტექნოლოგია, ზოოლოგია, ბოტანიკა და სხვა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ილია არსებითად გატაცებული იყო ზოგადი პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხებით. იგი დიდი ინტერესით ეწაფებოდა რუსი რევოლუციონერების: ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ნეკრასოვისა და სხვათა მებრძოლ იდეებს, გატაცებით სწავლობდა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას: „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ნაწერებს, მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების: შექსპირის, შილერის, გოეთეს, ბაირონის, ჰაინეს და სხვათა შემოქმედებას, ადამ სმიტისა და რიკარდოს გამოკვლევებს პოლიტიკური ეკონომიიდან... ყოველივე ამას ილია მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე ძველ ყაიდაზე მოაზროვნე პროფესორების ლექციების მომზადებას

„უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა, — წერს ილიას მოწაფეობისა და სტუდენტობის მეგობარი კოტე აფხაზი, — აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყუ-

[1] იხ. ილიას პირადი საქმე „Дело правления Императорского С. Петербургского Университета о принятии в числе студентов (Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 696, связка № 3404, год 1857). აქ დამოწმებული ცნობის გარდა, ილიას პირად საქმეში მოთავსებულია: 1. ილიას თხოვნა უნივერსიტეტის რექტორისადმი სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ. 2. თხოვნა სწავლის ქირის, 25 მანეთის, შეტანის ნებართვაზე და გადახდის ქვითარი. 3. უნივერსიტეტის წარდგინება მხოლოდ სწავლის ქირისაგან განთავისუფლების შესახებ. 4. ცნობა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე განთავისუფლებულია სწავლის ქირის გადახდისაგან ობლობის გამო. 5. ილიას თხოვნა რექტორისადმი სახელზე დოკუმენტების დაბრუნების შესახებ. 6. უნივერსიტეტის კანცელარიის ცნობა ილიასადმი დოკუმენტების გადაგზავნაზე და ილიასაგან დასტურის მოთხოვნა მიღებაზე. 7. მოწმობა ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნის შესახებ.

რადღებას არ აქცევდა და სულ სხვა საგნების კითხვაში იყო გართული. კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველს ქართულს წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენი და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ მინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია" [1].

ილიას ზოგადი განათლების საკითხებით გატაცებაზე მეტყველებს მისი საგამოცდო უწყისები. მართალია, იგი საგნების უმრავლესობას მაღალ ნიშნებზე აბარებს, მაგრამ სავალდებულო საგნების ნაწილი ჩაუბარებელი რჩება. ამის გამო ჟურნალებში ილიას გვარის პირდაპირ, გრაფაში „Решения факультета" ან „Определения факультета", წერია: „Оставляется" ან „Не кончил" [2].

აქვე დაიწერა მისი პირველი თეორიული ხასიათის სტატია — „ორიოდე სიტყვა თავ. რევაზ შალვას-ძე ერისთავის კაზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა".

ამას ემატება ილიას მთარგმნელობითი მუშაობა.

„ილიას სტუდენტობის დროს ეკუთვნის თარგმანები რუსი პოეტების — პუშკინის და ლერმოტოვის, ინგლისელი, გერმანელი და ფრანგი პოეტების — ბაირონის, ვალტერ-სკოტის, გოეთესა, შილე-

---

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, გვ. 563–564.

[2] მაგალითად, 1857—58 სასწავლო წლის ერთ სემესტრში ჩაბარებული აქვს 4 საგანი ასეთ ნიშნებზე. Внешняя история Росс. законод. 4, Богословие 5, зоология 3, психология 5, შენიშვნაში „Определения факультета" მიწერილი აქვს „Не кончил". (Г. И. А. Л. О. фонд № 14084, связка № 1010, год 1858, гг. 1—5).

1858—59 სასწავლო წელს ჩაბარა: „Технология 4, Гражд. право 5, Росс. гражд. право и судопроизводства 5, Грузинский язык 5, (ქართულ ენას აბარებდა როგორც დამატებით საგანს, ასწავლიდა ორდინარი პროფესორი დ. ჭუბინაშვილი).

1861 წლის პირველ სემესტრში, IV კურსზე ყოფნის დროს, საქართველოში წამოსვლამდე, ჩაბარებული აქვს: Госуд. учрежд. Росс. империи 4, Богословие 5, Росс. гражд. право и судопроизв. 5, Грузинский язык 5, (Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 14109, связка № 1012, год 1861, гг. 16—17, 20—21).

ილიას სტუდენტობის დროის დოკუმენტები ქვეყნდება ამჟამად დაცული ლენინგრადის ცენტრალურსა და საოლქო არქივებში ჩვენს მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით. მითითებულია არქივი, სათანადო ფონდი და საქმე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას სტუდენტობის მასალები, საგამომცემლო კომისიის თხოვნით, 1912 წელს შეკრებია პროფ. ი. ჯავახიშვილს, რომელიც პოეტში აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ 1935 წელს გამოაქვეყნა „ლიტერატურული მემკვიდრეობის" პირველ წიგნში. ამ პუბლიკაციას არ ახლავს არქივის, ფონდის და სხვა წყაროთა მითითება. ნაჩვენებია ხელოლდ ილიას პირადი საქმის ნომერი.

რის, ჰაინესი, რიუკერტისა, ანდრე შენიესი, ილია სტუდენტობის დროიდანვე გატაცებულია შექსპირით...“ [1].

ყოველივე ამასთან ერთად იგი ათავსებდა ორგანიზაციული ხასიათის მუშაობას. ილია ხელმძღვანელობდა ქართველ სტუდენტთა საათისტომოს, აგროვებდა ქართველ მწერალთა ხელნაწერების კოლექციას და წიგნებს.

„ქართველ სტუდენტებს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომელთაც ხელმძღვანელობდა ი. ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ...“ [2].

ასეთ ბუმბერაზულ ძალას იჩენდა ილია სტუდენტობის დროს. იგი რაღაც ზღაპრული ენერგიისა და უნარის პატრონია. თავგამოდებული შრომა იყო მიზეზი იმისა, რომ რკინის ჯანმრთელობის მქონე ახალგაზრდას ტუბერკულოზის ნიშნები აღმოაჩნდა. ექიმის მიერ ილიას სახელზე გაცემულ მოწმობაში ვკითხულობთ:

„მიეცა ს. პეტერბურგის სტუდენტს, თავად ილია ჭავჭავაძეს, მასზედ, რომ იგი მკურნალობდა ჩემთან სისხლისღებინების გამო 1859 წლის მაისის თვის განმავლობაში. მართალია, სამედიცინო ზომების მიღების შემდეგ ავადმყოფობამ უკლო, მაგრამ ავადმყოფის საბოლოო განკურნებისათვის აუცილებელია მთელი ზაფხულის განმავლობაში სარგებლობა სამხრეთის ხელისშემწყობი კლიმატით, რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით და სახელობითი ბეჭდის დასმით“ [3].

მიუხედავად ასეთი სერიოზული ავადმყოფობისა, ისიც ჩრდილოეთის სუსხიან კლიმატურ პირობებში, ილიას ინტენსიური მუშაობა არ შეუწყვეტია. იგი მხოლოდ ერთ ზაფხულს ისვენებს საქართველოში და კვლავ პეტერბურგს უბრუნდება, ღირსეულად ატარებს იმ ოთხ წელს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა პოეტის მომავალ ცხოვრებაში.

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ, IV კურსის სტუდენტმა, დატოვა უნივერსიტეტი და გამოემგზავრა საქართველოში. ზოგიერთი დილეტანტი კიდევაც დასცინოდა პოეტს სამშობლოში უდიპლომოდ დაბრუნების გამო. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე ირონიულად იგონებს ერთ შემთხვევას.

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფ-

---

[1] კ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ნარკვევები. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1951 წლის გამოცემა, გვ. LV.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 95.

[3] ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 561.

როსმა სტუდენტმა... გამოთქვა ჩვენსას, როცა „Современник"-ის კითხვაზე წამესწრო.—გაიხსენე ჩემი სიტყვაო,—მითხრა,—თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა და, დაესხა თავს ლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიპლომოთ წაბრძანდა... აბა ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?..." [1].

მეოთხე კურსიდან სწავლის დატოვების მიზეზად ილია უნივერსიტეტში პოლიციური რეჟიმის შემოღებას ასახელებს: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელი საუნივერსიტეტო არეულობის გამო".

ამასვე ადასტურებს კოტე აფხაზის მოგონებაც: „მეც და ილიაც იძულებული ვიყავით უნივერსიტეტიდან მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყავით. ეს მოხდა ეგრეთწოდებული „მატრიკულების" წყალობით, რომელიც შემოღებული იქნა პეტერბურლის გენ.-ღუბერნ. იგნატიევის წყალობით და მეცადინეობით. ჩვენ თითქმის ყველა სტუდენტმა ამის შესახებ პროტესტი განვაცხადეთ..." [2].

მართლაც, როგორც ზემოთ მოტანილი დოკუმენტებიდან დავინახეთ, ჯერ კიდევ 1861 წლის პირველი დღეებიდანვე იგრძნობოდა უნივერსიტეტის კედლებში მკაცრი პოლიციური რეჟიმი და ილია იძულებული ხდება, ამის გამო დატოვოს უნივერსიტეტი.

მიუხედავად საკითხის ასე თუ ისე გარკვეულობისა, პატივცემულ მკვლევარს, პაველ ინგოროყვას, მაინც სადავოდ მიაჩნია ეს საკითხი. იგი ილიას უნივერსიტეტიდან დაჩქარებით წამოსვლის შესახებ ორ. ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს. ერთ შემთხვევაში, მისი აზრით,—„1861 წლის გაზაფხულზე ილია წამოვიდა საქართველოში, სჩანს ისევ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო" [3].

ხოლო ამავე შრომის მომდევნო გვერდზე წერს: „აქ საჭიროა აღინიშნოს, ამასთან, რომ დღემდე არ იყო დადგენილი ეს ფაქტი, რომ ილია გამორიცხული იყო უნივერსიტეტიდან; გავრცელებული

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ 67. საინტერესო ფაქტია, რომ სამოციანი წლების სახელოვან მოღვაწეებს პეტერბურგის უნივერსიტეტიც დართავების დიპლომი არ მიუღიათ. ასეთები იყვნენ, ილიას გარდა, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები. ესეც იმას ადასტურებს, რომ იმათ დიპლომზე მეტად სხვა მოვლენები აინტერესებდათ.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნ. I, გვ. 564.

[3] ილია ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. LIX

იყო შეხედულება, რომ ვითომც ილიამ თვითონ დაანება თავი უნივერსიტეტს მეოთხე კურსზე ყოფნის დროს“ [1].

ერთ შემთხვევაში მკვლევარი უნივერსიტეტის დატოვებას ავადმყოფობას მიაწერს, ხოლო მეორე შემთხვევაში 1861 წელს სტუდენტთა მღელვარების გამო ილიას უნივერსიტეტიდან გარიცხვას. გარდა ამისა, რომ აქ ლოგიკური წინააღმდეგობაა, თვით დასახელებული ფაქტებიც ნაკლებ დამაჯერებელია. ავადმყოფობა ამ დროს ვერ იქნებოდა ილიას პეტერბურგიდან აჩქარებით წამოსვლის მიზეზი. ამ პერიოდში ილია ავადმყოფობას არ უჩივის, და ამასვე ადასტურებს ის გოლიათური ბრძოლა, რომელიც მან 1861 წელს ჩაატარა საქართველოში ძველი თაობის წინააღმდეგ, რაც ავადმყოფი ადამიანისაგან შეუძლებელი იქნებოდა.

ისიც ცხადია, რომ ილია 1861 წლის სტუდენტთა ამბოხებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოემგზავრა საქართველოში და ეს კი იმას ამტკიცებს, რომ მან გარიცხვამდე თავისი სურვილით დატოვა უნივერსიტეტი.

ილიამ პეტერბურგი დატოვა 1861 წლის გაზაფხულზე, ხოლო სტუდენტთა ამბოხება მოხდა 1861 წლის შემოდგომაზე. აქედან ცხადია, სტუდენტთა ამბოხების გამო ილიას გარიცხვა არ შეიძლება უნივერსიტეტის დატოვების მიზეზი იყოს.

ყოველივე ამასთან, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ პეტერბურგიდან ილიას წამოსვლა დააჩქარა, აგრეთვე, საქართველოს მაშინდელმა მდგომარეობამ. ილია კარგად ხედავდა, რომ ამ დროს საქართველოს აზროვნება და ლიტერატურა დაქვეითებას განიცდიდა, ცხოვრება დამყაყებულ გუბეს წარმოადგენდა, რომელსაც გაწმენდა და გადახალისება ესაჭიროებოდა და ილია, ახალი აზრებით შეიარაღებული, ახალი იდეებით დატვირთული, უცრად ჭუხილით შემოიჭრა საქართველოს მაღალთაღოვან კარიბჭეში. მან ცეცხლითა და მახვილით შეანგრია ძველი ფეოდალური აზროვნების ციხე-სიმაგრეები. ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ტომებით წელგამართულმა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ანტონ კათალიკოსის ტრადიციებზე აღზრდილ „თეორეტიკოსებს“.

ილიას საბრძოლო პროგრამა ჯერ კიდევ პეტერბურგში ჰქონდა ჩამოყალიბებული და 1861 წლიდან ეს აზრები ღრმად დანერგა ქართულ ნიადაგზე. ამას ადასტურებს პეტერბურგში დაწერილი მისი მხატვრული ნაწარმოებები და პირველი საპოლემიკო სტატია

[1] ილია ჭავჭავაძე, ტ. I, გვ. LXI.

რევაზ ერისთავის თარგმანის შესახებ. ამ დიდი ბრძოლის დასაწყებად გამოემგზავრა იგი დაჩქარებით პეტერბურგიდან, რადგან ამ საქმის დაგვიანება საკუთარი ერის წინაშე დანაშაულს უდრიდა. და განა ილიამ დიპლომზე ათასჯერ უფრო ძვირფასი განძი არ ჩამოიტანა საქართველოში?

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ილია 1861 წლის გაზაფხულიდან საქართველოშია და იგი სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ამის შესახებ მკვლევარი პ. ინგოროყვა წერს:

„ილია 1861 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, როგორც მოვიხსენიეთ, საქართველოში იმყოფებოდა და სტუდენტთა არეულობაში მას მონაწილეობა არ მიუღია. ასე რომ, თითქოს არავითარი საბუთი არ არსებობდა ილიას უნივერსიტეტიდან დათხოვნისათვის. მიუხედავათ ამისა, ილია მაინც გამოურიცხავთ უნივერსიტეტიდან. ამრიგად, ილიას მიმართ განსაკუთრებული ზომა მიუღიათ. აშკარაა ამის მიხედვით, რომ ილია ადრიდანვე იმყოფებოდა პოლიციის საიდუმლო განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ... უნივერსიტეტიდან გარიცხულები 1861 წელს ღებულობდნენ უნივერსიტეტის მოწმობას მათ მიერ მოსმენილი კურსის შესახებ ერთნაირი ტრაფარეტით — 1861 წ. 12 ოქტომბრის თარიღით. ასეთი მოწმობა, რომელიც მიუციათ სტუდენტთა არეულობაში მონაწილისა და უნივერსიტეტიდან გარიცხულის ნიკო ნიკოლაძისათვის, შენახულია ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში... სწორედ ამავე ტრაფარეტს წარმოადგენს ილიას მოწმობაც, რომელსაც უზის იგივე თარიღი — 1861 წლის 12 ოქტომბერი“ [1].

პატივცემულ მკვლევარს ზოგ რამეში აქაც ვერ დავეთანხმებით. სახელდობრ, სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის გარეშე ილიას უნივერსიტეტიდან გარიცხვა არ ნიშნავს მის მიმართ პოლიციის მიერ განსაკუთრებული ზომების გატარებას. როგორც საბუთებიდან ჩანს, უნივერსიტეტის დახურვის გამო ყველა მსმენელი გაირიცხა მექანიკურად და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც.

მეორეც, მართალია, მოწმობა ყველა გარიცხულს ერთნაირი ნიმუშის მიხედვით მიეცა, მაგრამ პატიმრობაში მყოფი სტუდენტისა და მექანიკურად გარიცხულთა მოწმობებს შორის მაინც ერთგვარი განსხვავება არსებობს. მაგალითად კ. ლორთქიფანიძის მოწმობაში წერია: „при поведении хорошо, а 20 декабря 1861 года по слу-

[1] ილია ჭავჭავაძე. ტ. I. გვ. LXI—LXII.

чаю закрытия Университета, уволен из Университета, со второго курса..." [1].

ხოლო ილია ჭავჭავაძის მოწმობაში წერია. „по прошению уволен с четвертого курса..." [2].

მოგვაქვს ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობის ტექსტი მთლიანად.

„წარმომდგენი ამისა თავადი ილია ჭავჭავაძე ჩარიცხული იყო საიმპერატორო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად 1858 წლის 20 ივლისიდან [3]. მოისმინა იურიდიული ფაკულტეტის კამერალური განყოფილების საგნები. ყოფაქცევა ძალიან კარგი. 1861 წლის 12 ოქტომბერს მისი თხოვნის თანახმად დათხოვნილ იქნა უნივერსიტეტის IV კურსიდან. ამის გამო კურსდამთავრებული სტუდენტის უფლებით ვერ ისარგებლებს და სახელმწიფო სამსახურში მიღებისას კანონის კრებულისა (გამოცემა 1857 წ.) და სახელმწიფოსაგან განსაზღვრული სამსახურის წესდების § 88-ის საფუძველზე მას აქვს უფლება ჩარიცხულ იქნას მხოლოდ მეორე კატეგორიის ჩინოვნიკად, რის დასადასტურებლად მიეცა მას, ჭავჭავაძეს, ეს მოწმობა უნივერსიტეტის გამგეობისაგან სათანადო ხელის მოწერით და უნივერსიტეტის მცირე ბეჭდის დასმით.

ს. პეტერბურგი. ნოემბერი „14" 1863 წელი. უნივერსიტეტის რექტორი გ. ლენცი" [4].

---

[1] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 1590, связка № 3433, год. 1863, §§. 9.

[2] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 696, связка № 3404, год 1863, §§. 10.

[3] აქ შეცდომითაა დასახელებული ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღად 1858 წლის 20 ივლისი. უკვე ზემოთ დასახელებული ოფიციალური ცნობის მიხედვით, ილია ჩარიცხულია უნივერსიტეტში 1857 წლის 28 სექტემბერს. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არც პ. ინგოროყვას აქვს სწორად დასახელებული ილიას უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღი. ამის შესახებ მკვლევარი წერს: „ილიამ ჩააბარა უნივერსიტეტში შესავალი გამოცდები და 1857 წლის 15 ოქტომბერს ჩაერიცხა სტუდენტადო..." (იხ. პ. ინგოროყვას, ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული ნარკვევი, ი. ჭავჭავაძე, ტ. I, §§. XXX!X). 15 ოქტომბერს კი არ ჩარიცხულა ილია სტუდენტად, არამედ—ამ დღეს ილიას ჩარიცხვის შესახებ ეცნობა უნივერსიტეტის საბჭოს („...от 28 сентября 1857 года за № 3998, князь Илья Чавчавадзе зачислен в числе своекоштных студентов по разряду камеральных наук, о чем сообщено 15 октября совету Университета за № 3504" (იხ. Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 696, связка № 3404, год 1857, §§. 3).

[4] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 696, связка № 3404, год 1863, §§. 10.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ 1861 წლის სტუდენტთა ამბოხებაში მონაწილეობას არ ღებულობდა, მაინც გარიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან მექანიკურად.

კოტე აფხაზი თავის მოგონებაში შეცდომით აღნიშნავს 1861 წელს პეტერბურგის სტუდენტთა დემონსტრაციის დროს ილიას იქ ყოფნას. ამის შესახებ იგი წერს: „...და მართალია არც მე, არც ილია სტუდენტობის კრებას არ დავსწრებივართ (მე ვერ მივუსწარი კრებას, როდესაც მივედით, კრებისათვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა") [1].

როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, ილია ამ დროს პეტერბურგში არ იმყოფებოდა და, ამის გამო, მას არ შეეძლო სტუდენტთა შეკრებაზე არც ადრე და არც დაგვიანებით მისვლა. ხოლო კოტე აფხაზი თუ იქ იყო, მაშინ ეჭვი გეპარება მისი განცხადების გულწრფელობაში. თუ იგი, მართლაც, იმ დროს მივიდა უნივერსიტეტთან, როდესაც სტუდენტებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული, განა ამის შემდეგ არ შეეძლო მას დაპატიმრებულთა ჯგუფს შეერთებოდა და ამხანაგების ბედი გაეზიარებინა? როგორც დოკუმენტებში მრავალჯერ არის აღნიშნული, ალყაშემორტყმულ სტუდენტებს შემდეგაც მრავალრიცხოვანი ახალი ჯგუფები შეუერთდნენ. ამრიგად, დაგვიანება არ ჩაითვლება იმის მიზეზად, რომ კოტე აფხაზი დაპატიმრებას გადარჩა.

ილია ჭავჭავაძის გარიცხვის საბუთს 1863 წლის თარიღი აქვს, მაგრამ სინამდვილეში ადრე იყო იგი გარიცხული. ეს მხოლოდ მოწმობის ბლანკის შევსების რიცხვია. ისიც შესაძლებელია, რომ ილია ჭავჭავაძის გარიცხვის გაფორმება უფრო გვიან მოხდა. ვინემ კირილე ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძისა, რადგან ეს უკანასკნელნი დაპატიმრებულნი იყვნენ და სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1861 წლის მეორე სემესტრის უწყისებში ილიას გვარი შეტანილია და თან მიწერილი აქვს „არ გამოცხადდა". ასე, რომ 1861 წელს ილიას გარიცხვა გაფორმებული არ უნდა იყოს, ამას ადასტურებს მისი გვარის არსებობა საგამოცდო სიებში. ხოლო 1862 წლიდან ილია პოლიციის დოკუმენტში იხსენიება, როგორც ყოფილი სტუდენტი. 1861 წლის სტუდენტთა ამბოხებასთან დაკავშირებით პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერს უნივერსიტეტიდან სტუდენტთა საქმეები წაუღია შესა

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი პირველი, გვ. 504.

მოწმებლად. ყველა ეს საქმე მალე დაუბრუნებიათ უნივერსიტეტის დროებითი კომისიისათვის, ხოლო 52 სტუდენტის დოკუმენტი, რომელთა პატრონები პეტერბურგში ვერ აღმოუჩენიათ, დაუტოვებიათ პოლიციის კანცელარიაში. ამათ შორის ილია ჭავჭავაძის საქმეც ყოფილა.

1862 წლის 30 ნოემბერს პეტერბურგის პოლიციის კანცელარია, თანდართული სიის მიხედვით, უბრუნებს უნივერსიტეტის დროებით კომისიას 52 სტუდენტის დარჩენილ საქმეს ასეთი მიმართვით:

„ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დროებით მმართველ კომისიას!

ამა წლის 20 ნოემბრის № 1983 მომართვისა გამო მაქვს პატივი მოგართვათ პეტერბურგის უნივერსიტეტის დროებით მმართველ კომისიას, არსებული სიის მიხედვით, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი 52 სტუდენტის დოკუმენტი, რომელიც დარჩა დაუბრუნებელი მათი პეტერბურგში მოუძებნელობის გამო. უღრმესად გთხოვთ ჩემდამი რწმუნებული დოკუმენტების მიღებას.

გენერალ-ლეიტენანტი (ხელმოწერილია)

კანცელარიის მმართველი (ხელმოწერილია)" [1].

ამას თან ერთვის სტუდენტთა სახელობითი სია და ამ სიის 46-ე ნომერზე დასახელებულია ილია ჭავჭავაძე:

„სია ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტებისა, რომელთა დოკუმენტები უბრუნდება ს. პეტერბურგის უნივერსიტეტს... 46. ჭავჭავაძე ილია. (რიცხვი დოკუმენტის [illegible])" [2].

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე უკვე 1862 წელს გარიცხულია უნივერსიტეტიდან და მას იხსენიებენ, როგორც ყოფილ სტუდენტს.

ასეთი საბრძოლო მომზადება გაიარა ილია ჭავჭავაძემ ოთხი წლის განმავლობაში პეტერბურგში. „პერიოდი, როცა გაიშალა ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა, საკმაოდ თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოვლენებით. XIX საუკუნის 60-იანი წლები რუსეთში აღინიშნა საზოგადოებრივი ძალების ინტენსიური მობილიზაციით, ორი ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლითა და რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ამოძრავებით" [3]. ივი საქართველოში იდეურად მომწიფებული და ჩამოყალიბებული დაბრუნდა.

[1] Г. Н. А. Л. О фонд № 14, дело № 17, опись № 25, связка № 3897, год 1862, гв. 572—575.

[2] იქვე

[3] გ. ჯიბლაძე, ბატონური შემოქმედების ნარკვევები, გვ. 197.

მან ყველა ძირითადი საბრძოლო პრობლემა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაწერილ ნაწარმოებებში გადაჭრა ახლებურად. ვერ დავეთანხმებით პროფ. მ. ზანდუკელს ილიას პეტერბურგის პერიოდის იდეური ხასიათის განსაზღვრაში. მისი აზრით, 1857—1860 წლებში ილია ჯერ კიდევ იდეური ძიებისა და დუღილის პერიოდშია.

„თუ მხედველობაში მივიღებთ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარიღებს, რომლებიც მის ხელნაწერებს (შავებს) აქვთ, უნდა დავასკვნათ, რომ სწორედ 1857—1860 წლებში ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებაშიც ერთგვარი ძიების, მომზადების, დადუღების, თვითგამორკვევის, განსაკუთრებით 1859 წ. დამლევსა 1860 წელს, გარდატეხის ხანას ვამჩნევთ“ [1]. ჩვენ კი ვფიქრობთ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიამ ყველა საკითხი პეტერბურგში დაწერილ ნაწარმოებებში ნათლად და გარკვეულად გადაჭრა. იგი აქ უკვე იდეურად მომწიფებულ მოაზროვნედ ჩანს. მაგალითად:

სოციალური ხასიათის საკითხები ჩამოაყალიბა ნაწარმოებებში: „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „კაცია-ადამიანი?!“, „გუთნის დედა“, „მუშა“ და სხვ.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით აამეტყველა: „ქართველის დედას“, „გაესწორდეთ ბედო“, „ქართველის დედა“, „ალაზანს“. „ქართველი სტუდენტების სიმღერა“, „ნანა“, „ვესმის, მესმის“ და სხვ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის პრობლემები გადაჭრა ლექსში „პოეტი“ და კრიტიკულ ნარკვევში „ორიოდე სიტყვა თავ. რევაზ შალვას-ძე ერისთავის კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ილია ჭავჭავაძე ოთხი წლის განმავლობაში დიდი რუსი ხალხის მოწინავე იდეების გაცნობით გამოიჭედა და გამოიწრთო, როგორც მებრძოლი პოეტი და მოქალაქე.

აკაკი წერეთელი.

აკაკი როსტომის-ძე წერეთელი 1859 წელს, მეშვიდე კლასიდან, თავს ანებებს ქუთაისის გიმნაზიას და პეტერბურგში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. მას თავიდანვე სამხედრო

[1] ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, მესამე გამოცემა, გვ. 184.

სასწავლებელში შესვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მაგრამ პეტერბურგში მყოფმა ქართველებმა აკაკის შეუცვალეს წინასწარი განზრახვა. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგმა, იმჟამად პეტერბურგში მცხოვრებმა, გენერალმა ბაგრატიონმა. მან სათანადო საუბრის შემდეგ გადაჭრით ურჩია აკაკის უნივერსიტეტში შესვლა.

„— ოჰო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც გატყობ, და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე?"

ასეთივე რჩევა მისცეს აკაკის პეტერბურგში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმაც და საბოლოოდ მან. სამხედრო სასწავლებლის ნაცვლად, უნივერსიტეტის კარებს მიაშურა.

თავისი გადაწყვეტილების შეცვლას ასე გამოხატავს პოეტი:

„ვაგრამ რომ ჩაველ პეტერბურგს,
იქ სტუდენტობა დამიხვდა.
დამიჯდა მათი ნარჩევი...
წინა განზრახვა წამიხდა".

აკაკი წერეთლის ცნობილი მკვლევარი ლ. ასათიანი წერს:

„როგორ ჩატარდა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები, ჩვენ არ ვიცით. ჯერჯერობით არავითარი დოკუმენტი ჩვენს ხელთ არ არის, რომ გავაშუქოთ აკაკის სტუდენტობის ეს დასაწყისი პერიოდი" [1].

ლ. ასათიანის ეს სიტყვები მართალია და, სამწუხაროდ, ალბად დიდხანს დარჩება ძალაში. სამოციანი წლების ქართველ სტუდენტთა პეტერბურგის უნივერსიტეტის მასალების შესწავლის დროს ბევრი ვეძებე აკაკის საქმეები ლენინგრადის არქივებში, მაგრამ მის შესახებ არაფერი აღმოჩნდა. შევამოწმე აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის 1859, 1860, 1861, 1862 წლების სტუდენტთა სიები, საგამოცდო უწყისები, უნივერსიტეტის რექტორის წლიური ანგარიშები, ფაკულტეტის სხვადასხვა ქაღალდები, მაგრამ აკაკის გვარიც კი არსად შეგვხვედრია.

ეს ალბად იმით აიხსნება, რომ აკაკი უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი იყო და ის კურსიდან კურსზე გადასასვლელ გამოცდებს არ აბარებდა [2].

---

[1] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, (ახალი გამოცემა), გვ. 119.

[2] სხვათა შორის, ამ პერიოდის სტუდენტთა ზოგიერთი საქმეც არ არის შემონახული.

აკაკის სტუდენტობის პერიოდის ზოგიერთ ხარვეზს ავსებს პეტერბურგიდან ოჯახის წევრებისადმი გაგზავნილი კერძო ბარათები და მის ვრცელ და საინტერესო მოგონებაში სტუდენტობის დროის შესახებ მცირე ეპიზოდები.

ბარათების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აკაკი უნივერსიტეტში დიდი ინტერესით შედგომია სწავლას.

„ეგებ გიკვირდესთ ჩემი, წიგნის მოწერას როგორ ვერ მოიცლის, სტყუაო!... რა ვქნა, დღეს მესამე დღეა, თქვენი წიგნი მომივიდა, პასუხს ეხლა ვწერ. ჩვენი (ჩემი) გასვლაც, გამოსვლაც, ჭამაც, სმაც, ძილიც, გამოანგარიშებული არის, ნახევარი საათი რომ სადმე შევრჩე ნამეტანი, მაგიერი ძილი უნდა დავიკლო და ექვსი საათის მაგივრად, ხუთ ნახევარი უნდა ვიძინო დღეში. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, ხშირად ვერ მოგწეროთ წერილი? ეხლაც რომ გწერ, მეორედ გადაკითხვის დრო არა მაქვს. ათ წამში უნდა გავათაო“ [1].

ამ წერილის გულწრფელობა ძნელი დასაჯერებელია. ყოველ შემთხვევაში გადაჭარბებული თავის ქება მაინც ჩანს. ამ ეჭვს ისიც გვაფიქრებინებს, რომ აკაკი არ იყო ვალდებული, როგორც თავისუფალი მსმენელი, ყოველ სემესტრში ებარებინა საგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სტუდენტები, მცირე გამონაკლისის გარდა, მას ცუდად ახასიათებდნენ. ზოგი ჯაშუშობას წამებდა, ზოგი კიდევ კარტის თამაშსა და უამხანაგობას ეჩიოდა. ყოველივე ეს აკაკიმ თვითონაც იცოდა და ამის შესახებ დედას სწერდა:

„ეხლა კი გავიგე, რათაც მიგვიანებთ ხოლმე წიგნს, ყმაწვილებმა მიიპარეს, მე ძალიან ნაგინები ვარ თურმე იმერეთში, გაპლუტდა, ქალალდებში აგებს ფულებსო და ტანისამოსიც წააგოო“ [2].

ხოლო მეორე წერილში კვლავ ამავე საკითხებზეა ლაპარაკი.

„რათ შეწუხებულხართ ჩემთვის, ერთია მაგინებენ თუ არა, რა ვქნა? ჩემი ენა რომ ვერ მომიკავებია, სხვის ენას რითი მოვაკავებ მე? რაც უნდათ სთქვან, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ იმან შემაწუხა, რომ თქვენ შეგივიდოდათ რამე ეჭვი“ [3].

ჯაშუშობის საკითხზე აკაკი თავის მოგონებაში წერს: „ერთ დილაზე შემოიპარა ჩემთან ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა სტუდენტი გამბურცოვი და გადმომცა, რომ დღეს მეთორმეტე აუდიტორიაში

[1] ჭუთაისის მუზეუმი — კ. ლორთქიფანიძის არქივი, აკაკის წერილები, საქმე № 26.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ერთი ვიღაც ქართველი სტუდენტი უნდა გაასამართლონო. შეუტყვიათ, რომ შპიონი არისო!.. თურმე ჩემზე ყოფილიყო ის ვაიუშველებელი...“ [1].

ცხადია, ყოველივე ეს ჭორი იყო, აკაკის წინააღმდეგ მიმართული, მაგრამ სტუდენტების ასეთ დამოკიდებულებას აკაკისადმი მაინც რაღაც გამომწვევი მიზეზი ექნებოდა. ამ მიზეზად, სამართლიანად, ლ. ასათიანი აკაკის „მწარე ენას“ ასახელებს. თვით აკაკის სიტყვებიდანაც ჩანს ეს, „ჩემი ენა რომ ვერ მომიკავებია, სხვის ენას რითი მოვაკავებ მეო“, რომ მისი ენა არ ჰქონდა „მოკავებული“, ეს იწვევდა სხვებისა მტრობასაც. ყოველ შემთხვევაში, ერთი უდავო ფაქტია, რომ აკაკი წერეთელს ნორმალური ურთიერთობა არ ჰქონდა პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებთან. ამას მისივე სიტყვები ადასტურებს: „თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა ორისა. ისინი არ მიყურებდნენ სხვებსავით ხმის აყოლით და სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მიეჩნდით, თვარა ნაკლებ არა... ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე და მეორე — ნიკო ნიკოლაძე“ [2].

„...იმ დროს ხმის აყოლა ისეთი ძლიერი რამ იყო, რომ ძვირად ნახავდი მისთანა ახალგაზრდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვას და რომ არ შეეწამებიოს...“ [3].

ყოველივე ეს ადასტურებს აკაკის თავისებურ ხასიათს, რითაც იგი ვერ უკავშდირდებოდა ისედაც მცირერიცხოვან ქართველი ახალგაზრდობის ჯგუფს. ამით აიხსნება ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის საქართველოში გამომგზავრების შემდეგ ქართველ სტუდენტთა მეთაურობა ბესარიონ ღოღობერიძეს ეკისრება და არა აკაკი წერეთელს.

მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აკაკიმ ფუქსავატურ ცხოვრებაში გაატარა სტუდენტობის დრო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ აკაკი გამოცდებსაც აბარებდა, თვითგანვითარებას დაწაფებული, დიდძალ ლიტერატურას კითხულობდა და ინტენსიურად მუშაობდა როგორც პოეტი.

დედისადმი გაგზავნილ წერილში გამოცდების ჩაბარების შესახებ იგი აღნიშნავს: „ჯერ ეგზამენები მაქვს, კარგად დავიწყე და თუ კარგად შევიქენი და ბოლო გავატანე და გავათავე, აგვისტომდი ველარ ჩამოვალ“.

---

[1] აკაკი, ტ. I, გვ. 74—75. 1930 წლის გამოცემა.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 79.

ხოლო მეორე წერილიდან ჩანს, რომ აკაკი კანდიდატის ხარისხზე აბარებდა გამოცდებს.

„თუ ცოცხალი ვიქნენი, მალე ვამთავრებ უნივერსიტეტს და საღდგომოთ კანდიდატი ჩამოვალ".

მართლაც, აკაკიმ 1862 წელს უნივერსიტეტში დამამთავრებელი გამოცდები ჩააბარა და შრომაც წარადგინა „ვეფხისტყაოსანზე" კანდიდატის ხარისხისათვის [1].

მაგრამ კანდიდატის ხარისხი კი არა, უბრალო დიპლომიც ვერ აიღო, რადგან გიმნაზიის დამთავრების ატესტატი არ ჰქონდა აკაკის წარდგენილი.

აკაკი წერეთელი ისე, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის იმდროინდელი სხვა სტუდენტები, დიდ დროს ანდომებდა ლიტერატურული და მეცნიერული ხასიათის წიგნების კითხვას.

„მართლაც, ჩვენ თუ გადავსინჯავთ აკაკის ბიბლიოთეკიდან იმ წიგნებს, რომელიც მისი სტუდენტობის პერიოდში ან იმაზე ადრე არიან გამოცემულნი, ჩვენ ვნახავთ, რომ ახალგაზრდა პოეტს ამ ხანებში ბევრი დრო და ენერგია მოუნდომებია როგორც რუსული და მსოფლიო მხატვრული მწერლობის შესასწავლად, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის შესათვისებლად.

აკაკის ბიბლიოთეკაში დაცულ თხზულებათა ავტორებიდან დავასახელებთ ზოგიერთებს, ესენი არიან: ბელინსკი, პისარევი, პისემსკი, ტრედიაკოვსკი, პუშკინი, შევჩენკო, კოლცოვი, მარლინსკი, პლეშჩეევი, მეი, ფეტი, მირზა-ფატალი-ახუნდოვი, ჰომეროსი, პლუტარხი, რასინი, მოლიერი, შექსპირი, ალ. დიუმა, ვ. ჰიუგო, ჰეინე, ბერნე, ეგ. სიუ, ფ. კუპერი, გუცკოვი და სხვა. არის ცალკეული გამოკვლევებიც, მაგალითად: ჰერვინიუსის „შექსპირი", ტემბრიკოვის „შელლი", პოლევოის „ნაპოლეონის ცხოვრება" და სხვა. აქვე ვხედებით კარლ ფოხტის „ფიზიოლოგიურ წერილებს", ვირხოვის, კლოდ ბერნარისა, მოლეშოტის და სხვათა თხზულებებს" [2].

---

[1] გამოცდების ჩაბარება დაიწყო 1861 წლის 3 აპრილს და დაამთავრა 1862 წლის 31 მარტს. 3 აპრილს ჩააბარა სომხური ენა და სომხური ლიტერატურის ისტორია, 9 აპრილს რუსული სიტყვიერება, 3 მაისს ქართული ენა და ქართული სიტყვიერება, 7 მაისს თათრულ-აზერბაიჯანული ენა, 23 მაისს ღვთისმეტყველება, 25 მაისს ფრანგული ენა, 3 ოქტომბერს რუსეთის ისტორია, 1862 წლის 31 მარტს თათრულ-აზერბაიჯანული ენა განმეორებით (იხ. ს. გორგაძე, გაზ. „საქართველო" 1916 წ. № 19), სამწუხაროდ აქ დასახელებული მასალაც ჩვენ არ შეგვხვედრია არქივებში.

[2] ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 145.

ამავე დროს აკაკი სტუდენტობის პერიოდში ძალზე ბევრს წერდა. იგი სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“ და ბევრი გამოუქვეყნებელი ხელნაწერებიც ჰქონდა. დედის სახელზე პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში აკაკი აღნიშნავდა: „...თუ გნებავთ, მანდ მოგართმევთ ხოლმე, ეგრე ოთხმოცი ფურცელი მექნება სხვადასხვა ლექსები, თუ კომედიები თუ სხვა რამე, ერთი ჩემოდანი მაქვს და გიგზავნი ხოლმე ნელ-ნელა, თუ გენებებათ“ [1].

ერთი ჩემოდანი ნაწერი ახალგაზრდა პოეტის მხოლოდ ინტენსიური შრომის შედეგი იქნებოდა, რაიც აკაკის ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს.

1861 წლის სტუდენტთა ამბოხების დროს აკაკი პეტერბურგში იმყოფებოდა, მაგრამ სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღია და არც რაიმე რეპრესიები განუცდია. აკაკის სტუდენტთა მოძრაობის მიმართ სიფრთხილე და თავდაჭერილობა მოხუცებულობის დროსაც გამართლებულად მიაჩნდა. უკვე ჰაღარო-სანი პოეტი თავის „მოგონებაში“ ასე აღნიშნავს: „...ამ ხანებში მოხდა არეულობა უნივერსიტეტში, ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე. მე მათში არ ვრეულვარ!.. არა იმიტომ, რომ ციხის მშინებოდეს!.., მაშინაც ის რწმენა მქონდა, რასაც დღეს ვადგივარ და ვერ ვუღალატე; მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს, ჩვენში კი უკუღმა ხდება ეს!..“ [2].

სტუდენტთა მოძრაობაში აკაკის მონაწილეობის მიუღებლობაც იმას ადასტურებს, რომ იგი ახლო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა ქართველ სტუდენტებთან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ცხოვრების პეტერბურგის პერიოდით ნაკლებადაა აკაკი დაინტერესებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეტად მნიშვნელოვან „მოგონებაში“ იგი ვრცლად ჩერდება თავისი ცხოვრების ყველა პერიოდზე, ხოლო ძლიერ მოკლედ და ისიც უკმაყოფილოდ იგონებს სტუდენტობის დროის ორიოდე ეპიზოდს. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, „აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედების მთავარი პრინციპი ჩამოყალიბდა რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის ზეგავლენით“ [3].

[1] კ. ლორთქიფანიძის არქივი, იქვე.

[2] აკაკი, ტ. I, 1930 წლის გამოცემა, გვ. 76.

[3] ს. ჭ ი ლ ა ი ა, ლიტერატურული წერილები, ტ. I, გვ. 29.

აკაკისათვის, ისე როგორც სამოციანი წლების სხვა ქართველ მოღვაწეთათვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტერბურგში სწავლის პერიოდს, რადგან აქ მოხდა მისი იდეური და პოლიტიკური წრთობა.

გიორგი წერეთელი.

გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი 1860 წელს ჩაერიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. 19 წლის გულუბრყვილო ყმაწვილი პირველად შეეჯახა პეტერბურგის მღელვარე ქუჩებს.

პირველ ხანებში მას ეუცხოებოდა ახალი გარემო, რადგან სულ სხვა მიზნებს ემსახურებოდა მისი გულუბრყვილო ბუნება.

ნ. ნიკოლაძის აზრით, „პეტერბურგში ის მოვიდა ყმაწვილური სარწმუნოებით სავსე, უშინ, გიმნაზიაში, არაფერს ეკვს და არავითარ ფიქრს მასთან საქმე როდი ჰქონია თურმე... და უროკების მეტი სრულიად არაფერი იცოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ხორცშესხმული უმანკოება იყო“ [1].

ასეთი ბუნების ახალგაზრდას უძნელდებოდა საერთო ენის გამონახვა პეტერბურგის გავლენით უკვე „გამოწრთობილ“ სტუდენტებთან. ბევრჯერ აუტირებიათ იგი ამხანაგებს სხვადასხვა საგნებზე კამათის დროს.

„თავი დამანებეთ, თქვენი ხვთის გულისათვისო, არ მსურს მაგნაირი სიტყვების სმენაო, ყურს ნუ მიბილწავთო, ცოდვაა დიდიო“ [2]. მაგრამ მცირე დრო შეიქნა საჭირო იმისათვის, რომ გ. წერეთელს მალე გამოენახა საერთო ენა ამხანაგებთან და თავის მოძრაობაში ჩაეთრია იგი პეტერბურგის მღელვარე ქუჩებს.

ბუნებრივი ნიჭისა და უნარის მჭონე ყმაწვილი მალე დაინტერესდა საზოგადოებრივი საჭირბოროტო კითხვებით და საპატიო ადგილი დაიკავა სტუდენტი ახალგაზრდობის წრეში.

„მალე ჩვენს პატარა სახლობაში ახალი, უფრო პატარა წრე შედგა თავის-თავად; მივჯდებოდით ხოლმე კუთხეში ჩვენ სამნი — ქერაძე [3], ლენჩი [4] და მე, ხანდისხან ფილიპეც [5] მოგვეჯდებოდა.

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 74.

[2] იქვე.

[3] ქერაძე — დ. აბდუშელიშვილი.

[4] ლენჩი — გ. წერეთელი.

[5] ფილიპე — კ. ლორთქიფანიძე.

ვიწყებდით სჯას, მოაზრებას, „ხმა მაღლა ფიქრს", გადავარჩევდით რაც მანამდე გვსმენოდა ან წაგვეკითხა, ვსჯიდით თითოეულს აზრს, რომელიც კი თავში გაგვკრავდა, ვაშენებდით ოცნებებს, როგორც პაწია ბავშვები ბანქოს სახლებს აწყობენ ხოლმე ან და ვისხედით ჩუმათ. ჩაფიქრებული"[1].

დროთა მსვლელობაში გ. წერეთელი კიდევ უფრო უახლოვდებოდა რუს და ქართველ მოწინავე სტუდენტებს. „როცა ჩვენ მის პირველ იდეურ ნათლობას ვეცნობით, აშკარად ვხედავთ წერეთლის განუყრელ პრინციპიალობას. მისთვის რწმენის გამოცვლა მოდა კი არ არის, არამედ უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი მოვლენა მისი სულიერი ცხოვრებისა"[2]. როდესაც, 1861 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის კედლებში მღელვარება დაიწყო, გ. წერეთელი მებრძოლ სტუდენტთა რიგებში აღმოჩნდა. საინტერესოა ისიც, რომ გ. წერეთელმა, ნიშნად მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტისა, ახალი ნიმუშის მატრიკული არ მიიღო, ხოლო 1861 წლის 12 ოქტომბერს თავისი სურვილით შეუერთდა დაპატიმრებულ სტუდენტთა რიგებს და მათთან ერთად იგემა პეტრე-პავლეს ციხის ნესტიანი კედლების საშინელება.

12 ოქტომბერს სტუდენტთა დაპატიმრებისა და ჯარისკაცებთან შეტაკების შესახებ დაწვრილებით არის მოთხრობილი გ. წერეთლის დაკითხვის ოქმში. 19 ოქტომბერს პატიმარ სტუდენტებს დაურიგეს კითხვარები, რომლის პასუხები მოთავსებულია გამოძიების საერთო საქმეში, აქვეა მოთავსებული გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის, ნ. ნიკოლაძის, ბ. ლოლობერიძის, დ. აბდუშელიშვილის, გ. ჯავახიშვილის და სხვათა პასუხებიც.

გ. წერეთელს მესამე განყოფილების მოხელეების წინაშე გამოცდილ პოლიტიკოსივით უჭირავს თავი, იგი კითხვებზე მოფიქრებულ პასუხებს იძლევა, რითაც ცდილობს შეამსუბუქოს თავისი და თავისი ამხანაგების პასუხისმგებლობა.

მაგალითად, 12 ოქტომბერს უნივერსიტეტში გამოცხადების მიზეზად იგი საცხოვრებელი ბინის გამოცვლის გამო უნივერსიტეტში ცნობის წარდგენის აუცილებლობას ასახელებს.

„რადგან ოქტომბრის 5 რიცხვში მე გამოვიცვალე ბინა, — წერს გ. წერეთელი, — ვალდებული ვიყავი, ამის შესახებ მეცნობებია სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ინსპექტორისათვის, მაგრამ

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 76.

[2] გ. ნატროშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, გვ. 191.

ამას ეთვლიდი შეუძლებლად უნივერსიტეტის დახურვის გამო, ხოლო იმის შემდეგ, რაც გაიხსნა უნივერსიტეტი, მე ჩავთვალე საჭიროდ გავმგზავრებულიყავი უნივერსიტეტში იმისათვის, რომ წარმედგინა მოწმობა ინსპექტორისათვის ყოველთვიური ხელისმოსაწერათ ბინის ყოველი გამოცვლის შემთხვევაში. ამ მიზნით მე 12 ოქტომბერს, თერთმეტი საათის ბოლოს, გავემგზავრე უნივერსიტეტში“ [1].

დაკითხვის შემდეგ ნაწილში გ. წერეთელი აღწერს სტუდენტთა დაპატიმრების მომენტს და ჯარისკაცებსა და სტუდენტებს შორის მომხდარ შეჯახებას.

„უნივერსიტეტში მე არ შემიშვეს მატრიკულის უქონლობის გამო... მე დამრჩა მხოლოდ შესაძლებლობა დავბრუნებულიყავი სახლში, მაგრამ მივდიოდი რა სასახლის ხიდთან, დავინახე უნივერსიტეტის საპარადო შესასვლელთან დიდი რაოდენობა სტუდენტობისა და მეორე მხარეზე მთელი ასეული ჯარისკაცებისა. იმ წამსვე გავემგზავრე იქით, რათა გამეგო რაში იყო საქმე, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდი სტუდენტებს, იქ მყოფი პოლკოვნიკის ბრძანებით ჯარისკაცები შემოერტყა სტუდენტებს და მეც კინალამ მოვყევი მათ რიცხვში... წავედი ცენზურის კომიტეტის ახლოს კარებთან, რომლიდგანაც შეიყვანეს უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტები და მათ შემდეგ დახურეს კარები... რამდენიმე ხნის შემდეგ გააღეს კარები ცენზურის კომიტეტთან და გამოიყვანეს სტუდენტები ეზოდან იმისათვის, რომ წაეყვანათ ისინი ციხეში. უცებ ჩვენი მხრიდან გაისმა გამომშვიდობების ყვირილი, რომელიც ძლიერ აშფოთებს პატკულს. ყველა ვუყვირთ ჟანდარმს: დაგვაპატიმრეთ ჩვენც. ისინი გააფთრებით დაგვესხენ ჩვენ და მიგვამწყვდიეს კედელთან, ისე რომ კინალამ ჩავვარდით ჟანდარმის ცხენის ფეხქვეშ, რომ ბედნიერ შემთხვევას ორმოდან არ ამოვეგდე უნივერსიტეტის კედელთან. ამის შემდეგ მათ უბრძანეს უკან დახევა და ჯარმა შემოგვარტყა ალყა და წაგვიყვანეს პეტრე-პავლეს ციხეში. კავკასიის კომიტეტის სტიპენდიატი გიორგი წერეთელი...“ [2].

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, გ. წერეთელი დააპატიმრეს იმ სტუდენტების ჯგუფთან, რომლებმაც ძალით გაგლიჯეს ჯარისკაცთა ალყა და თავისი სურვილით გაიზიარეს ამხანაგების ხვედრი.

[1] გ. წერეთლის „Іопрошительные объяснения“, Ц. Г. И А. Л. фонд № 1405, год 1861, опись № 59, дело № 6629, вв. 367—68.

[2] Ц. Г. И А. Л. фонд № 1405, год 1861, опись № 59, дело № 6629 вв. 367—368.

საინტერესოა, როგორ მალე შეიცვალა გ. წერეთლის ბავშური ხასიათი და როგორ მალე ჩადგა იგი გაბედულად მებრძოლთა რიგებში. დამატებით კითხვებზე პასუხის დროს იგი კიდევ მეტ მოხერხებულობას აჩენს.

„1. სტუდენტთა დაპატიმრების შესახებ, რომ ვცემოთ მატრიკულიანტებს და წავართვათ მათ მატრიკულებიო, არაფერი გადამწყვეტი არ ვიცი.

2. არამც თუ ვცდილობდი კარებში შეჭრას, არამედ მასთან ახლოსაც არ მივსულვართ. მხოლოდ ვიდექი ბუტკის მხარეზე ახლოს და დავდიოდი უნივერსიტეტის იერგვლივ ტროტუარზე წინ და უკან.

3. ობერპოლიცმეისტერმა რომ სთქვა, დაიშალენითო, არა თუ სტუდენტებს არ გაუგონიათ, არც დაუნახავთ ის, რომ მისულიყო სტუდენტების მეორე პარტიასთან.

4. სტუდენტების პირველი პარტიის გამოსვლის დროს არავითარი განზრახვა არ იყო, რომ შევვარდნილიყავით უნივერსიტეტის ეზოში, ან გაგვეწყვიტა ჯაჭვი ჯარისკაცებისა.

5. რომ თითქოს სტუდენტები ცემდნენ კეტებით ჟანდარმებს ან პრეობრაჟენსკის პოლკის ჯარისკაცებს, არ დამინახავს. მხოლოდ ვხედავდი, ერთი სტუდენტი, ჩემ წინ მდგარი, როგორ დაწვდა ჟანდარმის ცხენის აღვირს და მასზე ძლიერ დაყრდნობით როგორ დასწია უკან. თვით მე მოვასწარი შევარდნა უნივერსიტეტის კედლის კოშკზე და ვიდექი ისე, რომ ხელები არ გამინძრევია.

6. ციხისკენ სვლის დროს არ იყო ცემა.

7. მთელი გზის განმავლობაში ციხისკენ სრულიად არ მოგვიხდია ქუდი არც გარეშეთათვის და არც სამხედროებისათვის და არ შევლაპარაკებივართ არავის. ოფიცერსა და ჯარისკაცებს.

გ. წერეთელი“ [1].

ასეთი ჩვენების ჩამორთმევამდე გაჩხრიკეს დაპატიმრებულ სტუდენტთა ბინები და მათ შორის გ. წერეთლის ბინაც. ამ დროს გიორგი წერეთელი მარტო არ იყო, მასთან ერთად ცხოვრობდნენ დ. აბდუშელიშვილი და ქვარიანი.

გაჩხრეკის დროს გ. წერეთლის ბინაზე მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტები ან აკრძალული და საეჭვო ლიტერატურა არ აღმოჩენილა. გაჩხრეკის აქტში ნათქვამია: „1861 წლის ოქტომბრის 16 დღესა ზეფროსთა დავალებით მე-2 ადმინისტრატიული

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, год 1861, опись № 59, дело № 6629, гг. 367–368.

ნაწილის მე-3 კვარტალის ზედამხედველი (надзиратель) ბეკშლოვი მიეედი დიდი მეშჩანკის ქუჩაზე, № 7 მდებარე ზოხიმის სახლში, რომელიც უჭირავს რიგაში დაბადებულს რეინერტს. სადაც ცხოვრობდნენ ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები აბდუშელიშვილი და წერეთელი, რომლებსაც, ქართველ ქვარიანთან ერთად, დაქირავებული აქვთ ერთი ოთახი რეინერტიდან. ნივთებში და ქალალდებში გაჩხრეკის დროს საეჭვო არაფერი არ აღმოჩნდა“ [1].

ცხადია, 16 ოქტომბერს საეჭვო დოკუმენტებს ვერ იპოვნიდნენ 12 ოქტომბერს დაპატიმრებულთა ბინაზე, თუ კი ასეთი რაიმე იყო, ოთხი დღის განმავლობაში მის გადამალვას მოახერხებდნენ გ. წერეთლის ამხანაგები, თუნდაც მასთან მცხოვრები ქვარიანი, რადგან მთავრობის საწინააღმდეგო დოკუმენტის აღმოჩენა ბინაზე თვით ქვარიანისათვისაც სახიფათო იქნებოდა.

მალე პეტრე-პავლეს ციხიდან გ. წერეთელი, სხვებთან ერთად, კრონშტადტის სიმაგრეში გადაიყვანეს. აქ მან ორი თვე გაატარა პატიმრობაში, ორი თვის გამოძიების შემდეგ უმცროსი კურსის სტუდენტები თავდებით გაათავისუფლეს. მაგრამ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებიდან ჩანს, მათზე მეთვალყურეობა და საქმის ძიება დიდხანს არ შეწყვეტილა. 1863 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლავ მოუთხოვია უნივერსიტეტის დროებითი კომისიისაგან გარიცხულ და საეჭვო სტუდენტთა სია, ხოლო უნივერსიტეტის დროებით კომისიას გადაუგზავნია შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ასეთი სტუდენტების სია, რომლის 46-ე ნომერზე დასახელებულია გიორგი წერეთელიც.

„შინაგან საქმეთა ბატონი მინისტრის განსაკუთრებულ საქმეთა კანცელარიას! დამატებით ჩემი 24 ივლისის მომართვისა, № 1785, მაქვს პატივი წარმოვუდგინო ამით შინაგან საქმეთა მინისტრის განსაკუთრებულ საქმეთა კანცელარიას სია ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისა, რომლებიც დათხოვნილნი არიან შვებულებაში წასვლის გამო გასული წლის 9 ივლისიდან მიმდინარე წლის 2 აგვისტომდე.

სტუდენტთა ინსპექტორის მოვალეობის აღმასრულებელი
(ხელმოწერილია)“ [2].

---

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, опись № 59, дело № 6637, лл. 145.

[2] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 67, опись № 25, связка № 3903, год 1863, лл. 5—8.

ამ მიმართვას თან ახლავს სია. „სია ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის იმ სტუდენტებისა, რომლებიც დათხოვნილნი არიან შეებულების გამო 1863 წლის 3 აგვისტოდან.

	გვარი, სახელი	კურსი	განყოფილება	სარწმუნოება	სად და რა დროითაა დათხოვნილი
46	წერეთელი გიორგი	2	საბუნებისმეტყველო	მართლმადიდებელი	8 ივნისიდან в Царскую славянку 15 აგვისტომდე.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი ჯერ კიდევ 19 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამ საქმეს ენერგიულად ემსახურებოდა, როგორც პოეტი და მოქალაქე. ცხადია, სამოციანი წლების სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, პირველი რევოლუციური ნათლობა მან პეტერბურგის ქუჩებში მიიღო.

კირილე ლორთქიფანიძე.

1860 წელს კირილე ლორთქიფანიძემ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიის სრული კურსი და სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგისაკენ გაეშურა.

კირილე ლორთქიფანიძე ნამდვილი თერგდალეულია. თუ ზოგიერთმა ქართველმა ახალგაზრდამ შავი ზღვით, ფოთიდან ოდესაზე გავლით, იმგზავრა პეტერბურგისაკენ (მაგალითად, ნიკო ნიკოლაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვებმა), კირილემ თერგის ნაპირები გადალახა, დარიალის ხეობის სილამაზით აღტაცებულმა რუსეთის თვალუწვდენელი ველები გადასერა და ჩრდილოეთის დიდებულ ქალაქს, პეტერბურგს, ამ გზით ესტუმრა.

ერთადერთი თერგდალეულია კირილე ლორთქიფანიძე, რომელმაც ეს საინტერესო მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე მგრძნობიარე სტრიქონებში გამოხატა და გულუბრყვილო ყმაწვილის მდიდარი შთაბეჭდილებები დაგვიტოვა, როგორც ძვირფასი დოკუმენტი.

ქუთაისის მუზეუმის არქივში ინახება კირილე ლორთქიფანიძის ორი წერილი, ძმის, გრიგოლის, სახელზე გამოგზავნილი. ერთი დაწერილია გზაში, ვორონეჟში, მეორე კი — ქალაქ პაველოვსკში. ეს დოკუმენტები მრავალმხრივ არის საინტერესო. აქ ვრცლად არის

აღწერილი მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი, დახასიათებულია რუსეთის სოფლები და ქალაქები. განსაკუთრებით ყურადღებით აღწერს კ. ლორთქიფანიძე სტავროპოლის, ვორონეჟის, მოსკოვის, პეტერბურგისა და პავლოვსკის ქუჩებს, მრავალსართულიან შენობებს, ეკლესიებს, სასახლეებს და ისტორიულ ძეგლებს. აქვეა ჩართული კავკასიის თვალწარმტაცი ბუნების მხატვრული სურათები, თერგისა და არაგვის სანაპიროს მომხიბვლელი პეიზაჟები.

როგორც ამ წერილებიდან ჩანს, კ. ლორთქიფანიძე პეტერბურგისაკენ გაემგზავრა 1860 წლის 30 ივნისს. ვორონეჟიდან გამოგზავნილ ბარათში აღნიშნულია: „პეტრე-პავლობის მეორე დღეს დღე-ღამის გაყრისას წამოველ (ესე იგი ხუთშაბათს)“ [1]. ვფიქრობთ, გამგზავრების ადგილად იგულისხმება თბილისი, რადგან შაბათს, 2 ივლისს, კ. ლორთქიფანიძე ჩავიდა ვლადიკავკაზში, 5 ივლისს უკვე სტავროპოლშია, 9 ივლისს ნოვოჩერკასკშია. შემდეგ ვორონეჟში ჩადის. ამ დროს უკვე გაევლილი აქვს 1450 ვერსი. წერილში აღნიშნულია: „...უნდა მოგახსენოთ, რომ 1450 ვერსტი გავიარე და ხუთასი კიდევ გერჩება მოსკოვამდის“.

ვორონეჟში კირილე ორ დღეს დარჩა. მიტროფანეს იქაური ხატი ინახულა, ბერებისა და მღვდლებისაგან ლოცვა-კურთხევა მიიღო, ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის ხატები და ჯვრები შეიძინა და ორი დღის შემდეგ კვლავ ჩრდილოეთის გზას გაუდგა. ქალაქი ტულა ღამით გაიარა, ხოლო ორშაბათს, 18 ივლისს, უკვე მოსკოვში ჩავიდა. აქედან იგი პეტერბურგს მატარებლით უნდა წასულიყო, მაგრამ ნაშგზავრი ტანისამოსითა და დანტეერილ-დატალახიანებული სხეულით მატარებელში მგზავრობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ამის გამო კირილე ორ დღეს მოსკოვში დარჩა. აბაზანები მიიღო, ტანისამოსი გამოიცვალა, დაისვენა და 19 ივლისს კრემლის ისტორიული ადგილები დაათვალიერა. ხოლო ორშაბათს, 20 ივლისს, უკვე მატარებლით გაემგზავრა მოსკოვიდან პეტერბურგისაკენ. 21 ივლისს კირილე პეტერბურგშია, დიდი ხნის ნატვრისა და ოცნების ქალაქში. რამდენი წვალება განიცადა გზაში, როგორ ეს ახალგაზრდული ზრახვები განეხორციელებინა, მაგრამ პეტერბურგში ქართველი სტუდენტები არ დახვდნენ კირილეს. ისინი ზაფხულობით სააგარაკოდ ქალაქგარეთ

---

[1] ქუთაისის მუზეუმი — კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 428. პეტრე-პავლობა არის ყოველთვის 29 ივნისს.

მიემგზავრებოდნენ და იმჟამადაც პავლოვსკში იმყოფებოდნენ. ამდენი ხნის გზაზე ნახეტიალები, უძილო, დაღლილი და დაქანცული კირილე იძულებული ხდება კვლავ განაგრძოს გზა პეტერბურგიდან პავლოვსკისაკენ. შესაძლებელია უფრო ადრეც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი 24 ივლისს პავლოვსკშია, რადგამ ამ რიცხვით არის დათარიღებული პავლოვსკიდან გამოგზავნილი მისი წერილი. ასეთია კირილე ლორთქიფანიძის პეტერბურგისაკენ მოგზაურობის ისტორია.

აქ დასახელებული წერილები სხვა მხრივადაც არის საინტერესო, მათში მოცემულია ახალგაზრდა მოგზაურის მდიდარი შთაბეჭდილებანი. შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილები მოგზაურობის ჟანრის საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს.

პირველი წერილის დასაწყისში კირილე ძმას წერს: „ძმაო გრიგოლ, ამდენხანს მე ორი წიგნი მაინც უნდა მომეწერა, ერთი სტავრაპოლიდამ და ერთი ნოვოჩერკასკიდამ, მაგრამ რა ვქნა, დაღლილობის გამო ვერ მოგწერე და უდროობის გამო, რადგან დილით ხუთის ან ექვსის საათიდამ ღამის ათს ან თერთმეტამდის დავალთ“ [1].

შემდეგ კირილე აღწერს ბუნების სურათებს: „გადავათავეთ კავკასიის ბუნება, ერთ რამეთ ღირს იქ სიარული. მეტადრე დარიალში, და მაგ მხარეზე არაგვის ნაპირებზედ ჩინებული ადგილები არის. იმერეთი გამახსენდა. დარიალში აღტაცებული თერგის ხმა და ხტომა და სხვა აქაური ბუნება აღტაცებაში მოიყვანს კაცს“.

გზადაგზა ყურადღებას ამახვილებს სოფლებისა და ქალაქების ცხოვრებაზე.

„ვორონეჟი კარგი ქალაქი ყოფილა. მშვენიერი ქუჩები სწორსწორი და ძლიერ ფართო. ქუთაისში რომ ივანოვმა ქუჩები გააკეთა, სამი ოთხი იმაზედ უფართოესი და ტროტუარად ორ-ორი, სამ-სამი საჟენი“.

„გზაზედ უღვინობამ და უწყლობამ ძლიერ შეგვაწუხა. კავკასია რომ გადაველახეთ, მერე კარგი წყალი არ გვინახავს. წყაროს ვინ დაეძებს, რადგან სრულებით არ არის. მდინარეები იყოს კარგი, თორემ ოცდაათს ვერსტს გაიარ და ეგებ ერთი მდინარე ნახო. მდინარე არც დაერქმევა, რადგან ვერ შეატყობ მიდის თუ არა. ჩვენში რო ტბა დადგება, ბაყაყებით გამწვანებული, იმისთანა გახლავან აქ სულ წყლები“.

---

[1] ქუთაისის მუზეუმი — კ. ლორთქიფანიძის არქივი, ხელნაწერი № 428.

„პოვოსკა“, რომლითაც კირილე მგზავრობდა, ღია იყო და მგზავრებს სიცხისა და მტვრისაგან თავის დაღწევა უჭირდათ.

„სტავროპოლის გუბერნიაში, რადგან კავკასიის სიახლოვეს არის, ძლიერ კარგი სასიარულო იყო. რადგან სიცხე არ ყოფილა და მერე ძლიერ სიცხეები იყო; გავიტრუსე ისე, რომ... გადაკერებული ვეგონები კაცს. ქოლგა მაქვს, მარა იმის დაჭერამაც დამაგდო, ხანდისხან არ ვიხურავ. მტვერმა სიცოცხლე გაგვიჭირვა, ყური, ცხვირი, პირი (ლაფჩინის ყელშიაც შეატანა) სულ ამსებული გვაქვს. ბალანის ან ფეხების რაღა მოგახსენო ან ტანისამოსის“.

კირილე ლორთქიფანიძეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის ქუჩებმა და კრემლის ისტორიულმა ძეგლებმა.

„მოსკოვს მშვენიერი და დიდი ადგილი უჭერია. ივანეს სამრეკლოზე რომ გადიხედო, თვალი აგემჭყვება შენობების მზერით და საყდრების გუმბათების სახურავით, რომელიც შესდგება ოქროს, თუ თუთბრის, თუ თუნუქისაგან. საყდრების სიმშვენიერეს ვერ აღვწერ“.

„სამშაბათს ვნახეთ კრემლი..., რომელშიდაც არის საყდრები და სასახლე ცარიელი, რადგან ხელმწიფე იქ არ იყო. ძლიერ კარგი საყდრები ყოფილა... სასახლეც ვნახეთ სრულიად. სადღესასწაულო დარბაზები და საწოლი ოთახი... ნეტაი იმათ რომ სახლი ჭონდათ, იმისთანა მოწყობილი სახლი ჩვენ გვქონდეს. ხელმწიფის სასახლის მოწყობილობას ვერ მოგწერ, რადგან არ შემიძლია გამოთქმა“.

პეტერბურგმა კიდევ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილზე. მას მოეწონა პეტერბურგის სწორი ქუჩები და მრავალსართულიანი შენობები, განსაკუთრებით კირილეს ყურადღება მიიქცია ზამთრის სასახლემ.

„გუშინ პეტერბურღში ვიყავით, უნივერსიტეტთან მისვლამდის ბევრი სახლები დავინახეთ, ძლიერ კარგებ, და კარგი ქუჩები. სასახლე, რომელიც გარეთ მოსკოვისას სჯობს. შიგნითაც სჯობსო — ისაკის სობორო და ალექსანდრეს ძეგლი...“.

ქალაქ პავლოვსკის შესახებ კი კირილე წერს:

„აქ. პავლოვსკში, უწინ არაფერი არ ყოფილა, მარა პავლეს ბევრი ხეები დაურგავს, ქალაქიც დაუფუძნებია. ეს ქალაქი ისე მშვენიერია, რომ მეტი არ შეიძლება, სრულად ბაღია და სასეირნო. ქუთაისის ფერმას... სჯობს...“.

ეს დოკუმენტები საინტერესოა არა მარტო კირილე ლორთქიფანიძის პიროვნებისა და მისი პეტერბურგისაკენ ხანგრძლივი და

მრავალფეროვანი მოგზაურობის შესასწავლად, არამედ ამით საშუალება გვეძლევა, წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რა დიდი ინტერესითა და თავგანწირვით მიისწრაფოდნენ ქართველი ახალგაზრდები ჩრდილოეთისაკენ უმაღლეს განათლებასთან ერთად ახალი იდეების შესათვისებლად.

მალე პავლოვსკიდან კირილე ლორთქიფანიძე კვლავ პეტერბურგისაკენ გამოეშურა და აღელვებულმა სასწრაფოდ წარადგინა დოკუმენტები უნივერსიტეტში. იმავე წერილში კირილე ძმას სწერს: „უნივერსიტეტში წარვადგინეთ ჩვენი მოწმობები და ვსთხოვეთ, რომ უეგზამენოთ მიგვეღონ. ჩვენს არძაზე დააწერა ხინდიკმა (თანამდებობა არის), რომ მოწმობები კარგი არისო, და იქაური კანცელარიიდან მოგვცეს ფურცელი (экзаменационный лист), რომელზედაც დააწერეს, სად გვისწავლია ან ატესტატი თუ გვაქვს... ეს ფურცელი უნდა წარვადგინოთ საეგზამენო კომისიაში სამს აგვისტოს. ამ ფურცლის წარდგენისთანავე მოითხოვენ დოკუმენტებს და განიხილავენ და თუ ცვნეს, რომ ეს კარგი არისო, დააწერენ იმ ფურცელზე, რომ უეგზამენოთ მივიღოთო“ [1].

ამავე დროს კირილეს განცხადება წარუდგენია რექტორის სახელზე, სადაც აღნიშნულია:

„მსურს ჩემი განათლების საბოლოო დასრულებისათვის მოვისმინო მეცნიერების სრული კურსი ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უაღრესად გთხოვთ თქვენს აღმატებულებას, რათა მიმიღოთ საკუთარ კმაყოფაზე მყოფ სტუდენტთა რიცხვში გამოცდების გარეშე, რადგან მე მაქვს საჭირო ატესტატი, ქუთაისის გუბერნიის გიმნაზიის საბჭოს დამოწმებული...“ [2].

ამ თხოვნასთან ერთად კირილე ლორთქიფანიძეს უნივერსიტეტში წარუდგენია: 1. მეტრიკული ამონაწერი, 2. მოწმობა თავადობის შესახებ, 3. გიმნაზიის დამთავრების ატესტატი.

---

[1] ქუთაისის მუზეუმი — კ. ლორთქიფანიძის არქივი, № 428.

[2] Г. Б. А. Л. О. фонд № 14, дело № 1590, связка № 3433, год 1861, გვ. 3. გარდა ამისა, კირილეს პირად საქმეში „Дело правления Императорского С. Петербургского Университета о принятии в числе студентов Кирилла Лордкипанидзе“ მოთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: 1. ცნობა კირილეს სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ. 2 ცნობა სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. 3. ძველი სისტემის მატრიკული № 650. 4. თხოვნა ყოფილი სტუდენტის, კ. ლორთქიფანიძის დოკუმენტების დაბრუნების შესახებ. 5. თხოვნა ისევ დოკუმენტების თაობაზე. 6. უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობა.

უნივერსიტეტის რექტორს კირილეს თხოვნა შეუწყნარებია და 1860 წლის 15 სექტემბერს ჩაურიცხავთ იგი ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. კირილეს პირად საქმეში წერია: „უნივერსიტეტის მმართველობის ჟურნალის მიხედვით, თავ. კირილე ლორთქიფანიძე მიღებულია სტუდენტთა რიცხვში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე 1860 წლის 15 სექტემბრიდან“ [1].

ამავე წლის 20 სექტემბრიდან კირილეს დაენიშნა კავკასიის კომიტეტის სტიპენდია. იმავე პირად საქმეში ვკითხულობთ:

„უნივერსიტეტის მმართველობის ჟურნალის მიხედვით, საკუთარ კმაყოფაზე მყოფი სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძე 1860 წლის 20 სექტემბრიდან გადარიცხულია კავკასიის კომიტეტის სტიპენდიატად...“ [2].

კირილე ლორთქიფანიძე, ისე როგორც ქართველი სტუდენტების უმრავლესობა, პეტერბურგში ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა. ნ. ნიკოლაძე მის საცხოვრებელ ოთახს ასე აგვიწერს: „იმავე დილას ბერიშვილთან დავსახლდი... ერთ პატარა ოთახში, რომლის მარტოხელა ფანჯარა უზარმაზარი სახლის ეიწრო და შმორიან ეზოში გადიოდა. გამიკეთეს ლოგინი ბერიშვილის ლოგინის პირდაპირ. მარტო პატარა სტოლი ეტეოდა ამ ორ ლოგინს შუა. ფანჯრის წინ ორიოდე სკამი და პირსაბანი ტაშტი შეადგენდა დანარჩენ ჩვენს მოწყობილობას“ [3].

ასეთ ოთახში ცხოვრობდა კირილე და დღეში ხუთმაურიან სადილს ჭამდა, ისიც ნისიად. კირილე ლორთქიფანიძე განსაკუთრებული ბუნების ადამიანი იყო, მისი ხასიათის თავისებუროებას შესანიშნავად გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე.

„საკვირველი ქმნილება იყო ეს კაცი, მასთანა ახირებული და თან სასიყვარულო პირი არც მაქნამდი შემხვედრია სადმე, არც მას შემდეგ. ამ კაცის კანში ბედს ორი წინააღმდეგი ხასიათის პირი ჩაუკვეტებია, ერთი მათგანი თავაზიანი, თავდაკავებული, გონიერი, გულგრილი და სხვისთვის თავგამომეტებული ქმნილებაა, ფაქიზიანი, მორიდებული, ფრთხილი, სუფთა და შორსგამჭვრეტი. მაგი-

---

[1] Г. И. А. Д. О. фонд № 14, дело № 1592, связка № 3433, год 1861, გვ. 1.

[2] იქვე, გვ. 2.

[3] ნ. ნიკოლაძის მოგონებაში „სტუდენტობის პირველი დრო“ დასახელებული ფილიპე ბერიშვილი კ. ლორთქიფანიძეა. საინტერესოა ისიც, რომ აქ, კირილეს გარდა, ყველას შერჩეული აქვს სასაცილო სახელები. მაგ. ღრეჩია — ნიკო ღოღობერიძეა, გიორგი თავძარა — გიორგი მესხია, გოგიტა ლენჩი — გიორგი წერეთელია და ასე სხვა (იხ. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 41).

ერად ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რამდენად ჯიუტი და თვითნებაა... წელან ვთქვი, ფაქიზი ხასიათის არის-მეთქი. ავადმყოფობამდეა მისული ეს მისი სიფაქიზე. არ შეუძლია ოთახში დარჩეს მოსვენებით, თუ უწესობა რამ დაინახა შიგ, ან მტვერი, ან დანგრეულათ დაწყობილი წიგნები, ან უთავბოლოთ დაყრილი ტანსაცმელი" [1].

ეს ორი უკიდურესობა: სიფაქიზე-პუნქტუალობა და სიჯიუტე სიკვდილამდე შერჩა მას. აღსანიშნავია ისიც, რომ პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა შორის, ილიას შემდეგ, კირილეს კარგი ავტორიტეტი ჰქონდა. იგი ახალგაზრდობის ზნეობრივი დამრიგებელი და საერთო მასწავლებელი იყო. კირილე ლორთქიფანიძის ყოველ სიტყვას დიდი დამაჯერებლობა და მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თვითონ უსპეტაკეს ადამიანს წარმოადგენდა. იგი ყოველთვის მზრუნველობას იჩენდა ამხანაგებისადმი. ხშირად ამზადებდა ახლად ჩამოსულ სტუდენტებს გამოცდებისათვის სხვადასხვა საგნებში, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას და გადამწყვეტ მომენტში მისი ავტორიტეტული სიტყვა თითქმის ყველასათვის სავალდებულოდ ითვლებოდა.

პეტერბურგში ახლად ჩასული ნიკო ნიკოლაძის მასწავლებელი ლათინურ ენაში კირილე ყოფილა. აი რას წერს ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე: ..."ეხლა ლათინური უნდა მესწავლა ეგზამენის დასაჭერად. ფილიპე გახდა ამ საგანში ჩემს პროფესორად" [2].

ანდა ვეიხსენოთ კ. ლორთქიფანიძის ავტორიტეტული სიტყვა ქართველი სტუდენტების დემონსტრაციაში მონაწილეობის შესახებ. მართალია, იგი წინააღმდეგი იყო ქართველების დემონსტრაციაში მონაწილეობისა, მაგრამ, როგორც პროფ. მ. ხანდუკელი სამართლიანად შენიშნავს, ეს გამოწვეული იყო სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობით. რადგან კ. ლორთქიფანიძე თითოეული სტუდენტის ბედს სამშობლოს ბედთან აკავშირებდა, მათ უფრთხილდებოდა, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ჯარისკაცებს. მეორე დღეს კ. ლორთქიფანიძე, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დემონსტრაციაში. 24 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე მონაწილე იყო სტუდენტთა კრებებისა და მიტინგების. ხოლო 12 ოქტომბერს 280 სტუდენტთან ისიც დააპატიმრეს. 19 ოქტომბერს კომისიისადმი მიცემულ ახსნა-განმარტებაში აშკარად ჩანს კ. ლორთქიფანიძის

[1] ნ. ნიკოლაძე. ტ. I, გვ. 48.

[2] იქვე, გვ. 50.

მებრძოლი ბუნება. იგი გაბედულად პასუხობს მიცემულ კითხვებზე და ზოგჯერ იმასაც კი ცდილობს, რომ თვით მთავრობას დასდოს ბრალი მომხდარი არეულობისათვის, ააშკარავებს რა პოლიციის მოხელეების უხეშ დამოკიდებულებას სტუდენტებისადმი.

აი კ. ლორთქიფანიძის პასუხი: „მე ვარ კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. არ მიმიღია მატრიკული ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსისა. ვარ კავკასიის კომიტეტის სტიპენდიატი, შვილი ბეჟან გრიგორის-ძე ლორთქიფანიძისა. დაბადებული ვარ ქუთაისის გუბერნიის, იმავე მაზრის, სოფელ საჩინოში. დაბადებიდან ვარ 21 წლისა. სარწმუნოებით მართლმადიდებელი, აღსარებასა და ზიარებაზე ვყოფილვარ. პასუხისგებასა და სამართალში არ ვყოფილვარ. ვიცი რუსეთის იმპერიის კანონები.

12 ოქტომბერს 1861 წლისა, დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე, მე გამოვედი საქმისათვის და გავემართე უნივერსიტეტისაკენ, რათა გამეგო რაიმე ახალი ჩვენი საქმის შესახებ. მაგალითად, მიღებულია თუ არა განცხადება. მიცემული ვადის გასვლის შემდეგ. აგრეთვე მინდოდა შევსულიყავი შეიცართან წერილებისათვის. მე ვფიქრობდი, გამეგო რამე სტუდენტებისაგან, რომლებსაც შეეძლოთ დგომა უნივერსიტეტის ახლოს, მსგავსად წინა დღეებისა. უნივერსიტეტისაკენ მიმავალ გზაზე, სასახლის ხიდთან, სანაპირო ქუჩაზე, მეცნიერებათა აკადემიის წინ, მე შევხვდი სტუდენტებს, რომლებმაც ჩემს კითხვაზე, თუ რა იციან ახალი, მიპასუხეს, რომ უნივერსიტეტის ახლოს არის საგრძნობლად დიდი ჯგუფი სტუდენტებისა, რომ პოლიციის ჩინოვნიკებმა უბრძახეს მათ, დაიშალენითო, და რომ ისინი იშლებიან. ახლოს მისვლისას მე დავინახე გროვა სტუდენტებისა და კერძო პირებისა, რომლებიც იდგნენ დაწყებული უნივერსიტეტის მცირე შესასვლელიდან ტროტუარზე დიდ შესასვლელამდე. მე მივუახლოვდი ჯერ ერთს, მერე სხვა გროვას, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი ვერ გავიგე. ბოლოს მივედი უნივერსიტის დიდ შესავალთან. იქ სტუდენტების გროვას შორის იდგა პოლიციელი, რომელიც, როგორც მე გავიგე სტუდენტებისაგან (მე არ შემეძლო რაიმე გამეგონა), ურჩევდა სტუდენტებს არ შეკრებილიყვნენ უნივერსიტეტის წინ და თუ მათთვის აუცილებელია მოლაპარაკება, მაშინ დაე შეიკრიბონ ქალაქს გარეთ. ჩემი მისვლის ხუთი ან ექვსი წუთის შემდეგ მოვიდა ობერ-პოლიცმეისტერი და ბრძანა, დაიშალენით! ზოგიერთები წავიდნენ, სხვები დარჩნენ ადგილზე, სადაც შემდეგ დაპატიმრებულნი იქნენ

ლაპარაკის დროს. მე ვიმყოფებოდი უკანასკნელთა შორის. უცებ ობერპოლიცმეისტერი განკარგულებას აძლევს პოლიციელებს შემოგვერტყან ჩვენ. როცა პოლიციელები შემოგვერტყენ, წასული სტუდენტებიც მობრუნდენ ჩვენსკენ და ჩვენ ყველანი ვიქენით მესერზე მიჭყლეტილი ისე ძლიერ, რომ მე ვიდექი ტროტუარის ნაპირზე და ფეხი კინაღამ მოვიტეხე. სტუდენტები და სხვა პირები, რომლებიც იდგნენ ტროტუარზე გროვად, მცირე შესავლიდან სანაპიროზე, დააპატიმრეს ჟანდარმებმა ბრძანების გამო. ისინი შემოგვიერთეს ჩვენ და ყველანი შეგვიყვანეს უნივერსიტეტის ეზოში. შემდეგ როცა დაიწერეს ჩვენი გვარები, წაგვიყვანეს ციხეში. ცენზურის კომიტეტის კარებიდან ეზოდან გასვლის დროს ჩვენ დავინახეთ სტუდენტები და კერძო პირები, ამხანაგები და ნათესავები, რომლებიც გვემშვიდობებოდნენ. ჟანდარმები და ჯარისკაცები, არ ვიცი რატომ, თავს დაესხნენ მათ და თოფის კონდახითა და ცხენის ფლოქვების ცემით მიიმწყვდიეს უნივერსიტეტის კედელთან... ჩვენ მივდიოდით შორს, ან უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენ მივყავდით და არ შემეძლო მეტი დამენახა, თუ რა ხდებოდა იქ. მხოლოდ ჩუტიოვას ხიდთან მისვლამდე დავინახე, რომ ისინიც მოჰყავდათ ჩვენთან ერთად. გზაში ციხისკენ სვლის დროს უკან მყოფ სტუდენტებს სცემდნენ ჯარისკაცები კონდახით, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი მოდიოდნენ ნელა. ამით მე ვამთავრებ პასუხს კითხვებზე, ვთვლი რა საკმარისად კომისიისათვის აქ ჩამოთვლილ ფაქტებს, რომელთა მოწმეც ვიყავი 12 ოქტომბერს. კირილე ლორთქიფანიძე.

საკუთარი ხელით წაშლილია სიტყვა ხუთ ადგილზე და ერთ ადგილზე ჩამატებულია შემდეგი სიტყვა: „по той только причине".

კ. ლორთქიფანიძე [1].

ამ დოკუმენტიდან აშკარად ჩანს კირილე ლორთქიფანიძის გაბედულობა და ძებრძოლი ბუნება. მართალია, თავიდანვე სიფხიზლეს იჩენდა და წინააღმდეგიც იყო ქართველი სტუდენტების საერთო მღელვარებაში ჩაბმისა, მაგრამ რაკი ბრძოლა დაიწყო, იგი მთელი არსებით დაუკავშირდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ახალგაზრდობას.

ჩატრიკულის მიუღებლობა ერთ-ერთი მთავარი ბრალდება იყო სტუდენტებისა, ეს ჩანს ყველა დაკითხვის პასუხებიდან. კირილე

---

[1] П. Г. И. А. Л. фонд № 1405, год 1861, опись № 59, дело № 629, გვ. 195—196.

ლორთქიფანიძე კი გაბედულად აცხადებს: „არ მიმიღია მატრიკული ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსისა".

ისიც საყურადღებოა, რომ 12 ოქტომბერს იგი უშიშრად შეიჭრა მეამბოხე სტუდენტთა ჯგუფში და არ შეასრულა ობერ-პოლიცმეისტერის ბრძანება სტუდენტთა ჯგუფის დაშლის შესახებ: დარჩა იმავე ადგილზე დაპატიმრებამდე. ყოველივე ამას კ. ლორთქიფანიძე თავისი ხელით წერს დაკითხვის აქტში. ასევე საინტერესოა დამატებით კითხვებზე მისი პასუხი.

„1. იყო თუ არა დაწესებული სტუდენტების შეჭრა უნივერსიტეტის კარებში, იმ მიზნით, რომ წაერთმიათ ამხანაგებისათვის მატრიკული და ეცემათ მათთვის იმ შემთხვევაში, თუ ნებით არ დასთანხმდებოდნენ ასეთის მიცემაზე. მე არ ვიცი, და დადებითად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო..., რადგან ჩვენ შორის დაპატიმრებული იყვნენ მატრიკულის მქონენიც...

2. არც მე, არც სხვა დაპატიმრებულთაგანს არ გაუტეხია უნივერსიტეტის კარები.

3. პასუხი ამ კითხვის პუნქტზე გაცემული მაქვს ახსნა-განმარტებაში.

4. უნივერსიტეტის ეზოდან გამოყვანის დროს არც მე, არც სხვა არ დასხმიან ჯარისკაცებს და არც უცემიათ მათთვის. მსგავსი ყვირილი, როგორიცაა „Народ, за нас!... ура!..." არ გამიგონია.

5. გზაზე ციხისკენ სვლის დროს არ თქმულა არავითარი სიტყვა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო თქმული და თუ სტუდენტები იხდიდნენ ქუდებს, ეს მიტომ, რომ ხვდებოდნენ ნაცნობებს, ამხანაგებს და ნათესავებს შემთხვევით გზაზე,

6. ციხეში მომხდარი ამბის დროს (და არც სხვა დროს) მე არ მქონია კეტი და არ დამინახავს, რომ ეს ჰქონოდა ვინმე დაპატიმრებულთაგანს, ჩემს ახლო მყოფს. ოფიცრებთან ლაპარაკის შესახებ არაფერი ვიცი..." [1].

გაჩხრეკის დროს ვერც კირილე ლორთქიფანიძის ბინაზე აღმოაჩინეს საეჭვო საბუთები. შესაძლებელია, პროკლამაცია და მთავრობის საწინააღმდეგო სხვა დოკუმენტები არ ჰქონდა კირილეს, მაგრამ ჩერნიშევსკისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატების ნაწერები აუცილებლად ექნებოდა. ცხადია, 16 ოქტომბრამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხის გარეთ დარჩენილი ამხანაგები მოასწრებდნენ მათ გადამალვას.

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, год 1861, опись № 59, дело № 6629, лл. 195—96.

გაჩხრეკის აქტი ტრაფარეტულია, თითქმის ყველა ერთნაირი ფორმით არის დაწერილი და გამჩხრეკიც ამ შემთხვევაშიც ბეკ-შლოვია.

„1861 წლის დღესა 16 ოქტომბერს უფროსის განკარგულებით მე, მეორე განყოფილების მესამე კვარტალის ზედამხედველი ბეკ-შლოვი, მივედი აღნიშნულ რიცხვს ზოხიმის სახლში, რომელიც მდებარეობს შუა მეშჩანკის ქუჩაზე, № 19. ბინა, რომელიც დაქირავებული აქვს ოქროს საქმის ხელოსანს როზენბერგს, მისგან ოთახი დაქირავებული აქვს ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს კირილე ლორთქიფანიძეს და ნიკო ნიკოლაძეს. ვაწარმოე გაჩხრეკა როგორც ნივთების, ისე ქაღალდების, რომელთა შორის საეჭვო არაფერი აღმოჩენილა, რაზედაც შედგენილი არის ეს აქტი. რადგან ლორთქიფანიძე და ნიკოლაძე დაპატიმრებულნი არიან, მათ მიერ დაკავებული ოთახი დალუქულია და მასში მოთავსებული ნივთები შესანახად გადაეცა ზოხიმის სახლის უფროს მეეზოვეს, გლეხს ანდრია სტეფანეს-ძე ჟრებცოვს, რომელიც პასუხისმგებელია შენახვისათვის. ზედამხედველი ბეკშლოვი. ამ აქტის შედგენას ესწრებოდა სტუდენტი გიორგი მესხი". ხელს აწერს მეეზოვე[1].

კირილე ლორთქიფანიძე მხოლოდ ერთ კვირას დარჩა პეტრე-პავლეს ციხეში. შემდეგ, სხვა სტუდენტებთან ერთად, გადაიყვანეს კრონშტადტის სიმაგრეში. აქ პატიმრები უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ. მათ მისცეს სუფთა ოთახები, კარგი საწოლები და კვებაც არ ჰქონიათ ურიგო.

ნ. ნიკოლაძე ასე გადმოგვცემს კრონშტადტის ციხეში არსებულ პირობებს: „ჩვენ მიგვიყვანეს ყაზარმებში, რომელიც ფანჯრებით ფინეთის ზღვის ყურეს დასცქეროდა... ეს ყაზარმა ჰოსპიტალისათვის იყო დანიშნული, მაგრამ სრულებით ახალი იყო და, როგორც ეტყობოდა, ჯერ უხმარებელი. აქ ყოველს ჩვენგანს ერგო საწოლი, ახალ-ახალი ორმაგი ნაალით და სუფთა ნარმის საცვლებით. ორ-ორ ადამიანზე მოდიოდა ერთი პატარა მაგიდა. ფანჯრები უშველებელი იყო, რასაკვირველია, ორმაგი, ახლად გარეცხილები. ოთახები სინათლით იყო სავსე და ჩვენ მაშინვე ვიგრძენით სითბო. მაღალი კედლები ცისფერი საღებავებით იყო შეღებილი, ხოლო კარები და ფანჯრები-კი თოვლის მსგავსი თეთრი ფერით. საზოგადოთ აქ ყველაფერმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ციხის შემ-

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 14 5, год 1861, опись № 59, дело № 6637, вз. 20

დეგ, თითქოს მშვენიერ სასახლეში დაგვასახლეს. ეს პირველი დღე იყო დაპატიმრების შემდეგ, როცა თავისუფლათ ამოვისუნთქეთ: გემრიელად და ბლომად გვაჭამეს და შემდეგ კი რჯულზე გაგვიძინეთ" [1].

აღსანიშნავია ისიც, რომ კირილე ლორთქიფანიძე ძმისადმი გაგზავნილ წერილში ასევე კარგად ახასიათებს კრონშტადტის ციხის პირობებს:

„...გვეპყრობოდნენ ძალიან კარგად... ავად არ ვყოფილვარ. ახლაც ძლიერ კარგად ვარ. ორ თვეს ვიყავი კრონშტადტში, 12 ოქტომბრიდან 6 დეკემბრამდე..." [2].

ამავე წერილში კირილე ლორთქიფანიძე ლაპარაკობს სტუდენტთა განთავისუფლების პირობების შესახებ, რომ მეოთხე კურსის სტუდენტებს თავდების გარეშე აკრძალული ჰქონდათ პეტერბურგში ცხოვრება.

„მეოთხე კურსის სტუდენტები ან უნდა დარჩნენ პეტერბურგში თავდებით, თუ თავდებს ვერ იშოვნიან, მაშინ წავლენ და იქაც თავდები უნდა ეყოლოსო. თუ იქაც არ ეყოლებათ თავდები, გაგზავნიან ვიატკისა და მის ახლო-მახლო გუბერნიის ვეზდის ქალაქებში. მესამის, მეორის და პირველი კურსის უნდა დარჩეს პეტერბურგში თავდებით, თუ არა და შინ წავიდეს უდავდებოდ. გარეშე პირები, რომლებშიდაც მწერლები (ლიტერატორები) თუ ისე, ისინიც ამნაირად დასაჯეს. მაგრამ შინ გაგზავნა მათთვის მხოლოდ ერთი წლის ვადით არის. ამნაირად სტუდენტები, ციხეში ნამყოფი, გამორიცხეს უნივერსიტეტიდან. ეხლა ამ საშობაოთ უნივერსიტეტი დახურეს და, ვინც შიგ იყო დარჩენილი, ისინიც გამორიცხეს და დანარჩენები პროფესორები (ხუთი გამოვიდნენ ჩვენი დაჭერის დროს, არც იმათ მოსწონდათ ახალი კანონები) შტატის გარეთ დასტოვეს" [3].

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ კირილე ლორთქიფანიძე კვლავ პეტერბურგში დარჩა. უნივერსიტეტიდან გარიცხულს სტიპენდია მოუხსნეს და დიდ ეკონომიურ გაჭირვებაში ჩავარდა. ამის შესახებ ძმას სწერს:

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 112—113.

[2] ქუთაისის მუზეუმის კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 58 (ძველი აღწერილობით).

[3] იქვე. დასახელებული წერილი ჩემ მიერ გამოქვეყნებული იყო 1939 წელს. იხ. „1861 წ. რევოლუციური მოძრაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში და ქართველი სტუდენტები", მნათობი № 9.

„...ბესარიონ ლოლობერიძემ, დავით ლოლობერიძემ, თუმანიშვილმა, მე და გიორგი წერეთელმა დავკარგეთ სახელმწიფო სტიპენდია, ახლა გვჭირს უფულობა“ (ქუთაისის მუზეუმი—კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 10, ხელნაწერი № 58, ახალ აღწერილობით).

უნივერსიტეტიდან გარიცხულ კირილე ლორთქიფანიძეს, ისე როგორც სხვებს, საერთო შინაარსის მოწმობა მისცეს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირილე ლორთქიფანიძის მოწმობა ნაწილობრივ მაინც განსხვავდებოდა მექანიკურად გარიცხული სტუდენტების მოწმობისაგან. მართალია, მოწმობა სტანდარტულია, იგი სტამბაში დაბეჭდილ ბლანკს წარმოადგენს, მაგრამ ამ დოკუმენტში დატოვებულია ადგილი გარიცხული სტუდენტების გვარისა და სახელის ჩასაწერად, ასევე შესავსებია ყოფაქცევის, უნივერსიტეტიდან გარიცხვის მიზეზისა და თარიღის გრაფები. ამდენად, ერთნაირი, ტრაფარეტული მოწმობა ხვადასხვა პიროვნებაზე გაფორმების შემდეგ განსხვავებულ ხასიათს ღებულობდა.

მოგვაქვს კირილე ლორთქიფანიძის უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობა:

„წარმომდგენი ამისა კირილე ლორთქიფანიძე ჩარიცხულ იქნა სტუდენტად სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში 15 სექტემბერს, 1860 წელს. მოისმინა საგნები ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტისა. ყოფაქცევაში აქვს კარგი [1].

20 დეკემბრიდან 1861 წლისა [2] უნივერსიტეტის დახურვის გამო დათხოვნილია უნივერსიტეტის მეორე კურსიდან. რის გამო კურსდამთავრებულის უფლებით ვერ ისარგებლებს და სახელმწიფო სამსახურში მიღებისას კანონის კრებულის (გამოც. 1857 წ.) და სახელმწიფოსაგან განსაზღვრული სამსახურის წესდების § 88-ის საფუძველზე, მას აქვს უფლება იქნეს ჩარიცხული მეორე კატეგორიის ჩინოვნიკად. დასამტკიცებლად ამისა მიეცა ეს მოწმობა კირილე ლორთქიფანიძეს სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დროებითი კომისიისაგან, რომელზედაც არის ხელისმოწერა და აზის უნივერსიტეტის მცირე ბეჭედი. 15 მაისი, 1863 წელი. დროებითი კომისიის თავმჯდომარე: (ხელმოწერილია). მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი (ხელმოწერილია)“ [3].

---

[1] ჯერ ჩაწერილია წელნით „Очень хорошо“. შემდეგ გადაშლილია და მიწერილი აქვს „Хорошо“.

[2] ნ. ნიკოლაძესთან წერია: „1861 წლის 12 ოქტომბრიდან“.

[3] Г. Н. А. Л. С. фонд № 14, дело № 1590, связка № 3453, год 1863, лл. 9.

მიუხედავად პოლიციური რეჟიმის სიმკაცრისა და სასტიკი ეკონომიური პირობებისა, კ. ლორთქიფანიძე უნივერსიტეტიდან გარიცხვის შემდეგაც მთელი ათეული წლის განმავლობაში პეტერბურგში დარჩა და ამით კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მსოფლმხედველობის რევოლუციონური ბუნება.

„თუ პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების ან 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობის შემდეგ უნივერსიტეტის დახურვის გამო ქართველი ახალგაზრდები საქართველოში გამოემგზავრნენ სამოღვაწეოდ ან საზღვარგარეთ წავიდნენ სწავლის გასაგრძელებლად, კირილე ლორთქიფანიძე 1861 წლის მოძრაობის შემდეგაც, 1870 წლამდე, პეტერბურგში დარჩა და რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებს კიდევ უფრო ღრმად ითვისებდა. იგი ათეული წლის განმავლობაში არა მარტო მოწამე იყო დიდი იდეოლოგიური შეჯახებებისა რუსული აზროვნების ცენტრში, არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდობის მოძრაობაში და დემოკრატიული შინაარსის პუბლიცისტური სტატიების ბეჭდვით, რევოლუციონერი პოეტების ნაწარმოებთა თარგმნითა და საგამომცემლო მუშაობით ხელს უწყობდა საქართველოში ახალი იდეების დამკვიდრებას“ [1].

ნიკო ნიკოლაძე.

სამოციანი წლების ქართველ მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო როლი ითამაშა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მოაზროვნემ, ნიკო ნიკოლაძემ. იგი ჯერ კიდევ 17 წლის ყმაწვილი იყო, როდესაც 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაერიცხა სტუდენტად. მცირეწლოვანებას თან ემატებოდა მისი ტანის სიპატარავე და ყველას აცვიფრებდა წეღრულვაშიან სტუდენტებს შორის ბავშური შესახედაობის ყმაწვილის ყოფნა.

„მე უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი შესრულებული მქონდა მაშინ მეთექვსმეტე წელიწადი და ტანადობითაც ისეთი პატარა ვიყავი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ ყველა „ციდა-ნახევარს“ მიძახოდა“ [2].

---

[1] იხ. კ. მეძველია, რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მწერალი და თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI. 1953 წელი.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 36.

„მომცრო ტანისა ვიყავი, უწვერ-ულვაშო და ბავშური შესახედაობა მქონდა“ [1].

თავიდანვე ნ. ნიკოლაძეს მამა სავაჭრო საქმისათვის ამზადებდა. იგი ფიქრობდა, რომ ამ დარგში ღირსეული მემკვიდრე ეყოლებოდა შვილის სახით „...მამა-ჩემს არამც და არამც არ უნდოდა ჩემი გაგზავნა მაღალს სასწავლებელში,... რადგან ის სიყრმიდანვე ვაჭრათ მამზადებდა“... [2].

მაგრამ ნ. ნიკოლაძემ, მამის სურვილის წინააღმდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა. ერთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს სამი ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე, დ. აბდუშელი-შვილი და გ. მესხი ორპირიდან ნავების საშუალებით ფოთისაკენ გაემგზავრნენ. ერთი დღის ცდის შემდეგ ბათუმიდან ფოთის ნავთსადგურს გემი „დიდი მთავარი კონსტანტინე“ მოადგა და ახალგაზრდებმა ქერჩამდე ზღვით იმოგზაურეს. ქერჩიდან საფოსტო ეტლებით, ხარკოვსა და კურსკზე გავლით, მოსკოვამდე რამდენიმე კვირას იარეს. მოსკოვიდან კი ბოლო მოეღო ტანჯულ მგზავრობას და რკინიგზის ვაგონებით პეტერბურგამდე 600 ვერსი 24 საათში გაიქროლეს.

„ბოლოს, სადგურის სტაროსტებთან და ზედამხედველებთან დავიდარაბით დატანჯულებმა... მივაღწიეთ მოსკოვს, საიდანაც გამგზავრება რკინის გზით შეგვეძლო. რკინის გზამ ჩვენზე უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე გემმა. განსაკუთრებით გაგვაოცა იმან, რომ 600 ვერსის მანძილი მოსკოვიდან პეტერბურგამდე, მთელი კვირის ნჯღრევის ნაცვლად, 24 საათში გავქროლეთ, ისიც სულ ოთხ მანეთად კაცის თავზე“ [3].

ნ. ნიკოლაძე თავისი ამხანაგებით პეტერბურგში 9 მაისს ჩავიდა.

„სამნი ვიყავით მეთქი. ხნითაც და გამოცდილებით უფროსი ჩვენგანი იყო საულ ქერაძე...[4] მეორე იყო გიგო თავძარა...[5] და მესამე — მე... სამივეს ეგზამენი გვქონდა დასაჭერი უნივერსიტეტში, შესასვლელათ“ [6].

პეტერბურგში ახლად ჩასულები ღრეჭიას[7] ბინას მიადგნენ.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 91.
[2] იქვე, გვ. 50.
[3] იქვე, გვ. 92
[4] დავით აბდუშელი-შვილი.
[5] გიორგი მესხი.
[6] იქვე, გვ. 36.
[7] ღრეჭია — ნიკო ღოღობერიძე.

„მოვძებნეთ ის სახლი, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სადაც ძველი სტუდენტი ღრეჭია იდგა... შიშით და კრძალვით ჩამოვარაწკუნეთ ზარი მისი კარების წინ. კარი მაინც დიდხანს დაგდული დარჩა. ხმის ამოუღებლად ერთმანეთს მივჩერებოდით ჩვენ სამივე. ვერც კი ვბედავდით ერთმანეთისათვის გვეკითხა: „იქნება მეორეჯერ დარეკვა სჯობდესო?“ [1].

ასეთი მოკრძალებითა და მორიდებით ეწვიენ ისინი პირველად ჩრდილოეთის თვალწარმტაც ქალაქს, პეტერბურგს. ყმაწვილებზე დიდი გავლენა მოახდინა პეტერბურგის ხალხმრავალმა ქუჩებმა და ნევაში უზარმაზარი ყინულების მოძრაობამ.

„ხიდზე რომ შეველით, დავინახეთ ვეება, სახლის-ოდენა ყინულები, რომელიც მდინარეს ზღვისკენ მიჰქონდა... დიდი და პატარა, ქალი და კაცი... აღტაცებით შეჩერებოდა ამ მყინვარების მტვრევა-მუსრვას. წამ-და-უწუმ მდინარე ამ უზარ-მაზარ მყინვარებს ხიდის ბურჯს ატაკებდა და მთელი ხიდს ალმასის მტვერი მოედებოდა, რომელშიაც მაისის მზის შუქი აქა-იქ ცისარტყელას იკეთებდა ხოლმე“ [2].

მაგრამ ახალგაზრდების მთავარი ყურადღება და ოცნება მაინც უნივერსიტეტის კედლებისკენ იყო მიპყრობილი.

„მაგრამ ჩვენგან ამაებს ვინ ათხოვებდა ან თვალს, ან ყურადღებას? რისი პირადი, სადაური მყინვარები. გასტუდენტება გველოდა-მეთქი ვასილის კუნძულზე“ [3].

ნათქვამია, რა ქვეყანაში ჩახვალ, იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხუროო, და ჩვენმა ახალგაზრდებმა არა მარტო ქუდი დაიხურეს იმ ქვეყნისა, არამედ მთლიანად ტანისამოსიც შეიცვალეს. მკერავ რაუზერთან ნისიად ტანისამოსი შეიკერეს, ხოლო მეჩექმე გოზეს ფეხსაცმელები გამოართვეს და უნივერსიტეტის კარებს მიაშურეს.

ნიკო ნიკოლაძეს მისაღები გამოცდები უნდა ჩაებარებინა ხუთ საგანში, განსაკუთრებით მას ლათინური ენის უცოდინარობა აფერხებდა, მაგრამ ამ საგანში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირილე ლორთქიფანიძე დაეხმარა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ნიკოლაძე კირილეს ოთახში ცხოვრობდა.

ნ. ნიკოლაძემ, ფრანგული ენის გარდა, გამოცდები წარჩინებით ჩააბარა, განსაკუთრებით თავი ისახელა რუსული ლიტერატურის ცოდნით.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 35.

[3] იქვე, გვ. 36.

ამის თაობაზე იგი თავის მოგონებაში წერს: „ნუ დაივიწყებთ, რომ ციდა-ნახევარი ტანი მჭონდა, რომ პირტიტველა ვიყავი... და წარმოიდგინეთ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ხალაბი, ეკზამენების წინ წამდგარა ამ სახის ბაღანა, ოთხასამდე წვერ-ულვაშიან ვაჟკაცებს შუა. ბევრს ეგონა ვინმე სტუდენტს პაწია ძმა მოჰყოლია სეირის საცქერლადო... პროფესორს რომ მიუახლოვდი... გაკვირვებით მკითხა: ნუ თუ შენც საეგზამენოთ მოსულხარო?.. მკითხა, განა წაგიკითხავს რამე რუსული ლიტერატურიდამო? გამეცინა და მიუგე — დიახაც წამიკითხავს-თქო. პუშკინს იცნობო? — დიახ-მეთქი" [1]. აი, ასე გაბედულად პასუხობდა ნ. ნიკოლაძე გამომცდელს და მართლაც ისე წარჩინებით ჩააბარა რუსული ლიტერატურა, რომ პროფესორმა ჰკითხა: „ვინ გასწავლიდა ქუთაისში რუსულ ლიტერატურასო"?

ასე გახდა ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. ნიკო ნიკოლაძის პირადი საქმიდან [2] ჩანს, რომ ის 1861 წლის 15 სესტემბერს ჩარიცხულია იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრატიულ განყოფილებაზე. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძის მატრიკულში წერია: „ქალაქ ქუთაისის მოქალაქე, პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში, რომლისგანაც აქვს ატესტატი კურსის დასრულებისა 20 იანვრის თარიღით, № 134, მაგრამ ს. პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტად შესვლისათვის გაიარა შემოკლებული გამოცდები".

მატრიკულის შემდეგ გვერდზე ვკითხულობთ:

„ნიკო ნიკოლაძე მიღებულია 1861 წლის 15 სექტემბერს გამოცდით ს. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული განყოფილების პირველ კურსზე..." [3].

დიდი ინტერესით დაეწაფა ნიკო ნიკოლაძე პროფესორების

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 71.

[2] იხ. „Дело правления Императорского С. Петербургского Университета о принятии в числе студентов Николая Николадзе". (Г. Н. А. Л. О. фонд № 14, дело № 2107, связка № 3405, год 1861—1862). აქ დასახელებულ, ნიკო ნიკოლაძის პირად საქმეში მოთავსებულია შემდეგი დოკუმენტები: 1. ცნობა უნივერსიტეტის სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ. 2. თხოვნა რექტორის სახელზე მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ. 3. მატრიკული. 4. თხოვნა რექტორის სახელზე უნივერსიტეტში ჩარიცხვის მოწმობის მიცემის შესახებ. 5 თხოვნა რექტორის მოვალეობის აღმასრულებლის სახელზე უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობის მიცემის თაობაზე. 6. უნივერსიტეტიდან გარიცხვის მოწმობა.

[3] იხ. იქვე. მატრიკული, გვ. 16—17.

ლექციებს, აღფრთოვანებული და აღტაცებული ისმენდა მათ ყოველ სიტყვას. „ისეთი სიხარულით და სურვილით დავიარებოდი ამ ლექციებზე, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ კაცს ეგონებოდა, საქეიფოთ მიდისო. პირველი ლექცია ჩემს დღეში არ დამავიწყდება. გული ისე მიძგერდა, ისეთი აღელვებული ვიყავი, და ისეთი მოწიწებით გადავიქეცი სმენათ. თითქო პირველჯერ საყვარლის ნახვა მღირსებოდეს და მისი ტიკტიკით ვტკბებოდი“ [1].

ყველაზე მეტად ნ. ნიკოლაძეს პროფესორების: კოსტომაროვის, სტასიულევიჩის და სპასოვიჩის ლექციები იზიდავდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს აღტაცების დღეები. 18 სექტემბერს ლექციები დაიწყო და 25 სექტემბერს უკვე უნივერსიტეტის შესასვლელი კარები დახურეს. როგორც ნ. ნიკოლაძის მეტად საინტერესო მოგონებიდან ჩანს, იგი სტუდენტთა მოძრაობის აქტიური მონაწილე იყო. ყველა საჯარო სხდომებზე, მიტინგებზე და დემონსტრაციებში ღებულობდა მონაწილეობას. ეს „ცივა-ნახევარი“ ბალღი მალე მებრძოლ სტუდენტთა მოწინავე რიგებში აღმოჩნდა. სტუდენტთა დემონსტრაციას, რომლის მონაწილე თვით ნ. ნიკოლაძე იყო, ასე აგვიწერს იგი:

„რამდენიმე ათასი სტუდენტი მწყობრად მიიმართებოდა სასახლის ხიდზე, ნევის გასწვრივ... პროცესიის თავი ყაზანის ტაძართან იყო, ხოლო ბოლო სასახლის ხიდზე“. გზაში მათ შეხვდათ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, რომელმაც უბრძანა „დაიშალენითო“ [2]. მაგრამ სტუდენტებმა თავისი არ დაიშალეს და კვლავ განაგრძეს გზა მზრუნველისაკენ. დემონსტრანტებს გზაში ალყა შემოარტყა პრეობრაჟენსკის პოლკმა. მალე ფილიპსონიც გამოჩნდა, რომელმაც ჯარისკაცების ალყა მოხსნა, რადგან თვითონ აიღო პასუხისმგებლობა სტუდენტებზე. სტუდენტებმა ფილიპსონი აიძულეს უნივერსიტეტში გაჰყოლოდა მათ. ხოლო გზაში ფილიპსონის მეთვალყურეობა ნ. ნიკოლაძესა და გ. ჯავახიშვილს დააკისრეს.

„სრულიად მოულოდნელად, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მზრუნველთან მოსაუბრე სტუდენტებმა ქართველი სტუდენტების ჯგუფს დაკისრა გაყოლოდა ფილიპსონს უნივერსიტეტამდე. ამაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ ქართველების ჯგუფმა ამ მისიის შესრულება მე და გ. ჯავახიშვილს მოგვანდო“ [3].

---

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 83.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 102.

12 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძე, როგორც სტუდენტთა ამბოხების მონაწილე, დაპატიმრებული იქნა. ისიც ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში იყო მოთავსებული და შემდეგ კრონშტადში გადაიყვანეს. 19 ოქტომბერს წარმოებული დაკითხვის დროს ვრცელსა და საინტერესო პასუხს აძლევს გამომძიებელ კომისიას ნ. ნიკოლაძე. პასუხიდან აშკარად ჩანს „პირტიტველა“, „ციდა-ნახევარი“ ყმაწვილის საზრიანი მსჯელობა და გაბედული მოქმედება. ნ. ნიკოლაძე ცდილობს პირიქით დასდოს ბრალი მთავრობის მოხელეებს უხეში და უსამართლო მოქმედებისათვის, რომ სტუდენტები მოატყუა პოლიციის მოხელემ ობერპოლიცმეისტერის გამოუცხადებლობის შესახებ, რომ უხეშად ეპყრობოდნენ პატიმარ სტუდენტებს ჯარისკაცები და პოლიციელები და სხვა.

მოგვაქვს ნ. ნიკოლაძის ვრცელი პასუხი.

„მაძახიან ნიკო იაკობის-ძე ნიკოლაძეს. ვარ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრატიული განყოფილების პირველი კურსის ყოფილი სტუდენტი. შვილი ვარ იაკობ ნიკოლაძისა. დაბადებული ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის, ქალაქ ქუთაისში, თვრამეტი წლისა დაბადებიდან, სარწმუნოებით მართლმადიდებელი, აღსარებასა და ზიარებაზე ვყოფილვარ. პასუხისგებაში არ ვყოფილვარ.

ამა წლის 12 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მე გავემგზავრე სახლიდან (საცხოვრებელი მაქვს შუა მეშჩანკისა და სტალიარნი ქუჩის შესახვევის კუთხეში) საკუთარ საქმეზე ჩემს ამხანაგ სავანელთან, რომელიც ცხოვრობს ვასილევის კუნძულზე, საშუალო პროსპექტისა და მცირე ნევის სანაპიროს კუთხეში. მივედი რა უნივერსიტეტის შენობის ახლოს, დავინახე რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც ელაპარაკებოდნენ პოლიციის ჩინოვნიკს. როცა მე მივედი მათთან, ის ჩინოვნიკი ურჩევდა სტუდენტებს, დაშლილიყვნენ და შემდეგ შეკრებილიყვნენ სადმე, ქალაქს გარეთ. ილაპარაკა რამდენიმე ხანს და წავიდა. ხუთი წუთის შემდეგ ისევ მოსულმა გვითხრა, რომ მან გაგზავნა ოფიცერი ს. პეტერბურგის ობერპოლიცმეისტერთან, მაგრამ ობერპოლიცმეისტერს მოსვლა არ შეუძლიაო. ჩვენ დავიწყეთ საუბარი ურთიერთშორის ჯგუფ-ჯგუფად, ასე რომ შედგა რამდენიმე წრე. ყველანი ელაპარაკობდით ხმადაბლა. არ გასულა ათი წუთი მას შემდეგ, რაც პოლიციის ჩინოვნიკმა გვითხრა, ობერპოლიცმეისტერს არ შეუძლია მოსვლაო. რომ მოვიდა ეს უკანასკნელი, მაშინ ჩვენ გვიბრძანეს, ობერპოლიცმეისტერის სახელით, დაიშალენითო! ჩვენ გვინდოდა დავშლილიყა-

ვით და ბევრი ჩვენთაგანი წავიდა დიდი ნევის სანაპიროს მიმართულებით. დანარჩენი სტუდენტები, რომლებიც მიდიოდნენ უფრო ნელა, ვიდრე წინ მყოფნი, ალყაშემორტყმულ იქნენ პოლიციელების მიერ. ამავე დროს მოვიდა ჟანდარმების ჯარი და ფეხოსანნი, რომლებსაც უბოძანა ბატონმა ობერპოლიცმეისტერმა შემორტყმოდნენ სტუდენტებს სანაპიროზე მიმავალთ. ჟანდარმები მოსცვივდნენ ხმლებზე ხელებდაყრდნობით და შემოერტყენ დაშლის პროცესში მყოფ სტუდენტებს. ისინი მიიყვანეს და შეუერთეს პოლიციელებშემორტყმულ პირველ პარტიას. ასე რომ ყველა სტუდენტი და კერძო პირნი, უნივერსიტეტის ახლოს მყოფნი, წაიყვანეს. ბატონმა პოლიცმეისტერმა ბრძანა ჩვენი მიჰყლეტა უნივერსიტეტის კარებზე ჯარისკაცებისა და პოლიციელების მოწოლით, აქედან ჩვენ შევედით ეზოში, სადაც დაიწყეს თითოეულის აღწერა. ეს გაგრძელდა ერთნახევარ საათს და ამ დროის განმავლობაში პირველად ჩვენ სრულებით არ გვიშვებდნენ ეზოში, მაგრამ შემდეგ, რომ მიგვეღო ნებართვა უნდა გვეთხოვა კერძო პრისტავისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უშვებდა ზოგიერთებს, პოლიციელებით. რამდენი შრომა იყო საჭირო პოლიციელებისადმი თხოვნისათვის. ისინი გვპასუხობდნენ უხეშად... დილიდან საღამომდე ფეხზე ვიდექით. მიწერის შემდეგ ჩვენ გამოგვიყვანეს ცენზურის კარებიდან. გზაზე დავინახეთ ჩვენი ამხანაგები და ნაცნობები, რომლებიც გვეშვიდობებოდნენ. ჯარისკაცებმა, რომლებსაც მივყავდით, ნამდვილად წარმოიდგინეს, რომ თითქოს მათ უნდოდათ ჩვენი ჩამოცილება, გვერდებში და ზურგში ხელისკვრით გვაიძულებდნენ ჩქარა გავყოლოდით მათ. დანარჩენი ჩვენი მოგზაურობა პეტრე-პავლეს ციხემდე მთლიანად ისევე იყო, როგორც დასაწყისში. ოფიცრები, მიუხედავად ჩვენი თხოვნისა და საჩივრისა ჯარისკაცებზე, არ გვაქცევდნენ არავითარ ყურადღებას და მთელ გზაზე ვიმყოფებოდით როგორც დაუცველი მსხვერპლი თავდაუჯერელი, ცოფმორეული, სიმშილისაგან გაღიზიანებული მე-14 დანაყოფის ჯარისკაცებისა...

შეთქმულების დროს ძალათ წაერთმიათ მატრიკულები სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში შეჭრილებს, მე არასოდეს არ გამიგონია, რომ პოლიციის ჩინოვნიკი გვირჩევდა დაიშალენითო და ობერპოლიცმეისტერმაც რომ გვიბრძანა, ამის შესახებ მე ვთქვი ზემოთ. იმის შემდეგ, რაც მე შევჩერდი უნივერსიტეტთან, არც მე, არც სხვა ვინმეს კარები არ გაუტეხია და მე არ მგონია, რომ ვისმეს გაეტეხოს. მე თვით არ ვცემივარ ჯარისკაცებს და არც

დამინახავს, რომ ვინმე სხვა ეცა მათ. იმ დროს მე და თითქმის ყველა ფიქრობდა იმას, თუ როგორ გადაგვერჩინა ჩვენი ზურგი ჯარისკაცების დარტყმისაგან. მოწოდება ხალხისადმი „за нами ура!“ მე არ მსმენია. მე არ დამინახავს ვინმე, რომ თანაგრძნობა გამოეწვია ხალხში სიტყვით ან ქუდის ქნევით. ჩვენ არც სიტყვის თქმა შეგვეძლო და ხალხისგანაც შორს ვიყავით. ასევე ხალხიდან მე არაფერი გამიგონია. კეტი არასდროს არ მქონია და არ დამინახავს ასეთი ჩემს ახლოს მყოფისათვის. ოფიცრებისათვის, ჯარისკაცებზე საჩივრის გარდა, მე არაფერი მითქვამს და არავისგან გამიგონია ეთქვას, რომ ჩვენი სახელი იქნება დაბეჭდილი „კოლოკოლში“ ან მსგავსი იმისა, რომ პასუხს აგებთ მომავალი თაობის წინაშე სტუდენტებისათვის-თქო და სხვა.

ნ. ნიკოლაძე“ [1].

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ამ საინტერესო ისტორიის აქტიური მონაწილეა. ნ. ნიკოლაძის და საერთოდ დაპატიმრებული სტუდენტების დაკითხვები მიმდინარეობდა კომისიის მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „ნოემბრის შუა რიცხვებში როგორც იქნა გვეღირსა და პეტერბურგიდან ჩამოვიდა უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებული კომისია... კომისიამ... დაგვირიგა დაბეჭდილი დასაკითხავი ფურცლები, ურიცხვი კითხვებით, სადაც საკუთარი ხელით უნდა ჩაგვეწერა დაწვრილებით საპასუხო ცნობები. მათ შორის იყო ისეთი უცნაური კითხვები, როგორც, მაგალითად, ვემუქრებოდით თუ არა ჩვენ დამტყვევებელ ოფიცრებს, რომ მათი სახელები ზიზღით იქნება მოხსენებული „Колокол“-ში“ [2].

სტუდენტთა მოძრაობის საქმის შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ უმცროსი კურსის სტუდენტები ორი თვის პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა და მათ შორის ნ. ნიკოლაძეც.

საპატიმროდან განთავისუფლების მომენტს ასე გადმოგვცემს ნ. ნიკოლაძე: „...დადგა დეკემბერი. ექვსს დილით უეცრად მოგვცეს წინადადება, გაგვეხადა და ჩაგვებარებია სახაზინო ტანისამოსი და ჩვენი საკუთარი ჩაგვეცვა. ყაზარმის კარებთან გვიცდიდა ასამდე მარხილი სამ-სამი ცხენით შებმული. მათ სასწრაფოდ გაგვაქროლეს გაყინულ ზღვაზე და ჩაგვიყვანეს პეტერგოფში, სადაც

---

[1] ც. ე. ი. ა. ლ. ფონდ № 1405, год 1861, опись № 59, дело № 6629, გვ. 142.

[2] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 117—118.

სპეციალური მატარებელი გვიცდიდა, და სწრაფადვე პეტერბურგში გავჩნდით“ [1].

ნ. ნიკოლაძეს, როგორც პატიმრობაში მყოფს, ეკრძალებოდა პეტერბურგში ცხოვრება, მაგრამ ისე გაიტაცა რევოლუციურმა მღელვარებამ და ისე მჭიდროდ დაუკავშირდა მებრძოლ ინტელიგენციას, რომ საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგაც არალეგალურად ისევ პეტერბურგში დარჩა.

„ყოველივე ამან და ამით გამოწვეულმა მღელვარებამ და კამათმა, მაიძულა მეძებნა რაიმე საშუალება, რომ პეტერბურგში დავრჩენილიყავ და თავიდან ამეცილებინა სამშობლოში გამგზავრება. ან კი როგორ წავსულიყავ, როცა უჩემოდ შესაძლოა რევოლუცია მომხდარიყო?! გადავწყვიტე, რისკი გამეწია, ამოვწერილიყავი წიგნებიდან, როგორც სამშობლოში გაბრუნებული და ნამდვილად კი გადავსულიყავ ქალაქის ისეთ რაიონში, სადაც პოლიცია არ იწუხებდა თავს“ [2]

მართლაც, ამ მიზნით, ნ. ნიკოლაძე აკაკი წერეთლის ბინაზე გადავიდა საცხოვრებლად. ამდენად, ნ. ნიკოლაძე პატიმრობის შემდეგაც კვლავ რევოლუციური მღელვარების ცენტრში, პეტერბურგში დარჩა და აქტიური მონაწილეა მისი მშფოთვარე ცხოვრებისა. „პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობა და კრონშტადტის კაზემატებში გატარებული დღეები პირველი რევოლუციური ნათლობა იყო ნ. ნიკოლაძისათვის“ [3]. 1864 წლიდან ნ. ნიკოლაძე საზღვარგარეთ მიემგზავრება და მონაწილეობას ღებულობს რუსეთის ემიგრაციის მუშაობაში. 1865 წლიდან საზღვარგარეთ თანამშრომლობს გერცენის „კოლოკოლში“. 1866 წელს ჟენევაში ბეჭდავს წიგნს ნიკიფორე გ.....ს ფსეედონიმით „Молодое поколение и правительство“, სადაც სასტიკად ამათრახებს რუსეთის მთავრობას. 1868 წელს ჩერნიშევსკის „სოვრემენიკის“ გავლენით ცემს რევოლუციონურ-რადიკალური შინაარსის ჟურნალს „Современность“. ჟურნალის მთელი შინაარსი მიმართულია ცარიზმის უხეში პოლიტიკის წინააღმდეგ. საინტერესოა ისიც, რომ ნიკოლაძის ამ ჟურნალს დიდი შეფასება მისცა გერცენმა. 1869 წელს ნ. ნიკოლაძე ბრუნდება საქართველოში და აქ აგრძელებს ბრძოლას არსებული წყობილების წინააღმდეგ.

---

[1] ნ. ნიკოლაძე, გვ. 119.

[2] იქვე. გვ. 120.

[3] გ. ჯაბიანიძე, ქართველი კლასიკოსები, გვ. 210—211.

ასევე, სტუდენტთა მღელვარებაში აქტიური მონაწილეობისათვის რეპრესირებულნი იყვნენ სამოციანი წლების ცოტად თუ ბევრად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ბესარიონ ღოღობერიძე, დავით აბდუშელიშვილი, ვასილ სავანელი, აბელ ჩოლოყაშვილი, პეტრე ალხაზაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი და იაკობ ისარლიშვილი. ყველა ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სტუდენტთა მოძრაობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობას სპეციალური საექსპერტო საექიმო კომისია გამოუყვია ჯარისკაცთა და სტუდენტთა შეტაკების დროს დაშავებული სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად. ამ კომისიის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქართველი სტუდენტებიდან ყველაზე მეტად დაშავებული ყოფილა დავით ღოღობერიძე.

„12 ოქტომბერს მომხდარ არეულობის დროს დაპატიმრებული სტუდენტებისა და სხვა პირების დანაშაულთა ხარისხის გამომკვლევი კომისიის მოთხოვნით, 1861 წლის 21 ოქტომბერს კრონშტადტის საზღვაო ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა, ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა ლანგემ და იმავე ჰოსპიტლის მთავარმა ორდინატორმა ნადეორნი სოვეტნიკმა ბეტიუცკიმ კომისიის თანდასწრებით შეავამოწმეთ (ამბის მოხდენის 10 დღის შემდეგ) და ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს აღმოაჩნდათ შემდეგი...“.

აქ მოტანილია დაპატიმრებული სტუდენტების სია და ამ სიის მე-18 ნომერზე დასახელებულია დავით ღოღობერიძე.

„...18. ღოღობერიძე დავით. მიიღო დაზიანება თოფის კონდახით ზურგში დარტყმისაგან და ფეხებით გვერდებში ცემისაგან. ამჟამად დაზიანების გარეგანი ნიშნები არ აქვს“ [1].

ხოლო ბესარიონ ღოღობერიძე, როგორც მეოთხე კურსის სტუდენტი, შეტანილია დამნაშავე სტუდენტთა პირველ სიაში [2].

სამოციანი წლების სტუდენტთა რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. 1861 წელს სტუდენტთა ამბოხებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულები შეტანილნი არიან რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მატიანეში. აქვე არიან დასახელებული ქართველი სტუდენტებიც. (იხ. წიგნი „Деятели революционного движения в России“).

---

[1] Ц. Г. И. А. Л фонд № 1405, опись № 59, Ед. хр. № 6630, год 1861, лл. 4.

[2] იხ. Г. И. А Л. О, фонд № 14, дело № 19, опись № 25, связка № 3897 год 1861, лл. 6.

* * *

დაპატიმრებული სტუდენტები, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიებად იყვნენ დაყოფილნი. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, არსებობდა ოთხი ასეთი კატეგორია.

„პირველ კატეგორიაში მოხვედრილნი, არეულობის ხელმძღვანელებად ცნობილი შვიდი პირი, იგზავნებოდნენ შორეულ გუბერნიებში. დანარჩენები, რომლებიც მეორე კატეგორიაში მოხვდნენ,— ასეთები იყვნენ უმთავრესად მეოთხე კურსის სტუდენტები, — ირიცხებოდნენ უნივერსიტეტიდან ეგრეთწოდებული „მგლის პასპორტით", ე. ი. მათ უფლება ესპობოდათ სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა. მესამე კატეგორიას შეეძლოთ შესულიყვნენ იმავე კურსზე პროვინციულ უნივერსიტეტში. მეოთხე კატეგორია, რომელშიდაც მოვხვდით ჩვენ, „ძუძუმწოვრები", მშობლების თავდების ქვეშ გაგვიშვეს" [1].

სპეციალურ კომისიას, რომელსაც ევალებოდა დამნაშავე სტუდენტთა საქმის გამოძიება და დასჯა, გადაწყვეტილი ჰქონდა დაპატიმრებული სტუდენტები, დანაშაულის ხარისხის მიხედვით, დაყოფილი ყოფილიყვნენ სამ ნაწილად. კომისიის მიმოწერაში ნათქვამია:

„... 1. ისინი. რომლებიც დაპატიმრებულნი არიან შეცდომით გაუგებრობის გამო, ან კრებაზე დასწრების გვარების მიხედვით და ცნობილია კომისიის მიერ უდანაშაულოდ...

2. ისინი, რომლებიც კრებებზე მონაწილეობდნენ თავიანთი ყოფნით აუდიტორიაში ან უნივერსიტეტის ეზოში და ქუჩაზე...

3. ისინი, რომლებიც თავიანთი აღმაშფოთებელი სიტყვებით ან სხვა საშუალებებით ხელს უწყობდნენ უწესრიგობას..." [2].

ხოლო განათლების მინისტრის გოლოვნინის მიმართვაში შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე: ლაპარაკია დამნაშავეების ორ კატეგორიად დაყოფაზე. „ბატონო შინაგან საქმეთა მინისტრო!.. თანახმად უმაღლესობის 1861 წლის 4 დეკემბრის ბრძანებისა, ს. პეტერბურგის სტუდენტები, არეულობაში მონაწილეები, განაწილებულნი იყვნენ ორ კატეგორიად. **პირველს** მიეკუთნებოდნენ სტუდენტები უმაღლესი (IV) კურსისა, გამორიცხულები უნივერსიტეტიდან და გადასახლებულნი აქედან შინაგან საქმეთა სამინი-

[1] ნ. ნიკოლაძე, ტ. I, გვ. 119.

[2] Ц. Г. И. А. Л. фонд № 1405, опись № 59, дело № 6638, год 1861 გვ. 1—2.

სტროს განკარგულებით. **მეორეს** — მიწერილნი არიან სტუდენტები სამი დაბალი კურსისა (I, II და III), რომელთაც ებოძათ შეწყალება და მიეცათ წინადადება ან მიეღოთ მატრიკულები ორი კვირის განმავლობაში და ან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში" [1].

გარდა ამისა, კომისიის დოკუმენტებში მოთავსებულია დაპატიმრებული სტუდენტების ოთხი სია, რომელიც შედგენილია კურსების პრინციპის მიხედვით, რაც ფაქტიურად დამნაშავეთა ოთხ ჯგუფად დაყოფას ნიშნავს.

„სია № 1, იმ სტუდენტებისა. რომლებიც მონაწილეობდნენ სტუდენტთა არეულობაში, მაგრამ რომელთა მოქმედებაში არ იყო წინასწარგააზრებული მთავრობის განკარგულებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. IV კურსი:

გვარი, სახელი	რომელი კომისიისაა	რომელი გუბერნიიდანაა	განსაკუთრებული შენიშვნისათვის
31. ღოღობერიძე ბესარიონ	ს. პეტერბურგის	ქუთაისის	
. . . . .	. . . . .	. . . . .	. . . . . [2]

სია № 2, იმ სტუდენტებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ სტუდენტთა არეულობაში, მაგრამ რომელთა მოქმედებაში არ იყო წინასწარგააზრებული მთავრობის განკარგულებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა [3].

სია № 3, იმ სტუდენტებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ სტუდენტთა არეულობაში, მაგრამ რომელთა მოქმედებაში არ იყო წინასწარგააზრებული მთავრობის განკარგულებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. II კურსი:

გვარი, სახელი	რომელი კომისიისაა	რომელი გუბერნიიდანაა	განსაკუთრებული შენიშვნისათვის
. . . . .	. . . . .	. . . . .	. . . . .
40. სავანელი ვასილ . . .	ს. პეტერბურგის	თბილისის	

[1] Ц. Г. И. А. Л. фонд № 733, опись № 27, дело № 325, год 1863, გვ. 38.
[2] Ц. Г. И. А. Л. фонд № 733, год 1863, опись № 27, дело № 325, გვ. 38.
[3] ამ სიაში არ არის არც ერთი ქართველი.

გვარი, სახელი	რომელი კომისიისაა	რომელი გუბერნიიდანაა	განსაკუთრებული შენიშვნისათვის
. . . . .	. . . . .	. . . . .	. . . . .
58. ალხაზაშვილი პეტრე .	პეტერბურგის	თბილისის	
. . . . .	. . . . .	. . . . .	. . . . .
64. ლორთქიფანიძე კირილე	კრონშტადტის	ქუთაისის	
65. ჯავახიშვილი გიორგი	კრონშტადტის	თბილისის	
. . . . .	. . . . .	. . . . .	
120. ღოღობერიძე დავით	კრონშტადტის	ქუთაისის	

„სია № 4. იმ სტუდენტებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ სტუდენტთა არეულობაში, მაგრამ რომელთა მოქმედებაში არ იყო წინასწარგააზრებული მთავრობის განკარგულებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. I კურსი:

სახელი, გვარი	რომელი კომისიისაა	რომელი გუბერნიიდანაა	განსაკუთრებული შენიშვნისათვის
18. აბდუშელიშვილი დავით	კრონშტადტის	ქუთაისის	
. . . . .	. . . . .	. . . . .	
44. წერეთელი გიორგი .	კრონშტადტის	ქუთაისის	
45. ისარლიშვილი იაკობ .	„	თბილისის	
. . . . .	. . . . .	. . . . .	
52. ნიკო ნიკოლაძე . . .	„	ქუთაისის	
53. ჩოლოყაშვილი აბელ .	„	თბილისის [1]	

ყველა აქ მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პატიმარ სტუდენტთა კატეგორიებად დასაყოფად სხვადასხვა პროექტები და მოსაზრებანი არსებობდა. მაგრამ ყველა ამ მოსაზრებამ და პრო-

[1] იხ. Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 19, опись № 25, связка № 3897, год 1861, გვ. 6—21.

ექტმა შემაჯამებელი გამოხატულება ჰპოვა იუსტიციის მინისტრის, გრაფ პანინის, 10 მუხლისაგან შემდგარ ბრძანებაში, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია:...

„1. ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის არეულობის მონაწილე აზნაური ვილიტერ ორლოვი და 1861 წელს აქაური უნივერსიტეტკურსდამთავრებული მიხეილ პოკროვსკი გადასახლებულ იქნენ. პირველი — პერმის და მეორე — არხანგელსკის გუბერნიაში იმავე ქალაქების პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ...

2. გამოძიების დროს მხილებულნი ან გამოტეხილნი თავიანთ მოქმედებაში, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ არ შეესრულებინათ მთავრობის განკარგულებანი, ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები... (ჩამოთვლილია გვარები და სახელები. კ. მ.) გაირიცხონ უნივერსიტეტიდან და გადასახლებულნი იქნან შორეული გუბერნიების სხვადასხვა მაზრის ქალაქებში შინაგან საქმეთა მინისტრთან და ჟანდარმის შეფთან შეთანხმებით, ადგილობრივი პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ...

3. პეტერბურგის უნივერსიტეტის უმაღლესი IV კურსის სხვა სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ არეულობაში... გაირიცხონ უნივერსიტეტიდან და იმათ, ვისაც მშობლები ჰყავთ ან ახლო ნათესაები, მიეცეთ მშობლებს ან ახლო ნათესავებს თავდებით... ხოლო იმათ, რომლებსაც არ ჰყავთ არც მშობლები და არც ახლო ნათესავები, რომლებიც მიიღებენ თავიანთ თავზე მათი კეთილსინდისიერების შესახებ პასუხისმგებლობას, შინაგან საქმეთა მინისტრთან და ჟანდარმის შეფთან შეთანხმებით, გადასახლებულნი იქნან ვიატკის, ვოლოგდის და ოლონეცკის გუბერნიების სხვადასხვა მაზრის ქალაქებში...

დაბალი, III, II, I კურსისა შემდეგ სტუდენტებს (თანდართული №№ 2, 3, 4 სიის მიხედვით 192 კაცს) გაუკეთდეს მკაცრი შთაგონება არეულობაში მონაწილეობისათვის დანაშაულის შესახებ, ასევე ზომა სასჯელისა, რომლითაც დაისჯებიან ისინი... და ნება დაერთოთ, ორი კვირის ვადაში ან მიიღონ მატრიკულები, ანდა დაბრუნდნენ სამშობლოში...

9. პასუხისგებაში მიცემულ პირთაგან ჩამორთმეული ქაღალდების გასარჩევად შედგეს განსაკუთრებული კომისია III განყოფილებასთან არსებული მისი უმაღლესობის საკუთარი კანცელარიის ჩინოვნიკებისაგან. გენერალ ადიუტანტ დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით და მისი უახლოესი შეხედულებით, რომელიც მისცემს კომისიას სათანადო დარიგებას.

10. შესრულება მისი უმაღლესობის ბრძანებისა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ-ადიუტანტ დოლგორუკოვთან და ს. პეტერბურგის სამხედრო გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით. ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი, სტატსეკრეტარი, გრაფი პანინი“ [1].

ამ ბრძანებაში წარმოდგენილი მუხლების შესრულებას ადასტურებს მეფე-იმპერატორი ალექსანდრე მეორე. „На подлинном собственною ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЕЛИЧЕСТВА рукою написано „исполнить“ [2].

ასე მკაცრად გაუმასპინძლდა მეფე-იმპერატორი და მისი მინისტრები მეამბოხე სტუდენტებს და, განსაკუთრებით, მათ მეთაურებს. მაგრამ საინტერესოა ის, რომ ამბოხების ჩვენთვის უკვე ცნობილ მოთავეთა და აქტიურ მონაწილეთა: ნეკლიუდოვის, უტინის, ლებედევის, ლიმონოვის, კარამიშევის, ნოვოპაშენის და სხვათა შესახებ ბრძანებაში არაფერია ნათქვამი. შესაძლებელია, ამათი საქმე, როგორც უფრო მძიმე დამნაშაულებისა, ცალკე იყო განხილული. ჩვენ ეს საქმე არ შეგვხვედრია დოკუმენტების ძებნის დროს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც განცვიფრება გამოუწვევია სტუდენტთა შორის ამბოხების ზოგიერთი მეთაურის მკაცრი სასჯელის გარეშე დატოვებას. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე წერს: „ყველა გააოცა იმ ამბავმა, რომ უმთავრეს „მეამბოხეებად“ ჩაეთვალათ არა უტინი, ნეკლიუდოვი და სხვა ორატორები ჩვენი მიტინგებისა, არამედ თითქმის ყველასათვის უცნობი უმაღლესი კურსის სტუდენტები: გენი, გერიკე, პოკროვსკი, სფენკელი და მიხაელისი. რასაკვირველია, ისინიც არ იყვნენ უმანკო აბრაამის ბატკნები, მაგრამ ყველას გვაოცებდა, თუ რითი იყო გამოწვეული, რომ მხოლოდ მათ დაატყდათ სასჯელის მთელი სიმძიმე“ [3]. ამრიგად, მეამბოხე სტუდენტები მკაცრად დაისაჯნენ. მაგრამ არა მარტო მეამბოხეები, არამედ ისინიც, რომლებსაც დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან უნივერსიტეტის დახურვის გამო ყველა სტუდენტი გარიცხულ იქნა. ამ მკაცრი ღონისძიების შედეგად ახალგაზრდობის დიდი არმია დარჩა ქუჩაში.

ქუჩაში დარჩენილი ახალგაზრდები უნივერსიტეტის გახსნას მო-

[1] Г. И. А. Л. О. фонд № 14, дело № 19, связка № 5899, опись № 25, год 1861, გვ. 2—5.

[2] იხ. იქვე.

[3] ნ. ნიკოლაძე. ტ. I, გვ. 119.

ითხოვდნენ. მმართველი წრეები სერიოზულად დაიფიქრა სტუდენტების სამართლიანმა მოთხოვნამ, რადგან, როგორც ვიცით, სტუდენტები მარტონი არ იყვნენ, მათ ზურგს უმაგრებდა მასების დიდი ნაწილი და მებრძოლი ინტელიგენცია. ამას ემატებოდა საერთოდ გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა — გლეხთა მასობრივი აჯანყებები და რუსეთის განაპირა გუბერნიებში ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობანი. ამ დროს სატახტო ქალაქში, პეტერბურგში, ინტელიგენციის მღელვარებას მაინც ერთგვარი მნიშვნელობა ექნებოდა და ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო.

1862 წელს გაიხსნა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, რადგან ამ ფაკულტეტის სტუდენტები განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. რუსეთის არც ერთ უნივერსიტეტში ასეთი ფაკულტეტი არ არსებობდა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მათ სწავლის გაგრძელება არ შეეძლოთ.

განათლების მინისტრის მიმართვაში (1862 წლის 26 იანვრის თარიღით) უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ნათქვამია:

„მინისტრთა საბჭოში ჩემი მოხსენების გამო ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვის აუცილებლობაზე... უდიდესმა მბრძანებელმა ნება დართო... გახსნილ იქნას ამჟამად აღმოსავლური ენების ფაკულტეტი...“ [1].

იმავე 1862 წელს მეფე იმპერატორის ნებართვით უნივერსიტეტში გაიხსნა, აგრეთვე, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

„განათლების სამინისტროს მმართველის მინისტრთა საბჭოში წარდგინების საფუძველზე ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ მეფე იმპერატორმა ნება დართო...

„1. მიენდოს სტატ სეკრეტარს გოლოვნინს მიმდინარე წლის შემოდგომაზე გახსნას უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი იმავე საფუძველზე, რომელზედაც გაიხსნა აღმოსავლური ენების ფაკულტეტი“ [2].

ამავე ბრძანებაში ნათქვამია, რომ სხვა ფაკულტეტების გახსნა გადაიდოს 1863 წლის შემოდგომამდე. ამასაც ხელს აწერს იმპერატორი ალექსანდრე II.

„На подлинном собственною ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЕЛИЧЕСТВА рукою написано: „Исполнить“. Царское село 10 Іюня 1862 года...“

---

[1] ც. ს. ა. ლ. ი. ფონდ № 611, ანაწერი № 45, წელი 1862, გვ. 1.

[2] ც. ს. ი. ა. ლ. ფონდ № 733, წელი 1862 აღწერა № 27, საქმე № 505, გვ. 44.

ორი ფაკულტეტის გახსნის შემდეგაც სტუდენტების დიდი ნაწილი დარჩა უნივერსიტეტის გარეთ. ისინი სწავლის გაგრძელებას მოითხოვდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მიმართაც ერთგვარ კომპრომისზე წავიდა მთავრობა. მართალია, ფაკულტეტები არ გახსნეს, მაგრამ საჯარო ლექციების მოწყობის ნებართვა მისცეს, რაც არსებითად უნივერსიტეტის კურსის გაგრძელებას წარმოადგენდა. სტუდენტებმა თხოვნით მიმართეს რადიკალურად მოაზროვნე, მათთვის საყვარელ პროფესორებს და ოფიციალური უნივერსიტეტის ნაცვლად, ქალაქის დარბაზში დაიწყეს ოპოზიციურად განწყობილმა პროფესორებმა საჯარო ლექციების კითხვა. ამ ლექციების მსმენელები იყვნენ მხოლოდ უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტები.

საჯარო ლექციების შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის კირილე ლორთქიფანიძე.

„პეტრეს დარბაზში დაიწყეს პუბლიკური ლექციების კითხვა ყველა ფაკულტეტის პროფესორებმა და ამას გარდა სამმა კაცმა. პროფესორებმა ვინც დაიწყეს, ყველამ ასე გამოაცხადა პირველ ლექციაზე, რომ თუმცა ჩვენ ვკითხულობთ პუბლიკურ ლექციებს, მაგრამ სახეში უფრო გვყავს ის მსმენელები, რომლებიც ყურს გვიგდებდნენ წარსულ წელს უნივერსიტეტში (ესე იგი გამორიცხული სტუდენტებიო) და ამისთვის ჩვენი ლექციები იქნებიან უნივერსიტეტის კურსის გაგრძელებაო.

უნდა გიამბო, რომ ჩვენ (სტუდენტებს) გვყავდა ამორჩეული რამდენიმე დეპუტატები, რომლებიც წავიდნენ და სთხოვეს უკეთეს პროფესორებს, რომ მათ ეთხოვათ მინისტრისაგან ლექციების წაკითხვის ნება. მან მისცა. ეხლა კითხულობენ ლექციებს შემდეგნი: ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები: კოსტომაროვი, პავლოვი, სტასიულევიჩი, ბლაღოვეშჩენსკი, შეიმანი, იურიდიულის: კაველინი, სპასოვიჩი, უტინი, ანდრეევსკი, ივანოვსკი, გორლოვი. ბუნებითი საგნების: სოკოლოვი, მენდელეევი, ფომიცინი, ბეკეტოვი, სოვეტოვი, გადოლინი, ბუზირიევსკი. ამას გარდა კიდევ გარეშე კაცები: სეჩენოვი (ცხოველთა ფიზიოლოგიის) პროფესორი მედიკური აკადემიისა, ლოხვიცკი (Энциклопедия Законоведения), კალინოვსკი (Финансовое право). ასე კითხულობენ 21 კაცი. კიდევ მოემატებიან მალე მათემატიკური ფაკულტეტის პროფესორები, ორი მაინც უსათუოდ: სომოვი და ჩებიშევი, დღეში კითხულობენ ექვს ლექციას. სხვადასხვას... არის რაღა უნივერსიტეტი, მაგრამ არა აფიციალური. ესენი იკითხვენ

შუა აპრილამდის. — ერთად ყველა ლექციების ფასი თითო საგანზე არის... ორ-ორი, თუ თითო მანეთი და თუ ერთად არ იყიდი, ერთჯერ შესვლა 25 კ. სტუდენტების მეტ ნაწილს აქვს უფასო ბილეთი, რომლითაც შეუძლიათ ყოველთვის, ყველასთან მივიდეს (მეც მაქვს)... კოსტომაროვის ლექციების ორ-ორ მანეთიანი ბილეთი იყო დებეჭდილი 600 ც. ყველა გაიყიდა. კიდევ ბევრი თხოულობს, ასე რომ კიდევ უნდა დაიბეჭდოს 600 ც. მაშასადამე, მუდამ მის ლექციებზე იქნებიან 1000 კაცი (რადგან ამ უფასო ბილეთების მქონებელნი იქნებიან იმისთანეები, რომლებიც ისტორიას შეიძლება არ უგდებდნენ ყურს). ამას გარდა, მის ლექციებზე ყოველთვის გაიყიდება ხუთშაურიანი ბილეთები 30 მანეთამდის, ისე რომ უშველებელი ზალა დუმისა გატენილია... ზალები, რასაკვირველია, უფასოდ არის ნათხოვარი..." [1].

ასე მოწყურებული დაეწაფნენ უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტები საჯარო ლექციებს. საინტერესოა ისიც, რომ საჯარო ლექციები ნაკლებად იყო შეზღუდული მესამე განყოფილების მოხელეებისაგან და თავისუფლად მოაზროვნე პროფესორები და ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტები შედარებით, უკეთეს პირობებში გრძნობდნენ თავს. მებრძოლი, რადიკალური იდეების ახალგაზრდობაში დასანერგავად ეს ლექციები უფრო ხელსაყრელი იყო, ვინემ ოფიციალურ უნივერსიტეტში მრავალმხრივი მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ წაკითხული ლექციები.

უდავოა, რომ უნივერსიტეტის შემდეგ ამ ლექციებმა დიდი როლი შეასრულეს მომავალი თაობის რევოლუციური იდეებით აღზრდის საქმეში. ქართველი სტუდენტებიდან საჯარო ლექციების აქტიური და სისტემატური მსმენელები იყვნენ კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. ამას ამტკიცებს როგორც ზემოთ მოტანილი კირილე ლორთქიფანიძის კერძო ბარათები, ასევე ნ. ნიკოლაძის მოგონება. ნ. ნიკოლაძის მოგონებაში საჯარო ლექციების შესახებ აღნიშნულია:

„...უფროსმა სტუდენტებმა გამოითხოვეს თავ. სუვოროვისაგან ნებართვა საჯარო კითხვათა კურსების გახსნისა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. თითქმის ყველა ჩვენმა დათხოვნილმა პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საჯარო კითხვებში, ე. ი. განაახლეს თავისი უნივერსიტეტის კურსები... ყოველი ჩვენგანი

---

[1] ქუთაისის მუზეუმი — კ. ლორთქიფანიძის არქივი, დოკუმენტი № 61 (ძველი აღწერით).

უსმენდა დღეში ორ-სამ ლექციას მაინც, სწორედ ისე, როგორც უნივერსიტეტში...“ [1].

ნ. ნიკოლაძის აქ მოტანილი სიტყვები: „ყოველი ჩვენგანი უსმენდაო...“ იმას ადასტურებს, რომ თვით ნ. ნიკოლაძეც ისმენდა ამ ლექციებს. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. ნიკოლაძის მოგონების სტრიქონები საჯარო ლექციების გახსნისა და მისი ხასიათის შესახებ არსებითად ემთხვევა კირილე ლორთქიფანიძის კერძო ბარათში წარმოდგენილ ფაქტებს. ეს მომენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ნ. ნიკოლაძის მოგონების დოკუმენტალურ სიზუსტეს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართველი ახალგაზრდები, სხვებთან ერთად, ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ იმისათვის, რათა შეესწავლათ მოწინავე მეცნიერება და დაუფლებოდნენ მებრძოლი ინტელიგენციის თავისუფალ აზროვნებას. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ მსხვერპლს და ყოველთვის ცხოვრების მღელვარე ტალღების ცენტრში ტრიალებდნენ.

ისინი ცოდნასა და გამოცდილებას იძენდნენ როგორც უნივერსიტეტის კედლებში, ისე პეტერბურგის ბობოქარ ქუჩებში, რედაქციებში, ჩერნიშევსკის ოჯახში, სააქტო და საჯარო დარბაზებში, მიტინგებზე, ციხის კედლებში, ჯარისკაცებთან და პოლიციელებთან დავაში, საბრალმდებლო დაკითხვების დროს და სხვა.

ისინი რუსეთის მოწინავე კულტურასა და იდეოლოგიას დაეუფლნენ აკრძალული წიგნებით, პროკლამაციებით, ჟურნალ-გაზეთებით, ლექციებით და სამოციან წლებში იდეურად ჩამოყალიბებულნი, პოლიტიკურად მომწიფებულნი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი ჯგუფი, თერგდალეულების სახელწოდებით, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დაიძრა მშობლიური ქვეყნისაკენ. მათი საზოგადო ასპარეზზე გამოსვლით დაიწყო ახალი ხანა ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში.

(შემოვიდა რედაქციაში 15. X. 1954)

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 126.

К. Н. МЕДЗВЕЛИЯ

ПЕТЕРБУРГСКИЙ УНИВЕРСИТЕТ В ШЕСТИДЕСЯТЫХ ГОДАХ И СТУДЕНТЫ-ГРУЗИНЫ

Резюме

Влияние русской передовой культуры и мысли в особенности усиливается в Грузии с шестидесятых годов XIX столетия.

Шестидесятые годы в истории России представляют собой период подъема революционного движения. В это время чувствуется большая политическая напряженность, чему способствовали поражение в Крымской войне, обманчивый характер реформы и проникновение революционных идей в массы.

С шестидесятых годов большая группа грузинской молодежи едет в Петербург для получения высшего образования.

Эту молодежь интересовали лекции профессоров, но еще больше она увлекалась боевыми идеями революционных писателей и мыслителей.

Студенты-грузины были связаны с передовой молодежью России, Украины, Белоруссии, Польши и других стран, и все они лично испытывали большое влияние Чернышевского и „Современника".

Революционное мышление крепко обосновалось в стенах университета. Правительство решило установить суровый режим в университете. Были упразднены студенческие кружки, кассы взаимопомощи, земства. Студентам было воспрещено устраивать собрания и по какой-либо причине скопляться в аудиториях университета. Были упразднены форма студенческой одежды, отличительные знаки, курительная и закусочная комнаты. Также были упразднены привилегии студентов перед правительственными чиновниками. Был введен матрикул новой системы, в котором были сформулированы по параграфам обязанности студентов. Был учрежден университетский суд, который имел право очень строго наказывать студентов.

Под строгим контролем полиции находились также студенты в квартирах, где они проживали. Без разрешения полиции житель Петербурга не имел права поместить студента в своей квартире.

Студенты отвечали на репрессии правительства еще большим противодействием. Они тайно читали нелегальную литературу, распространяли и иногда сами составляли прокламации, устраивали диспуты и публичные выступления.

Особенно с большими волнениями начался 1861 учебный год. Студенты заявили массовый протест против получения нового матрикула, начали устраивать митинги в актовом зале и читать прокламации. Из-за этого правительство закрыло университет 24 сентября. Это больше взволновало оставшихся на улице студентов. Они устраивали на улицах демонстрации, митинги на скорую руку; происходили стычки между студентами и солдатами. Рукопашные схватки часто принимали острый характер. Следует отметить и то, что правительство не смело принимать решительные меры, так как император Александр II находился в Грузии, в Кутаиси, и в случае осложнения дела ответственность несли министры. Поэтому студенческие волнения на улицах Петербурга в первые дни не встречали большого противодействия со стороны правительства.

12 октября солдаты Преображенского и Финляндского полков вместе с полицейскими арестовали у дверей университета несколько сот студентов. Во время ареста снова завязалась рукопашная схватка между студентами и солдатами. Некоторые из них получили серьезные повреждения. Среди арестованных было 11 студентов-грузин: Василий Саванели, Авель Чолокашвили, Давид Гогоберидзе, Давид Абдушелишвили, Петр Алхазашвили, Кирилл Лордкипанидзе, Георгий Джавахишвили, Георгий Церетели, Яков Исарлишвили, Нико Николадзе и Виссарион Гогоберидзе.

Через неделю арестованных перевели из Петро-Павловской крепости в Кронштадт. Всего было арестовано до 500 студентов.

Для изучения дела арестованных студентов была выделена специальная комиссия. По приказу министра юстиции были наказаны некоторые главари студенческого мятежа. Они были сосланы в отдаленные губернии. Также строго были наказаны активные участники волнений, студенты четвертого курса; они тоже были сосланы под строгим надзором полиции в уездные города отдаленных губерний. Студентов младших курсов освободили под ручательством.

В материалах комиссии, вместе с другими, помещены материалы следствия по делу грузин-студентов, протоколы допроса, акты обыска квартир и др.

Как выясняется из этих материалов, несмотря на неопытность большинства студентов-грузин, они твердо держат себя с чиновниками III отделения, а иногда обвиняют само правительство в грубом отношении к молодежи.

Университет закрыли и исключили всех студентов. Оставшиеся на улице студенты требовали открыть университет. В первый год открыли факультет восточных языков, во второй год — физико-математический факультет, но большая часть студентов всё же оставалась вне университета, что представляло некоторую опасность для правительства, так как студенты не были одиноки, их поддерживали передовая интеллигенция и значительная часть трудовой массы. Вследствие этого правительство было вынуждено разрешить студентам устраивать публичные лекции. Лекции читали, главным образом, уволенные из университета, радикально мыслящие профессора. Публичные лекции имели большое значение в деле вооружения студентов передовыми идеями.

Эти профессора еще больше углубляли в них революционные идеи. Публичные лекции из студентов-грузин слушали Кирилл Лордкипанидзе, Нико Николадзе и др.

Таким образом, как видим, молодые грузины со всей энергией взялись вместе с другими студентами за глубокое изучение передовой науки и за овладение революционной идеологией Белинского, Герцена, Чернышевского, Добролюбова, Некрасова, Писарева и других.

Для достижения этой цели они не останавливались ни перед какой жертвой и всегда вращались в центре бушующих волн жизни. Они приобретали знания и опыт как в стенах университета, так и на волнующихся улицах Петербурга, в редакциях, в актовых и публичных залах, в стенах тюрьмы, различных спорах и дискуссиях. Они овладели передовой культурой и мышлением России чтением запрещенных книг и журналов, посредством прокламаций, газет, лекций и др. И вот, в шестидесятых годах большая группа писателей и общественных деятелей, известная под названием „Тергдалеули", сформированная, идейно подготов-

ленная политически, под руководством Ильи Чавчавадзе, двинулась к родной земле. Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Георгий Церетели, Нико Николадзе, Кирилл Лордкипанидзе и др. впервые приблизились к революционному учению Чернышевского и „Современника".

Студенты-грузины во главе с русской молодежью в Петербурге подняли в первый раз знамя борьбы за свободу. И эту славную традицию „Тергдалеули" в шестидесятых годах прочно внедрили в грузинскую почву, чем способствовали развитию революционного мышления у нас. Все эти вопросы изучены на материалах архивов Ленинграда и Ленинградской области.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIII, 1955.

დ. გრიგაძე

სილოვან ხუნდაძის წერილები იაკობ გოგებაშვილისადმი

სილოვან თომას-ძე ხუნდაძე ქუთაისის მკვიდრია. მართალია, იგი გურიაში დაიბადა, მაგრამ ქუთაისში დამკვიდრდა და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი აქვე გაატარა.

ქუთაისის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ს. ხუნდაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის განვითარების საქმეში. იგი იყო თავისი ერის ჭირისა და ლხინის მოზიარე. შესანიშნავი პედაგოგი, გრამატიკოსი, კრიტიკოსი და პოეტი.

სილოვანი თავისი საქმის ღრმა ცოდნით უნერგავდა მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარულს, ყოველნაირად ცდილობდა პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილი თაობები აღეზარდა. ამის ნიადაგზე მას მრავალი ინციდენტი ჰქონია მეფის მთავრობის ბიუროკრატ მოხელეებთან და არა ერთხელ დასჯილა კიდეც. მაგალითად, ცნობილია, რომ ს. ხუნდაძე რამდენიმე წლის განმავლობაში უმუშევარი იყო და თავის საყვარელ გიმნაზიაში იგი მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დააბრუნა.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სილოვანი დაუღალავად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, არავის წინაშე არ იხევდა უკან. გადმოგვცემენ, რომ სილოვანი გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებსაც კი შედავებია, თუ სიმართლე მის მხარეზე ეგულებოდა.

ქართული ენის გრამატიკის საკითხებს მიუძღვნა სილოვანმა თავისი ნაშრომები: „ქართული ზმნები", „სალიტერატურო ქართული", „ქართული გრამატიკა", „ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი სკოლებისათვის", „ქართული მართლწერა", „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები" და სხვ.

მართალია, სილოვანის მიერ დადგენილი გრამატიკული ნორმები ახლა უკვე განვლილ ეტაპად ითვლება და ზოგი რამ მაშინაც არ იყო ზუსტი, მაგრამ ამ ნაშრომებს იმ დროისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თავისი კალამი სილოვანმა პოეზიაშიაც სცადა და არა ერთი და ორი საყურადღებო ნაწარმოები შექმნა. გარდა ამისა, იგი ხშირად ათავსებდა კორესპონდენციებს პერიოდულ გამოცემებში („დროება", „ივერია", „კვალი", „ცნობის ფურცელი", „შრომა", „განათლება" და სხვ.).

ს. ხუნდაძეს ახლო შეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქართული პედაგოგიკის კლასიკოს იაკობ გოგებაშვილთან, მიაჩნდა იგი ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ პიროვნებად, მას უზიარებდა, თავის მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით ქართული ენის შესახებ, მისგან რჩევა-დარიგებას ღებულობდა და და ხშირად ამის თაობაზე მასთან მიმოწერას აწარმოებდა.

ასეთი წერილები აღმოჩნდა ი. გოგებაშვილის არქივში (აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდი A 1745/8). რადგანაც ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის შესწავლისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადო მოღვაწეთა ურთიერთმიმოწერას, ჩვენ გადავწყვიტეთ გამოგვექვეყნებინა ეს 11 წერილი[1].

ეს წერილები თავიანთი პირდაპირობით მეტისმეტყველურად ახასიათებენ სილოვან ხუნდაძის პიროვნებას, გვაგრძნობინებენ ამ საზოგადო მოღვაწის განცდებს, სურვილებს და განწყობილებას.

წერილები გადმოღებულია ს. ხუნდაძის ავტოგრაფებიდან. ჩვენ ავტორის მართლწერა უცვლელად დავტოვეთ; შევასწორეთ მხოლოდ რამდენიმე ლაპსუსი: სადაც ასო აკლდა, ჩავუმატეთ და კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით.

წერილთა უმრავლესობა თარიღიანია.

ადვილი შესაძლებელია, კიდევ აღმოჩნდეს ს. ხუნდაძის მიერ ი. გოგებაშვილისადმი მიწერილი წერილები ჩვენს სიძველეთსაცავებში.

---

[1] ეს მით უფრო აუცილებლად გვეჩვენება ახლა, როდესაც უკვე გამოქვეყნებულია ი. გოგებაშვილის წერილები სილოვან ხუნდაძისადმი და ზოგი მათგანი ჭეშმოთ მოყვანილი წერილების პასუხია. იხ. ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), თბილისი, 1951 წ.

დიდათ პატივცემულო

ბ. იაკობ!

თქვენ წაკითხული გექნებათ ჩემი შენიშვნა „ცნობ. ფურც."-ში ქართული ენის შესახებ. ყოველს ჩემს ნაწერს თავიდანვე ეს იღბალი დაყვა: ან მიწასთან უნდა გაასწორონ და ან უნდა წაიყრუონ... სხვას ყველაფერს თქვენი ჰირი წაუღია, მაგრამ ქართული ენისადმი უყურადღებობა განსაკუთრებით მიწყლულებს გულს — და ამიტომ ვბედავ — გამოგესაუბროთ ამ საგნის შესახებ.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევენ ენის ფორმებს, საზოგადოთ ჩვენი ენის სიწმინდეს, კანონიერობას. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მეთაურობას ხშირათ იმისთანა პირები კისრულობენ, რომელთაც ქართული ენა და მწიგნობრობა ძალიან ნაკლებათ იციან... ჩვენ მთავრობას იმას ვუსაყვედურებთ, რომ სამშობლო ენას არ გვასწავლიანო, და ნუ თუ იქ, სადაც ჩვენ თავისუფალი ვართ, გვეპატიება, რომ ჩვენს საზოგადოებას ენა ავუჩრელოთ უცხო ენის ფორმებითა და გამოთქმებით. უკეთ ვსთქვათ დავივიწყოთ ნამდვილი, ღვიძლი ენა?! ჩვენი ენის შკოლა — ჩვენი მწიგნობრობაა (აბა სასწავლებლებში სადღაა ქართული ენა?!) და ამითაც თუ ვერ ვისარგებლებთ, რაღა საყვედური გვეთქმის მთავრობაზე?!

„ცნობ. ფ—ში" დაბეჭდილი ჩემი შენიშვნა შეეხებოდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ერთს მრავალთაგანს რუსიციზმს (ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ტასო აბაშიძე და მზგ. სხვ.), და ძალიან სასურველია თქვენი აზრი გავიგო ამ საგნის შესახებ. თუ რაიმე მიზეზით არ ისურვებთ — გაზეთის საშვალებით გამრსთქვათ თქვენი აზრი, გთხოვთ — კერძოთ როგორმე მაცნობოთ ორიოდე სიტყვით, როცა მოიცალოთ.

დავშთები თქვენი გულწრფელათ

პატივისმცემელი

სილოვ. თ. ხუნდაძე

ქუთაისი, 6 დეკემბერს, 1902 წ.

დიდათ პატივცემულო

ბატონო იაკობ!

დიდი ხანია ვიცი, რომ გულშრფელათ შეგტკივათ გული ჩვენი ეროვნული საქმეებისა და საზოგადოთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, და ამიტომაც თქვენი ჩემდამი მოწერილი ბარათიც სავსეა საზოგადოებრივი გულმტკივნეულობით[1]... მართლაც და სავალალო ის არის, რომ ჩვენს უიმისოთაც შერყეულ ციხეს. მტრებისაგან გარშემორტყმულს, შიგნით ყავს ხშირათ უგუნური დამცველნი და კიდევ უფრო ხშირათ მოღალატე ღვიძლი შვილნი... დღემდი ჩვენს შორის ათასში და ათიათასში ერთს არ აქვს შეგნებული ის გარემოება, რომ ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფი ხალხის ეროვნების დასაცავათ უპირველესი საშუალება ენის დაცვაა, და, მაშასადამე, ამ წმინდა საგნისათვის არ უნდა დავზოგოთ არავითარი ღონისძიება... ჩვენ კი რასა ვშვრებით? თვით ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი, თვით ჩვენი ლიტერატორნი მუდამ უცხო ენას აჰკჟიკებენ, თითქო თავს იწონებენ უცხო ენითო, და ამ სახით აქეზებენ და ათამაშებენ უმცროს თანამოძმეებს, თავის მსმენელებს, პრბოს, რომ ისინიც მათებურათ მოიქცნენ, და მართლაც — ისინიც ბაძვენ თავის მეთაურ მოძღვრებს — და აჰრელებენ საბრალო ქართულ ენას საშინელი ბარბარიზმებით... ჩემს უკანასკნელ წიგნშიც[2] ვამბობ და აქაც უნდა გავიმეორო, რომ შკოლების იმედი ტყუილათ გვაქვს. ჯერ საათნაურო შკოლებშიც ვერ მოგვიხერხებია, რომ რიგიანათ დავაყენოთ ქართული ენის სწავლების საქმე, რადგან არც დრო გვაქვს ბევრი ამისთვის (განსაკუთრებით პირველ კლასიდან დაწყებული) და არც შეგვიძლია, რომ სხვა საგნები ქართული ენის საშუალებით ვასწავლოთ... ამას შემდეგ რა უნდა მოვსთხოვოთ მთავრობის სასწავლებლებს, სადაც კვირაში თითო ვაკვეთილია და ისიც მეექვსე?! რასაკვირველია, გვმართებს ზრუნვა იმისთვის, რომ შკოლებშიც გავაუმჯობესოთ ქართული ენის სწავლება, გავაფართოოთ მისი ფუნქება, — მაგრამ კიდევ მეტი ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რომ თვით ჩვენმა ოჯახებმა, თვით მშობლებმა, თვით საზოგადოებამ შეიგნოს თავისი სამშობლო ენის დაცვის საჭიროება: თვით მშობლებმა იზრუნონ — ოჯახშივე შეასწავლონ თავის შვილებს სამშობლო ენა... ამ მიზნით მოველაპარაკე რამდენ[ი]მე გავლენიან ქართველ ოჯახს, და ამ მოკლე ხანში გვინდა შევკრიბოთ ქუთათური ქართველი ოჯახების წარმომადგენელნი, განსაკუთრებით გადაგეარების გზაზე დამდგარი ოჯახებისა,

და ავუხსნათ მათ ეს საგანი; გვინდა დავაარსოთ წრე, რომელმაც უნდა იკისროს საშინაო ქართული ბიბლიოთეკის დაარსება, მუქთათ რიგიანი ქართული წიგნების კითხვის სურვილი აღვუძრათ პაწია ქართველებს; მასთან უნდა ვიზრუნოთ, რომ, გავავრცელოთ შეძლებულ ოჯახებში ქართული ენის მასწავლებელთა დაქირავება. — ჩემი აზრით, არ შეგვიძლია საფუძვლიანათ ვუთხრათ მთავრობას საყვედური, ან მოვსთხოვოთ უფლებანი ჩვენი ენისათვის, როდესაც თვით ჩვენი თანამოძმენი გულგრილად ეპყრობიან ამ საქმეს, როცა თვით ჩვენი საზოგადოების დიდ უმრავლესობას ფეხზე კიდია ჩვენი ენა და ჩვენი მწერლობა...

მთავრობის სასწავლებლები საესეა მშობელთა თხოვნებით: გთხოვთ — ჩემს შვილს ქართულს ნუ ასწავლითო!.. აი რას უნდა წამლობა; ჯერ თვით ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, და მერე სხვებიც პატივისცემით მოგვეპყრობიან. როცა ბანკის წევრთა კრებაში მოვითხოვე, ქართულათ ვილაპარაკოთ მეთქი, თვით ჩვენი მოღვაწენი (კირილე ლორთქიფანიძე[3], დავით წულუკიძე და სხვ.) შემებენ პირში: რას ჩაგვაცივდი, სულ ერთია — ჩემს აზრს რა ენაზედაც გამოვსთქვამო!..

არაოდეს არ დამავიწყდება ნიკო ნიკოლაძის[4] სიტყვები, რომელიც მან ერთს პატარა წრეში დიდი რიხით წარმოსთქვა (მაშინ მე ახლათ კურსდამთავრებული ვიყავი): „სულ ერთია, მამაო ჩვენოს რა ენაზედაც წავიკითხავთ: ქართულათ, გინდ რუსულათო!“...

ღმერთო ჩემო! ნუ თუ კიდევ საბუთებია საჭირო იმისათვის, რომ ეგ სული ერთი არ არის?! არა, ამისთანა აზრების წარმოთქმა ან უგუნურობაა და ან უსინდისობა... პეტრე დიდი ამბობდა: „რა უნდა გავაწყო, როცა მე ერთი მთის მწვერვალისაკენ მივათრევ დიდ ტვირთს საშინელ აღმართშიო, და ათასობით კი კალთაში ჩამფრენიან და თავდაღმართისაკენ მიქაჩაებენო?!“

პეტრე დიდი იმპერატორი იყო, ქვეყნის მბრძანებელი, და ბოლოს მაინც მია[ღ]წია თავის წადილს; ჩვენში კი თქვენისთანა მებრძოლი სანთლით არის საძებარი, და როცა მბრძანებლობაც თქვენს ხელთ არ არის და ათიათასობით ხელის შემშლელი გყავთ, როგორღა უნდა ზიდოთ ტვირთი მთის მწვერვალისაკენ?! „მაგრამ, ჰოი გმირნო, ნუ შეშფოთდებით! თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით!“ ეს მინდა გითხრათ თქვენ და თქვენთან ერთათ ჩვენთ გულწრფელ მოღვაწეთა მცირე გუნდს...

ცაგარეიშვილსა და კელენჯერიძეს პირადათ ვერსად შევხვდი, გარეშე პირებს კი არ გაუგონიათ ის ხმა, რაზედაც თქვენ იწერე-

ბით[5]... რაც შეეხება ზუგდიდისა და სენაკის მარშლების განზრახვას, რაიცა გაზეთშიც იყო გამოთქმული, ვეცთებით — მომავალ კრებაზე განახორციელონ ეს განზრახვა...

იმ წინადადების დასამატებლათ, რაზედაც ზევით ვსწერ (ქართველთა ოჯახებში ქართული ენის სწავლების შესახებ) გვინდა დავაარსოთ საყმაწვილო წიგნების მთარგმნელთა წრე. როგორც მოგეხსენებათ, საყმაწვილო წიგნები ცოტაა ჩვენს მწერლობაში და არ ყოფნის საკითხავათ კითხვის მწყურვალთ; ამიტომ გვინდა შევკრიბოთ თითო აბაზობით საზოგადოებაში ფული, რომ სასყიდელი მივსცეთ რიგიან მთარგმნელებს და მასთან წინდაწინ შევაგროვოთ ხელისმოწერით წიგნების საფასი და ამრიგათ გამოვსცეთ. „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო". როცა მეტი საშვალება არა გაქვს, ასე გაჭირვებით უნდა ვსწიოთ უღელი, — მეტი რა გზაა?!

დავშთები მარად თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

ს. თ. ხუნდაძე

19 $\frac{26}{XII}$ 02 წ.

დ ი დ ა თ პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ბ ა ტ ო ნ ო ი ა კ ო ბ!

მოგილოცავთ ახალ წელიწადს; გულით ვისურვებ, რომ პირადათ თქვენთვის და საზოგადოთ ჩვენი ხალხისათვის მას მიენიჭებოის სიამოვნება, კმაყოფილება, შესაძლებელი ბედნიერება.

ნება მომეცით, ამ წერილით მოვათავო თქვენი წერილის პასუხი. წუხელის დეკანოზი ცაგარეიშვილი ვნახე და აი რა მითხრა თქვენ მიერ მოწერილი ცნობის შესახებ: „მთავრობა შემოგვეკითხა ახალი წესების მიხედვით, თუ რომელ კუთხეში რა ენაზე უნდა წარმოებდეს სხვადასხვა საგნების სწავლებაო, და ჩვენ ვუპასუხეთ: როგორც ოდიშში, ისე სვანეთში ყველასათვის საერთოთ ქართული ენა უნდა იქნეს რუსულ ენაზე გადასასვლელი საშვამდგომლო ენაო, რადგან ერთნაირათ ყველასთვის გასაგები და მასთან საეკლესიო ენა ქართული ენააო. ჯერჯერობით ეს კითხვა არ გაგვიმწვავებიაო, და თუ ძალა დაგვატანეს, მაშინ უფრო ავამაღლებთ ხმასო". ეს მითხრა წუხელის დეკანოზმა ცაგარეიშვილმა, და საჭიროთ ვრაცხ — გაცნობოთ ეს პასუხი. რაც შეეხება ჩვენი ენის ფორმებსა და გრამატიკულ კანონებს, სამწუხაროთ, ვერ ვეთანხმები თქვენს შეხედულებას იმათ შესახებ. თქვენ ამბობთ: „იმერული კილო ეტანება

ორაზროვნებას, ამერული კი გაურბის მასო". მე მგონია, არც ერთი კილო არ ეტანება ორაზროვნებას, ორაზროვნება ორივე კილოში მოიპოება მეტნაკლებობით (მაგალითათ, ამერეთში ამბობენ საქმე დაუწყვია, საქმის დაწყობა მინდაო და სხვ. მე აქ მოველი, შენ სოფელში მიბველიო და სხვ. და სხვ.) ამ სახით, ორაზროვანი ფორმები ბლომათ მოიპოვება ორივე კილოში, და, მაშასადამე, ამერულ-იმერულობით კი არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, არამედ იმით, თუ რომელი ფორმაა უფრო მუსიკალური...

მე ჩემს წიგნში ბევრი იმერული ფორმა მაქვს უარყოფილი და ბევრი ამერული, და ყველას შესახებ შეძლებისდაგვარათ მოყვანილი მაქვს საფუძვლები. ვერც იმაში გეთანხმებით, თითქო კილოებზე სჯა ბაასი ეროვნულ განხეთქილებას ჩამოაგდებსო. აუცილებლათ საჭიროა — ერთგვარი ლიტერატურული ფორმები შემოვიღოთ, ერთნაირი კილო დაფუძნდეს — და თუ ერთმანეთის გაჯავრების შიშით ხმა არ ამოვიღეთ, როდისღა ვეღირსებით ენის გაერთიანებას?!..

დავშთები მარად თქვენი პატივისმცემელი

სილოვან ხუნდაძე

ქუთაისი 3 იანვარს 1903 წელს.

დიდათ პატივცემულო ბატონო

იაკობ!

პასუხი იმიტომ დამიგვიანდა, რომ კ. მაჭავარიანი აქ არ იყო; ეს არის დაბრუნდა ოზურგეთიდან, ვნახე და გამოვკითხე თქვენი მიწერ-მოწერის შესახებ — მთავრობამ განიზრახა გამოსცეს ქრისტომატია კავკასიის შვილებისათვისო, იმისთანა, რომელშიც მოთავსებული უნდა იქნეს სხვათა შორის თითეული რაიონის ისტორიული-გეოგრაფიული აღწერაო; ქრისტომატია, რასაკვირველია, რუსულ ენაზე უნდა იქნეს შედგენილიო. მე ამაში ვსთხოვე დახმარებაო, მაგრამ იმისთანა წერილი მომწერა, რომ პასუხი ვეღარ მივსწერეო. „დედა-ენა" და „ბუნების კარი" არსად არა მაქვს აკრძალულიო ყოველგან იხმარებაო; ხოლო „Русское слово"-ს შემოღება ლეიცკის წიგნის მაგიერ ჩემს კომპეტენციას არ შეადგენსო, და მე რა საყვედური მეთქმისო?!...

თქვენი ახლად გამოცემული წიგნების შესახებ დავეკითხე აქაური გამომცემელი ამხანაგობის წევრებს და მითხრეს, რომ ფული არა გვაქვს და ამიტომ არ შეგვიძლია ყიდვაო.

ბეჟანეიშვილმა[8] მოგახსენათ, რომ მეც ძალიან ქესატათ. ვარ და ამიტომ ათას წიგნს ვერ ავიღებო; ძალიან მეძნელება სულ უარის თქმაო და თუ ენებება, „კოკორს“ ხუთას წიგნს ავიღებ ექვს-ექვს კაპიკათო. — ამხანაგობაში თქვენი წევრათ შემოსვლის შესახებ, როგორც თქვენცა მწერთ, როცა მაქითკენ წამოვა ვინმე, დავავალებ, რომ გინახულოსთ. მადლობას გწირავთ, რომ ჩემი წიგნის შესახებ ცნობები მომაწოდეთ[9]. ბეჭდვა უკვე დავიწყე და იმედი მაქვს — დამლევ მაისს მზათ იქნება. — თქვენ „იმერული ფორმების“ შესახებ გაფრთხილებთ, და მე მგონია — „მოვიდენ, წავიდენ“ და სხვ., რომელსაც თქვენ იმერულ ფორმათ სთვლით, წმინდა იმერული არ არის, არამედ სამწერლო ენაც: თვით შოთა რუსთაველი ხმარობს ამ ფორმას. — მართალია, ჩემი მართლწერა განსხვავდება ზოგიერთის ჩვენი მწერლების მართლწერისაგან, მაგრამ მარტო ამით არ უნდა დაბრკოლდეს ჩემი წიგნის გავრცელება; უმთავრესი ყურადღება შიგ მოქცეულ მასალას უნდა მიექცეს, სისტემას, გრამატიკული კანონების განმარტებას და სხვ... თვით თქვენ გამოგიცდიათ რა ძნელია იმის უარყოფა, რაც თქვენ მრავალი წლის განმავლობაში შეგიმუშავებიათ; მეც ამ მდგომარეობაში ვიმყოფები — და ვერ ვუღალატებ იმას, რაც მტკიცეთ ვიწამე; მაგრამ ეს არ დაუშლის ქართული ენის მასწავლებელს, თუ მაინცადამაინც ჩემს მართლწერას არ მიიღებს, დენ-ის მაგიერ დნენ შეასწავლოს და სხვ. — ამიტომ იმედი მაქვს, პირადათ თქვენ დახმარებას ამომიჩენთ ჩემი წიგნის გავრცელებაში, თუ რომ მისი „შინაარსი“ და „სისტემა“ მოგეწონებათ.

დავრჩები თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

ს. თ. ხუნდაძე

1904 წ. 14 აპრილს.

დიდათ პატივცენულო ბატონო იაკობ!

22—24 ამ თვეს თფილისში გიახელით ჩემი წიგნის გარემოების შესატყობათ, მაგრამ, სამწუხაროთ ჩემდა, ვისი ნახვაც მინდოდა, ვერ ვნახე: კრუპენიკოვი[10] ბათომს წასულიყო და თქვენც აღა ბრძანდებოდით თფილისში, აგარიდან აღ დაბრუნებულაო, მით-

ხრეს. მზრუნველის კანცელარიაში ვიყავი და იქ ჩემს შეკითხვაზე მიპასუხეს: ეს საქმე მალე არ შესრულდებაო, ჯერ კრუპენიკოვს არ გადმოუციაო...

ამ სახით — ჩემი იმედი, რომ მდგომარე სასწავლო წლისათვის ნებართვას მივიღებ — მეთქი, ჯერჯერობით არ მართლდება. კრუპენიკოვს წერილი მივსწერე და ვსთხოვ — დამიჩქაროს როგორმე, მაგრამ, კიდევაც რომ მალე გადასცეს, იმედი არა მაქვს — მზრუნველის საბჭოში მალე განიხილონ. ამიტომ იძულებული ვარ — კიდევ შეგაწუხოთ და მოგმართოთ თხოვნით, თუ რამე საშვალება გავა, მასწავლოთ. როგორ მოვიქცე... თუ შუა ე[ნ]კენისთვემდი მაინც ნებართვა არ მოესწრო, შემდეგს სასწავლო წლამდი აღარ გაიყიდება — და ეს გარემოება ჩემი ღარიბი ჯიბისათვის მეტათ საგრძნობელი იქნება... მთავრობის კანცელარიებს როგორ დაევმდუროო, რომ ჩვენს კანცელარიაშიც დამიგვიანეს პასუხი.

წერა-კითხვის გამგეობას ესთხოვე, თუ შესაძლებელათ სცნოთ, ოფიციალურათ ნება დამრთეთ — ჩემი წიგნი შემოიღონ სახელმძღვანელოთ თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებლებში-მეთქი; მაგრამ არც მათ ქონიათ სხდომა და ჩემი თხოვნა ჩემს მაქ ყოფნის დროს გაურჩეველი იყო. ფირცხალავა[11] დამპირდა, შაბათს (ე. ი. გუშინ 28 აგვისტოს) გვექნება სხდომა და ამ საკითხსაც გავარჩევთო; მაგრამ არ ვიცი, რა ქნეს...

დიდ სიკეთესა და წყალობას მიზამთ, თუ ორი სიტყვით მაცნობებთ, რა სახით შეიძლება, რომ ჩემი წიგნის გავრცელება შკოლებში მდგომარე სასწავლო წელსავე მოხერხდეს.

ჩვენი შკოლის მეხუთე კლასის გახსნა კიდევ შეფერხდა. ამას წინათ დაგვაიმედეს (მზრუნველის თანაწემწემ ლაპატინსკიმ თავისი პირით აღუთქვა ჩვენს მარშალსა[12] და ინსპექტორს ოცხელს[13]) — ნებართვა მოგივათო და ახლა კი პასუხს არ იძლევიან, თუმცა ორჯერ მისწერეს პასუხიანი დეპეშა... თუმცა არც მინისტრი და არც გალიცინი[14] წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ ზავადსკი მაინც პირველობს, როგორც ეტყობა, და შეიძლება თავისი გულის წადილი კიდევაც შეისრულოს[15]...

დავშთები თქვენი ღრმად პატივისმცემელი სილოვან თომას-ძე ხუნდაძე.

ქუთაისი 1904 წ. 29 აგვისტოს.

დიდათ პატივცემულო

ბატონო იაკობ!

ერთი საგნის შესახებ მინდა გამოგესაუბროთ, იმ საგნისა, რომლისთვისაც თქვენ ამდენი ხანია მედგრათ იბრძვით ჩვენს ცხოვრებაში ეს არის ჩვენი თვითცნობიერების — ჩვენი ენის, ჩვენი ეროვნული გრძნობის გაღვივება ჩვენს მიძინებულ მოძმეებში. მკოლებში ხომ ქართული ენის სწავლების საქმე უკუღმართათ არის მიმართული და ამ სფერაში ჩვენი ბრძოლა თითქმის უნაყოფოთ რჩება. ეს ბრძოლა, ყოველ შემთხვევაში, უნდა განვაგრძოთ, მაგრამ ამასთან, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს შინაურ სფერას, ჩვენს ოჯახს, ჩვენს საზოგადოებას უნდა მივაქციოთ — და ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რათა მოვსპოთ ის შეუგნებლობა, ის ჩვენი გამქარწყლებელი ჩვეულება, რომელიც ჩვენს შორის არსებობს.

უმთავრესი დანაშაული იმისა, რომ ჩვენს დედა ენას ჩვენს ცხოვრებაში ღირსეული ადგილი არ უჭირავს, ისევ ჩვენ მიგვიძღვის. აბა ვინ გვიშლის — ერთმანეთ შორის მაინც ქართულათ ვილაპარაკოთ, ვინ გვიშლის — ოჯახში მაინც ვაკითხოთ ჩვენს შვილებს ქართული წიგნები და მით ენა გავუწაფოთ და გონება ნორმალურათ განვუვითაროთ?! ახლანდელი დედები და მამები ოჯახში შვილებს სულ რუსულათ უჭიკჭიკებენ და უალერსებენ, საზოგადოებაში განუწყვეტლათ რუსულათ ლაპარაკობენ — და ამისთანა პირობებში მკოლა, კარგათაც რომ იყოს იქ ჩვენი ენის სწავლება დაყენებული, ვერაფერს გვიშველის. არც ის უშველის ამ საქმეს, რომ მარტო წიგნისა და გაზეთის საშვალებით შევაგონოთ ჩვენს საზოგადოებას ეს მისი ნაკლულევანება: ჩემი აზრით ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ცოცხალი მოქმედება, პირისპირ ქადაგება. ამ ჟამათ მე დავადექი იმ აზრის განხორციელებას, რომელიც თქვენს წიგნში ვრცლათ არის განმარტებული და რომლის შესახებაც მეცა მაქვს მოკლე წერილი დაბეჭდილი ჩემს წიგნში („ცხოვრების სურათები", 1902 წ. *).

*) ეს წიგნი თავის დროზე გამოგიგზავნეთ — და იმედია, მიღებული გექნებათ. ჩვენმა პრესამ ამ წიგნის შესახებაც ისე წაიყრუა, როგორც იციან ხოლმე საზოგადოთ წაყრუება, ან მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ „წიგნს ამდენი გვერდი აქვს და ამდენათ ღირსო!" — არ წაიყრუებენ ხოლმე მაშინ, როცა ვისიმე გამოლანძღვა სწყურიათ...

აგერ ორი თვეა დავდივარ ოჯახებში და მშობლებს ვემუდარები, საოჯახო ბიბლიოთეკა შეადგინონ და შვილებს რიგიანი ქართული წიგნები აკითხონ; ჯერ ჯეროზით ჩვენს გამოცემულ საყმაწვილო წიგნებს (ამას წინათაც მოგწერეთ, რომ საყმაწვილო წიგნები ვებეჭდოთ და გავავრცელოთ შკოლებსა და ოჯახებში) ვავრცელებთ ოჯახებში და ამასთან ვავალებთ, რომ მომავალში სხვა საყმაწვილო წიგნებიც შეიძინონ — და ამ სახით ბიბლიოთეკა შეადგინონ; მალე კრება გვექნება — და უნდა ავარჩიოთ იმ წიგნებში, რაც დღემდი დაბეჭდილა, იმისთანები, რომელიც გამოსადეგია საყმაწვილო ბიბლიოთეკისათვის, შემდეგ ამ წიგნების კატალოგს დავბეჭდავთ და ოჯახებში დავარიგებთ, რომ მშობლებს შეეძლოსთ ბიბლიოთეკის შესადგენათ მით ხელმძღვანელობა. — ჯერჯერობით უარი არავის უთქვამს, — პირიქით, ბევრი სიხარულით მიეგება ამ საქმეს და აღგვითქვეს თხოვნის შესრულება.

მე მგონია, ამგვარი წრის დაარსება და ასე კარისკარ სიარული განსაკუთრებით მაქ, თფილისშია საჭირო. ძალიან კარგი იქნება, რომ ვინმე[მ] იკისროს მაქ ეს საქმე. დარწმუნებული ვარ, ამგვარი ცოცხალი მოქმედება და ქადაგება ნაყოფს მოიტანს.

ჩვენი ეროვნული გრძნობის გასაღვივებლათ შეიძლება სცენაც მოვიშველიოთ — და რიგიან მკითხველებს ვაკითხოთ ხოლმე იმისთანა ნაწარმოები, რომელიც დედაენისა და ეროვნების სიყვარულსა და მნიშვნელობას შეეხება. — ამასთანავე ნება მიბოძეთ, გაახლოთ ჩემი ახალი ლექსი („ქართველებს"), რომელიც ამ ჩვენს სასაუბრო საგანს შეეხება. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და მე ერთმანეთთან მწყრალათ გახლავართ — და ამიტომ, რადგან გაზეთებში არ ვბეჭდავ, გიგზავნით, რომ საკუთრათ გადაიკითხოთ. ჩვენს საყვარელ საგანს შეეხება — და ვინძლო მოგეწონოსთ.

ზემორე აღნიშნული საგნის შესახებ ფილ. გოგიჩაიშვილსაც ვსწერ ბარათს[10].

დაეშთები თქვენი ღრმათ პატივისმცემელი
სილოვან თომას-ძე ხუნდაძე.

ქუთაისი — 19 $\frac{28}{XI}$ 04 წ.

P. S. ამას წინათ ჩემი ბარათის პასუხი მივიღე თქვენგან — და შემდეგ ჩემი წიგნის ნებართვის შესახებ არაფერი. არ ვიცი. ვაი თუ იანვრისთვისაც არ მომცენ ნებართვა და წიგნი გაუყიდველი დარჩეს?!.. თუ რამე იცით ამ საქმისა და ორი სიტყვით მაცნობებთ, დიდათ დამავალებთ.

თქვენი სილოვანი.

დიდათ პატივცემულო

ბატონო იაკობ!

როცა ადამიანს რაიმე სატკივარი განსაკუთრებით აწუხებს, უპირველესათ თავის მეგობრებსა და გულითად ნაცნობებს მიმართავს ხოლმე, და რადგან თქვენ გულწრფელათა და გულშემატკივარ ადამიანათ გიცნობთ, იმედია — ჩემს თხოვნას ყურადღებით მოისმენთ და შესაძლებელ დახმარებას ამომიჩენთ.

როგორც თქვენის უკანასკნელი წერილიდან ჩანს, ჩემი გრამატიკის სახელმძღვანელო წიგნათ ნებადართვას მთავრობისაგან მომავალ სასწავლო წლამდი ვერ მივიღებ და, მაშასადამე, წიგნის გაყიდვა სასურველათ არ მოხერხდება. ამიტომ მინდა წერა-კითხვის გამგეობას მივმართო თხოვნით, თუ თქვენც მირჩევთ, შეისყიდოს ჩემი წიგნები იმდენი "/₀"/₀ დაკლებით, რამდენიც მას ხელს მისცემს. თვით გამომცემელი ბეჟანიშვილი და აქაური ახალგაზრდა ნივთიერათ ერთობ შევიწროებული არიან და ამიტომ იძულებული ვარ შორეულ წყაროს მივმართო.

მაგრამ ჯერ გთხოვთ მისმინოთ, თუ რა მაიძულებს შეგაწუხოთ. წინათ ჩემი ხანგრძლივი ავათმყოფობის მიზეზით და ამ ბოლოს დროს სახლის მიზეზით, რომელიც მეგობრების ჩარევით ავაშენე (რასაკვირველია, ბანკის საშვალებით, რადგან ჩემი საკუთარი ერთი ყურგახვრეტილი ფარაც არ გამაჩნდა). — იმდენი ვალი დამედვა, რომ ჩემი ჯამაგირი თითქმის მთელათ იმათს ყოველწლიურ გასტუმრებას უნდება, და მე ლუკმა პურისათვის თითქმის ყოველ დღეს ვსესხულობ. ამას კიდევ ამჟამათ საკრედიტო ბანკის ზარალი დაემატა: საერთო ზარალი გაანაწილეს და მე 540 მანეთი მომიწია, რომლის ნაწილი 200 მანეთი მომავალი მარტის პირველიდან უნდა შევიტანო და დანარჩენიც მერე სამ ნაწილად უნდა გავისტუმრო. ბანკების ვალებს გარდა კერძო ვალებიცა მაქვს ათას 1000 მანეთზე მეტი, და თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ, რომ ჯამაგირის მეტი არაფერი გამაჩნია, ადვილათ წარმოიდგენთ ჩემს სულიერ მდგომარეობას. ექვსი შვილი მყავს, რომელთაგან სამი უკვე სასწავლებელში სწავლობს, ერთიც ახლა ემზადება შესვლას — და ყველა ამის ხარჯი ჩემთვის მეტის მეტათ აუტანელი შეიქნა, მაინც სუსტი ნერვები მჭონდა — და ამ ვალებზე ფიქრმა სულ დამაუძლურა...

ყველა ეს გარემოება მაიძულებს — მოგმართოთ თქვენ თხოვნით, გამიწიოთ წ. კ. გამგეობასთან შემდეგი შუამდგომლობა: 1) შეიყი-

დონ ჩემი „გრამატიკა" ათასი (1000) ცალი თუ შეიძლება 30%-ის, თუ არა და მეტი %-ის დათმობით. — 2) 200 ცალი ჩემი „სალიტერატურო ქართული" 50%-ის დათმობით. — გამგეობას მომავალში, დარწმუნებული ვარ, ცოტაოდენი მოგება მაინც დარჩება, და რაც უნდა დაბრკოლება შეხვდეს, ზარალით მაინც არ იზარალებს; მისთვის 400 მანეთის ავანსათ გაცემა (იმ დარწმუნებით, რომ ახლო მომავალში გაინაღდებს) დიდ თანხას არ შეადგენს, და ჩემთვის კი ეს ფული დიდ შემწეობას შეადგენს, დიდი ხნით მომასვენებს სულიერათ, და ვინ იცის — ეგებ ეს სულიერი მოსვენება ისევ ჩვენს რომელსამე საზოგადო საქმეს მოვახმარო, თუ კი რისამე გაკეთება კი შემიძლია...

თუ ჩემი განზრახვის შესრულება შესაძლებლათ მიგაჩნიათ, გთხოვთ — ორი სიტყვით მაცნობოთ როგორმე დროზე — და მაშინ მივსწერ გამგეობას ზემორეხსენებულს ჩემს წინადადებას [17].

დავშთები თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

სილოვან ხუნდაძე.

ქუთაისი 19 $\frac{25}{II}$ 05 წ.

P. S. „Русь"-მა დაიწყო ქართველების შესახებ წერილების ბეჭდვა. თუმცა „სიტყვა სიტყვაა, საქმე კი სხვაო" — ნათქვამია, მაგრამ ჩვენზე სიტყვასაც იშვიათათ ამბობენ — და ესეც კარგია.

№ 33-ში სხვათა შორის ჩემი წერილიც იყო; მინდოდა ავტორის ვინაობა დაფარული ყოფილიყო, მაგრამ ჩვენში ფსევდონიმის დამალვა შეუძლებელია, — ყველამ გაიგო და დე გაიგონ. მეგობრებს რათ უნდა დავემალოთ და მტრებსაც არ უნდა შევუშინდეთ!.. უარესს რასღა გვიზმენ?! ძალიან მესიამოვნება თუ პირადათ თქვენ მოგეწონათ. ორიოდე სტრიქონი კი გამოუშვიათ ერთ ალაგას, სხვა კი უცვლელათ გაუშვიათ [18].

თქვენი სილოვანი.

ქუთაისი
1905 წ. 11 მარტს.

დიდათ პატივცემულო
ბატონო იაკობ!

დიდად გმადლობ პასუხისათვის. რაც არ არის შესაძლებელი, რაღა გაეწყობა... „სხვა და სხვა ჰირი ჩემზედა არ ახალია, ძველია". ცხოვრება მეტის მეტად გასჭირდა, დადგა ყოველნაირი კრიზისი... ღმერთმა ქნას, კარგათ დაბოლოვდეს ამდენი შფოთვა, მღელვარება, სისხლის ღვრა.

გურიის ამბები როგორ მოგწონთ? ერთი გარემოება მაწუხებს, სახელდობრ — რომ ხალხს განგებ აჩუმებენ, იმისთანა დიდებულ საგანზე, როგორიც არის ეროვნული საკითხები. არ მომწონს, რომ ჩვენმა რედაქციებმა, რომელნიც თითქო ეროვნულ საკითხებს თავყანსა სცემენ კორესპონდენტებათ იმისთანა პირები გაგზავნეს, რომელნიც თვითონაც ხელს უწყობენ — ყოველ გარემოებას, ყოველ მოძრაობას ეროვნული სახე დაუკარგონ... თქვენი წიგნების შესახებ შემდეგი ცნობები შევკრიბე: ბეჟანიშვილს გადაცემული ჰქონდა ორმოცი (40) ცალი და საამხანაგო კიოსკს ოცდაათი (30) ცალი. ორივეგან ვიკითხე და ცოტა გაყიდულა. იმისთანა დრო დადგა, რომ გაზეთების მეტს არაფერს კითხულობენ.

„გრიგორიევის" წიგნის შემოღების შესახებ, ჯერ კიდევ სანამ თქვენი წერილი მომივიდოდა, გამოვიკითხე, რადგან გაკვირვებული ვიყავ, რომ თქვენს „Русское слово"-ს გვერდი აუარეს, და აი რა მიპასუხეს: პირველდაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთ ჰქონდათ სხდომა და გადაეწყვიტათ ლევიცკის წიგნი მოვიშოროთ თავიდანო, მაგრამ ჩვენი კაცის სახელმძღვანელო, რომ შემოვიღოთ მის მაგიერ, სეპარატისტობას დაგვწამებენო და გრიგორიევის წიგნი დაუნიშნავს უმრავლესობას[19]. ჩემი აზრით, ამგვარი დიპლომატობა დღევანდელ დღეს მავნებელია ჩვენი თვითცნობიერების გაძლიერებისათვის, მაგრამ რას იზამთ, როცა ეროვნული ზრდა გვაკლია, როცა თავმოყვარეობას ვერ ვიცავთ... გურიაში ეროვნულ საკითხებზე გაჩუმება განა იგივე უგნური, უმნიშვნელო დიპლომატობა არ არის?! პოლონელებმა ქვეყანას აცნობეს, რომ ისინი თავისი ენის ინტერესს ყველაზე უფრო მაღლა აყენებენ, და ჩვენი სოციალდემოკრატები კი ეროვნულ გრძნობებს აჭარწყლებენ, ჩვენი ხალხის ეროვნულ ზრდას, ეროვნულ თვითცნობიერებას მიწას უთხრიან!.. ნუ თუ ამისთანა ვაჟბატონები უნდა იქადოდენ, ხალხის საქმეს ვაკეთებთ, ხალხის კეთილისმყოფელნი ვართო?!..

თქვენი სილოვან ხუნდაძე.

დიდათ პატივცემულო

ბატონო იაკობ!

დღეც კი იშვიათათ გაიელის ისე, რომ უსიამოვნობა არ შემახვედროს, შხამი და ნაღველი არ მასვას... აი ერთიც კიდევ შხამიანი ფიალა! მერე ვისგან? — იმისთანა ადამიანისგან, რომელსაც ღრმა პატივსა ვცემ, რომლისგანაც მოველოდი სამართლიანობას ყოველგვარ შემთხვევაში...

ეს არის გადავათვალიერე თქვენი ახლათ გამოცემული „ბუნების კარი“ და შიგ ამოვიკითხე 267 გვერდზე ლექსი „დედა და შვილი“, რომელსაც ქვეშ „ჰალადიდელი“ აწერია. ეს ლექსი წინათ თქვენ „ხომლში“ დაბეჭდეთ და მაშინ ავტორის ვინაობა არ აღგინიშნავთ. მწყენოდა გულში, მაგრამ რას ვიტყოდი, რა უნდა მექნა. ვფიქრობდი: მე ჯერ ყმაწვილი ვარ-მეთქი, ალბათ უხერხულათ დაინახა ბ. იაკობმა და გენერალი-პოეტების გვერდით ჩემი სახელი არ გამოაჩინა-მეთქი და ვიყავ გაჩუმებული[20].

ახლა კი როცა აგერ მოხუცებულობა მეწვია და ახლაც კიდევ თვალსა და ყურს მარიდებენ და უსამართლოთ მებყრობიან, — არ შემიძლია არ ვამცნო ქვეყანას ეს უსამართლობა...

გულით მინდა — ისე გამოვსთქვა ჩემი გულის ტკივილი, რომ არაფერი გაწყენიოთ, რადგან, კიდევ და კიდევ თქვენი პატივისცემა გულიდან არ მშორდება, და თუ საზოგადოთ უკიდურესმა სასოწარკვეთილებამ და გულის შფოთვამ რამე საწყენი წამომაცთინოს, წინდაწინვე გთხოვთ დიდსულოვნურათ მაპატიოთ.

ამას წინათ, როცა ჩვენი მწერლობის ალბომი გამოსცეს, თქვენ (ვგონებ გაზ. „ივერიაში“) წერილი დაბეჭდეთ, რომლითაც კიცხავდით ალბომის შემდგენელთ, რომ დავითაშვილის სურათი გამოაფინეს, და უფრო მნიშვნელოვან მწერალთა სურათები კი დაივიწყესო; — ამ უკანასკნელთა შორის მეც მიხსენიებდით.

ცხადია, თქვენ არავითარი პირადი ინტერესი არ გქონიათ და, მაშასადამე, თქვენი მაშინდელი აზრი და შეხედულება მიუდგომელი, პირუთვნელი იყო.. მაგრამ, როცა სამართლიანობის განხორციელებაზე მიდგა საქმე, თქვენც იგივე უყურადღებობა და უსამართლობა გამოიჩინეთ... სურათის გამოქვეყნებამ თქვენი ჰირი წაიღოს! ეს ერთი მხრით თავმოყვარეობას შეიცავს (ავტორის მხრათ) და ნეორე მხრით ცნობისმოყვარეობას (მკითხველების მხრით).. მე ეს უმნიშვნელო საგნათ მიმაჩნია, რადგან საზოგადო ცხოვრების წინსვლაზე ამას არავითარი გავლენა არ აქვს... აზრები და გრძნობები

ხალხს შეაგნებიოს და აწამებიოს, თავისი აზრი ხალხში გაავრცელოს და მით ხალხის გათვითცნობიერებას ხელი შეუწყოს. მეც ძალიან მწადია — ჩემი აზრი და გრძნობა ჩემს მოძმეებს გავუზიარო, ქვეყანას ვამცნო, რათა გაიგონ ჩემი მისწრაფება, ჩემი გულის ძგერა, ჩემი წრფელი სურვილები, რადგან მე ისინი ჩემი ხალხის საკეთილდღეოთ მიმაჩნია... პოოტრეტ-სურათებს რას დავსდევ, როცა ჩემს წრფელ აზრებსა და მხურვალე გრძნობებს წინ ელობებიან და არ მაძლევენ საშვალებას — სხვებთან ერთათ ჩემი აზრები და გრძნობებიც გაიგოს ჩემმა მშობელმა ერმა, ჩვენმა ახალგაზრდობამ?!.

მიკვირს, „ხომლი“ რამდენჯერმე გამოეცით ახლა კიდევ „ბუნების კარში“ შეგიტანიათ იგივე ლექსი — და არ იცით, ვის ეკუთვნის იგი?! ჩემი ნაწერები, რომ თქვენს ყურადღებას იქცევდეს, მაშინ ადვილათ გაიგებდით, რომ ეს ლექსი ჯერ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი 1880 წელს — და, მაშასადამე, ჰალადიდელის კი არა, სილოვანისაა!..

მე ახლა ერთი საკითხი მებადება: რომ გცოდნოდათ, რომ ეს ლექსი ჩემს კალამს ეკუთვნის, შეიტანდით მას თქვენს სახელმძღვანელოში, თუ არა?.. ვფიქრობ, რომ არ შეიტანდით! ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ჩემს ლექსებში ბევრათ უფრო კარგი ლექსები მოიპოება, და თუ იმათთვის არ მიგიქცევიათ ყურადღება, ამ ლექსში რას ნახავდით იმისთანას, რომ იმის მიზეზით ჩემი ულირსი სახელი ჩაგებეჭდათ სახელგანთქმულ სახელმძღვანელოში?! დიახ, არ შეიტანდით, რადგან... რადგან სილოვანი ჩვენი კრიტიკოსებისაგან ცნობილი არ არის!.. მაგრამ, სინდისით რომა ვსთქვათ, ჩვენ განა გვყავს კრიტიკოსები? ჩვენს ლიტერატურაში განა არსებობს თუნდ ცოტაოდნათაც რიგიანი კრიტიკა?! — არა, არ არსებობს! ჩვენი კრიტიკა ან პირფერობითი ულირსთა განდიდებაა, ან ბრაზით ღირსეულთა ლანძღვა-თრევაა, მეტი არაფერი... ამ ჩემს აზრს ჩვენი კრიტიკის შესახებ აქვე მტკიცე საფუძვლებით განვმარტებდი, ჩემი წერილი უამისოთაც გრძელი რომ არ იყოს...

ბატონო იაკობ! გულწრფელათა გთხოვთ, შემომწირეთ ერთი საათი და გადაათვალიერეთ ჩემი ლექსები: ნუთუ იქ არ მოიპოება იმისთანა ლექსი, რომ ყმაწვილებისათვის საგულისხმო იყოს?!

გთხოვთ — გადაათვალიეროთ:

I. „ლექსები“, გამოც. 1892 წ.:

1) „არაგვს“ (გვ. 14). 2) „ბავშს“ (გვ. 16), 3) „აღდგომა“ (გვ. 18), 4) „ახალ წელიწადს“ (გვ. 32), 5) „მოძმენო“ (გვ. 56), 6) „კუკური“ (გვ. 75), 7) „მთის წყაროს“ (გვ. 88);

II. „სიმები“, გამოც. 1894 წ.:

1) „მოსწავლეს“ (გვ. 4), 2) „ყმაწვილს“ (გვ. 9), 3. „კვალი“ (გვ. 11), 4) „რიონს“ (გვ. 15);

III. „ჩემი აზრი და ფიქრები“, წიგნი I. (გამოც. 1901 წ.)

1) „გაზაფხული“ (გაულექსავი პოეზია) (გვ. 1), 2) „კრწანისის ბრძოლა“ (გვ. 20);

IV. „ცხოვრების სურათები“, (გამოც. 1902):

1) „ობოლი“ (გვ. 40), 2) „ქართველი“ (გვ. 44), 3) „ქვიშხეთის მთებში“ (გვ. 53), 4) „ტყეს“ (გვ. 57), და სხვ. და სხვ.

სხვა ლექსებსაც დაგისახელებდით, მაგრამ აქ მხოლოდ იმისთანა ლექსები ჩამოვთვალე, რომელიც თავისი შინაარსით, ჩემი აზრით, ყმაწვილების გრძნობა-გონებას შეესაბამება... ამათ მიუმატეთ კიდევ ლექსი, რომელიც თქვენ ჩემდა დაუკითხავათ (რამაც მე ცოტა არ იყოს მაწყენია, რადგან ჩვენს რედაქციებთან, მრავალი უსიამოვნების გამო, არ მინდოდა არავითარი ურთიერთობის განახლება) „ივერიის“ საშობაო ნომერში დააბეჭდიეთ შარშან, — გთხოვთ — ერთი საათი დაკარგოთ ჩემი გულისთვის, ყველა ეს გადაიკითხოთ და გულწრფელათ, დაუფარავათ მითხრათ: ნუ თუ ამათში რამდენიმე მაინც არ ამოირჩევა იმისთანა, რომ ქართული ენის სახელმძღვანელოში მოთავსდეს და ქართველ ყმაწვილებს დასასწავლათ მიეწოდოს?!.

ნება მომეცით, აქვე მოგმართოთ თქვენ, ვითარცა მიუდგომელ მსაჯულს, ერთი გარემოების გამოსარკვევათ. „ნაკადულის“ ახლანდელმა რედაქტორმა, ქ-ბ. მ. დემურიასამ, ორჯერ მომმართა ბარათით და თანამშრომლობა მთხოვა. პირველათ თავაზიანი უარი განვაცხადე, რადგან წარსულის გამოცთილებით მრავალი უსიამოვნო გარემოება მაგონდებოდა ჩვენი რედაქციების უსამარლობის გამო... როცა მეორეთაც მომმართა თხოვნით, უარი ვეღარ ვუთხარი და გავუგზავნე ეს ლექსი, რომელსაც აქვე გაახლებთ („პაწია ქართველებს“).

გაიარა ხანმა, და როცა არ დაიბეჭდა, დავეკითხე რედაქტორს დაუბეჭდველობის მიზეზის შესახებ, ქ-ბ. დემურიასამ მიპასუხა: „რედაქციამ საბავშოთ ვერა სცნოვო“...

ახლა თქვენ მოგმართავთ, როგორც გამოცთილ პედაგოგს: ნუთუ ეს ლექსი „მოზდილობათვის“ „ნაკადულისათვის“ შეუფერებელია? ნუთუ მე ოცდაორი წლის განმავლობაში პედაგოგიურ ასპარეზზე მართლა ვერ შევიგნე, თუ რა მიეწოდება ყმაწვილებს?! გთხოვთ ამიხსნათ: ნუთუ სამართლიანია ამგვარი საქციელი ქ-ბ დემურიასი?!.

შესაძლებელია — რამდენჯერმე უსამართლოთ მოექცენ ადამიანს, მაგრამ აუტანელია, როცა წუთისოფლის წუთიერ სტუმარს განუწყვეტლათ უსამართლოთ ექცევიან, განუწყვეტლათ შხამსა და ნაღველს ასმევენ. ამიტომაც გაწუხებთ ჩემი ბარათით და უმორჩილესათ გთხოვთ — უპასუხოთ ნუ დამტოვებთ!

დავშთები თქვენი მარადის პატივისმცემელი
სილოვან თომას-ძე ხუნდაძე.

ქუთაისი. 7 სექტემბერს, 1906 წ.

P. S. მკითხველებისათვის საჭიროა, როგორმე გაასწოროთ ზემორე აღნიშნული შეცთომა ჩემი ლექსის შესახებ... რასაკვირველია, ამ ჟამათ მისი გასწორება მხოლოდ პრესის საშვალებით შეიძლება.

ს. ხუნ[დაძე].

დიდათ პატივცემულო ბ. იაკობ!

ამასთანავე გიგზავნით დაზღვეულ ბარათს ერთი საგნის გამო, რომელიც დიდათ მაინტერესებს... თუმცა მახსოვს, რომ თქვენი განცხადების თანახმათ, თქვენი ადრესი ფოშტამ უნდა იცოდეს, მაგრამ ეგებ დამტარებლის მიზეზით რამე გაუგებრობა მოხთესმეთქი და „წერა-კითხვის“ საზოგადოების ადრესით გამოვგზავნე. თუ დროზე არ მიიღოთ, გთხოვთ უმორჩილესათ წ.-კ. კანცელარიაში მიაკითხოთ. თქვენი პირდაპირი ადრესი კი არ მახსოვს.

თქვენი სილოვ. თ. ხუნდაძე.

ქუთაისი. 1906 წ. 9 სექტემბერს.

დიდათ პატივცემულო
ბ-ნო იაკობ!

ვიცი, რომ უთვალავი საქმე გაქვთ — და მიწერ-მოწერისათვის მოცალება არ გექნებათ. მაგრამ ის გარემოება მაწუხებს, რომ ჩემი წერილის აზრი განსხვაებულათ გაგიგიათ — და იძულებული ვარ გიპასუხოთ.

თქვენა მწერთ, თითქო მე თქვენთვის ჩემდამი მტრული განწყობილება და განზრახ ჩემი სახელის დამალვა შემეწამებიოს.

მადლობა ღმერთს, რომ ჩემი წერილის შავი აქა მაქვს: ხელახლა გადავიკითხე — და ერთი სიტყვა არ არის შიგ იმ აზრისა, რომელსაც მე მაწერთ. მე მხოლოდ ვსთქვი ჩემი გულის ტკივილი

შესახებ იმისა, რომ თქვენგანაც იგივე უყურადღებობა დავიმსახურე, როგორც სხვებისაგან მეთქი, და ამ აზრის სიმართლე თქვენი დღევანდელი წერილითაც მტკიცდება: ეს ლექსი ჩემს რვეულში ვიპოვე — და ვისი იყო, ველარ მოვიგონე... მეც ამას ვამბობ ჩემს წერილში: რაკი თქვენი წიგნისათვის მასალებს კრებდით, ჩემი ნაწერები სრულებითაც მხედველობაში არა გქონიათ, თვარა ბევრათ უკეთეს ლექსებს ნახავდით მეთქი... მე ამას უყურადღებობა ვუწოდე, და მტრობა რა შუაშია?! როგორ შემიძლია თქვენ ჩემს მტრათ დაგსახოთ, როცა გონებიდან არ მშორდება თქვენი მრავალგზითი თავაზიანობა, დავალება და პატივისცემა?! მტრათ კი არა, ჩემდა კეთილისმყოფელათ, გულშემატკივრათ გსახავთ, და სწორეთ ამიტომ არის, რომ განსაკუთრებით მეტკინა გული, როცა დავინახე რომ ჩემი ერთად-ერთი ლექსი შეიქნა თქვენი უყურადღებების ღირსი — და ისიც სხვისი სახელით...

თქვენა მწერთ, რომ მალე ხელახლა უნდა გამოვსცე „ბუნების-კარი" და იმაში თქვენი სახელით იქნება ეს ლექსი დაბეჭდილიო. მე უმორჩილესათ გთხოვთ, გთხოვთ გულწრფელათ, ისე, როგორც არაფერს არაოდეს არა გთხოვთ. ახალ გამოცემაში სრულიად გამორიცხეთ ეს ლექსი. ოცდაექვს წელზე მეტია, რაც კალამს ხელი მოვკიდე, და ამდენი ხნის განმავლობაში თუ გავუძელ უყურადღებობას, დღეის შემდეგაც გავუძლებ: უზომო შრომისაგან დაქანცულსა და განუწყვეტელი ავათმყოფობით დაუძლურებულს ვგრძნობ — დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია... თქვენ კიდევ მწერთ: თქვენს ნაწერებს გადავიკითხავ — და შეიძლება სხვა ლექსებიც ავარჩიო ჩემი წიგნისათვისო. მე თქვენ მისთვის კი არ გთხოვეთ ჩემი ნაწერების გადათვალიერება, რომ მათი თქვენს წიგნში შეტანა მწყუროდეს (ღმერთმა დამიფაროს ამისთანა თხოვნებისაგან!); მე მხოლოდ მეწადა — დამემტკიცებია, რომ ჩვენი ცnasi — კრიტიკოსები მეტათ უსამართლოთ მეპყრობიან და ჩვენს მწერლობაში უსაფუძვლოთა ვარ გერათ მიჩნეული-მეთქი...

თუ მართლა „ბუნების-კარის" ხელახლა ბეჭდვას შეუდეგით, გთხოვთ, გემუდარებით — ნურც ამ ბედშავ ლექსსა და ნურც სხვას რასმე ჩემს ნაწერს ნუ შეიტანთ შიგ: მე მწადია ისე „ობლათ" დავლიო ჩემი დღენი, როგორც „ობლათ" დღემდი მიცხოვრია... დასასრულ, არ შემიძლია — დავეთანხმო თქვენს პრინციპიალურ აზრს ჩემი ლექსის („პაწია ქართველებს") შესახებ. თქვენი სიტყვით გამოდის თითქო პოეტურ ნაწარმოებში პუბლიცისტური არაფერი არ უნდა შედიოდეს. პუბლიცისტიკა ხომ ცხოვრების ყოველდღიი... [ბოლო აკლია].

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ლაპარაკია ი. გოგებაშვილის მიერ 1902 წლის 11 დეკემბერს ს. ხუნდაძისადმი მიწერილ ბარათზე[1].

2. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, „სალიტერატურო ქართული", 1901 წ.

3. **კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე**, 60-იანი წლების ქართველი გამანათლებელი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი.

4. **ნიკო იაკობის-ძე ნიკოლაძე**, ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

5. თბილისში ამბავი ჩაუტანიათ იაკობისათვის „რომ ცაგარეიშვილმა და კელენჯერიძემ ხელი მოაწერეს მანდატურის საბჭოს გადაწყვეტილებას რომლის ძალით სვანურ სოფლებში ქართული ენის სწავლება უნდა მოისპოსო". ამას აღუშფოთებია იაკობი, ამიტომაც თხოვს ს. ხუნდაძეს დაწვრილებით გაიგოს ეს ამბავი და, თუ მართალია, მაშინ „ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროთ, რათა მათ შეატანინოთ იმავე საბჭოში წინააღმდეგი ახრი".

აქ დასახელებული ცაგარეიშვილი არის დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი, რომელიც მოძღვრად იყო ჭუთაისის რეალურ სასწავლებელში. კელენჯერიძე კი, მელიტონ სპირდონის-ძე კელენჯერიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სხვადასხვა სკოლებში და სახელმძღვანელოების ავტორი.

6. სილოვანს არ აშინებდა კილოებზე სჯა-ბაასი და მოითხოვდა დროულად ყოფილიყო შემოღებული ერთგვარი ლიტერატურული ფორმები.

7. **ფ. ლევიცკის** წიგნი შემოღებული იყო რუსული ენის სახელმძღვანელოდ და აკანონებდა მუნჯურ მეთოდს.

8. **ვახილ ბეჟანეიშვილი** სცემდა ქართულ წიგნებს და წიგნების მაღაზია ჰქონდა ქალაქის ცენტრში.

9. ლაპარაკია ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს „ქართული გრამატიკის" შესახებ.

10. **კრუპენიკოვი** — მხრუნველის კანცელარიის მოხელე.

11. **ფირცხალავა** — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი.

12. **დავით ოტიას-ძე ნიჟარაძე.**

13. **იოსებ ივანეს-ძე ოცხელი** — ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი 1900 წლიდან 1919 წლამდე, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი პედაგოგი, საშუალო სკოლების სახელმძღვანელოთა შემდგენელი და გამომცემელი, ს. ხუნდაძის უახლოესი მეგობარი.

14. **გოლიცინი** — საქართველოს მთავარმართებელი.

15. **ზავადსკი** — სასწავლო ოლქის მხრუნველი, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ქუთაისის ქართული სკოლის ქართულ კერძო გიმნაზიად გადაკეთების საქმეს, მაგრამ ზავადსკის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1905 წლის რევოლუციის დღეებში ქუთაისის ქართული სკოლა კერძო ქართულ გიმნაზიად გადაკეთდა.

16. **ფ. გოგიჩაიშვილი** — შემდეგში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

---

[1] იხ. ა. ი ო ვ ი ძ ე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), 1951 წ., გვ. 185–188.

17. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უსახსრობის გამო ვერ მოახერხა ს. ხუნდაძის წიგნების შეძენა. ამის შესახებ აცნობა მას ი. გოგებაშვილმა წერილით 1905 წ. 8 მაისს [1].

18. „Русь" – მოსკოვის ჟურნალი, რომელშიაც დაიბეჭდა სილოვან ხუნდაძის სტატია „Кровные нужды грузинского народа" (იხ. ჟურნალი „Русь" 1905 წ., № 33). სილოვანის ამ სტატიამ ქართველი ინტელიგენციის საერთო მოწონება დაიმსახურა.

19. გრიგორიევის რუსული ენის სახელმძღვანელო, როგორც ი. გოგებაშვილი სწერს, ლევიცკის წიგნზე უფრო დაშორებული იყო ქართველთა ცხოვრებიდან და მეტი ზიანის მოტანა შეეძლო.

20. ი. გოგებაშვილმა სილოვანის ლექსი შეცდომით მიაწერა ჭალადიდელს, ამან გაანაწყენა ავტორი.

(შემოვიდა რედაქციაში 25. IX. 1954)

Д. Д. БРЕГАДЗЕ

ПИСЬМА СИЛОВАНА ХУНДАДЗЕ ЯКОВУ ГОГЕБАШВИЛИ

Резюме

Видный общественный деятель Силован Фомич Хундадзе, проведший основную часть своей жизни в г. Кутаиси, вместе с другими представителями кутаисской интеллигенции внес свою значительную лепту в историю развития грузинской культуры.

Всю свою жизнь Силован Хундадзе неутомимо боролся за чистоту грузинского языка. К вопросу и разработке грамматики грузинского языка он посвятил несколько интересных трудов, которые в то время бесспорно имели серьезное значение.

Силован Хундадзе пробовал свои силы и в поэзии. Следует отметить, что он и в этой области создал много замечательных произведений.

У Силована Хундадзе была тесная дружеская связь с классиком грузинской педагогики Я. Гогебашвили.

С. Хундадзе вел переписку с Яковом Гогебашвили и высказывал ему свой соображения по разным вопросам.

В архиве Якова Гогебашвили (Грузинский Гос. Музей имени акад. С. Джанашия, фонд А 1745(8) оказалось 11 писем Сило-

[1] იხ. ა. ი ო ვ ი ძ ე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები) 1951 წ., გვ. 190.

вана Хундадзе. Эти письма дают яркое представление о личности С. Ф. Хундадзе. Они знакомят нас с мыслями, желаниями и настроениями автора.

Отражая борьбу передового грузинского интеллигента против грубой политики паризма, эти письма имеют определенное значение для изучения истории литературы и развития общественной мысли в Грузии.

В письмах отражена также борьба в школах старой Грузии по вопросу обучения родному языку.

რედაქტორი დოც. ლ. ჭელიძე
Редактор доц. Л. Челидзе

გამოცემის ხელმძღვანელი დ. გეწაძე
Руководитель издания Д. Гепадзе

ტექნიკური რედაქტორი გ. სოფრომაძე
Технический редактор Г. Сопромадзе

ასოთამწყობი-მეტრანპაჟი შ. კურცხალია
Наборщик-метранпаж Ш. Курцхалия

ხელმოწერილია დასაბეჭდად
15. XI. 1954 წ.; ანაწყობის
ზომა 6×10; სასტამბო ფორ-
მათა რაოდენობა 23; ტი-
რაჟი 300; შეკვეთის № 609;
უე 14871.
ალ. წულუკიძის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო პედ-
ინსტიტუტის სტამბა, კირო-
ვის ქუჩა, № 55.

ე 45
1955

ფასი 10 შაბ.